ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა

წიგნი I

პლატონ იოსელიანი
დიმიტრი ბაქრაძე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2019

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6
ე-726

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი **„ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (I-II ტომები)“** (გრანტი №FR17_257) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project **„Scholarly Edition of the Georgian Scientist-Historians' Epistolary Legacy (Volumes I-II“** (Grant № FR17_257) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www. rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა
ტომის რედაქტორები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მაია (მარიამ) ნინიძე**

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა **„უნივერსალი“**, 2019
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E–mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-520-4 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-26-521-1 (I ტომი)

შესავალი

წინამდებარე კრებულით საფუძველი ეყრება მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით მოღვაწე ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის აკადემიურ გამოცემას, რომლის მომზადების იდეა ბუნებრივად გაჩნდა ანალოგიურ პროექტზე – „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ – მუშაობის პროცესში.

ისტორიკოსთა პირადი წერილების შესწავლას გარკვეული ტრადიციები აქვს როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მათ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით,[1] მემკვიდრეებთან შეთანხმებით დაბეჭდილია არაერთი ისტორიკოსის როგორც საქმიანი, ასევე პირადი ხასიათის წერილები[2].

საბჭოთა პერიოდში გარკვეული ყურადღება ექცეოდა ქართველ ისტორიკოს მეცნიერ-მკვლევართა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოვლენასა და შესწავლას. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი პუბლიკაცები: ელ. მეტრეველის სტატია „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერიდან (1888-1931 წლები, 1971); ნ. ჯავახიშვილის სტატია „ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“ (1975); ლ. ნანიტაშვილის ნაშრომი „მოსე ჯანაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“ (1982); „რამდენიმე წერილი მიხეილ თამარაშ-

[1] იხ. Henry Bartholomew Cox, Private Letters and the Public Domain, Oxon Hill, Maryland, 1965.

[2] მაგ., ‘The Life and Letters of John Collingwood Bruce of Newcastle-upon-Tyne’, by Gainsford Bruce, John Collingwood Bruce, 1905; ‘John Mitchell Kemble and Jakob Grimm: a correspondence 1832-1852 / ‘Unpublished letters of Kemble and translated answers of Grimm’, Collected, ed. and translated from the German, by Raymond A. Wiley, Leiden, Brill, 1971, და სხვა მრავალი.

ვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“ (ნ. თარხნიშვილი, 1979), და სხვ.

ინტერესი ქართველ ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოვლენისა და გაანალიზებისადმი დღემდე არ განელებულა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა პირად წერილებზე დაყრდნობით, დღის სინათლე იხილეს პირადი ხასიათის ისეთმა ბარათებმა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ვერ გამოქვეყნდებოდა მათი ეროვნული სულისკვეთების გამო. მაგ., 1991 წელს გამოიცა „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.)“ (საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბ., მეცნიერება, 1991); „ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“ (თბ., 1996); ე. ხოშტარია-ბროსე, „წარსულის ფურცლები: პირადი მიმოწერა“ (თბ., 1996); ე. ჩაგელიშვილი, „დავით ბატონიშვილის ბიოგრაფიისა და იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის ზოგიერთი მომენტი დავითის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით (გ. მიქაძის, ლ. კეკელიძის და დ. ბატონიშვილის 1800-1803 წლების ნაკლებად შესწავლილი წერილების მიხედვით)“ (მრავალთავი, 1999, №18, გვ. 487-497); ა. სონღულაშვილი, „ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ ევდოშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, ისტორია და თანამედროვეობა“ (თბ., 2016, გვ. 33-40); გ. საითიძე, „პლატონ იოსელიანი – რედაქტორი, პუბლიცისტი: (დაბადების 200 წლის გამო)“ (გელა საითიძე, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები / ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2010, 1512-3154 №1 (7), გვ. 13-34); 2002 წელს გამოიცა ე. ხოშტარია-ბროსეს შესანიშნავი ნაშრომი „მარი ბროსე და ქართველი საზოგადოებრიობა: ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით“, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიკოსის

პირადი წერილები ეპოქის, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების მრავალმხრივი გააზრებისა და შეფასებისათვის.

2016 წელს დაიბეჭდა მარი ბროსეს მიმოწერა,[3] სადაც რამდენიმე ქართველი ისტორიკოსის ბროსესთან მიწერილი ბარათიც შევიდა.

როგორც ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, ქართველ ისტორიკოსთა პირადი წერილები მცირე მოცულობით არის გამოქვეყნებული, რომელთა დიდი ნაწილი გაფანტულია სხვადასხვა გამოცემაში და ძნელად ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. მათ უმეტესობას არა აქვს დართული სათანადო სამეცნიერო აპარატი, რაც ართულებს ტექსტის, როგორც საისტორიო წყაროს, გამოყენებას და აუცილებელს ხდის მათ გამოქვეყნებას აკადემიური გამოცემის მრავალტომეულის სახით.

ქართველ ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთ გამოცემაში თავმოყრას წმინდა წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა უფრო მეტად იძლევა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების პროცესის სრულყოფილად გააზრების საშუალებას, ვიდრე ცალკეულ ისტორიკოსთა პირადი წერილების, ან მიმოწერის გამოქვეყნება. ეპისტოლური ტრადიციის განვითარებასთან ერთად, შესაძლებლობა მოგვეცემა, თვალი მივადევნოთ ქართულ სამეცნიერო წრეებში არსებულ პირად ურთიერთობებს და შევაფასოთ მათი როლი ქართული კულტურის განვითარებაში.

წერილს, როგორც პირველად წყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტებისა და მოვლენების დათარიღებისა თუ ინტერპრეტაციისათვის. მან შეიძლება შეცვალოს დღემდე არსებული ცოდნა ამა თუ იმ საკითხის

[3] მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2016.

შესახებ. მაგ., პლატონ იოსელიანის მარი ბროსესადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ ზაქარია იაკობის ძე ფალავანდიშვილი 1845 წლის ოქტომბერში გარდაცვლილა. წყაროებში მისი გარდაცვალების თარიღად დღემდე მითითებულია 1842 წელი.

ქართული ისტორიოგრაფიის, კულტურის ისტორიის განვითარების პროცესების გააზრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პლატონ იოსელიანის (1809-1875), დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890), ზაქარია ჭიჭინაძის (1853-1931), თედო ჟორდანიას (1854-1916), მოსე ჯანაშვილის (1855-1934), მიხეილ თამარაშვილის (1858-1911), ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953), თედო სახოკიას (1868-1956), ივანე ჯავახიშვილის (1876-1940), სარგის კაკაბაძისა (1886-1967) და სხვათა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამომზეურება და გამოქვეყნება. მათ პირად მიმოწერებში ასახულია არა მარტო საქართველოში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული მოვლენები, არამედ მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ ქვეყნებში ქართველთა საქმიანობა და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა არჩილ ჯორჯაძესთან, კიტა აბაშიძესთან, ნიკო მართან და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან.

მრავალტომეულს ვიწყებთ პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის წერილების პუბლიკაციით. წინამდებარე ტომში დაბეჭდილია პლატონ იოსელიანის 51 და დიმიტრი ბაქრაძის 67 წერილი, სულ – 118 ეპისტოლე.

პლატონ იოსელიანის ჩვენამდე მოღწეული წერილები დაწერილია 1838-1870 წლებს შორის პერიოდში. მათი ადრესატი უმრავლეს შემთხვევაში მარი ბროსეა (44 წერილი). მცირე რაოდენობით არის აგრეთვე რაფიელ ერისთავის (2), გრიგოლ ორბელიანის (3), მიხეილ თუმანიშვილისა (1) და უცნობი პირისადმი (1) გაგზავნილი წერილები. 48 წერილი ქართულია, ორი დაწერილია რუსულ (რაფიელ ერისთავისადმი და უცნობი ადრესატისადმი) და ერთიც ფრანგულ ენაზე (მარი

ბროსესადმი).

პლატონ იოსელიანის წერილები მარი ბროსესადმი პირველად გამოაქვეყნა სოლომონ ყუბანეიშვილმა 1941 წელს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომების კრებულში[4], გარდა მარი ბროსესადმი №15 (15) წერილისა. გამოცემას ერთვის შენიშვნები (გვ.: 195-201), სადაც წერილებში მოხსენიებული პირები და ზოგიერთი ფაქტია განმარტებული.

იმ პერიოდისთვის ეს ბარათები დაცული იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიის განყოფილების S ფონდში, 4797 ნომრით. დღეს ისინი (43 წერილი) ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მარი ბროსეს არქივში. ეს წერილები სრულად გამოაქვეყნა ეთერ ქავთარაძემ ზემოთ ნახსენებ გამოცემაში, გარდა ზემოთ ნახსენები მარი ბროსესადმი №15 (15) წერილისა.

პლატონ იოსელიანის წერილები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ადრესატთა ფონდებშიც (რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანისა და მიხეილ თუმანიშვილის). მარი ბროსესადმი გაგზავნილი 1 წერილი და გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი 2 წერილის ასლი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ამ უკანასკნელისადმი მიწერილი 2 წერილის ავტოგრაფი კი ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ლიტერატურულ არქივში, ყოფილ იონა მეუნარგიას ფონდში. ჩვენი გამოცემის სამეცნიერო აპარატში მოცემულია როგორც ავტოგრაფების, ისე ასლების აღწერილობები.

პლატონ იოსელიანის არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა ნაწილობრივ დამუშავებული სახით წერა-

[4] შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 150-194.

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციებიდან.

დიმიტრი ბაქრაძის შემორჩენილი წერილების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1850-1889 წლებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილის (33 ერთეულის) ადრესატი ავტორის მეუღლე ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისაა. ბარათების ნაწილი გაგზავნილია საზოგადო მოღვაწეებისა თუ ოფიციალური პირებისადმი სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებით: მარი ბროსესადმი (4), მიხეილ თუმანიშვილისადმი (3), ალექსანდრე გროსმანისადმი (3), ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი (3), ლავრენტი ბროსესადმი (2), ალექსანდრე ოქროპირიძისადმი (2), თედო ჟორდანიასადამი (2), უცნობი ადრესატისადმი (2), საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი (2), რუსული გენერალური საკონსულოსადმი (1), ილია ჭავჭავაძისადმი (1), ალექსი ილინსკისადმი (1), ალექსანდრე ცაგარელისადმი (1), ვასილი ხიტროვოსადმი (1), ვსევოლოდ მილერისადმი (1), ევგენი პრესნიაკოვისადმი (1), ვლადიმერ როგესადმი (1), ალექსანდრე ოგოლინისადმი (1), იაკობ გოგებაშვილისადმი (1), ეკატერინესადმი (1), რომლის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ერთი წერილი დაწერილია ფრანგულად (ანეტასადმი), 30 – რუსულად, დანარჩენი კი – ქართულად.

ეთერ ქავთარაძის მიერ გამოცემულ მარი ბროსეს მიმოწერაშივე დაბეჭდილია დიმიტრი ბაქრაძის მარი ბროსესადმი გაგზავნილი 4 წერილის ქართული თარგმანი. რუსული ორიგინალები კი პირველად წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება.

აქვე პირველად იბეჭდება პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის სხვა ადრესატებისადმი მიწერილი ბარათები.

დიმიტრი ბაქრაძის არქივიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული და შედგება Ros, S და H ფონდებიდან გადმოტანილი და აგრეთვე აკად. გიორგი ჩუბინაშვილის მიერ შემოწირული მასალებისგან. მისი ფონდის გარდა, წერილები

დაცულია მიხეილ თუმანიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ექვთიმე თაყაიშვილის, ილია ჭავჭავაძის, თედო ჟორდანიას, ალექსანდრე ბარამიძის არქივებში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიწერილი ბარათი ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში.

საინტერესოა, რომ დიმიტრი ბაქრაძის არქივში გვხვდება სხვა პირთა სახელით, ოღონდ მისი ხელით დაწერილი წერილები. მაგ., №146-ით დაცულია სტანისლავ ოსიპის ძისადმი რუსულ ენაზე მიწერილი ბარათის შავი პირი, დათარიღებული 1886 წლის 29 ნოემბრით. დაწერილია მისი მეუღლის, ანა ბაქრაძის, სახელით და ხელმოწერაც დიმიტრისაა ანას სახელით.[5]

მის ფონდშივე (№142) ინახება 10 კონვერტი, რომლებშიც წერილები არ დევს. მათ აღწერილობებს დანართის სახით ვურთავთ გამოცემას ლექსიკონის ბოლოს.

რუსული და ფრანგული წერილები გამოცემაში იბეჭდება ძირითად ტექსტად, რომელსაც მოსდევს ქართული თარგმანები. ქართულ წერილებში გაბნეული უცხოენოვანი სიტყვები და ფრაზები აღნიშნულია ვარსკვალებით და წერილის (და არა გვერდის) ბოლოს მოცემულია თარგმანები თანმიმდევრულად.

წერილებში კარგადაა გამოკვეთილი იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები, ისტორიოგრაფიული მეცნიერების სათავეებთან მდგომი ორი მკვლევარის ღვაწლი სიძველეთა მოძიებისა და მათი გამოქვეყნების საქმეში, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დამოკიდებულება ქართველი მეცნიერებისადმი და სხვა და სხვა. წერილებიდან ვიგებთ, რაოდენ დიდი სურვილი ჰქონდა პლატონ იოსელიანს, აკადემიას თავის წევრ-კორესპონდენტად აერჩია და დაეფასებინა მისი

[5] ხელნაწერში ხშირია ჩამატებული და გადახაზული ადგილები, რაც ართულებს ტექსტის ამოკითხვას. ეს არის თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, შელახული ორფურცლიანი ქაღალდი, ზომა: 22,1X17,8 სმ.; ბარათი დაწერილია I-II გვერდებზე.

ღვაწლი.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის დეპარტამენტებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და სოხუმის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

წერილები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, სამეცნიერო პასპორტები, შენიშვნები და რუბრიკები „ადრესატის მისამართი“ და „პირველი პუბლიკაცია“ დაურთო ქეთევან გიგაშვილმა, ლექსიკონი და ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნით ქეთევან გიგაშვილსა და მზია გიგაშვილს, დათარიღება და კომენტარები – მაია (მარიამ) ნინიძეს, მანვე ავტოგრაფიდან გადმოწერა მარი ბროსესადმი მიწერილი 1 რუსული წერილი. პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები მოამზადა გიორგი გოცირიძემ. ქართული წერილები ავტოგრაფებიდან გადმოწერა ქეთევან გიგაშვილმა, რუსულენოვანი წერილები – ეთერ ბერუაშვილმა და ქეთევან გიგაშვილმა, ფრანგულენოვანი მასალა – ეთერ ბერუაშვილმა. თარგმანი რუსულიდან შეასრულეს ნათელა ღუდუშაურმა და არსენ ბერთლანმა, ფრანგულიდან – ეთერ ბერუაშვილმა, ხუთი რუსული წერილი თარგმნა მერი გაბედავამ, მანვე შეისწავლა საქართველოს ეროვნულ ისტორიულ არქივში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ზუგდიდის მუზეუმში დაცული მასალები.

მარი ბროსესადმი გაგზავნილი დიმიტრი ბაქრაძის პირველი 3 წერილის ქართული თარგმანი დაბეჭდილია ეთერ ქავთარაძის მიერ გამოცემული მარი ბროსეს მიმოწერიდან.

ქეთევან გიგაშვილი

პლატონ იოსელიანი (1809-1875)



1838

მარი ბროსესადმი №1 (1)

1838, 2 fevri[1*]

Tiflis.
18 2./17. 38[2]

Monsieur!

Je n'ai pas l'honneur d'être connu de vous personellment, et toutefois j'ose espérer que l'auteur de tant de bons ouvrages sur la Géorgie, ma patrie, recevra avec indulgence cette lettre, que je prends la liberté de lui adresser.

la préférance que vous avez donné, Monsieur, à ma langue presque tout-à fait abandonné[e] par le[s] Géorgiens même, montre que vous etes, (et je le dis sans la moindre flatterie) un de ces hommes qui aiment la science pour elle – même, et qui n'en sont point traités, en maratre; s'est aussi leur seul récompence: la Chronique géorgienne en est la preuve. Mes compatriotes qui voient cet ouvrage, ne peuvent concevoir comment un homme a pu en France, à Paris, découvrir tant de documents précieux pour notre patrie, les traduire, et les expliquer avec une aussi grande exactitude. Mais quand on pense aux moyens que vous avi[e]z, Monsieur pour l'étude[3] de cette langue, il n'y a qu'un Géorgien[4] qui au fait de l'état deplorable des lettres de son pays, puisse apprécier l'immensité[5] de vos travaux.

Persuadé que tout ce qui a quelque rapports à la littérature[6] géorgienne sera re[s]cu par vous avec indulgence, je prends la liberté de vous envoyerun exemplaire de l'Alphabet géorgien, qui j'ai fait pour le Séminaire de Tiflis, où[7] j'occupe la chaire de la Philosophie, ainsi qu'un exemplaire წყობილ-სიტყუაობა კატოლიკოზისა ანტონისა, que j'ai l'intention de présenter à l'Académie des

science[s] de St. Pétersbourg, et dont, sans crainte de vous importuner, je vous prie,[8] Monsieur, de vouloir bien vous charger.

Il y a quelque temps que j'ai envoyé aussi à l'Académi[e] un exemplaire პროკლე დიადოხოსისა წიგნი, ancienne traduction géorgienne avec un commentaire succinet, en Russe: j'espère que l'Académi[e] l'aura déjà re[s]cu. C'est l'Académicien[9] Chegrin qui a eu la bonté de s'en charger.

Je publierai sous peu une grammaire géorgienne avec la traduction Russe en regard, faite par moi d'après[10] l'ordre de l'autorité ecclésiastique, et si vous me le permettez, je m'impress[e]rai, Monsieur, de vous en envoyer quelques exemplaires, de même que de plusieurs autres ouvrages anciens et modernes que je me propose, avec l'aide de Dieu, d'imp[r]imer au Jur et à mesure que je les achèverai.

Recevez, Monsieur, les marques sincère de la plus profonde estime et de la considération[11] la plus parfaite de votre très humble et très obéissant[12] serviteur.

Platon Ioselian

Candidat en Théologie,
professeur de la Philosophie du
Séminaire[13] de Tiflis.

À Monsieur Brosset Jeane, membre de l' Académi(e) des science[s] A. П. B.

[l გვერდის მარცხენა არშიაზე იმავე ფერის მელნით უკუღმა მინაწერია:]

ზედა-წარწერისამებრ გთხოვ ანბანები მეფის-ძეთა მიართუათ.

*თებერვალი (ფრ.)

მარი ბროსესადმი №1 (1)

1838, 2 თებერვ.[1]

ტფილისი
18 2/17 38

ჩემო ბატონო!

მე არ მაქვს პატივი პირადად გიცნობდეთ და მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩემი სამშობლოს, საქართველოს, შესახებ ამდენი კარგი ნაშრომის ავტორი შემწყნარებლურად მიიღებთ ამ წერილს, რომელიც გავკადნიერდი და გამოგიგზავნეთ.

ის ფაქტი, რომ უპირატესობა მიანიჭეთ თვით ქართველის მიერ თითქმის სრულიად მიტოვებულ ჩემს ენას, მოწმობს, რომ თქვენ, ბატონო, ბრძანდებით (და ამას ვამბობ ყოველგვარი პირთმოთნეობის გარეშე) ერთ-ერთი იმ კაცთაგანი, მეცნიერება რომ უყვართ მეცნიერებისათვის, რომელიც ასევე არ არის გულგრილი მათ მიმართ, ასე რომ, მათი ერთადერთი ჯილდო ისევ მეცნიერებაა; „ქართული ქრონიკა“ ამის დასტურია. ამ ნაშრომის შემხედვარე ჩემს თანამემამულეებს ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შესძელით საფრანგეთში, პარიზში, აღმოგეჩინათ ჩემი სამშობლოსათვის ძვირფასი ამდენი დოკუმენტი, გეთარგმნათ და აგეხსნათ ისინი ასეთი დიდი სიზუსტით, მაგრამ, ბატონო ჩემო, როდესაც ვფიქრობთ იმ საშუალებებზე, თქვენ რომ გაგაჩნდათ ამ ენის შესწავლისათვის და ვითვალისწინებთ ლიტერატურის სავალალო მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, უნდა ვაღიაროთ, მხოლოდ ქართველი შეაფასებს, რაოდენ დიდი შრომაც გაგიწევიათ.

დარწმუნებული ვარ, შემწყნარებლურად მიიღებთ ყოველივეს, რასაც რაიმე კავშირი აქვს ქართულ ლიტერატურასთან და თავს უფლებას ვაძლევ „ქართული ანბანის“ ერთი ეგზემპლარი გამოგიგზავნოთ, რომელიც ტფილისის სემინარიისათვის შევადგინე, სადაც მიკავია ფილოსოფიის კათედრა; ასევე გიგზავნით ანტონ კათალიკოსის წყობილსიტყუაობას, რომლის წარდგენასაც ვფიქრობ სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში და იმედი მაქვს, თავს არ შეგაწყენთ, თუ გთხოვთ, თქვენ იკისროთ ეს შრომა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ აკადემიაში გავგზავნე აგრეთვე პროკლე დიადოხოსის წიგნის ძველი ქართული თარგმანი მოკლე კომენტარით რუსულ ენაზე: ვიმედოვნებ, რომ აკადემიამ ეს შრომა უკვე მიიღო. აკადემიკოსი შეგრენი მოწყალედ დათანხმდა ეტვირთა ეს საქმე.

მალე მე გამოვცემ ქართულ გრამატიკას პარალელურ სვეტებში დაბეჭდილი რუსული თარგმანით, რომელიც შევადგინე საეკლესიო ხელისუფალთა ბრძანებით და, თუ ნებას მომცემთ, ბატონო, მალევე გაახლებთ რამდენიმე ეგზემპლარს ძველ თუ თანამედროვე სხვა მრავალ ნაშრომთან ერთად, რის დაბეჭდვასაც, ღვთის შეწევნით, ვფიქრობ მათი დასრულებისთანავე.

მიიღეთ, ბატონო, ყველაზე გულწრფელი და ღრმა პატივისცემის ნიშნად თქვენი თავმდაბალი და უმორჩილესი მსახურისგან.

პლატონ იოსელიანი

თეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ტფილისის სემინარიის ფილოსოფიის პროფესორი.

ბატონ ბროსეს, მეცნიერებათა აკადემიის უმცროს წევრს
ა. პ. ბ.

[I გვერდის მარცხენა არშიაზე იმავე ფერის მელნით უკუღმა მინაწერია:]

ზედა-წარწერისამებრ გთხოვ ანბანები მეფის-ძეთა მიართუათ.

მარი ბროსესადმი №2 (2)

14 avril* 1838[1]

ადიუნკტ-პროფესორს ს. პეტერბურღის მეცნიერებათა აკადემიისას
უფალს ბროსსეტს

მოწყალეო ჴელმწიფევ!

განვლო დუმილმან საუკუნეთა, და გონებათა განიღვიძეს დასაბამად ამა დიდისა ეპოხისა; ვიტყვი პირ-უთნებელად გამოსჩნდით თქვენ. – რასა იქმოდინ ქართველნი, ვისა განაკვირვებდენ მწერლობასა თჳსსა, და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის, შეაფარდებდენ თჳსთა წერილთა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თჳთ ევროპასა შინა?

აქა არს პირველი სიქადული ქართველთა და იმედი შემდგომადისა ყურადღებისაცა, რომელსა მოიღებს განათლებული კერძო ქვეყანისა! მრავალჯერ მსუროდა აღწერა რაჲმეჲსა საჩუჱნებელად და დასამტკიცებელად, რომელ ერიცა ქართუჱლთა არა დარჩენილ-არს უძრავად დროსა საზოგადოჲსა ჰსწავლათა განფენილებისა – (ვიტყვი სხოლასტიკოსთასა თუმცაღა) გარნა შიში რათა არა უფროს საცინელ ვექმნე მეცნ˜თა[2] ევროპისათა მაყენებდა მე ესრეთისა განზრახვისაგან. – აწ ყოველსავე ქართუჱლსა აქუს მოვალეობა, რათა ძალისაებრ თჳსისა შეეწეოდეს საზოგადოსა ზრუნუასა აღდგენისათჳს დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერლობისა (Литература) ჩუჱნისა. ესრეთითა განზრახვითა აღძრულმან ჴელ-ვჰყავ მეცა აღწერად: ისტორიებრი და ღეოღრაფიული აღწერა ძველისა საქართუჱლოჲსა,[3] შედგენილი ცნობათა ზ˜ა საკუთართა ჩუჱნთა მწერალთა, და გარეშეთა ბერძენთა და რომაელთასა. შრომასა – ამას ჩემსა რუსულსა ზ˜ა ენასა წარმოუდგენ აკადემიასა სასოებითა ღმერთსა ზ˜ა ივნისისა თთუჱდმდე. სხუანიცა მაქუნან შრომანი კ˜დ რუსულსა ზ˜ა ენასა, რომელთაცა აკლს განმართუაჲ, და მათცა თჳსსავე დროსა მოგართმევთ თქუჱნ.

დიდად ვარ მეძიებელი ქართულთა წიგნთასა, არცა ვიშურვი ფულთა მოსყიდუად მათდა. მიმოვლასა ჩემსა საქართველოდ ჟამთა თავისუფალთა თანამდებობისაგან ჩემისა დღეთასა შეუდგების მოპოვნა ძველთა წიგნთა ყოვლისა გვარისათა. ჩემთჳს მით უმეტეს არს ესე ადვილ, რომელ კვირაში მხოლოდ მაქუს 12ᵅ საათი თანამდებობისა, და სხვანი ჟამნი

ს˜დ თავისუფალ, და გარდა ამისა ზაფხულ კანიკული ორნი სრულნი თთუჱნი. – არის თთუჱ ერთი რაცღა ვიპოვე შემთხვევითად ცხოვრება ქართველთა მეფის ძისა პეტრესი რომელიცა იყო ძე ვარზბაქარ მეფისა აღწერილი მოწაფისა მ˜რ თჯთ პეტრესა რომლისაღაცა ზაქარიასა წელსა ქრისტესითგან 398ჱ. მე ვჰგონებ უწინარეს და უძველეს წერილისა ამის არა იპოებოდეს ჩუჱნ შ˜ის. თჯთ შტილიცა წერისა ამტკიცებს ამას.

თქუჱნ ითხოვთ ქართლისა ცხოვრებასა. აქა აქუს მღუდელსა ერთსა მშვენიერი ნაწერი, სრული თავისისა ტაბლიცებითა, და ჰსდებს მას ფასსა 40 მანეთსა თეთრსა, რომელიცა იქმს ასიგნაციად 130 რუბლსა. ესე ფ˜დ იეფია,[4] მაგრამ არღა გამოვგზავნე ამა მიზეზისათჯს, რომელ ღუბერნატორმა მითხრა ადრევე, მე გაუგზავნიო, და აგერ ერთი თთუჱა ავად არის სიმსივნითა მუხლთათა, და ვეღარ ვნახე. სხუანიცა აქუნნ წიგნები და ისტუმრებს თქუჱნთან. ამ კვირია მე მას ვნახავ და ვჰკითხავ ჰგზავნის თუ არა მას სხუათა თანა, და უკეთუ არა გამოვგზავნი უთუოთ. მე თჯთ მაქუნ წიგნები მრავალნი პროზად და სტიხად აღწერილნი ძველად ჴელწერილნი და ახლადცა. და რასაცა სხვით გზით მოვიპოებ ორს ეგზემპლარად მას აკადემიას[5] მოვართმევ.

მამათა ცხოვრება საქართველოში ერთი იპოება, და არის იგი შეწირული დავით გარესჯის მონასტრისა; შეჩუჱნებითა აღბეჭდილი უკეთუ იგი გამოსწიროს ვინმე მას. ესე აქუნდეს[6] ჩემის ჰაზრით საქართველოს უკეთესია. და თქუჱნ ძალგიძსთ ჰპოოთ იგი პეტერბურღშიაც. ამისთჯს რომელ მეფის ძეს ბაგრატს ახლავს იგი, მე თჯთ მრავალჯერ მიხილავს და წამიკითხავსცა, სავსე ხატთაცა მიერ წ˜თასა, რომელთაცა ცხოვრება მუნ აღიწერების. წიგნი ესე აღწერილი ხუცურად უკეთეს იქმნება გარდამოიწეროს მხედრულისა ასოებითა. აკადემიისათჯს თქვენისა ესე არა იქმნების სამძიმო შრომასა, რათა ზედამხედველობისა ქუჱშე ჩ˜ისა იქმნას ესე.[7] მე მივიღებ თავსა ზ˜ა ჩემსა უკეთუ იქმნება ამას ზ˜ა მონდობაჲ აკა-

დემიისა.

წარმოგზავნილსა ჩემგან წყობილსიტყუაობასა, ვჰგონებ აქამდე მიიღებდით.

არა ძალმიძს შესაფერად მოგახსენოთ მადლობა მის შრომისათჳს, რ˜ლიცა თჳთ თქუჱნ მიიღეთ მოწერითა წერილისათა ჩემთან და შექმენით მიზეზ წერილთა განგრძელებისა სასარგებლოდ ენისა ჩემისა. მე უფრორე ვიხარი მას, რომელ ვიწინავე წერილისა მოწერა და გაცნობა თქუჱნი. საზოგადო კეთილი და ჰსწავლა და სარგებლობათა საზოგადოებისათა საქმე ითხოვენ გაბედვასა და განცხადებულთა ჰაზრთა, და არა ოდეს კდემათა. გთხოვ მიიღოთ ამით კ˜დ დამტკიცებაჲ ჭეშმარიტისა პატივის-ცემისა, რომელიცა მაქუს თქუჱნდამი და მოვალეცა ვარ რათა მაქუნდეს.

თქუჱნდა უმორჩილესი მოსამსახურე
საქართუჱლოს აზნაურ-შვილი
პლატონ იოსელიანი.[8]

NB. გთხოვთ მომიტევოთ რომ მე თჳთ ვერ გადავჰსწერე სრულად წერილი ესე აწ შეუძლებელობისა გამო ჩემისა. – აკადემიკს შეგრენს გთხოვ უბოძოთ აქავე მდებარე წერილი მისის საჴელით.

ღენერალმან ალექსანდრე ჭავჭავაძემან ჩემისა წერილითა გაუწყათ მოკითხუა.

აპრილის 14ს დღესა
1838ს წელსა
ტფილისით.

* აპრილი (ფრ.)

მარი ბროსეს ადმი №3 (3)

12 маі* 1838[1]

უპატივ-ცემულესო იმპერატორის
აკადემიის თანა-წევრო, უფალო
ბროსსეტ!

მივიღე წერილი თქუჱნი, და მასთანავე გამოგზავნილნი ჩემთან საჩუქრად შრომანი თქუჱნნი და სხ. – დიდად ვარ მადლობელი ესრეთისა ძღუჱნისათჳს და დიდადაც ვისიამოვნე რომ ჴელ-ვიგდე წიგნნი, რლ˜თაცა[2] წაკითხჳსა მსურველ-ვიყავ ადრითგან.

ჩემსა შრომასა, რლ˜იცა მომიჴსენებია წინარე ამისა წერილსა შ˜ა თქუჱნთან გამოვჰგზავნი მალე; – დაგვიანებულ-ვიქმენ მცირედ მიზეზისა გამო რაოდენთამე წიგნთა შოვნისა, და საკუთრივ მოგაჴსენოთ სტრაბონისა.

ზედა-წარწერანი უცხოდ არიან მოხაზულნი, და მრავალნი არცა ძნელ გამოსაცნობნი: აქუსთა მათ განმარტება თჳთ ბულლეტენთა შ˜ა დაბეჭდილნი, გთხოვთ მაცნობოთ. და ანუ რა[3] ღირს წელიწადისა ყოვლადისა ნომერთა რიცხჳ? ფ˜დ სასარგებლო ჟურნალი არის, და აქეთ არავის[4] მოჰსდის. – რადგანაც არ ვიცოდი თუ რლ˜ნი უფ. დუბოას[5] დაჰკლებია გადახატუა ზედა-წარწერათა, – ამისთჳს ვერ ვიგულე მათი გადმოწერა და გამოგზავნა, რა˜ არა ყოფილ[იყ]ო[6] უსარგებლო. მცხეთიდამ ადრევე მჰქონდა[7] გარდმოწერილი ზედა-წარწერა ქუასა ზა˜ საფლავისა ანტონი I[სა], და ესე მიირთჳთ ჯერეთ. მას ჰპოვებთ ამანათსა შ˜ა რლ˜საცა მიიღებს უფ. შეგრენი;[8] – და აგრეთუჱ ორთა სხუათა წარწერათა საფლავთა ზა˜[9] მეფეთა ირაკლი და გიორგისათა – ენასა ზა˜ როსსიულსა.

ქართლისა ცხოვრება თქუჱნთჳს მოშოვნილი მზად მაქუს, და როგორც მომიწერია ველი პასუხსა თქუჱნგან.

საულ-დავითიანი ძნელი საშოვნელი წიგნი ყოფილა

აქა, ერთს ადგილსა მიმაჰსწავლეს, და ეგების ვიშოვნო. ბატონის-შვილთა პეტრებურღში უნდა აქუნდესთ იგი.

ისტორიებრივი წერილნი ძალიან მიბნეულნი არიან, და ვეძებ აქა იქ; და ესევითარი[10] ძიება არა დაჰშთების წარუმატებელად ხოლმე – ეხლაც ვჰპოვე წიგნი ერთი მცირე და არა იეფადცა[11] მოვისყიდე. დიდად მსურის ვიცოდე რასა ჰგონებს აკადემია[12] წერილთათჳს, რლ˜ნიცა იპოებიან ათონისა მთასა შ˜ა და იერუსალიმსა.[13] ერთხელკი იყო მოწადინება რუსეთისა, და ამბოხისა გამო ბერძენთასა დაიშალა საქმე. არა შესაძლებელია განახლდეს იგი. – გარდა ამისა დიდად და მრავლად სასარგებლო იქმნება მოვჰკრიფოთ ეკკლესიათა და მონასტერთა გუჯარნი, რლ˜ნიცა სინოდისა კანტორ[ა]სა[14] აქ ტფილისში მოსახმარად თჳსსა აქუსთ. აქა იპოებიან ძუჱლთა მეფეთა შეწირულებათა სიგელნი და სხ. სრულებით გამოტანა მათი არა შესაძლებელია, და კოპიოთა შოვნა ადჳლი. მაგრამ ესეცა არ მოიქმედება უკეთუ არა მოუვა თჳთ კანტორასა ბრძანება პეტრებურღისა სინოდიდამ, რლ˜სა ზედაცა დამოეკიდების კანტორა ესე. მაშინ შრომა ჩუჱნი იქმნების მჰსგავსი შრომისა, რლ˜იცა ჰქმნა უფ. აკადემიკმან სტროევ[15] – რუსეთსა შ˜ა.

სხუჱბრ დავჰშთები მარად
თქუჱნდა პატივის-მცემელი
უმორჩილესი მოსამსახურე
საქ. აზნაურ-შვილი
პლატონ
იოსელიანი.[16]

1838სა წელსა
მაისის 12სა დღესა
თფილისით.[17]

* მაისი (ფრ.)

მარი ბროსესადმი №4 (4)

16 juin* 1838[1]

მისს მაღალ-კეთილშობილებას
ორდინარნის აკადემიკოსს
უფ. ბროსსეტს

მომივიდა აკადემიიდამ რავდენნიმე ფურცელნი ქართუჩლთა სიტყვიერებისათჳს თქუენ მ˜რ[2] ქმნილნი; და დიდად ვისიამოვნე მით; – და ჭტ˜ად სასიამოვნოც არის ამისთჳს რომ დღედღედ მიეცემისთ ევროპელთა შემთხუჩვა ცნობისათჳს ჩუჩნთა მწერლობისა.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს მივართვი წერილი თქუენ მ˜რ მისდა მოწერილი, მე გარწმუნებთ დიდათ იამა, და რადგანაც იმ დროს იყო შეუძლოთ, მე წარუკითხე ერთ-გზის, და სხუათა და სხუათა დროთა შ˜ა კ˜დ და კ˜დ მოისურვა მისი წაკითხუა. დიდად იამა მოხატულებაებიცა, რლ˜ნი[3] ადრევეცა მე ვაჩუჩნე; – და მაქუსცა წარკითხული და გამოწერილი; მეორეს ფოჩტით თუ საჭიროდ დავინახე ვჰგონებ მოგართოთცა. ჩემგან შედგენილი წიგნი: ისტორიული და ღეოღრაფიული აღწერა ძუჩლისა საქართუჩლოჲსა,[4] სრულვჰყავ; ამას, ქართლის ცხოვრებას და სხ. ერთად გამოვისტუმრებ მეორეს ფოჩტით. – თქუენგან თხოვნილი პეტრეს მაიმუსის[5] ცხოვრებას მიწერენ მეორეს ეკზემპლარად, და მასცა მათთანავე მოგართმევ თუ მოასწრო მწერალმან. რადგან[ა]ც[6] არის მოწაფე ჩემი, და მომზადებანი გუაქუნ ექზამენისათვის რლ˜იცა იქმნება ამ თთჳს 22ბა დღესა, და მერეთ ორი თთუჩ ვაკა[ნ]ცია.[7]

გთხოვთ ამასთან მდებარე წერილი იმერეთის დედოფალს მიართოთ,[8] დიდად საჭირო წერილია მისთჳს. – გთხოვთ უ. შეგრენი მომიკითხოთ; წერილი მოვჰსწერე და წიგნი ლექსიკონიც[9] გამოვუგზავნე; ვჰგონებ აქამდე მიიღებდა: თქუჩნთანაც იყო წერილი.

თუ შეიძლებოდეს თქუჳნგან ქმნილნი ორნი წიგნნი მიბოძეთ:

1. Mémoire inédite,[10] relatife[11] à[12] la langue et a[13] la littérature géorgienne.[**]
2. Chronique géorgi[e]nne, traduite par vous.[***]

ნაცულად-გებასა მოელოდდებით ჩემგანცა.

დავჰშთები პატივის-ცემითა
მარად მზა ნებისა თქუჳნისა
აღსრულებისა
იოსელიანი
პლატონ!

ივნისის 16[სა]
1838[სა][14] წელსა
ქ. თფილისით.[15]

[*]ივნისი (ფრ.)
[**]გამოუქვეყნებელი მოგონებები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ. (ფრ.)
[***]თქვენ მიერ თარგმნილი ქართული ქრონიკები. (ფრ.)

მარი ბროსესადმი №5 (5)

20 juin[*] 1838[1]

უფალს იმპერატორის აკადემიის
ორდინარნის აკადემიკოსს
ბროსსეტს!

მოწყალეო ჴელმწიფევ

აკადემიას ამავე ფოჩტით მოვართვი ჩემგან ქმნილი წიგნი რუსულს ენაზედ: ისტორ. და ღეოღრ. აღწერა ძუჩლისა საქართუჩლოჲსა; მასთანავე ერთად გამოვჰგზავნე ვახუშტისა ისტორია, რ˜ლისაცა[2] ფასი შეცთომით[3] ვჰსთქჳ 1307:[4] ამისთჳს რომელ პატრონი მისი ტფ. მღუდელი ეფრემ ალექსიევი თხოულობს 40 რუბლსა თეთრს ფულსა. ესე იცის აქა თჳთ ნიკოლაი დავიდიჩმა ჩუბინოვმან, რომლისაცა არის იგი მცნობი და მეგობარი. რათა ვჰსწერ ამას? მკითხავთ... მეშინიან შესულა ფულის ანგარისში.[5] – ზედა-წარწერა სიონის ტფილისში ეკკლესიისა, ნამდვილ გადმოხატულსა მუნვე ჰპოებთ. ამ ჟამათ მეტი ვერა ვჰპოვე რა აქა. და ივლისის 2ს ვაპირებ საქართუჩლოს მოვლასა, და რაჲცა შეუდგება თავისს დროს გაცნობებთ. –

პეტრე ქართუჩლისა ცხოვრებასა ჰსწერენ და მასცა მალე მოგართმევთ.

სენატორს ღანს (Hans) მოუვიდა თქუჩნი წერილი როგორც მიამბო ალექს. ჭავჭავაძემ, და ეძებს რომ გამოგზავნოს რაჲმე. ალექსანდრე ჭავჭავაძემან კუალადცა მოგიკითხათ, და ბევრთა საქმეთა გამო წერილისა პასუხი ვერ მოგწერათ.

მომიტევეთ სიმოკლე წერილისა; – ვეშურები ფოჩტას; წარსრულის ფოჩტით წერილი მოგართვით, ვჰგონებ მიიღებდით.

გთხოვთ გაისარჯოთ, და ბატონის-შვილს თეიმურაზს ჩემ-მიერი თაყუანის-ცემა განუცხადოთ.

სხუჩბრ დავჰშთები მარად
მზა სამსახურისა თქუჩნდა
ჩუჩნებად

იოსელიანი პლატონ.[6]

ივნისის 23ჱ დღესა
1838ჱ[7] წელსა
ქ. თფილისით.[8]

რაჲ შეუდგება ჩემს წიგნსა აკადემიაში მაქუს იმედი მაცნობებთ. ქართული ტეკსტი[9] ჩქარად დამიჴღაბეს, – ნუ შერისხავთ.

საულ-დავითიანი ერთი იპოება თელავის ქალაქში, და არ იძლევიან. ვეცდები როგორმე ჩავიგდო ჴელში.

[პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

დავით ჩუბინოვი მომიკითხეთ. სხუას დროს მოვიცლი და წერილსაც მოვჰსწერ.

*ივნისი (ფრ.)

მარი ბროსესადმი №6 (6)

უფალს აკადემიკოსს ბროსსეტს![1]

დედანი ძალიან ავად იყო დაწერილი და ქაღალდი მისიც ადგილ-ადგილ დახეულ და განრყუნილ; ამისთჳს უკეთ ვერ გადმოჰსწერა. – როგორც ვჰპოვე ეგრეთ გადმოვაწერინე. გთხოვთ ესეც მიიღოთ და ჩემ-მიერვე აკადემიისა კოლლექციას აზიურთა წიგნთასა დაჰრთოთ. აფხაზთა თანა დიდის სოლომონის 1ს იმერთა მეფისა ბრძოლა რა ეჭჳა თქუჱნ უწყით.

პლატონ იოსელიანი.[2]

Donné par M. Platon Iossélian[3*]

თფილისით.[4]
18 VI/23. 38

Georgica![5] №24

გთხოვთ მეფის-ძეს
თეიმურაზსაც უჩუჱნოთ! –

La guerre du roi Salomon 1er d'Iméreth contre les Aphkhazes composé à ce qu'on dit par Bessarion Gabachvili. Il y en a une autre copie dans le manuscrit du musée […] intitulé Recueil de poésie géorgienne; mais celle-ci est préférable.**

*მოცემული ბატონ პლატონ იოსელიანის მიერ. * (ფრ.)
**იმერეთის მეფის, სოლომონ 1ლი ომი აფხაზებთან, შედგენილი, როგორც ამბობენ, ბესარიონ გაბაშვილის მიერ. მისი მეორე ასლი მოიპოვება […] მუზეუმის ხელნაწერში, რომელსაც ეწოდება ქართული პოეზიის კრებული, მაგრამ ეს უკეთესია. (ფრ.)

მარი ბროსეს‌ადმი №7 (7)

4 aout* 1838[1]

თქუჳნო მაღალ-კეთილშობილებავ!
მოწყალეო ჴელმწიფევ!
უფ. ბროსსეტ!

აგერ იქმნება ორი თთუჳ რომელ წერილი თქუჳნი და ამბავი არ მიმიღია. მიზეზად ამისა ვჰგონებ იყოს ესე რ˜ლ[2] თქუჳნ გეგონებოდათ რეცა მე ტფილისს არ ვიმყოფებოდე. ესე უეჭუჳლად ესრეთ უნდა იყოს. ამისთჳს რომ მე თჳთ ესრეთ გაცნობეთ. – აწ მე დიდად ვჰსწუხვარ რომ ამ ორთა თთუჳთა კანიკულთასა არა მაქუნდა მარჯუჳ დრო მოგზაურობისა და კარგად მოხილვისა საქართუჳლოჲსა, რ˜ლისათჳსცა სრულიად ვიყავ განმზადებულ. ახალციხეს ივლისის პირველიდგან გაჩნდა ჭირი და გზები იმერეთისა და ახალციხისა შეჰკრეს და მე ვითარღა განვეტევებოდი გზად? დამიშთა მხოლოდ ერთი მხარეჲ საქართუჳლოსი – დუშეთი ანუ არაგვი, სადაცა ვიყავ ერთი თთუჳ. კერძო ესე კნინღა მარადის იყო შეუხებელ მტერთაგან, და მაშასადამე წიგნებითა და წერილებითა უნდა იყოს სავსე. აქა მოძიება ჩემი არა დაჰშთა

უნაყოფოდ, თუმცა მოშოვნა მათი ფ˜დ ძნელ არს, ამისთჳს რ˜ლ აფასებენ ძვირად და არა იმეტებენ, ანუ აქუსთ ეკკლესიებათა[3] შ˜ა ძუჱლადგან ნაშენთა, და ინახვენ მათ არა მღუდელნი, ა˜დ უმეცარნი ერნი საჴელწოდებით დეკანოზნი. – მაგრამ ყოვლისა ღონის ძიებითა მოხმარებითა მოვიპოვე ოცდა ერთი ძუჱლნი წიგნნი; მათგან ექუსნი პერღამენტთა ზ˜ა წერილნი და სხ. ქაღალდზედ. ამა უკანასკნელთა ზ˜ა წერილნი არიან სამი დავითნი შემცველნი თჳს შ˜ს სხუათა და სხუათა ცუალებათა (variation). ყოველნივე ესე აღწერილნი ხუცურად. ტყავზედ შესანიშნავი უმეტესად სრული საჴარება ფ˜დ ძუჱლი ჴატებითურთ ოთხთა მახარებელთა; – აგრეთუჱ გრაგნილი ტყავზედ დაწერილი კონდაკი რ˜ლისა სიგანე არის ერთი მტკაველი და სიგრძე რუა ადლი რუსული.

გარდა ამათსა სხუანიცა რვეულნი ისტორიულნი და საეკკლესიო უწყებათანი. სიმოკლისათჳს წერილისა აქ მათ ვერ მოვიჴსენებ; და ამისთჳს მე მინდა მოცლილსა ჟამსა საქმითგან უქმნა ყოვლადსა აწ ჩემსა ქართულისა ენისა ბიბლიოტეკასა[4] რეესტრი ანუ სია საცნობელად თქუჱნდა. ბიბლიოტეკა ჩემი აწ შეიცავს უმეტეს 140 წიგნისა.

ახალციხეს მჰქონდა[5] იმედი მრავალთა წიგნთა შოვნისა, და მესმის რ˜ლ ადრითგან გათათრებულთა მუნ ქართუჱლთა აქუნან იგინი და შიშისათჳს თურქთასა ინახევდენ ფარულად. მეორეს წლამდინ დაჰშთეს ეს საქმე.

აღთქმულსა თქუჱნდა ჩემგან ცხოვრებასა პეტრე მაიმუსისსა და სხ. მალე მოგართმევთ.

ჩემი წიგნი აკადემიაში ვჰგონებ მოვიდა. რა შეემთხუჱვა მას მე არა ვიცი; გთხოვ კდ˜ცა მისთჳს ცნობა მიბძანოთ.

გთხოვთ გაისარჯოთ და მეფის-ძეს თეიმურაზს ჩემმიერი თაყუანისცემა განუცხადოთ.[6]

დავჰშთები მარად-პატივის
მცემელი თქუჱნი

იოსელიანი პლატონ.[7]

აგვისტოს 4ს დღესა
1838ს წელსა[8]
თფილისით.[9]

ალექსანდრე ჭავჭავაძე აქ არ იმყოფება; ის დაინიშნა დროებით ზედამხედველად კარანტინებისა სამზღუართა ზ˜ა ახალციხისა და იმერეთისა. –

*აგვისტო (ფრ.)

მარი ბროსესადმი №8 (8)

26 aout* 1838[1]

მოწყალეო ჴელმწიფევ!
უფალო აკადემიკო[2] ბროსსე!

ამა მცირეს წერილისა მოწერისა მიზეზად შემექმნა პროფჴესორი პეტერბურლის უნივერსიტეტისა პოროშინი, რ˜ლმანცა[3] დაჰყო აქა მხოლოდ ერთი კვირა, და დაუტევა საქართუჱლო შიშისათჳს კარანტინთასა, რ˜ლნიცა მზადდებიან ვითამც რუსეთის სამზღუარზედ – განძლიერებისა გამო მომსვრელისა[4] სენისა ქ. ახალ-ციხეს. გთხოვთ მომიკითხოთ უფ. შეგრენ. დიდად სასიამოვნო არის ჩემთჳს მისთჳს კეთილისა ამბავისა სმენა.

სხუჱბრ დავჰშთები მარად თქუჱნი
პატივის-მცემელი

იოსელიანი პლატონ.[5]

აგვისტოს 26ს დღესა
1838ს[6] წელსა
ქ. თფილისით.[7]

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Экстраординарному Академику Г. Броссе.
в С. Петербург.
от Іоселиани.

*აგვისტო (ფრ.)

მარი ბროსესადმი №9 (9)

1 sept* 1838

უფალს აკადემიკს ბროსსეტს. –[1]

მოწყალეო ჴელმწიფევ!

თქუჱნგან გამოგზავნილნი წიგნნი: Discours etc. და სხუანი რუჱულნი უფ. შეგრენისაგან მივიღე, ჴელითა ზიაბლოტსკისათა და პროფჱსორის[2] პეტერბ. უნივერსიტეტისა უფ. პოროშინისათა,[3] რ˜ლიცა[4] დაბრუნდა უკანვე აქედამ შიშისათჳს განძლიერებულისა ჭირისა ქალაქსავე ახალ-ციხეს. პოროშინი მოგიტანსთცა წერილსა ჩემსა მცირესა. თქუჱნი სიტყუა[5] მართლად დიდად მომეწონა და დიდად გმადლობთ ბოძებისათჳს მისისა. მეორე ეკზემპლარი გავუგზავნე მჰსწრაფლვე თ. ჭავჭავაძეს. – თუმცა კატალოღსა შ˜ა წიგნთასა შევლენან მრავალნი ესრეთნი წიგნნი, რ˜ლნიცა არა ემჰსგავსებიან წიგნთა და არცა ღირს-არიან რ˜ა იწოდებოდენ ნაყოფად ქართუჱლთა ლიტტერატურისა,[6] მაგრამ არცაღა ავნებენ პირველ-შემ-

თხუჱვისათჳს არა რასა რათა მოჴსენებულ-იყუნენმცა იგინი. ჩემის ჰაზრით ღირსება ლიტტერატურისა აღიწონების და დაფასდების არა რაოდენობითა წიგნთათა, ა˜დ ვითარებითა მათითა. მივხედოთ რომაელთა და ბერძენთა! რავდენნი დაგვიშთნენ შ˜დ მათსა წიგნნი? რავდენთა მოიპოვეს ღირსება, რათა გარდაცემულ-ყოფილ-იყუნენ საუკუნეთადმი უშემდგომესთა? ყოველთა წიგნთა და ანუ ნაყოფთა ლიტტერატურისათა ყოველსა ზ˜ა ენასა აქუსთ ორ-გუარი ღირსება ე.ი. ანუ ეკუთვნიან მას საუკუნესა, ოდეს იგინი დაიბადებიან, ანუ შეიქნებიან საკუთრებად ყოველთა უშემდგომესთა საუკუნეთასა; – და ესრეთ მარადის დაიდებიან საწამებელად ანუ ძეგლად პატივისა საუკუნისა, ჟამთა და მეფობათა ოდეს[7] მათ მიუღიესთ მყოფობა; – მრავალნი ესევითართა წიგნთაგანნი[8] არა ექმნებიან პატივად მშრომელთა მათთა, მაგ. №26, სხოლიოჲთა თჳსითა; 146, и 210. ხ˜ წიგნი №118 ეკუთვნის საკეთილ-შობილოს სასწავლებელის ყოფილს[9] მოძღუარს მღუდელს იოანე ქართველოვს,[10] რ˜ლისაცა შავად აღწერილი საკუთარი ჴელ-წერილი მე მაქუს დღეს. მასვე უწერია სხ. წიგნნი რ˜ლნიცა დღეს მე მაქუნან მოშოვნილნი. არა ჯერ-არს რ˜ა დაეკარგოს თჳსი (suum) კაცსა ღირსსა, და ისტორიულსაცა გუამსა უკანასკნელთა დროთა ქართუჱლთასა. –

წარვიკითხე №46, მადლობელი ვარ მისთჳს, რ˜ლ აქაცა მოეცით საზრდელი თავის-მოყუარებასა და ამაოებასა კაცისასა; მაგრამ აქუს როგორც მე მაჴსოვს საკუთარიცა უსრულება. მე დავწერე იგი პირდაპირ თეთრად. ესე ექმნების მას მიზეზად ბრალთა მიტევებისა. ჩემგან ქმნილნი და თარგმნილნი წიგნნი სხ˜ცა[11] იპოებიან პეტერბურღში: აჰა იგინი:

1. მოკლენი მოთხრობანი საქართუჱლოჲსანი, რ˜ლიცა[12] მივართვი გარდაცუალებულს ბატონის-რძალს და ჩემდა ნათლიად ყოფილს ელენას დავით ბატონის-შვილის მეუღლეს.
2. წ˜ის მიტროփანის ცხოვრება
3. სენატისა საქმეთა წარმოება მივართვი მეფის-ძეს ბაგრატს.

4. ტჯროს ზ˜ა წ˜წყლებათა[13] აღსრულება
5. ევანგ–ლუტერან. წირვა ნემეცურიდამ
6. ცხოვრება იოანე ოქროპირისა
7. სიტყუა და ისტორიული განხილუა მოგუთათჯს ქ˜ესდა[14] მისრულთა
8. ფიზიკურნი განხილუანი კომეტთათჯს, მოარულობათა მათთა და სხ. მეფის-ძეს ფარნაოზს.
9. ანდერძი არჩილი მეფისა და წერილი კონსტანტინე ქართუჱლთ[15] მეფისა იზაბელასადმი ისპანიას
10. ი˜ე[16] ქ˜ე ძუჱლსა შ˜ა აღთქმასა; – იმერთა დედოფალს მარიამს.
11. ლუტერისა გამოჩენისა ისტორია და მასთანავე სიტყუა მოსკ. მიტროპოლიტისა ფილარეტისა თქმული წინაშე ჴელმწიფე იმპერატორისა 1835 აპრ. 30 – ესეცა აქუს მეფის-ძეს ბაგრატს.
12. წესი კურთხევისა რუსეთის მემკჳდრისა – ესე გარდამოვიღე რუსულითგან განსუჱნებულის პატიოსანის მღუდლის იოანე ჯაფარიძისათჯს და აქუნდა მას.

ამასთან მიიღებთ აღთქმულსა ჩემგან ცხოვრებასა პეტრე ქართუჱლისასა და ორთა წიგნთა ენათა ზ˜ა სპარსულსა და არაბულსა; ეგრეთუჱ ოთხთა სხუათაცა ფურცელთა ზ˜ა აღწერილთა გარდასაცემელად აკადემიასა შ˜ა. ესენი ახლად მოვიშოვნე აქა: ვჰგონებ არ აღმოჩნდენ უნაყოფოდ და უსარგებლოდ აკადემიისათჯს. გარდა ამათთა მიიღებთ რვეულსა ზ˜ა რუსულად აღწერილსა წიგნაკსა მოჴელეობათათჯს ქართუჱლთ და იმერეთისა სამეფოთა;[17] გთხოვთ ესე ყოველნი თქუჱნდავე მოსაჴმარად გარდაჰსცეთ აკადემიაში. ესე უკანასკნელი რუსულს ენაზედ მქონდა, და დამზარდა გარდაღება ქართულზედ: – ახლა ვჰგონებ თჯთ თქუჱნც საკმაოდ შეიმეცნეთ ენაჲ რუსული ფ˜დ საჭირო თქუჱნთჯს.

გთხოვ განუცხადოთ ჩემ-მიერი თაყუანის-ცემა მეფის-ძეს თეიმურაზს და მეუღლესა მისსა მეფის-ჰრძალს[18] ელენას.

დავჰშთები მარად პატივის-ცემითა უმორჩილესი
მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.[19]

სეკდემბრის 1[ს] დღესა
1838 წელსა
ქ. თფილისით.[20]

პროტასოვისაგან ჯერეთ მოწერილობა არ მოსულა აქა; თუ ეს შესრულდა მრავალს შემწეობას მივჰსცემთ ისტორიასა: როგორც ვჰსცან დოკუმენტნი და გუჯარნი იპოებიან მხოლო[დ][21] სინოდის[22] კანტორაში აქ ვიდრე 4000 დმდე.[23]

გთხოვ ეს წიგნი წარაკითხოთ[24] მეფის-ძეს თეიმურაზს. არა მჰრცხუჱნის მისი რაჲცა ზევით დავჰსწერე. პეტრებურღსა ყოფნაში ვიყავ მისგან დიდად მიღებულ. –

გთხოვთ განუცხადოთ უფალს შეგრენს ჩემ-მიერი პატივის-ცემა და არქუთ მას, რომელ ხრისტოფორემან[25] გუშინ ე. ი. 31[ს] აგვისტოს მიიღო მისი წერილი და 50[26] ფული და აქამომდე ფოჩტამცსა[27] ვერ-ეპოვნა იგი: – წერილი მან მეც წამაკითხა, და მეცადინებს აღასრულოს ყოველივე დარიგებისამებრ მისისა. ჰსწუხს რომ ფული გამოგზავნეთქო, და ვერცაღა ჰკადრა უკუბრუნუა მისი. მეორის ფოჩტით თჳთ ისიც მოჰსწერს წერილსა.[28]

NB. გთხოვ გაისარჯოთ და მიშოვნოთ მანდ ჩემის ჴარჯით[29] ორი წიგნი: 1). 1837 წლისა ოკდომბრისა თთჳსა ჟურნალი Библіотека для чтения;[**] და 2).[30] 1837 დეკემბრის თთჳსა ჟურნალი Министерства Народнаго Просвещенія;[***] – დიდად ვიქმნები მმადლობელი.[31] სემინარიის ბიბლიოტეკიდამ როგორღაც დავჰკარგე და მაკლიან. ფასი მათი თქუჱნ უბოძეთ და მოგართმევთ. – ცალკე და ცალკე თუმც არ ისყიდებიან, მაგრამ ადვილია მანდ მოშოვ[ნა][32] მათი. შეგრენს[33] ამცენით ესე.

[*] სექტემბერი
[**] ბიბლიოთეკა კითხვისთვის
[***] სახალხო განათლების სამინისტრო

მარი ბროსეს ადმი №10 (10)

მოწყალეო ჴელმწიფევ!

შ˜დ[1] ვრცელ-ჟამითისა მოლოდებისა მომივიდა წერილი თქუჱნი ჩემთჳს დიდად სასიამოვნო. გმადლობთ ყოვლისათჳს რასა მჰწერთ, ყოვლისათჳს რასაცა ჰსწერთ ძუჱლისა და პირუჱლ-ჟამითისა დიდებისათჳს საქართუჱლოჲსა და მწერლობისა მისისა, აწ თქუჱნ მიერ მიზეზებულისა, რათა განიღჳძოს იგი საუკუნოობითთა დუმილისაგან, რ˜ლსაცა შ˜ა იყოფვოდა ვიდრე აქამდე. ქართუჱლთა ყოველთავე გჰცნეს თქუჱნ, და დიდითა განკჳრვებითა, პატივითა და კნინღა მოწიწებითა მოიჴსენებენ საჴელსა თქუჱნსა. ბროსსე[2] ბაგეთა შ˜ა დიდთასა და გულთა შ˜ა ახალ-მოსწავლეთასა ჴმაურობს: – და ამისთჳს არა არს საიჭვო[3] რომელ მრავალთა შ˜ს მათთაგანსა აღიძრვის წადილი რათა იჩინნეს თავნი თჳსნი სარბიელსა ზედა ჰსწავლისა ბუნებითისა თჳსისა ენისა, და ძიებისა ყოვლისა მის რაჲცა ადიდებს საჴელსა ესრეთ ძუჱლისა ერისა ვითარიცა არს ქართუჱლი. ნუ მიიღებთ, მოწყალეო ჴელმწიფევ! სიტყუათა ამათ რეცა წარმოთქმულად გულისაგან არა წრფელისა, ენისაგან ცუდ-მეტყუჱლისა და სულისაგან პირმოთნებითა მჰსჯელისა. აზიელთა ევროპელნი ჰსწამობენ მრავალსა რასამე, და მეტადრე ლექსთა განდიდებულთა, ქებათა მომატებულთა და სიტყუათა მომაცთუნებელთა. გარნა მე ჟამსა ამას ს˜დ ვარ განშორებულ ესეგუართა ვნებათაგან, რ˜ლთაცა განდევნა არს ვალი ყოვლისა კეთილ-გონიერისა კაცისა. გარნა ვუტევოთ ესე-გუარი ზრახუა;

1. შეუდგეთ[4] საქმესა უფრორე სარგებლოვანსა. – რაპორტსა შ˜ა თქუჱნსა ზ ივნ. ვჰსცან მოლოდებაჲ თქუჱნი ჩემგან პეტრეს მიერ ქმნილისა ისტორიისა. ესე მე ვჰგონებ ესრეთ არ მომეწეროს. მხოლოდ წიგნი ესე იყო იგივე, რ˜ლიცა მე წარმოგიგზავნეთ საჴელ-წოდებით ცხოვრება პეტრე მაიმუსელ ეპისკოპოსისა,[5] აღწერილი ფ˜დ ძუჱლად და მწერ-

ლობა კნინღა 5ს საუკუნისა. გთხოვთ ამისთჳს ჩემი პირუჱლი თქუჱნთან წერილი განჰსჩხრიკოთ უკეთუ გაქუსთღა იგი. –

2. 1ს ოკდომბერს ვიყავ მე მცხეთას საკუთრივ მოსაკრეფად ზედა-წარწერათა; მოვძებნე იგინი გარდმოვჰსწერე და მოგართმევ სხუათა თანა ნაშრომთა ჩემთა.

3. გუჯართათჳს ჯერეთ აქა არა რაჲმე არა ისმის რა, რ˜ლთათჳს მე ფ˜დ ვარი მზა.

4. გთხოვ მაცნობოთ მიიღეთა წერილნი ჩემნი 1ს და 7ს სეკდემბრიდამ. დისკური[6] თქუჱნი მივიღე და ვჰგონებთ გაცნობეთცა მათა შინა მისთჳს.

5. მცხეთაში არიან მხატურობანი კედელთა ზ˜ა გამომხატუჱლნი საჴეთა ვახტან[გ][7] გორგასლანისა, კათოლიკოზის ნიკოლოოზისა, მეფის გიორგისა მის მიერ დაგჳრგჳნებულისა და სხუათა კაცთა და ქალთა ძუჱლთა შესამოსთა მ˜რ მოსილთა. უკეთუ ესენი დაჰშთნენ ესრეთ ს˜დ წაიბღალებიან და დაგვშთების ამისთჳს შემდეგ სინანული დიდი. ამისთჳს გთხოვ წარუდგინოთ ესე აკადემიასა, რ˜ა მიიღოს მზრუნუჱლობა რაჲმე რ˜ა გარდაიხატონ იგინი მჰსწრაფლვე. ამასა მეცა ვითავებდი უკეთუ ვიყო ესოდნად შემძლე რ˜ა წარვიყუანო მუნ მხატუარი. ამისთჳს უკეთუ აკადემია ჰსთხოვს აქაურს მთავარს გოლოვინსა[8] ადჳლად წარგზავნის და გარდამოახატვინებს: და უკეთუ მეცა ესრეთსა შემთხუჱვასა შ˜ა მიმიწოდებენ არა იქმნება უსარგებლო, ამისთჳს რ˜ლ უჩუჱნებ რაჲცა საჭირო-არს, და ვერცა რასამე შესცულიან. შეცუალება და დაუდევნელობა მხატუართა შ˜ს არარის იშვიათი: მეტადრე მაშინ როდესაც უსასყიდლოდ აღასრულებენ ესე გუართა მინდობილებათა.

6. იკითხავთ რაჲ მჰსურს მე რეცა სამაგიერო წიგნისა ჩემგან მჰსწრაფლ-ნაშრომისა, და ანუ რაჲ იყო ჰაზრი რ˜ლ გამოვჰგზავნე იგი აკადემიაში; უკანასკნელი ესე განვაცხადე წინასიტყუაობასა შ˜ა; და პირველისა პასუხი ჭ˜ტად ვჰბრკოლდები რაჲ მოვიწერო. ღირსებისა[9] ნიჭნი ვიცი აქუს მრავალ-გუარი აკადემიასა: მე უკეთუ აღმოვჰსჩნდები მით

ღირსი რაჲსამე, უეჭუჱლად დავისაჩუქრები[10] მით რ˜ლ იქმნება სასარგებლო მეცნ[იერ]თათჳს[11] – თუ არა ვჰსცდები მცირედ-ცა.[12] – მაგრამ პატივი რაჲმე აკადემიისაგან და წოდებაჲ რაჲმე ჩლენისა კორრესპონდე[ნტისა][13] ანუ სხუად – იქმნების ჩემთჳს უძჯრფასეს ყოველთა საჩუქართა... სხუჱბრ მე ვიკდიმები[14] ესე გუარსა მოუბარობასა ზ˜ა, და გთხოვ ამისთჳს ეზრახოთ უფ. შეგრენს[15] და დიდის პატივის-ცემით მომიკითხოთცა.

7. შეგრენს აცნობეთ რომელ წიგნსა ვეფხვისტყაოსანსა, რ˜ლიცა აქუს ყორღანოვსა, მიცემულსა უფ. შოპენისაგან, – მალე გამოუგზავნი მე შეგრენს რ˜ა გარდაჰსცეს იგი ანუ პატრონისად, ანუ იპყრას თჳთ. შოპენ ვჰგონებ ახლა იყოს პეტრებურღს.

სხუჱბრ დავჰშთები მარად თქუჱნი
პატივის-მცემელი
უმორჩილესი მოსამსახურე
პლატონ იოსელიანი.

ოკდომბრის 6ჱა დღესა
1838ჱა[16] წელსა
ქ. თფილისით.[17]

[ქვედა მარჯვენა მხარეს, თარიღის გვერდით მინაწერია:]

წილოსანს თქუჱნგან წერილი მივუტანე: პასუხს თჳთ მოგწერსთ.

[პირველ გვერდზე, მარცხენა არშიაზე, უკუღმა მინაწერია:]

გთხოვთ მეფის-ძეს თეიმურაზს განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივის-ცემა და თაყუანის-ცემა.

მარი ბროსეს ადმი №11 (11)

მოწყალეო ჴელმწიფევ!

წერილი თქუჳნი მივიღე და მასთან თქუჳნგან ქმნილი Exsplication de diverses inscriptions Géorg. etc.[1] დიდის სიამოვნით წარვიკითხე, და მადლობელიცა ვარ მისთჳს. მეორესა მჰსგავსსა წარვუგზავნი ქუთათელაძეს; – თუმცა მან არ იცის ფრანციზული ენა, მაგრამ ისიამოვნებს ქართულსა რასამე მუნ.

მძიმესა ფოჩტით გამოვჰგზავნე თქუჳნთან დაბეჭდილნი ჩემ-მიერ აქა პოემანი რიცხჳთ 35 წყვილი. ამა რიცხუთაგან გთხოვთ გაისარჯოთ, ანუ სხუასა ვისმე მიანდოთ თუ თქუჳნდა სიმძიმე იყოს, დარიგებაჲ მათი შემდგომისამებრ:

1. დედოფალს და მიხაილ ბატონის-შვილს სამ-სამი ექზემპლარი;[2] – ესენი ცალკედ ჩამიწყვიან ამანათში და ესრეთ ჰპოებთ.

2. 5 ექზემპლარი ნამდჳლი ჴელ-წერილი და მათთანავე რაპორტი, ცენსორაში გარდაჰსცეთ, – და ჰსთხოვოთ პროფ. პოროშინს რომ ცენსორიდამ ბილეთი ჩქარა მოგვივიდეს.[3]

3. დადიანთა გრიგოლ და კონსტანტინესთჳს, 2 ექზ.; მუხრანის ბატონისა ძეთათჳს ირაკლისა, ალექსანდრესსა და გიორგისა, 3; უნივერს. პროფ. მირზა ჯაფარას 1; იზმაილოვს მიხაილს 1.; ბიძასა ჩემსა ღენერალს იოსელიანსა 2; ღენერალთა ბაგრატიონთა 2; მეფის-ძეს თეიმურაზს 2; მეფის-ძეს ფარნაოზს 2; მეფის-ასულს რიფსიმას 1; მეფისძეს ბაგრატს 2; პროფ. პოროშინსა 1; უფ. შეგრენს 1; აკადემიკს ჭრენს 1; მეფის-ძის ძეს ლუარსაბს 1.

დანაშთენი გთხოვთ თქუჳნ მიიღოთ, და ამათგან თჳთო ექზემპლარი ჩემ-მიერ შეჰსწიროთ თქუჳნისა აკადემიისა მუზეუმსა;

ამა წიგნებთანა მოგართჳთ ზედა-წარწერანი არა fac-simile სასაფლაოთა ზედა მცხეთაშიდ გადმოწერილნი; ვჰგონებ არღარა დამიშთა მეტი; გარდა რამდენთამე ს˜დ[4] წაბღალულთა და უჩინოთა თუალთაგან.

ჩემის წიგნისათჳს თქუჱნგან და უფ. უსტრიალოვისაგან განხილულისა არვიცი რა მოვიწერო? – მომინდვია ყოვლად თქუჱნთჳს.

საულ-დავითიანი ჯერ არ მომსულია; ვჰგონებ მატყუებენ და იმედსა ცრუსა მაძლევენ[5] მოპოვნებისას; ზაფხულს უთუოთ უნდა მე თჳთ წავიდე და ვიხილო იგი თელავს.

ჩემისა ბიბლიოტეკისა კატალოგსა მალე მოგართმევ.

არ იქმნებოდა ცუდი ერთი ექზ. თქუჱნგან ქმნილისა წიგნისა ღენ. ჭავჭავაძესთჳს გამოგეგზავნათ. დიდად იამა მისი ხილვა; და რადგანაც თჳთ უძლურად იყო, მე უკითხავდი ორსა დღესა და ისიამოვნებდა ყოველსავე. მიბრძანა მოკითხუა მოგაჴსენოთ მის-მიერ.

სხუჱბრ დავჰშთები მარად
პატივის-მცემელი თქუჱნი
იოსელიანი
პლატონ[6]

ნოემბ. 10სა
1838სა[7] წ.
ქ. თფილისით.[8]

მარი ბროსესადმი №12 (12)

მოწყალეო ჴელმწიფევ!
უფ. ბროსსე!

წერილი თქუჱნი მივიღე; დიდად ვარ მადლობელი ყოველთა მათ ცნობათათჳს, რ˜ლთაცა[1] თქუჱნ განმიცხადებთ მე. –

თქუჱნ მაუწყებთ მე თქუჱნ-მიერსა შეწევნასა კორრესპონდენტთა შ˜ს მიღებისასა. მე არა ვარ ამაზედ იჭუნეულ, რ˜ლ ძალ-გიძსთ ქმნა ამისი; ვირყევი მხოლოდ ამაზედ, რომ მეძიებელთა ამა პატივისა კაცთა არა ექმნებათ[2] ჩემ-მიერ დაბრკოლება: ამისთჳს რომ აკადემიკნი და ჩლენნი აკადემიისა საზოგადოებისანი აღირჩევიან საგანთაგამო თჳთოეუ-

ლისა ენისა და ლიტტერატურისა; – და ქართულსა ენასა ზედა არა ვჰგონებ რეცა აქუნდეს ვისმე ადგილისა ამისთჳს[3] ცილება... სხუჱბრ იყოს ნება თქუჱნი: მე მაინც არ დავჰსუსტდები ამით რ˜ა ძიებათა თქუჱნთა მწე-ვექმნე.

თხოვისამებრ[4] თქუჱნისა ვიპოვე ერთი ძუჱლი სიგელი, რ˜ლსაცა აქუნდა საჴე გიორგი მეფისა – რ˜ლისა? თჳთ ჰსცნობთ; თჳთ პირი სიგელისა მის და სხ. ძუჱლნი უწყებანი ვჰგონებ დიდად საჴმარნი თქუჱნთჳს – ერთს რუჱულზედ გადმოვაწერინე და მოგართვი მძიმეს ფოჩტით ამა თთჳს 26ს რიცხუსა. არა ვიქადი ამას და რაღაა საქადელ (როდესაც ვიღუწი მამულისათჳს, რ˜ლისადმიცა მაქუს მოვალეობა ყოვლადი) – მაგრამ არა ვჰზოგავ არცა ფულსა, არცა შრომათა და არცა სიმრთელესა განვრცელებისათჳს ძალისამებრ ჩემისა ჰსწავლათა და სიძუჱლეთა მოძიებისა. რუჱული ესე და სახე მეფისა გიორგისა მომიძღუნია აკადემიისათჳს, და გთხოვთ წარუდგინოთ იგი ჩემ-მიერ კონფერენცი[ა]სა.[5]

მკითხავთ რაჲ ჰქმნათ წიგნისათჳს ჩემ-მიერ ქმნილისა: მე ვისურვებ რ˜ა დაჰშთეს იგი შორის მანუსკრიპთა აკადემიისათა.

გუჯართათჳს სინოდისა კანტორისათა აქა, – გთხოვთ არ დაივიწყოთ: მრავლად შეეწევიან იგი ისტორიასა: ეხლა კ˜დ ვჰსცან რომ ესე გუარნი იპოებიან მუნ ვიდრე 10.000-დმდე.[6] – მე გარდამოღებისათჳს მათისა ვარ მზა; და კმა იქმნება განსამჴნობელად უკეთუ მექმნება პატივი კორრესპონდენტებისა თქუჱნ შ˜ს.

ვახტანგისა ისტორია აქუს აქა ერთსა თავადისა-შვილსა. ვმეცადინებ რომ დაუთმოს იგი აკადემიასა და ვნახოთ. გამოგზავნილი თქუჱნ-მიერ 140 ასსიგნ. მივეც ვისცა ეკუთუნოდა.

ჩემისა წიგნებისა სია ვერ მოვასწარ მომერთმევინა როგორც მიბრძანა მეფის-ძემან თეიმურაზმანცა: იმედი მაქუს ჰსრულ ვჰყო მალე ისი.

ძუჱლთა ფულებთათჳს რაჲცა მოგიწერიათ, მე ადრევე მაქუნდა ჰაზრში წარმომეგზავნა იგინი,[7] მაგრამ ველოდი შეგროვებასა: აგერ მაქუნან მათგანნი ათი;[8] – დამპირდენ აქაიქაც და შეგროვებისა შ˜დ უთუოთ გამოვგზავნი.

მცხეთისა მოხატულებათათჳს თუ გნებავსთ მოილაპარაკებთ უფ. კოცებუსთან, რ˜ლიცა წამოვიდა მანდეთ 24ს ამთთუჱს და ნახავთ მას უფ. აკადემიკს. კეპპენთან: ესე მისი მეგობარია – და მე და ისი ერთად ვიყავით მუნ სანახავად. თუ ესე მე მომენდობა აკადემიისაგან ვჰგონებ გადმოსახატავად მუნ პოებულთა სახეთა: მეფისა გიორგისა, განმაახლებელისა ტაძრისა მის და დამხატუჱლისა; კათოლიკოზის ნიკოლოოზისა; გორგასლანისა; ორთა სხუათა რ˜ლთაცა საჴელი სიმაღლისა გამო ვერ წარვიკითხეთ და სხ. წურილთა საჭიროთა მოხატულებათა; – კმა იყოს 300 ასსიგნაცია. მე კ˜დ ვჰგონებ რომ მეტობით იყოს რიცხჳ ესე: და უკეთუ გარდაშთება რაჲმე, უეჭუჱლად უნდა იყოს აკადემია, რ˜ლ უკუ-მიიღებს ნეშტთა.

გაზეთსა: სალიტ. ნაწ. ტფ. უწყებათანი ვეცდები[9] ვიშოვნო: მიმასწავლეს ადგილ-ადგილ და ვარ მათსა მოძიებაში. – აქაური აწინდელი გაზეთი – არა ღირს რომ იქონიოთ: ამისთჳს რ˜ლ იბეჭდება მუნ მხოლოდ სასამართლოთა ადგილთა განცხადებანი და სხუა არა რაჲ – და ესეცა რუსულად. გაზეთსა 1832 წ. აბეჭდინებდა ს. დოდაევი, და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა და ექუსს თთუჱზედ აღკრძალეს. თჳთ იგი წარგზავნეს ვიატკას[10] და მუნ გარდაიცუალა. მეცადინება მისი იყო ფ˜დ კეთილი, მაგრამ შეაცთინეს სხუათა უთუოთ და დაჰკარგა თჳსი პატივი. – თუ ღ˜სა ნებავს მსურს გარნა არა ეხლა ვითხოვო ნება ჟურნალისა რასამე გამოცემისა: შემწენი აქა არა იპოებიან – და ცოტად მიმძიმს.

პლატონ იოსელიანი.

[პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

უფ. შეგრენ მომიკითხეთ[11] და განუცხადეთ ჩემ-მიერი პატივისცემა.[12]

დეკ. 29სა დღესა
1838სა წელსა
თფილისით.

1839

მარი ბროსესადმი №13 (13)

მოწყალეო ჴელმწიფევ
უფალო ბროსსე!

დიდი, დიდი ხანია არ მიმიღია თქუჱნგან წერილი; მომლოდნე წერილისა თქუჱნისა დავაგვიანე წერილისა მოწერა. სინოდისა უქაზი გუჯართათჳს მოუვიდა აქაურსა სინოდისა კანტორასა,[1] და ჯერეთ ჩემთჳს არ გამოუცხადებიათ. ფულები ძუჱლი ნუმიზმატიკისათჳს აკადემიისა გიშოვეთ საკმაოდ, და რადგანაც შეგროვებისა მათისა ჰაზრი პ˜ლად[2] მომცა უფ. შეგრენმან, გამოვგზავნი მისსა საჴელზედ; – თქუჱნგან თხოვნილსა ჟურნალსაც დოდ.[3] გამოვგზავნი მეორისა ფოჩტით.

მეორისავე ფოჩტით ყოველთავე მოვჰსწერ წერილსა, მეტადრე მრცხუჱნის ბატონის-შვილის თეიმურაზისა, რ˜ლისაცა წერილი მივიღე და ჯერეთ პასუხი ვერ მოვართვი.

სხუჱბრ დავჰშთები მარად პატივის-მცემელი
თქუჱნი პლატონ იოსელიანი.[4]

მარტის 2ს დღესა
1839ს წელსა
ქ. თფილისით.[5]

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Императорской Академіи

Наук Экстраординарному Академику

Г. Броссе![6]

в С. Петербурге.[7]

На Васильев. острову в 7ой

линіи в доме Академіи Наук.

მარი ბროსესადმი №14 (14)

უფალს ექსტრა-ორდინარნის აკადემიკს
ბროსსეტს!

მოწყალეო ჴელმწიფევ!

შ˜დ[1] გრძელითისა მოლოდებისა მივიღე წერილი თქუჱნი; მაგრამ არა მწერთ გარდაეცითა წერილი ჩემი უფ. პოროშინს: პოემათა ბილეთი დამიგვიანა ცენზურამან, და გთხოვთ კიდევაც განუმეოროთ თუ ჟამი გაქუნდესთ. ვჰგონებ თქუჱნზედ ახლოს იყოს დგომით, რადგანაც უნივერსიტეტში არის ადიუნკტად. გაზეთებით ვჰსცან რომ დოკტორობა ფილოსოფიისა მიუღია; – უკეთუ თქუჱნ თჳთ ნახოთ იგი არქუთ დისსერტაცია თჳსი დოკტორობაზედ (დაბეჭდილი) გამომიგზავნოს.

რაჲცა პორტრეტთათჳს მეფეთა ჩუჱნთა მოგეწერათ ვჰსცან: დიდის სურვილით ვეცდები აღსრულებასა მისსა; – მე თჳთ წავალ და წავიყუან უკეთესსა მხატუარსა გარდამოსახატავად მათთა; – აქ ორნი იპოებიან კარგნი იტალიით მოსულნი მხატუარნი. – პასექისა ორსა კვირას ვიქმნები მოცლილი და მაშინ შეწევნითა ღ˜ისათა[2] ჰსრულ-ვჰყოფ ამა დიდად სასიხარულოსა ჩემთჳს აკადემიისა მონდობილებასა.

გუჯართათჳს ძლივს მივიღეთ ბრძანება და 6ს მარტსა გამომიცხადეს, და ჴელიც მომაწერინეს. აკადემიამ კარგად ინება ექსარხისა ჩუჱნისა ჩლენად კორრესპონდენტად[3] აღ-

რჩევა; ამა ჟამიდგან უფრო დიდსა შემწეობასა მაძლევს, და ისიცა დიდად განვახალისე ბე[ჯი]თობაზედ.[4] – თქუჱნ კეთილად შენიშნეთ ესე რომ უგუჯრებოდ ისტორიისა ქმნა და კრიტიკისა პოვნა ს˜დ[5] შეუძლებელია. ამისთჳს ამათა მოკრებაში უნდა ჯერეთ დავშურეთ. – ერთიცა სხუა რუჱული უწყებათა მოგართჳთ, რ˜ლსაცა[6] მიიღებთ[7] ჩემისა მანდ მეგობრისა ნიკიტსკისა მ˜რ[8]; ვჰგონებ აქამდე მიიღებდით მასცა. მას გამოვუგზავნე საჩუქარი და მასთან ერთად ისიც გამოვისტუმრე ერთი თთუჱ იქმნება. თუ დაგიგვიანოსთ, მოსძებნეთ ისი на Литеинои улице у церкви Св. Сергія в квартире протоіерея Петра Духовскаго.*

მოგსმენიათ[9] რეცა მე დამეწეროს თამარისა ისტორია და დამებეჭდინებ[ი]ოს[10] გაზეთებში. ესე ქმნა ერთმა ჩემმა თანა-მსახურმან სემინარიასა შ˜ა,[11] და მთელი ცხოვრება მისი არის შეცულ სამოცს ტრიქონში. ამისათჳს რად საჴმარია მისი წარმოვლენა. და თჳთ ეს გაზეთი არის მხოლოდ უწყებათათჳს სასამართლოთა ადგილთასა და ისტორიული გარდა მისა არა რაჲ იპოება მუნ.

აგერ სამი დღეა გამოვგზავნე უფ. შეგრენის სახელზედ 39 ძუჱლი ფულები, რ˜ლთა[12] შ˜ს[13] იპოებიან რუსუდანისა ორი: ვეცჴლისა და სპილენძისა; თეიმურაზისა, ირაკლისა, გიორგისა XIII და სხ. სპარსეთისა ყაენთა. – სამსა დღეს შ˜დ[14] გამოვისტუმრებ 1. სალიტერატუროსა გაზეთსა ტფილი[სი]სასა[15] და 2. შეკრებილთა ჩემ-მიერ გამოცანათა ძუჱლთა ჟამთაგან ზეპირ გარდამოცემულთა ერთა შ˜ს[16] ქართუჱლთასა. ესრეთი შრომა ჯერეთ არა ვისგან არს ქმნილ. ჩუბინოვისა მ˜რ[17] მოკრებილნი მაქუნან მე ანდაზები: თუ არა გაქუსთ მოგართმევთ ამათაცა. – სალიტერატურო გაზეთი 5 ნომერზედ მეტი არა ყოფილა აღბეჭდილი, და ამისთჳს არვიცი ელოდით[18] თქუჱნ მეტთა ნომერთა თუ არა? – ვახტანგისა მ˜რ[19] ცხოვრება საქართუჱლოჲსა აქუს დავითს დადიანს, და ესე მითხრა ვუგზავნიო ბატ. თეიმურაზს; თჳთ ჩქარა წავიდა სამეგრელოს და ველარ ვჰსცან დასასრული ამისი. მასვე აქუს

ფული სპილენძისა თამარ დიდისა, და ვერ დავახწიე, ვერცა თუ გადმოსახატავად რომ გამომეგზავნა. ჰსთხოვოს ბატ. თეიმურაზმა და მოართმევს – ვჰგონებ. ამ გუარებში ვნება აქუს. წიგნებიცა აქუს ბევრი, მაგრამ დიდი ბიბლიოტაჶი არის. – მამათ-ცხოვრებათათჳს და საულ-დავითიანისათჳს მღვიძარე ვარ რომ ვუშოვნო აკადემიას.

ადრევე დამპირდით ჩემგან დაჯღაბნილის წიგნისათჳს რაპორტი თქუჷნი და უსტრიალოვისა, გთხოვთ მიბოძოთ. – აგრეთუჷ ბულლეტენისა ფურცლები (tiré)** მიგზავნოთ ხოლმე როგორათაც ადრე იქმოდით. თჳთ ყდ˜სა[20] ბულლეტენსა ბატ. თეიმურაზ თავისს დროზედ მიბოძებს.

სხუჷბრ დავჰშთები მარად მზა რ˜ა[21] ვიღუწიდე ძალისამებრ ჩემისა მამულისათჳს და ლიტტერატურისა მისისა

უმორჩილესი მომსახურე
თქუჷნი პლატონ
იოსელიანი.[22]

მარტის 9ჱ
1839ჱ წელსა
ქ. თფილისით.[23]

[დაწებებულ ფურცელზე წერია:]

გთხოვთ თუ საჭიროდ დაინახოთ წერილთა უპაკეთოთა პაკეთი უქმნათ. ხ˜ დედოფლისა საჴელზედ წერილსა თუ საჭირო იყოს შავი ლაქა უცუალოთ.

*ლიტეინის ქუჩაზე წმ. სერგის ეკლესიასთან, მღვდელმთავარ პეტრე დუხოვსკის ბინაში.
**ამოღებული (იგულისხმება ცალკეული ფურცლები). (ფრ.)

მარი ბროსესადმი №15 (15)

უფ. ბროსსე!

პოემანი უბოძეთ ვისდაცა[1] გენებოსთ! – ერთის კვირით აღდგომისა 2ს დღესა ვაპირებ უდაბნოთა შ˜ა:[2] დავით-გარესჯ.[3] და ნათლ. წასულასა; – წიგნებისა გასაჩხრეკად.

პლატონი.[4]

18 III/19 39

მარი ბროსესადმი №16 (16)

ექსტრა-ორდინარნის აკადემიკს უფალს
ბროსსეტს.

მოწყალეო ჴელმწიფევ!

აგერ არის კვირა სამი რაც წერილი თქუჱნი და უფ. შეგრენისა მივიღე. აგრეთუჱ მათთანავე თქუჱნგან ქმნილნი ბროშურკნი,[1] რ˜ლთათჯს[2] დიდად ვარ მადლობელი. მომივიდა აგრეთუჱ მადლობა აკადემიისაგანცა კონჴერენციისა ძუჱლთა ფულთათჯს. – მაგრამ დიდად ვჰსწუხ რომ დამიგვიანდა პასუხი ცენსურიდამ[3] პოემათა და ანბანისა. ამისთჯს ვეღარა მოგწერეთ რა რომ ველოდი მას, და აწ განსრული მოთმინებიდამ გთხოვთ დარწმუნებით ჩემის გულისათჯს მიიღოთ შრომა და ნამდვილი შემიტყოთ.

აღდგომისა დღეებში მცხეთას ვიყავ, და მუნ ვჰპოვე ღირსი შენიშუნისა სამი რაჲმე: 1. ცხოვრება წ˜ისა ნინასი სხუად აღწერილი, 2. კრებისა ამბავი რომელიცა იქმნა საქართუჱლოსა შ˜ა მეფობასა დავით მეფისა, რ˜ლიცა ქართლისა

ცხოვრებასაცა შ˜ა მოიჴსენების; 3. ეფრემ მცირისაგან აღწერილი სამს თაბახზედ მოჴსენება ქართუჱლთა მოქცევისათჳს, საფუძუჱლსა ზ˜ა ბერძენთა მწერალთასა. 4. წიგნი ეტრატზედ ნაწერი უსაჴელო[4] ვრცელი და ზრქელი რ˜ლშიაც მოიჴსენების ვრცელი ტრაკტატი ქორონიკონთათჳს და ზედნადებთა. მათ შინა შერეულნი იპოვებიან მრავალნი სხუა და სხუანი ჰაზრნი ქართუჱლთათჳს. წიგნი ესე სავსე არის ძილის-პირებითა, და უეჭუჱლად ვჰგონებ იყოს ესე თჳთ იგი ძილის-პირი, რ˜ლსაცა მოიჴსენებს საბა ორბელიანი, მიღებულად იმერეთიდამ, და რ˜ლთათჳს თქუჱნცა ჰსწერთ დისსერტაციასა შ˜ა თქუჱნსა 7 დეკ. 1838. – ესე ყოველნი გარდავეც მწერალსა რ˜ა გარდამიწერონ, და ჯერეთ ადრეა შესრულება მათი. – მოჴატულებათათჳს მცხეთისა დიდსა ეკკლესიასა შ˜ა ამაოდ ვეცადე მრავალი, ამისთჳს რომ მხატუარმა დრო ვერ ჰპოვა მაშინ მარჯუჱ, და ივნისის გასულსა მპირდება. – და მაშინ უთუოთ ჰსრულ-ვჰყოფთ ჰაზრსა ამას, ამისთჳს უფრო, რომ მე ორსა სრულსა თთუჱსა ე. ი. ივლისსა და აგვისტოსა ვიქმნები მოცლილ.

გუჯრებისა საქმესა ბეჯითად ვარ შედგომილ, მაგრამ მაბრკოლებენ წევრნი რ˜ლთაცა აქუნან იგინი მინდობილ დასაცუჱლად, მიზეზითა მიწერილებისათა[5] მათდა სინოდისაგან და კანტორისა[6] აქაურისა. მუნ უწერენ ესრეთ: приказали Грузино-Имеретинской Синодальной Конторе предписать указом, допустить Кандидата, Платона Іос. к снятію копіи с хранящихся в архиве ея старинны - а то в копія будут ему указаны Императорскою Академіею Наук[7*] – თუ შეიძლებოდეს ამა უკანასკნელისა ჰაზრისა განსადევნელად მომეწეროს აკადემიიდამ მე რომ განვჩხრეკდე და გადმოვწერდე მათ დოკუმენტთა, რ˜ლთაცა მე დავინახავ საჭიროდ – ისე იქმნებოდა უკეთეს. თორემ იგინი ჰგონებენ რომ მე თჳთოეულისა დოკუმენტისათჳს უნდა საკუთარი მაქუნდეს ქაღალდი და указаніе[**] აკადემიისა.

ადრე მოგეწერათ გვირგვინისათჳს ძვირფასისა ნაპოვ-

ნისა თქუჱნ მ˜რ მოსკოვისა სალაროთა შ˜ა სამეფოთასა, და იწერებოდით რომ არა უწყივო ოდეს იყო იგი მოტანილ რუსეთს. ამისთჳს ვჰპოვე მე რ˜ლ იგი წარმოიღო აქედამ მოსკოვს მეფემან არჩილ 1686ხპ წელსა, და მასთანავე სამსჭუალიცა იგი და სხ. წ˜ნი ნაწილნი, მოსკოვის უსპენის სობოროსა შ˜ა. ესრეთ ვჰპოვე მე აღწერილ წიგნთა შ˜ა რუსთასა ყოფასა ჩემ[ს]ა[8] პეტრებურღს; – ხ˜ რომელთა შ˜ა არა ვუწყი, დამავიწყდა: ვჰგონებ, в Bubliѳoune რუსთა სიძუჱლეთასა.

ალ. სულხანოვსა მეორესა ფოჩტით მოვჰსწერ წერილსა პასუხად მისისა ჩემდა წერილისა, და გთხოვ მომიკითხოთ.

დავჰშთები მარად მონა და მორჩილი
პლატონ
იოსელიანი.[9]

18 V/25.[10] 39
თფილისით[11]

[პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

გთხოვთ მეფის-ძესა თეიმურაზს თაყუანის-ცემა ჩემმიერ მოაჴსენოთ, და უფ. შეგრენს მოკითხუა; წერილსა მალე მოვჰსწერ.

*საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაევალოს განკარგულებით, კანდიდატი პლატონ იოს. დაუშვას მის არქივში დაცულ სიძველეთა ასლის გადასაღებად, ხოლო ასლები მას მიეთითება საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ.
** მითითება

მარი ბროსეტსადმი №17 (17)

უფალს ექსტრა-ორდინარნის აკადემიკოსს
უფ. ბროსსეტს![1]

მოწყალეო ჴელმწიფევ!

დიახ დიდი ხანია წერილი არა რაჲ მიმიღია თქუჳნგან: არ ვიცი რაჲ არის მიზეზი ამისი. მეც ველარ მოვიცალე სემინარიისა საქმეთაგამო ვერა რაჲსა მოწერა. – ახლა მკითხავთ მშჳდობით სუფევისა თქუჳნისა ვისურვებ კუალად გებასა ბედნიერებით სასარგებლოდ ქართუჳლთა პატივისა. აკადემიისათჳს ვაგროებ ძუჳლთა ხარტიათა გუჯრებთასა, და რადგანაც ორთა ამა თთუჳთა ვარ სრულიად თავისუფალ, ამისთჳს ვიმყოფები დიდსა წარმატებასა შ˜ა რ˜ა აკადემიას შეეგროვოს მრავალნი მათგანნი. მცხეთასა შ˜ა მოჴსატულებათა გადმოსახატავად ამ ერთს კვირას შემდგომად მიმყავს მხატუარი, რათა სრულ-ვჰყო სურვილი აკადემიისა და მოლოდება თქუჳნი. – ჩუჳნმა არხიერმა მოისურვა ქონუა ზედა-წარწერათა თქუჳნმ˜რ ქმნილი წიგნი და ჩემ-მიერ გთხოვათ ერთი ექზ.[3] გამოუგზავნოთ. – თუ არ იყოს ესე თქუჳნთჳს ძნელ, გთხოვთ აღასრულოთ ესე. –

უფ. შეგრენს გთხოვ განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივისცემა.

დავჰშთები მარად მზა მსახურებად
აკადემიისა და ჰსწავლათა
პლატონ იოსელიანი.[4]

18ს̃ ივლისსა
1839ს̃[5] წ.
ქ. თფილისით.[6]

მარი ბროსეს ადმი №18 (18)

უფალს ექსტრა-ორდინარნის აკადემიკს[1] ბროსსეტს.

მოწყალეო ჴელმწიფევ!

კარგა ხანია რაც აღარა მსმენია რა პეტერბურღით. მეც ვერ ვიწერებოდი ჴშირად ჯერ ბევრთა საქმეთაგამო, და უკანასკნელ ავათ-მყოფობისაგამო ჩემისა. ციებ-ცხელებამა თუმცა მცირეს ჟამს, მაგრამ დამტანჯა. უწვიმროებისა გამო ჰაერი თფილისისა არის თითქმის მოწამლული. აგერ ოთხი თთუჱ სრულდება წჯმა არა გვინახავს. და აქედამ იწარმოა რომ მრავალნი არიან სნეულნი და მდებარენი თფილისს. – სასიხარულოდ თქუჱნდა, ჩემდა და მრთელისა აკადემიისა გაუწყებთ რომ ვჰპოვე ძუჱლი ისტორია საქართუჱლოჲსა სომხურსა ენასა ზ˜ა[2] აღწერილი. ესე აქუს აქაურს სომეხთა არხიეპისკოპოსს კარაპეტს. ერთი ფურცელი კიდეც გადმოვაწერინე, და მალე მოუხდა წასულა ახპატს. ერთს კვირაზედ მოელიან მას თფილისს; უთუოთ გადმოვაწერინებ და მოვართმევ აკადემიას. ასრეთ უყუარს მას ეს წიგნი, რომ არ მანდობს შინ. მხოლოდ მისსა სახლში მწერალი მიწერს. თჯთ წიგნი თუმცა არის ქაღალდზედ და არა ტყავზედ ნაწერი, მაგრამ მაინც ჰსჩანს სიძუჱლე მისი. ავტორი არა ჰსჩანს ჯერეთ.

გუჯრებისა საქმე კარგად მოდის[3] და არა ვაკლებ მეცადინებასა ჩემსა რათამცა შემწე ვექმნე ძალისამებრ ჩემისა ძიებათა აკადემიისათა. პორტრეტნი ძუჱლთა მეფეთა გადმოვ[ა]ხატვინე[4] ერთს კარგს იტალიიდგან მხატუარს, და მალე გამოვისტუმრებ. გთხოვთ განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივის-ცემა უფ. შეგრენს. სხუას დროს საკუთრივ მოვართმევ წერილსა.

დავჰშთები მარად პატივის-მცემელი
თქუჱნი უმორჩილეს[ი][5] მოსამსახურე
პლატონ იოსელიანი.[6]

1839ს წ.
აგვისტოს 31ს დღესა
ქ. თფილისით.[7]

მარი ბროსეასადმი №19 (19)

ექსტრაორდინარნის[1] აკადემიკს
უფ. ბროსსეტს!

ძალიან დამიგვიანა თქუჳნმან წერილმან, და ვჰსწუხვარ არამც შეუძლოთ ბრძანდებოდეთ. ვჰგონებ ოთხი მომეწეროს წერილი და ვერცა ერთისა მიმელოს პასუხი. სხუჳბრ ბრძანდებოდეთ მშვიდობით, და მე მაინც ვიქმნები კმაყოფილ. ცენზორიდამ არცა ანბანისა, არცა ორთა პოემათა ბილეთები на выпуск в свет* ჯერეთ არა მიმიღია. გთხოვ კ˜დ[2] მიიღოთ შრომა და შემიტყოთ, რ˜ლისა ნომერით, რ˜ლსა რიცხუსა თთჳსასა და ვის საჴელზედ[3] ცენზურამ გამოისტუმრა იგინი.

მოჴაზულებათა მცხეთისა ეკკლესიისათა და სხ. გუჯართა მალე გამოვისტუმრებ. მხატუარი პ˜ლთა ავად გახდა დიდად, და ჯერეთ არ განმრთელებულა, ამისთჳს დაბრკოლდა საქმე, და ესეც უნდა ვჰსთქუა, რომ თჳთცა საკმაოდ ზარმაცი არის. მოხაზულები-არიან მზად, და უნდა შემზადება კ˜დ მცირედი სხუა და სხუა ფერებითა.

სომხურსა ენაზედ ქართუჳლთა ისტორიასა მიწერენ აქა, როგორც ადრე მომიწერია. ვჰგონებ ახალი მრავალი რაჲმე იყოს მუნ. ამასთან გთხოვ თქუჳნგან ნამუშაკევი ახალი რაჲმე წარმოგზავნოთ ხოლმე ძუჳლის ჩუჳულებისამებრ. წილოსანმა მოგიკითხათ; მაგრამ როგორცა ჰსჩანს წერილზედ უნდა ზარმაცი იყოს. – ესეც ვარქუ მას, რომ უფ. ბროსსეტს ასრე მივწერ მეთქი.

ამასთან ჩემი თხოვნა თქუჳნთან ხომ უწყით რაც არის. ნუ გამიწყრებით რომ აქ მინდა განვამეორო და მოგაგონოთცა თქუჳნგან აღთქმული. რადგანაც მოიწია ჟამი აღ-

რჩევისა, ამისთჳს ვჰგონებ არ იყოს უდროვო წინათვე თხოვისა ამისთანას საქმეზედ, რ˜ლიც თქუჷნგან ადვილ შესაძლებელია, შეწევნითა ღ˜ისათა და შუამდგომელობითა თქუჷნისა და უფ. შეგრენისათა. ერთს წერილში ნოემბ. 22. 1838,[4] მწერთ ამას: თუ ამ წელს შესაძლებელი არ იყოს რიცხვისა გამო პატივის-მეძიებელთა და ღირსთა, ვჰსასოებ რომ მომავალს წელს აღესრულება წადილი თქუჷნი.[5] – წელმან მან განვლო: მაშასადამე ამა წელს უნდა მაქუნდეს სასოება რომ მეცა ღირს-მყოს აკადემიამან თჳსისა ჩლენობისა (კორრესპ). – მე კ˜დ გთხოვთ ამაზედ შეწევნასა, და მაქუს იმედიცა ჰსრულ-იქმნას უკეთუ თქუჷნ წადიერ-იქმნებით. – მეცა ვეცდები დავამტკიცო ძალისამებრ ჩემისა ესრეთი წოდება ჩემი; და გარდაგიხადოცა თქუჷნ საკუთრივ ნაცუალ-გებადი.

დავჰშთები მარად პატივის-
მცემელი თქუჷნი
უმორჩილესი მოსამსახურე
პლატონ
იოსელიანი.[6]

ოკდ. 5ს̃ა
1839ს̃ა წელსა
თფილისით.[7]

1840 წლისათჳს ვაბეჭდინებ აქა კალენდარსა ქართულად. მანდეთაც წარმოგივლენთ. გთხოვთ ესე ამცნოთ მეფისძესა თეიმურაზს, და თაყუანისცემაცა მიუძღუნათ ჩემ-მიერი.

[მესამე გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

უფ. ალექსანდრე სულხანოვი მომიკითხეთ.

*გამოსაშვებად

მარი ბროსესადმი №20 (20)

მოწყალეო ჴელმწიფევ!

წერილი თქუჱნი მივიღე და მასთანავე გამოგზავნილნი თქუჱნ მ˜რ[1] ქმნილნი წიგნნი, რ˜ლთაგან ორი მოწერილებისა მებრ თქუჱნისა წარუდგინე მასვე დღესა ექზარხსა. ამა წიგნთათჳს დიდად დაჰშთა მადლობელი, და მიბძანა რომ მადლობა მის-მიერი ამა წერილითა წარმოგივლინოთ. და თჳთცა მოჰსწერს წიგნსა უფ. შეგრენსა და მისისა პირითაცა გამოგიცხადებსთ მადლობასა. ასრე თჳთ მიბრძანა.

ღრამმატიკისა ამბავი ს˜დ არ არის ჩემთჳს საწყინო. მე თჳთ ვიცოდი მისი ნაკლულევანება. მე კრიტიკისათჳს დიახ ვიქმნები მადლობელიცა. – ეს უნდა უწყოდეთ, რომ 1). ღრამმატიკა გავაკეთე აგერ არის 4 წელიწადი, და მიმოვიდოდა აქა იქი; 2). მას ჟამსა ს˜დ არა მაქუნდა თქუჱნი ლიტოღრაფიისა ღრამმატიკა; 3).[2] იყო მიზეზიცა სხუა უმეტეს ამათსა, რ˜ლიცა ადრევე აქ შეგრენისავე ყოფაში საჩივარ იყო და სანანუჱლ ჩემთჳს. შეგრენსაც შევჩივოდი. ამა ყოველთა თჳსსა დროსა ჰსცნობთ ნათლად. დროდმდე იყოს ესე დაფარულ. – ჰსჯობს რომ მევე ვიყო ბრალეულ. – კრიტიკული რაპორტი თქუჱნი ჯერეთ არ მოგუს[ვ]ლია, და იყუჱნით დარწმუნებულ შეუდგები ჭ˜ტთა დარიგებათა და შენიშუნათა თქუჱნთა ესრეთ ვ˜ა ეკადრება ჭ˜ტსა ჰსწავლათა მოყუარესა და არა ვითარცა ამაოდ დიდებისა[3]-მოყუარესა ავქსონსა. – ვიღაც ბეროევი მოსულა და თურმე აქუს მას ჩემთან წიგნი თქუჱნი. ჯერეთ არ მინახავს. – არცა კნიაზ ბარათაევი[4] მოსულა ჯერეთ.

მოხატულებათათჳს მცირედი მომითმინეთ. მხატვარი როცი[5] ავადა-არის,[6] თორემ რათ დავაგვიანებდი. – ერთის სიტყჳთ დიდად იქმნება ჩემთჳს საწუხარი და უკანონო ჩემზედ შენიშუნა აკადემიისა, უკეთუ ამა დაგვიანებასა მიაწერენ სიზარმაცესა და უდებებასა ჩემსა. – მერწმუნეთ, მერწმუნეთ ვარ მღვიძარე და არა რასა ვჰზოგავ აკადემიისათჳს. – მალე

კ˜დ დამტკიცდებით ამა ჰაზრში.

რაჲცა მოგეწერათ ყოველივე თჳსსა დროსა მოვა ჩემ-მიერ აღსრულებაში სასოებითა ღმერთსა ზ˜ა.[7]

დავჰშთები პატივის-ცემითა თქუჱნდა
ვ˜ა პირუჱლისა და უპირუჱლესისა
ქართუჱლისად
უმორჩილესი მოსამსახურე
იოსელიანი
პლატონ.[8]

1839სა წ.
ოკდ. 26სა
თფილისით.[9]

[პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

უფ. შეგრენს გთხოვთ განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივის-ცემა. რაც წარსრულს წერილში მოგაჴსენეთ და გთხოვეთ, – გამაბედნიერეთ მათისა აღსრულებითა.

[IV გვერდზე ადრესატის მისამართი წერია:]

Императорской Академіи

Наук, Экстраординарному Академику,

Г. Броссе![10]

в С. Петербурге,[11]

На Васильев. острове в

7ой линіи, в дом Академіи.

მარი ბროსეტსადმი №21 (21)

მოწყალეო ჴელმწიფევ!

წერილნი თქუჱნნი მივიღენ, გარდა ერთისა, რომელიცა წარმოგეგზავნათ ვისღაცას[1] ჴელითა,[2] რ˜ლისაცა[3] საჴელი თქუჱნცა არა გახსოვსთ. – დაგიგვიანე პასუხი ამისთჳს რომ მცხეთისა მოხაზულებათა ველოდი გამოგზავნასა. – ერწმუნეთ ჭ˜ტსა, უცთომელსა და წმინდისა სვინიდისისა სიტყუასა რომ აკლია შესრულებასა მცირე რაჲმე. ველოდი შესრულებასა და არ იქმნა. გუშინ ვიყავ მხატუარს როცისთან,[4] და მომცა ფიცი სარწმუნო რომ მეორისა ფოჩტისათჳს მოგიმზადებო. ვეცდები თუ არ მომატყუა (და არა მგონი[ა][5] რომ კიდევ მომატყუოს), მეორესა ფოჩტით მოგართუათ და მათთანა გუჯრებიცა, რ˜ლთაცა თეთრად ვაწერინებ, – და შავად მრავალნი მაქუნან გადმოწერილნი. – თუმცა ძნელია გადმოწერა მათი სიძუჱლეთა-გამო, მაგრამ არა ვჰზოგავ თავსა ჩემსა შრომისაგან რომ ჰსრულ-ვჰყო კეთილად და წარმატებით ესე ვ˜რი მინდობილება აკადემიისა, და მათთჳს ნაცუალ-გებადსა არცა რასა ვიკადრებ რომ ვჰსთხოვო აკადემიასა. ეს იქმნება ჩემთჳს დიდი სირცხვილი ამისთჳს რომ საკუთრად ეკუთვნის ჩემსა მამულსა და სარგებლობასა მისსა. – გთხოვთ აღთქმა თქუჱნი ჩემზედ, მიუხედველად ყოველთა გარემოებათა ჰსრულ-ჰყოთ, და არა გარდაჰსდუათ შემდეგისა წლისათჳს. ნუთუ[6] ბროსსეტს, შეგრენს და კუპპენს არა ძალ-უძსთ ქმნა ამისი?

წარსრულისა ფოჩტით მოგართვით 30 კალენდარი ქართული ჩემ-მიერ აქ აღბეჭდილი. კალენდარი შეიცავს ხუთსა თაბახსა დაბეჭდილსა, და ესე ჯერეთ პირველს შემთხუჱვაზედ კმა-არს. – დავაბეჭდინე 600 ეკზ. მათთანავე მოგართვი ერთი თეიმურაზისა დიდისა ფული, არა მეორისა, რ˜ლიც თქუჱნ არა გაქუსთ. ესეცა იდუმალ, რ˜ა არა ეცნა უფ. ბარატაევს[7] თორემ კოპიოსა მანდ გამოგზავნიდა, და ნამ-

დვილს თჳთ მიიღებდა. თუ დაჰსწერთ მისთჳს რაჲმე, მოიჴსენეთ რომ არა ეხლა, ა˜დ ადრევე გამოგიგზავნეთ მე[8] თქუჷნ იგი. გარდა ამისა მათთანავე გამოვისტუმრე ორი რუჷული ქართუჷლთა ისტორიისა სომხურსა ენასა ზ˜ა. იგი არის დაწერილი IV სა საუკუნესა შ˜ა ღევონტისა[9] მ˜რ (ვჰგონებ პატრიარხად ყოფილისა სომეხთა შ˜დ გრიგორი განმანათლებელისა) მოწაფისა გრიგორისსა[10] ბრძანებითა ამა უკანასკნელისათა აღწერილი. – წარიკითხეთ და თქუჷნი ჰაზრი მიბრძანეთ, და რუჷულები თუ გენებოსთ თქუჷნ შეინახეთ, და მე შემდგომთაცა გამოვისტუმრებ.

აკადემიკი შეგრენ პატივის-ცემით მომიკითხეთ,[11] პასუხსა მის წერილზედ მალე მოვიწერები. ალექსანდრე სულხანოვისაცა მომივიდა წერილი და მასცა მალე მოვჰსწერ წერილსა.

ღრამმატიკისა პასუხი ჯერეთ არ მომსულია.[12] ვეცდები თუ მევე მომანდუჷს პლანისა მებრ[13] თქუჷნისა შედგენასა.

სხუჷბრ დავჰშთები მომლოდნე თქუჷნისა
პასუხისა და სასიამოვნოთ ჩემთჳს
აღთქმულისა თქუჷნმიერ ჰსრულყოფის
უმორჩილესი მონა და მოსამსახურე
პლატონ
იოსელიანი.[14]

ნოემბ. 30 სა
1839 სა წ.
ქ. თბილისი.[15]

კ. ბარატაევმან წამაკითხა თქუჷნთან მოწერილი წიგნი. დიდად მწყალობს და ჴშირად ვარ მასთან. ჯერეთ ავათ არის ფეხისა ტკივნეულებითა. კ. ალექსანდრე ჭავჭავაძემან და კოცებუმან მოგიკითხათ. – წილოსანი იმერეთს[16] წავიდა აგერ ერთი კვირა არის.

მარი ბროსეს ადმი №22 (22)

ეკსტრაორდინარნის აკადემიკს
უფ. ბროსსეტს.[2]

მოწყალევ ჴელმწიფევ!

წარსრულისა ფოჩტით მოგართვი წერილი, რ˜ლითაცა[3] უეჭუჱლად ელით მოხატულებათა მცხეთისათა. ერწმუნეთ უტყუელსა[4] სიტყუასა რომ ვერ მოასწრო კიდევ მხატუარმა თეთრად გადაღება მათი, და კიდევ გარდასდუა მეორისა ფოჩტისათჳს. ამაზედ იყუჱნით დარწმუნებულ რომ უთუოთ მალე შევასრულებინებ, და ვჰსთხოვ ხუალე რომ კ. ბარატაევი ნახოს და ესეც ეტყვის შესრულებისათჳს. მათთანავე გამოვისტუმრებ გუჯრებსაცა.

სომხურსა ენაზედ ისტორია ქართუჱლთა იწერება; თუმცა წარსრულს ფოჩტით, მძიმით[5] გამოვისტუმრე; მაგრამ ფოჩტამ უკანვე დამიბრუნა, რომ მანუსკრიპტი არ წაიღებაო. ამისთჳს 30 ეკზ. კალენდარი და 1 მონეტა თეიმურაზისა 1[ხი] მძიმეს ფოჩტით წამოვიდა; და 2 რუჱული ქართ. ისტორიისა სომხურად ფოჩტითა[6] ეკსტრათი ამა წერილთან მიიღებთ. თუმცა ძვირად მიღირს ამისი გამოსტუმრება, მაგრამ მოგეცით სიტყუა და მგზავრსა ველარავის ვანდე, რომ არ დაგვიანებულ-იყო. – გარდა ამისა ვჰპოვე სომხურსა ენაზედვე ისტორია სომხითისა, აღწერილი სტეფანე ტარონელისაგან. ვჰგონებ წ[იგნი] ესე იყოს ჯერეთ უცნაური აკადემი[ისა]თჳს. ამისთჳსცა მომწერეთ რაჲმე.

კალენდარნი, უკეთუ თქუჱნ არა გქ[ონ]დესთ დრო – გთხოვთ უბოძოთ ალექსანდ[რე] სულხანოვს და ისი დაარიგებს ესრეთ:

1. დედოფალს იმერეთისას მარიამს 1. +
2. მეფის-ძეს ბაგრატს – – 1. +
3. 4. 5. 6. – თეიმ. ფარნ. მიხ. ოქროპ. – – 4. +

7. 8. ლუარსაბს და დიმიტრის იულონისა ძეთა 2. +

9. მეფის-ასულს რიფსიმას – – 1. +

10. 11. კნ. ალექსანდრეს და დიმიტრის ბაგრატიონთა 2. +

12. ღენ. ზაქარია იოსელიანს – – 1.[7]

13, 14, 15. ირაკლის, ალექსანდ. და გიორგის ბაგრატიონთა კონსტანტინესა ძეთა – 3. +

16. კნ. ივანე ორბელიანს (უფ. ნათლიას) 1.

17. ალექს. სულხანოვს – ჩემის გულისათჳს +
დაარიგებსცა – – – – 1. +

18. 19. მეფის-ძისა ბაგრატისა ძეთა დავ. და ალექს. 2. +

20. დავითს ჩუბინოვს – – – 1. +

21. მიხაილ იზმაილოვს – – – 1.

22. 23. 24. აკადემიკთა: ჭრენს,[8] შეგრენს და ბროსსეტს 3. +

25. კოცებუმან მიართუა აკად. კეპპენს 1. +

5 დანაშთენნი ვისდაცა გენებოსთ უბოძეთ.

ჯერეთ ქართულთა ფულთათჳს ნურას დაჰსწერთ: ვეცდებით ვჰპოვოთ სადამე კიდევ. ბარატაევმა იპოვა ორი ჯერეთ უცნობი თქუჱნთჳს ფული: ერთი სხუა გუარი თამარისი, და ერთიცა სხუა გუარი ირაკლის[ი] IIსი. კოპიოთა მალე გამოგზავნის. კიდევ სულ-სხუა-გუარსა თამარისსა ფულსა ვეცდებით გამოვართუად[9] მთავარსა დადიანსა ესრეთისა წარწერითა:

თ.
– – –
მ. – ს.[10]

ჯერეთ არის იგი სამეგრელოს დიდსა მწუხარებასა შ˜ა სიკუდილისა გამო დედისა თჳსისა.

ამასთანა მდებარე წერილი გთხოვთ უბოძოთ აკად.

შეგრენს.

დავჰშთები მომლოდნე სასიამოვნოჲსა ჩემთჳს უწყებისა,[11] და
წერილისა თქუჳნისა
უმორჩილესი მონა და მოსამსახურე
პლატონ
იოსელიანი.[12]

დეკ. 7სა
1839სა
თფილისით.[13]

აგერ ერთი თთუჳ არის წარვადგინე კიევის აკადემიისა კონფერენციაში ჩემგან შედგენილი რუსულსა ენაზედ ისტორია ქართუჳლთა ეკკლესიისა;[14] ვჰგონებ მალე გაისტუმრებენ კიევიდგან პეტრებურღს უფ. ობერ-პროკურორთან უწმ. სინოდისა; – შესაძლებელია თქუჳნ გამოგიგზავნონ განსახილველად. წიგნი ჩემი შეიცავს 27სა თაბახსა დაწერილსა.

1840

მარი ბროსესადმი №23 (23)

მოწყალეო ჴელმწიფევ
უფალო ბროსსე!

მომივიდა ორი თქუჱნი წერილი. ვჰგონებ მრისხანებთ პასუხისა დაგვიანებისათჳს. ესე მიქმნა სირცხჳლმან რომ მცხეთისა კარტინები ვერ გამოვჰგზავნე. რა ვჰქმნა? შემიბრალეთ და მომითმინეთცა.[1] მეორის ფოჩტით სრული იმედი მაქუს გამოვჰგზავნო. ორი კიდევ დაუშთა მხატუარს შეუსრულებელი. – ვიმოწმებ კნ. ბარათაევს და მრთელსა თფილისსა რომ გადავეკიდე ამისთანას ცრუსა მხატუარსა. მათვე ველი რომ გუჯრებიც მოგართუა.

ღრამმატიკა მომივიდა (ფებ 23[სა]),[2] დიდად მადლობელი ვარ შემეცნებათათჳს, რ˜ლთაგანი[3] ნამდჳლნი არიან და სხუათა-თჳს უნდა ჩემი რეზონები მიიღოთ, რომ უკეთესი რამე ვჰქმნათ, შემდეგ გაუწყებ[4] ამათ-თჳს.

კნ. ბარათაევმა მოგიკითხათ; ავად არის ფეხისა დაჭრილობის მიზეზითა.

წილოსანი მოდის: ერთს თთუჱზედ ნახავთ მას პეტერბურლს, ამ თქუჱნს ზარმაცს მეგობარსა (ამაზედ კი არ გაჯავრდეს: მეგობრობითა ვიტყჳ): იმერლები ფხუკიანები[5] არიანო არის ძუჱლადვე თქმული. –

ჩუბ. წერილი ბიძასა მისსა მივეც; უშველეთ რამე მაგას რომ ადგილი იშოვნოს коронной службы,* მანამ გაჩნდება აქ ვაკანცია: ჯერეთ კი არსადარის. – ეგ აქა საჭირო იქმნება: ერთად ჩემთანა ვიქმთ რასამე კეთილსა. მინდა თჳსსა დროსა პანსიონისა გახსნა, სტამბისა გამართუა, ჟურნალისა ბეჭუდა და სხ. თუ ღ˜ი დააგვირგვინებს ჰაზრთა ჩემთა.

კნ. ბარათაევი განმდიდრ[დ]ა მონეტებისა შოვნითა. მერწმუნეთ ნუმისმატიკისათჳს დიდად საჭირო კაცი ყოფილა

ესე. – მღალავს ბევრის ჩიჩინით.[6]

აკადემიისათჳს მაქუს საჩუქარი კარგი: ჰაზრი ჯერეთ ახალი, არა ვისაგან ქმნილი, სრულებით свежій** როგორც ახალი თევზი. თქუჱნც მოიწონებთ. მაგრამ ჯერ არ შესრულებულა, და ამისთჳს არ გეტყჳთ. ესე იყოს თქუჱნთჳს საიდუმლოდ! –: ერთს თთუჱს შემდეგ გაცნობებთ და გამოვჰგზავნიცა. ესე იქმნება

არც ქაღალდი, არცა წიგნი
არცა ჩემი, არცა შენი
ყოველთათჳს საჭირონი
სამუდამოდ დასაშუჱნი.[7]

გამოიცანით რა?[8]

[სტრიქონების მარცხნივ ხაზია ჩამოსმული და უკუღმა მინაწერია:]

NB. არა ეძიოთ ამა ლექსებში პოეზია!

გთხოვთ თქუჱნგან დაბეჭდილები ყოველივე ახალ-ახალი მიგზავნოთ ფურცლებით ჩუჱულებისამებრ. ბულლეტენს დავიბარებდი, მაგრამ აინოინები არიან მუნ, და არ გახლავარ არცა კარგი, არცა ცუდი მატემატიკოსი და რად მინდა.

ჩივით ქართუჱლებზედ რომ ყურს-არ უგდებენ თქუჱნს ლექციებსა.[9] თქუჱნ ვერ იცნობებთ[10] ამა საყუარელთა ჩემთა მონათესავეთა. მე ასრე ვჰგონებ ესრეთ, ყოფილან მარადის. ნახეთ იგინი აქა და ჰსცნობთ უფრო მეტსა. აქა გუჱჭირება მოთმინება: possèdez votre âme par notre patience.***

თქუჱნი უმორჩილესი და უერთგულესი
მოსამსახურე
პლატონ იოსელიანი.[11]

თებ. 29ბბ
1840 წ.

თფილისით[12] – მრთელი ფებერუალი ცივით, ყინვიანით და თოვლიანით, – და ტალახიანითცა.[13]

ათონის მთასა შ˜ა წიგნთა სია ვჰგონებ გამოვჰგზავნე. არ ვიცი როგორ მოხდა ესე, ვაწერინებ მეორეთ რომ გამოვისტუმრო მალე.

გთხოვთ Андрей Михайлович Г. Шёгрен მომიკითხოთ. ვეცდები მალე მოვჰსწერო წერილი. А черепа для Академика Кёппена уже отысканы. У Коцебу их 2, двух лучши[x] разбойников Закавказья. А я имею в виду 4 Груз.[14] которы[x] скоро достанем – на верно.[****]

NB. გთხოვთ ამასთანავე მდებარეთა წერილთა პაკეთები უქმნათ და ისრე გაისარჯოთ და მიაწოდოთ.

[l გვერდის მარცხენა არშიაზე უკუღმა მინაწერია:]

გთხოვთ ბატონის-შვილს თეიმურაზს ჩემ-მიერ თაყუანის-ცემა განუცხადოთ.

[*]სახელმწიფო სამსახურში (თუმცა ავტორს ნათესაობითი ბრუნვის ფორმით აქვს მოცემული. ქ. გ.).

[**] ახალი

[***]იყავით მშვიდად ჩვენი მოთმინებით (ფრ.)

[****] თავის ქალები აკადემიკოს კეპენისათვის უკვე მოძიებულია. კოცებუს აქვს 2, ამიერკავკასიის ორი საუკეთესო ყაჩაღის. ხოლო მე მხედველობაში მაქვს 4 ქართ. რომელთაც მალე მოვიპოვებთ – ალბათ.

მარი ბროსესადმი №24 (24)

მოწყალეო ჴელმწიფევ
უფალო ბროსსე![1]

დიდად მრცხუჱნის რომ ესრეთ ცრუდ გამოვდივარ თქუჱნთან. მაგრამ არა მრწამს რომ ესრეთი ცუდი ჰაზრი მი-

იღოთ ჩემთჳს. გარდავეკიდე ერთსა ცრუსა მხატუარსა და დამღალა ბევრის სიცრუვითა. – რა ვქმნათ უნდა მომითმინოთ. მცირეღა დაჰშთენია მას შესრულებისათჳს თჳსისა შრომისა. ვჰგონებ ამა წერილისა მოსულამდინ მიიღოთ კიდეც ფოჩტით და მასთანავე ერთად გუჯრებისა კოპიონი. – ამისა მომტანი თჳთ გიამბობსთ ყოველსავე ნამდჳლსა გარემოებასა ამა საქმეთა.

სხუჱბრ დავჰშთები მარადის
თქუჱნი პატივის-მცემელი და
რადგანაც მიწოდებთ მეგობრად –
თქუჱნი სულითადი და გულითადი მეგობარი
პლატონ იოსელიანი.[2]

მარტ. 14[სა]
1840 წ.
თფილისით.[3]

[I გვერდის მარცხენა არშიაზე უკუღმა მინაწერია:]

Андрею Михайловичу Г. Шёгрену приношу нижайшій поклон[4] сердца, всегда ему[5] преданнаго.[*]

[*] ბ[ატონ] ანდრეი მიხეილის ძე შეგრენს ჩემი გულითადი მოკითხვა, დავშთები მარად მისდამი ერთგული.

მარი ბროსეს მიმართ №25 (25)

მოწყალეო ჴელმწიფევ
უფალო ბროსსე![1]

დაგიგვიანეთ წერილი. ესე მიყო მე სირცხჳლმა, რომ

ვერ მოვართვი აკადემიასა მეფეთა სახენი. – ძლივს ამ უნამუსომ ევროპელმა შეასრულა, და შინა მაქუს. მაშასადამე აღარასი მეშინის, და განვთავისუფლდი სირცხჳლისაგან. ორშაბათს ე. ი. 15 ამ თთუჱს უთუოთ გამოვისტუმრებ. – ფასი არ მოუნდა იმდონი, რაოდენსაცა მე ვჰგონებდი. წაყუანა მხატვრისა მცხეთად, მისთჳს პროგონის ფული, მუნ მისი გამოზრდა, და შესრულება მოხატულებათა მიღირს 120 ასიგნაციად. – მე არცა ამისას ვიკადრებდი უკან თხოვასა, თუ აწინდელსა ჟამსა არა იყოს ჩემთჳს ფული საჭირო. ამისთჳს გთხოვ მოახსენოთ ყ˜ივე[2] აკადემიასა და პასუხი გვიბძანოთ. მასთანავე გამოვგზავნი გუჯრებისა კოპიოთა მცხეთისა ეკკლესიისად კუთვნილთა და მეტსა ნაწილსა უძუჱლესთა. შემდეგთათჳს მაქუს კ˜დ ზრუნუა არა მცირე და მრავალნი გარდმოწერილნი მაქუნან ჯერეთ შავად.

ღრამმატიკა ქართული დავაბეჭდინე. ვჰგონებ მოიწონოთ. შემეცნებათა თქუჱნთა ვერ მოუსწრეს დასაბამსავე ბეჭუდისა, ამისთჳს ვიეთნიმე ადგილნი არიან გასასწორებელნი. პ˜ლი ნაწილი გამოუგზავნე ობერ-პროკურორს ღრაფს პროტასოვს, მეორე და მესამე ორს კვირას შემდგომად გამოუგზავნი.[3] მე ვჰსთხოვე მას რ˜ა ინებოს და დროდმდე გასწორებისა და გამართვისა ქართულისა ღრამმ. с русским переводом,[*] იხმარებოდეს სემინარიასა შ˜ა. უთუოთ მოაწევს თქუჱნამდე, და თქუჱნ გიყუარსთ (მოუტევეთ მეგობრობასა ესრეთი თქმა) ჩქარად დაწუნება შრომათა. ყ˜ლნი კაცნი ადჳლ დაიწუნებიან; გარნა არა ყოველნი მალე მოიწადინებენ ესრეთსა მოქცევასა. დაწუნება მეტი და უადგილო ავნებენ ყ˜ლსავე, ხ˜ მეტი ქება,[4] იტყჳს ციცერონ, არარასა, არამედ უფროსცა შეეწევის.[5] – ამა ახლად დაბეჭდილისა ღრამმატიკისა ეკზემპლართა შესრულებისა შ˜დ მაშინვე მოგართმევთ.

აკადემიკს კეპპენს უშოვნე ახალის სირიისა ერთა საუბარისა ლექსნი და წერილიცა მათი. კოცებუმ გამოუგზავნა, ვჰგონებ მიიღებდით.

დაპირებული აკადემიისათჳს სასარგებლო რამე ჯე-

რეთ არ არის შესრულებული.

დავჰშთები მარადი პატივის-მცემელი თქუჱნი
უმორჩილესი მოსამსახურე[6]
პლატონ იოსელიანი.[7]

1840 წელსა[8]
აპრ. 11ს
თფილისით.[9]

აკადემიკს შეგრენს განუცხადებ დიდსა პატივის-ცემასა.[10]

*რუსული თარგმანით

მარი ბროსეასადმი №26 (26)

Г. Броссету.[1]

მოწყალეო ხელმწიფევ![2]

წერილი თქუჱნი დიდი ხანია მივიღე, მაგრამ მიზეზი უპასუხობისა იყო ავათმყოფობა ჩემი, და შემდეგ სოფელში ყოფნა;[3] გთხოვთ არ გამიწყრეთ ამაზედ. – ღრამმატიკა ჩემი განიხილეთ თუ არა, მაცნობეთ.

მცხეთისა პორტრეტთათჳს სურვილისამებრ თქუჱნისა შეიმეცნეთ შემდგომი:

1. დედოფალი მარიამ[4] – მეუღლე როსტომ მეფისა შვილითურთ არის დახატული მარჯუნივ საპატრიარქოს სადგომის სუჱტის გუჱრდზედ. თჳთ დედოფალიცა ესე განმაახლებელი მცხეთისა გუმბათისა სუჱტისა წინ მარხია.
2. მეფე ვახტანგ[5] ჰსჯულის-მდებელი მისს პირის პირ

მეორესა[6] მარცხნივე სუჱტსა ზედა.

3. მირიან[7] სუჱტსა ზ˜ ა[8] სამირონესა.

4. ვახტანგ გორგასლანი[9] მარჯუნივ[10] სუჱტსა ზ˜ა პირუჱლსა შესავალისა კარიდგან ეკკლესიად.

5. ალექსანდრე სუჱტსა[11] ზ˜ა საშუალსა მარჯუნივე.

6. მეფე ბაგრატ[12] პირის-პირ მისსა მარცხენესა[13] სუჱტსა ზ˜ა.

7. ორნი ქალნი.[14] ესე გადმოვახატვინე მხოლოდ კოსტუმისათჳს. – კედელზედ მარჯუნივ ახლოს საკურთხეველისა არის წარმოდგენილი კარტინად ფსალმუნი დავითისა: აქებდით უ˜ა[15] საზოგადოდ ცნობილი საცისკროდ ლოცუად, და მუნ ორნი და სხ. ქალნი არიან დახატულნი მოთამაშენი[16] და სხ. მეფენი და დედოფალნი ჴელ-ფეხ-დაბორკილებულნი[17] სიტყუათამებრ მეფსალმუნისა. – მეტად დიდი და მრავალ-პიროვანი იყო კარტინა ესე და ვერ გადმოვაღებინე.

ფული 42 თეთრი მივიღე. პასუხიც მოვჰსწერე უფ. ჶუსსა. მაგრამ მეწყინა რომ მეტი გამოგეგზავნათ ჩემგან დანიშნულზედ.

გუჯრები გროვდება და გამოვისტუმრებ თავისს დროზედ – დარიგებისამებრ თქუჱნისა.

გამოცანად მოწერილი ამბავი მალე განცხადდება და მოგართმევთ – ორს კვირას შემდგომად.

საქართუჱლოს ისტორია სომხურად ნაპოვნი გადმოწერილი მაქუს. მასცა გამოვგზავნი. – დიდად სასარგებლო არის ისტორიისათჳს და თჳთ წიგნი იშვიათი.

სტეფანე ტაროსისაგან ქმნილი ისტორია ჯერეთ არარის გადმოწერილი. ვეცდები მისსა შესრულებასა.

ქართული ლექსიკონი გამომიგზავნეთ.

უფ. შეგრენი პატივის-ცემით მომიკითხეთ.

თქუჱნი პატივის-მცემელი
მორჩილი მოსამსახურე

იოსელიანი
პლატონ.[18]

აგვისტოს 1[ა]
1840 წ.
თფილისით.[19]

კ. ბარათაევი ავად არის ძალიან.[20]

მარი ბროსესადმი №27 (27)

მოწყალეო ხელმწიფევ[1] და მეგობარო
უფ. ბროსსე!

ამასწინათ მოგწერეთ წერილი, რ˜ლითაცა[2] გაუწყეთ მოკლედ ადგილთა-მდებარეობა მხატურობათა მათ, რ˜ლნიცა ადრევე გამოვისტუმრე. დამაკლდა მოწერა ამისი თუ რ˜ლთა საუკუნეთა შ˜ა არიან იგინი დახატულ. ვიეთნიმე მხატურობათა მათგანი არიან ძუჭლნი, და ვიეთნიმე ეკუთვნიან დროსა, ოდესცა მთავრობდა ანუ მეფობდა საქართუჭლოსა შ˜ა მეფე ალექსანდრე. ამა დროჲსა მხატუარნი იყუნენ რუსნი.[3] ამისა დასამტკიცებელად იხილეთ ისტორია კარამზინისა ტომი იგი, რ˜ლსაცა შინა არის მეფობა ბორის ღოდუნოვისა, შემეცნებათა-შ˜აცა[4] (Scholia)* – მუნ ჰპოვებთ სახელთა თჳთ მხატუართაცა რუსეთიდამ საქართუჭლოდ მოსრულთა. მეფეთა უწინარეს ალექსანდრესა მყოფთა პორტრეტნი უფრო არიან ძუჭლად დახატულნი და დროთაგან წაბღალულნიცა და ფერმკრთალნი. ხ˜ ოდეს დაიხატნენ არა ჰსჩანან.

ამასთან ერთად გამოვისტუმრე მძიმეს ფოჩტით ადრევე სიმვოლიკად აღთქმული საჩუქარი. ესე არის ქართული ახალი შრიფტი ნუსხური. გთხოვ აკადემიას მიართოთ ჩემ-მიერ. რაც შეიძლება კარგნი არიან პ˜ლ შემთხუჭვისათჳს, და

საჭიროცა იქმნება აკადემიის ტიპოღრაფიისათჳს. თქუჳნ იცით რომ ჯერეთ ნუსხური არა გუქონია ქართულად სტამბათა შ˜ა ხმარებული. ეს ასოები ამანათად გამოსტუმრებული და ეს წერილი ერთად მოვლენ. ამანათზედ აწერია თქუჳნი სახელი, მაგრამ მეშინიან გზაზედ არ იყოს წაბღალული. ამისთჳს გთხოვთ თჳთ თქუჳნ[5] მოიკითხოთ ფოჩტაში Посылка с тяжелою почтою от 26 Августа, в белой коже, весом 2 фунта.[**] – ასოებისა მარცუალთათანა ჰპოებთ ნუსხისათჳს სახმართა ქარაგმათაცა. მაგალითად მცირე დაბეჭდილი კუპლეტი აქავე მდებარებს ამა წერილთან. პ˜ლ შემთხუჳვაზედ არ არიან ასოები დასაწუნებელნი.

მალე გუჯრებსაც კიდევ მოგართმევთ.

მოგეწერათ რომ შემიძლიან ფოჩტით უპოშლინოდ მოწერა წერილთა აკადემიისა სახელზედ. აქა ფოჩტაში ვერ გაბედეს. ამისთჳს თუ ადვილი იყოს აკადემიისათჳს, გთხოვ ჰსთხოვოთ აკადემიას, чтоб она по Почтамтскому ведомству сделала об этом свое распоряженіе[***] და გაადვილდება საქმე.

ბატონის-შვილს თეიმურაზს გთხოვ განუცხადოთ ჩემმიერი[6] პატივის-ცემა. ეგრეთუჳ აკადემიკს შეგრენს.[7]

დავჰშთები მარად თქუჳნი,
იოსელიანი პლატონ.[8]

სეკდ. 5ს დღესა
1840 წელსა
თფილისით.[9]

[III გვერდზე, ზემოთ, დიდი ასოებით უწერია:]

ჩლენობა!?

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Императорской Академіи

Наук Экстраординарному Академику

Г. Броссе[10]

в С. Петербурге.[11]

На Васильев. остр. в 7ой

линіи, в доме Академіи.

[ქვეშ ამავე ფერის მელნით მიწერილია:]

38.

*სქოლიო

** 26 აგვისტოს გამოგზავნილი მძიმე ფოსტის ამანათი, თეთრ ტყავში, წონა 2 ფუნტი.

*** რომ მან საფოსტო უწყებაში გამოსცეს ამის შესახებ თავისი განკარგულება.

მარი ბროსესადმი №28 (28)

მოწყალეო ჴელმწიფევ!

ჩემის წერილისა პასუხი დიდად დამიგვიანეთ და ამასაც ვჰსწუხვარ არამც ჰსჯავრობდეთ რაზედმე. მე ვერ მოვიწერე წერილი მალე აღთქმისამებრ ამისთჳს რომ უეცრად მოგვივიდა რევიზორი დანიშნული რეზანიდამ (რეკტორი რეზანის სემინარიისა არხიმანდრიტი ათანასი). გამოიძია ყოველივე და გუშინ წამოვიდა უკანვე: ჩემგან დიდად დარჩა მადლობელი და აღმითქუა კარგი რეკომენდაცია. ესეც კმარა!

ალექსანდრე ჭავჭავაძისა ყმებთა ეპოვნათ ძუჱლი

ცეცხლის-თაყუანის-მცემელთა კერპი ნაფარეულის სოფლის ტყეებში და მოვატანინე ჩემთან. მაგრამ არ დამანება მისმან სიძემ დავით დადიანმან რომ გამომეგზავნა თქუჱნთჳს. თჳთონ წაიღო სამეგრელოს. რა არის იკითხავთ. მე მოვძებნე სახე მისი წიგნსა შ˜ა,[1] რ˜ლსაცა ეწოდების Образованіе Древних Народов Соч. Бардона* (წიგნი ფრანციცულიდამ თარგმნილი და დაბეჭდილი ს. პ. ბ. 1796ჩჽ წელსა) და ვჰპოვე რომ არის ღრიჩონი,[2] მჰსგავსი იმა მოხატულობისა რ˜ლიცა იპოვების ხსენებულსა წიგნსა შ˜ა III ტომისა 185ჩჽ გუჱრდსა, გარნა კუდი არა აქუს აბზეკით როგორც მხატურობაში ჰსჩანს და არცა უპყრიეს ფერჳითა თავი სამსხუჱრპლო.[3] თჳთ კერპი არის გუამით ლომი და პირითა არწივი; ფრთეთა შ˜ს აქუს გაგდებული ცილინდრი, უეჭუჱლად დასაკიდებელად ამისთჳს რომ ამა ცილინდრსა უპყრიეს ჰსწორე ბალანსი. თავის კეფასა ზ˜ა ჰქონიეს სახურავი დროთაგამო მიწაში დაკარგული. თჳთ კერპი იქმნება სიგრძით ნახევარ-ადლი რუსული; მუცელთან სიგანე დიამეტრით ექუსი ვერშოკი რუსული. თჳთ არის ჩამოსხმული[4] ბრონზი, შინათ ცარიელი და გარე კარგის ჴელოვნებისა. დროთაგამო ფერჴთა მწუჱრვალნი დამტურევია. ყ˜დი კერპი არის წონით რუა გირვანქა რუსული.

საულ-დავითიანი მოვატანინე თელავით და ფულიც გამივიდა მის მოტანაზედ. ის არის წიგნი ს˜დ უქმი და უხმარი. რა ჰსწერია? ისტორია დავით მეფისა და საულისა ანუ გადმოწერილი დაბადებიდამ ორი წიგნი მეფეთა.[5] – მასვე კვირასა გავუგზავნე[6] თელავსა.

ისტორია ქართუჱლთა სომხურად ნაპოვნი მაქუს მზად. ნახევარი მეტი მაქუს ნათარგმნი რუსულად; გავათავებ და მოგართმევ. – სომხური ისტორია ჯერეთ არარის გადმოწერილი. აგრე ადვილი არ[7] არის მწერლისა შოვნა.

მომავალისა[8] წლისათჳს ვიწყე ბეჭდუა კალენდრისა დამატებაებით თქუჱნისა რჩევისამებრ. დაიბეჭდება და პ˜ლისა ფოჩტით გამოგიგზავნით.

აკადემიისათჳს ვჰგონებ იქმნება საჭირო 200 წიგნთა

კოლლეკციისა[9] ქართულისა ენისა ქონუა.[10] იყიდის თუ არა შემატყობინეთ. მათ შ˜ს არიან ძუჱლნი ტყავზედ ნაწერნი წიგნნი – რიცხჳთ ოცნი. აქ ვაჭრობდა კონსული ფრანციისა და შევაყენე საქმე. აგერ სამი დღე არის რაც მოვატანინე იმერეთის ვანის[11] მონასტრიდამ წიგნად შეკრული ბერძენთა ეკკლესიისა წ˜თა ხატნი; ამათ შ˜ს არიან სახენი საკმაოდ კეთილად ნახატნი შემდგომთა ქართუჱლთა წ˜თა:

1. დავით და კონსტანტინე
2. აბიბოს ნეკრესელი
3. ილარიონ ქართუჱლი
4. ანტონი მარტომყოფელი
5. ევთიმე მთარგ[მ]ნელი
6. არჩილ და ლუარსაბი
7. იოანე ზედაძნელი[12]
8. დოდო და დავით გარესჳ.
9. პეტრე მაიმუსელისა
10. აბო
11. დავით III მეფე
12. ბიძინა
13. რაჟდენ.
14. ქეთევან დედოფ.
15. წ˜ა ნინო.

ჰსჩანს რომ, წიგნსა შ˜ა ამას სხუათაცა წ˜თა ყოფილან სახენი, გარნა წიგნისა მტერთა ამოუხევიათ. – წიგნი უნდა იყოს საკმაოდვე ძუჱლი, და მხატურობა ბერძული. ამათთჳს ვეცდები რომ გადმოვახატვინო აკადემიისა-თჳს და გამოვაგზავნი თჳსსა დროსა.

წერილი არ მომსულია თქუჱნი, არვიცი რა მიზეზია აგერ ორი თთუჱ მეტიარის.

დავჰშთები მარად თქუჱნი
პლატონ იოსელიანი.[13]

ოკდ.10ბა
1840 წელსა
თფილისით.[14]

*ძველი ხალხების განათლება, შედგენილი ბარდონის მიერ.

მარი ბროსეს ადმი №29 (29)

მოწყალეო ჴელმწიფევ!

წერილნი თქუჳნნი მივიღე; ერთი ფოჩტით და მეორე ჯანდიეროვისა ჴელითა. თხოვნილი თქუჳნგან ისტორია ქართუჳლთა სომხურსა ზ˜ა[1] ენასა მოგართვი წარსრულისა მძიმეს ფოჩტით. – გამოგზავნა წიგნებთა მამძიმებს: ძჳრად ჯდება. გთხოვ განუმეოროთ უფ. ჭუსსა, რომ ეგების ფოჩტამტში[2] მოიწეროს, და მეცა მაცნობ[ო]ს, როგორც მოგეწერათცა ჩემთჳს. მაშინ გაადჳლდება გზა თქუჳნკენ ჩემთჳს. – წიგნებისა სიასა მალე გამოვგზავნი და მოხაზულებასა ღრიჭონისსა.

ღრამმატიკისა ამბავიცა ვჰსცან. არა[3] სისრულესა რ˜ლთამე ადგილთასა მე თჳთ აღვიარებ. მაგრამ ჰსწორე უნდა მოგახსენო. აქ შჳდთა ანუ ექუსთა კარგთა ქართულისა[4] ენისა მოსწავლეთა[5] წარიკითხეს იგი და რაოდენცა შესაძლებელ-იყო მოიწონეს; ხ˜ რ˜ლთაცა, მეცნ˜თაცა[6] ფრანც. ენისა წარიკითხეს თქუჳნგან აღბეჭდილნი ღრამმატიკანი, მერწმუნეთ, მერწმუნეთ, წ˜ე სჳნიდისასა,[7] არა შესაწუხებელად თქუჳნდა – იცინეს მრავალი და გატან-გამოტანით ამბავისა მოუთხრობდენ. მაგ. ბრუნუათათჳს დამატებულთა, უღლჳლებათათჳს; და სხ. და სხ. თჳთ ნიკ. ჩუბინოვი მცოდნე კარგად ქართ. ენისა არარის ამას ზ˜ა კმაყოფილი. – რა ვქმნა, განა მე არ ვიცი რომ ჩემი ცუდად თქუჳნზედ ხმის-ამოღება ავნებს ჩუჳნსავე ენასა; მაგრამ ვამბობ ყ˜ლთჳს ამას: დაესხენით უფ. ბროსსესა, წეროს, წეროს და წეროს. ჩუჳნთჳს არის სასარგებლო. – ხ˜ შედგომა იმა კანონთა თქუჳნდა, ჩემგან იქმნება შეუძლებელი. თუმცაღა არიან კანონთა თქუჳნთა შ˜ა ესევ˜რნიცა, რ˜ლნიცა პატივისცემით არიან მისაღებელნი და მივიღებცა[8] მათ. ეგ ღრამ. დავბეჭდე სიჩქარით, რადგანაც ითხოვდენ ჩემგან ამას სხუანი მემამულენი ჩემნი. და მას დროსა ვერ მომისწრო კრიტიკამან თქუჳნმან.

ახლა ჰსწორე გითხრათ არა მცალიან ამათთჳს. ქალა-

ქისა თფილისისა გარეშემო შეკრეს მაგრა. ჭირი ჩნდება ახლოს ქალაქისა!

დავშთები მარად თქუჳნი
პლატონ იოსელიანი[9]

ნოემბ. 24[სა][10]
1840 წ.
თფილისით.[11]

Андрею Михайловичу Г. Шёгрену свидетельствую душевное мое почтеніе.*

[IV გვერდზე მისამართი წერია:]
Императорской Академіи
Наук, Экстраординарному Академику
Г. Броссе.[12]
в С. Петербурге.[13]
На Вас. остр. в 7[ой] линій
в доме Академіи.

* ბ[ატონ] ანდრეი მიხეილის ძე შეგრენს ვუდასტურებ ჩემს გულითად პატივისცემას.

მარი ბროსესადმი №30 (30)

მოწყალევ ჴელმწიფევ
უფ. ბროსსე!

წარსრულისა ფოჩტით 10 დღით ადრე მოგწერეთ წერილი. გთხოვ არ გაჯავრდეთ. ბაასი ბაასად, საქმე საქმედ, რომ ჭ˜ტსა[1] სარგებლობასა ქართუჳლთა ენისას არა ევნოს. – მე დიდად ვარ ამაზედ დარწმუნებული და დამტკიცებული, ვჰგონებ არა ვჰსცდებოდე ამა აზრზედ.

გამოსაგზავნები მაქუნან რაღაებიც აღთქმულნი და ჯერეთ არა აღთქმულნი წიგნებნი და სხ. და სხ. ცნობანი, მაგრამ მაშინებს ფოჩტა. ველი აღთქმულსა თქუჳნგან, რომ უფ. ფუსმან მოიწეროს ფოჩტაში უპოშლინოდ ამანათის გამოგზავნისათჳს[2] აკადემიისა სახელით.

კორრესპონდე[ნ]ტობა თქუჳნში არ იქმნა. – მე მაინც არა დავსუსტდები ჯერისაებრ შეწევ[ნ]ასა[3] ჩემის ქუჳყნისა კეთილობისათჳს. ესე ვალი არის ბუნებისათანა თანა-შეკრული, და გონებისაგან მოსათხოველი მარად და მარად, – რ˜ლსაცა ვერა ჰსძლევს ვერცა შური და მტერობა, ვერცა ღელუა ვნებათა. არვიცი ექსარხისა თანა შესწორება ჩლენობით რათ უნდა[4] იყოს საწყენი და უგუანი. წარსრულს კვირას ხუთშაბათსა ღუბერნატორმან და სხ. ჩლენთა სტატისტიკისა კომიტეტისა აღმოირჩივეს ჩლენად კორრესპონდენტად[5] ექსარხი ჩ˜ნი ევღენი, ღენ. ჩავჩავაძე, სოვეტის ჩლენი ჟურავლევი, ბარათაევი და მეცა მათთანავე.

აქაური ჭირის ამბავი ღ˜ისა შეწევნითა დასუსტდა, და თუმცა კარანტინები არიან თფილისთან,[6] მაგრამ შიში დიდი განქარდა აქა თფილისს.

წიგნების სიას მალე მოგართმევ და სხუათაცა. წილოსანმან მოგიკითხათ.[7]

დავჰშთები მარად თქუჳნი
იოსელიანი პლატონ[8]

დეკ. 4[სა]
1840 წ.
თფილისით.[9]

Андрею Михайловичу Г. Шёгрену свидетельствую истинное от полноты души почтеніе.[10*]

* ბ[ატონ] ანდრეი მიხეილის ძე შეგრენს ჭეშმარიტად მთელი გულით ვუდასტურებ პატივისცემას.

1841

მარი ბროსესადმი №31 (31)

მოწყალეო ხელმწიფევ
უფ. ბროსსე!

წერილი თქუჳნი 6 დეკ. მივიღე და მასთანავე უფ. შეგრენისაგანცა. – ორთავე წერილთა წარკითხუამან დიდად ნუგეში მცა მწუხარებისა ჟ˜ა.[1] ამისთჳს რომ მოვაკლდი საყუარელსა ჩემსა მეუღლესა და დავჰშთი მარტოდ. ესევე იყო მიზეზი, რომ ზოგი ერთთა აღთქმათა ვერა მიიღეს სისრულე. ვეცდები ერთს კვირაზედ სრულ-ვჰყო წადილი თქუჳნი; და არა დავსუსტდე ჩემსა მტკიცესა ჰაზრზედ რომ ვიყო მარადის მზა აკადემიისათჳს ყოველთა შ˜ა ძიებათა ჩემ-მიერ შესაძლებელთა. ლექსიკონისა მოგეწერათ – მივიღო გასასყიდათ. ეხლა არა მცალიან საკუთ[ა]რისა[2] წერილისა მოწერისათჳს უფ. ჴუსთან, და გთხოვთ განუცხადოთ სურვილი ჩემი, და მაქუს იმედი აკადემიისა ჰაზრსა მიეცეს სისრულე. რაოდენიცა ენებოს გამოგზავნონ გასასყიდათ და მე ვითავებ ამას. ფასიცა შემომითუალონ. უკითხავად ჩემისა რომ გამოგეგზავნათ, მე მაინც ვიქმნებოდი მზა. პირუჳლს შემთხუჳვაზედ კმარა გამოსაგზავნად 25 ეკზემპლარი. უთუოთ ესე მცირე რიცხჳ შეგაწუხებსთ. მაგრამ რომ იცოდეთ მდგომარეობა ქართუჳლთა, თქუჳნ თჳთ დამეთანხმებოდით ამაზედ.

სხუჳბრ მომიტევეთ წერილისა
სიმცირეზედ.

თქუჳნი მარად მორჩილი
პლატონ იოსელიანი.[3]

იანვ. 5[სა]
1841 წელსა

თფილისით.[4]

უფ. შეგრენს მალე მოვჰსწერ პასუხსა.[5]

მარი ბროსესადმი №32 (32)

მოწყალეო ჴელმწიფევ
უფ. ბროსსე!

ამასთან გიგზავნით წიგნების სიას, რ˜ლთაცა[1] გასყიდუა მსუროდა ფრანციის კონსულისათჳს. ესე წიგნები არიან საკუთრად ჩემნი; გასინჯეთ თქუჱნ და თუ სახმარი იყოს აკადემიისათჳს, მივყიდოთ. შეწუხებულიც ვიყავ და მოუცლელიც, თორემ ვრცლივ ვუქმნიდი აღწერასა. ეს უნდა იცოდეთ რომ საქართუჱლოში ესრედ შეკრებულსა კოლლეკციასა ვერასადა ჰპოვებთ. ამათ შ˜ს არიან წიგნნი ყოველთა საუკუნეთა შ˜ა აღწერილნი დაწყებით ევთიმე მთარგმნელისა ჟამიდგან. ყოველ-გუართა ჰპოვებთ მუნ მწერლობათა, ყოველ-სქესისა შტილსა და სხ. ფასი არ ვიცი რა დავჰსდუა. არც ის მინდა რომ დავუმძიმო აკადემიასა და არცა ესე რომ მე მეტად ნაკლებად დავისუა. თქუჱნ იცით თჳთ, რომ ძუჱლთა დროთა წერილნი ძჳრად ისყიდებიან. მაგრამ მაინც მომინდვია თქუჱნთჳს და მალეთ პასუხი მიბრძანეთ. ესეც ვიცი რომ აკადემია ამ გუარს საქმეებში ძუნწობს.

გუჯრების გადმოწერა დადგა. ამისთჳს რომ დიდი ბოროტ-მოხმარებაები ჰპოვეს კაცთა მათ შ˜ს, რ˜ლნიცა მათ იცევდენ; და მოვერიდე როგორც ცეცხლსა. დრომდინ უნდა მოითმინოთ. მალე გაარჩევენ, და შ˜დ გუჯრები, და მით ჩუჱნებულნი ყმანი და მამულნი ეკკლესიურნი სახელმწიფოდ დაიდებიან. – და მეც დავიწყებ ახალსა აკადემიისათ[ჳ]ს[2] მუშაობასა.

წარსრულისა ფოჩტით, მძიმით, (11 რიც. ამა თთჳსა)[3]

მოგართვით დაბეჭდილნი ამა 1841 წლისა კალენდარნი; ვჰგონებ უფრო მოიწონოთ შარშანდელზედ. – თუ მშჳდობაა მერმის უკეთესი დაიბეჭდება. გთხოვ ჩემ-მაგიერ მიართოთ თჳთო ექზემპლარი[4] შემდგომთა გუამთა:

1. შეგრენს
2. მეფ. ძეთა – ბაგრატს
3. თეიმურაზს
4. მიხაილს
5. ფარნაოზს
6. დედოფალსა მარიამს
7. ოქროპირს
8. რიფსიმას ბატონის-შვილს
9. ბატ. შვილს ლუარსაბს
10. ალექსანდრე და
11. დიმიტრის ბაგრატიონთა ღენერალთა.
12. ღენერალს იოსელიანს
13. დავით და
14. ალექსანდრე ბატ. შვილის ბაგრატისა ძეთა.
15. გრიგოლს დადიანს
16. ირაკლი მუხრანსკის
17. ივანე ორბელიანს კაპიტანს.
18. ჩუბინოვს
19. ერთი[5] თქუჱნს აზიისა მუზეუმს

დანაშთენი 2. ეკზ. თქუჱნ მიირთჳთ.

ფოჩტით უპოშლინოთ წერილთა და ამანათთა გამოგზავნისა აკადემიისა სახელზედ, ნება მომივა თუ არა? ჰკითხეთ აკადემიკს ჭუსს. აქა მე ვერა გავაწყერა! – აკადემიას მრავალს სარგებლობასა ვაჩუჱნებ.[6]

ზაქარია ფალავანდოვი ხშირად არის ჩემთან და მიხარის ძალიან რომ კარგად არის გაზდილი.

სხუჱბრ დავჰშთები მომლოდნე პასუხისა
მარად თქუჱნი ერთგული

პლატონ იოსელიანი.[7]

იანვ. 15[სა][8]
1841 წელსა
თფილისით.[9]

მარი ბროსესადმი №33 (33)

14 mars* 1841.[1]
Г. Академику Броссе![2]

უფ. ბროსსე
მოწყალევ ხელმწიფევ!

აგერ ორიც მომივიდა თქუჱნი წერილი, რ˜ლთა[3] ზედაცა დამავიწყდა პასუხის მოწერა ბევრთა მწუხარებათა გამო. გამოგზავნილნი წერილნი ჩუბინოვისა სახელზედ და ფალავანდოვისა დროზედ მივუტანე. დ. მაჩაბელისა მაქუს ჯერეთ შენახული: დღე და დღე ველი თფილისში მოსულასა რომ მივცე. აგერ ორი თთუჱ არის რაც სოფელში იმყოფება.

ისტორია ქართუჱლთა სომხურად დაწერილი და ჩემმიერ გამოგზავნილი თქუჱნთან მოგწონებიათ და მართლად არის საკჳრველი საშოვარი. ვისგან არის დათხზული არა ჰსჩანს; მხოლოდ ნამდვილი აქუს არხიეპისკოპოსსა აქაურთა სომეხთა კარაპეტს. მასვე წიგნსა შ˜ა არის ერთი ვისღანცა ქმნილი ისტორია სომეხთაცა, დიდად ვრცლად დაწერილი. არსადა ჰსჩანს ანდერძი მწერლისა; დაწერილი წიგნი პერღამენ[ტ]ზედ[4] უნდა იყოს ჩემის ჰაზრით სამასის წლისა. ქართული ისტორია არარის ღევონტისაგან დაწერილი, მე პ˜ლად შემაცდინეს და მეც მოგწერეთ. ვეცდები თჳთ ნამდჳლი წიგნი გამოგიგზავნოთ დრომდინ თხოვნითა; აკადემიის სახელით ვჰსთხოვ არხიეპ. კარაპეტს. – აგების დავითანხმო. და თუ

ვერ წარვემატე ამა ჰაზრში, სხუასა საშუალობასა ვიხმარებ და თქუჱნცა გაცნობებთ.

წიგნების განსყიდუასა აღარ ვაპირებ. ჰსწორედ გითხრათ[5] და franchmant[**] მე ერთიან მინდოდა გაყიდუა; თჳთო თჳთოდ არა.[6] – ამა კოლლეკციიდგან მიიღებს საჩუქრად აკადემია ახპატისა ზედა-წარწერათა. მოსაწონი წიგნი არის. ამა შემთხუჱვაზედ ჯერეთ ესე; თუმცა სხუჱბიცა მაქუს გამოსაგზავნი, და მალე მიიღებთ.

შევიტყე აქა რომ მოუვიდა ობერ-პროკურორს ჩემგან გაკეთებული Краткій очерк Грузинской церкви[***] 25 თაბაღზედ. ვჰგონებ თქუჱნ მოგივიდესთ გასაშინჯავათ, და მაცნობეთ თჳსს დროზედ. წელთა რიცხუნი ზოგან არ-დავჰსწერე, და ზოგან უნდა გასწორება.[7] ისტორია ქართუჱლთა თქუჱნ უფრო იცით, ამისთჳს რომ მუშაკობთ მისთჳს. – ეცადეთ თქუჱნ დაუსრ[ულო]თ:[8] ადვილია ესე; ამისთჳს რომ ისტორია ესე თავებად არის[9] დაყოფილი.

ამასწინათ, 9 დეკ. 1840 წ. ჭუსის სახელზედ გამოვჰგზავნე ერთი წიგნი: მიიღეთ თუ არა აკადემიაში. გთხოვთ აღასრულოთ ესე ეგრეთ, ვითარცა მე ვჰსთხოვე აკადემიას. ამგუარი მოქმედება აკადემიისა, გამოიღებს ნაყოფთა, შეიქმს მაგალითთა. ერთის სიტყჳთ დიდად საჭირო არის.

კალენდარები გამოვისტუმრე. ვჰგონებ მიიღებდით აქამდისინ. – არ გაჯავრდეთ რომ დაგდევით შრომა დარიგებისა.

ლექსიკონებსა ველი: თხოულობენ სასყიდავათ. რომ შეკრულები გამოგზავნოთ უკეთესი იქმნება.

დავრჩები მარად თქუჱნი
პლატონ იოსელიანი.[10]

14 მარტსა
1841 წელსა
თფილისით.[11]

კნიაზ ბარათაევის ბეჭედი თუ არ გაგეგზავნოსთ მისს სოფელში, ამა ბარათის ზედაწარწერით გაუგზავნეთ. ჯავრობს რომ წერილსა აღარა ჰსწერთ. რა ამბავია?

*მარტი (ფრ.)
**გულწრფელად (ფრ.)
***ქართული ეკლესიის მოკლე ნარკვევი?

მარი ბროსეასდმი №34 (34)

ეკსტრაორდინარნის აკადემიკს
უფ. ბროსსეტს!

უთუოდ გაჰკვირდებით რომ ესოდენსა დროსა წერილი ვერ მოგწერეთ. და აჰა მიზეზი: მე ვიყავ იმერეთში, აბხაზეთსა, სვანეთში, ლეჩხუმში და გურიას. ერთი კვირაა რაც მოვედი იქიდამ, და ჯერეთ არა ვარ გაწყობილი რომ ვრცლად მოგწეროთ წერილი და გამოგიგზავნოთ რაღაებიც ჩემგან შეგროვილები. თქუჱნგანც დიდი ხანია აღარ მომსულია წერილი და იმედი მაქუს რომ მალე მომწერთ და გამომიგზავნით დაპირებულსა თქუჱნგან დაბეჭდილსა ფურცელსა ჩემს კალენდარზედ.

აკადემიას მეორის ფოჩტით გამოუგზავნი ლექსიკონების ფულსა და ვითხოვ რომ 25 კიდევ გამოგზავნოთ მაგრამ შეკრული და ამის ფასიც დაუმატოთ. აქ წიგნის შეკურა ძჯრიარის.

სხუჱბრ დავჰშთები მარად თქუჱნი
ერთგული
პლატონ იოსელიან[ი][1]

სეკდ. 12[სა][2]
1841 წ.

თფილისით.[3]

ვეშურები ამის დაწერასა რომ ფოჩტას მოვასწრო.

[IV გვერდზე მისამართი წერია:]
Императорской
Академіи Наук
Экстраординарному Академику
Броссе.[4]
в С. Петербурге.[5]
На Васмльев. остр. в 7<u>ой</u>
линій

მარი ბროსესადმი №35 (35)

21 ნოემბ. 1841.

თფილისით[1]

მოწყალეო ხელმწიფევ!

წერილი თქუჱნი შ˜დ[2] გრძელის მოლოდინისა მომივიდა, რომლისათჳსცა დიდად ვარ მადლობელი. კუალად ვარ მადლობელი გამოგზავნისათჳს თქუჱნგან ქმნილის რეცენზიისა ჩემს კალენდარზედ. შემდეგ თუ მშჳდობაა უკეთესად დავბეჭდავთ და უცთომელობასა ვეცდებით.

ვეფხჳსტყაოსანისა დაბეჭდუა კარგად მოჰხდა და იყიდებაცა კარგად. წინასიტყუაობაში მოღებული ორი კუპლეტი დავით მდივანბეგის სახელით არის ქმნილი. ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ჩუჱნ ესრეთ ვიცნობდით, და ამისა დასამტკიცებელად ესეცა არის რომ მეორე ხანა[3] მისი არის ფრანციზუ-

ლიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თჳთ ალექსანდრემ მიჩუჱნა სადაცა ჰსწერია: საყუარელო,[4] იქა უნდა იყოს: სიყუარულო.[5] ნაცულად: შენგან მეფე მონად ეყმოს,[6] უნდა იყოს: შენგან მეფე მონას ეყმოს.[7] ნაცულად: განიფხილებდეს,[8] უნდა იყოს: განიფხიზლებდეს.[9] – ამასთან ესეც უნდა მოგწეროთ რომ ზაქარია ფალავანდოვი ჰსჯავრობს რომ არ მოიხსენეთ იგი თავადად.[10] ესე ლექსი არ უნდა დაგეგდოთ – მაგრამ წარსრულსა რაღა ეშუჱლება.

აკადემიის კომიტეტსა გამოვუგზავნე[11] 25 ეკზ. ფულები და ვჰსთხოვე რომ 25-ვე კ˜დ გამოეგზავნა შეკრული ფასისა დამატებით – დააშურეთ ესე; მსურუჱლნი არიან.

წარსრულისა მძიმეს[12] ფოჩტითა გამოვჰგზავნე სამი ახალი მცირე, მაგრამ ქართუჱლთათჳს სასარგებლო წიგნაკები: თჳთო ეკზემპლარი თქუჱნის საკუთარის წიგნთა კოლლეკციისათჳს. ვჰბეჭდავ სხუასაცა რასმე და მალე მოგართმევ მასცა.

ჩემგან შედგენილი Исторія Груз. церкви,* რ˜ლისა თჳსცა ადრევე მოგწერეთ სინოდმა გამოგზავნა აქაურს არქიერთან რომ განეხილა, თუმცაღა თჳთ სინოდმაცა და კიევის სასულიერო აკადემიამანცა განიხილეს და დაჰსდუჱს ჰაზრი რომ დაიბეჭდოს. არხიერმან ევღენი წარიკითხა და თჳსით ჰაზრით წარმოუგზავნა უკანვე (ნოემბ. 8სა) სინოდსა და უთუოთ დაიბეჭდება. შესაძლებელია სინოდმან თქუჱნ გამოგიგზავნოს, და ნახავთ: ვჰგონებ მოიწონოთ. აქ მთავარმართებელმან გადააწერინა და აქაურს[13] ესრეთ მოსაწონად ეჩუჱნა.

აქაურის სომეხთა არხიერის კარაპეტის წიგნისათჳს დიდად ვეცადე და აღმითქუა გამოგზავნა. ხუალე უთუოთ ვეცდები ეს საქმე დავაბოლოვო და მევე გამოვისტუმრებ ფოჩტით. წიგნი ესე, რ˜ლიცა შეიცავს ისტორიათა სომეხთა და ქართუჱლთა, დიდი საუნჯეა, როგორც ხედავთ თჳთცა ადრევე გამოგზავნილის საქართუჱლოს ისტორიიდამ. – მაგრამ სხუაცა ძჳრფასი ჩავიგდე წიგნი ქართუჱლთა მეფეთა, შედგენილი სომეხთაგან, ცუდის ქართულის ენით ნაწერი და სავსე შინაურთა ამბავთაგან. ჩუჱნთა მეფეთა ძუჱლთა და

ახალთა. ვეცდები გამოვამეტობინო მისსა პატრონსა რომ დრომდინ ათხოვოს აკადემიასა. წიგნი ესე არის აქამომდე ს˜დ უცნობი ქართუ̈ლთაგან. სიდიდე მისი არის თითქმის ვახუშტის ისტორიის ოდენი.

ესე კი დამავიწყდა: წარსრულის ფოჩტით გამოვგზავნე ადრევე მოგროვილნი სახენი წ˜თა ქართუ̈ლთა: თუმცა მხატურობა ცუდი იყო, მაგრამ faximile[14] უკეთესი აღარ შეიძლებოდა: მხატუარს არ დააბრალოთ მათი ნაკლულევანება.

მოგზაურობისა ჩემისა იმერეთში ნაყოფთა მოვიყუან წესში და გამოგიგზავნით: ჭტ˜ად ეხლა არ მეცალა, და ბევრი თანამდებობა მაქუს. ვამზადებ торжественную речь при открытіи Института Девиц,** სადაცა ვარ მასწავლებელად ქართულისა ენისა დანიშნული. – ამისა კოპიოსა მალე გამოვჰგზავნი.

სხუა რაღა მოგწერო. მეცა ვმეცადინობ ძალისაებრ და თქუ̈ნცა ხართ ამისა მოწამე.....

დავჰშთები მარად თქუ̈ნი
პლატონ იოსელიანი.[15]

[IV გვერდზე მისამართი წერია:]
Императорской Академіи
Наук, Экстраординарному
Академику и кавалеру
Броссе.[16]
в С. Петербурге.[17]
На Васмльев. остр. в доме Академіи.

*ქართული ეკლესიის ისტორია
**საზეიმო სიტყვას ქალთა ინსტიტუტის გახსნისთვის

1842

მარი ბროსეს ადმი №36 (36)

13 მარტ.
1842
თფილისით

მოწყალეო ხელმწიფევ
უფ. ბროსსე!

თქუჳნგან გამოგზავნილნი წიგნები მივიღე საჩუქრად, რომელთათჳსცა დიდად გახლავარ მადლობელი. იწერებით სხუათა და სხუათა წიგნებთა მოშოვნასა თქუჳნთჳს. მე ამაზედ არღა მეჭირება მეტი განღჳძება. ყოველთჳს მზა ვარ ამისთანა გუარსა საქმეზედ. მაგრამ დიდად მძიმე არის მათი შოვნა. ერთი კარგი როსტომიანი მოსკოვს დაწერილი იშოვნა კნიაზმა ბარათაევმა და ეს თქუჳნთჳს მას ვერ გაიმეტებს. მრთელი წერილი მხატურობაებით არის სავსე და კარგის ხელოვნებაებით.

ახლა გთხოვთ გაისარჯოთ და შრომად მიიღოთ ესე რომ წარსრულს წელს ნოემბრისა თთუჳში გამოვუგზავნე სმირდინსა[1] 50 ოქრო წიგნებისათჳს (ფოჩტით) და აქამდინ პასუხი არ მომსულია. ეს წიგნები საკუთრივ დადიანისათჳს დავიბარე. ეცადეთ შემიტყოთ რად დააგვიანა მათი გამოსტუმრება.

ამ დროს მომიტევეთ სიმოკლე წერილისა. სემინარიისა отчет ებში[2] ვარ ფიქრით და ბევრი სამუშავო მაქუს.

დავჰშთები მარად თქუჳნი
პლატონ იოსელიანი[3]

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Императорской Академіи

Наук, Экстраординарному

Академику

Г. Броссе[4]

в С. Петербурге.[5]

На Васмльев. остр. в 7ой

линіи в доме Академіи.

მარი ბროსეს ადმი №37 (37)

თფილისით.[1]
14 აპრ.[2] 1842 წ.

უფალო ბროსსეტ
მოწყალევ ხელმწიფევ!

უნდა იცოდეთ როგორ ბევრთა საქმეთაგამო ვიყავ მოუცლელი, რომ წერილი ესრეთ გვიან მოგართჳთ. ახლა ცოტად მოვიცალე და ფოჩტას დავეშურე რომ მომეწერა ეხლა მაინც მცირედ.

– ღრამმატიკა რუსულისა თარგმანითურთ გავათავე; თუმცაღა რავდენსამე ჰაზრებში არა ვარ თქუჱნთან თან[ა]ხმა, მაგრამ მაინც არა ვჰგონებ ვჰსცდებოდე. ერთს კვირას შ˜დ[3] გამოვჰგზავნი არზასა ობერ-პროკურორთან რომ ნება მომცენ სამის თთჳთ პეტრებურღს მოსულისა უფრო ღრამმატიკისათჳს, რომ პირდაპირ მოვიაზროთ. ამასაცა სხუათა შ˜ს დავჰსწერ არზაში. თუ ნება მომეცა, უთუოთ გნახავთ ზაფხულსა და ესე დიდად იქმნება ჩემთჳსა სასიამოვნო.

კიდევ გაგიმეორებთ თხოვასა, რომ ეგების სმირდინი ნახოთ და 50 ოქროსი წიგნები გამომიგზავნოს: ფული და მასთანავე სია წიგნებისა გამოვჰგზავნე ფოჩტით 1840 წ. ნოემბრის 4[სა] და აქამდინ პასუხი არ ვიცი.

დავჰშთები მარად თქუჳნი
ერთგული მონა
პლატონ იოსელიანი[4]

აკადემიკი შეგრენი მომიკითხეთ.[5]

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Императорской Академіи

Наук

Академику Броссѐ

в С. Петербурге.[6]

на Вас. остр. в 7[ой]

линіи в доме Академіи.

მარი ბროსესადმი №38 (38)

მოწყალეო ხელმწიფევ
უფ. ბროსსე!

თქუჳნი ახლად დაბეჭდილი ბროშურკა მომცა ფალავანდოვმან. დიდათ ვარ მისთჳს მადლობელი და კარგიც რამე არის. მაგრამ მაგ საძაგელმან სმირდინმან შემაწუხა. აქამდისინ კიდევ არ მომსულია წიგნები. ეგ რა ურცხჳ რამ ყოფილა!

ეგების კიდევ გაისარჯოთ და კიდევ შეარცხჯნოთ რომ მალე გამოისტუმროს. – ანგარიში ეგების თქუჱნ უქმნათ[1] და ზოგიერთის წიგნის[2] მაგიერათ რ˜ლნიცა[3] არა აქუს სხუა რომანები რაჲმე გამოაგზავნინოთ. сев. пчела* რაღათ არის საჭირო რომ წელიწადი კიდეც გავიდა –. [4] სხუჱბრ თქუჱნ იცით როგორც ამ საქმეს შემისრულებთ.

თქუჱნი უმორჩილესი
პლატონ იოსელიანი[5]

25 მაისს[6]
1842 წ.
თფილისით.[7]

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Императорской Академіи

Наук,

Академику Броссѐ

в С. Петербурге[8]

на Вас. остр. в

7<u>ой</u> линіи в доме

Академіи

*გაზეთის სახელწოდება.

1845

მარი ბროსეასდმი №39 (39)

26 janv.* 1845[1]

უფალო ბროსსეტ!

უთუოთ ჯავრობთ თქუჱნ ჩემზედ, რომ ესოდენს ხანს წერილი ვერ მოგწერეთ. მიზეზი იყო პ˜ლად[2] მოუცლელობა და მეორედ ესე რომ სოფელში ვიყავ. – ახლა ვჰგონებ გეცოდინებათ რომ გარდა ჩემის თანამდებობისა სინოდის კანტორაში მომანდუჱს აქა დროებით რედაკტორობა. აკადემიაშიც გამოვჰგზავნე ერთი ეკზემპლარი в обмене** თქუჱნის ჟურნალისა.

რადგან სიმსწრაფლით დამაწყობინეს ბეჭდუა, ამისთჳს რავდენნიმე არიან შეცთომანი, რ˜ლთაცა შენიშუნა მალე დაიბეჭდება და გამოგიგზავნით.

სხუჱბრ გთხოვ თქუჱნი სახლობა და წურილები მომიკითხოთ. აგრეთუჱ უფ. შეგრენი და კეპპენი და ჶრენი.

დავჰშთები მარად თქუჱნი
უმორჩილესი
პლატონ იოსელიანი[3]

იანვ. 26. 1845 წ.
თფილისით.[4]

აკადემიაში წარმოვადგინე 2[e] изд. ჩემის ისტორიისა. ჶუსი მიბრუნებს ამ ჰაზრით, რომ 2 изд. არ მიიღება დემიდოვის პრემიაშიაო. ამის პასუხს ვჰსწერ და დავამტკიცებ покрайней[5] мере ко мне неблагодарность Академіи.***

[IV გვერდზე იმავე ფერის მელნით მინაწერია უკუღმა:]

Mes[6] compliments à
Monsieur Schubinow.[7]****

*იანვარი (ფრ.)
**სანაცვლოდ
***უკიდურეს შემთხვევაში, აკადემიის მხრიდან ჩემდამი უმადურობას.
****ჩემი კომპლიმენტები ბატონ ჩუბინოვს (ფრ.)

მარი ბროსეს დმი №40 (40)

26 oct.* 1845[1]

მოწყალეე ჴელმწიფევ, მარადის
ქართველთაგან დაუვიწყებელო ბროსსე!

წერილი თქუჱნი მივიღე და წავიკითხე დიდის სიამოვნით. მოგივლიათ მთელი ევროპა და უეჭუჱლად შესუჱნებული შრომათაგან მხნედ შეუდგებით მწერლობასა.

დიდად საწუხარია ზაქარიას გარდაცუალება: მისი სიკუდილი იყო გასაოცებელი. – ერთის კვირის წინათ დამეთხოვა სოფელში; მერეთ მოვიდა მრთელი და რედაკციაში იჯდა ჩემთან და მოუბნარობდა 10 საათიდამ ვიდრე 12 დმდე. მასვე დროს მიიღო წარსრულისა თვისა ჯამაგირი და ჴელიც მოვაწერინე წიგნში. წავიდა ჩემგან ღუბერნატორის კანცელარიაში დასაპატიჟებელად ყმაწვილთა კაცთა საღამოსათჳს თვისს სახლში. აქედამ მეორის საათის დაწყებაში მივიდა დუქანში სასყიდავად ნივთებისა. ამ დროს ცუდად შეიქმნა, ჩაჯდა დროშკაში და მივიდა თავისს დასთან, მაგრამ დიდის სიძნე-

ლით: – მჰსწრაფლ დაიძახა გამხადეთ ტანისამოსი რომ დავწუჩ აქა ავათა ვარო. ამავე მომენტში გააცივა, აათრთოლა და მანამ დახურავდენ საბანსა განუტევა სული. – ექიმი მივიდა, მაგრამ რაღა ეშველებოდა. – მეორეს დღეს ანატომიით ჰსცნეს, ვითამც ანთება ტვინში მოსულოდეს. – მე დავბეჭდე მისი მცირე ნეკროლოღი, რ˜ლსაცა[2] წარიკითხავდით.

გაზეთები ქართული არ ვიცი ჰქონდა თქუჩნთჳს, თუ არა. მე კი ჩემის მხრით უთხარ ადრევე, რომ თქუჩნთჳს ეგზავნა. ეხლა რედაკციაში წარსრულის დროებისა ნომერები სულ აღარ არის და არც 50 მეტსა ვჰბეჭ[დ]ავდი, რადგანაც მკითხუჩლი არა ვინ იყო. – ქართუჩლთ არა ჰსურსთ კითხუა საუბედუროდ მათდა. და ამისის მიზეზისათჳს არა იბეჭდებოდა რა რიგიანი ამბავი, გარდა სასამართლოების ამბებისა და გამოცხადებათა. დღესაც ისევე არის და მეც ყურს არ უგდებ და არცა დრო მაქუს. – რამდენნიმე ნომერნი ვეცდები რომ, ვიშოვნო და მოგართვა. – თქუჩნმან აკადემიამან ძლივს გამოიმეტა თჳსი ბულლეტენი ნაცულად აქაურის გაზეთისა, – რ˜ლზედაც მე ადრევე მოვჰსწერე. – შევჰსცთი, რომ მასთან დავიწყე მიწერა პირველითგან. მე ასრე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ რომ ძალისამებრ ჩემისა საკმაო და ფ˜დ საკმაო მეჩვენებინოს სამსახური, და აკადემიასა ყურადღება არა აქუს. აღსრულდა ამით მრავალთაგან ჩემი დარწმუნება, რომ უნაყოფოაო მარადის მასთან მიწერ-მოწერა, წიგნების ჩუქება, შრომათა მიღება, და ფულების დაკარგუა. ვინანი, მაგრამ გვიან.

ახლანდელი თანამდებობა ჩემი აქაურს სინოდის კანტორაში ე.ი. თანაშემწეობა პროკურორობისა არმაძლევს ბევრსა დროსა, რომ მეტი ვჰსწერო და ან მალ-მალ ვბეჭდო. სტამბაცა სუსტად არის: მომგროვებელნი ასოებისა ცოტანი არიან. აპირებენ ახლა სტამბის განვრცელებასა. – თანაშემწე არა მჰყავს: ვარ მარტოდ მე სავსე ქაღალდებით, რ˜ლთაცა უნდა წარვიკითხავდე, ვმართავდე და წარვადგენდე მთავრობასთან. აგერ 1190 ნომერი გასული ჩემის კანცელარიიდამ

მხოლოდ მიწერ-მოწერისა: და მშრომელი ამათი ვარ მე და ერთი კანტანისტი. ორი მოცემული პერევოდჩიკი, ქართულისა და თათრულისა ს˜დ უხმარნი არიან ჩემთჳს. – ესეც უნდა გაიკვიროთ, როგორ ვასწრობ საქმეებსა და ანუ неоффиц.** ნაწილსა როგორ ვმართავ.

ორი კვირა კახეთსა ვიარე ჩუჩნს ექსარხთან ერთად, რ˜ლიც არის ფ˜დ კეთილი კაცი და ჩემი დიდი მეგობარი. კალენდარსა მოგართმევ, როცა შესრულდება.

თქუჩნი მეუღლე და ყმაწვილები მომიკითხეთ. – მადლობელი ვარ რომ კიდევ გახსოვართ.

სულხანოვი კარგად არის: ახლა ჩლენია ტამოჟნისა აქ თფილისში, უცხო ადგილი იშოვნა და ჯამაგირიც დიდი აქუს. – წილოსანი კარგად იმყოფება, მაგრამ ვაჭრობაებში შევიდა, პოდრიადები აიღო და დიდად იზარალა, ასრე რომ ყ˜ივე გაუყიდეს. შესაბრალისია!

კახეთში საკმაო წიგნები ვიშოვნე და ძველი წერილები, გამოსადეგი ჩუჩნთჳს. თავისს დროზედ მოვიხმარ და გამოვაცხადებ გაზეთში. – ახალციხიდამაც ერთმან მღუდელმან ახალი ხრონიკა მომიტანა, რომელსაც ეხლა გარჩევით და კრიტიკით ვჰსთარგმნი: თავისს დროზედ ნამდვილსა და რუსულს თარგმანსა ერთად გამოვჰსცემ. – ძალიან ჰყუარებიათ აქა ხრონიკების წერა. ნამდვილსა მერეთ გარდავჰსცემ აქაურს სემინარიის ბიბლიოტეკაში.

შეგრენი მომიკითხეთ, აგრეთუჩ აკად. კეპპენ.

დავჰშთები მარად თქუჩნი
მორჩილი მოსამსახურე
პ. იოსელიანი.

26 ოკდ. 1845.
თფილისით.[3]

[I გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

თქუჳნგან ნათარგმნი ქართლის-ცხოვრება უთუოდ დაიბეჭდება. უთუოდ უნდა ეცადოთ რომ ქართულიც თანვე დაიბეჭდოს, თორემ მერმე დროს ვეღარავინ იპოვნის მისს დასაბეჭდავად. აკადემიას ეტყობა არა აქუს სურვილი ქართულის ამბებისა და უგულოთაც არის. – ესე საზოგადო ჰაზრია და ჭ˜ტი.

*ოქტომბერი (ფრ.)
**არაოფიც[იალურ]

1847

მარი ბროსესადმი №41 (41)

14 mars* 1847
Pl. Iosel[iani][1]

მოწყალეო ჴელმწიფევ
უფალო ბროსსეტ!

წერილი თქუჱნი მივიღე, რომლითაც განმიახლეთ მიზეზი მიწერ-მოწერისა. – მე ამისი ბრალი არა მქონდა, ამიტომ რომ ჩემის მდუმარებისა მიზეზი თქუჱნ[2] იყავით მით, რომ ვერ მივიღე პასუხი ჩემგან მოწერილისა წერილისა შარშან, წერილისა, ვიტყჳ ცხადად, რ˜ლშიაც[3] გამოვაცხადე ჩემი ჰაზრი მრავალთაგან დამტკიცებული თქუჱნს მეცნიერებათა წოდებულის აკადემიაზედ. –

იწერებით ამაოდ შექმნილსა მეცადინებასა თქუჱნსა პრემიისათჳს. ესე მე არცა შემიტყვია და რომ არც თქუჱნ მოგეწერათ უკეთესი იქმნებოდა. აკადემიისაგან უკეთესი არა გამოვიდოდა რა. ჩუჱნში თქმულა:

კარგი რამ ჰსთქუას, გიკვირდეს
ავი რა საკჳრველია!

სიმეონ მესვეტისა ჟამი მყოფობისა არის მეფობა თეოდოსი მცირისა: აი უპირველესი მიზეზი, რ˜ლითაც მოსულა საქართველოს 13 მამათა ასის წლით უკან დავჰსწივეთ. – გარდა ამისა არის მიზეზიც, რ˜ლიც მე ვერ მოვიჴსენე: მათს მოსულის დროსა იყო იერუსალიმს პატრიარქად ილია. და ილია ერთი იყო მხოლოდ პატრიარქთა შ˜ს და ჰცხოვრებდა მათვე დროსა. – თფილ[ის]ის[4] სიძუჱლეთა აღწერაში დავჰსდევ წელი ვახუშტისა, რადგანაც ჯერეთ გამოძიებული არა მაქუნდა. მე ს˜დ ვარ დარწმუნებული მასზედ რაც დამიწერია, და მურავიევიც თანჴმა არის.

კ. ვორონცოვმა მიამბო თქუჱნი სურვილი აქ მო[სუ]ლისა[5] და მოგელისცა.

მე ვჰსწერ დიდსა და ვრცელსა წიგნსა: Описаніе города Мцхеты и его древностей.** ორს კვირაზედ გავათავებ და ვიწყებ ბეჭუდასა ჯერეთ გაზეთში და იქიდამ მცირე-მცირედ წიგნადაც, რ˜ლიც უნდა იყოს ჩემის ჰაზრი[თ][6] 15 დაბეჭდილი თაბახი. წიგნი ესე იქმნება სავსე ახალ[ის][7] საგნებითა.

აკადემიკი შეგრენ პატივისცემით მომიკითხეთ. მურავიევი აღდგომის შემდეგ აპირებს წამოსულასა.[8]

დავჰშთები მარად პატივის-მცემელი თქუჱნი
თქუჱნდა მორჩილი და ერთგული
მოსამსახურე
პლატონ იოსელიანი.[9]

14 მარტსა 1847 წელსა
თფილისით.[10]

Его В. Благородію

Г. Академику Броссѐ

в С. Петербурге.[11]

На Васильев. остр. в 7<u>ой</u>

линіи в доме Академіи

Наук.[12]

*მარტი (ფრ.)
**ქალაქ მცხეთისა და მისი სიძველეების აღწერა.

1848

რაფიელ ერისთავისადმი №1 (42)

Милостивый Государь, Князь Рафаил Давидович! Письмо ваше и при нем стихотвореніе имел я удоволствіе получить. В ответ на него должен я вам сказать, что стихотворенія в Вестнике более уже не помещаются, потому именно, как справедливо многіе нам заметили, что Вестник не есть газета литературная. А потому покорнейше прошу снабжать нас статьями описательными, статистическими, историческими и т.п. Мы их примем с благодарностію: – Кахетія и горы ея окружающія, – предмет неистощимаго письма. Вы же к ним так близки по жительству, перу и многим отношеніям, что мы все вправе ожидать от вас многаго и много полезнительных сведеній.

Покорнейше прошу принять уваженіе в совершенном моем почтеніи и преданности, каким имею честь остаться вашим покорнейшим слугою.

П. Иосселіани

21 Февр.[1] 1848.
Тифлис.[2]

[IV გვერდზე მინაწერია:]

Рафаилу Давидовичу
К. Эристову.

რაფიელ ერისთავისადმი №1 (42)

მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო რაფიელ დავითის ძევ! მქონდა სიამოვნება მიმელო თქვენი წერილი და მასთან ერთად ლექსი. პასუხად უნდა გითხრათ, რომ ლექსები „ვესტნიკში“ ამიერიდან აღარ იბეჭდება, სწორედ ამიტომ ბევრმა სამართლიანად მიგვანიშნა, რომ „ვესტნიკი“ არ არის ლიტერატურული გაზეთი. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღწერილობითი, სტატისტიკური, ისტორიული და ა.შ. სტატიები. ჩვენ მათ მადლიერებით მივიღებთ: – კახეთი და მთები, რომლებიც მას გარს ეკვრის – ამოუწურავი საგანია წერილისა. თქვენ ხომ ისე ახლოს ხართ მათთან საცხოვრისით, კალმით და სხვა ურთიერთობებით, რომ ჩვენ ყველანი სამართლიანად მოველით თქვენგან მრავალ სასარგებლო ცნობას.

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემა და ერთგულება, და პატივი მაქვს დავრჩე თქვენს უმორჩილეს მსახურად.

პ. იოსელიანი

21 თებ. 1848.
ტფილისი.

[IV გვერდზე მინაწერია:]

Рафаилу Давидовичу
К. Эристову.

1853

გრიგოლ ორბელიანისადმი №1 (43)

ბრწყინუალეო კნიაზო
გრიგორი დიმიტრიჩო!

აჰა ესერა სიტყჳსა-მებრ იონა-ბერისსა, მოგართჳ სამი ერგასეული ახლად დაბეჭდილთა წიგნთა. განთესეთ და განფინეთ განსაგებელისა თქუჱნისა კერძოთა. უნდა ვეცადნეთ დაფუძნება ენისა მუნ, სადაცა იყოფოდა ოდესმე უფლადმეტყუჱლად და რ˜ლსაცა[1] სამწუხაროდ ქართუჱლთა ერისა შეუდგა გონებისა, ჰსწავლისა და მეცნიერებისა მომწამულელი ენა ყორანისა. ფასი თჳთოეულისა წიგნისა არის ერთი მანეთი. პირუჱლისა წიგნისა „მოურავიანი“ რ˜ლისა[2] ფასი იყო ათი შაუ[რი],[3] ვინ წაიღო შეკრებილი ფული არვიცი. ინებეთ მათი გამოძიება – ვჰგონებ უფ. ახუჱრდოვსა მიანდევით წარმოვლენა მათი ჩემკენ.

სამშაბათს თქუჱნს ძმას ილიას მივჰსდევ ბელი-კლუჩზედ, სადაცა კნიაზი ნამესტნიკიცა აპირებს წაბრძანებასა სახლობით.

თქუჱნი მორჩილი და ერთგული
პლატონ იოსელიანი.[4]

20 მარტს 1853 წ.
თფილისით.[5]

1854

გრიგოლ ორბელიანისადმი №2 (44)

ბრწყინუალეო კნიაზო გრიგორი![1]

თქუჱნი წერილი კნეინა მანანასთან წარვიკითხე. ალერსიანმა სიტყუამ ჩემდამო მომცა ეს შემთხუჱვა წერილისა თქუჱნდა მორთმევისა.

კნ. მ. ს. ვორონცოვი გამოგჳც[ვ]ალეს: დიდად საწუხარია ესე მრავალთათჳს. მეტადრე ჩემთჳს. რა გაეწყობა – ყოველგან ღუთისა ნება იყოს. ისი უკეთ განაგებს ყოვლისა კაცისა მყოობადსა. გუშინ წერილიც მივსწერე დრეზდენში, სადაცა დაუზამთრებია.

ანდრეევსკი გაგჳგდეს, ადრევე გასაგდები და ესოდენი საუბარი იყო აქა მას-ზედ განდევნისა მისისა დღეებში, რომ სევასტოპოლისა საქმე დადუმდა. ესრეთ 120 ზარბაზნიანი ხუამალდი бомбардировавший и казну и частных жителей Кавказа,[*] ჩრდილოეთისა ქარმა განაბ[ნ]ია[2] და გარიყა შორს.

ღუთით იმედია ვერა ჰსძლიონ რუსთა დასავლეთისა მხედრობათა. ძალი ღუთისა ჰფარავს ჩუჱნთა შემნახავთა სულით და ხორცით.

მომილოცავს სურვილი ჴელმწიფისა, რომელმანცა ინება შამილისა შვილისა დათხოვნა ტყუჱთა გამოსახსნელად. ჭ˜ტად[3] დიდი მოწყალებაა.

ველით ახალსა ქუჱყანისა ჩუჱნისა მმართუჱლსა. დამტკიცებით იტყჳან ხომუტოვზედ და აქებენცა. ღ˜ნ ინებოს ღირსი ქებისა და იმედისა იყოს. მაგრამ ასეთი საგანსაცდელო ქუჱყანა გუაქუს, რომ სრული იმედი არა რაჲსა არ უნდა გუქონდეს.

ქალთა ჴელმწიფა კნეინა ქეთევან ყოველთჳს ამტკიცებდა თჳსსა ჰაზრსა, რომ სადაც ბაგრატიონთა გუარისა გაჩნდება, მუნ უბედურებასა შეიტანენო. ახლა ასრე ამბობს

რომ შამილას თუალი ეხლა დაუდგაო: უეჭუჱლია მისთჳს დიდი უბედურებააო. – ესე მისი ჰაზრი მრავალ-მნიშუნელობითია და თან-ხმა წ˜ა მამათა ჰაზრისა და თვით სამღრთოჲსა წერილისა. წინასწარმეტყუჱლი იონა თჳთ მაგალითი არის ამისი. მართლად თუ ვისმეზედ საჰსჯელი მღუთისაა, მორიდება უნდა მას.

იანვრისა თთუჱში ორი ქორწილისა ლხინი იქმნება. ერთი ივანესი და მეორე მამუკას ქალისა. პ˜ლი გორში და მეორე თფილისში დაიწერს ჯუარსა.

კნიაზი დიმიტრი ჯორჯაძე მომიკითხე. დარჩა ეგეც უცოლოდ.

სხუჱბრ მომლოდნე დაუვიწყებელობისა და სიყუარულისა, დავჰშთები ღუთისა კურთხევით მრთლივ დაცული.[4]

თქუჱნი ერთგული და მორჩილი
პლატონ იოსელიანი.

10 დეკ. 1854 წ.
თფილისით.[5]

*რომელიც ბომბავს ხაზინასაც და კავკასიის კერძო მობინადრეებსაც.

1861

რაფიელ ერისთავისადმი №2 (45)

საყუარელო კნიაზო რაფაილ!

შენი წერილი მივიღე. მადლობელი ვარ ხსოვნისათჳს. გიგზავნი სანთლის ოცკუპის კოპიოსა. Брошюра о Душете еще не вышла.*

Поклались от меня Спиридону Семеновичу и Нине Леоновне; К. Каплан Семеновичу и Княг. Нине Александровне, Графиние – а Графа видели эдесь вчера и вчераже выехали в Нуху.**

კნ. მარიამ შარვაშიძისა და კნ. სოფიო დადიანისა მისის ტარიელით მომიკითხე. აღთქმული მათდა არ დამვიწყებია.

ამ ორს დღეზედ მივდივარ დაღესტანში მთებისა გზითა მე და გიორგი მუხრანსკი მხოლოდ მოსახილუჱლად და შესაქცეველად.

Кланяюсь милому Серепутованому (?). Он орел,[1] но пріятный.

Ея Ея не имею времени написать о нём шире.

Весь твой
П. Іосселиани***

6 Іюля[2] 1861
Тифлис.[2]

* ბროშურა დუშეთის შესახებ ჯერ კიდევ არ გამოცემულა.

** მომიკითხე სპირიდონ სიმონის ძე და ნინა ლეონის ასული; თ[ავადი] ყაფლანი სიმონის ძე და კნეინა ნინა ალექსანდრეს ასული, გრაფინია – გრაფი კი აქ უნახავთ გუშინ და გუშინვე გაემგზავრნენ

ნუხაში.
*** მომიკითხე ძვირფასი სერეპუტოვანი (?). ის არწივია, მაგრამ სასიამოვნო.
სამწუხაროდ დრო არ მაქვს, დავწერო მასზე ვრცლად.

მუდამ შენი
პ. იოსელიანი

უცნობი ადრესატისადმი №1 (46)

В ответ на ваше письмо имею честь сказать что перенесеніе знамени доблестнаго Груз. дворянства из дома Кн. Орбеліани не в дом дворянина Кипіани, а в квартиру Г. Кипіани ежели замечательно, то разве новостію своею, – не [особенным] явленіем видеть в челе дворянства не Князя Аристократа, а дворянина не титулованнаго. – Очень пріятно должно быть и мне, Дворянину видать моего собрата на сцене той чести на которой привыкли видеть члена именитых родов, к сожаленію вижу другое: комету, как блиставшую звезду, пугливо освещающую. Дай бог, чтоб мое мненіе было заблужденіем темноты в коем она явилась на горизонте Грузинском, – Дай бог, чтоб явленіе это пока и в начале скорбное для понимающих, было тем же символом по преданіям, древнейшего высокаго значенія и существованія народнаго, – [То связано] с общей системой народной іерархій родственной с царской властью, в жертву ради многих средств материальных и морально исторических, ради высокой цели мученической

крови, обилно пролитой за свободу земли – членами древних родов, ради прародительских дел, под печатію знаменитаго родоначальника, свидетеля славнаго в судьбе края – вручалось в храненіе ключей на родных, царствующих, – членам иногда лично не именитым, в виду их блестящего понимания народных сокровищ и [скрижалей]. –

[...] на этих лиц от древных родов не завещавших по коренному значению, заместившис и [легко] заместивших специальными лицами со всех остальных родов населенія или народа: Знаніе этих спеціальных лиц заключалось или [переписание] как скорописца или совет опитнаго в деле или искустве.

[1864 წლის 16 თებერვლის შემდეგ]

უცნობი ადრესატისადმი №1 (46)

თქვენი წერილის პასუხად მაქვს პატივი გითხრათ, რომ სახელოვანი ქართული თავადაზნაურობის დროშის გადატანა თავად ორბელიანის სახლიდან არა აზნაურ ყიფიანის სახლში, არამედ ბ.[ატონ] ყიფიანის ბინაში, თუ ღირსშესანიშავია მხოლოდ თავისი სიახლით, – [განსაკუთრებული] მოვლენა არ არის, თავადაზნაურთა სათავეში ვიხილოთ არა არისტოკრატი თავადი, არამედ უტიტულო აზნაური. ძალიან სასიამოვნო უნდა იყოს ჩემთვისაც, აზნაურისათვის, ჩემი თანამოძმე ვიხილო ღირსების იმ სცენაზე, რომელზეც მივეჩვიეთ ვიხილოთ წარჩინებულ დიდგვაროვანთა წევრი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხედავ სხვას: კომეტას, როგორც კაშკაშა ვარსკვლავს, მკრთალად მოელვარეს. ღმერთმა ქმნას, რომ ჩემი მოსაზრება იყოს იმ სიბნელის შეცდომა, რომელშიც ის გამოჩნდა საქართველოს ჰორიზონტზე. ღმერთმა ქმნას, რომ ეს მოვლენა, ახლაც და დასაწყისშივე სამწუხარო გამგებთათვის,

თქმულებების მსგავსად, იქცეს უძველესი მაღალი ღირებულებისა და ხალხის არსებობის სიმბოლოდ. – [ეს ეხება] სახალხო იერარქიის ზოგად სისტემას, დაკავშირებულს სამეფო ხელისუფლებასთან, თავგანწირვას ბევრი მატერიალური და მორალური ისტორიული საშუალებისათვის, მაღალი მიზნებისათვის, მამულის თავისუფლებისათვის უხვად დაღვრილ მოწამეობრივ სისხლს – [გაღებულს] უძველეს საგვარეულოთა წევრების მიერ.

წინაპართა საქმეებისათვის, სახელოვან წინამორბედთა ხელმძღვანელობით, ქვეყნის დიდებული ბედის მომსწრენი – სისხლით ნათესავებს, გამეფებულთ, ზოგჯერ არაწარჩინებულთ – დასაცავად გადასცემდნენ კლიტეთა, რამეთუ ისინი ბრწყინვალედ შეიმეცნებდნენ ეროვნულ საუნჯეს და [სჯულის კანონს].

...უძველესი საგვარეულოების წარმოამდგენლები, რომელთაც, ძირითადი მნიშვნელობით, მემკვიდრეობა არ გადაეცათ, შეცვალეს ან [ადვილად] ჩაანაცვლეს სპეციალური პირებით სხვა საგვარეულოებიდან, ან ერიდან: ცოდნა ამ სპეციალური პირებისა გულისხმობდა ან გაწაფულობას მწერლობაში, ან გამოცდილებას საქმესა თუ ხელოვნებაში.

[1864 წლის 16 თებერვლის შემდეგ]

მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (47)

სულხანისაგან გამოგზავნილსა დაბეჭდილსა რუსულსა о мировых[1] посредниках Губ. присутствіи...[*] ვჰსთარგმნი დღეს.

მომირთმევია შენგან გამოგზავნილი правила[2**]…. თარგმნილი ქართულად: –

შენი ერთგული პლატონ იოსელიანი.

[1864] 23 ოკდ.[3]

[*] გუბერნიის საკრებულოს მომრიგებელ შუამავლებზე
[*] წესები

1867

მარი ბროსეს ადმი №42 (48)

16 mai* 67 22 av.**
1867[1]

მოწყალეო ჴელმწიფევ!
უფალო ბროსსეტ!

П. 17 mai 67[2]

თუ შეიძლება, გთხოვ მიიღოთ შრომა და გამომითხოვოთ ადრევე წარმოდგენილი ჩემგან: ძუჱლისა ქართუჱლთა სამეფოჲსა ღეოღრაფია. – მინდა გადავაკეთო და გამართული დავბეჭდო.

მგონია არ-იყოს საძნელო მუზეუმიდამ გამოტანა მისი. – შავები ეკზემპლარისა ამის როგორღაც დავჰკარგე და ჩემს ქაღალდებში ვეღარ ვჰპოვე.

თქუჱნი მორჩილი
პლატონ იოსელიანი.[3]

22 აპრილს 1867.
თფილისით.[4]

NB. მეფისა გიორგი XIII ცხოვრება ქართულად შევასრულე. ორ-კჳრაზედ ვუგზავნი კ. იოანე გრუზინსკის. ესე ამას თქუჱნ გარდმოგცემსთ. ვჰგონებ საჭირო-იყოს აღსავსებად ქართუჱლთა მეფეთა ისტორიისა-თჳს, თქუჱნგანვე დაბეჭდილისა.

[IV გვერდზე ფრანგული ტექსტია, შავი ფანქრით მიწერილი და გადახაზული:]

Il y a 18 ans la mère? Iosselian[5] […] chez nous demander[6] à M. Schoubinof[7]***

*მაისი (ფრ.)
**აპრილი (ფრ.)
***8 წელია, რაც იოსელიანის დედა(?) გვთხოვს ვთხოვოთ ბატონ ჩუბინოვს. (ფრ.)

მარი ბროსესადმი №43 (49)

9 mai* 67
II. 11 juill.**

უფალო ბროსსეტ!
მოწყალეო ჴელმწიფევ!

ამასთან მომირთმევია „ცხოვრება მეფისა გიორგი XIII“ ჩემგან შედგენილი. გთხოვ განიხილოთ და მერეთ გარდაჰსცეთ უგანათლებულესს იოანე გრუზინსკის, რომელიცა ჯერეთ არარის პეტერბურღსა. – იქმნება ამა ცხოვრებამან, – უკეთუ თქუჱნცა დაუმატებთ თქუჱნთა სხოლიოთა, – შეავსოს პერიოდი ქართუჱლთა მეფეთა.

თქუჱნი მორჩილი
პლატონ იოსელიანი.[1]

9 მაისს 1867.
თფილისით.[2]

*მაისი (ფრ.)
**ივლისი (ფრ.)

მარი ბროსესადმი №44 (50)

6 jn.* 67[1]
II. 11 juill.**

მოწყალეო ჴელმწიფევ!
უფალო მარი იოანეჲ ძევ!

პასუხად წერილისა თქუჳნისა, რომლითაცა ვჰსცან ნება აკადემიისა, – მომეცეს მე ჩემივე შრომა გეოგრაფიული, – მოგიძღუნი მადლობასა. მაქუს იმედი უკეთესად ვიშრომო და გავმართო.

ცხოვრება მეფისა გიორგისა მოგართჳ: გთხოვ, თჳსსა დროსა, როდესაც არღა იქმნება თქუჳნთჳს სახმარევი,[2] გარდაჰსცეთ კ. იოანე გრუზინსკის. თქუჳნი ჰაზრი მას-ზედ, მაცნობეთ.

ვჰგზავნი, სურჳლისა-მებრ თქუჳნისა, ჩემთა შრომათა.

სხუანი დაბეჭდილნი, აქ დუშეთსა, სადაცა ზაფხულისათჳს დავბინავდი, არ-მჰქონდენ. მათ თფილისიდამ გამოვჰგზავნით.

ვამზადებ ენკენის-თთჳსათჳს[3] წიგნსა: [„]დასტუ[რ]ლამა“[4] დასაბეჭდავად. მინდა, ვუქმნა მას სხოლიოები, – ადჳლ გაგონებისათჳს.

თქუჳნი ერთგული
და მორჩილი პლატონ
იოსელიანი.[5]

6 ივნ. 1867 წ.
ქ. დუშეთით.[6]

*ივნისი (ფრ.)
**ივლისი (ფრ.)

1870

გრიგოლ ორბელიანისადმი №3 (51)


კარნუ[1] ქალაქი იყო ძუჭლად სომხითისა. თეოდოსი დიდმან ვიზანტიისა[2] იმპერატორმან (346-395) განაახლა და უწოდა სახელი თეოდოსიოპოლი.[3] თურქთა უწოდეს აზრუმი.[4]

პ. იოსელიანი.[5]

რომაელთა დროსა ეწოდა ამას[6] Ачх Потаночиш ე. ი. სიმაგრე ანუ ციხე რომაელთა. აქედამ შედგა სახელი ქალაქისა: არზ-ურუმი[7] ე. ი. ციხე[8] ურუმთა[8] ანუ რომაელთა.[10]

[1870 წლის 30 აპრილის შემდეგ]

დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890)



1850

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №1 (1)

[1850] 27 août[1]

De huit heures du soir (d'hier) jusqu'à quatre heures d'après midi d'aujourd'hui j'ai séjourné à Ardjaqueli, vous y attendant. Je ne pouvais plus y rester, parceque demain à 10 heures du matin je dois être à Palata. –

Je suis arrivé ici par l'ordre du papa. – Il veut, que toute la famille et vous – ma Annette, reste à village juisqu' que la maison sera loué; notre maison n'est encore finie et ne peut être habitée – Nina Constantinovna est attendue toute seule à Tiflis, et lorsque le papa avec maman trouveront le logement, quelqu'un de nous viendra ici pour vous accompagner. – Je pars à quatre heures. Aujourd' hui où pèut-être demain doit arriver l'héritier – fils de l'Empereur à Tiflis – Ton oncl Konstantin u[2] Dmitri Ivanovitch sont à la ville, et ils tous vous saluent. Je ne partirais plus à Dzegvi, mais resterais à Tiflis, d'où de temps à temps ferais l'excursion à Digomi. – Ma service dans la commission prolongera pêut-être[3] encore une semaine ou deux –, parceque le project des écoles est déjà approuvé à Saint-Petersbourg, cela m[']a dit Pourtseladzé, qui va attendre du Naméstnik. –

Le bois delit est déjà prét – et quelques choses aussi. – La maison est tout – à fait terminée, seulement le cabinet reste encore, mais l'odeur est aussi répendu dans les chambres.

Aurevoir ma charmante Annette – je regréte beaucoup de te ne voir; mais ce n'est rien – je te verrais bientôt. – Mon salut à toute le monde.

Dévouè pour toujours
Dm. B–ze

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №1 (1)

[1850] 27 აგვისტო

გუშინ საღამოს 8 საათიდან დღეს შუადღის 4 საათამდე არ-ჯაკელში გელოდებოდი. მეტს ველარ დავრჩებოდი, რადგან ხვალ დილის 10 საათზე პალატაში უნდა ვიყო. –

მე აქ მამაჩემმა გამომგზავნა. – მას უნდა, რომ მთელი ოჯახი და შენც – ჩემო ანეტა, სოფელში დარჩეთ სახლის დაქირავე-ბამდე. ჩვენი სახლი ჯერ არ არის დამთავრებული და იქ ვერ ვიც-ხოვრებთ. ნინა კონსტანტინოვნა მარტოა თბილისში და, როცა მამა-ჩემი და დედაჩემი ბინას იშოვნიან, ვინმე ჩვენგანი მოვა თქვენ წა-მოსაყვანად. მე 4 საათზე გავდივარ. დღეს ან ხვალ თბილისში ჩამო-დის მემკვიდრე – იმპერატორის ვაჟიშვილი. ბიძაშენი კონსტანტინე და დიმიტრი ივანოვიჩი ქალაქში არიან და ორივენი მოკითხვას გით-ვლიან. მე ძეგვში აღარ წავალ და თბილისში დავრჩები, საიდანაც ხანდახან დიღომში გავალ ხოლმე. ჩემი მუშაობა კომისიაში, ალბათ, ერთ ან ორ კვირას გაგრძელდება, ვინაიდან სკოლების პროექტი უკვე მიღებულია პეტერბურგში. ეს მითხრა ფურცელაძემ, რომე-ლიც ნამესტნიკს ელოდება.

საწოლები უკვე მზად არის და კიდევ სხვა რაღაცეებიც. სახლი მთლიანად დამთავრებულია, მარტო კაბინეტია დარჩენილი, მაგრამ ოთახებში სუნია.

ნახვამდის, ჩემო მშვენიერო ანეტა. ძალიან მწყდება გული, რომ ვერ გნახე, მაგრამ არა უშავს – მალე გნახავ. მოკითხვა ყვე-ლას.

მარად [შენი] ერთგული
დიმ. ბაქრაძე.

1855

მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (2)

Ваше Сіятельство.

Пользуюсь случаем, чтоб напомнить вам, что я еще существую на Свете и вместе засвидетельствовать вам мой искренній поклон. Я давно не имел случая с вами видеться. Я редко пріезжаю в Тифлис, но, кажется, и вы тоже перестали выезжать из него. Мы с вами млеем двумя совершенно противоположными чувствами: Вы привязываетесь к Тифлису, а я напротив… Мы проводим здесь время довольно весело. Зима была особенно хороша у нас; общества было столько, как вероятно никогда в Гори. Даже ваш Егор Степаныч до того полюбил нас, что неохотно разстается с нами. Кстати об нем. Он – прекрасный молодой человек, но в обществе, особенно же в дамском, очень опасен. Он отбил у нас дам, поссорил несколько мужей с женами. Он даже чванится, что не то еще сделает, если еще вздумает приехать к нам. Сделайте милость, Князь, не пускайте его больше.

В августе я имею маленькое желаніе пріехать в Тифлис. Передайте от меня поклон Тифлисским моим знакомым – Константину[1] Михаилычу Богданову, Іосифу Христофоровичу Додаеву.

Прощайте и незабывайте нас.

Ваш покорнейшій слуга
Дм. Бакрадзе.

14 іюля, 1855.

მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (2)

თქვენო ბრწყინვალებავ.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა შეგახსენოთ, რომ მე ჯერ ისევ ვარსებობ ქვეყანაზედ და ამასთანავე დაგიდასტუროთ ჩემი გულწრფელი თაყვანისცემა. რა ხანია, არ მომცემია შემთხვევა მენახეთ. მე იშვიათად ჩამოვდივარ ტფილისს, მაგრამ, ვგონებ, აღარც თქვენ გადიხართ მაგედან. ჩვენ ორივეს გული გველევა სრულიად განსხვავებული გრძნობებისაგან: თქვენ ტფილისს მიეჯაჭვეთ, მე კი პირიქით... ჩვენ საკმაოდ მხიარულად გაგვყავს დრო აქ. ზამთარი განსაკუთრებით კარგი გვქონდა; საზოგადოება იმხელა იყო, რამხელაც, ალბათ, არასოდეს ყოფილა გორში. თქვენმა ეგორ სტეპანიჩმაც კი იმდენად შეგვიყვარა, რომ უხალისოდ გვშორდება. ჰო, მართლა. ის შესანიშნავი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ბანოვანებთან, ძალზედ საშიში. მან წაგვართვა ბანოვანები, აქა-იქ ქმრები გადაჰკიდა ცოლებს. ის ყოყოჩობს კიდეც, რომ უარესს იზამს, თუ კიდევ გადაწყვეტს ჩვენთან ჩამობრძანებას. ქმენით სიკეთე, კნიაზო, ნუღარ გამოუშვებთ.

მაქვს პაწია სურვილი აგვისტოში ტფილისს ჩამოვიდე. მომიკითხეთ ჩემი ტფილისელი ნაცნობები – კონსტანტინ მიხაილიჩ ბოგდანოვი, იოსიფ ხრისტოფოროვიჩ დოდაევი.

მშვიდობით და ნუ დაგვივიწყებთ.

თქვენი უერთგულესი მსახური
დიმ. ბაქრაძე.

14 ივლისი 1855.

1856

მიხეილ თუმანიშვილისადმი №2 (3)

კნიაზო მიხეილ!

გიგზავნით ჩემ სტატიას – ისტორიის წყაროებზედ. მგონია, რომ ეს უნდა დაიბეჭდოს პირველს წიგნში. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. არ ვიცი კორრეკტორი[1] ვინ არის, და კარგი იქნება უბძანოთ, რომ ყური უგდოს დაბეჭდვის დროს ცვლილება არაფერი[2] მოახდინონ – საცა ტოჩკაა თუ სხვა რამ ზნაკები; თორემ ჰაზრები სულ აირევა, რადგანაც ფრაზები მოკლეებია ამ სტატიაში. ეს სტატია შევსწირე უ. ბროსსეს და ერთი ეკზემპლარი გაუგზავნე იმას. თუ ცოცხალი ვიქნები და თავისუფალი დრო მექნება, მეორე სტატია იქნება ცისკრისთვის „თამარ მეფა.“

ჩემ ნაცნობებს მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი უმორჩილესი მონა
დ. ბაქრაძე.

1856,[3] ნოემბ. 22.
Г. Гори.

1862

მიხეილ თუმანიშვილისადმი №3 (4)

10 окт. 1862 г.
Укр. Сацхениси.

Возвращаю Вам обратно, любезнейшій Князь Михаил, Записку о Хизанах; Я так занят служебными своими делами, что решительно минуты свободной не могу уделить собранію сведеній о Кахетинских Хизанах. До половины ноября вероятно я буду в Тифлисе на всю зиму, и если буду свободен, можете располагать мною как Вам будет угодно.

Ваш покорный слуга
Дм. Бакрадзе.

მიხეილ თუმანიშვილისადმი №3 (4)

10 ოქტ. 1862 წ.
ციხ. საცხენისი.

ძვირფასო კნიაზო მიხეილ, უკან გიბრუნებთ ბარათს ხიზნებზედ; მე ისე ვარ დაკავებული ჩემი სამსახურებრივი საქმეებით, რომ ნამდვილად წუთსაც ვერ ვუთმობ ცნობების მოგროვებას კახელ ხიზნებზედ. შუა ნოემბრიდამ თბილისში დავყოფ, ალბათ, მთელ ზამთარს და, თუკი თავისუფალი ვიქნები, მიმსახურეთ, როგორც გენებოთ.

თქვენი მორჩილი მსახური
დიმ. ბაქრაძე.

1864

ალექსი ილინსკისადმი №1 (5)

Его Высок-ву,
Высокопреосвященному Евсевію, Экзарху Грузій и Кавалеру.[1]

Ваше Высокопреосвященство,
Милостивый Архипастырь!

Во многом из горских приходов, где Общество возстановленія Христіанства на Кавказе предполагает учредить школы, большая часть священников, которым должно быть поручено обученіе детей, неприготовлены для этого дела. Они из[2] неучившихся діачков и, имея первоначальныя сведенія лишь в грузинской грамоте, могут учить только грузинскому чтенію и письму. Требовать от них, чтобы они, на основаніе программы Общества передавали[3] детям элементарныя сведенія в наукахּ[4] и знакомили бы их с русским языком, конечно, нельзя. Это[5] может быть достигнуто лишь с помощью священников-преподавателей, успешно кончивших ими курс в духовной Семинаріи и хорошо знакомых с русским языком и следует, по мере возможности, заместить приходов.

При обозреніи, по порученію управляющаго делами Общества, летом нынешняго года, двух благочиній Тіонетскаго округа, я нашел, что из числа 18 приходов, в которых сосредаточено горское христіанское населеніе, только 4 прихода имеют[6] священников, прошедших Семинарскій курс. Между тем, по местным условіям найдено возможность иметь школы в 14 приходах, именно: в 4ѣ Пшавских – в Шуапхо, Чаргали, Артани (Квара) и Сакарауло; в 5ти Тушинских – в Парсме, Омало, Алвани, Панкиси[7]; в 5ти Хевсуретских – в Ахіели,

Шатили, Гули, Барисахо и Амтнис-Хеви. Помещенія для школ – каждая на 20 воспитанников и особо для Священников – при мне, в іюле месяце, окончивались в Шуапхо, Чаргали, Артани[8] и Амтнис-Хеви. Тіонетским окружным начальникам были приняты меры к постройке школ и в след. приходах – в Сакарауло,[9] Алвани, Шатили, Ахіели, Гули и Барисахо, так что все оне должны бы быть готовы к 1му сентября, ко времени, когда предполагалось собрать и мальчиков, о чем будут сделаны представленія благочинными Тіонетскаго округа. Что касается двух приходов – Парсмы и Омало, то здесь может быть[10] не будет[11] школ до следующаго года; к следующему же году положено иметь помещенія для школ в Панкиси.[12]

Из указанных приходов, священники как отмечено выше,[13] кончившіе курс Семинаріи и могущіе[14] обучать в школах, есть в Парсме (свящ. Барнабов), в Алвани (свящ. Пиранов), в Барисахо (свящ. Инаев) и в Чаргали (свящ. Вардіев). Для успеха дела, мне кажется, следует[15] священника Берзенова, недавно определеннаго в Верхнія-Тіонети, переместить в Артан (Кварскій приход), так как в Тіонетах, состоящих почти из одних Грузин, не предполагается иметь школу; на место же Берзенова перевести священника Кварскаго; діакона Сакдріонской церкви Карсавели, учившагося в Ананурской военной школе,[16] и как мне показалось, человека надежнаго, переместить в Омало,[17]где при имеющейся церкви д[олжен] б[ыть][18] построен дом для школы. Две приходскія школы[19] в Шуапхо и Шатили, нуждаются в новых[20] священников, ибо настоящіе священники, судя по малоразвитости их и понензнанію ими русскаго языка, не могут обучать; особеннаго вниманія заслуживает Шатиль, как военный пограничный пункт[21] Хевсуретіи,[22] лежащій на сев. скот. п.* Кавк. хребта в соседстве с Митхойскими Кистинцами, входящими в состав Тіонетскаго округа; для детей которых,[23] по их просьбе,

назначено[24] семь вакансій[25] в Шатильской школе; Шатильскій священник Мжедлов там не на месте. Относительно же священников остальных приходов, хотя они и непроходили[26] Семинарскаго курса, но несколько сведущи в русском я зыке, и к тому же, при испытаніи их воспитанников, выказали стараніе и некоторые успехи; и потому я полагаю, поручить им школы в их приходах до инспекціи следующаго года, когда можно будет составить об них более решительное мненіе.

С чувством глубочайшаго уваженія и особенной преданности имею честь быть,

Вашего Высокопреосвященства,
Милостивый Архипастырь,
Коллегскій Ассесор Дм. Бакрадзе.

3 Сент. 1864 г.

ალექსი ილინსკისადმი №1 (5)

მის უმაღლ[ეს]ობას,
მაღალბრწყინვალებას ევსევს, საქართველოს ეგზარქსა და კავა-
ლერს.

თქვენო მაღალბრწყინვალებავ,
მოწყალეო მღვდელმთავარო!

მთის ბევრ სამწყსოში, სადაც კავკასიაში ქრისტიანობის აღ-დგენის საზოგადოება ვარაუდობს სკოლების დაარსებას, მღვდელთა დიდი ნაწილი, რომელსაც ბავშვების განათლება უნდა დაევალოს, მზად არ არის ამ საქმისათვის. ისინი უბრალო, უსწავლელ დიაკვან-თაგანნი არიან და, რაკი ქართული განათლების მხოლოდ საწყისებს ფლობენ, ძალუძთ ასწავლონ მხოლოდღა ქართული წერა-კითხვა.

მათგან იმის მოთხოვნა, რომ საზოგადოების პროგრამის საფუძველზე აღსაზრდელებს გადასცენ ელემენტარული ცოდნა მეცნიერებებში და გააცნონ მათ რუსული ენა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მღვდელ-მასწავლებელთა დახმარებით, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს სასულიერო სემინარიის კურსი და კარგად ფლობენ რუსულ ენას. შეძლებისდაგვარად [მათით] უნდა მოხდეს ჩანაცვლება სამწყსოებში.

საზოგადოების საქმეთა მმართველის დავალებით თიანეთის ოკრუგის ორი ბლაღოჩინის მონახულებისას ამა წლის ზაფხულში, მე აღმოვაჩინე, რომ 18 სამწყსოდამ, სადაც თავმოყრილია მთიანეთის ქრისტიანული მოსახლეობა, მხოლოდ ოთხ სამწყსოსა ჰყავს საიმედო მღვდელი, სემინარიის კურსი რომ გაუვლია. ამასთანავე, ადგილობრივი შესაძლებლობებით მოძიებულია საშუალება ვიქონიოთ სკოლები 14 სამწყსოში, კერძოდ: ფშავისაში 4$^{\text{ში}}$ – შუაფხოში, ჩარგალში, არტანში (კვარში) და საყარაულოში; თუშეთისაში 5$^{\text{ში}}$ – ფარსმაში, ომალოში, ალვანში, პანკისში; ხევსურეთისაში 5$^{\text{ში}}$ – ახიელში, შატილში, გულში, ბარისახოსა და ამტნის-ხევში. შენობები სკოლებისთვის – ყოველი მათგანი 20 აღსაზრდელისთვის და განსაკუთრებით მღვდელთათვის – ჩემს იქ ყოფნაში, ივლისის თვეში, სრულდებოდა შუაფხოში, ჩარგალში, არტანში და ამტნის-ხევში. თიანეთის ოლქის უფროსის მიერ მიღებული იყო ზომები სკოლების ასაშენებლად შემდ. სამწყსოებში – საყარაულოში, ალვანში, შატილში, ახიელში, გულსა და ბარისახოში, ასე რომ, ყველა მზად უნდა ყოფილიყო 1$^{\text{ი}}$ სექტემბრისათვის, იმ დროისათვის, როცა ნავარაუდევი იყო ყმაწვილთა შეკრება, რის შესახებაც გაკეთდება მოხსენება თიანეთის ოლქის ბლაღოჩინების მიერ. რაც შეეხება ორ სამწყსოს – ფარსმასა და ომალოს, აქ, ალბათ, ვერ მოესწრება სკოლების აშენება მომავალ წლამდინ; შემდგომი წლისთვის კი უნდა იყოს ნაგებობები პანკისში.

აღნიშნულ სამწყსოთაგან, მღვდლები, სემინარიის კურსი რომ დაუმთავრებიათ და შეუძლიათ წარმატებით ასწავლონ სკოლებში, არიან ფარსმაში (მღვ. ბარნაბოვი), ალვანში (მღვ. ფირანოვი), ბარისახოში (მღვ. ინაევი) და ჩარგალში (მღვ. ვარდიევი). საქმის წარმატებისათვის, ვჰგონებ, საჭიროა მღვდელი ბერძენოვი, ამასწინათ ზემო თიანეთში განწესებული, გადავიყვანოთ არტანში (კვარის სამწყსო), ვინაიდან თიანეთში, თითქმის მარტო ქართველები რომ

ცხოვრობენ, არ არის გათვალისწინებული სკოლის არსებობა; ბერძენოვის ადგილზე კი გადაყვანილ იქნეს კვარის მღვდელი; საყდრიონის ეკლესიის დიაკვანი ქარსაველი, როგორც მომეჩვენა, საიმედო კაცი, ანანურის სამხედრო სკოლაში რომ სწავლობდა, გადაყვანილ იქნეს ომალოში, სადაც არსებულ ეკლესიასთან უნდა აშენდეს სახლი სკოლისთვის. ორი სამწყსოს სკოლა შუაფხოსა და შატილში საჭიროებენ ახალ მღვდლებს, ვინაიდან ახლანდელ მღვდლებს, მათი არცთუ დიდი განათლებისა და რუსული ენის უცოდინრობის კვალობაზე, არ ძალუძთ სწავლება; განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შატილი, როგორც ხევსურეთის სამხედრო სასაზღვრო პუნქტი, კავკასიონის ქედის ჩრდილ. პირუტყვ. საძოვრ.-ზე რომ მდებარეობს მითხოელი ქისტების მეზობლად და თიანეთის ოლქის შემადგენლობაში რომ შედის, რომლის ბავშვებისთვისაც, მათი თხოვნით, გამოყოფილია შვიდი ვაკანსია შატილის სკოლაში; შატილის მღვდელი მჭედლოვი იქ ადგილზე არ იმყოფება. რაც შეეხება დანარჩენი სამწყსოების მღვდლებს, თუმც კი მათ არ გაუვლიათ სემინარიის კურსი, მაგრამ რამდენადმე ესმით რუსული ენა და, ამასთანავე, მათი აღსაზრდელების გამოცდისას გამოვლინდა მონდომება და ერთგვარი წარმატება; და ამიტომ ვვარაუდობ, მათ თავიანთ სამწყსოებში სკოლები მიებაროთ მომავალი წლის ინსპექტირებამდე, როცა შესაძლებელი იქნება უფრო დამაჯერებელი აზრის ჩამოყალიბება მათზე.

უღრმესი პატივისცემისა და განსაკუთრებული ერთგულების გრძნობით პატივი მაქვს ვიყო,

თქვენი უბრწყინვალესობის,
მოწყალეო მღვდელმთავარო,
კოლეგიის ასისტ. დიმ. ბაქრაძე.

3 სექტ. 1864 წ.

1872

ალექსანდრე ცაგარელისადმი №1 (6)

22 იანვარი, 72 წ.

ალექსანდრ ანტონიჩ.

მოგილოცავთ ახალს თანამდებობას. ვინც თქვენ გიცნობენ, იმათ შორის რა საკვირველია, მეც დიდი იმედი აქვთ თქვენი, რომ უნაყოფო არ იქნება თქვენი შრომა ქართულის ლიტერატურის ასპარეზზე.

ბოდიშს ვითხოვ, რომ აქამომდე თქვენს წერილზე პასუხი ვერ მოგეცით. პირველი ეს, რომ თქვენი წერილი ცოტა გვიან გადმომცეს. მეორე ეს, რომ მეგრელიაზე დებულება მეგრულს ენაზე და რუსულზე თავის დროზე ვერ ვიშოვნე. ამას გარდა ზაგურსკის ბროშურა: „Кавказско-горскія письмена“, რომელიც თქვენის შრომისთვის ჩემის ფიქრით იქნება მასალათ გამოგადგეთ, ჯერ დაბეჭდილი არ იყო აქამომდე და ერთი კვირაა მხოლოდ რაც გამოვიდა. სამის ამასთანავე გიგზავნით გოგებაშვილის ხელით.[2]

რა შრომასაც თქვენ შესდგენიხართ,[3] ძალიან საჭიროა. ჩვენ აქამომდე ქართულს ენაზე და იმისს შტოებზე ფილოლოგიური ცნობები, როგორიც სასურველია, ჩვენ არა გვაქვს. მეტადრე მე ისტორიულს შრომაში ვგრძნობ, რომ უიმისოთ ისტორია არ დაიწერება. მასალები[4] ყველა რა საკვირველია გაქვთ ფრანციცულს და მეტადრე ნემეცურს ენებზე. ჩემის ფიქრით უკეთესია როზენის ლაზურის ენის გამოკვლევა და მაქს მილლერისა საზოგადოდ კავკაზიის ენებზე და იმათ შორის ქართულს ენაზე; ეს თხზულება ანგლიურს ენაზეა დაწერილი, და როგორც მახსოვს, ის ქართულს ენას ინდო-ევროპიულს შტოთ სთვლის.

თქვენი ახალი შრომა მოითხოვს, რომ უეჭველად მოხ-

ვიდეთ აქ და ადგილობრივ თქვენვე შეჰკრიფოთ საჭირო მასალები. მე სწორე გითხრათ მეძნელება თქვენის პროგრამმის შესრულება. თუმცა იმედი მაქვს ახალციხეშიაც, სამეგრელოშიაც, სადაც ლაზები ხშირათ არიან ხოლმე, უარს არა ვინ მეტყვის მასალების შეკრების პროგრამმით, მაგრამ იმედს ვერ მოგცემთ, რომ ამ საქმეს გულ-მხურვალეთ შეუდგნენ და უფრო არ გაგიფუჭონ საქმე. მაინც გამომიგზავნეთ პროგრამმა. მე ვეცდები, რომ თქვენი სურვილი ავასრულო.

სვანურს ენაზე[5] დაბეჭდილი „საქრისტიანო საზოგადოებისაგან“ სლოვარი მქონდა მე, რომელშიაც ამ ხუთის წლის წინ კარანდაშით თვით სამეგრელოში ჩაურთე, ლაზების გამოკითხვით, სხვა და სხვა ნიმუშები იმათის სლოვარიდამ, ზოგიერთი ფრაზები და გრამმატიკული ფორმები შედარებით მეგრულს ენასთან. როგორც მახსოვს დიდი განსხვავება ვერა ვნახერა მეგრულში და ლაზურში. ის სლოვარი მინდოდა თქვენთვის გამომეგზავნა, მაგრამ საუბედოდ[6] ვერ მიპოვნია. თუ რომ ვიპოვნე უეჭველად გამოგიგზავნით.

ბროსსესთან დაიარებით რა საკვირველია. ჩემ მაგიერ გულითადი პატივისცემა განუცხადეთ. იმედი მაქვს თქვენ მაგას[7] და ეგ თქვენ[8] დიდს შემწეობას მისცემთ ერთმანეთს.

რაშიაც საჭირო ვიყო თქვენთვის, ნუ დამზოგავთ. ყოველსავე თქვენს მონდობილებას დაუზარებლად შეგისრულებთ, თუ შევძლებ.

დავშთები თქვენის წარმატების
მარად მოსურნე
დიმიტრი ბაქრაძე

1875 წლამდე

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №2 (7)

[1875 წლამდე] 27 აგვისტო

მადამ ანეტა. სოფრონას ისევ გიგზავნი ახბულახში, თან ვატან ჩაის და სტერინის სანთელს ხუთს გირვანქას, რომელიც შენ გეთხოვნა. შაქარს არ გიგზავნი, რადგანაც ეს ამ წვიმაში ვერ წამოიღებდა. როგორც შენ იწერები მგონია კაცი უნდა ჩამოგზავნოთ. თუ ჩამოგზავნით, იმას გამოვატან. ფულს არ ვატან სოფრონას: ბაიყუშია, მეშინიან არ დაკარგოს. მე მგონია დიდხანსაც აღარ დარჩეთ. როგორც სჩანს სულ აგრილდა. მანდ უნდა კარგათ ცივოდეს; აქ რომ ასე ცივა, მანდ რაღა იქნება. თუ დააპიროთ წამოსვლა უჩემოთ ნუ შებრკოლდებით. იქნება ალექსანდრეც გამოიყოლოთ. სახლს ეხლა სურათებს უკეთებენ. განჯინებს უშენოთ არ გავაკეთებინებ.[1] შენ უფრო ვკუსი გაქვს. როდესაც ჩამოხვალ მაშინ გავაკეთებინოთ. აგრეთვე კუხნის ფეჩი. მგონია კუხნის ფეჩზე კიდეც მოგწერე, რისთვისაც შევაყენე. – პრიკაზის ქაღალდი თითქმის მზათ არის, მე მგონია ამ ერთ კვირაზედ კიდეც შევიტანო. –

სახლის პლანს აღარ გიგზავნი უკან; არც სიგძის ზომას. ჩამოხვალ ხომ მალე. –

იმ დღეს სალდათს წიგნი გამოვატანე. არ ვიცი მიიღე თუ არა. სადაც სარდიონი დგას იმ სახლის პატრონია.

ძალიან მასიამოვნე შაქროს ამბით. კარგათ გაუფთხილდი, კარგათ ჩამოგგვარე. მაშო და ოლგა ბევრს ნუ იგიჟებენ: ჩემ-მაგიერ უთხარ რო ჩამოხვალთ კანფეტებს არ გიყიდითქო.

ალექსანდრეს უთხარ – ამ დღეებში ლისოვსკის მოველითთქო, და მალე შევიტყობთ, როდის დანიშვნენ საგინაანთ საქმეს. –

ყველანი სიყვარულით მომიკითხე. აგრეთვე ნაცნობებს პატივისცემას განუცხადებ.

დიმიტრი ივანიჩი აქ იყო, მაგრამ მეორეს დღესვე წავიდა. გიორგი ჯავახოვიც გუშისწინ წავიდა. დიმიტრი ოსეფიჩის წიგნი ჯერ არ მოგვსვლია. ქრისტეფორეს ძალიან თურმე მონდომებია ცოლის შერთვა. დედას სწერს ქალი მიშოვეთო, თორემ ვინც შემხვდება იმას შევირთამო. აგება თქვენ მაინც ვინმე უშოვოთ მანდ, თორემ აქ არავინ არის.

ბაბალე როგორ არის ამ ამინდში ბაღში ტანციობაზე. მგონია სულ ასეთია, რომ მანდაურ ბუნებაზე მეტათ მოღრუბლული.

კარგათ იყავით ყველანი. მალე ნახვამდე შენი დ. ბაქრაძე.

ყმაწვილები დამიკოცნე. დარიკომ დაგკოცნათ.

[მეოთხე გვერდზე მისამართი წერია:]

ანნა იოსებოვნას

ბაქრაძისას.[2]

ახბულახში[3]

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №3 (8)

[1875 წლამდე] 25 სეკტ.

უძვირფასესო ანეტა.

რაც დამაბარე ყველას გიგზავნი, აგრეთვე 15 მანეთს.[1] ათი თუმანი არის, როცა მოახერხო ჩამოდი: გარდა ამისა დე-

და შეგისრულებს წლის ფულს. –

აქ ყველანი კარგათ არიან. მამა ბევრით[2] უკეთ არის და მხიარულათაც. ზაქარია და დარიკო ჩამოვიდნენ. ერთ დროს მოვიყარეთ თავი.

ზასედანიები კვირამდე გადავდეთ. – კივანდოს უთხარით სახლისა.

ყმაწვილები დამიკოცნე.

ყველამ სიყვარულით მოგიკითხეს.

შენი დ. ბაქრაძე[3]

1876

მარი ბროსესადმი №1 (9)

30 oct. 1876 30 окт. 76. Тифл[1]

Ваше превосходительство,
Марій Иванович

Я получил вчера вместе с корректурным листом (4-я форма) «Путешествіе по Гуріи», 2–ой том „Collection d'histoi[re] Armen.“ Ваш „отчет“ о моем труде и три чистых листа „Чурук су, Аджары и Гуріи“. Считаю своим долгом чувствительнейше Вас благодарить и за ваш в высшейстепени честный отзыв омоем труде и подарок Ваш.

Я не имел возможности отвечать на ваше последнее письмо. Письмо это я сообщил Кн. Чавчавадзе, которым оно еще не возвращено. Если какія-либо фразы в его kacia adamiani, могут требовать разъясненія с его стороны, то он просит указать места такія и он не замедлит ответом. Я его не встречаю и, сколько помнится, он сам хотел с Вами списаться. Грузинское слово, – забыл я его, котораго значеніе Вы просили меня разъяснить, обещал разъяснить Петр Умиков, знаток грузинского языка. Он сказал мне, что то слово означает «седьмицу», но я просил дать мне сведеніе кто и где этому слову дает такое значеніе. Он обещал.

Не знаю, выслал Вам книги по Вашему списку Каландад[з]е, или нет; я ему на третій же день сообщил ему[2] Ваш список; но с ним случилось непрі[ятность]. Здесь было произведено несколько арестов и в числе подвергнутых арестам находится Каландадзе; книжный магазин его опечатан.

Документы, высланные мною в Академію Наук принесены в дар вашему Музею и потому можете ими распорядиться, по Вашему благоусмотренію. Относительно номенклатуры грузинских названій я забыл Вам сказать, что я их употребляю в различной форме намеренно. Для слова Ардаган я держусь вообще форм Вахушта относительно целаго округа; в иной форме я употребляю для обозначенія города этого имени или селенія. Ацкур тоже у меня имеет в большенстве случаев грузинскую форму Ацкури; и форму Ацкур, когда это слово встречается в официальном извлеченіи из русских историков. Точно также названія местностей встречается и в грузинск. и в турецком окончаніях: напр. Таос кари, Тавскар, и пр. Впрочем не без того, чтоб в этом отношеніи я не делал промахов, которыя, если это Вас не затруднит, прошу исправлять в последней корректуре. Я, напр., подметил, что в чистых местах, вчера мною полученных, слово Озургети без надобности употребляется и в русск. и грузинской форме. Вероятно, я приготовлю небольшое предисловіе, в котором я скажу об этом и кой о чем. В отпечатанных местах я нашел две-три топограф[иче]скія ошибки, в числе их англ. слово Notar написано русскими буквами Нотар. Ошибки эти, как и те, которыя неизбежно окажутся в следующих листах, я приложу в конце в опечатках.

Я должен сказать Вам о двух вещах, о Zeglis wera и о карте к моему труду. Так как я не мог съездить в Мцхет, трактат доволно большой и я полагаю, переписка[3] его отнимет у меня дня два, то я просил архимандрита Макария, в распоряженіи котораго состоит Мцхетская библіотека, выписат книгу sjulis kanoni. Он обещал мне это сделать, я ещё не встречаю и если найду[4] нужным, обращусь письменно к самому Экзарху.

С картою случилась маленкая исторія. Я Вам, сколько помнится. месяца полтора назад обещал выслать тогда же оттиск; топограф,[5] который[6] взялся ее вырезать на камне и постоянно уверял меня, что сегодня-завтра будет она готова и так как конец печатанія „Путешествія“ еще далеко, то я и не торопил его; и казалось, что, так по крайней мере я подозреваю, что он и не приступал. Я просил вчера Стебинскаго (?) потребовать камень (топограф[7] наемный, и работаеть дома) и если[8] нужно будет передать другому. Он обещал это сделать.

У нас после засухи пошла слякоть. Вам вероятно будет интересно узнать, что в нашем крае после двадцати-летней болезни винограда, она в нынешнем году повсеместно исчезла. Навсегда ли, вот вопрос? Урожай винограда отличный.

Недавно я пріобрел прекрасное сочиненіе Маспера, вышедшее в нынешнем году под заглавіем: *Histoire ancienne des peuples de l'Orient*. В этой книге вопрос о проіcхожденіи Грузин от Туранцев считается как бы вопросом нерешенным. Он держится мненія Ленормана в его *Lettres assyriologiques* об Алародионов (p. 398) о котором вы высказали свое мненіе в I томе вашего Collection d'hist. l'Armén. p. 281. Как легко и самые лучшие писатели Европы дают промах, когда они отступают от строго-научных пріемов!

С истинным уваженіем и постоянною готовностью к Вашим услугам

остаюсь
Дмитрій Бакрадзе

მარი ბროსესადმი №1 (9)

30 ოქტ. 76. ტიფლ.

თქვენო აღმატებულებავ მარი ივანეს ძევ!

გუშინ საკორექტურო ფურცლებთან (მე-4 თავი) ერთად მივიღე „მოგზაურობა გურიაში“, II ტომი, „Collection d'histoi[re] Armen.“, თქვენი ანგარიში ჩემს შრომაზე და სამი სუფთა ფურცელი „чурук су, Адчары и Гурии“. თავს მოვალედ ვრაცხ, მადლობა გადაგიხადოთ ჩემი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისთვის, აგრეთვე, თქვენი საჩუქრის გამო.

საშუალება არ მომეცა, თქვენს ბოლო წერილზე მეპასუხა. ის წერილი თავად ჭავჭავაძეს გავაცანი და ჯერაც არ დაუბრუნებია. თუ „კაცია-ადამიანში“ რაიმე ფრაზა ავტორის განმარტებას მოითხოვს, ის მზადაა და გთხოვთ მიუთითოთ ასეთ ადგილებზე, რომ დაუყოვნებლივ გიპასუხოთ. მას ვერ ვხვდები. როგორც გახსოვთ, თვითონ უნდოდა თქვენთვის მოეწერა.

რაც შეეხება სიტყვას (მე ის დამავიწყდა), რომლის მნიშვნელობის ახსნაც თქვენ მთხოვეთ, ქართული ენის მცოდნე პეტრე უმიკოვი შემპირდა მის განმარტებას. უმიკოვის ახსნით, ეს სიტყვა მეშვიდედს ნიშნავს. თუმცა, მე ვითხოვე ეცნობებინა, ვინ და სად იძლევა ამ სიტყვის ასეთ განმარტებას. ის შემპირდა.

არ ვიცი, თქვენი სიის მიხედვით გამოგიგზავნათ თუ არა წიგნები კალანდაძემ. მე მესამე დღესვე გადავეცი თქვენი სია. მაგრამ მას აქ უსიამოვნება შეემთხვა, დააპატიმრეს და მისი წიგნების მაღაზიაც დალუქეს.

მეცნიერებათა აკადემიაში ჩემ მიერ გამოგზავნილი დოკუმენტები თქვენი მუზეუმის საჩუქარია და შეხედულებისამებრ შეგიძლიათ მისი გამოყენება. რაც შეეხება ქართული ტოპონიმების ნომენკლატურას, დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ მე მათ განზრახ სხვადასხვა ფორმით ვიყენებ. არდაგანის მაგივრად მთლიან მხარესთან შეფარდებით ვხმაროб ფორმას „Вомухта“. სხვადასხვა ფორმით ვხმაროб ამ სახელს, გააჩნია, ქალაქს აღნიშნავს, თუ სოფელს. აწყურიც ჩემთან უმეტეს შემთხვევაში ქართული ფორმითაა. „Ацкури“-ს ვიყენებ მაშინ, როცა ეს სიტყვა მხვდება ოფიციალურ ამონაწერებში, ან რუსულ წყაროებში. ზუსტად ასეთი ადგილობრივი სახელწოდებები გვხვდება რო-

გორც ქართულ, ისე თურქულ დაბოლოებებში. მაგალითად, ტაოსკარი-ტავსკარ და ასე შემდეგ. თუმცა არც უმისობაა, რომ ამ თვალსაზრისით შეცდომები არ მქონდეს. გთხოვთ, გაასწოროთ ისინი ბოლო კორექტურაში, რა თქმა უნდა, თუ ძალიან არ შეწუხდებით.

გუშინ მიღებულ სუფთა ფურცლებში შევნიშნე, რომ სიტყვა ოზურგეთი არასაჭიროებისამებრ ნახმარია ორივე ფორმით – ქართულით და რუსულით. ალბათ, მოვამზადებ მცირე შესავალ წერილს, რომელშიც ასეთ საკითხებს განვმარტავ. უკვე დაბეჭდილ სუფთა ფურცლებზე ორი-სამი ტიპოგრაფიული შეცდომაც ვიპოვე. ამ და სხვა შეცდომების გასწორებას, რომლებიც აუცილებლად აღმოჩნდება შემდეგ ფურცლებზე, დავურთავ წიგნის ბოლოს.

რადგან მცხეთაში წასვლა არ შემეძლო, ტრაქტატი საკმაოდ დიდია და მისი გადმოწერა ორ დღეს მაინც წამართმევდა, ვთხოვე არქიმანდრიტ მაკარს, რომლის გამგებლობაშიცაა მცხეთის ბიბლიოთეკა, გამოეწერა ჩემთვის „სჯულის კანონი“. ის შემპირდა, მაგრამ თუ საჭიროდ დავინახავ, ამის თაობაზე ეგზარქოსსაც მივმართავ წერილობით.

რაც შეეხება რუკას, როგორც მახსოვს, თვენახევრის წინ შეგპირდით, რომ ამონაბეჭდს გამოგიგზავნიდით. ტოპოგრაფი, რომელსაც ის ქვაზე უნდა ამოეჭრა, გამუდმებით მარწმუნებდა, რომ დღეს-ხვალ გაამზადებდა. რადგან „მოგზაურობის“ დაბეჭდვის ბოლო ჯერ კიდევ შორს იყო, მე არ ავაჩქარე იგი. აღმოჩნდა, რომ, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ, მას არც დაუწყია ეს სამუშაო. ტოპოგრაფი სახლში მუშაობს. გუშინ სტებინსკის ვთხოვე, ქვა გამოართვას მას და თუ საჭირო იქნება, სამუშაო სხვას გადასცეს. ის შემპირდა.

ახლახან მოვიპოვე წელს გამოცემული მასპეროს წიგნი სახელწოდებით „აღმოსავლეთის ხალხების ისტორია“. ამ წიგნის მიხედვით, ქართველების თურანელებისგან წარმომავლობის საკითხი უკვე გადაჭრილად ითვლება. ავტორი ეყრდნობა ლენორმანის შეხედულებას, რომელზედაც თქვენ უკვე გამოთქვით მოსაზრება (Collection d’Hist. Armen, t. I, p. 281).

რა ადვილად მოსდით შეცდომები თვით ევროპის საუკეთესო სწავლულებსაც კი, როცა მკაცრად მეცნიერული გზიდან გადაუხვევენ.

გულწრფელი პატივისცემით მარად თქვენი სამსახურისთვის
მზადმყოფი დიმიტრი ბაქრაძე

1878

მარი ბროსესადმი №2 (10)

22 janv. 1878

27 генв. 1878г. Тифлис[1]

Ваше превосходительство,
Марій Иванович

Я постоянно держусь правила не задерживать корректурных листов. 19, 20 и 21 листы высланы мною давно. Последный, т. е. 21 лист я выслал а Академію 10 января. Почта вообще ходит в зимнее время весьма неисправно и потому неудивительно, если корректурные мои листы[2] получаются отсюда чрез две-три недели. Во всяком случае я надеюсь, до сих пор они должны быть уже получены Вами. Такой суровой и бешеной зимы, как нынешняя, никто не запомнит на Кавказе.

Получил Я Ваши две брошюры, одну из ных я наднях же передам кн. Чавчавадзе. Мне помнится, Вы предпологали перевести на французскій язык კაცია ადამიანი. Кн. Чавчавадзе интересовался этим и как-то спрашивал меня, но я забыл об этом спросить Вас. Или, может быть, Вы остановитесь на одном анализе, как об этом говорится в Вашей брошюре, стр. 431. Брошюра эта, как группировка данных о литературных произведеніях старой и новой Грузіи, весьма поучительна, но только мне кажется перевод კაცია ადამიანი „Un home, un fils d'Adam“ сделан неверно. კაცია я понимаю в смысле[3] собственнаго имени, а ადამიანი у нас употребляется в смысле

„человек“. Я бы его перевёл так: „Kadzia, un home“, „Кация Человек“. Я спрашу у самаго Чавчавадзе и сообщу Вам.

В „Иверіи“ ოსმალოს საქართველო – принадлежит П. Умикому. Статья эта основана на данных книги Казбека; мне же собственно принадлежит ряд статей под заглавіем საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა). На следующей недели в „Иверіи“ оканчивается вторая глава этой татьи. Она набирается и отдельными[4] брошюрами. Я их Вам вышлю и впред буду высылать. Меня давно просят мои соотечественники ознакомить их с исторіею Грузіи и с теми данными вообще, которыя имеются о Грузіи до настоящаго времени. Я счел нужним придать своему труду историческо-этнографический характер. Я намерен довести его до конца и по окончаніи мы намерены снабдить его картами[5] в том виде, как в „Исторіи Востока“ Масперо. Мне желательно знать Ваше мненіе об этом труде, а именно относительно первых двух глав, которыя по[6] полученіи их от меня, нет сомненія, заинтересуют Вас. Во 2-ой главе я сообщаю возможно – полный свод сказанія Страбона о Кавказе.

Копіи из аѳонскаго манускрипта уже сделаны. Переписчик недавно уехал в отряд и потому мы с ним не успели перечесть их. По возвращеніи его мы прочтем, исправим и затем с собственною заметкою я пришлю их в Академію Наук.

Я недавно читал об открытіи в Петурбурге „Археологическаго института“. Судя по тому, что он попал в руки таких людей, как гг. Калачов и Бычков, надо надеяться, что археологическія изысканія в России[7] вскоре примут вполне научный характер. Желаю полнаго успеха. Не знаю, получили Вы мою брошюру „О до-исторической археологіи вообще и кавказской в особенности“. Если нет, то я Вам ее пришлю. Она

будет помещена в нынешнем году в „Трудах“ общества любителей Кавказкой археологіи“.

За сим остаюсь
искренно Вас уважающій
Дм. Бакрадзе

NB. К 22му корректурн.
листу прилагаю свод погреш-
ностей в „Путешествіи по
Гуріи и Адчаре“.

მარი ბროსესადმი №2 (10)

27 იანვ. 1878წ. ტფილისი[1]

თქვენო აღმატებულებავ.
მარი ივანეს ძევ

მე წესისამებრ არასოდეს ვაყოვნებ საკორექტურო ფურცლების გამოგზავნას. მე-19, მე-20 და 21-ე ფურცლები დიდი ხანია, გამოვგზავნე. ბოლო, 21-ე ფურცელი აკადემიაში 11 იანვარს გავგზავნე. ზამთრის პერიოდში ფოსტა ჩვეულებრივ გაუმართავად მუშაობს და ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ჩემი საკორექტურო ფურცლები აქედან ორი-სამი კვირის შემდეგ მოგდით, ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, აქამდე უკვე უნდა გქონდეთ მიღებული. არავის ახსოვს კავკასიაში ასეთი მკაცრი და გადარეული ზამთარი, როგორიც ახლაა.

თქვენი ორი ბროშურა მივიღე, მათგან ერთს ამ დღეებშივე გადავცემ თავად ჭავჭავაძეს. მახსოვს, რომ თქვენ მისი „კაცია-ადამიანის“ ფრანგულ ენაზე თარგმნას აპირებდით. ამით დაინტერესდა თავადი ჭავჭავაძე და ერთხელ მკითხა. მე კი დამავიწყდა ამის შესა-

ხებ თქვენთვის მეთქვა. შეიძლება თქვენ შეჩერდეთ ერთ ანალიზზე, როგორც ამის შესახებ ნათქვამია თქვენს ბროშურაში (გვ. 434). ეს ბროშურა, როგორც ძველი და ახალი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების შესახებ ცნობების კრებული, ფრიად საგულისხმოა. თუმცა შეჩვენება, სწორად არაა თარგმნილი „კაცია ადამიანი“ „Un homou un fils d'Adam“. კაცია მე მესმის, როგორც საკუთარი სახელი. ადამიანი ჩვენში გამოიყენება აზრის „человек“. მე ამას ასე ვთარგმნიდი – „Kadz un home“, „Кадция человек“. ამის შესახებ თავად ჭავჭავაძეს ვკითხავ და გაცნობებთ.

„ივერიაში“ დაბეჭდილი „ოსმალოს საქართველო“ პეტრე უმიკაშვილს ეკუთვნის. ეს სტატია [გიორგი] ყაზბეგის წიგნის მონაცემებს ეყრდნობა. პირადად მე მეკუთვნის სტატიების სერია სათაურით „საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“. მომდევნო კვირაში „ივერიაში“ მთავრდება ამ სტატიის მეორე თავი. ის ცალკე ბროშურებადაც მზადდება. მათ აუცილებლად გამოგიგზავნით და მომავალშიც გავაგრძელებ გამოგზავნას. დიდი ხანია, ჩემი თანამემამულეები მთხოვენ, მათ საქართველოს ისტორია და საერთოდ ყველა ის წყარო გავაცნო, რაც ამ დრომდე საქართველოს შესახებ არსებობს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, ჩემი შრომისთვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათი მიმეცა. ვაპირებ ბოლომდე მივიყვანო ეს შრომა და დამთავრების შემდეგ, ვფიქრობთ, რუკები ისე დავურთოთ, როგორც მასპეროს „აღმოსავლეთის ისტორია“ აქვს. სასურველია, ვიცოდე თქვენი აზრი ამ შრომის შესახებ, განსაკუთრებით ჩემგან გამოგზავნილ პირველ ორ თავზე, რომლებიც, უეჭველია, დაგაინტერესებთ. მეორე თავში მე შეძლებისდაგვარად სრულად გადმოვცემ სტრაბონის ცნობებს კავკასიის შესახებ.

ათონის ხელნაწერების ასლები გაკეთებულია. გადამწერი ახლახან წავიდა სამხედრო ნაწილში და ამიტომ ვერ მოვასწარით მასთან ერთად გადაგვეკითხა ასლები. დაბრუნდება თუ არა ის, წავიკითხავთ, შევასწორებთ და შემდეგ ჩემი შენიშვნებით გამოვგზავნი მეცნიერებათა აკადემიაში.

ახლახან წავიკითხე, რომ პეტერბურგში გაიხსნა „არქეოლოგიური ინსტიტუტი“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ისეთი ადამიანების ხელში მოხვდა, როგორებიც არიან ბატონები კალაჩოვი და ბი|ჩკოვი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთში არქეოლოგიური ძიებანი მალე მიიღებს ნამდვილ მეცნიერულ ხასიათს. ვუსურვებ სრულ წარმატე-

ბებს. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა ჩემი ბროშურა „პრეისტორიული არქეოლოგია საერთოდ და კავკასიური განსაკუთრებით“. თუ არ მიგიღიათ, ისევ გამოგიგზავნით. ამ წელს იგი გამოქვეყნდება „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების შრომებში“.

დავრჩები გულრწფელად თქვენი პატივისმცემელი
დიმიტრი ბაქრაძე

მარი ბროსესადმი №3 (11)

16 fev. 78 16 февр. 1878. Тифл. [1]

Ваше превосходительство
Марій Иванович

К составленію алфавитнаго указателя я уже приступил. Последный лист моего труда мне понадобится. Как только я их получу, чрез неделю вышлю Вам весь алфавит с Предисловіем.[2]

На счет заглавія კაცია ადამიანი я спрашивал кн. Чавчавадзе. Оказывается, что я действительно ошибся. Он объясняет так значение этого заголовка. Роман[3] печатался без него и потому допущена неточность типограф[иче]ская, которая многих вводит в ошибку. Следовало бы напечатать не კაცია ადამიანი, а „კაცი-ა ადამიანი!“ Заглавіем этим[4] автор хотел выразить следующую мысл: «Он есть[5] человек». «Он тоже человек». კაცი и ადამიანი разнозначащи.

Вы спрашиваете о Генерале Мамацове. Он не отец известных Вам двух молодых артиллеристов, а родной дядя, человек весьма образованный, стяжавшій славу еще в войну

Турции с Россіею. Из Мамацовых артиллеристов, братьев моей жены, старшій коменандует батареею в Кобулетском отряде, а младшій, который в прошлом году служил в Петербурге, в настоящее время началствует осадную артиллереію в Карсе. Оба в чине подполковника, а младшій кроме того заслужив ордена Владимира и Георгія. Он отличался при осаде Карса.

В тифлисе только в последные дни сделалось несколько тепло, до того же сначала с сентября постоянно шли дожди, и с ноября настала самая суровая зима. Не удивляюсь поэтому, что некоторые мои корректурные листы или пропали, или дошли к Вам неисправно.

Постараюсь скоро Вам прислать копію с аθонского монатыря.

Мне на днях сказали, что в одном доме в Карталин имеется ქართლის ცხოვრება, принадлежавший каталикосу Антонію I. Хочу просить: надеюсь не откажут одолжить.

Преданный Вам
Дм. Бакрадзе.

მარი ბროსესადმი №3 (11)

16 თებ. 1878 ტიფ.

თქვენო აღმატებულებავ
მარი ივანეს ძევ

ანბანური საძიებლის შედგენას უკვე შევუდექი, ჩემი შრომის ბოლო ფურცლები დამჭირდება. როგორც კი მათ მივიღებ, ერთი კვირის შემდეგ მთელ საძიებელს წინასიტყვაობით გამოგიგზავნით.

„კაცია ადამიანის“ დასათაურების შესახებ შევეკითხე თავად ჭავჭავაძეს. ჩანს, მე მართლაც შემეშალა. მან ამიხსნა, რას ნიშნავს ეს სათაური. რომანი მის გარეშე დაიბეჭდა და ამიტომ ტიპოგრაფიული უზუსტობა გაიპარა, რომელსაც ბევრი შეჰყავს შეცდომაში. უნდა დაბეჭდილიყო „კაცი-ა ადამიანი!“ და არა „კაცია ადამიანი“. ამ სათაურით ავტორს შემდეგი აზრის გამოხატვა სურდა: „ის ადამიანია?!“ „ისიც ადამიანია?“ აქ კაცი და ადამიანი თანაბარი მნიშვნელობისაა.

თქვენ გენერალ მამაცაშვილზე მეკითხებით. ის არ არის თქვენი ნაცნობი ორი ახალგაზრდა არტილერისტის მამა, მათი მკვიდრი ბიძაა: ძალიან განათლებული კაცია, ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომში მოიპოვა დიდება არტილერისტი მამაცაშვილებიდან, ჩემი მეუღლის ძმებიდან, ერთი ქობულეთის ნაწილის ბატარეის უფროსია. უმცროსი ძმა კი, რომელიც შარშან პეტერბურგში მსახურობდა, ახლა არტილერიას ხელმძღვანელობს ალყაშემორტყმულ ყარსში: ორივეს პოდპოლკოვნიკის ჩინი აქვს. უმცროსმა, ამას გარდა, ვლადიმირის და გიორგის ორდენები დაიმსახურა. ის გამოირჩეოდა ყარსის გარემოცვის დროს.

თბილისში მხოლოდ უკანასკნელ დღეებში დათბა. მანამდე, სექტემბრიდან, გამუდმებით წვიმდა, ნოემბრიდან კი მკაცრი ზამთარი დადგა. ამიტომ არ მიკვირს, რომ ზოგიერთი ჩემი საკორექტურო ფურცელი ან დაიკარგა, ან თქვენამდე დაგვიანებით მოვიდა.

ვეცდები, მალე გამოგიგზავნოთ ათონის მონასტრიდან ჩამოტანილი ასლი. ამ დღეებში მითხრეს, რომ ერთ ოჯახში ინახება „ქართლის ცხოვრება“, რომელიც კათალიკოს ანტონ პირველის საკუთრება იყო. მინდა ვთხოვო მათ. იმედი მაქვს, თხოვნაზე უარს არ მეტყვიან.

თქვენი ერთგული
დიმ. ბაქრაძე.

1879

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №4 (12)

[1879] 18 მარტი, ბათუმი[1]

უძვირფასესო ანეტა.

გუშინდელი ჩემი წიგნი უნდა მიგეღო. იმ წიგნში გიგზავნი დოვერენნოსტს ფოჩტისას.

ახლა გიგზავნი თვრამეტ თუმანს[2] (180 p.). როდესაც მიიღო მაცნობე.

ჩემი შვილები დამიკოცნე. ჩვენები ყველანი სიყვარულით მომიკითხე.

შენი მარად ერთგული
დიმ. ბაქრაძე.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №5 (13)

[1879] 9 მაისს, ბათუმი.

უძვირფასესო ანეტა. შენი ორი წიგნი მივიღე და დიდათ ვისიამოვნე რომ ყველანი კარგათა ხართ და დროსაც კარგათ ატარებთ. საქმეების კარგათ წაყვანისათვის დიდათ გმადლობ: მეც უკეთ ვერას ვიქმოდი. ბაბალეს მიულოცე, რომ პომეშჩიცა გამხდარა ქალაქისა. წარმოიდგინე იმოდენა საქმეები გვაქვს, რომ სრულებით ვერ ვიცლი გაბოსთვის წიგნი მომეწერა. თითქმის 2000 დოკუმენტი განიხილა ჩვენმა კამისიამ; ეს კიდე არაფერი: პროტოკოლების შედგენამ შეგვაწუხა, დღე და ღამ ვმუშაობთ, აქაურებს უკვირთ ამოდენა

შრომა, მაგრამ ვათავებთ. ბათუმი თითქმის გავწმინდეთ და ამ თვის 20-26 ვაპირებთ არტვინში[1] წასვლას, იქ დავრჩებით (და აგრეთვე არტანუჯში) ერთი თვე, იქიდამ რო დავბრუნდებით ივნისში ერთი 10 დღით მანდ მოვალ. მანამდე კი არ შემიძლიან. პლანი მოგთხოვოს, თუ პოლევოი ჟურნალი მიროვოი სუდიამ სულ ერთია წარუდგინე, შემდეგ ისევ შეიძლება გამოვიტანოთ. თუ გინდა ნუ წარუდგენ ჩემ მოსვლამდე სულ ერთია. იმედი მაქვს მანდ რო მოვალ ტლაშიძეს საქმე გავათავოთ, თუ აქ მანამდე არ გაათავე.

ფული, წარმოიდგინე, აქამომდე არა მოგვსვლია რა. ჯამაგირი რაც მიიღე შენ მოიხმარე, როგორც საჭიროთ დაინახო. ჩემთვის საჭირო არ არის. მალე მოველით სხვა ფულსაც. შენ და დიმიტრი პეტროვიჩმა რომ მომწერეთ, მირსკიმ დაგინიშნაო 300 მანეთი, მე ჯერ არა ვიცი რა. მართალია თუ არა? მართალია, დიმიტრი პეტროვიჩისაგან შეიტყე, რა ფული უნდა დაუბრუნოთ; თებერვლის ჯამაგირი[2] ზოგი დასაბრუნებელია; თუ უეჭველად უნდა დაუბრუნოთ, დაუბრუნე. კანტროლი[3] მოითხოვს. შენ და დიმიტრი პეტროვიჩმა იცით როგორც გაარიგებთ ამ საქმეს. დიმ. პეტროვიჩი და ოლღა ალექსანდროვნა, აგრეთვე მელიქ მერაბოვი მომიკითხე. ბოდიში მომთხოვე, რომ ვერ მოვიცალე წიგნის მოწერა.[4]

კორრესპონდენციები[5] ანუ პოსილკები რაც ჩემ სახელზე მიიღო მანდ დარჩეს. მაცნობე ხოლმე კი რა და რა მიიღე. თუ საჭირო იქნება დავიბარებ. წიგნები კი ან ბროსსესი ან სხვისა გამომიგზავნე ხოლმე რაც იმ დღეს მიიღე მეღლიერთაგან.[6] საჭირო არ არის. რაც აქ მაქვს იმეებსაც გამოვისტუმრებ ცენზურნი კომიტეტში და იქიდამ მიიღებ.

დარიკო და სიკო მგონია ამ ერთ თვეზე ბათუმში სამსახურში გადმოვიდნენ. ვანო საგინოვის პოლკში ვაკანცია[ა][7] და ვაცნობე ტელეგრამით ამ 10 დღის წინ და ქაღალდი საგინოვს მიღებული უნდა ჰქონდეს ამ დღეებში. ეს სამი-ოთხი დღეა არ მინახავს.

მოხარული ვარ რომ ოლიჩკა, შაქრო და ნუცა კარგათ

სწავლობენ. თვითო მანეთი მიეცი ჩემ მაგიერ. როცა მოიცალონ მომწერონ. შაქროს წიგნი იმ დღეს მივიღე.

ჩვენები ყველანი სიყვარულით მომიკითხე. ამ დღეებში ქრისტეფორეს და[8] ნიკო ჩოლოყაევს წიგნსა ვსწერ. დოვერენნოსტს ამავე დღეებში გაუგზავნი в Горское Управленіе.[*]

კონსტანტინ ხრისტოფორიჩი და ნატალია დავიდოვნა პატივისცემით მომიკითხე. თქვენი ახალი მოყვრები აგრეთვე.

27 მაისს ველიკიი კნიაზს კონსტანტინე ნიკოლაევიჩს მოელიან ბათუმში, მაგრამ მგონია ჩვენი კომმისია აქ აღარ იქნება.

ქალაქში ხომ აღარა ცხელა. ამ[ბ]ობენ[9] სიცხეები იყოო. აქ ცხელოდა სამიოდე დღე. ბოლოს წვიმები დაიწყო და აგრილდა, ახლა[10] თბილი დღეებია, კი არა ცხელა.

ჩვენი ბაიერნი[11] რას[12] იქს. როდისმე ნახე და მომიკითხე. სადა[13] აპირებს ამ ზაფხულს წასვლას?

ნახვამდე. შენი ერთგული
დ. ბაქრაძე[14]

[*] გორის სამმართველოში.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №6 (14)

[1879] 9 ივნისი, ბათუმი

ძვირფასო ანეტა.

გუშინ მივიღე შენი წიგნი. აქამდინ ვერა მოგწერერა. ამისთვის არ ვიცოდი სადა ხართ და არც ის ვიცოდი ვის სახელობაზე მომეწერა გორში.

ძალიან კარგი გიფიქრია, რომ ვერაბიევის ქალი მიგიწ-

ვევია ყმაწვილებისათვის. შაქრო, ჩემის ფიქრითაც რომ ისევ დარჩეს მესამე კლასში უკეთესი იქნება: საგნებში უფრო შემაგრდება და შემდეგისთვის ყველა კლასებში გაუადვილდება სწავლა. მაგრამ უნდა მოემზადოს კი ფრანციცულშიაც და არითმეტიკაშიაც.[1]

დოვერენნოსტის გაუქმებაზე რა საჭიროა განცხადება. თუ მარტო შენ გეკუთნის[2] აიღე და დახიე. თუ საერთოა და передоверье* არა აქვს და გადაცემული არ არის формально,** თავის თავათვე გაუქმებული[ა].[3] მაცნობე აქვს ნება გადაცემისა და გად[ა]უცია[4] ვისთვისმე თუ არა? ახლა მეორე დღესვე მივიღებ წიგნს დილით, რადგანაც ქალაქიდამ გამოსული პოეზდი იმავე დღესვე მოდის ბათუმში ღამე მეორე საათზე.

ვლადიმირის ორდენზე არის გაზეთებში. თუმცა სტანისლავის პირველ ხარისხზე ვიყავ წარდგენილი, მაინც ეჭვი მქონდა: უვლადიმიროთ სტანისლავს თითქმის არ აძლევენ. ვლადიმირიც კარგი ორდენია.

მე მგონია 20 ადრე ვერ მოვიდე. იქნება მთელი თვეც დავრჩე. საქმეებში ვართ გართულნი. ცოტა გვიანაც მივყეთ ხელი.

ყმაწვილები დამიკოცნე. თვითონაც მომწერონ წიგნი. ყველანი მომიკითხე პატივისცემით.

კონ[ს]ტანტინე[5] ქრისტეფორიჩი როგორ არის რატომ არასა მწერ.

ვასილიევთან მეც არ მახსოვს რა საქმე მოგანდე. მე მგონია არაფერი.

ვეჩქარები. ახლა ადრესი ვიცი უფრო ხშირ-ხშირათ მოგწერ. თქვენც ხშირათ ხოლმე მომწერეთ. პოპელიანი სად არიან და აგრეთვე ვერა ანტონოვნა. ვერა ანტონოვნამ როგორ დააბოლოა ფურცელაძესთან საქმე. თუ ისევ ისე არის.

ნახვამდე. შენი ერთგული
დ. ბაქრაძე[6]

სახელი და მამის სახელი გედევანოვისა მომწერე.[7]

*რწმუნებულება
**ფორმალურად

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №7 (15)

[1879] აგვისტო 9, ბათუმი.

უძვირფასესო ანეტა.

შენი ორი წიგნი მივიღე გუშისწინ და გუშინ. დიდად მოხარული ვარ, რომ დომნას[1] მოსწონებია მანდაურობა და კარგათ მიგიღია. მომიკითხე სიყვარულით თავისის ქალით, როდესაც შეგხვდეს. ჩვენები ყველანი აგრეთვე სიყვარულით მომიკითხე.

შაქროსი კარგათ დაგიწყვია. თუ გარიგდა საქმე, კარგია. თუ მიაღწევს ქაღალდი კნ. მირსკისთან ან ველიკიი კნიაზთან, მგონია უარი არ გვითხრას სახელმწიფო ხარჯით მიღებაზე.[2]

გიგოს 110 მანეთიდამ 25 მანეთი გადაეცი, რადგანაც დავპირდით. რაც დანიშნულია, მეტს არ მოგცემენ, მეტადრე როგორც ვიცი პრიბილის[3] ხასიათი.[4]

სუხომლინზე ვეტყვი ერისთავს, მაგრამ იმედი კი არა მაქვს, რომ გარიგდეს რამე.[5]

დარიკოს მიულოცე ჩემ მაგიერ ქალიანობა. მე აქ ბათუმში დავრჩები, როგორც ვატყობ, აგვისტოს გასვლამდე. მასუკან გავალ აქედამ. ერთი თვე ანუ თვე ნახევარი მეტი არ გასწევს ჩემი მგზავრობა.

რა უნდა იყოს ის ნაგრადა, რომელზედაც იწერები? მგონი აკადემიისაა. ბათუმის სამსახურისა და შრომისთვის ჯერ ასე ადრე არა იქნება რა. ვნახოთ. მალე შევიტყობთ.

წიგნებს ქრისტეფორეს სახელობაზეც გიგზავნი. ხომ არ გასულა ჯერ ლაგერათ, რომ წიგნებმა არ შეიგვიანოს ხოლმე. ან არ შეიძლება, რომ პირ და პირ შენ სახელზე გამოვგზავნო ხოლმე. კარგი იქნება, გორის ფოჩტაში შენ თვითონ შეიტყო, შეიძლება ამ ადრესით გამოგიგზავნო ხოლმე: напиши В Гори для передачи Анне Іосифовне Бакрадзе в селеніи Хидистави;* ან როგორ, მაცნობე.

ჩემი ადრესი ჯერ ეს არის: Дм. Зах-у Бакрадзе – Председателю Батумской Поземельной Коммисіи. В. г. Батум.**

დომნას ქალზე ბერებთან უნდა ეცადოთ. მაცნობე, ექსარხმა როგორ მიიღო და დაჰპირდა ადგილს რასმე თუ არა; ან თუ საჭიროა ჩემის მხრით თხოვნა, ვის უნდა მივწერო.

შაქროს და ნუცას მადლობას ვუთვლი, რომ არ მივიწყებენ და წიგნი მომწერეს. ხომ კარგათ ბეჯითობენ სწავლაში.

მომიკითხე ვასილი დედით.

აკი დარიკო მანდ აპირებდა ამოსვლას.

აქ სრულებით არა ცხელა, თუმცა დაიწყო ციებ-ცხელება,[6] რომელიც ამ დროს – ივლისის ნახევრიდამ აგვისტოს ნახევრამდე ყოველთვის არის ხოლმე, როგორათაც ყველგან. მანდ ხომ არ არის ციებ ცხელება[7] ან ცხელა თუ არა ხიდისთავში.

ქრისტეფორე თავისის ცოლით რას აკეთებენ. ხომ აღარ ყოფილან ხიდისთავში.

დღეს მოვიდა აქ უმიკოვი. დარჩება რამდენიმე დღე და მასუკან აჭარისაკენ აპირებს ერთის კვირით.

წიგნების მოწერას მიგვიანებ ხოლმე. –

მოიწერე ხოლმე ხშირ-ხშირათ.

ნახვამდე. შენი
დ. ბაქრაძე

*მისწერე გორში ანა იოსების ასულ ბაქრაძისთვის გადასაცემად სოფელ ხიდისთავში.

**დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეს – ბათუმის მიწათსარგებლობის კომისიის თავმჯდომარეს ქ. ბათუმში.

1880

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №1 (16)

В Имп. Ак. Наук.

[1880] 18 мая №12.

Прилагая при сем пять старых фирманов,[1] пожалованных Турецкими султанами предками нынешних бегов в Батумской области, – об этих фирманах я упоминаю в письме моем, ныне печатаемом в Запискахъ Академіи, – покорнейше прошу Академію Наук снабдить меня их точным переводом для подробнаго моего отчета.[2] Здесь не оказалось никого, чтобы мог их прочесть мне. Фирманы эти я обещал[3] по минованіи в них надобности, возвратить по принадлежности.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №1 (16)

საიმპ. მეცნ. აკ.
[1880] 18 მაისი №12.

აქვე ვურთავ ბათუმის ოლქის ამჟამინდელი ბეგების თურქ წინაპართა სულთანების მიერ ნაბოძებ ხუთ ძველ ფირმანს – ეს ფირმანები მოხსენიებული მაქვს ჩემს წერილში, ამჟამად აკადემიის ჩანაწერებში რომ იბეჭდება, – [და] უმორჩილესად ვთხოვ მეცნიერებათა აკადემიას, უზრუნველმყოს მათი ზუსტი თარგმანით ჩემი დაწვრილებითი მოხსენებისთვის. აქ არავინ გამოჩნდა, რომ წაეკითხა ჩემთვის. პირობა მაქვს მიცემული, როცა აღარ მენდომება, საჭიროებისამებრ უკან დავაბრუნო ეს ფირმანები.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №2 (17)

В Им. Ак. Н.
22 Іюля 1880
№26.

В дополненіе отзыва моего от 18 прошлаго Мая, №12, имею честь при сем препроводить в Академію Наук семь фирманов Турецких, переданных мне бегами Артвинскаго[1] округа;[2] при сем[3] по моему мненію было полезно видеть некоторые[4] замысловатые гербы[5] некоторых фирманов, воспроизведенными в «Атласе», издаваемом г. Стасовым.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №2 (17)

საიმპ. მეცნ. აკ.
22 ივლისი 1880
№26.

პატივი მაქვს ჩემი შარშანდელი 18 მაისის №12 გამოხმაურების დამატების სახით, მეცნიერებათა აკადემიას გადავცე შვიდი თურქული ფირმანიც, ართვინის ოლქის ბეგებმა რომ გადმომცეს; ამასთანავე, ჩემი აზრით, სასარგებლო იყო ნახვა ზოგიერთი ფრიად ძნელად საცნაური გერბებისა ზოგიერთ ფირმანზე, აღბეჭდილი რომაა „ატლასში“, რომელსაც ბ. ტასოვი გამოსცემს.

1881

მარი ბროსესადმი №4 (18)

Копія с письма, от 6 февраля, Д. З. Бакрадзе
на имя академика Броссе.

.....[1] В ноябре прошлаго года я успел объехать собственно Батумскую область, т. е. проехал всю Адчару, переехал чрез Чирух в Шавшет, посетил Артанудж и Артвин и по р. Чороху спустился в Батум. Нынешним летом я намерен предпринять новую экскурсію в остальную нашу территорію у верховьев Куры и в Чорохском бассейне, и вместе с тем[2] надеюсь пробраться до самаго Байбурта. Край, посещенный мною, оказался во многих отношеніях интересным. Характер Адчары Вам известен из моего последняго сочиненія. Из местностей же, которыя я видел в прошлом году, один только Шавшет имеет вид[3] плоскогорій, обильно[4] дающих хлебные блаки и продукты умереннаго пояса. Остальныя места вполне гористы и дики. Артанудж и Артвин расположены на таких отвесных скатах, что удивляешься, как могли там развиться города. Только в одном из тамошних ущелій, а именно в Имер-хевском, виноградные сады разводятся изстари по карталино-кахетинскому способу. Так называемый Гвердскій[5] виноград в Имер-хеви славится во всей области. Вино из него, выдавливаемое артануджскими и артвинскими христіанами, очень вкусно. Окрестности Артвина – и только почти[6] окрестности эти – в особенности замечательны оливковыми рощами, которыя, как мне кажется, обязаны своим происхожденіем[7] грузинским монахам прошлых веков. Ныне уже не может быть спора о том, что,[8] незначительным исключеніем, все[9] населеніе Батумской области[10] состоит из грузинскаго элемента: как[11] по типу, так и по[12] образу жизни. Жители этой области[13] суть чистые Грузины, которые[14] в местах примыкающих к Ахалцихскому уезду, напоминают[15] Карта-

линцев, а ниже – Гурійцев и Имеретин. Сам[16] Грузинскій[17] язык, где только он там уцелел, напоминает[18] говор имеретинскій, с разными оттенками. Он вполне удержался[19] во всем Имерхевском ущеліи и в верхних частях Шавшета, т. е. в местностях, имеющих постоянное сообщеніе с Адчарою; затем он исчезает в Нижнем Шавшете, снова появляется, хотя слабо,[20] на границе Арданучскаго[21] участка в ущельи, известном под именем Гирдзин-кёв,[22] или Гурдзин-хеви (Груз. ущелье)[23] примыкающем к Имер-хеви; далее[24] он не слышится[25] ни до[26] Артвина, ни в самом Артвине; но снова появляется немного ниже Артвина и господствует по всему теченію Чороха в участках: Борчхинском, Мургульском, Мачахельском, и Марадидском, равно как Батумском, Кинтришском и во всем Адчарском округе.[27] Замечательно то, что в артануджском и артвинском участках обсолютное большинство[28] так называемых армяно-католиков оказывается принадлежащим грузинскому же элементу. В этом убеждают как их тип, так и самый язык.[29] Хотя[30] католики под вліяніем религіознаго культа на армянском языке и утратили свой родной язык, но настоящій[31] их армянскій язык до того переполнен грузинскими словами, что его иначе нельзя называть как армяно-грузинским. Тифлисскіе армяне, служащие там,[32] уверяли меня,[33] что они не могли бы понимать язык[34] этих[35] католиков, если бы они[36] не говорили погрузински.[37] Собственно армянскій элемент[38] в Бат. Области очень[39] незначителен:[40]

По данным,[41] сообщенным мне армяно-католическим епископом в Артвине Закаріаном, принадлежащим[42] по его словам к древнегрузинскому роду Закаріашвили из Поцхова – армяно-католики,[43] и армяно-григоріане, живущіе[44] лишь в Арданудчском[45] и Артвинском участках считаются – первые в числе 470 дворов, а последніе 100 дворов. В среде армяно-католиков указывают множество фам[мил]ій чисто грузинских из Мачахелы и Мургули.[46] Кроме того Армяно-григоріане[47] по типу отличающіеся от армян-католиков,[48] суть, говорят, выходцы из Ани и Эрзерума. Этот

элемент[49] указывают в самом Лазистане в деревнях Чаушли, Зурпичи, Залона, Хигоба, и Ардала.

Они считаются выходцами из Емшина; Сами Лазы их называют Химшинцами,[50] и хотя они омусульманены и забыли родной язык, но как[51] тип так равна и склонность их[52] к торговым занятіям действительно изобличают их армянское происхожденіе. Об этих Лазских армянах упоминает Исторія Понта на арм. языке, составлен[на]я известным Минасом Бжешкіаном и изданная в Венеціи 1817 г. стр 17. Что касается[53] собственно в Чорох бассейне, то они оказались в двух ущельях: Беглеванском и Чхальском или Ичхальском, и[54], первом из них[55] мне насчитали 10 деревень Лазских, а вовтором 9.[56] Они[57] суть[58] давнишніе[59] переселенцы из Макріали в Хопе.[60] Надо думать, что Лазы, как н[а]р[о]д[61] промышлен и неудовлетворяемый скудною природою своей родины д. б. разбросаны[62] здесь и там на Чорохс. Бассейну. Покройней мере[63] по сведеніям хранящаюся в библіотеке Штаба?[64] и заключающаю в себе, подробныя топографическія описанія Арзерумскаго и Трапезондскаго местов,[65] Лазское населеніе оказывается около Петегрека и Ливана-Колика (стр. 484-491).[6] [66]

Кроме того[67] что касает[ся] в Чорохск. бассейне[68] в борчх. уч. два ущелья, Мургули оказался Лазскій элемент, с давних пор перешедшій сюда из Лазистана. В Батуме при помощи Мингрельцев и жителей Хопе, Архаве и Артвине.[69] Я успел составить сравнительный словарь говоров – мингрельского, Хопе-архавейскаго и А[р]т[в]инскаго – этот последній, как утверждают, особенно уклоняется от сродных ему Мингрельскаго и Хопе-

[6] Я д[олжен] сказать два слова об этой рукописи.[66a] Она принадлежит корпусу[66b] военных топографов полковнику Проскурякову[66c] и озаглавлена так:..[66d] труд этот[66e] состоит из 691 стр. в лист,[66f] обяз[а]т[е]льно сообщай мне лист наднях 1. И. Стебицк из[66g] топографичес. отд.,[66h] самыя подробныя топографичес. и другія[66i] сведенія о […] Арзер. и трапзондс. В этом отношен.[66j] никто лучше[66k] в первую Чорох. басс.[66l] и потому, мне к[а]ж[е]тся, следовало бы его издать.

архавейскаго; я приступил было к составленію главнейших их сравнительно-грамматических форм; но занятіе это я должен был прервать по случаю неожиданнаго своего отъезда в Тифлис. Здесь замечу только, что звуки и друг друго попа[дают]. По возвращеніи в Батум я докончу этот труд. Затем надеюсь из Батума же доставить в Академію Наук краткій отчет о своей экскурсій, отчет, в котором, конечно, особенное вниманіе будет обращено на археологію.[70]

В Бат. области исчезли старые[71] грузинскіе акты:[72] они,[73] говорят, отобраны были турецким правительством и сданы в архив одного из Министерств в Константинополе; Оказались лишь[74] старые изыскано раскрашенны фирманы[75] турецких султанов;[76] Я их имею 5: из них одному 237 л., другому – 269, а третьему 285. Почерк их красивый и изыскано раскрашенный, но алфавит состоит из вязи, которую во всей области никто не мог разобрать. Меня уверили, что[77] фирманов этих не прочтут ни[78] в Бат. области, ни в самом Тифлисе, а потому я задумал переслать их для перевода в Академію Наук, перед выездом моим из[79] Тифлис нашелся.[80] в Батуме один ученый турецкій Грузин, который взялся их прочесть.[81] Я их сдал ему и посмотрю что окажется по возвращеніи моем.[82]

В Батуме[83] на основаніи надписей на могильных камнях составлен[84] генеалогія рода[85] атабегов, начиная от Ростом-паша[86] (моё «Археолог. Путеш. По Гуріи Адчаре», стр. 196).[87] Потомки атабегов ныне живут в двух округах – артвинском и олтинском.[88] Из старых грузинских манускриптов я видел в Артвине два: это четвероглавіе[89] евангелія – из них одно[90] писанное на бумаге и относящееся к 1241 г., хранится[91] в армяно-католической церкви, а другое пергаментное, неизвестнаго времени,[92] имеется[93] в армяно-григоріанской церкви. Первый манускрипт принадлежит Пархальскому Монастырю и заключает в себе[94] собственно-ручныя приписки членов известнаго в XI-XII в.[95] рода Кавкасидзе, вотчинников Пархали. Второй особенно замечателен прекрасными миніатюрами в тексте в особенности[96] роскошным эмалевым окладом, на котором филигрань[97] Распятіе, Божіи Матери, Іоанн

Богослов, два ангела и Лик Спаса над Крестом. Неизвестно, какого он времени, –[98] по моему мненію не позднее XI в. и[99] откуда он попал в Артвин, но[100] из одной приписки его я заключаю, что оно служило на престольным евангеліем Ишханской епископской кафедры. В приписке этой говорится: «Христе Боже, помилуй архіепископа Ишханскаго Макарія. От пришествія[101] не давал нам никакого общих матеріалов.[102] Я осмотрел[103] древн. помятник Бат. области Анчу в Гурдони-хеве, Тбет в Верхнем Шавшети, Опиза в Имер-хевском ущелье и Лодись-кану[104] у Артвина. Анча, к которой принадлежала упомянутая выше анчисхатская икона,[105] почти вся разобрана и из ея камней с прекрасными орнаментами построена мечеть в деревни Анче.[106]

Не знаю, кто как посмотрит на археолог. значеніе[107] Чорохскаго Бассейна[108] с верхными областями бассейна Куры,[109] но по моему мненію,[110] интерес возбуждаем[111] в этом отношен[іи] столь существен, что мы[112] не д[олжны] средств, чтобы исчерпать их в этом отношен[іи].[113] Но нет[114] еще[115] снимка Тбети, но желательно бы его[116] иметь[117] ко времени «Археологическаго Съезда в Тифлисе». Тбети[118] вполне стоит того, чтобы он был снят[119] опытным фотографом нетолько в один пріем, но особо каждая деталь его. Орнаменты его весьма разнообразны и так изящны, что они показались мне неуступающими самым лучшим произведеніям этого рода грузинской церковной орнаментики.[120] К сожаленю[121] барельеф строителя внутри[122] на столбе, с моделью церкви в руке[123] и рельефная надпись кругом его до того изгладились, что нет возможности разобрать их. Самая надпись снаружи на северном фасаде полу опала. Надпись уцелела только на колокольне позднейшей постройки: по этой надписи колокольня построена при атабеге Мзедчабуке (XV в). Из Опизы, состоящей из массы старых построек[124] еще держится, хотя кой-как, внутри церкви[125] на фреске фигура строителя Ашота Куропалата (X в)., а в одном из сводов длинной[126] тесанных камней трапезной[127] вырезано: «Палаты эти я Ашот строил четыре года». В Лодись-кане уцелели[128] больше надписей: в них[129] поименован[130] царь Сумбат

X в.[131] Артануджская церковь, судя по ея развалинам, отличающимся массивными камнями, была одною из замечательных построек; но надписей на ней нет. В самом же Артвине я ненашел никаких следов, которые бы указывали существованіе в нем интересных в архитектурном отношеніи грузинских храмов. Да и вообще Артвин мало известен в древних хрониках Грузіи. Далее см. /*/

[1881 წლის 6 თებერვალი]

მარი ბროსესადმი №4 (18)

ასლი დ. ზ. ბაქრაძის 6 თებერვლის წერილისა
აკადემიკოს ბროსეს სახელზედ.

.....გასული წლის ნოემბერში მოვასწარ შემომევლო საკუთრივ ბათუმის ოლქი, ანუ გავიარე მთელი აჭარა, ჩირუხის გავლით გადავედი შავშეთში, მოვინახულე არტანუჯი, ართვინი და მდ. ჭოროხის გაყოლებით დავბრუნდი ბათუმში. ამ ზაფხულს განზრახული მაქვს მოვანყო ახალი ექსკურსია ჩვენს დანარჩენ ტერიტორიაზე მტკვრის სათავეებსა და ჭოროხის აუზში, და, ამასთანავე, ვიმედოვნებ მივაღწიო თავად ბაიბურთამდე. მხარე, რომელიც დავათვალიერე, მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა. აჭარის ბუნება თქვენთვის ცნობილია ჩემი ბოლო თხზულებიდან. ხოლო იმ ადგილებიდან, რომლებიც მე მოვინახულე შარშან, მხოლოდ შავშეთი გამოიყურება[1] როგორც ზეგანი, უხვად[2] რომ იძლევა პურეულ მარცვლოვანს და ზომიერი სარტყლისთვის დამახასიათებელ პროდუქტს. დანარჩენი ადგილები ერთობ მთიანი და ველურია. არტანუჯი და ართვინი განლაგებულია ისეთ დაქანებულ ფერდობებზე, რომ გიკვირს, როგორ შეიქმნა იქ ქალაქები. იქაური ხეობებიდან მხოლოდ ერთში, იმერხევშია შემონახული ვაზის ქართლ-კახური მეთოდით მოშენება. „Гвердский“-თ სახელდებული ყურძენი მთელს იმერხევში ხარობს. არტანუჯელი და ართვინელი ქრისტიანების მიერ ამ ყურძნისგან დაწურული ღვინო ძალიან გემრიელია. ართვინის მიდამოები განსაკუთრებით ცნობილია ზეთისხილის

ბაღებით, რომელიც, როგორც ვფიქრობ, წარსული საუკუნეების ქართველი ბერ-მონაზვნების მიერაა გაშენებული.

აქ აღარაა საკამათო ის, რომ, უმნიშვნელო გამონაკლისის [გარდა], ბათუმის ოლქის მთელი მოსახლეობა შედგება ქართული ელემენტისგან: როგორც ტიპობრივად, ისე ცხოვრების წესით. ამ ოლქის მცხოვრებნი არიან სუფთა ქართველები, რომლებიც ახალციხის უეზდის მომიჯნავე ადგილებში მოგვაგონებენ ქართლელებს, ხოლო ქვემოთ – გურულებსა და იმერლებს. ამ მხარეში შენარჩუნებული ქართული ენა კი წარმოადგენს იმერულ კილოკავს სხვადასხვა ელფერით. ქართული სრულადაა შენარჩუნებული მთელ იმერ-ხევის ხეობასა და შავშეთის ზედა ნაწილში, ანუ ადგილებში, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ აჭარასთან; შემდგომ ის იკარგება ქვემო შავშეთში, კვლავ ჩნდება, თუმცა სუსტად, არტანუჯის მონაკვეთის საზღვარზედ, ხეობაში, გირჯინ-კიოვის ანუ გურჯინ-ხევის (ქართ. ხევი, ხეობა) სახელით რომაა ცხობილი [და] იმერ-ხევს რომ ემიჯნება; იმის იქით ის აღარ გაისმის არც ართვინამდე, არც თავად ართვინში, მაგრამ კვლავ ჩნდება ართვინის ცოტა ქვემოთ და გაბატონებულია ჭოროხის მთელ გაყოლებაზედ: ბორჩხას, მურღულის, მაჭახელას, მარადიდის, ისევე როგორც ბათუმის, კინტრიშის მონაკვეთებზე და მთელ აჭარის ოლქში. აღსანიშნავია ის, რომ არტანუჯისა და ართვინის მონაკვეთებში სომეხ-კათოლიკეთა სრული უმრავლესობა მიეკუთვნება ქართულსავე ელემენტს. ამაში გვარწმუნებს როგორც მათი ტიპი, ისე თვით ენაც. მართალია, სომხურ ენაზე რელიგიური კულტის გავლენით კათოლიკებმა დაკარგეს ის, მაგრამ მათი ნამდვილი სომხური ენა იმდენადაა გაჯერებული ქართული სიტყვებით, რომ მას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა სომხურ-ქართულს. იქ მომსახურე თბილისელი სომხები მარწმუნებდნენ, რომ ისინი ვერ გაიგებდნენ ამ კათოლიკეთა ენას, ქართული რომ არ სცოდნოდათ. საკუთრივ სომხური ელემენტი ბათ. ოლქში ძალზედ უმნიშვნელოა.

ცნობების მიხედვით, რომლებიც ართვინში გადმომცა კათოლიკე-სომეხმა ეპისკოპოსმა ზაქარიანმა, ვინც, მისივე თქმით, მიეკუთვნება ზაქარიაშვილთა ძველ ქართულ მოდგმას, ფოცხოვიდან – სომეხი-კათოლიკეები და სომეხი-გრიგორიანელები, მხოლოდ არტანუჯისა და ართვინის მონაკვეთებზე რომ ცხოვრობენ, შეადგენენ – პირველნი 470 კომლს, ხოლო მეორენი 100 კომლს. სომეხ-კათოლიკეებში მიუთითებენ მრავალრიცხოვან წმინდა ქართულ გვ[არებ]ზე

მაჭახელიდან და მურღულიდან. გარდა ამისა, სომეხი-გრიგორიანელები ტიპობრივად განსხვავდებიან კათოლიკე-სომხებისგან, რომლებიც, როგორც ამბობენ, ანიდან და ერზრუმიდან არიან. ამ ელემენტზე მიუთითებენ თვით ლაზისტანის სოფლებში ჩაუშლიში, ზურპიჩში, ზალონაში, ხიგობაში და არდალაში. ისინი ითვლებიან ემშინიდან წამოსულებად; თვით ლაზები მათ უწოდებენ ხემშინელებს, და თუმცა ისინი გამუსულმანებულები არიან და დაავიწყდათ მშობლიური ენა, მაგრამ როგორც ტიპურობა, აგრეთვე მათი მიდრეკილება ვაჭრობისადმი ააშკარავებს მათ სომხურ წარმოშობას. ამ ლაზ სომხებს იხსენიებს პონტოს ისტორია სომხ. ენაზე, ცნობილი მინას ბჟეშკიანის მიერ შედგენილი და გამოცემული ვენეციაში 1817 წ. გვ. 17. რაც შეეხება კერძოდ ჭოროხ. აუზს, იქ ისინი აღმოჩნდნენ ორ ხეობაში: ბეღლევანისა და ჩხალის, ანუ იჩხალისაში, და ამათგან პირველში მე დამითვალეს 10 ლაზური სოფელი, ხოლო მეორეში 9. ისინი დიდი ხნის ჩამოსახლებულები არიან ხოფის მაკრიალიდან. საფიქრებელია, რომ ლაზები, როგორც მეწარმე ხ[ა]ლ[ხ]ი, რომელიც არ კმაყოფილდება თავისი სამშობლოს მწირი ბუნებით, მიმოფანტულნი არიან ჭოროხ. აუზში. ყოველ შემთხვევაში შტაბის? ბიბლიოთეკაში შენახული ცნობების მიხედვით, რომლებიც შეიცავენ დაწვრილებით ტოპოგრაფიულ აღწერილობებს არზრუმისა და ტრაპეზონდის ადგილებისა, ლაზური მოსახლეობა აღმოჩნდა პეტეგრეკსა და ლივან-კოლიკის სიახლოვეს (გვ. 484-491).

გარდა ამისა, რაც შეეხება ჭოროხის აუზს, ბორჩხაში ორ ხეობას, მურღული გამოდგა ლაზური ელემენტი, დიდი ხნის წინ ლაზისტანიდან გადმოსული. ბათუმში მეგრელებისა და ხოფის, არქაბისა და ართვინის ბინადართა დახმარებით, მე აქ მოვასწარი შემექმნა მეგრული, ხოფურ-არქაბული და ათინური კილოკავების შედარებითი ლექსიკონი. როგორც ირწმუნებიან, ათინური განსაკუთრებით იხმარება მისი მსგავსი მეგრული და ხოფურ-არქაბულისაგან. ის იყო შევუდექი მათი ყველაზე მნიშვნელოვანი შედარებით-გრამატიკული ფორმების შედგენას, რომ ეს საქმე შევწყვიტე თბილისში ჩემი მოულოდნელი გამგზავრების გამო. აქ მხოლოდ ავღნიშნავ, რომ ბგერები ემთხვევა. ბათუმში დაბრუნების შემდეგ მე დავამთავრებ ამ საქმეს. მერე ვიმედოვნებ ბათუმიდანვე მეცნიერებათა აკადემიას გავუგზავნო მოკლე ანგარიში ჩემი ექსკურსიის შესახებ,

რომელშიც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არქეოლოგიას.

ბათ. ოლქში გაქრა ძველი ქართული აქტები: ისინი, როგორც ამბობენ, შეირჩა თურქული მთავრობის მიერ და ჩაბარდა კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ სამინისტროს; აღმოჩნდა მხოლოდ ძველი, დიდი გემოვნებით გაფორმებული ფირმანები თურქი სულთანებისა; მე ისინი მაქვს 5: მათგან ერთია 237 წ[ლისა], მეორე – 269, ხოლო მესამე 285. ისინი ლამაზი ხელითაა გაკეთებული და დახვეწილად გაფერადებული, მაგრამ ხვეული ანბანია, რომლის გარჩევაც მთელ ოლქში ვერავინ შეძლო. მე დამარწმუნეს, რომ ამ ფირმანებს ვერ წაიკითხავენ ვერც ბათ. ოლქში, ვერც თვით თბილისში და ამიტომ განვიზრახე ჩემ გამგზავრებამდე თბილისში მათი სათარგმნელად გადაგზავნა მეცნიერებათა აკადემიაში. ბათუმში აღმოჩნდა ერთი სწავლული თურქი ქართველი, რომელმაც ხელი მოჰკიდა მათ წაკითხვას. მე ისინი ჩავაბარე მას და ვნახავ, რა იქნება, როცა დავბრუნდები.

ბათუმში საფლავის ქვების წარწერების საფუძველზე შედგენილია ათაბაგების გენეალოგია, დაწყებული როსტომ-ფაშათი (ჩემი „არქეოლოგ. მოგზაურ. გურია აჭარაში“, გვ. 196). ათაბაგთა შთამომავლები აწ ცხოვრობენ ორ – ართვინისა და ოლთისის – მხარეში. ძველი ქართული მანუსკრიპტებიდან მე ართვინში ვნახე ორი: ეს არის სახარების ოთხთავი – მათგან ერთი დაწერილია ქაღალდზედ და მიეკუთვნება 1241 წ.-ს, ინახება სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაში, ხოლო მეორე პერგამენტისაა, უცნობი დროისა, ინახება სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში. პირველი მანუსკრიპტი მიეკუთვნება პარხლის მონასტერს და შეიცავს XI-XII ს.-ში ცნობილი კავკასიძეების გვარის წევრების, პარხლის სამემკვიდრეო მემამულეების მიერ თავისი ხელით გაკეთებულ ჩანაწერებს. მეორე განსაკუთრებულად გამოირჩევა მშვენიერი მინიატურებით, ტექსტში განსაკუთრებული მინანქრის მოჭედილობით, რომელზედაც ფილიგრანულადაა ამოტვიფრული ჯვარცმა, ღვთიშობელი, იოანე ღვთისმეტყველი, ორი ანგელოზი და მხსნელის სახე ჯვარზე. უცნობია, რა დროისაა იგი, – ჩემი აზრით, არა უგვიანეს XI ს. და საიდან აღმოჩნდა იგი ართვინში, მაგრამ ერთ-ერთი მინაწერიდან ვასკვნი, რომ ის გამოიყენებოდა სატრაპეზო სახარებად იშხნის საეპისკოპოსო კათედრაზე. ამ მინაწერში ნათქვამია: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე იშხნის არქიეპისკოპოსი მაკარი. ქრისტეს მოსვლიდან 1650 წელი და ადამის მოსვლიდან 7254.“ [მეორედ] მოსვლისგან არ

გვაძლევდა არანაირ საერთო მასალას.

დავტკბი ართვინის მხარის ძველი ტაძრებით, ტბებით ზემო შავშეთში, ოპიზით იმერხევის ხეობაში, ლოდისყანით ართვინის ახლო და ანჩით გურჯი ბოღაზის ხეობაში. ანჩა თითქმის მთლიანად დანგრეულია და მისი მშვენიერი ორნამენტებიანი ქვებით აშენებულია სოფელ ანჩის მეჩეთი, ანჩის ნაწერები არ შემონახულა.

არ ვიცი, ვინ როგორ შეხედავს ჭოროხის აუზისა და მტკვრის ზემო მიდამოების აუზის არქეოლოგ. მნიშვნელობას, მაგრამ, ჩემი აზრით, გამოწ[ვეული] ინტერესი ამ მხრივ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ უნდა დავიშუროთ სახსრები, რათა ისინი ამოწურულ იქნეს ამ მიმართულებით.

ჯერ არა გვაქვს ტბეთის სურათი, სასურველი კი იქნებოდა მისი ქონა „ტფილისის არქეოლოგიური“ სხდომისთვის. ტბეთი სრულებით ღირს იმად, რომ გადაღებული ყოფილიყო გამოცდილი ფოტოგრაფის მიერ არა ერთ ხელად, არამედ განსაკუთრებულად მისი ყველა დეტალი. მისი ორნამენტები ერთობ მრავალფეროვანია და ისეთი კოხტა, რომ ისინი, ვგონებ, ტოლს არ უდებენ ქართული საეკლესიო ორნამენტიკის ამ სახის საუკეთესო ნიმუშებს. სამწუხაროდ, აღმშენებელის ბარელიეფი შიდა სვეტზე, ეკლესიის მოდელით ხელში და რელიეფური წარწერა მის გარშემო ისეა გაცვეთილი, რომ შეუძლებელია მათი გარჩევა. თავად წარწერა გარე ფასადზე ნახევრად ჩამოიშალა. წარწერა გადარჩა მხოლოდ გვიანდელ ნაშენ სამრეკლოზე: ამ წარწერის მიხედვით, სამრეკლო აშენებულია ათაბაგ მზეჭაბუკის დროს (XV ს). ოპიზის მრავალ ძველ ნაგებობას ჯერ ისევ უჭირავს თავი, თუმცა ძლივსღა, ეკლესიის შიგნით ფრესკაზე აღმშენებლის, აშოტ კუროპალატის ფიგურაა (X ს), ხოლო გრძელი გამოთლილი ქვებით ნაშენ ერთ-ერთ კამარასთან სატრაპეზოზე ამოკვეთილია: „ამ დარბაზებს მე, აშოტ, ვაშენებდი ოთხს წელიწადს“. ლოდისყანაში გადარჩა მეტი წარწერები: მათში დასახელებულია მეფე სუმბატი X ს. არტანუჯის ეკლესია, მასიური ქვებით რომ გამოირჩევა, მიუხედავად ამისა, მისი ნანგრევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იყო ერთ-ერთი შესანიშნავი ნაგებობა, მაგრამ წარწერები მასზედ არაა. ხოლო თვით ართვინში მე ვერ აღმოვაჩინე ვერანაირი კვალი, რომელიც არქიტექტურული თვალსაზრისით მიუთითებდა საინტერესო ქართული ტაძრების არსებობაზე იქ. და საერთოდ, ართვინი ნაკლებადაა ცნობილი საქართველოს ძველ ქრონიკებში.

[1881 წლის 6 თებერვალი]

1880 / 1881

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №8 (19)

[1880 / 1881] 14 მარტი.

ანეტი.[1] დღეს მიიღებდი წიგნს, რომელიც გუში[ნ][2] გამოგიგზავნე. დღეს მომივიდა შენი წიგნი და ბაბალესი, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. ჩვენ ყველანი კარგათა ვართ. ყმაწვილები მარტო ვერ გამიშვია, თორემ ამ შაბათს კი არა მომავალ შაბათს ამოვიდოდი და ორ-შაბათს ერთათ წამოვიდოდით, სად იმ კვირია ზაქათალას ვაპირებ. ვნახოთ.

სემონოვს მართლა უყიდნია სახლი, როგორც ამბობენ, მაგრამ სწორეთ არ ვიცი. თვითონ აქ არ არის.

დღესვე[3] ვაძლევ ფოჩტაში ათ თუმანს ქრისტეფორ[ი]ს[4] სახელზე. ზეგ მოიკითხე, ესე იგი კვირას შუადღის ფოჩტა მოიტანს.

კვირას ნინოჩკას ვნახამ. ხუთშაბათს არ მინახავს.

შენი მარად[5] დ. ბაქრაძე

1882

ვასილი ხიტროვოსადმი №1 (20)

12 окт. 1882, Тифлис

Милостивый Государь
Василій Николаевич

С удовольстіем я прочитал письмо Вашего Превосходительства от 17 прошлаго сентября и душевно рад появленію «Православнаго Палестинскаго Общества», которому желаю полнаго успеха во всяких его начинаніях. В какой степени меня самаго интересует вопрос о грузинских памятниках в Святой Земле, доказательством может служить прилагаемая при сем Заметка, которую я читал в одном из заседаній V[го] Археологическаго Съезда в Тифлисе и которая до сих пор пролежала у меня в портфеле. Устава «Общества» я еще не видел и цели, им намеченныя, мне стали известны лишь из Вашего письма. Во всяком случае если мое содействіе принесет «Обществу» какую либо пользу, оно может располагать мною вполне; но, к сожаленію, я должен отклонить от себя его порученіе, хотя и весьма лестное: во первых, в прошлом году, при возвращеніи из Кутаиса в Тифлис Археологическаго Съезда, я имел несчастье упасть из вагона, во время хода поезда, и здоровье мое не настолько еще возстановлено, чтобы я мог решиться, по крайней мере в близком будущем, на дальнюю поездку; во вторых, служба моя такого рода, что продолжительный отпуск может мне повредить в этом отношеніи.

Я понимаю, какого рода работы предстоят изследователю грузинских памятников в Святой Земле для полнаго научнаго

изученія их, в особенности же старых манускриптов, писанных нелегко разбираемым почерком, с массою исторических записей, – а оне встречаются почти во всех древних грузинских манускриптах, – и может быть даже с неизвестными еще историческими трактатами или хрониками, которые должны быть обстоятельно изучены и анализированы, а некоторые даже целиком извлечены, – такой труд в четырех месячный срок, невозможно выполнить и притом одному человеку. Мне кажется, не следует ограничивать его сроков. Если бы можно было ограничиться составленіем одного каталога, расчитывая, что наиболее интересные из манускриптов могут быть выпрошены временно в Россію, то еще бы ничего; но не думаю, чтобы в этом отношеній греческіе монахи оказали нам любезность. По крайней мере меня уверяли грузинскіе монахи из Афона, что богатое грузинское книгохранилище они в последнее время сделали совершенно недоступным для нас. Вот почему я думаю, что предпринять дальній путь в Святую Землю и неисчерпать всего, было бы крайне неловко и неизвинительно.

Две тысячи рублей на поездку я считаю недостаточными. Если бы я решился взять на себя порученіе «Общества», то я бы попросил дать мне рисовальщика. Допустим, фотографа можно найти на месте, но для снятія фресков и пр. нужен будет рисовальщик. Я же сам, к сожаленію, не рісую, хотя легко снимаю надписи с сохраненіем их палеографических особенностей.

По моему мненію, изследователь грузинских памятников в Святой Земле должен держаться следующей программы:

1). Между памятниками Іерусалима, Синая и Аѳона существует такая неразрывная связь, которая требует систематическаго изученія всех их вместе. Синайско-Іерусалимскіе иноки в большинстве случаев были под руководством аѳонских отцов, продолжали труды, начавшіе на

Аѳоне, а потому многое в памятниках Синая и Іерусалима может оказаться непонятным, если они небудут сопоставлены памятникам Аѳона. С Аѳона именно должны быть начаты археологическія изследованія. По дороге на Аѳон в КП-е должны быть разысканы старыя грузинскія грамоты когда-то забранныя, как известно, из бывшаго ахалцихскаго пашалика. Оне, по частным сведеніям, хранятся в К[о]н[стантиноп]ольском государствен. архиве. С них д[олжны] б[ыть] сняты копіи.

2). Безспорно, главная задача изследователя, как Вы справедливо замечаете, должно состоять в изученіи грузинских манускриптов и в составленіи их каталога. Каталог должен быть на столько обстоятелен, чтобы из него можно было видеть: а) время и место появленія рукописи или хартіи: если время не указано в записи, то может быть определено, более или менее приблизительно, палеографическим характером письма; б) указаніе важных исторических приписок и трактатов, в них заключающихся. Из них самым ценным должен быть дан краткій анализ в каталоге, подробный же разбор их войдет в конечный отчет.

Примеч. Манускрипты книгохранилищ должны быть переномерованы, разставлены в хронологическом порядке, или по предметам, в каком они внесены в каталог и вместе с тем снабжены копіею каталога, для пользы будущих изследованій.

3). В грузинском библіотеке Аѳона должны быть историческія сведенія о существовавшей между переводчиками грузинскими и славянскими связи; ибо известные переводы священных книг на тот и другой язык делались в одно и тоже время; уставное письмо у Грузин и Славян совершенствуется и скоропись распространяется одновременно же, у Грузин с Аѳона, где рядом с грузинскими иноками жили в тесном с ними общеніи болгаро-сербскіе отцы, что показывает и известная сделка 982 г. Іоанна Ивера, одного из основателей Иверскаго

Монастыря, подписанная попом Гіоргіем глаголическими буквами; порядок составленія грамот славянских и грузинских, начиная с X в., так однообразны, что читая те и другія, думаешь, как будто славяне заимствовали его у Грузин, или же наоборот. Все это и множество оказывающихся точек соприкосновенія мне кажется, не может быть делом простой случайности или же исключительнаго вліянія Византіи на тех и других в отдельности. Я думаю даже, что такую же связь можно проследить и в самом характере переводов. Чтобы ни оказалось, исследователь должен иметь в виду этот вопрос при изученіи памятников письма в Иверском Монастыре.

4). Исследователь должен собрать в библіотеках Монастырей Аѳона, Синая и Іерусалима данныя о других обителях Грузіи на Востоке, напр. на Черной горе и пр., пополнив их, если это возможно будет посредством распросов, сведеніями о настоящем их положеніи и об уцелевших их грузинских памятников.

5). О ходе своих занятий он, если к тому не встретится препятствій, сообщает с пути краткіе отчеты «Обществу».

6). Исследователь ведет для себя дневник, в который он вносит все, касающееся грузинских памятников: описаніе монастырских зданій, интересных в архитектурном отношеніи, в особенности имевших какую либо связь с церковн. стилем самой Грузіи, икон, утвари, фресков и пр., и на основаніе дневника составляет, по возвращеніи в Россію, подробный отчет, в котором должны быть научно разработаны все добытые матеріалы и огруптированы все имеющіеся относительно Монастырей Грузіи на Востоке в Грузинских и иностранных письменных памятниках данныя. К отчету прилагаются: а) аналитическій алфавительный указатель; б) таблица снимков монастырей, орнаментов, фресков, образцов письма с их палеорграфическими особенностями и пр., и в) каталог

монастырских библиотек. Отчет в законченном виде представляется «Православному Палестинскому Обществу».

Примите увереніе в искренном моем почтеніи и совершенной преданности.

Дмитрий Бакрадзе.

ვასილი ხიტროვოსადმი №1 (20)

12 ოქტ. 1882, თბილისი

მოწყალეო ხელმწიფევ
ვასილი ნიკოლაევიჩ

სიამოვნებით წავიკითხე თქვენი აღმატებულების შარშანდელი 17 სექტემბრის წერილი და გულით მიხარია გამოჩენა „მართლმადიდებლური პალესტინური საზოგადოებისა“, რომელსაც ვუსურვებ სრულ წარმატებას ყველა წამოწყებაში. იმის მტკიცებულებად, თუ რაოდენ მაინტერესებს თავად მე ქართული ძეგლების საკითხი წმიდა მიწაზედ, შეიძლება გამოდგეს აქ დართული შენიშვნა, რომელიც წაკითხული მაქვს თბილისის V არქეოლოგიური ყრილობის ერთერთ სხდომაზე და რომელიც აქამომდინ პორტფელში ჩამრჩენია. „საზოგადოების“ წესდება ჯერ არ მინახავს და მათ მიერ დასახული მიზნები შევიტყე მხოლოდ თქვენი წერილიდან. ყოველ შემთხვევაში, თუკი ჩემი დახმარება „საზოგადოებას“ რამენაირ სარგებელს მოუტანს, მას შეუძლია მიმსახუროს, მაგრამ, სამწუხაროდ, მე უნდა უარვყო მისი დავალება, თუმც კი ერთობ საცდური: ჯერ ერთი, შარშან, არქეოლოგიური ყრილობიდან რომ ვბრუნდებოდი ქუთაისიდან თბილისში, უბედური შემთხვევით ვაგონიდან გადავვარდი მატარებლის მოძრაობისას და ჩემი ჯანმრთელობა ჯერ იმდენად არ გამოსწორებულა, რომ, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში, გადავწყვიტო შორს გამგზავრება; მეორეც, ჩემი სამსახური იმგვარია, რომ ხანგრძლივმა შვებულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ამ მხრივ.

მესმის, რა სახის სამუშაოები ელის ქართული ძეგლების მკვლევარს, რათა წმიდა მიწაზე სრულად და მეცნიერულად იქნეს შესწავლილი ისინი, განსაკუთრებით კი ძველი მანუსკრიპტები, ძნელად გასარჩევი ხელწერით, უხვი ისტორიული ჩანაწერებით რომაა შესრულებული, – ისინი კი გვხვდება ლამის ყველა ძველ ქართულ მანუსკრიპტში, – და შესაძლოა ჯერაც უცნობი ისტორიული ტრაქტატებითა და ქრონიკებითაც, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული, ზოგიერთი კი მთლიანად ამოღებული – ასეთი სამუშაოს შესრულება ოთხთვიან ვადაში შეუძლებელია და თანაც ერთი კაცისთვის. მეფიქრება, არ ეგების ვადების შეზღუდვა. ერთი კატალოგით შემოფარგვლა რომ შეიძლებოდეს, იმ იმედით, რომ მანუსკრიპტთაგან ყველაზე საინტერესოები შეიძლებოდა დროებით გამოგვეთხოვა რუსეთში, კიდევ არა უშავდა; მაგრამ არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბერძენი ბერები თავაზიანნი აღმოჩნდნენ ჩვენდამი. ყოველ შემთხვევაში, ათონელი ქართველი ბერები მარწმუნებდნენ, რომ მდიდარი ქართული წიგნსაცავი ბოლო დროს მათ სრულიად მიუწვდომელი გახადეს ჩვენთვის. აი, რატომ ვფიქრობ, რომ გრძელი გზის გავლა წმიდა მიწაზე და ნაწილობრივ შესრულება საქმისა უსარგებლო იქნებოდა და მიუტევებელი.

ორი ათას რუბლს ამ საქმისთვის არასაკმარისად მივიჩნევ. ჩემს თავზე რომ ამეღო „საზოგადოების“ დავალება, მოვითხოვდი ჩემთვის მოეცათ მხატვარი. დავუშვათ, ფოტოგრაფის პოვნა ადგილზეც შეიძლება, მაგრამ ფრესკებისა და სხვ. გადმოსაღებად საჭიროა მხატვარი. მე კი თავად, სამწუხაროდ, არ ვხატავ, თუმცა იოლად გადმომაქვს წარწერები მათი პალეოგრაფიული თავისებურებების შენარჩუნებით.

ჩემი აზრით, ქართული ძეგლების მკვლევარმა წმიდა მიწაზე უნდა მისდიოს შემდეგ პროგრამას:

1). იერუსალიმის, სინაისა და ათონის ძეგლთა შორის არსებობს ისეთი მტკიცე კავშირი, რომელიც მოითხოვს მათ ერთობლივ და სისტემურ შესწავლას. სინელ-იერუსალიმელი ბერები უმეტეს შემთხვევებში იმყოფებოდნენ ათონელი მამების ხელმძღვანელობის ქვეშ, აგრძელებდნენ ათონში დაწყებულ საქმეს და ამიტომ ბევრი რამ სინაისა და იერუსალიმის ძეგლებში შესაძლოა გაუგებარი აღმოჩნდეს, თუკი ისინი შედარებული არ იქნება ათონის ძეგლებთან. სწორედ ათონიდან უნდა დავიწყოთ არქეოლოგიური კვლევები.

კ[ონსტანტინო]პ[ოლ]ში, გზად ათონისკენ, უნდა დაიძებნოს ძველი ქართული სიგელები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ოდესღაც წაღებული უნდა იყოს ახალციხის ყოფილი საფაშოდან. ისინი, კერძო მონაცემებით, ინახება კ[ო]ნ[სტანტინოპ]ოლის სახელმწ. არქივში. მათგან აღებულ უ[ნდა] ი[ქნეს] ასლები.

2). უდავოა, მკვლევარის მთავარი ამოცანა, როგორც თქვენ აღნიშნავთ სამართლიანად, უნდა მდგომარეობდეს ქართული მანუსკრიპტების შესწავლასა და მათი კატალოგების შედგენაში. კატალოგი უნდა იყოს იმდენად საფუძვლიანი, რომ იქიდან შეიძლებოდეს დავინახოთ: ა) ხელნაწერის ან ქარტიის წარმოშობის დრო და ადგილი: თუკი დრო მითითებული არ არის ჩანაწერში, მაშინ ის შეიძლება განისაზღვროს მეტ-ნაკლები სიზუსტით, წერილის პალეოგრაფიული ხასიათით; ბ) მითითება მათში ჩართულ მნიშვნელოვან ისტორიულ მინაწერებსა და ტრაქტატებზე. მათგან ყველაზე მეტად ფასეულები კატალოგში უნდა დახასიათდეს მოკლედ, ხოლო მათი დაწვრილებითი ანალიზი შევა საბოლოო ანგარიშში.

შენიშვნ. წიგნსაცავთა მანუსკრიპტები ხელახლა უნდა დაინომროს და დალაგდეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ან იმ საგანთა შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც არის ისინი შესული კატალოგში და, ამასთანავე, უნდა დაერთოს კატალოგის ასლი მომავალი კვლევებისათვის.

3). ათონის ქართულ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ისტორიული წყაროები ქართველ და სლავ მთარგმნელთა შორის არსებულ კავშირებზე; ვინაიდან წმიდა წიგნების ცნობილი თარგმანები როგორც ერთ, ისე მეორე ენაზე სრულდებოდა ერთსა და იმავე დროს; ქართველთა და სლავთა ტიპიკონი იხვეწება და ქართველების გაკრული ხელით [ნაწერი ტექსტები] ერთდროულადვე ვრცელდება ათონიდან, სადაც ქართველ ბერებთან მჭიდრო კავშირში ცხოვრობდნენ ბულგარელ-სერბიელი მამები, რასაც გვიჩვენებს მღვდელ გიორგის მიერ გლაგოლიცური ასოებით ხელმოწერილი 982 წ. ცნობილი გარიგება იოანე ივერიელისა, ივერთა მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებლისა; X საუკუნიდან დაწყებული, სლავური და ქართული სიგელების შედგენის წესი იმდენად ერთგვაროვანია, რომ მათი კითხვისას იფიქრებ, თითქოს სლავებმა ისესხეს იგი ქართველთაგან, ანდა პირიქით. ყოველივე ეს და შეხების სხვა უამრავი წერტილი, მეჩვენება, ვერ იქნება უბრალო დამთხვევის, ანდა ბიზანტიის უმნიშვნელოვანესი

გავლენის ამბავი როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ცალ-ცალკე. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ შეიძლება თვალი მივადევნოთ ამგვარსავე კავშირს თვით თარგმანთა ხასიათის თვალსაზრისით. რაც არ უნდა იყოს, მკვლევარმა ეს საკითხი უნდა გაითვალისწინოს ივერთა მონასტრის წერილობით ძეგლთა შესწავლისას.

4). ათონის, სინაისა და იერუსალიმის მონასტრებში მკვლევარმა უნდა შეაგროვოს საქართველოს სხვა სავანეთა ამბები აღმოსავლეთში, მაგ., შავ მთაზე და სხვ., თუკი ეს შესაძლებელი იქნება, გამოკითხვების გზით შეავსოს ისინი ცნობებით მათ ახლანდელ მდგომარეობაზე და გადარჩენილ ქართულ ძეგლებზედ.

5). თავისი საქმიანობის მსვლელობაზე, თუკი წინააღმდეგობა არ შეხვდება, გზადაგზა „საზოგადოებას“ მოახსენებს მოკლე ანგარიშს.

6) მკვლევარი თავისთვის აწარმოებს დღიურს, სადაც შეაქვს ყველაფერი, რაც კი შეეხება ქართულ ძეგლებს: აღწერა მონასტერთა ნაგებობებისა, რომლებიც საინტერესოა არქიტექტურული თვალსაზრისით, განსაკუთრებით თვით საქართველოს საეკლ. სტილთან რომ აქვს ესა თუ ის კავშირი, ხატებისა, საეკლესიო ნივთებისა, ფრესკებისა და სხვ., და დღიურის საფუძველზე, რუსეთში დაბრუნებისას, ადგენს დაწვრილებით ანგარიშს, რომელშიც მეცნიერულად უნდა დამუშავდეს ყველა მონაცემი, რომელიც ქართულსა და უცხოურ წერილობით ძეგლებშია მოცემული ქართული მონასტრების შესახებ აღმოსავლეთში. ანგარიშს ერთვის: ა) ანალიტიკური ანბანური საძიებელი; ბ) მონასტრების, ორნამენტების, ფრესკების, ხელნაწერთა ნიმუშების ფოტოების ტაბულა – მათი პალეოგრაფიული თავისებურებებით და სხვ., და გ) სამონასტრო ბიბლიოთეკების კატალოგი. ანგარიში დასრულებული სახით წარედგინება „მართლმადიდებლურ პალესტინურ საზოგადებას“.

მიიღეთ რწმუნება ჩემი თქვენდამი წრფელი თაყვანისცემისა და სრული ერთგულებისა.

დიმიტრი ბაქრაძე.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №9 (21)

14 ოკტომბ. 82

ძვირფასო ანეტა.

გუშინ მივიღე კიდევ შენგან წიგნი, რომელშიაც მწერ, რომ ჩემგან პასუხი არ მიგიღია პირველ წიგნზე. ეს პასუხი მესამე დღესვე გადავეცი ფოჩტაში. აქამდისინ მიღებული გექნება.

შაქარი აქაც გაძვირდა: 10 მ. და 40 კაპ.

ფულის წამოღებას მწერ, ესე იგი ათის თუმნისას. წიგნში გწერდი, რომ ამოვალ 21[ს] და მთელს ჯამაგირს თან მოვიტან. თუ შესაძლებელი იქნება იმ ჯამაგირიდამ მივცეთ მაწონამეს, მივცეთ. რეშენიესაც თან მოვიტან. მანამდე მოსვლა ვერ[1] შევიძელ, რადგანაც საჭირო საქმეები გამიჩინა კომაროვმა კნ. დონდუკოვის წასვლისთვის. დონდუკოვი მიდის პეტერბურღში 18[ს]. შემდეგ დაბრუნებისა ერთის ან ორის კვირით საჭირო საქმის გამოვე მომიხდება წასვლა ზაქათალას.

ვანო მაჭავარიანი შემხვდა გუშინ და სწუხან, რომ ვასო არას იწერება. ავათ ხომ არ არისო.

ყმაწვილები კარგათ არიან. დაგკოცნეს. მოიკითხე ყველანი.[2]

შენი მარად დ. ბაქრაძე

ლავრენტი ბროსესადმი №1 (22)

1 Ноября 1882. Тиф.

Милостивый Государ[ь][1]
Лаврентій Марич.

Вероятно, Вас удивляет, что я так поздно отвечаю на Ваше письмо от 23 прошлаго Марта. Надеюсь, Вы извините

меня,[2] когда я Вам скажу, что частныя[3] выезды по службе и самая служба не давала мне возможности выполнить Ваше порученіе так, какбы[4] следовало.[5] По вопросу о статіях грузинских изданій, имевших предметом труды покойнаго Марія Ивановича,[6] как помнится, я Вам писал и[7] в прошлом году. Недоверяя себе, так как[8] я не имел времени следить за груз. періодическою литературою, я просил своих пріятелей собрать по этому вопросу обстоятельныя сведенія, но никто не мог мне их указать: самостоятельных статей такого рода в груз. изданіях[9] небыло. Оне встречаются в газете «Кавказ» и в «Кавкз. Календаре» пятидесятых-шестидесятых годов, но изданія эти у нас или[10] составляют библіографич. редкость, или их совсем нет. Поищите их в СП. в Публичной библіотеке, где они, как мне известно, все аккуратно сохраняются.

Посылаю Вам два собственноручныя письма Марія Ивановича на груз. яз.[11] – одно[12] от 25 Марта 1838 на имя Іоселіани, а другое от 18 января 1857 г. на мое имя. Независимо интереса,[13] которого[14] представляют по содержанію,[15] по языку, они[16] служат лучшим доказательством того,[17] сколько труда автор их должен был потратить на то, чтобы[18] без практики изучить в совершенстве старо-грузинскій книжный язык, который и из современных Грузин не многим известен. Я берег эти письма для потомства,[19] в особо переплетенных собраній грузинских документов. Я вышил их собственно для Вас и желалбы, чтобы в труде вашем они целиком были помешены с сохраненіем почерка[20] или лучше отлитографированы.[21] Я бы очень был Вам благодарен, если бы по миноваціи в них[22] надобности, они были возвращены мне.[23]

Я с нетерпеніем буду ждать выхода Вашего труда. Конечно, весь труд будет интересен,[24] но меня в особенности интересует отдел,[25] котор[ый][26] будет касаться трактатов еще неизданных[27] и грузинских манускриптов библіотеки покойнаго.[28] Вероятно, в

числе их окажутся и древніе малоизвестным почерком писанные манускрипты. Если они вас будут затруднять,[29] и по плану вашего труда нужно будет дать их крат[кій][30] анализ, то можно[31] переслать их мне и я не замедлю вернуть[32] вместе с анализом. Только скажите, какого рода анализ требуется.[33]

С ист. почт.

ლავრენტი ბროსესადმი №1 (22)

1 ნოემბერი 1882. ტფილ.

მოწყალეო ხელმწიფევ
ლავრენტი მარიჩ.

ალბათ გაოცებთ, აგრე გვიან რომ გპასუხობთ გასული წლის 23 მარტის წერილზედ. ვიმედოვნებ, მომიტევებთ, როცა მოგახსენებთ, რომ ხშირი მიმოსვლები სამსახურის გამო და თავად სამსახური არ მაძლევდა შესაძლებლობას შემესრულებინა თქვენი დავალება იმგვარად, როგორც საჭირო იყო. ქართულ გამოცემათა სტატიების საკითხზე, მარი ივანოვიჩის კვლევის საგანი რომაა, როგორც მახსოვს, შარშან მოგწერეთ. ჩემს თავს რომ ვერ ვენდე, რადგან არ მქონდა დრო თვალი მედევნებინა ქართ. პერიოდული ლიტერატურისათვის, ჩემს ახლობლებს ვთხოვე მოეგროვებინათ საფუძვლიანი ცნობები ამ საკითხზე, მაგრამ ვერავინ ვერ მაჩვენა ისინი: ქართ. გამოცემებში ამ ხასიათის დამოუკიდებელი სტატიები არ აღმოჩნდა. ისინი გვხვდება ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების გაზეთებში „კავკაზ“ და „კავკას. კალენდარი“, მაგრამ ეს გამოცემები ჩვენთან ან ბიბლიოგრაფ. იშვიათობას წარმოადგენს, ან საერთოდ არ არის. დაძებნეთ ისინი ს[ანკტ]პ[ეტერბურგის] საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ისინი, როგორც ვიცი, ყველა აკურატულად ინახება.

გიგზავნით მარი ივანოვიჩის ორ კერძო წერილს ქართ. ენ.-ზე – ერთს 1838 25 მარტისას იოსელიანის სახელზედ, მეორეს კი 1857 წ. 18 იანვრისას ჩემს სახელზედ. გარდა შინაარსთან და ენასთან დაკავშირებული ინტერესისა, ისინი საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენენ

იმისას, თუ რამხელა შრომა უნდა გაეწია ავტორს, რათა პრაქტიკის გარეშე სრულყოფილად შეესწავლა ძველი ქართული წიგნის ენა, რომელიც თანამედროვე ქართველთაგანაც ცოტასთვის თუ არის ცნობილი. მე ვინახავდი ამ წერილებს შთამომავლობისთვის, ქართული დოკუმენტების კრებულების საგანგებო ყდაში. მე ამოვქარგე ისინი საკუთრივ თქვენთვის და ვისურვებდი, რომ თქვენს ნაშრომში ისინი მთლიანად შევიდნენ ხელწერის შენარჩუნებით, ანდა უკეთ, ლითოგრაფიული სახით. ძალზედ მადლიერი დავრჩებოდი თქვენი, თუკი, როცა აღარ იქნება მათი საჭიროება, დამიბრუნდება.

მე მოუთმენლად დაველოდები თქვენი ნაშრომის გამოსვლას. მთელი შრომა, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება, მაგრამ მე განსაკუთრებით მაინტერესებს მონაკვეთი, რომელიც შეეხება ჯერაც გამოუცემელ ტრაქტატებსა და ქართულ მანუსკრიპტებს განსვენებულის ბიბლიოთეკიდამ. სავარაუდოდ, მათ რიცხვში აღმოჩნდება ძველი, ნაკლებად ცნობილი ხელწერით ნაწერი მანუსკრიპტები. თუკი ისინი შეგიქმნიან სიძნელეებს და ჩემი სამუშაო გეგმის მიხედვით საჭირო იქნება მათი მოკლე] ანალიზის გაკეთება, მაშინ შესაძლოა მათი ჩემთან გადმოგზავნა და არ დავაყოვნებ მათ დაბრუნებას ანალიზითურთ. ოღონდ მომახსენეთ, რა სახის ანალიზია საჭირო.

ჭეშმ. თაყვ.-ით

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №10 (23)

[1879-1882 წლები] 29 ნოემბერი.[1]

ძვირფასო ანეტა.

ჩვენ ყველანი კარგათა ვართ. ყმაწვილებმა სიყვარულით მოგიკითხეს, აგრეთვე დედამ, რომელიც ამ ჟამად ჟორჟეს ცოლით აქ არის. ამინდი მშვენიერია.

შენ სალესავს ძებნა არ უნდა, რადგანაც აქ დაგრჩა. იმ დღეს დამავიწყდა, ჟორჟეს ვერ გამოვატანე.

წუხელ იყვნენ პოპელი ცოლით და მოროზოვისთვის მეზონინი ითხოვეს. მე[2] ნება მივეცი შენის მხრითაც. მარტო ხელია,[3] ამ დღეებში მგონია პოპელი და მოროზოვა კიდეც გეახლნენ.[4]

შენი დ. ბაქრაძე

[ამავე გვერდზე, ზედა მხარეს, დახრილად მინაწერია:]

მე მომიხდება წასვლა ზაქათალას ამ შაბათს ანუ კვირას. მანამდი რომ ჩამოხვიდე კარგი იქნება.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №11 (24)

ანეტა გიგზავნი ორ ბოჩკას. მეტი არ იყო. ჩვენ ყველანი კარგათა ვართ. მე ქვეშაგებიდამ ავდეგ და თავისუფლად დავდივარ. ქალაქში ჯერ არ გავსულვარ. იმ დღეს კამაროვი[1] იყო და გიკითხა – მეორე დღეს შენ რომ წახვედი. სამშაბათს ვნახამ.

ნახვამდე.[2]
შენი ერთგული დ. ბაქრაძე

[მეორე გვერდზე რუსული ხელმოწერაა:]

Дмитрій Захарьевич
Бакрадзе

[1882]

1883
ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №12 (25)

1883 года 4 ноемб.

ანეტა. ვასო ძალიან მეხვეწება რომ მოგწერო ჩამოხვიდე. უშენოთ ძალიან სკუჩნოობა და ურიგობა იქნებაო. ლევანს ვატან ამ წიგნს. ლევანი დაეთხოვა. ჩემის აზრით კარგი იქნება რომ შაბათს დილით ერთათ ჩამოხვიდეთ და ორშაბათს ისევ დაბრუნდე. რახან[1] ასეთი სურვილი აქვთ შენი აქ ყოფნისა, ნუ მოიმდურებ. მოგელით უეჭველათ.

ჩვენ ყველანი კარგათა ვართ. ყმაწვილებმა ხელ-კოცნა მოგახსენეს.

შენი დ. ბაქრაძე

[მეორე გვერდზე მინაწერია:]

к свадьбе Васо Мегвинетхуцесова.*

*ვასო მეღვინეთხუცესოვის ქორწილში.

1884

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №13 (26)

3 ნოემბერი. 1884 год.[1]

ძვირფასო ანეტა.

ფულის შოვნას პრიკაზისთვის ვერ ვახერხებ. პოპელმა ვერ მიშოვა. სმირნოვის ცოლი თუმცა მპირდება ოც თუმანს, მაგრამ საეჭვოა.

ჩამოდი, აგები[2] შენ მაინც მოახერხო ვვოდი ვო ვლადენიე. არ იწერები რისაა ან ისიც რა საჭირო საქმეა. შეიძლება სთხოვო, ადვილად გადასდებ[ს][3] სუდია. ამ წვიმებში მარნის შენება რომ შეაჩერო ძალიან კარგს იქ. ყველანი ამბობენ ეხლა ქვითქირის[4] შენობა აღარ არისო კარგი.

მოგელი უეჭველად ორშაბათს ან სამშაბათს.

ყმაწვილები კარგათ არიან და გკოცნიან.

შენი ერთგული დ. ბაქრაძე[5]

1885

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (27)

[1885] 1 აგვისტო.

თქვენო ყოვლად სამღვდელოებავ.
მოწყალეო მღვდელთ-მთავარო.

გუშინ დამავიწყდა ერთი სათხოვარის მოხსენება. თქვენა გქონიათ, როგორც რაფაელ ერისთავმა მითხრა, ვახუშტის ხელ-ნაწერი საქართველოს ისტორია – რადგანაც მე ვაბეჭდინებ ვახუშტის ისტორიას, ჩემთვის საჭიროა რამდენიმე ვარიანტი: ორი მაქვს, თუ მათხოვებთ თქვენს ეგზემპლიარს, ეგ მესამე ვარიანტი იქნება. ვიცი არ დამიჭერთ დროებით და გთხოვთ ამის მომტანს უბოძოთ.

თქვენი გულითადი პატივის მცემელი
დიმიტრი ბაქრაძე

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №14 (28)

[1885] 12 ოკტომბერი.

უძვირფასესო ანეტა.

თუმცა იმ დღეს მოგწერე ქალაქს ჩამოვალ მეთქი, მაგრამ ვიფიქრე, რომ სჯობს პირდაპირ რუისს გავიდე. მანდ რო ჩამოვიდე, ერთი კვირა მაინც მომიხდება მანდ დარჩენა. ხომ მაინც უნდა ამოვიდე. ტყუილათ ხარჯის გაწევათ არა ღირს. ისევ სჯობს თუ მოიცლი ერთის დღით შენ ამოხვიდე, თუ ყმაწვილების მანდ დატევება არ გეზარება და არ შეწუხდებიან.

ახლა გიგზავნი ათ პოლუიმპერიალს. ჩამოდანში[1] ძევს ფესში. პრიკაზისთვისაც მინდოდა გამომეგზავნა მაგრამ ვერ გამოგიგზავნე, რა ვიცი იქნება როგორმე დაიკარგოს. თუ ან ჩვენები წამოვლენ იმათ გამოვატან, ან თუ შენ ამოხვალ შენ ჩაგაბარებ. მინდა ჯერ მარტის ვალი მოვიშოროთ. მგონია კიდევაც დამრჩეს რამე, ის შინ სახმარებლათ.

ფესი, რომელშიაც ფულია, გახსენ: ფული შენ, ფესი შაქროს და ოქროთი ნაკერი ხელცახოცი, რომელიც აქ ერთმა ლამაზმა კნეინამ მიფეშქაშა, ოლას. ნინოცას ჯერ არაფერი პროშტის მეტი.

გუშინ წიგნი ბარბარესაც მივწერე – იმედი მაქვს კმაყოფილი დარჩეს ჩემის შრომით და ნაშოვრებით; ერთი წიგნიც ბერჟეს მოვსწერე, რომელშიაც ვწერ, როგორც შენ მოგეწერა, პატარა ოტჩეტს და დაბრკოლებებს, რომლის გამოთაც აქამდისინ ვერავის ვერა მივწერე რა.

მგონია, ორი კვირა მეტი არ დავყო რუისში; იმედი მაქვს ამ თვის გასვლამდე ჩამოვიდე თუ უფრო ადრე არა.

რაც ოზურგეთს დავბრუნდი ძალიან კაი დღეები დგას. მანამდი კი სულ წვიმდა.

ყველას სიყვარულით მოვიკითხავ ჩვენებს. ყმაწვილები დამიკოცნე.

შენი მარად
დ. ბაქრაძე.

[მეოთხე გვერდზე მისამართი წერია:]

ანნა ოსეფოვნას
ბაქრაძისას.[2]
დიმიტრი ბაქრაძისაგან.[3] თბილისში.[4]

[პირველ გვერდზე, მარცხენა არშიაზე, მინაწერია:]

ზაქაროს აქ სამი
პოლუიმპერიალი მივეცი.

1886

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №15 (29)

6 მაისი. 86. ქუთაისი

უძვირფასესო ანეტა.

წუხელ მოვედი ქუთაისში. დღეს შუადღის უკან ვაპირებდი გასვლას ბათუმში; მაგრამ ვრჩები ოთხშაბათამდე, რადგანაც ხუთშაბათს[1] დილით ბათუმიდამ გადის სახელმწიფო პაროხოდი (შკუნა[2]) პირდაპირ в Ново-афонскій Симоно-Кананитскій монастырь* სადაც დღეობა არის შაბათს. მლოცავები მიჰყავს. მეც იმ პარახოდით წავალ. კვირას დავბრუნდები მონასტრიდამ სუხუმს. იმედი მაქვს 20-მდე შინ დავბრუნდე.

ყველანი სიყვარულით მომიკითხე. ყმაწვილები დამიკოცნე. დღეს აქ ქუთაისში ცხელა.

შენი მარად დ. ბაქრაძე.[3]

NB. გორში ვოკზალზე დამხვდა ზაქარა. დაბრუნებაზე დავპირდი ერთის დღით ხიდისთავში შევლა.

*ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის მიმართულებით.

ვსევოლოდ მილერისადმი №1 (30)

9 дек. 86. Тиф.

Многоуважаемый Всеволод □едорович.

Лет 15 тому назад, состоя инспектором школ Общ. возстан.

Христ. на Кавказе, я, по осмотре их[1] в горной Хевсуретіи,[2] случайно попал[3] из Шатиля, по теченію Ассы, чрез Амгу, в Галгай, где мне удалось взглянуть[4] на ту самую[5] церков,[6] с которой груз. надписи[7] сняты Вами минувшим[8] летом, названія местности не помню, но[9] к счастью я нашел в своем дневнике теже[10] самыя надписи, но оказавшіяся[11] полнее, чем у Вас. Не скажу, чтобы оне были сняты мною с тою точностью, с какою бы я снял их, если бы пришлось видеть их мне[12] теперь; ктомуже я срисовал их[13] на скорую руку чрез[14] бинокль,[15] не слезая с лошади. Вот почему[16] снимок[17] мой[18] едва ли м. б. вполне верным.[19] В одном не сомневаюсь, что Церковь построена каким-то Давидом царем, патроном-владетелем верхних[20] местностей, ибо[21] патрон в особенности слова прослав,[22] при епископе Георгіе[23] относятся к царствующей особе.

Незнаю, верно ли я воспроизвожу год основанія церкви 830, хотя, характер письма и у Вас, и у меня, указывает глубокую древность постройки.

Несколько лет тому назад Л. Ц. Комаров передал мне пять листов из грузинскаго псалтыря, писаннаго[24] весьма старым, не позднее XI в., церковно-заглавн. алфавитом; листы эти, присланные[25] ему г. Ольшевским, найдены были в развалинах какой-то церкви в Галгае, но какой, неизвестно.[26] Не в Тхаба-сердынской ли?

К сожаленію, немогу дать никакого сведенія о построеніи Грузинами Тхаба-сердынской церкви,[27] потому что их ненахожу в доселе известных письменных памятниках Грузіи. Единственно что я знаю об ней, это то, что ее описывает Клапрот в своем Voyage au Mont Caucase, I, p. 415-417.

Для Ваших соображеній при составленіи отчета об экскурсіи в Чечни, прилагаю при сем, вместе с снимками надписей, моих и Ваших, возстановленных в своих правильных очертаніях, два из указываемых пергаментных листа, к. по мал. над[о]бности не оставьте вместе.

Примите… Дм. Бакрадзе

[წერილის I გვ-ზე დაკრულია პატარა ქაღალდი სხვადასხვა მინაწერით:]

1) Христе, прослав строителя храма его[28] Дв (да)[29] Эристава?[30]

2) барельеф[31] того

3) Св. в бороде в орарел:?[32] руки протянуты к стороне ц[е]ркв[и]

4) «Господи, благослови Георгія Епископа».

5) Рельеф ц[е]ркв[и] с куполом.

6) Рука держащая к…тся топор

7) Господ Сафаоф, памяти.... Епископа Георгія.... [33]

8) на груз

ვსევოლოდ მილერისადმი №1 (30)

9 დეკ. 86. ტფილ.

დიდად პატივცემულო ვსევოლოდ თეოდოროვიჩ.

15-ოდე წლის წინ, კავკასიაში ქრისტ. აღორძ. საზ. სკოლ. ინსპექტორი რომ გახლდით, მათი დათვალიერებისას მთიან ხევსურეთში, შატილიდან ამღის გავლით, ასსას დინებით მიმავალი, შემთხვევით მოვხვდი ღალღაში, სადაც საშუალება მომეცა მენახა სწორედ ის ეკლესია, რომლიდანაც შარშან ზაფხულში თქვენ გადაღებული გაქვთ ქართ. წარწერები. ადგილის სახელწოდება არ მახსენდება, მაგრამ, საბედნიეროდ, მე ჩემს დღიურში მივაგენი იმავე წარწერებს, თუმცა უფრო სრულყოფილებს, ვიდრე თქვენია. ვერ ვიტყვი, რომ იმ სიზუსტით გადავიღე ისინი, როგორც გადავიღებდი მათ, ახლა რომ მენახა, ამასთანავე, მე ცხენიდან გადმოუსვლელად [და] ნაჩქარევად გადავიღე ისინი ბინოკლით შემყურემ. აი, ამიტომაც, შესაძლოა, ჩემი გადაღებული სურათიც ვერ იყოს მთლად ზუსტი. არ ვეჭვობ ერთ რამეში – რომ ეკლესია აშენებულია ზემო ადგილების მეპატრონე-მფლობელის, ვინმე დავით მეფის მიერ,

რადგან [ეს] პატრონი ეპისკოპოს გიორგის დროს წარმოადგენდა განსაკუთრებულად აღზევებულ პიროვნებას.

არ ვუწყი, სწორად ვსაზღვრავ თუ არა ეკლესიის დაარსების წლად 830-ს, თუმცა ნაწერის ხასიათი თქვენთან და ჩემთან მიუთითებს ნაგებობის ხანდაზმულობაზე.

რამდენიმე წლის წინ ლ. ც. კომაროვმა გადმომცა ხუთი ფურცელი ქართული დავითნიდან, დაწერილი ერთობ ძველი, არა უგვიანეს XI ს. საეკლესიო-მთავრ. ანბანით; ეს ფურცლები, მისთვის გ. ოლშევსკის მიერ გამოგზავნილი, ნაპოვნია ღალღის რომელიღაც ეკლესიის ნანგრევებში, მაგრამ რომელში, არავინ უწყის. ეგებ თხაბა-ერდისაში?

სამწუხაროდ, არ ძალმიძს არანაირი ცნობის მოწოდება ქართველების მიერ თხაბა-ერდის ეკლესიის აშენების შესახებ, რადგან ვერ ვპოულობ მათ საქართველოს აქამომდის ცნობილ წერილობით ძეგლებში. ერთადერთი, რაც მასზედ ვიცი, ის არის, რომ მას აღწერს კლაპროტი თავის Voyage au Mont Caucase, I, p. 415-417.

თქვენი მოსაზრებებისთვის ჩეჩნეთის ექსკურსიაზე ანგარიშის შედგენისას, წარწერების ჩემეულ და თქვენეულ სურათებთან ერთად, რომლებიც აღდგენილია თავიანთ სწორ მოხაზულობებში, ვურთავ აგრეთვე პერგამენტზე აღნიშნულ ორ ადგილს, საჭირ[ო]ების შემთხვევაში ნუ დატოვებთ ერთად.

მიიღეთ .... დიმ. ბაქრაძე

[წერილის I გვ-ზე დაკრულია პატარა ქაღალდი სხვადასხვა მინაწერით:]

1) ქრისტე, ... ადიდე ტაძრის მშენებელი, მისი მფლობელი დვ(თ) ერისთავი

2) რელიეფი წმ ბარელიეფი იმ

3) წმ., წვერით ..... ხელები გაწვდილი აქვს ეკ[ლე]სიის[კენ]

4) „უფალო, დალოცე გიორგი ეპისკოპოსი“.

5) გუმბათიანი ეკ[ლ]ესი[ის] რელიეფი

6) ხელი... რომელსაც უჭირავს ცული.

7)უფალო საბაოთ, ეპისკოპოს გიორგის... ხსოვნისთვის...

8) ქართ[ველ]

1887

ევგენი პრესნიაკოვისადმი №1 (31)

Милостивый Государь
Евгеній Львович

№2.
5 января 1887 г.

В виду предстоящих Кавказ-у Обществу в текущем году[1] командировок членов его[2] по Краю для археологических изысканій и неименія[3] у него средств не признаете ли возможным по примеру прошлаго года выслать[4] в распоряженіе Общества три разовых билета и один постояніи на имя вице-председателя Общества, Бакрадзе[5] взамен прилагаемаго билета №239 препроводить председательствующему, в Обществу Дейст[ующаго] Статск-у Сов. Бакрадзе.

Примите, Милостив[ый] Государь увереніе в совершенном моем почтен и преданности.

За отсутст. Председателя Председательствующій в Общ.
Дм. Бакрадзе

Его Высокородію
Е. Л.
Преснякову,
Управляющему Зак. желез. дорогой

ევგენი პრესნიაკოვისადმი №1 (31)

მოწყალეო ხელმწიფევ
ევგენი ლვოვიჩ

№2.
5 იანვარი 1887 წ.

მიმდინარე წელს კავკას. საზოგად. წევრთა არქეოლოგიური კვლევებისთვის მხარეში გათვალისწინებული მივლინებებისა და ამისთვის სახსრების უქონლობის გამო, გასული წლისამებრ ხომ არ ჩათვლით შესაძლებლად, საზოგადოების მიერ განსაკარგავად გამოგზავნოთ სამი ერთჯერადი ბილეთი და ერთიც მუდმივი საზოგადოების ვიცე-თავმჯდომარის, ბაქრაძის სახელზედ თანდართული №239 ბილეთის სანაცვლოდ, გადასაგზავნად საზოგადოების თავმჯდომარისთვის, მოქმედ სტატსკ. სოვ. ბაქრაძისთვის.

მიიღეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რწმუნება ჩემს სრულს თაყვანისცემასა და ერთგულებაში.

თავმჯდომარის არყოფ. გამო საზოგად. თავმჯდომარე

დიმ. ბაქრაძე

მის მაღალკეთილშობილებას
ე. ლ.
პრესნიაკოვს,
ამიერკავკ. რკინ. გზის მმართველს

ვლადიმერ როგესადმი №1 (32)

[პირველი გვერდის ქვედა მარცხენა არშიაზე მიძღვნაა, სამ სტრიქონად დაწერილი:]

Его пр-ву,
В. П.
Рогге.

Милостивый Государь,
Владимір Петрович.

Впоследствіе[1] письмо Вашего Превосходительства от 27 прошлаго[2] января №143, имею честь при сем препроводить значащіеся[3] в прилагаемой при сем описи предметы древности,[4] вывезенные[5] мною летом минувшаго года из Сухумскаго округа.

К сему нужным считаю присовокупить что:

1) Подробный отчет[6] о тех предметах, вместе с фотографическими их снимками, заказанными[7] Московским Археологическим[8] Обществом[9] у фотографа Ермакова,[10] и соображеніями о дальнейших изысканіи в Сухумском округе по требованію Председателя Императорской Археологической Коммисіи в письме ко мне[11] от 10 декабря, №101, препровождены в означенную Коммисію 27[12] тогоже декабря.[13]

2) Снимки с камней[14] с орнаментами и барельефами, остающіеся на месте, хотя и сделаны были[15] прошлым же летом фотографом[16] при производившей[17] археологическое изследованіе Цебельды Московской[18] ученой Экспедиціи, под руководством графини П. С. Уваровой, и хотя[19] они обещаны мне, но до сих пор мною не получены.[20] Об этом[21] я сообщил графу Бобринскому,[22] прося его за полученіем их обратиться прямо к графине Уваровой.

3) Причина,[23] почему я не мог до настоящаго времени доставить[24] предметы древности Сухумскаго округа[25] ни в[26] Канцелярію Главноначальствующаго, согласно письма Вашего Превосходительствующаго от 10 прошлаго сентября N8918, ни в Археологическую Коммисію, согласно письма графа Бобринскаго, заключается в том, что за выездом из Тифлиса[27] Председателя Кавказскаго Общества исторіи и археологіи заседаніе этого Общества,[28] в которое предполагалось внести их[29] вместе с моим[30] рефератом, было отложено впредь до

возвращенія В. Н. Троцкаго и к томуже[31] Экзарх Грузіи Архіепископ Павел, устроившій в огороде Сіонскаго Собора[32] церковно-археологическій Музей, имел в виду ходатайствовать о передаче[33] их[34] в помянутый Музей, согласно[35] составленнаго им проекта устава Музея, по коему все вещи церковнаго свойства, могущія оказаться в развалинах древних храмов, в пределах Экзархата,[36] должны поступать в тот[37] Музей.

Примите увереніе в истинном моем почтеніи и совершенной преданности.

№23
5го февраля, 1887 г.

ვლადიმერ როგესადმი №1 (32)

[პირველი გვერდის ქვედა მარცხენა არშიაზე მიძღვნაა,
სამ სტრიქონად დაწერილი:]

მის უგან-ბას,
ვ. პ.
როგეს.

მოწყალეო ხელმწიფევ,
ვლადიმირ პეტროვიჩ.

თქვენი აღმატებულების გასული წლის 27 იანვრის №143 წერილის საპასუხოდ, პატივი მაქვს გადმოგცეთ გასული წლის ზაფხულში სოხუმის ოლქიდან ჩემ მიერ წამოღებულ სიძველეთა ნივთების თანდართული ნუსხა.

საჭიროდ ვრაცხ დავურთო რომ:

1) დაწვრილებითი ანგარიში ნივთების შესახებ, მათ ფოტოგრაფიულ სურათებთან ერთად, მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ რომ შეუკვეთა ფოტოგრაფ ერმაკოვს, და მოსაზრებებით

საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩემდამი 10 დეკემბრის №101 წერილში სამომავლო კვლევების შესახებ, გადაცემულია აღნიშნული კომისიისთვის იმავე დეკემბრის 27-ში.

2) ორნამენტიანი და ბარელიეფიანი ქვების სურათები, რომლებიც ადგილზე რჩება, თუმც კი გასულ ზაფხულსვე იყო ფოტოგრაფის მიერ დამზადებული ცებელდის არქეოლოგიური კვლევისას, მოსკოვის სწავლულთა ექსპედიცია რომ ატარებდა გრაფინია უვაროვას ხელმძღვანელობით, პირობის მიუხედავად, აქამომდინ არ მიმიღია. ამაზე მე შევატყობინე გრაფ ბობრინსკის და ვთხოვდი მას, მათ მისაღებად მიემართა პირდაპირ გრაფინია უვაროვასთვის.

3) მიზეზი, რომლის გამოც მე აქამომდინ არ შემეძლო სოხუმის ოლქის სიძველეთა ნივთები მიმეტანა ან მთავარმართებლის კანცელარიაში, თანახმად თქვენი აღმატებულების გასული 10 სექტემბრის №8918 წერილისა, ან არქეოლოგიურ კომისიაში, თანახმად გრაფ ბობრინსკის წერილისა, იმაში მდგომარეობს, რომ კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების თავმჯდომარის თბილისიდან გამგზავრების გამო, ამ საზოგადოების სხდომა, სადაც ნავარაუდევი იყი მათი შეტანა, ჩემს რეფერატთან ერთად, გადადებულ იქნა ვ. ნ. ტროცკის დაბრუნებამდის და, ამასთანავე, საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოს პავლეს, საეკლესიო-არქეოლოგიური მუზეუმი რომ მოაწყო სიონის მონასტრის ბოსტანში, ჩაფიქრებული ჰქონდა, ეშუამდგომლა მათ გადასაცემად ხსენებული მუზეუმისთვის მის მიერ შედგენილი წესდების პროექტის მიხედვით, რომლის თანახმადაც, საეკლესიო ხასიათის ყველა ნივთი, უძველეს ტაძრებში რომ შეიძლება აღმოჩნდეს ეგზარქატის ფარგლებში, უნდა ჩაბარდეს ამ მუზეუმს.

მიიღეთ რწმუნება ჩემს წრფელ თაყვანისცემასა და სრულ ერთგულებაში.

№23
თებერვლის 5[ს], 1887 წ.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №16 (33)

[1887] 20 ივლისი, ყარსი

უძვირფასესო ანეტა.

ჩვენ კარგათ ვიარეთ. ეკიპაჟის მადლობელი ვარ. მეოთხე დღეს ყარსში[1] მოვედით. მეორე დღეს ტელეგრამა გამოგიგზავნე ხიდისთავში ლევანის სახელობაზე. მგონია მიიღებდი. ჩამოვხდი ჯერ გოსტინიცაში „Америка“. ყოველ დღე სადილათ ღუბერნატორთან ვარ. გუშინ მოულოდნელათ დიმიტრი ივანიჩი ღოსტინაში შემხვდა. ერთათ ვჭამეთ სადილი ღუბერნატორისას.[2] მასუკან მთელი დღე ჩემთან დარჩა. იმისი ბატარეა 6 ვერსზე დგას. 23[ს] დილით იმისგან ცხენს მოველი და მთელის დღით იმასთან გავატარებ დროს ლაგერში. სიყვარულით მოგიკითხათ ყველანი. ჯერ აქ მე საქმეები არა გამიკეთებია რა. ხვალინდელ დღეს მივყობ ხელს. მგონია ორი კვირის მეტი კი არ დავრჩე ყარსში.

ძირძიტას ვგრძნობდი მხოლოდ პირველ დღეს. მეორე და მესამე დღეს სრულებით გაქრა.

აქ გრილი ჰაერია, ასე რომ სიცხეს სრულებით არა ვგრძნობთ.

ყმაწვილები დამიკოცნე. ყველანი სიყვარულით მომიკითხე. კიდევაც მოგწერ. შენი დ. ბაქრაძე

ჩემი ადრესი: В Карс, Статскому Советнику
Дмитрію Захарьевичу Бакрадзе.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №17 (34)

[1887] 22[1] აგვისტო, ყარსი.

უძვირფასესო ანეტა.

გუშინ დავბრუნდი ყარსში. მოვიარე მთელი ოლთის ოკრუღი და არდაანი. 22 დღე ვიმგზავრე. კარგათ და მშვიდობით ვარ. ქიტოც კარგათ არის. ხვალ ორის დღით მივდივარ ანში. ხუთშაბათს წამოვალ ქალაქისაკენ. შაბათს ან კვირას[2] ქალაქში ვიქნები, ესე იგი 29[ს] ანუ 30 ამ თვისას.

რასაც მწერ ვასილიევზე ძალიან კარგათ გიფიქრნია. მეც მქონდა ეგ ყმაწვილი ფიქრში. გორსკი უპრავლენიეში მიქეს. მოვალ და მოვილაპარაკოთ როგორც მაგაზე, აგრეთვე პრესზე.

ყმაწვილები დამიკოცნე. ყველანი სიყვარულით მომიკითხე. ჟორჟეს მიულოცე.

შენი ერთგული დ. ბაქრაძე

წაიკითხავდი გაზეთში, რომ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა მივიღე. მომილოცნია.

ლავრენტი ბროსესადმი №2 (35)

окт. 87. Тифл.

[თარიღის მარცხნივ, ცერად, ქვემოდან ზედა მიმართულებით, მინაწერია:]

Книга Ваша на имя «Кавк. Арх. Общ.» получена мною и сдана в его библіотеку.

Прошу извиненія[1], Многоуважаемый Лаврентій Марич,[2] что на письмо Ваше от 5 мая отвечаю слишком поздно. При ответном письме мне хотелось доставить Вам «Сборник законов царя Вахтанга VI», который против ожиданія запоздал выходом.[3] Книга Ваша поспела так кстати, что[4] я[5] успел[6] высказать свое об ней мненіе в предисловіи «Сборника». Подробно я[7] намерен в одном из русских[8] изданій[9] Тифлиса ознакомить нашу публику с достойнствами этого[10] труда. Я нахожу, что Вы в ней прекрасно[11] выполнили свою[12] задачу. От такого рода произведен[ія][13] едва ли наука[14] может требовать больше того, что Вы даете. Я убежден, что когда[15] Ваша Bibliographie[16] сделается известною, она сделается настольною книгою[17] для всякого интересующагося исторіею Арменіи, и в особенности[18] Грузіи.[19] Говорю это с полным убежд. Пока матеріал истор. Груз. заключается в многочисл.[20] тр[у]дах Вашего родителя; а они без книг[21] мало кому доступ[ны]. Bibliographie,[22] независимо того, что знакомит с содержаніем всех[23] произвед. покойнаго М. И. и даже[24] с трудами с ним работавших,[25] дает[26] замеч. алфавитный указатель. В ней[27] номенклатура имен и географических названій не представляет ниодного промаха; тогда как в этом отнош. сильно грешат все доселе появленныя[28] грузинскія,[29] и русскія сочиненія о Кавказе.[30]

В комментаріях[31] прилагаемаго при сем: «Сборник…« и в особенности[32] «Древн. ист. Вахушта»,[33] издан. мною в 1885 г.,[34] я

очень часто пользуюсь трудами покойнаго Марія Ивановича, а в брошюре[35] спеціально трактую о трудах его до переселенія его из Парижа в Петербург.[36]

Если Вы читаете погрузински, сообщите я Вам вышлю.[37] К сожаленію[38] ни у меня, ни в Тифлисе вообще не оказывается много из тех трудов его, на которыя сделаны указанія в Вашей Bibliographie.

Списка сочиненій М. И-ча,[39] которыя Вы мне любезно предлагаете, я не получил, хотя к[а]к из письма Вашего вид[но][40] Вы его мне выслали.[41] Если в числе их заключаются статьи,[42] которых у меня нет, то, конечно, высылкою их мне Вы бы меня очень обязали, и потому прошу не отказать мне в высылке означеннаго списка.[43] Вместе с тем, нельзя ли[44] прислать 40-50 экз. Bibliographie [45] в Тифл. Книжные магазины для продажи: она[46] интересует[47] многих, а в продаже здесь не имеется.[48] Если бы Вы при том[49] предоставили в мое распоряженіе экземпляров 10 для раздачи[50] нашим молодым Грузинам, занимающимся изученіем нашей исторіи, то было бы в.[есьма] полез[но].[51] Экземпляр, полученный мною для моей библіотеки от Академіи Наук, я пожертвовал библіотеке Общества распространенія грамотности в груз. населеніи.

Общество это[52] желало бы[53] издать «Исторію Грузіи Горгіджанидзе», но[54] по всей Грузіи ни одного ея[55] экз. ненаходить. Единственный экз., сколько известно, имеется в библіотеке покойнаго Марія Ивановича; и если он не попал[56] в числе прочих рукописей его[57] в Академію Наук,[58] то я просил бы[59] прислать его мне временно: по снятіи[60] с него копі я бы Вам его вернул в целости.[61] У меня имеется карточка М. И. с собственоручною его припискою (на груз. яз.). Неможете ли снабдить Вашею карточкою?

Искренно Вас уважающій Дм. Бакрадзе.

ლავრენტი ბროსესადმი №2 (35)

ოქტ. 87. ტფილ.

[თარიღის მარცხნივ, ცერად, ქვემოდან ზედა მიმართულებით, მინაწერია:]

თქვენ მიერ „კავკ. არქ. საზ.“ სახელზედ გამოგზავნილი წიგნი მივიღე და ჩაბარებულია მის ბიბლიოთეკაში.

გთხოვთ მომიტევოთ, დიდად პატივცემულო ლავრენტი მარიჩ, რომ თქვენს 5 მაისის წერილზე გპასუხობთ ძალზედ გვიან. სა-პასუხო წერილთან ერთად, მინდოდა თქვენთვის მომეწოდებინა „მეფე ვახტანგ VI კრებული“, რომელმაც, მოლოდინის მიუხედავად, გამოსვლა დააგვიანა. თქვენი წიგნი გამოვიდა სწორედ იმ დროისთვის, როცა მე მის შესახებ აზრი მქონდა გამოთქმული „კრებულის“ წინასიტყვაობაში. მე ვაპირებ თბილისის ერთ-ერთ რუსულ გამოცემაში ჩვენს პუბლიკას დაწვრილებით გავაცნო ამ ნაშრომის ღირსებები. მე ვხედავ, რომ თქვენ მასში შესანიშნავად გადაწყვიტეთ თქვენი ამოცანა. ვშიშობ, მეცნიერებას შეეძლოს ამგვარი ნაწარმოებისგან მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე თქვენ იძლევით. დარწმუნებული ვარ, რომ, როცა თქვენი Bibliographie ცნობილი გახდება, იგი იქცევა სამაგიდო წიგნად ყველასთვის, ვისაც კი აინტერესებს სასომხეთის და განსაკუთრებით საქართველოს ისტორია. ამას სრულებით დარწმუნ. ვამბობ. საქართველოს ისტ. მასალა ჯერჯერობით თავმოყრილია თქვენი მშობლის მრავალრიცხოვან ნაშრომებში; წიგნების გარეშე კი მათზე ცოტას თუ მიუწვდება ხელი. Bibliographie, მიუხედავად იმისა, რომ გვაცნობს განსვენებული მ. ი.-ს ყველა თხზულ. და მასთან მომუშავეთა ნაშრომებსაც კი, იძლევა შესანიშნ. ანბანურ საძიებელს. მასში სახელებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნომენკლატურა არ შეიცავს არც ერთ ცდომილებას; მაშინ როცა ამ მხრივ ძალზედ სცოდავს ყველა აქამდე გამოსული ქართული და რუსული თხზულება კავკასიაზედ.

ამ „კრებულ...“ და განსაკუთრებით ჩემ მიერ 1885 წ. გამოცემული „ვახუშტის საქართველოს ძვ. ისტ“-ის თანდართულ კომენტარებში ძალზე ხშირად ვიყენებ განსვენებული მარი ივანოვიჩის შრომებს, ხოლო ბროშურაში სპეციალურად განვმარტავ მის ნაშრომებს მის გადასვლამდე პარიზიდან პეტერბურღში.

თუკი ძალგიძთ ქართულად კითხვა, შემატყობინეთ, მე თქვენ გამოგიგზავნით. სამწუხაროდ, არც ჩემთან, არც საერთოდ თბილისში არ მოიპოვება არც ერთი მისი იმ ნაშრომებიდან, რომლებზედაც მინიშნებებია თქვენს Bibliographie-ში. მ. ი-ჩის თხზულებათა სია, რომელსაც თქვენ მთავაზობთ მოწიწებით, არ მიმიღია, ისევე როგ[ო]რც თქვენი წერილი, თუმცა, ჩა[ნს], გამოგიგზავნიათ იგი. თუკი მათ შორისაა სტატიები, რომლებიც მე არ გამაჩნია, მაშინ, რა თქმა უნდა, ძალზე დამავალებდით მათი გამოგზავნით, და ამიტომ გთხოვთ უარი არ მითხრათ აღნიშნული სიის გამოგზავნაზედ. ამასთანავე, იქნებ შეიძლებოდეს გამოგზავნოთ Bibliographie-ს 40-50 ეგზ. ტფილ. წიგნების მაღაზიებში გასაყიდად: იგი ბევრს აინტერესებს, არკი იყიდება. ამასთანავე, თუკი თქვენ ჩემს განკარგულებაში გადმომცემდით 10-ოდე ეგზემპლარს ჩვენი ახალგაზრდა ქართველებისთვის დასარიგებლად, ჩვენი ისტორიის შესწავლით რომ არიან დაკავებულნი, ე[რთობ] სასარგებ[ლო] იქნებოდა. მეცნიერებათა აკადემიისგან ჩემი ბიბლიოთეკისთვის მიღებული ეგზემპლარი შევწირე ქართ. მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკას.

ეს საზოგადოება ისურვებდა გამოეცა „გორგიჯანიძის საქართველოს ისტორია“, მაგრამ მთელ საქართველოში არ მოიპოვება მისი არც ერთი ეგზ. ერთადერთი ეგზ., რამდენადაც ცნობილია, არის განსვენებული მარი ივანოვიჩის ბიბლიოთეკაში; და, თუკი ის, მის სხვა ხელნაწერებთან ერთად, არ მოხვედრილა მეცნიერებათა აკადემიაში, მაშინ გთხოვდით, დროებით გამოგეგზავნათ იგი: ასლის გადაღების შემდეგ მას უვნებელს დაგიბრუნებდით. მე მაქვს მ. ი.-ის ბარათი მინაწერით პირადად მისივე ხელით (ქართ. ენ.-ზე). ხომ ვერ მიბოძებდით თქვენს ბარათს?

თქვენი ჭეშმარიტი პატივისმცემელი დიმ. ბაქრაძე.

1888

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №18 (36)

10 იანვარი 88, ბათუმი

ძვირფასო ანეტა.

ძალიან სამწუხაროთა მაქვს, რომ მანდ ვერ დავესწარ ამ დღეებში და პირდაპირ ვერ უძღვენ ჩემი ნება-კურთხევა ნინოჩკას. ტელეგრამმას დღევანდელს მიიღებდით ჩემგან დღეს, რომლითაც გილოცავთ ნინოს თანხმობას. ღმერთსა ვთხოვ მაგათ ბედნიერებას. ორივე დამიკოცნე. თქვენც რა საკვირველია ყველანი გახარებული იქნებით. აქაური ჩემი მცნობები, ვინც კი შეიტყო, ყველანი გლოცვენ.

ხვალ ესე იგი ორშაბათს, მგონია არ მომიხდეს გასვლა. პარახოდი დღეს უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯერ არ მოსულა. გასვლის დროს გაცნობებ ტელეგრამმით. გუშისწინ[1] ცუდი დღე იყო. გუშინ ძალიან კარგი და დღეს წვიმს, მაგრამ ზღვა დაწყნარებულია. დღეს ფრანციცული პარახოდი გავიდა კოსტანტინეპოლისაკენ. არ ვიცოდი, თუ რუსის პარახოდი არ მოვიდოდა, თორემ დღეს ფრანციცულ პარახოდზე გადავიდოდა.

ოლღა, ნინო და შაქრო დამიკოცნე, აგრეთვე მარია ოსეპოვნას სიყვარულით მოვიკითხავ და ყველას ჩვენებს.

სხვებრ დავშთები შენი ერთგული დიმ. ბაქრაძე.[2]

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №19 (37)

11 Генв. 88[1]

ანეტა.

გიგზავნი ამასთანავე დუნდუკოვის მატერიას. არ იყო საჭირო ამისი თან თრევა – ნაჭერი მოვჭერი და ის წავიღე ნიმუშათ. შემინახე მანამ დავბრუნდებოდე. კოსტან[ტ]ი[ნო]პოლიდა[ნ][2] მიიღოთ თუ არა ჩემგან წიგნი მალე მომწერეთ პასუხი და ყველა გარემოება მაცნობეთ. ყმაწვილებმაც თავიანთი გარემოება თვითონვე მომწერონ.

შენი დ. ბაქრაძე

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №20 (38)

[1888] 11[1] იანვარი, 2 ½ საათი. ტრაპიზონს

ძვირფასო ანეტა.

გწერ ტრაპიზონიდამ. წუხელ რვა საათზე გამოვედით ბატუმიდამ.[2] დილის რვა საათიდამ აქა დგას პარახოდი და მე გამოვედი ქალაქის გასაშინჯათ. 6 საათზე საღამოს გავალთ. თუ შემთხვევა მექნება გზიდამ კიდევაც მოგწერ.

მშვენიერი ამინდი დაგვიდგა. ასე რომ ცხელა კიდეც. პარახოდი დიდია. კაიუტა კარგად[3] მოწყობილი სწორეთ როგორც კარგს გოსტინნიცაში.[4] კარგათ გვაჭმევენ და გვასმევენ. მთელი პირველი კლასი მე და მეხტირბაშევს გვიჭირამს. სხვა არავინ არის.

ამ წიგნს ვწერ კოფეინაში და ფრანცუზის პარახოდი წამოიღებს.

ნახვამდე. ყველანი დამიკოცნე და მომიკითხე.

შენი დ. ბაქრაძე[5]

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №21 (39)

19 генв. 88 г. Константі[нополь][1]

Дорогая Анета.

Я писал тебе письмо из Требизонта на встреченном там французском пароходе. Ты должна была его получить. От Требизонта до Константинополя на море погода нам очень благопріятствовала. Хотя в Батуми до самаго дня выезда все время погода была скверная и море очень неспокойно и когда капитану парохода я объявил, что наверное все время до Константинополя мы будем иметь погоду очень хорошую, он не верил и полагал, что где нибудь очень нас будет качать, и в особенности он боялся за море от Инсболи до Босфора, где море открыто и постоянно почти бушует в это время года, но случилось по моему, даже и там, где он особенно боялся. К Инсболи он немог пристать несколько рейсов, хотя имел грузы, которые он должен был там сдать. По пріезде в Константинополь он просто был удивлен. Об этом я разсказывал и послу и другим служащим в посольстве и консульстве, с которыми я уже успел познакомиться и они находят, что это очень счастливый случай.

Теперь пока живем в гостинице «Пест» и разыскиваем квартиру. По занятіи ея я буду писать тебе еженедельно. Пока адрес мой я помещаю в конце письма. В Константинополе вообще все необычайная дороговизна и деньги наши в упадке.

На днях наши занятія начнутся правильно. До пріезда нашего, оказывается, все подготовлено нашим посольством и турецкія власти готовы вполне удовлетворить нас в наших требованіях. Здесь я встретил нескольких своих хороших знакомых, в числе их Самсон Сергеевич Завріев, служащій в консульстве [который][2] от меня почти не отходит и хотя без [меня][3] нанял было квартиру, но он по осмотре заставил бросить ее и [со][4] вчерашняго числа вместе с ним искали ее в безопасных

частях города. Или сегодня, или завтра надеемся найдти ее. Он только сожалеет, что я телеграммою из Батума не дал ему знать, квартира была бы готова и он нас встретил бы на пароходе и прямо бы отвел на готовую квартиру. Сделали мы, конечно, ошибку.

В ящике в столе я забыл письмо на имя настоятеля подворья Пантелеймонова монастыря Паісія. Пришли его мне.

Детей всех целую и своим всем сердечный мой привет. Шакро пусть пишет мне о ходе своих занятій и своему учителю передаст мой сердечный поклон. Ниночка с своим женихом, надеюсь, тоже мне будут[5] писать о себе. Оля тоже! Как дело Джаваховых. Выиграли ли они? Маша верно уже уехала. На свободе я ей напишу. Если Николая Петровича Гребенщикова[6] встретишь, передай ему поклон вместе с новым членом Коммисіи кн. Андрониковым[7] и скажи им, что я напишу им особо чрез некоторое время. Кланяйся также Николаю Осиповичу и Андрею Николаевичу Пекареву.[8]

К Захарію Осиповичу моя очень усердная просьба. Капитан парохода «Александр Нiй 2ой», на котором я ехал, прекрасный господин, просил меня рекомендовать ему кахетинскія вина, и я ему в особенности рекомендовал вина кн. Реваза Вачнадзе. Сожалею, что перед выездом не взял от проб его вин, не смотря на то, что он предлагал их. Пусть Захарій повидается с ним и попросит его выслать несколько сортов вин белаго и краснаго от 40 к. до рубля[9] – того и другого. Он должен будет выслать ящик с винами в Батум, в Агентство русскаго общества пароходства и торговли, – Капитану парохода «Императоp Александр II», Илье Федоровичу Индіеву.[10]

Мой адрес пока в русское генеральное консульство в Константинополе. Самсону Сергеевичу Завріеву, для передачи Дмитрію Захарьевичу Бакрадзе.[11] Из Тифлиса корреспонденціи идут исключительно на пароходе русскаго общества.

Душевно любящій Дм. Бакрадзе[12]

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №21 (39)

19 იანვ. 88 წ. კონსტანტი[ნოპოლი]

ძვირფასო ანეტა.

წერილი მოგწერე ტრაპიზონიდან, შემხვედრი ფრანგული გემიდამ. უნდა მიგეღო. ამინდი ზღვაზედ ტრებიზონდიდან კონსტანტინოპოლამდე ძალიან გვიწყობდა ხელს. თუმც კი ბათუმში გამომგზავრების დღემდე ცუდი ამინდები იდგა, ზღვა ღელავდა და, როცა გემის კაპიტანს განვუცხადე, რომ კონსტანტინოპოლამდე, სავარაუდოდ, სულ კარგი ამინდი გვექნება-მეთქი, არ დამიჯერა და ვარაუდობდა, რომ სადმე ძალიან გვაქანავებდა, და ზღვის გამო განსაკუთრებით შიშობდა ინსბოლიდან ბოსფორამდე, სადაც ზღვა ღიაა და წლის ამ დროს თითქმის მუდამ ღელავს, მაგრამ მოხდა ჩემი ვარაუდისამებრ, იქაც კი, სადაც განსაკუთრებით შიშობდა ის. ინსბოლს ვერ მიუდგა რამდენიმე რეისით, თუმცა ჰქონდა იქ ჩასაბარებელი ტვირთი. კონსტანტინოპოლში რომ ჩავედით, ის უბრალოდ გაკვირვებული იყო. ამაზე მე ვუყვებოდი ელჩსაც და საელჩოსა და საკონსულოს სხვა მუშაკებსაც, რომელთა გაცნობაც უკვე მოვასწარი და ისინი თვლიან, რომ ეს ძალზედ ბედნიერი შემთხვევაა.

აწ ჯერჯერობით ვცხოვრობთ სასტუმრო „პესტში“ და ვეძებთ ბინას. როცა დავბინავდებით, მოგწერ ყოველ კვირას. ჯერჯერობით ჩემს მისამართს ვათავსებ წერილის ბოლოს. კონსტანტინოპოლში საერთოდ ყველაფერი უჩვეულოდ ძვირია და ჩვენი ფული არ ფასობს.

ამ დღეებში ჩვენი საქმე რიგიანად წავა. ჩვენს ჩამოსვლამდე თურმე ყველაფერი მოუმზადებია ჩვენს საელჩოს და თურქეთის მთავრობა მზადაა, სრულად დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილებები. აქ მე შევხვდი რამდენიმე ჩემს კარგ ნაცნობს, მათ შორის, სამსონ სერგეევიჩ ზავრიევს, საკონსულოში რომ მუშაობს. გვერდიდან არ მცილდება და თუმც კინაღამ [უჩემოდ] იქირავა ბინა, მაგრამ დათვალიერების მერე მიმატოვებინა იგი და გუშინდლი[დან] ვეძებეთ ქალაქის უსაფრთხო ადგილას. ვიმედოვნებთ, დღეს ან ხვალ ვიპოვოთ იგი. ის იმასღა დარდობს, რომ ტელეგრამით არ შევატყობინე ბათუმიდან, რათა ბინა მზად ყოფილიყო, ის დაგვხვდებოდა გემზე და წაგვიყვანდა პირდაპირ გამზადებულ ბინაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევცდით.

მაგიდის უჯრაში დამრჩა წერილი პაისის მონასტრის ფუნდუ-

კის წინამძღვრის პანტელეიმონოვის სახელზედ. გამომიგზავნე.

ბავშვებს ყველასა ვკოცნი და შენებსაც ყველას გულითადი მოკითხვა. შაქრომ მომწეროს ხოლმე თავის სწავლაზედ და თავის მასწავლებელს გადასცეს გულითადი მოკითხვა. ვიმედოვნებ, ნინოჩკაც, თავის საქმროსთან ერთად, მომწერს ხოლმე თავის შესახებ. ოლიაც! როგორაა ჯავახოვების საქმე. მოიგეს? მაშა უთუოდ გაემგზავრებოდა უკვე. მივწერ მოცალეობის ჟამს. ნიკოლაი პეტროვიჩ გრებენშჩიკოვი თუ შეგხვდა, მოკითხვა გადაეცი კომისიის ახალ წევრთან, კნ. ანდრონიკოვთან ერთად და უთხარ, რომ მე მათ საკუთრივ მივწერ ცოტა მერე. მომიკითხე აგრეთვე ნიკოლაი ოსიპოვიჩი და ანდრეი ნიკოლაევიჩ პეკარევი.

ზაქარია ოსიპოვიჩთან ძალზედ გულითადი სათხოვარი მაქვს. „ალექსანდრ ნ^{o} 2bis“ გემის კაპიტანმა, რომლითაც ვიმგზავრე, შესანიშნავმა ბატონმა, მთხოვა, კახური ღვინო შემერჩია მისთვის, და მე მას განსაკუთრებით ვურჩიე კნ. რევაზ ვაჩნაძის ღვინო. ვნანობ, რომ წამოსვლამდე არ ავიღე მისი ღვინის სინჯი, მიუხედავად იმისა, რომ თავადვე მთავაზობდა. ზაქარიამ ნახოს და სთხოვოს, გამოგზავნოს თეთრი და წითელი ღვინის რამდენიმე ნიმუში 40კ-დამ რუბლამდე – ერთიცა და მეორეც. მან ღვინიანი ყუთები უნდა გამოგზავნოს ბათუმში, ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსულ საზოგადოებაში, – გემის „იმპერატორ ალექსანდრ II-ის“ კაპიტანთან, ილია თეოდოროვიჩ ინდიევთან.

ჩემი მისამართი ჯერ-ჯერობით რუსულ გენერალურ საკონსულოშია კონსტანტინოპოლში. სამსონ სერგეევიჩ ზავრიევს, დიმიტრი ზახარევიჩ ბაქრაძისთვის გადასაცემად. თბილისიდან კორესპონდენციები მოდის მხოლოდ რუსული საზოგადოების გემზედ.

გულითადი სიყვარულით დიმ. ბაქრაძე.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №22 (40)

Шакро! Бумажныя трубки с надписями передай г. Четковскому с извиненіем от меня и лежащія в трубках карандашнія мои заметки перешли мне и скажи г. Четковскому, что о содержаніи надписей я ему сообщу отсюда по сообщенному тобою адресу.*

8ს თებერვ. 88. კოსტან[ტინე]პოლი[1]

ძვირფასო ანეტა. ორი წიგნი უნდა გქონდეს ჩემგან მიღებული კოსტანტინეპოლიდამ. პასუხს შენგან ამ დღეებში მოველი. აქ ჯერ-ჯერობით ცუდი ამინდი დგას: ხშირად წვიმს. გუშინ კარგი დღე იყო. დღეს ისევ წვიმს. მე კარგათა ვარ. საქმეები კარგად მიდის. ფული ამ სამის დღის წინათ ჩავაბარე გადასაწერი და დავთრების გადმოწერას კიდეც შეუდგნენ. თვე ნახევარზე სულ მზად იქნება და კიდეც ჩაგვაბარებენ. ისეთ პირებმა მიიღეს მონაწილეობა, რომ არ ვეჭვნეულობ, რომ ყველაფერს დროზე შეგვისრულებენ. ერთის სიტყვით იმედი მაქვს მარტის გასულს და უფრო ადრე შინ ვიყო.

ყველას ჩემ შვილებს დავკოცნი. შაქრომ, ოლამ და ნინოჩკამ სასიმოთო[2] მომწერონ. როგორ მიდის შაქროს უროკები მაცნობოს ხოლმე. უჩიტელი მომიკითხოს. ჩვენები ყველანი პატივისცემით მომიკითხე.

ახლა ერთ საქმეზე უნდა მოგელაპარაკო. როგორც მახსოვს, დავით აბულაძეს აქვს აღებული იჯარით ხიზილალა და თევზეულობა. ჩვენებურ ხიზილალას აქ ძალიან ეტანებიან, აქაური ხიზილალა სულ არ შეედრება ჩვენსას. თვრამეტი პოლოსტვოებია აქ, რომელნიც ხშირად თხოულობენ და რომ აქ სკლადი იყოს, ძალიან გასავალი ექნებოდა და კაი ფასიც ეღირება. აქ არის ერთი მაინდამ მოსული პირი, რომელიც შვიდი წელიწადია რაც აქ ცხოვრობს და იცის კარგად აქაური გარემოება. ეს პირი არის ჩვენი არტილლერისტ[თ]აგანი[3] ნიკოღოსოვი, პატიოსანი კაცი, რომელსაც დიდი ნდობა აქვს რუსეთში, რომელსაც თვით ამ წიგნიდამ შეჰნიშნავთ. იცნობს[4] კოსტანტინ ოსეფიჩს და ახსოვს განსვენებული დიმიტრი ოსეფიჩი. შთამომავლობით არის უდინი ვარდაშენიდამ. ომიანობის შემდეგ გადმოსულა სამსახურიდამ და აქ დასახლებულა. ამას შეუძლიან გაავრცელოს ხიზილალისა და[5] თევზეულობის ვაჭრობა. პატარ-პატარა პარტიებით თუმცა იბარებს და მაშინვე იყიდება, მაგრამ ამას ჰსურს საფუძვლიან ვაჭრობას შეუდგეს.[6]

ასე რომ ყოველთვის ჰქონდეს ხელად და ცალკე მაღაზინის გახსნას ჩვენი ხიზილალისა და თევზეულობისა, მეტრადრე ხიზილალისა. როგორ და რა პირობები[თ][7] აპირებს, ამას წაიკითხავს წიგნში, რომელსაც ამ წიგნში იპოვი და რომელიც გადაეცი დავითს და სთხოვე თავი[სი][8] აზრი ამ საგანზე მე მომწეროს. ესკი უნდა იქონიოს სახეში, რომ შეიძლება სხვამ ვინმე დაასწროს და ნიკოღოსოვი სხვამ გაიხადოს აღენტათ. სჯობს ჩვენმა კაცმა დაიახლოვოს და იმას ერგოს სარგებლობა.

ფრანციცულს ენას ვეჩვევი. ხშირად ვარ ხოლმე იმისთან[ა][9] სახლებში, სადაც ყოველთვის ფრანციცულს ლაპარაკობენ და იმედი მაქვს თვე ნახევარში კარგად შევეჩვიო. ფრანციცული აქ ძალიან არის გავრცელებული.

ერთი ფოჩტა გავატარე წიგნი ვერ მოგწერე. მიზეზი ის იყო, ჯერ არ მქონდა საქმე დაბოლოებული და მსურდა ეს საგანი მეცნობებინა.

ჟერ-ჯერობით საკმაო.[10] შემდეგ ყოველ კვირა მოელოდე ჩემგან წიგნსა. თქვენც რომ ყველა კვირა მომწეროთ ხოლმე კარგი იქნება. აი ჩემი ახალი ადრესი. ასეც დასწერეთ ხოლმე ადრესი.[11]

Constantinople.[12]
Константинополь[13]
Péra. Yéni-Tcharchi, #50.

Его Превосходительству,
Дмитрію Захарьевичу
Бакрадзе.

შენი ერთგული დიმ. ბაქრაძე

[აქვე, მეორე გვერდის ქვედა მარჯვენა მხარეს, უკუღმა მინაწერია:]

NB. დავბეჭდე თუ არა ეს წიგნი, თქვენი წიგნი შემომიტანეს. მაშოს მიულოცავ. სრულ პასუხს მეორე ფოჩტით მოგწერთ. ვასილი მიხაილიჩს წიგნს მივწერ. ზაგურსკი ნახე, მომიკითხე და ჩემ მაგიერ სთხოვე მინკევიჩს ვასილი მიხაილიჩის გადმოყვანა ჩემ მაგიერათაც და თავის მაგიერათაც სთხოვოს.[14] მინკევიჩი თხოვნას აგვისრულებს.

შაქრო. სეკრეტებს ნურავის მისწერ წიგნში, ნურც მე, ნურც სხვასა.

* შაქრო! ქაღალდის გრაგნილები წარწერებით გადაეცი ბატ. ჩეტკოვსკის ჩემგან ბოდიშის მოხდით და მათში ჩადებული ფანქრით შესრულებული ჩემი ჩანაწერები გადმომიგზავნე და ბატ. ჩეტკოვსკის უთხარი, რომ წარწერების შინაარსს აქედან ვაცნობებ შენ მიერ მოცემულ მისამართზე.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №23 (41)

[1888] 16 თებერვალი. კოსტანტინეპოლი.[1]

საყვარელო ანეტა.

დღეს რამდენიმე ქაღალდი დავწერე გროსმანთან და თბილისში კანცელარიის დირექტორთან. დავიღალე და მოკლეთა გწერ. მე კარგათა ვარ. მოგიკითხეს მეფისოვმა და ვასიფმა. ერთათა ვდგევართ. იმ დღეს მოვიდა აქ ვენეციიდამ ალექსანდრე ზუბალოვი. რჩება აქ ორი-სამი კვირა.

წიგნი შენგან კიდევაც მივიღე „ვახუშტის ისტორიითურთ.“ პაისი ბერთან წიგნიც მიღებული მაქვს.

ყმაწვილებს დავკოცნი. ყველას სიყვარულით მოვიკითხავ.

მომავალის ფოჩტით ვრცლად მოგწერ.

დღესა თოვლს კოსტანტინეპოლში.[2]

შენი მარად დიმ. ბაქრაძე

ალექსანდრე გროსმანისადმი №1 (42)

Ваше Превосходительство,
Александр Игнатьевич.

Согласно предложенія, даннаго мне г. Главноначальствующим[1] гражданскою частью на Кавказе от 30 ноября 1887г., #276, имею честь сообщить, что по прибытіи моего в Константинополь 16 прошлаго генваря и после ауденціи[2] в сопутствіи главнаго драгомана нашего посольства Дейст. Ст. Сов. Иванова, у турецкаго Министра Иностранных дел, Саида-Паши, было дано через подлежащія власти Константинопольскому Девтере-Хане-Гакани, в котором сосредоточены все поземельныя дела Имперіи,[3] об удовлетвореніи[4] требованія Кавказской власти. По обсужденіи[5] вопроса в Девтаре-Хане оказалось невозможным выделить из Девтаров те именно выписи актов, кои касаются[6] уже определенных[7] местностей Батумскаго и Артвинскаго округов и было решено снять копіи со всех Девтаров[8] относящихся до бывшаго Батумскаго Санджака,[9] а[10] из Девтаров бывшаго[11] Карсскаго Санджака[12] копіи, относящіяся[13] до Арданучa и Шавшета. В сех Девтаров, с коих должны быть сняты[14] копіи, 23, заключающих в себе 46762 акта[15] или выданных турали-тапу.[16] Внесено мною[17] вперед, по требованію турецкой администр.[18] за[19] переписку Девтаров за более 129 Лир, соответствующих нашим 1386 р. 80 к. (в день размена наших денег Лира стоила 10 р. 75 к., ныне стоит 10 р. 85[20] к.). По окончаніи дела будет сделан окончательный расчет и вероятно придется еще внести несколько Лир. К переписке приступлено 6 февраля, и обещано сдать нам все копіи, предварительно проверенныя и в устоновленном порядке засвидетельствованны[е],[21] в теченіе полутора месяца.

На обороте прилагаю таблицу актов по местностям.[22]

С истинным почтеніем и совершенною преданностью

имею честь быть

Вашего превосходительства
покорнейшим слугою
Дм. Бакрадзе

[ხელმოწერის ქვეშ, მარცხენა მხარეს ცერად მინაწერია:]

Такого же содержанія посылаю Директору Канцеляр[ій][23]
Главноначальсвующаго для доклада Его Сіятельству
№2.

[ქვემოთ წერია:]

№1
«16» февраля 1888 г
Г. Константино[поль][24]

[მესამე გვერდზე დაწებებულ ფურცელზე ცხრილია მოცემული:]

	книги[25]		Выданных турали-тапу			
			вакифные		Эрази-миріе	
	старой формы	новой формы	старой формы	новой формы	старой формы	новой формы
1. По каза Батуму и Чурук-су	5	4	3	206	2490	1914
2. По каза Арданучу и шавшету	5	2	3643	”	18135	9796
3. По каза Артвину	5	2	467	”	7756	1267
	15	8	4113	206	28381	12977[26]

Примеч. От копіи с Эмлачнаго Девтара я отказался, так как Эмлачные акты выдаются[27] на постройки, составляющія исключительную[27] собственность[29] частных лиц, их владельцев; а земли под постройками особо снабжены актами.

ალექსანდრე გროსმანისადმი №1 (42)

თქვენო აღმატებულებავ,
ალექსანდრ იგნატიევიჩ.

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის ბ. მთავარმართებლის მიერ 1887 წ. 30 ნოემბრის №27 ჩემთვის მოცემული წინადადების თანახმად, პატივი მაქვს შეგატყობინოთ, რომ წინა წლის 16 იანვარს ჩემი კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და ჩვენი საელჩოს მთავარი მთარგმნელის თანხლებით, მოქმედი სამოქ. მრჩ. ივანოვის აუდიენციის შემდეგ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ საიდ-ფაშასთან, კონსტანტინოპოლის დევთარ-ხანა-გაკანს გადაეცა უფლებამოსილება, რომელშიაც თავმოყრილია იმპერიის ყველა საადგილმამულო საქმე კავკასიის ხელისუფლების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. დევთარ-ხანაში საკითხის განხილვისას შეუძლებელი აღმოჩნდა დავთრებიდან სწორედ იმ ამონაწერების გამოყოფა, რომელთა აქტები ეხება ბათუმისა და ართვინის უკვე გამორკვეულ ოლქებს და გადაწყდა გაკეთდეს ასლები ყველა დავთრიდან, რომელიც კი მიეკუთვნება ბათუმის ყოფილ სანჯაყს, ხოლო ყარსის ყოფილი სანჯაყის დავთრებიდან, არტანუჯსა და შავშეთს რომ ეკუთვნის. ამ დავთრიდან, რომლებიდანაც [უნდა გაკეთდეს] 23 ასლი, 46762 აქტს რომ შეიცავს, ანდა გაცემულია ტურალიტაპუს მიერ. თურქული ადმინისტრ. მოთხოვნის შესაბამისად, დავთრების გადაწერისთვის ჩემ მიერ წინასწარაა შეტანილი 129 ლირაზე მეტი, ჩვენს 1386 რ. 80 კ.-ს რომ შეესაბამება (ჩვენი ფულის დახურდავების დღეს ლირა ღირდა 10 რ. 75 კ., აწ ღირს 10 რ. 85 კ.). საქმის დასასრულს გაკეთდება საბოლოო ანგარიში და, სავარაუდოდ, მოგვიხდება კიდევ შევიტანოთ რამდენიმე ლირა. მიმოწერა დავიწყეთ 6 თებერვალს და მოგვცეს პირობა თვენახევრის განმავლობაში ჩაგვბარდეს ყველა ასლი, წინასწარ შემოწმებული და დამოწმებული არსებული წესრიგის მიხედვით.

უკანა მხარეს ვურთავ აქტების ცხრილს ადგილმდებარეობე-

ბის მიხედვით.

წრფელი პატივისცემითა და სრული ერთგულებით პატივი მაქვს ვიყო

თქვენი აღმატებულების
უმორჩილესი მსახური
დიმ. ბაქრაძე

[ხელმოწერის ქვეშ, მარცხენა მხარეს, ცერად მინაწერია:]

ასეთივე შინაარსისას ვუგზავნი მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს მისი ბრწყინვალებისთვის მოსახსენებლად №2.

[ქვემოთ წერია:]

№1
„16“ თებერვალი 1888 წ
ქ. კონსტანტინო[პოლი]

[მესამე გვერდზე დაწებებულ ფურცელზე ცხრილია მოცემული:]

	წიგნები		ტურალი-ტაპუს მიერ გაცემულები			
			ვაკიფის		ერაზი-მირიე	
	ძველი ფორმის	ახალი ფორმის	ძველი ფორმის	ახალი ფორმის	ძველი ფორმის	ახალი ფორმის
1. ყაზა ბათუმსა და ჩურუკ-სუში	5	4	3	206	2490	1914
2. ყაზა არტანუჯსა და შავშეთში	5	2	3643	”	18135	9796
3. ყაზა ართვინში	5	2	467	”	7756	1267
	15	8	4113	206	28381	12977[26]

შენიშვ. ემლაჩის დავთრის ასლზე უარი განვაცხადე, რადგან ემლაჩის აქტები გაიცემა მშენებლობებზე, რომლებიც წარმოადგენენ კერძო პირთა, მათ მფლობელთა საკუთრებას; ხოლო მშენებლობას დაქვემედებარებული მიწები განსაკუთრებულადაა აღჭურვილი აქტებით.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №24 (43)

[წერილის თავში, მარცხენა მხარეს, ცერად მინაწერია:]

NB. გრაფინა უვაროვის წერილი, თუ საჭირო რამ არის, აქ გამომიგზავნეთ.
პაისის წიგნი მივიღე და გადავეცი.[1]

[1888] 24 თებერვ. კოსტანტინეპოლი.

საყვარელო ანეტა.

გუშინ და დღეს მოველოდი შენ წერილს, მაგრამ არ მიმიღია. სჩანს ხან და ხან თავის[2] ვერა გზავნი ხოლმე წერილებს[3] ასე რომ კვირაში ერთხელ დანიშნულ დღეს ბათუმში[4] არ მოვიდა დარჩება მეორე კვირამდე. შაბათ დღეს უნდა[5] გაგზავნოთ ხოლმე თბილისიდამ ბათუმს, რომ ორშაბათს საღამოთი წიგნი პარახოდში იყოს.

რატომ არას იწერები როგორი ამინდი დგას მანდა. აქ რაც მოვსულვარ სამის მეტათ არ მინახავს აქაური მზე. ხან და ხან დღეში ერთხელ სამჯერ იცვლება ამინდი; მაინც აქაურ საზოგადოებაში თითქმის ყოველთვის გართული ვარ, მეტადრე როდესაც შეიტყეს, რომ მე სომხური ისტორია შესწავლული მაქვს, ყოველთვის მოდიან ჩემთან აქაური მსწავლულები და მიწვევენ თავიანთას.[6] ძალიან მეწყინა, რომ ჯავახიანთ საქმე ცუდად დაბოლოებულა პალატაში. მაცნობე, რას

ფიქრობენ შემდეგისთვის, გადააქვთ კასსაცია თუ არა, როგორც მახსოვს საბუთები მაგათ სასარგებლოდ იყო.

პოპელი სახლობით მომიკითხე და უთხარ, რომ თამბაქო აქ მთელს იმპერიაში იჯარით მიუციათ ძვირ ფასათ და ძალიან ძვირია. ეს ფაქტები აცნობე. Цены на табак в Константинополе: 4ro сорта ока нанаши деньги 7р.; 3ro сорта – 13р., 2ro сорта – 30р.; 1ro сорта – 45р. Банлероль и томоженныя пошлины около 5р., так что лучшій сорт табаку будет стоить ока со всети расходами 50р. Что после этого делать? Не лучше ли на 25р. купить какую нибудь маленькую вещицу, которую легко провезти в кармане?*

ეს წიგნი გიგო ბაქრაძეს უჩვენე. სერებრიაკოვი, როგორც ამოიკითხავს, ძალიან ძვირობს მანეთს ისტორიის გადაწერისათვის.

ყმაწვილებისაგან თუმცა ყოველ კვირა არა, ხან და ხან ყველასაგან მოველი საკუთარ წერილებს. ყველანი დამიკოცნე. ნინოჩკამ თავის ჟენიხს მისწეროს, что я крепко целую.** სხვანი ჩვენები ყველანი მომიკითხე სიყვარულით, გიორგი დავითიჩი სახლობით,[7] მაჩაბლები და სხვანი.[8] მაჩაბლებს წაუკითხე, რასაც ამ წიგნში სერებრიაკოვი მწერს და-ძმაზე მაჩაბლებზე.

მე, როგორც ვატყობ, აპრილზე დამდეგს[9] ადრე არ მომიხდება გამოსვლა. თუმცა დამპირდნენ საქმის დაბოლოებას თვე ნახევარს (с 6 Февраля).*** მინისტრმა საიდ-ფაშამ[10] და სხვებმაც განკარგულებაც მოახდინეს. ასე რომ ათი გადამწერი მუშაობს, მაგრამ მგონია ცოტა შეიგვიანოს საქმემ.

ვერა ივანოვნა მომიკითხე და უთხარ, რომ აქ ყველგან ფრანციცულს ლაპარაკობენთქო და ყველასთან ყველა საგნებზე, ხან და ხან სერიოზნი საგნებზე მეც როგორც შემიძლიან ვყბედობთქო და კრიტიკას არა ვინ [მ]იშვრებათქო.[11]

კომმისია მთლად მომიკითხე. მომავალ ფოჩტით მოვწერ წიგნს უეჭველად. ნიკოლაი პეტროვიჩს უთხარ თავის სახლობას და მარია ვასილიევნას პატივისცემა განუცხადოს.

ნახვამდე. შენი დ. ბაქრაძე.[12]

*თამბაქოს ფასები კონსტანტინოპოლში: მე-4 ხარისხი ოკა ჩვენს ფულზე 7 რ. (რუბლი); მე-3 ხარისხი – 13 რ.; მე-2 ხარიხსი – 30 რ.; 1-ლი ხარისხი – 45 რ. შეფუთვა და საბაჟო გადასახადი დაახლოებით 5 რ.; ასე რომ, საუკეთესო ხარისხის ოკა თამბაქო ყველა თავისი ხარჯით ეღირება 50 რ. ამის შემდეგ რა უნდა ქნა? უკეთესი ხომ არ იქნება 25 რ. იყიდო რამე პატარა ნივთი, რომელსაც მარტივად გადაიტან ჯიბით?

** რომ მაგრად ვკოცნი.

*** 6 თებერვლიდან.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №25 (44)

1 მარტი 88. კოსტანტ.

საყვარელო ანეტა.

წუხელ შინ არ ვყოფილვარ. მთელი დღე და ღამე ქალაქ გარეთ ვიყავ ერთ ფაშასთან ქართველთაგან და რომ მოვედი შენი წიგნი და შაქროს წიგნი დამხვდა. დოვერენნოსტზე ამას წინათ არ მომსვლია შენი წიგნი. საჩქაროთ შევადგინე და გიგზავნი. არ ვიცი მიიღებენ ბანკში თუ არა. მგონია მეც მიცნობენ და შენც. სთხოვე ფორმალიზმს ნუ გამოუდგებიან. შეიძლება ნიკოლაი ოსებიჩს სთხოვო მოგყვეს. მაგას ყველანი იცნობენ. კონსულსტვოში უნდა შემემოწმებინა,[1] მაგრამ გვიანღა არის.

ყველას სიყვარულით მოვიკითხავ. ყმაწვილებს დავკოცნი.[2] შაქროს მომავალის ფოჩტით მოვწერ. რატო ოლა და ხიხა არას მწერენ?

[მარცხენა არშიაზე და ქვემოთ მინაწერია:]

თუ არა ქნან, ან ასე არ არისო დაწერილი დააწერინე პოპელს, როგორც უნდა და გამომიგზავნე.[3] მაცნობე კიდეც როგორ და ვის შევამოწმებინო რომ ხლოპოტს მოვრჩეთ ფული

შეიტანე და გამოიხსენ. მოვალ და ფულს დაუბრუნებ ვისგანაც ისესხებ.

ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №1 (45)

N[1]

4 „марта“ 1888

Констан.

Милостивый Государь,
Николай Петрович

Тоже что и Генералу Гросману.[2]

ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №1 (45)

N

4 „მარტი“ 1888

კონსტან.

მოწყალეო ხელმწიფევ,
ნიკოლაი პეტროვიჩ

იგივე, რაც გენერალ გროსმანს.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №26 (46)

[1888] 8 მარტი, კოსტანტინეპოლი.

ძვირფასო ანეტა.

გიგზავნი პოვესტკას უკანვე შემოწმებულს. ცალკე დოვერენნოსტს არ გიგზავნი ამისთვის, რომ 1) ამ თვის გასვლამდე

მომიხდება დაბრუნება და[1] თუ რამე მოვიდა ჩემ სახელობაზე შეიძლება დარჩეს ჩემ მოსვლამდე ფოჩტაში; 2) გარდა ამისა, როგორც მახსოვს, ფოჩტაში ჩემი განცხადება აქვთ, რომლითაც ვთხოვე, რომ ყოველივე კერძო ჩემ სახელზე კორრესპონდენცია შენ გადმოგცენ. სწორეთ აღარ მახსოვს, მოიკითხე და გაშინჯე. იქნება მანდაც დავიწყებული აქვთ.

მეორე ფოჩტით გაცნობებ დარწმუნებით რა დროს მომიხდება აქედამ გამოსვლა. გრებენშჩიკოვის წიგნი მომივიდა. თუ შეგხვდეს, უთხარ მომავალის ფოჩტით მაგასაც მოვწერ. სთხოვე მარია ვასილიევნა და თავისი მეუღლე პატივისცემით მომიკითხოს. იულიანეს მიულოცეთ ჩემ მაგიერ ჯვარის წერა.

აქ კარგი დღეები დადგა. ჩემ ჯამაგირზე – აქაურ ჯამაგირზე მანდ კომმისიაში ქაღალდი არის ჩემი, რომ შენ გადმოგცენ – ასე უთხარ თხოულობსთქო და უნდა გაუგზავნოთქო – და ჩაიბარე და დახარჯე რამდენიც საჭირო დაინახო ნინასთვის, ერთი ოც და ათი ან ოცი[2] თუმანი კი დასტოვე ჩემ მოსვლამდე. გრებენშიკოვი[3] მწერს მოვიდაო – რაც მეხტირბაშოვს ერგება, ის ქუთაისში გაგზავნონ, როგორც თვითონ გრებენშჩიკოვი იწერება.

შაქროს წიგნი სიამოვნებით წავიკითხე. რასაცა მწერ აბასტუმანში[4] წასვლისას, დიდის სიამოვნებით თანახმა ვართქო. ილია ოქროპირიჩი პატივისცემით მომიკითხოს.

ვასილი მიხაილოვიჩის წიგნი მივიღე ამასწინათ. წიგნმა ძალიან მასიამოვნა. ქართული კარგათ სცოდნია, არ მეგონა. მოკლე პასუხს ნინას გადასცემ და ნინა გაუგზავნის.

როგორი ამინდი დგას ქალაქში არას მწერ. სჩანს ზაქარიამ ვერ მოახერხა ჩემთვის ბილეთი რკინის გზისა, რომ არას მატყობინებთ. მომიკითხე სიყვარულით ზაქარია თავის სახლობით, კოსტანტინე ქრისტეფორიჩი სახლობით, ქრისტეფორე ცოლ-შვილით, პოპელი სახლობით და ყველანი, ნათესავები და ნაცნობები, კომარი[5] სახლობით და სხვანი.

იმ დღეს დიდი ბალი იყო აქაური სომხობისა ფრანცუ-

ზების ტეატრში. აუარებელი ხალხი დაესწრო. რა საკვირველია მეც მიმიწვიეს. არ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ გაგიწყრებით, თუ არ მოხვალო. მეც წაველ. ერთი უკეთეს ლოჟასთაგანი[6] მოემზადებინათ ჩემთვის (№2). შემოსავალი იყო 1500 თუმანი. ერთი სომხურის შკოლის სასარგებლოდ.

ყმაწვილებს დავკოცნი. მე კარგათა ვარ. ნახვამდე. შენი მარად დ. ბაქრაძე.

NB. ვასილი მიხაილიჩის სახლობას, თუმცა ჯერ არ ვიცნობ, გულითად პატივისცემას განუცხადებ.

ილია ჭავჭავაძისადმი №1 (47)

თქუენო ბრწყინვალებავ
მოწყალეო ხელმწიფე
ბატონო ილია!

თქუენგან გამოგზავნილი 4[ს] იანვარს ამა მდგომარის წლისას ჩემს სახელზედ ას თერთმეტი მანეთი (111 მან) დასარიგებლად იმ გლეხთა ოჯახებთათვის, რომელნიც დაზარალდენ სურამის ხეობაშიდ ჩამონგრეულის მიწისაგან – მივიღე, მაგრამ ჯერარ დამირიგებია იმისგამო რომ აქამომდე მე დავრჩი ქუთაისშიდ ჩემის სახლობის ავანტყოფობისა გამო. ხვალ მივდივარ თავის თანამდებობაშიდ ლეჩხუმის უეზდშიდ, ფულებს დაურიგებ კუთვნილობისებრ და მიღების ბარათებს ადგილობითის მამასახლისებთაგან დამოწმებულს – გაახლებთ ჩემის წერილით.

სრულის თქუენდამი პატივისცემითა დავშთები თქუენის ბრწყინვალების მორჩილი მოსამსახურე დიმიტრი ბაქრაძე

12[ს] მარტი 1888
ქუთაისი.[1]

НИКОЛОЗ ГРЕБЕНЩИКОВИСАДМИ №2 (48)

14 марта 88. Конст[а]н[тине]п[о]л[ь]

Милостивый Государь,
Николай[1] Петрович.

Обещаніе сдать нам копіи[2] с Девтаров в[3] полуторамесячный срок дано было мне, можно сказать официально[4] в присутствіи[5] двух[6] драгоманов нашего посольства, непосредственным[7] начальством Девтар-Хане,[8] и хотя и здесь многіе[9] высказывали мне, что в этом случае нельзя полагаться на слова турецкой администраціи, но[10] ход дела показал[11] на то:[12] работа подвинулась на столько, что надеюсь в начале апреля выехать из Константинополя[13] со всеми Девтарами.[14] Работают усиленно[15] 20 переписчиков из сверхштатных писцов,[16] которые в видах[17] вознагражденія[18] недают себе отдыха даже в неприсутственные дни (пятницу – воскресенье).[19]

Из внесенных[20] денег, за снятіе[21] каждаго[22] акта, по установленному[23] здесь порядку[24] полагается 10 пар, с отчисленіем из них 2 пар.[25] на усиленіи пенсіоннаго фонда.[26] В Турціи[27] нотаріальные акты, как известно,[28] составляются весьма кратко: с означеніем[29] имя продавца и покупщика, округ, в котором лежит продаваемый участок, границы его, число донумов, в нем заключающихся и способ пріобретенія – и все это[30] в одну строку на двух внутренних страницах листа и вот почему при 20 переписчиков 46-50:/т. актов незатруднительно сняты[31] в полутора-мес[ячный] срок.[32] Частый[33] драгоман нашего Посольства[34] г. Воміакі, который вместе с г. Мехтарбашевым[35] постоянно следит за делом переписки и который[36] только что был у меня, сообщил мне, что копіи делаются весьма четко и разборчиво,[37] но марки, как мы об этом просили с самаго начала, не подчищаются, а

оговариваются; копіи эти будут готовы[38] на следующей неделе, по проверке заверены начальником Девтар-Хане и кроме того[39] засвидетельствованы особо[40] Главным Начальником Поземельнаго Департамента.

Вообще[41] строгая[42] аккуратность в нашем деле,[43] как от всех слышу,[44] дело[45] почти исключительное,[46] и потому,[47] чтобы поддержать[48] честь[49] нашу[50] перед Конст[антине]п[о]лем[51] и заручиться[52] довеpіем Тур[е]ц[ко]й власти [53]к нам на[54] случай, кои и впредь[55] могут[56] представиться, я[57] нахожу необходимым: во 1[х], независимо того, что будет причитаться переписчикам из внесенных денег, особо выдать[58] каждому из них, как и было обещано, по лире; 2, сделать как[59] начальнику[60] поземельнаго отделенія, от[61] который много[62] зависел успех[63] дела, так и г. Воміаки приличные[64] подарки.[65] О пожалованіи начальнику Девтар-Хане какого либо знака отличія[66] от нашего Правительства[67] имеется в виду как с моей стороны, так вероятно и со стороны нашего Посольства особо ходатайствать пред Кн. Александром Михайловичем. Кроме указанных выше расходов предстоят еще[68] расходы[69] в размере, как говорят, от 5 – до 10 лир, за[70] засвидетельствованіе копій Девтаров[71] и может быть еще дополнительная плата по[72] окончательному расчету за переписку и бланки. В виду же решенія нашего начальства, как Вы мне об этом[73] сообщаете в письме от 4[го] текущаго марта,[74] необходимо[75] чтобы об отпуске мне денег, если в них встречаются надобности, я был снабжен[76] 1000 рублями: деньги эти могут быть пересланы мне[77] по почте или переведены через какой либо банк. Считаю нужным к этому присовокупить, что[78] наш рубль[79] здесь[80] принимается[81] менее чем в 50 к.[82] почти в 45 к. и лира – или 100 піастров[83] (піастр[84] 5 к.),[85] в настоящее время колеблется между 10 р. 75 и 86 к. Перед этим же она доходила до[86] 12 рублей.

Примите и пр.[очее]

N 3.

Константиноп[оль]

NB. Копія этого письма при особом письме сообщена и г. Гросману.

ნიკოლოზ გრეგენშჩიკოვისადმი №2 (48)

14 მარტი 88. კონსტ[ა]ნ[ტინე]პ[ო]ლი

მოწყალეო ხელმწიფევ,
ნიკოლაი პეტროვიჩ.

შეიძლება ითქვას, ჩვენი საელჩოს ორი დრაგომანის თანხლებით, დევთარ-ხანას უშუალო უფროსობამ ოფიციალურად დამიდო პირობა, თვენახევარში გადმომცეს დავთრების ასლები და თუმც აქაც ბევრი მეუბნებოდა, რომ ამ შემთხვევაში არ არის სანდო თურქული ადმინისტრაციის სიტყვა, მაგრამ საქმის მსვლელობამ გვიჩვენა შემდეგი: მუშაობამ იმდენად წაიწია წინ, რომ ვიმედოვნებ აპრილის დასაწყისში კონსტანტინოპოლიდან წამოვიდე ყველა დავთრით. გამეტებით შრომობს 20 გადამწერი შტატგარეშე გადამწერთაგან, რომლებიც ჯილდოს მიღების მოლოდინში არ ისვენებენ უქმე დღეებშიც კი (პარასკევ-კვირას).

ყოველი აქტის გადაღებისთვის, აქ მიღებული წესით, საჭიროა შეტანილი 10 პარი ფულიდან 2 პარ. გადაირიცხოს საპენსიო ფონდის გასაძლიერებლად. თურქეთში სანოტარო აქტები, როგორც ცნობილია, დგება ერთობ მოკლედ: აღინიშნება გამყიდველისა და მყიდველის სახელები, ოლქი, რომელშიაც მდებარეობს გასაყიდი ნაკვეთი, მისი საზღვრები, მასში არსებულ დონუმთა ოდენობა და შესყიდვის ფორმა – და ეს ყველაფერი იწერება ერთ სტრიქონად ფურცლის ორ შიდა გვერდზედ და აი რატომ იქნა გაუჭირვებლად გადაღებული თვენახევარში 46-50/ტ. აქტებისა 20 გადამწერის მიერ. ჩვენი საელჩოს ხშირმა დრაგომანმა ბ. ვომიაკმა, რომელიც ბ. მეხტარბაშევთან ერთად მუდმივად თვალს ადევნებს გადაწერის საქმეს და, რომელიც სულ ახლახანს იმყოფებოდა ჩემთან, შემატყობინა, რომ ასლები კეთდება საკმაოდ ზუსტად და გარჩევით, მაგ-

რამ, როგორც თავიდანვე ვითხოვდით, მარკები კი არ წაიშლება, არამედ შენიშვნები დაერთვის: ეს ასლები მზად იქნება მომდევნო კვირას, შემოწმების შემდეგ დამოწმებული დევთარ-ხანას უფროსის მიერ და, გარდა ამისა, განსაკუთრებით დამოწმებული საადგილმამულო დეპარტამენტის უფროსის მიერ.

საერთოდ, მკაცრი აკურატულობა ჩვენს საქმეში, როგორც მესმის ყველა მხრიდან, ლამის განსაკუთრებულადაა გამორჩეული და ამიტომ, ჩვენი ღირსება რომ შევინარჩუნოთ კონსტ[ანტინო]პ[ო]ლის წინაშე და თურქ[ე]თ[ის] ხელისუფლების ნდობა რომ მოვიპოვოთ ჩვენდამი, იმ შემთხვევისთვის, რომელსაც შესაძლოა შემდგომშიც გადავეყაროთ, მე აუცილებლობად ვთვლი: 1[ელ] რიგში, იმის მიუხედავად, თუ რა ერგებათ გადამწერთ შეტანილი ფულიდან, ყოველ მათგანს საგანგებოდ მიეცეს, როგორც იყო კიდევაც დადებული პირობა, თითო ლირა; 2. მათი საადგილმამულო განყოფილების უფროსს, ვისზეც დიდად იყო დამოკიდებული საქმის წარმატება, ასევე ბ. ვომიაკის, მიეცეთ გვარიანი საჩუქრები, დევთარ-ხანას უფროსს მიეცეს რაიმე განსაკუთრებული ჯილდო ჩვენი ხელისუფლებისგან. იგულისხმება განსაკუთრებული შუამდგომლობა კნ. ალექსანდრ მიხაილოვიჩთან როგორც ჩემი, ისე, სავარაუდოდ, ჩვენი საელჩოს მხრიდამ. ზემოთ აღნიშნული ხარჯის გარდა, კიდევაა მოსალოდნელი ხარჯები, როგორც ამბობენ, 5-დან – 10 ლირამდე დავთართა ასლების დამოწმებისათვის, შესაძლოა კიდევ დამატებითი საფასური გადაწერისა და ბლანკების საბოლოო დაანგარიშების შემდეგ. ხოლო ჩვენი უფროსობის ნებართვის გათვალისწინებით, როგორც თქვენ მატყობინებთ ამა წლის 4[ე] მარტის წერილში, აუცილებელია, საჭიროების შემთხვევაში, ჩემთვის ფულის გაცემისას მე გამაჩნდეს 1000 რუბლი. ეს ფული შეიძლება გადმომეგზავნოს ფოსტით ან გადმოიგზავნოს რომელიმე ბანკის გზავნილით. საჭიროდა ვთვლი დავურთო, რომ ჩვენი რუბლი აქ მიიღება 50 კ-ზე ნაკლებად ან 45 კ.-ად და ლირა – ან 100 პიასტრი (პიასტრი 5 კ), ამჟამად მერყეობს 10 რ. 75 კ. და 86 კ. შორის. აქამდე კი აღწევდა 12 რუბლამდე.

მიიღეთ და ა[სე შემდეგ]

№3.
კონსტანტინოპ[ოლი]

NB. ამ წერილის ასლი განსაკუთრებული წერილით გადაეგზავნა ბ. გროსმანსაც.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №27 (49)

22 მარტი, კოსტანტინეპოლი.[1]

1888 წელსა.

ძვირფასო ანეტა.

შენი ორი წიგნი და რაც წიგნში იყო უვაროვისა და აგრეთვე მეორე პოვესტკა ფოჩტისა მივიღე. ისევ ეს პოვესტკა ჩემგან შემოწმებული ამ წინათ გამიგიგზავნე. როგორცა სჩანს უკანასკნელის შენის წიგნიდამ ჯერ არ მიგიღია, აქამდინ კი მიიღებდი. სხვა ქაღალდები ჩემთან დარჩეს მანამ დავბრუნდებოდე. თუ ფოჩტიდამ არ მოგცეს რაც მისაღებია უთხარ დარჩესთქო. ჩემ დაბრუნებამდე. აპრილის ათამდე მგონია მანდ ვიყო. საქმეები სულ თავდება ოსმალოს მართებლობის მხრივ. ჰაერიც სრულებით დაწყნარდა. მე კარგათა ვარ.

ზაქარია, გაბრიელ იოსებიჩი და სხვანი ყველანი სიყვარულით მომიკითხე. ყმაწვილები დამიკოცნე. შაქროს წიგნიც მივიღე. მეფისოვი და მეხტირბაშევი პატივისცემას გიცხადებენ.

აქ ახალი ანბავი არა არისრა. იმ დღეს გავშინჯე სასახლეები და მუზეუმები, რომლებშიაც ბევრი რამ არის ძველი ნივთეულობა და დიდი სიმდიდრე. სხვათა შორის ყველა სულთანები თავიანთის ტანსაცმელებით და სამკაულებით.

ახლა ჩვენი მხარე უნდა სჯობდეს ამ მხარეს. მანდ ბუნება აყვავებული უნდა იყოს, მეტადრე იმერეთის მხარე. ნინოჩკასი და ოლღას კარტოჩკები გთხოვე გრებენშჩიკოვის პირით, თუ გაქვთ კარტოჩკები გამომიგზავნე. აქ თუ ფული დამრჩა ჩემ კარტოჩკებს გადავაღებინებ და თან მოვიტან. ზოგს აქ მთხოვენ.

რატომ არასა მწერ კოსტანტინ ქრისტეფორიჩი სახლობით და დედა როგორ არიან.

პერიდამ სტამბულში მივეშურები და ამიტომ მოკლეთა

გწერ ამ წიგნსა. პოპელი სახლობით და სხვანი ნაცნობები ყველანი მომიკითხე. პოპელისაგან წიგნი ჯერ არ მიმიღია.

ნახვამდე. შენი ერთგული და სიმთელის მოსურნე დ. ბაქრაძე

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №28 (50)

28 მარტი, 88,[1] კონსტანტინეპოლი.

ძვირფასო ანეტა.

ამ თვის 18[ს] დაწერილი შენი წიგნი, ოლღასი და გიგოსი ამ დღეებში მივიღე. მე კარგათა ვარ.

აქ ჰაერი დაწყნარდა ეს ორი კვირა არის. წვიმები იშვიათათ მოდის. ცხელა კიდეცა.

გიგოს უთხარ, სერებრიაკოვი ფულისას არას იწერებათქო და მოსვლის დროს მე მოგცემთქო. თხუთმეტი მანათისთვის არა ღირს რომ მიწერ-მოწერა გაუმართო.

შაქროს ცალკე წიგნს ვერა ვწერ. გართული ვარ და მოცალება არა მაქვს. სიამოვნებით ვკითხულობ მაგის წიგნებს. კარგათა სწერს ისე, როგორც რიგია.

ამ თვის 10-15 უეჭველად გამოვალ კოსტანტინეპოლიდამ.

ამ დღეებში ჩვენებურათ ქოთანში მოხარშული ლობიო ვჭამე და ძალიან ვისიამოვნე, ლობიო ჩვენი მხრიდა[ნ][2] იყო მოტანილი. აქ რამდენიმე სახლობაა ქართული, ახალციხელები, რომელნიც თითქმის აქ სცხოვრობენ 30 წელიწადი და აქ ვაჭრობენ.

შვილები დამიკოცნე, დარიკო და სხვანი.[3] ჩვენები ყველანი პატივისცემით მომიკითხე.

მომავალის ფოჩტით ჩემ წიგნს არ მიიღებ, რადგანაც იმ დროს კოსტანტინეპოლში[4] არ ვიქნები, მაგრამ შენ მაინც მომწერე. დავბრუნდები და წიგნი აქ დამხვდება. შემდეგ გა-

მოსვლის დროს გაცნობებ.

მალე ნახვამდე. შენი ერთგული დ. ბაქრაძე.

ალექსანდრე გროსმანისადმი №2 (51)

[წერილის ბოლოში წერია ადრესატის ვინაობა:]

Его Пр-ву,
А. И. Гросману

№5
Констант.
«28» марта 1888

Ваше превосходительство,
Александр Игнатьевич.

Копіи[1] с поземельных Девтаров закончены и по праверке, и засвидетельствованы Директором[2] Девт[а]р-Хане на сих днях сданы мне.[3] Засим оне будут представлены как следует сначала в[4] Министерство Иностранных дел для[5] удостоверенія[6] законности означеннаго засвидетельствованія, потом[7] в наше Консульство, которое с своей стороны должно удостоверить завереніе[8] Министерства. По выполненіи этих формальностей я, откланявшись Саид-Паше и нашему Послу, который недавно[9] выех[ал][10] в Аѳины и в скором времени ожидается[11] обратно, выеду из Константинополя.

Примите увереніе в совершенном моем почтеніи и преданности.

Дм. Бакрадзе

NB. Такогоже содержанія письмо Н. П. Гребенщикову №6

ალექსანდრე გროსმანისადმი №2 (51)

[წერილის ბოლოში წერია ადრესატის ვინაობა:]

Его Пр-ву,
А. И. Гросману

№5
კონსტანტ
„28“ მარტი 1888

თქვენო აღმატებულებავ,
ალექსანდრ იგნატიევიჩ.

შემოწმების შემდეგ საადგილმამულო დავთრების ასლები, დასრულებული და დამოწმებული დევთ[ა]რ-ხანის დირექტორის მიერ, რამდენიმე დღის წინ გადმომეცა. ამის შემდეგ ისინი წესისამებრ მიეწოდება ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნული გადამოწმების კანონიერებაში დასარწმუნებლად, შემდგომ ჩვენს საკონსულოს, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა დაადასტუროს სამინისტროს მოწმობა. ამ ფორმალობათა შესრულების შემდეგ მე დავემშვიდობები საიდ-ფაშასა და ჩვენს ელჩს, რომელიც ამას წინათ ათენს გაემგზავ[რა] და მალე ველით მის დაბრუნებას და წამოვალ კონსტანტინოპოლიდამ.

მიიღეთ რწმუნება ჩემს სრულს პატივისცემასა და ერთგულებაში.

დიმ. ბაქრაძე

NB. ამგვარივე შინაარსის წერილი ნ. პ. გრებენშჩიკოვისადმი №6

ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №3 (52)

Милостивый Государь,
Николай Петрович.

Высланныя мне из Батума деньги тысячя руб. получены из

агентства Общества Пароходства в Генеральном Консульстве 13 текущаго апреля и переданы мне.

Выезд мой из Константинополя до сих пор немог состояться по следующей причине. Оказалась необходимость Девтары препроводить для засвидетельствованія в Министерство иностранных дел при официальной бумаге Посольства. По возвращеній их[1] оттуда они доставлены в Генеральное Консульство, где мне заявили, что по нотаріальным правилам со всех актов, поступающих в Консульство для засвидетельствованія, оставляются точныя копіи их и что на этом основаніи следовало бы переснять[2] все акты, значащіеся в Девтарах, но так как скопированіе 47/т актов потребует весьма много времени, то Консульство решило внести из Девтаров в свои нотаріальныя книги[3] номера[4] актов, местности, к коим последнія относятся, годы их выдачи и[5] хотя[6] я с своей стороны находил, что наши нотаріальныя правила относительно снятія копій с актов к Девтарам не должны быть применены и что Консульство[7] в данном случае обязано лишь ограничиться официальным завереніем записи Министерства Иностранных дел,[8] совершенно также, как последнее[9] с своей стороны ограничилось[10] засвидетельствованіем Девтар-Хане.

Если наступающіе праздники не помешают окончанію формальности, то я выеду на пароходе, отходящем в первую неделю Пасхи, в противном же случае мне придется выехать[11] на следующем пароходе.

Примите увереніе в совершенном моем почтеній и преданности.

Дмитрій Бакрадзе.

N7
18 апреля 1888 г
Константинополь

Его Высокоблаго-дію
Н. П. Гребенщикову.

[I გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

Такогоже содержанія письмо к Кутаискому Воен. Губернатору #8

ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №3 (52)

მოწყალეო ხელმწიფევ,
ნიკოლაი პეტროვიჩ.

ბათუმიდამ ჩემთვის გამოგზავნილი ათასი რუბ. ფული მიღებულია გენერალურ საკონსულოში სანაოსნო საზოგადოების საააგენტოდამ და გადმომეცა მე.

ჩემი გამგზავრება კონსტანტინოპოლში აქამომდის არ შემდგარა შემდეგი მიზეზით: საჭირო აღმოჩნდა დავთრების წარდგენა საგარეო საქმეთა სამინისტროში მათი ოფიციალური ქაღალდით დასამოწმებლად. მათი იქიდამ დაბრუნების შემდეგ ისინი მიტანილია გენერალურ საკონსულოში, სადაც განმიცხადეს, რომ სანოტარო წესების მიხედვით, საკონსულოში დასამოწმებლად შემოსული ყველა აქტიდან რჩება ზუსტი ასლი და რომ ამის საფუძველზე კარგი იქნებოდა გადაღებულიყო დავთრებში შეტანილი ყველა აქტი, მაგრამ რაკი 47/ტ აქტების ასლების გადაღება მოითხოვს ერთობ დიდ დროს, საკონსულომ გადაწყვიტა თავიანთ სანოტარო წიგნებში დავთრებიდან შეიტანოს აქტების ნომრები, მათი ადგილმდებარეობის, ასევე მათი გაცემის წლების მითითებით. თუმცა ჩემი მხრიდან მიმაჩნდა, რომ აქტებიდან ასლების აღების ჩვენებური სანოტარო წესები არ უნდა იქნეს გამოყენებული დავთრებისთვის და რომ საკონსულო ამ შემთხვევაში ვალდებულია შემოიფარგლოს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ჩანაწერის დამოწმებით, სწორედ ისევე, როგორც შემოიფარგლა, თავის მხრივ, ეს უკანასკნელი დამოწმებით დევთარ-ხანას მიმართ.

თუკი მოახლოებული დღესასწაულები ხელს არ შეგვიშლიან ფორმალობათა დასრულებაში, მაშინ მე გამოვემგზავრები გემით,

აღდგომის პირველ კვირას რომ გამოდის, წინააღმდეგ შემთხვევაში, წამოსვლა მომიწევს მომდევნო გემით.

მიიღეთ რწმუნება ჩემს სრულს პატივისცემასა და ერთგულებაში.

დიმიტრი ბაქრაძე.

№7

18 აპრილი 1888 წ.
კონსტანტინოპოლი

მის მაღალკეთილშ-ს
ნ. პ. გრებენშჩიკოვს.

[I გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

ასეთივე შინაარსის წერილი ქუთაისის სამხედ. გუბერნატორს №8

რუსული გენერალური საკონსულოსადმი №1 (53)

Чиновник 9 к.[ласса] суточн. 45 к прогоны на 3 лош

S. E. Said-Bey, Directeur général de la section des titres de propriétés au Defterhane (frère de l'Ambassadeur ottoman à Vienne Saadoullah Pacha.

В Русское Генеральное Консульство в
Константинополе.

Правилами[1] нашего законодательства[2] по статям выдавать[3] чиновникам, временно командируемым[4] по делам службы за границу[5] за[6] время их[7] нахожденія[8] за границею,

присвоенные им в Россіи штатные оклады жалованья и столовых по Заграничному положенію,[9] т.е. вдвойне; но[10] относительно[11] того, как они должны быть расчитываемы прогонами, по сухому ли[12] пути, как это[13] установлено вообще[14] по Россіи,[15] или по морскому[16] и железному, и в каком размере; равным образом в каком размере им должны быть выдаваемы суточныя деньги за границею,[17] это[18] в законах наших[19] неопределено;[20] и потому в[21] сих случаях,[22] судя по[23] сведеніям[24] Кавказской Контрольной Палаты,[25] обыкновенно применяются к правилам, установленным Министерством Иностранных дел для чиновников его:[26]

Для представленія в контроль расчета в выданных мне при командированіи меня[27] и состоящаго при мне[28] переводчиком чиновника IX класса[29] из Государственнаго Казначейства авансом денег,[30] покорнейше прошу[31] Консульство[32] благоволить снабдить меня своим официальным удостовереніем о том:

1) От[33] Батума до Константинополя по морскому[34] или по сухому пути[35] расчитываются[36] прогонными деньгами, и какими (кредитными или золотом)[37] IV и IX классов, и в каком размере;[38]

2) Какое определен[о][39] разстояніе от[40] границы Турецкой со стороны Батума [41]– и до Константинополя; и

3) Сколько полагается и какими деньгами[42] чинам IV и IX классов[43] суточных[44] в сутки за время их служебнаго нахожденія в Турціи.

Таковое[45] удостовереніе прошу препроводить на мое имя в[46] Тифлис.

№9.

„21“ апреля 1888 г.

Константинополь.

რუსული გენერალური საკონსულოსადმი №1 (53)

9 კ.[ლასის] ჩინოვნიკი სადღეღამ. 45 კ საგზაო ხარჯი 3 ცხენ.

საიდ-ბეი, დეფტერხანის მიწის
ნაკვეთების დოკუმენტთა სექციის
გენერალური დირექტორი
(ვენაში თურქეთის ელჩის, საადულაჰ
ფაშას ძმა).

რუსეთის გენერალურ საკონსულოს
კონსტანტინოპოლში.

ჩვენი კანონმდებლობის წესებით, [იმ] სტატიების მიხედვით, [რომლებიც მიუთითებენ, რომ] სამსახურებრივ საქმეებზე დროებით საზღვარგარეთ მივლინებულ [და] იქ მყოფ ჩინოვნიკებს მათთვის რუსეთში მინიჭებული საშტატო სარგო და საკვები თანხები მიეცეთ საზღვარგარეთ არსებული მდგომარეობის შესაბამისად, ანუ ორმაგად; მაგრამ ის, თუ როგორ უნდა დაანგარიშდეს იგი [სარგო] საგზაო ხარჯებისთვის: სახმელეთო გზით, როგორც ეს საერთოდაა დაწესებული რუსეთში, თუ საზღვაოსნოთი და სარკინიგზოთი, და რა ოდენობით; ამასთანავე, რა ოდენობით უნდა მიეცეთ მათ სადღეღამისო ფული საზღვარგარეთ, – ჩვენს კანონებში განსაზღვრული არ არის; და ამიტომ ასეთ შემთხვევებში, კავკასიის კონტროლის პალატის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საერთოდ გამოიყენება წესები, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არის დადგენილი მისი ჩინოვნიკებისთვის.

ჩემთვის და ჩემთან მომუშავე თარჯიმნის, IX კლასის ჩინოვნიკის მივლინებისთვის, სახელმწიფო ხაზინიდამ ავანსად გაცემული ანგარიშის კონტროლში წარსადგენად, უმორჩილესად ვთხოვ საკონსულოს, მიბოძოს თავისი ოფიციალური მოწმობა შემდეგზე:

1) ბათუმიდამ კონსტანტინოპოლამდე IV და IX კლასებისთვის საზღვაო ან სახმელეთო გზა რომელი საგზაო ფულით (კრედიტით თუ ოქროთი) და რა ოდენობით დაანგარიშდება;

2) რა მანძილი[ა] განსაზღვრული ბათუმის მხარის თურქეთის საზღვრიდამ კონსტანტინოპოლამდე, და

3) თურქეთში სამსახურებრივ საქმეებზე ყოფნისას რამდენი სადღეღამისო ეკუთვნით და რომელი ფულით IV და IX კლასის ჩინებს. გთხოვთ, თბილისში ჩემს სახელზე გასცეთ ასეთი მოწმობა.

№9.
„21“ აპრილი 1888 წ.
კონსტანტინოპოლი.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №29 (54)

[1888] 4 მაისი, ბათუმი

ძვირფასო ანეტა.

ხვალ, ესე იგი ხუთშაბათს გამოვდივარ ბათუმიდამ, შევივლი ქუთაისში, საიდამაც გამოვალ პარასკევს თუ არა უეჭველად შაბათს, და შაბათს პირდაპირ შინ მოვალ. დილით იმ დღეს, რომელ დღესაც გამოვალ, ტელეგრამმით გაცნობებ.

მე კარგათა ვარ. ყველანი დამიკოცნე და სიყვარულით მომიკითხე.

შენი მარად დიმიტრი ბაქრაძე.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №30 (55)

5 მაისი 88, სტანცია საჯავახო.

ანეტა.

გიგზავნი კვიტანციას №82, რომლითაც მიიღებთ ჩემ ზანდუკს, რომელსაც კლიტე აქვს ერთის მხრით. მეორეს მხრით ისეა დაკეტილი. გასაღები აქა მაქვს. მე დღეს ქუთაის-

ში დავრჩები. ხვალ გაცნობებ ტელეგრამით ხვალ ჩამოვალ ტფილისში, თუ ზეგ, ესე იგი შაბათს.

ნახვამდე. შენ[ი][1] დ. ბაქრაძე[2]

ალექსანდრე გროსმანისადმი №3 (56)

[5[го]“ Мая, 1888 года]

Ваше Превосходительство,
Александр Игнатьевич.

Имею честь при сем представить Вашему Превосходительству копіи хранящихся в Константинопольском Главном Девтар-Хане Поземельных книг или Девтаров на округи Батумскій и Артвинскій, и к ним особый подроб[ный] список, с указаніем в оном, к какому округу относится каждый из Девтаров, каких годов он касается и в каких селеніях расположены участки, на которые выданы[1] их владельцам из Девтар-Хане турали-тапу. Какіе из них суть вакуор. И[2] Эрази-м.[3] Приложеніе к Девтарам этого списка я признал нужным в тех видах, чтобы облегчить пріисканіе, при надобности, актов, в них заключающихся, ибо из них[4] в Девтарах[5], старой системы, не имеется определеннаго порядка; в них нет нумераціи, указывающей номера актов, а означены лишь месяцы и годы, когда в них записаны акты. Чтобы найдти тот или другой акт в Девтаре, нужно пересмотреть селеніе, в котором лежит владеемый по акту[6] участок, самое же селеніе в одном или нескольких Девтарах записано в перемешку с другими селеніями. Легче отыскивать акты в Девтарах новой системы, либо в них хотя селенія тоже более или менее перемешаны, но есть номера в последовательном порядке, указывающія номера

выданных актов. При этом считаю необходимым[7] пояснить, что

1)[8] Не на все местности б[ившей][9] Батумской области оказались в Главном Девтар-Хане Девтары: так, нет Девтаров на верхнія поселенія[10] Кинтришскаго участка и на Аджарію; населенные пункты всех остальных местностей Батумскаго и Артвинскаго округов, как видно из моего списка, в Девтарах весьма часто встречаются, хотя[11] не могу утверждать, чтобы неоказалось неизвестных Девтарам селеній с актами.

2) По этому поводу директор Девтар-Хане заявил,[12] что хотя по закону обязательно, чтобы каждый землевладелец был снабжен поземельным актом, но порядок этот на практике невполн[е][13] еще не установился и есть в Имперіи много районов, в которых не имеется не только турали-тапу, но и предварительных актов или кочанов, и что вместе с тем часты случаи, что предварительные акты не доставляются из провинцій в Девтар-Хане для замены их окончательными актами или турали-тапу, причем[14] он высказал, что акты, выдаваемые меджлисами, признаются Главным Девтар-Хане имеющими равную силу с турали-тапу, ибо с выдачею предварительных актов, а не со времени внесенія, их в Главные Девтары, устанавливается правильное владеніе Земельными участками.

3) В виду нередких жалоб, приносимых константинопольским властям, и письменно и словесно, от землевладельцев вновь присоединеннаго к Рос[іи] края, по поводу принятія нашею администраціею при определеніи владенія, меры, а не границ в соображеніе, константинопольскія власти вообще находят эту систему идущею в разрез порядку, установленному в пределах Турецкой Имперіи: во всех случаях, говорили мне в Константинополе, земельные участки должны быть выделяемы по их действительным границам, значащимся в актах, а если эти границы сбивчивы или неуказаны, то по границам самаго владенія или пользованія, не обращая вниманія на то, больше или меньше

показано в актах самой меры, ибо мера эта нередко показывалась и показывается меньше, чем сколько их оказывается в действительности, с целью меньше платить пошлин в казну.

4) Известный землевладелец Шурагельскаго[15] округа Юсуф Зіа-паша обратился чрез турецкое Министерство Иностранных дел (от 11 марта прошлаго, №88924) к Императорскому Послу нашему в Кп. с ходатайством перед кем следует о выделе ему его земель в их границах. Г. Посол просил частно моего мненія по сему делу и я 22 марта высказал следующее:

«Вопрос: что должно быть принимаемо, при определеніи права пользованія землями во вновь присоединенном от Турціи к Россіи крае, в соображеніе – границы земельных участков или мера, показанные в данных наонные тапах, возбужден был еще в 1881 г. Карсским военным Губернатором и по обсужденіи его в Кавказском Военно-народном управленіи найдено было, что в турецких поземельных актах, за некоторыми исключеніями, всегда прописывается величина участка, обозначаемая или донумами, или количеством высеваемаго зерна на пахатных участках и количеством собираемаго сена на лугах. Как то, так и другое почти[16] всегда делается приблизительно, так как правильное измереніе в Турціи неизвестно. Кроме того, хотя в документах указываются и границы участка, но до того неудовлетворительно, что часто нет возможности отыскать их в натуре; иногдаже обозначаются границы не самаго участка, на который выдан документ, а целаго поля, пастбища или урочища, в состав котораго входит он вместе с участками других владельцев. Посему Командовавшій Кавказскою арміею, генерал адъютант князь Меликов, за отсутствіем Главнокомандовавшаго Великаго Князя, предложил, 31 октября / 2 ноября 1881 г., №5837, в руководство, чтобы во всех случаях, как при выкупе земель у выселявшихся, так и при определеніи права пользованія землею оставшихся на месте жителей, а равно при поземельных спорах производить расчет

количеству земли не по границам, значащимся в документах, а по числу указанных в нем донумов. Распоряженіе это, по жалобе некоторых землевладельцев, подвергнутое обсужденію нашего Министерства Иностранных дел, признано было им правильным и согласным с духом турецкаго законодательства.

«Не думаю, чтобы это мероприятіе, хотя и состоявшееся в административном порядке, но применяемое с 1881 г. ко всем земельным владеніям Карсской и б[ившей] Батумской областей, могла быть изменено административною нашею властью по отношеніи к Юсуфу Зіа-паше. Вообще же оно, как я полагаю, может быть перерешено, еслибы оказалось не вполне согласным с действующими правилами турецкаго законодательства или в общеустановленном судебном порядке, или же Правительствующим Сенатом, к коим и должны быть направлены как Юсуф-Зіа-паша, так и другіе, подобно ему недовольные означенным административным распоряженіем».

Посольство заявило мне, что взгляд этот оно находит правильным и что в этом смысле оно и ответит Турецкому Министерству Иностранных дел.

Действительный Стаскій Советник
Дм. Бакрадзе.

[I გვერდის ქვედა მარცხენა ნაწილში, ტექსტისგან ცალკე წერია:]

Его Пр-ву,
А. И. Гросману.[17]

ალექსანდრე გროსმანისადმი №3 (56)

[1888 წლის 5 მაისი]

თქვენო აღმატებულებავ,
ალექსანდრ იგნატიევიჩ.

მაქვს პატივი თქვენს აღმატებულებას წარვუდგინო კონსტანტინოპოლის მთავარ დევთარ-ხანაში შენახული საადგილმამულო წიგნების, ანუ დავთრების ასლები ბათუმისა და ართვინის ოლქებისა და მათზე დართული დაწვრილებითი სია, რომელშიც აღნიშნულია, თუ რომელ ოლქს ეკუთვნის ცალკეული დავთარი, რომელი წლისაა და რომელ სოფლებშია განლაგებული ნაკვეთები, რომლებზეც მათი მფლობელებისთვის დევთარ-ხანადამ გაცემულია ტურალი-ტაპუ. რომელი მათგანია ვაკუორ. და ერაზი-მ. ამ სიის დართვა დავთრებზე იმ მოსაზრებით ჩავთვალე საჭიროდ, რათა გაადვილდეს მოძიება მათში ჩართული აქტებისა, რადგან დავთართა ძველ სისტემაში არ არსებობს მათი რაიმე სახის წესრიგიანობა; მათ არ გააჩნიათ ნუმერაცია, რაც აქტების ნომრებზე მიუთითებდა, არამედ მითითებულია მხოლოდ თვეები და წლები, როცა მათში აქტები ჩაიწერა. დავთარში ამა თუ იმ აქტის მოსანახად საჭიროა დათვალიერდეს სოფელი, რომელშიც მდებარეობს აქტის მიხედვით საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, თავად სოფელი კი ერთ ან რამდენიმე დავთარშია ჩაწერილი სხვა სოფლებთან აღრეულად. უფრო იოლია აქტების მონახვა ახალი სისტემის დავთრებში, თუმცა მათში სოფლები მეტ-ნაკლებად მაინც აღრეულია, მაგრამ არის თანმიმდევრობით განლაგებული ნომრები, რომლებიც მიუთითებენ გაცემული აქტების ნომრებზე. ამასთანავე, აუცილებლად ვთვლი განვმარტო, რომ

1) მთავარ დევთარ-ხანაში არ აღმოჩნდა ყ[ოფილი] ბათუმის ოლქის დავთარი: ასე, არ არის დავთრები კინტრიშის მონაკვეთის ზედა სოფლებზედ და აჭარაზედ; ბათუმისა და ართვინის ოლქის ყველა დანარჩენი დასახლებული პუნქტი, როგორც ჩემი სიიდამ ჩანს, დავთრებში გვხვდება ერთობ ხშირად, თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ არ აღმოჩნდება დავთრებისთვის უცნობი აქტების მქონე სოფლები.

2) ამის თაობაზედ დევთარ-ხანას დირექტორმა განაცხადა, რომ, თუმცა კანონით აუცილებელია, ყველა მიწის მფლობელს გააჩნდეს მიწის აქტი, მაგრამ ეს წესრიგი ბოლომდ[ე] ჯერ არ დამკვიდრებულა და იმპერიაში არის მრავალი რაიონი, სადაც არ არის არა მხოლოდ ტურალი-ტაპუ, არამედ წინასწარი აქტები ან კოჩანები,[1] და რომ, ამასთან ერთად, ხშირია შემთხვევები, როცა წინასწარი აქტები პროვინციებიდამ დევთარ-ხანაში ჩადის მათ ჩასანაცვლებლად საბოლოო აქტებით, ანდა ტურალი-ტაპუთი, ამასთანავე, მან ბრძანა, რომ მეჯლისების მიერ გაცემული აქტები აღიარებულია მთავარი დევთარ-ხანას მიერ, როგორც ტურალი-ტაპუსთან გათანაბრებული ძალის მქონე, რამეთუ წინასწარი აქტების გაცემით, შემდგომში მათი შეტანით მთავარ დავთრებში დგინდება მიწის ნაკვეთების ფლობის სისწორე.

3) იმის გამო, რომ მფლობელობაში ქონას ჩვენი ადმინისტრაცია განსაზღვრავს მოცულობით და არა საზღვრებით, ხოლო რუს[ეთთან] ახლად მიერთებული მხარის მიწათმფლობელებისგან ხშირი საჩივრები შემოდის კონსტანტინოპოლის ხელისუფლებაში, ეს ხელისუფლება ამ სისტემას მიიჩნევს თურქეთის იმპერიის ფარგლებში დამკვიდრებული წესრიგის საპირისპიროდ: კონსტანტინოპოლში მეუბნებოდნენ, რომ ყველა შემთხვევაში მიწის ნაკვეთები უნდა გამოიყოს მათი იმ ნამდვილი საზღვრების მიხედვით, რომლებიც აქტებშია მითითებული, ხოლო თუკი ეს საზღვრები აღრეულია ან აღუნიშნავია, მაშინ უნდა გამოიყოს მფლობელობის ან სარგებლობის საზღვრების მიხედვით, იმის მიუხედავად, მეტია ნაჩვენები თუ ნაკლები თავად მოცულობის აღმნუსხველ აქტებში, რადგან ხაზინისთვის ნაკლები გადასახადის გადახდის მიზნით, ეს მოცულობა უფრო მცირე ჩანდა და ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია.

4) შურაღელის ოლქის ცნობილმა მიწათმფლობელმა იუსუფ ზია-ფაშამ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით (გასული 11 მარტი, №88924) ჩვენს საიმპერატორო ელჩს კპ.[ᵐᵉ] მიმართა შუამდგომლობით იმასთან, ვისთანაც ეგების, რათა მათ საზღვრებში გამოეყოს მას თავისი მიწები. ბ. ელჩი დაინტერესდა ჩემი აზრით ამ საქმესთან დაკავშირებით და მე 22 მარტს ვთქვი შემდეგი:

„საკითხი: რას უნდა მიექცეს ყურადღება თურქეთისგან რუსეთთან ახლად მიერთებული მხარის მიწის მოხმარების უფლების განსაზღვრისას – მიწის ნაკვეთების საზღვრებს თუ наонные ტაპე-

ბის მონაცემებში ნაჩვენებ მოცულობას? – წამოჭრილი იყო ჯერ კიდევ ყარსის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1881 წ. და კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობაში მისი განხილვისას აღმოჩნდა, რომ თურქულ საადგილმამულო აქტებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის ჩაიწერება ნაკვეთის მოცულობა, აღნიშნული ან დონუმებით, ან სახნავ მონაკვეთზე დასათესი ხორბლისა თუ მდელოებზე ასაღები თივის ოდენობით. ერთიცა და მეორეც ყოველთვის აღიწერება მიახლოებით, ვინაიდან სწორად აზომვა თურქეთში არ იციან. გარდა ამისა, თუმცა დოკუმენტებში მითითებულია ნაკვეთის საზღვრებიც, მაგრამ იმდენად არადამაკმაყოფილებლად, რომ ხშირად შეუძლებელია მათი პოვნა ბუნებაში; ზოგჯერ კი აღინიშნება საზღვრები არა თავად ნაკვეთისა, რომელზედაც გაცემულია დოკუმენტი, არამედ მთელი მინდვრისა, საძოვრისა ანდა მიდამოსი, რომლის შემადგენლობაშიც, სხვა მფლობელთა ნაკვეთებთან ერთად, შედის იგი. ამიტომ კავკასიის არმიის მეთაურმა, ღენერალ ადიუტანტმა, კნიაზმა მელიქოვმა მთავარსარდლის, დიდი კნიაზის არყოფნის გამო, ხელმძღვანელობას შესთავაზა 31 ოქტომბერი / 2 ნოემბერი 1881 წ. №5837, რათა ყველა შემთხვევაში, როგორც გადმოსახლებულთაგან მიწის გამოსყიდვისას, ისე ადგილზე დარჩენილთა მიერ მიწით სარგებლობით წესის განსაზღვრისას, ამასთანავე, საადგილმამულო დავების დროს მიწის ოდენობა დათვლილი იყოს არა დოკუმენტებში აღნიშნული საზღვრების მიხედვით, არამედ მათში მითითებული დონუმების რიცხვის მიხედვით. ეს განკარგულება, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს განსჯის საგნად რომ იქცა ზოგიერთი მიწათმფლობელის საჩივრის გამო, მის (სამინისტროს) მიერ აღიარებულ იქნა სწორად და თურქული კანონმდებლობის სულისკვეთების შესაბამისად.

„არა მგონია, რომ ეს ღონისძიება, თუმც ადმინისტრაციულად ჩატარებული, მაგრამ გამოყენებული ყარსისა და ყ[ოფილი] ბათუმის ოლქების მფლობელობაში მყოფი ყველა ნაკვეთისადმი, ჩვენი ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ შეცვლილი ყოფილიყო იუსუფ ზია-ფაშას მიმართ. საერთოდ კი, ის შეიძლებოდა შეცვლილიყო კიდევაც, თუკი თუნდაც რამენაირ შეუსაბამობაში აღმოჩნდებოდა თურქული კანომდებლობის მოქმედ წესებთან, ანდა საყოველთაოდ დადგენილ სასამართლო წესრიგთან, ან კიდევ მმართველ სენატთან, სადაც უნდა გაიგზავნოს კიდეც როგორც იუსუფ-ზია-ფა-

შა, ისე სხვებიც, მასავით უკმაყოფილონი რომ არიან აღნიშნული ადმინისტრაციული განკარგულებით“.

საელჩომ მომახსენა, რომ ამ შეხედულებას ის მიიჩნევს სწორად და რომ ამ შინაარსითვე უპასუხებს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მოქმედი სტატსკი სოვეტნიკი
დიმ. ბაქრაძე.

[I გვერდის ქვედა მარცხენა ნაწილში, ტექსტისგან ცალკე წერია:]

Его Пр-ву,
А. И. Гросману.

ეკატერინესადმი №1 (57)

4 августа 88г.
Тифлись.

Посылаю при сем, Многоуважаема[я] Екатерина Д[ави]довна,[1] два[2] и прошу принять увереніе в совершенном уваженій и преданности от Вашего преданного Дмитрія Бакрадзе.[3]

ეკატერინესადმი №1 (57)

4 აგვისტო 88 წ.
ტფილისი.

ამასთან გიგზავნით, ღრმად პატივცემულო ეკატერინა დ[ავი]თის ასულო, ორს და გთხოვთ მიიღოთ ღრმა პატივისცემა და ერთგულება თქვენი ერთგული დიმიტრი ბაქრაძისაგან.

ალექსანდრე ოგოლინისადმი №1 (58)

Господину Старшему Председателю
Тифлисской Судебной Палаты.

По присоединеніи, согласно[1] Берлинскаго трактата[2] к составу[3] Россіи двух областей Турціи[4] Карсской и Батумской[5] Его Высочеством, бывшим Главнокомандовавшим Кавказскою Арміею6 издано было[7] временное Положеніе от 20 сентября и 27 октября 1888г., в силу коего, §12: в означенных[8] областях дела о поземельной собственности[9] выдаются на основаніи тех правил, кои будут выработаны по всестороннем выясненіи этого вопроса. Для выясненія этого вопроса[10] командированы были на место дел[11] временныя Поземельныя Коммисіи, Карская и Батумская, которым[12] по данной им[13] в руководство Инструкціи 8 февраля 1879г. заменено было в обязанности привести в известности как[14] виды Землевладенія, установленные турецкими законами ему,[15] так и[16] частныя недвижимыя имущества[17] и по актам владенія, выданным при турецком управленіи.[18] Из собранных Поземельными Коммисіями сведеній оказалось, что в пределах областей все недвижимыя имущества делятся главным образом на следующія категоріи: а) Мюльк[19] – или недвижимость Принадлежащую[20] владельцу ея на праве полной собственности; б) Эрази – миріе[21] или имущество казенное, находящееся во владеній и пользованій частных лиц и обществ; в) Вакуф,[22] пожертвованный Мечетям[23] султанами или[24] частными лицами, но[25] с разрешенія султана и неподлежащій[26] изъятію из веденія[27] Мечетей.[28] Мюльков или частною собственностью оказались постройки и[29] сады;[30] Земли же все[31] суть или казенныя (эрази-миріе) или[32] Мечетскія (вакуфи), при чем те и другія[33] состоят в наследственном пользованіи их владельцев.

Вакуфи,[34] по турецким, как и по русским законам, признаются неотъемлемым достояніем Мечетей и неподлежащим

изъятію из[35] веденія их. На сем основаніи хотя В. Г. Б. обл[асти][36] одновременно с ходатайством о предоставлен[іи][37] батумским земледельцам[38] в г. Б. право[39] отчуждать земельные участки их по нот[а]риал[ьным] актам и просил разрешенія об изъяті из веденія Мечети Азизіе о обращені[е] в веденіе города вакуфных ея земель, ходатайство это не было признано уважительным.

Принимать безразлично все тапы,[40] признанные Поз. К сіею правильными[41] и совершать по оным[42] нотаріальные акты, не смотря нато, что[43] по самым формам заголовкам[44] тапы Эрази-миріе ясно[45] отличаются от вакуфных;

Сообщая эти обстоятельства Вашему Превосходительству, имею честь просить Вас, не признаете ли возможным, в видах[46] сохраненія за Мечетью Азизіе[47] остающихся еще неотчужденными,[48] воспроти[ви]ться[49] нотаріусу г. Батума.[50]

[1888 წლის 27 ოქტომბრის შემდგომი პერიოდი]

ალექსანდრე ოგოლინისადმი №1 (58)

ტფილისის სასამართლო პალატის
ბატონ უფროს თავმჯდომარეს.

ბერლინის ტრაქტატის შესაბამისად, თურქეთის ორი – ყარსისა და ბათუმის – ოლქის რუსეთთან მიერთების შემდეგ 1888 წ. 20 სექტემბერსა და 27 ოქტომბერს კავკასიის არმიის ყოფილი მთავარსარდლის მიერ გამოცემული იყო დროებითი დებულება, რომლის მიხედვითაც, საქმეები საადგილმამულო საკუთრების შესახებ §12-ში აღნიშნულ ოლქებში გაიცემა იმ წესთა საფუძველზე, რომლებიც შემუშავებული იქნება ამ საკითხის ყოველმხრივი გამორკვევის შემდეგ. ამისათვის ადგილზე მივლინებულ იქნენ ყარსისა და ბათუმის დროებითი საადგილმამულო კომისიები, რომლებსაც მათთვის სახელმძღვანელოდ გაცემული 1879 წ. 8 თებერვლის ინსტრუქციით, შეეცვალათ ვალდებულებები, გაერკვიათ როგორც თურქული კანონებით დადგენილი მიწის მფლობელობის ნაირგვარობის, ისე იმ კერძო უძრავი ქონების მფლობელობის საკითხი, რომელიც აქტების

მიხედვით გაიცა თურქეთის მმართველობის მიერ. საადგილმამულო კომისიების მიერ გაცემული ცნობებით აღმოჩნდა, რომ ოლქების საზღვრებში ყველა უძრავი ქონება ძირითადად იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ა) მიულკი – ანუ მფლობელის კუთვნილი უძრავი ქონება სრული საკუთრების უფლებით; ბ) ერაზი – მირიე, ანუ საზოგადოებისა და კერძო პირის მფლობელობასა და მოხმარებაში მყოფი საკუთრება ხაზინისა; გ) ვაკუფი, სულთანების ან კერძო პირების მიერ მეჩეთებისთვის შეწირული, მაგრამ სულთანის ნებართვით და მეჩეთების განკარგვიდან მათი ამოღება უფლების გარეშე. მიულკებში, ანუ კერძო საკუთრებაში აღმოჩნდა ნაგებობები და ბაღები; მიწები კი ან ყველა ხაზინისაა (ერაზი-მირიე), ან მეჩეთისა (ვაკუფი) და, თანაც, ერთიც და მეორეც იმყოფებიან მათი მფლობელების მემკვიდრეობით სარგებლობაში.

თურქული, ისევე როგორც რუსული, კანონებით ვაკუფები აღიარებულია მეჩეთების განუყოფელ საკუთრებად და არ ექვემდებარება განკარგვიდან მათ ამოღებას. ამის საფუძველზე, თუმცა იმ შუამდგომლობასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბ. ოლქის მიწათმფლობელებისთვის მიწის ჩამორთმევის უფლების მინიჭებას ნოტ[ა]რიულ[ი] აქტების მიხედვით, და გხოვდით ნებართვას მეჩეთების განკარგვიდან აზიზიების ამოღებაზე, მისი სავაკუფო მიწების ქალაქის განკარგვაში გადაყვანაზე, ეს შუამდგომლობა არ იქნა მოწონებული.

საადგილმამულო კ. მიერ მართებულად მიჩნეული ყველა ტაპუს განურჩევლად მიღება და სანოტარო აქტების შედგენა მათ მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ თავად სათაურების ფორმების მიხედვით ერაზი-მირიეს ტაპუები აშკარად განსხვავებულია ვაკუფისებრთაგან.

თქვენი აღმატებულებისთვის ამ ვითარებათა მოხსენებისას პატივი მაქვს გთხოვოთ, ეგება, მეჩეთებისთვის ჯერაც ჩამოურთმეველი აზიზიების მათთვისვე შენარჩუნების მიზნით, შესაძლებლად ჩაგეთვალათ, წინააღმ[დე]გობა გაგეწიათ ქ. ბათუმის ნოტარიუსისთვის.

[1888 წლის 27 ოქტომბრის შემდგომი პერიოდი]

1889

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №2 (59)

თქვენო ყოვლად-სამღვდელოებავ.

მინდოდა მე თვითონ გხლებიყავ: მაგრამ აქამომდე ვერ გავთავისუფლებივარ ავათმყოფობისაგან და მომიტევეთ, რომ წიგნით გაწუხებთ.

თქვენს უსაზღვრო კეთილ-მოქმედებას ერთი მადლიც დაურთეთ. მეცა და გიორგი რომანიჩი ერისთავიცა უმორჩილესადა გთხოვთ, ამის მომრთმევს დიაკვანს ზეიძეს შემწეობა აღმოუჩინოთ. ეს შემწეობა სრულებით თქვენზეა დამოკიდებული. ამ შემწეობით თქვენ სულსაც აცხონებთ და ჩვენსასაც.

თქვენის წმინდა მარჯვენის ამბორის მყოფელი
დიმიტრი ბაქრაძე

13 იანვ. 89

უცნობი ადრესატისადმი №1 (60)

Прошу Евфимія Семеновича росписаться на сем и передать Николаю Васильевичу Мтварелову. Завтра в назначен[ны]й[1] час буду ждать.

Незабудьте захватить с собою Книгу Московскаго Священника (забыл фамилію). Нужно ему ответить.

Пред[анн]ый Дм. Бакрадзе

8 марта 89

Отделеніе Братства Пресвятой Богородицы в Грузинском Экзархате.[2]

უცნობი ადრესატისადმი №1 (60)

ექვთიმე სემიონოვიჩს ვთხოვ ხელი მოაწეროს ამას და გადასცეს ნიკოლაი ვასილიევიჩ მთვარელოვს, ველოდები ხვალ დათქმულ დროს.

ნუ დაივიწყებთ მოსკოველი მღვდლის (გვარი დამავიწყდა) წიგნის წამოღებას. პასუხი მაქვს მისთვის მისაწერი.

ერთ[გულ]ი დიმ. ბაქრაძე

8 მარტი 89

საქართველოს საეგზარქოსო წმიდა ღვთისმშობლის საძმოს განყოფილება.

თედო ჟორდანიასადმი №1 (61)

29 июля 89.

Многоуважаемы[й] Ф[е]дор Давидович.

По высочайшему повеленіи командированный на Кавказ профессор Кондаков теперь в Тифлисе. Сегодня мы вместе с ним отправляемся в Марткобскій Монастырь к Экзарху, к вечеру будем назад. В середу или в четверг вместе с ним же выезжаем вероятно на целый месяц в Кутаисскую Губернію для осмотра и описанія Монастырей.

Вам необходимо быть с Вашим ключом в понедельник в Тифлисе. Не поленитесь пріехать. Ему необходимо осмотреть наш Музей, Ризницу Сіонскаго Собора и Анчисхат.[1]

Душевно уважаю[щій] Вас

Дм. Бакрадзе

თედო ჟორდანიასადმი №1 (61)

29 ივლისი 89.

დიდად პატივცემულო თეოდორ დავიდოვიჩ.

უზენაესი ბრძანებით, კავკასიაში მივლინებული პროფესორი კონდაკოვი აწ თბილისშია. დღეს ჩვენ ერთად მივემგზავრებით მარტყოფის მონასტერში ეგზარქოსთან, დავბრუნდებით საღამოს. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, სავარაუდოდ, მთელი თვით ერთადვე მივემგზავრებით ქუთაისის გუბერნიაში მონასტრების მოსანახულებლად და აღსაწერად.

თქვენ უსათუოდ უნდა იყოთ თბილისში თქვენი გასაღებითურთ. ნუ დაიზარებთ ჩამოსვლას. მისთვის აუცილებელია ნახვა ჩვენი მუზეუმისა, სიონის ტაძრის საეკლესიო სამოსლისა, ჭურჭლის სალაროსი და ანჩისხატისა.

თქვენი გულითადი პატივის[მცემელი]

დიმ. ბაქრაძე

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №31 (62)

Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе

Тифлис.[1] Куки, Николаевс. улица, дом №70.

Поездки наши совершаются безпрепятственно. Были мы в Моцамета, Гелати, Никорцминда, Мартвили, Хони. Ночевали в Ново-Сенаки и сегодня выезжаем в фаетоне в Хопи, из Хопи направимся в Цаиш, а от туда в Зугдиди. Дам знать из Зугдиди.

Димитрій Бакрадзе

15 августа 89.
Ново-Сенаки.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №31 (62)

მის აღმატებულებას,
ანა იოსიფოვნა
ბაქრაძეს

თბილისი. კუკია, ნიკოლაევ. ქუჩა, სახლი №70.

ჩვენი მიმოსვლა სრულდება დაბრკოლებების გარეშე. გახლდით მოწამეთას, გელათს, ნიკორწმინდას, მარტვილს, ხონს. ღამე გავათიეთ ნოვო-სენაკს და დღეს ფაეტონით მივემგზავრებით ხოფს. ხოფიდამ გავემართებით ცაიშს, ხოლო იქიდამ ზუგდიდს. ზუგდიდიდამ შეგატყობინებთ.

დიმიტრი ბაქრაძე

15 აგვისტო 89.
ნოვო-სენაკი.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №32 (63)

27 აგვისტო, 89. ქუთაისი

ძვირფასო ანეტა.

იმ დღეს ოტკრიტი წიგნი გამოგიგზავნე. არ ვიცი მიიღე თუ არა. იმდენი მოცალება არა მქონდა, რომ წიგნი მომეწერა საიდამმე.[1] ან მგზავრობას უნდებოდით, ან წერასა. თითქმის არსად დაგვისვენია. ჩვენ მოვიარეთ სამეგრელო,

რაჭა და გურია. თოთხმეტ მონასტერში ვიყავით. კონდაკოვი გუშისწინ წავიდა ბათუმს და იქიდამაც ზღვით პეტერბურგში.[2] მეც წუხელ გურიიდამ დავბრუნდი ქუთაისს. დარიკოსაც ვესტუმრეთ ლანჩხუტში.[3] კარგად დგანან და კარგათ არიან. მოკითხვას გითვლიან. მე ერთი კვირის საქმე დამრჩა. ზეგ ყვირილაში მივდივარ, იქიდა[მ][4] მღვიმეში, კაცხში და ჯრუჭში. ჯრუჭიდამაც 5-6[ს] ან შვიდს დავბრუნდები შინა.

ყმაწვილები თუ მანდ არიან დამიკოცნე, შაქრომ მიჰყოს ხელი თავის საქმესა.

გაზეთებში იწერებიან ტფილისში აგრილდაო. მართალია თუ არა? მაგრამ ესკია სად უნდა მომწერო წიგნი, მე თვითონ არ ვიცი.

აქეთკენ სიცხეები აღარ არის. სიცხემ ცოტ[ა][5] არ იყო რომ შეგვაწუხა სამეგრელოში. ახლა მეტადრე ღამ-ღამე გრილა. მთელი ეს მხარე ისე მოვიარეთ, რომ გზაზე წვიმას არსად შევუწუხებივართ. ერთხელ გელათში რომ ვიმყოფებოდით, მაშინ იწვიმა, მეორეთაც შემოქმედში და ოზურგეთში ყოფნის დროს.

ნახვამდე. შენი ერთგული მეგობარი
დ. ბაქრაძე.

იაკობ გოგებაშვილისადმი №1 (64)

პატივცემულო იაკობ.

ყმაწვილები სემინარისტები მთხოვენ მეცა და საზოგადოებასაც 50 ეგზემპ. ჩემის ისტორიისას სამ აბაზ უზალთუნათ. ჩემის მხრით არავითარი დაბრკოლება არა არის რა, თუ საზოგადო[ე]ბის[1] თანხმობაც იქნება.

ერთგული დ. ბაქრაძე[2]

30 ოკტ. 89.

ანეტა მამაცაშვილი–ბაქრაძისადმი №33 (65)

[1889] 5[1] ნოემბერი, ბათუმი.

უძვირფასესო ანეტა, გიგზავნი ოთხას მანეთს[2] (400 руб.), რომელიც იმ დღეს დაგპირდი.

ხვალ მე და ნიკო ერისთავი (გუბერნატორის თანაშემწე) მივდივართ აჭარისაკენ. – ნახევარ გზას ეკიპაჟით გავივლით, ნახევარსაც ცხენებით. – როგორც მიამბო ნიკომ დიდის ლოდინით კაი ხანია თურმე მიგველიან – ტელეგრამმაც ამისთვის მოგწერეო. ამინდი მშვენიერი დგას. – მგონია სამ კვირამდე მოგვიგვიანდეს. მოვალ თუ არა ან ტელეგრამმას მოგწერ ან წიგნს. – მაცნობე კი როდის აპირებ სრულებით ქალაქში ჩასვლას, რომ ვიცოდე სად მოგწერო. სახლის კრიშა, ჩემ კაბინეტში ფეჩი და ვენახის საქმე უეჭველათ შეასრულე.

იმ დღეს კარგი მგზავრობა გვქონდა. ათ საათზე პირდაპირ პარახოდზე გადავსხედით, დილით შვიდ საათზე გავედით ფოთიდამ და თერთმეტ საათზე ბათუმში შევედით.

ყმაწვილები დამიკოცნე. ყველანი სიყვარულით მომიკითხე. –

ნახვამდე. შენი ერთგული დიმ. ბაქრაძე

თედო ჟორდანიასადმი №2 (66)

Многоуважаемый
Ѳеодор Давидович!

Прошу тысячу извинений в том, что так поздно присылаю обещанный рецепт против болотной Лихорадки. По возвращеніи от Вас домой мне выпала куча дел; оно там заболел жестокою инфлюаціею и совершенно кажется[1] забыл свое

обещаніе. Сегодня в первый раз просмотрел календарные листочки и на первом прочитал свою заметку о том, что Вам следует послать рецепт «того же дня“[2] и неприпоминая того: прислал я, или нет его, присылаю быть может вновь.

Готовый к услугам
Вашим, искренно Вас
уважающій Д. Бакрадзе

[1889] 17 Декабря[3]
quo.

თედო ჟორდანიასადმი №2 (66)

დიდად პატივცემულო
თეოდორ დავიდოვიჩ!

ათას ბოდიშს გიხდით იმისათვის, რომ აგრე გვიან გიგზავნით დაპირებულ რეცეპტს ჭაობის ციებ-ცხელების წინააღმდეგ. თქვენგან სახლში დაბრუნებულს, უამრავი საქმე დამხვდა; ის იქ დაავადდა დაუნდობელი ინფლუაციით და ვგონებ სრულებით გადაავიწყდა თავისი დაპირება. დღეს პირველად გადავხედე კალენდრის ფურცლებს და პირველ[ზევე] წავიკითხე ჩემი ჩანიშნული მასზედ, რომ თქვენთვის უნდა გამომეგზავნა რეცეპტი „იმავე დღეს“ და რომ ვერ გავიხსენე, გამოგიგზავნეთ თუ არა იგი, შესაძლოა ხელახლა გიგზავნიდეთ.

თქვენი მსახურებისთვის მზადმყოფი,
თქვენი გულწრფელი
პატივისმცემელი დ. ბაქრაძე.

[1889] 17 დეკემბერი
quo.

უცნობი ადრესატისადმი №2 (67)

Нет у меня таких бланков „Церковно-арх. отдела.“ Прошу прислать Экз. 20.

Дм. Бакрад[зе][1]

[1889 წელი]

უცნობი ადრესატისადმი №2 (67)

არ გამაჩნია „საეკლესიო-არქ. განყოფილების“ ამგვარი ბლანკები. გთხოვთ გამომიგზავნოთ 20 ეგზ.

დიმ. ბაქრაძე

[1889 წელი]

ბასპორტები, შენიშვნები, კოშტარები

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომის სამეცნიერო აპარატი წამოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებით, ლექსიკონითა და ენობრივი მიმოხილვით.

გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს.

კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. **ავტოგრაფი**: აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ცენტრალური არქივი A, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი L, ხოლო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი – Z ლიტერით.

2. **თარიღი და ადგილი**: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

3. **ხელმოწერა**: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

4. **ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

5. **ავტოგრაფის აღწერილობა**: რუბრიკა გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და ფერის ქაღალდზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

6. **ადრესატის მისამართი:** აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. გარკვეულ შემთხვევებში მისამართი მითითებულია ავტორთა მიერ, გარკვეულ შემთხვევებში კი ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. **შენიშვნები:** აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

2. **პირველი პუბლიკაცია:** აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

3. **დათარიღება:** რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. გამოცემაში დათარიღებულია 27 წერილი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი.

თითოეული საკომენტარო ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით. სტრიქონების ნომრები ათვლილია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება

წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, 1838, მარი ბროსე-სადმი №1 (1) (გვ. 12), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „1838, 2 fevri“ და ა. შ., რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

საძიებლებში პირთა სახელები ტექსტური მონაცემითაა წარმოდგენილი, რომლებსაც ანოტაცია არ ახლავს. ანოტაცია დართული აქვს სახელის სწორ დასახელებას, რომელთანაც, ლექსიკონის პრინციპის გამოყენებით, გაგზავნილია ტექსტური მონაცემი. მაგ.: მაგ.: „**ალექსანდრე მიხაილოვიჩი** – იხ. დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე“; „**ანტონი** – იხ. ბაგრატიონი თეიმურაზ იესეს ძე“; „**ბაბალე** – იხ. მამაცაშვილი ბაბალე იოსების ასული“, და სხვ.

თუ ტექსტურ მონაცემსა და სწორ დასახელებას შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, ასეთ შემთხვევაში ტექსტური მონაცემი აღარ არის გაგზავნილი სწორ დასახელებასთან, ისინი ერთადაა წარმოდგენილი შემდეგი თანმიმდევრობით: ტექსტური მონაცემი – სწორი დასახელება (ფრჩხილებში) – ანოტაცია, მაგ.: „**მჭედლოვი (მჭედლიშვილი)** – სასულიერო პირი შატილში“; **„კეპპენი (კეპენი) პეტრე ივანეს ძე** (1793-1864) – გერმანული წარმომავლობის რუსი მეცნიერი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი.“

თუ ტექსტური ვარიანტებიც ერთმანეთისაგან დიდად არ სხვაობს, ისინი წარმოდგენილია ერთად (სალექსიკონო პრინციპის დაცვით) და გაყოფილია პარალელური ხაზებით. მაგ., „**ვასილი // ვასილი მიხაილოვიჩი** – იხ. ვასილიევი ვასილი მიხეილის ძე“; „**ზაქარა / /ზაქარო** – იხ. ბაქრაძე ზაქარია ზაქა-

რიას ძე“; **„ოლა // ოლგა // ოლიჩკა // ოლღა** – იხ. ბაქრაძე ოლღა დიმიტრის ასული“, და სხვ.

ქალი პიროვნებები წარმოდგენილნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, **„აბამელიქ-ბაგრატიონისა ელენე სიმონის ასული**“, **„ამილახვარი-ბაგრატიონისა ელენე ოთარის ასული**“ და ა. შ.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „შვილი“, „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ ნაგულისხმევ პირთა სახელებს, მაგ.: „ქრისტეფორეს ძალიან თურმე მონდომებია ცოლის შერთვა. დედას სწერს ქალი მიშოვეთო.“ ამ შემთხვევაში, საძიებელში გვერდები მითითებული აქვს როგორც ქრისტეფორეს, ისე ადრესანტის დედას – ნინო ქოქრაშვილ-ბაქრაძისას და მისი ანოტაციაც არის წარმოდგენილი.

საძიებელში გვერდები არა გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და არ არის ნათელი, ვისზეა საუბარი, ან როდესაც მთელი ოჯახია მოხსენიებული და არ ჩანს, ოჯახის რომელი წევრები იგულისხმება.

საძიებელში წარმოდგენილია წერილების ადრესატთა მონაცემებიც.

გეოგრაფიული სახელებიც ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით და სწორი დასახელება წარმოდგენილია ფრჩხილებში, მაგ., **„აბასტუმანი (აბასთუმანი)**“, **„ახბულახი (აღბულაღი)“, „ისპანია (ესპანეთი)**“ და სხვ.

საძიებელში ანოტაციები არ დავურთეთ საქართველოს ქალაქებსა (მაგ., თბილისს, ქუთაისს, ქობულეთს, ფოთს და სხვ.) და მხარეებს (მაგ., კახეთს, გურიას, იმერეთს, ფშავს, ხევსურეთს, აჭარას, აფხაზეთს და ა. შ.), აგრეთვე კონტი-

ნენტებს. მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

გარკვეულ შემთხვევებში ლექსიკონში მოცემულ სიტყვას განმარტება არ სჭირდება, მაგ., **„ბულლეტენი“**, **„ეკზემპლარი // ექზემპლარი“**, **„რავდენნი“** და სხვ., მაგრამ ისინი მაინც არის ასახული ლექსიკონში ავტორისთვის დამახასიათებელი ლექსიკის სრულად წარმოჩენის მიზნით.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

1838

მარი ბროსესადმი №1 (1) გვ.: 12-15.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №72.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, დაჩხვლეტილი, ორი დამოუკიდებელი ფურცელი, ზომა: 24,6X19,3სმ.; მარცხენა მხარე ორივე ფურცელს რესტავრირებული აქვს.
თარიღი და ადგილი: «1838, 2 fevri» / «Tiflis. 18 2/17 38»
ხელმოწერა: «Platon Ioseliani Candidat en Théologie, professeur de la Philosophie du Séminaire de Tiflis.»
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Monsieur!» / «À Monsieur Brosset Jeane, membre de l' Academie des science[s] A. П. B.»
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები.
შენიშვნები: 1. შავი ფანქრით არის მიწერილი და სიტყვა ასეა შემოკლებული; 2. „2/17" წილადით წერია; 3-6. ამ სიტყვებში ავტორს მახვილი არა აქვს გამოყენებული; 7. აქ ჯერ დაუწერია მახვილი და მერე გადაუშლია; 8. აქ მძიმე არ წერია; 9-13. არც ამ სიტყვებში წერია მახვილი.
წერილის ადრესატია ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი – მარი ფელისიტე ბროსე.

გვ.: 14, 15. **„ქართული ქრონიკა"** – საუბარია 1830 და 1831 წლებში მარი ბროსეს მიერ ფრანგულად გამოცემულ წიგნზე.

გვ.: 14, 28-29. **„ანტონ კათოლიკოსის წყობილსიტყუაობას"** – 1838 წლის 14 აპრილის წერილიდან ჩანს, რომ ეს წიგნი უკვე გაგზავნილი აქვს.

გვ.: 15, 2. **„პროკლე დიადოხის წიგნის"** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთის-

მეტყველებითნი", რომელიც თარგმნა და განმარტებები დაურთო იოანე პეტრიწმა.

გვ.: 15, 4. **„აკადემიკოსი შეგრენი მოწყალედ დათანხმდა"** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე, რომელიც 1827 წლიდან იყო რუსეთის აკადემიის წევრი.

მარი ბროსესადმი №2 (2) გვ.: 15-18.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №73 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 4r-v, 5r / 36r-v, 37r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 25,5X20,3 სმ.; შესრულებულია ყავისფერი მელნით (ლამაზი კალიგრაფიით), რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში.

თარიღი და ადგილი: „14 avril 1838" / „აპრილის 14ს დღესა 1838ს წელსა ტფილისით."

ხელმოწერა: „თქუჳნდა უმორჩილესი მოსამსახურე საქართუჳლოს აზნაურ-შვილი პლატონ იოსელიანი."

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ადიუნკტ-პროფესორს ს. პეტერბურლის მეცნიერებათა აკადემიისას უფალს ბროსსეტს მოწყალეო ჴელმწიფევ!"

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „და თქუჳნ ძალგიძსთ ჰპოოთ იგი პეტერბურლშიაც". ამასთან, ავტორი აკადემიას უგზავნის თავისი ნაშრომის რუსულ თარგმანს: „შრომასა – ამას ჩემსა რუსულსა ზ˜ა ენასა წარმოუდგენ აკადემიასა სასოებითა ღმერთსა ზ˜ა ივნისისა თთუჳდმდე", ხოლო წერილის ბოლოს მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: „აკადემიკს შეგრენს გთხოვ

უბოძოთ აქავე მდებარე წერილი მისის საჯელით“, რაც ადასტურებს ადრესატის ადგილსამყოფელს.

შენიშვნები: 1. ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი; 2. წარმოვადგენთ ტექსტში გამოყენებულ ქარაგმათა განმარტებებს: მეცნ˜თა – მეცნიერთა; ზ˜ა – ზედა; კ˜დ – კუალად; ს˜დ – სრულიად; მ˜რ – მიერ; შ˜ის – შორის; ფ˜დ – ფრიად; წ˜თასა – წმიდათასა; ჩ˜ისა – ჩუენისა; რ˜ლიცა – რომელიცა; 3. სახელწოდება ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ასეა; 5. ხელნაწერშია „აქადემიას“; 6. ხელნაწერშია „აქუჱნდეს“; 7. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 8. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

წერილის ადრესატია ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი – მარი ფელისიტე ბროსე.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 150-152.

გვ.: 16, 23. **„შრომასა – ამას ჩემსა რუსულსა ზ˜ა“** – საუბარია პლატონ იოსელიანის ნაშრომის – „ისტორიული და ღეოღრაფიული აღწერა ძუელისა საქართველოჲსა“ – რუსულ თარგმანზე: «Историческое и географическое описание Древней Грузии». ამჟამად ხელნაწერი ინახება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის ფილიალში დაცულ მარი ბროსეს არქივში (საქმე №36).

გვ.: 16, 24. **„წარმოუდგენ აკადემიასა“** – მარი ბროსე სწორედ 1838 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

გვ.: 16, 30. **„ჟამთა თავისუფალთა თანამდებობისაგან“** – 1835 წლიდან პლატონ იოსელიანი მსახურობდა თბილისის სემინარიაში.

გვ.: 17, 3-4. **„ქართველთა მეფის ძისა პეტრესი რომელიცა იყო ძე ვარზბაქარ“** – საუბარია IV საუკუნეში მოღვაწე ქართლის მეფე ვარაზ ბაკურსა და მის ძეზე – პეტრე იბერზე.

გვ.: 17, 5. **„რომლისაღაცა ზაქარიასა“** – ამ წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია და მისი ავტორის, ზაქარიას, შესახებაც არაფერია ცნობილი.

გვ.: 17, 13-14. **„ღუბერნატორმა მითხრა ადრევე“** – 1838 წლის 9 მაისამდე თბილისის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორი იყო მიხეილ გრიგოლის ძე ბრაიკო.

გვ.: 17, 26-27. **„მეფის ძეს ბაგრატს“** – საუბარია ბაგრატ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 18, 2-3. **„წყობილსიტყუაობასა, ვჰგონებ აქამდე მიიღებდით“** – საუბარია ანტონ კათალიკოსის წიგნზე.

გვ.: 18, 19. **„აკადემიკს შეგრენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე, რომელიც 1827 წლიდან იყო რუსეთის აკადემიის წევრი.

გვ.: 18, 21. **„ღენერალმან ალექსანდრე ჭავჭავაძემან“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

მარი ბროსესადმი №3 (3) გვ.: 19-20.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №74 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 6r-v, 7r-v; 38r-v, 39r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი, ზომა: 20,1X12,7 სმ.; შესრულებულია ყავისფერი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „12 mai 1838“ / „1838[სა] წელსა მაისის 12[სა] დღესა თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად თქუჱნდა პატივის-

მცემელი უმორჩილესი მოსამსახურე საქ. აზნაურ-შვილი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უპატივ-ცემულესო იმპერატორის აკადემიის თანა-წევრო, უფალო ბროსსეტ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „საულ-დავითიანი ძნელი საშოვნელი წიგნი ყოფილა აქა, ერთს ადგილსა მიმაჰსწავლეს, და ეგების ვიშოვნო. ბატონის-შვილთა პეტრებურღში უნდა აქუნდესთ იგი.“ / „დიდად მსურის ვიცოდე რასა ჰგონებს აკადემია წერილთათჳს, რლ˜ნიცა იპოებიან ათონისა მთასა შ˜ა და იეროსალიმსა.“

შენიშვნები: 1. ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რლ˜თაცა – რომელთაცა; რლ˜იცა – რომელიცა; შ˜ა – შინა; ფ˜დ – ფრიად; რლ˜ნი – რომელნი; რა˜ – რათა; ზა˜ – ზედა; რლ˜საცა – რომელსაცა; რლ˜ნიცა – რომელნიცა; რლ˜სა – რომელსა; 3. „რა“ ორჯერ უწერია; 4. „არავის“ უწერია ცალ-ცალკე: „არა ვის“; 5. „უ“ ზემოთ ორი წერტილით აქვს წარმოდგენილი; 6. ავტორს უწერია „ყოფილო“; 7. ასე ხმარობს ამ ფორმაში პირის ნიშნებს; 8. „შ“ ისე აქვს დაწერილი, რომ „ჟ“-საც ჰგავს; 9. ქარაგმის ნიშანი არ უწერია; 10. ამის შემდეგ ერთი დაუმთავრებელი სიტყვაა გადაშლილი; 11. ასეა; 12. ჩამატებულია; 13. ხელნაწერშია „იეროსალიმსა“; 14. „რ“ და „ს“ სანახევროდ აქვს გადაბმული და, სავარაუდოდ, მათ შორის, „ა“-ც იგულისხმება, ამიტომ აღვადგინეთ; 15. ხაზგასმულია ავტორის მიერ მსხვილად იმავე ფერის მელნით; 16. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 17. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო

შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 152-153.

გვ.: 19, 10. **„ჩემსა შრომასა“** – საუბარია პლატონ იოსელიანის ნაშრომზე „ისტორიული და ღეოღრაფიული აღწერა ძუელისა საქართველოჲსა“.

გვ.: 19, 13. **„საკუთრივ მოგაჴსენოთ სტრაბონისა“** – საუბარია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეებში მოღვაწე ბერძენ ისტორიკოსსა და გეოგრაფზე.

გვ.: 19, 16. **„ბულლეტენთა შ˜ა დაბეჭდილნი“** – საუბარია სამეცნიერო ბიულეტენზე «Bulletin de la Classe historico-philologique», რომელსაც მარი ბროსე გამოსცემდა პეტერბურგის აკადემიაში.

გვ.: 19, 19. **„უფ. დუბოას დაჰკლებია“** – საუბარია შვეიცარელ მოგზაურსა და მკვლევარზე – მარი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეზე.

გვ.: 19, 23. **„საფლავისა ანტონი I[სა]“** – საუბარია ანტონ კათალიკოსზე – თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 19, 24. **„მიიღებს უფ. შეგრენი“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 19, 25-26. **„მეფეთა ირაკლი და გიორგისათა“** – საუბარია ქართლ-კახეთის მეფეებზე – ერეკლე II-სა და გიორგი XII-ზე.

გვ.: 19, 29. **„საულ-დავითიანი“** – საუბარია წიგნზე, რომელშიც, პლატონ იოსელიანის აზრით, ბაგრატიონთა ისტორია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად ბიბლიის მეფეთა წიგნის ნაწილის ასლი აღმოჩნდა.

გვ.: 20, 18-19. **„ჰქმნა უფ. აკადემიკმან სტროევ“** – სავარაუდოდ, საუბარია ცნობილ ასტრონომზე, აკადემიკოს ვასილი იაკობის ძე სტრუვეზე.

მარი ბროსესადმი №4 (4) გვ.: 21-22.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №75 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 8r-v, 9r; 40r-v, 41r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი, ზომა: 20,1X12,6 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „16 juin 1838“ / „ივნისის 16ბბ 1838ბბ წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები პატივის-ცემითა მარად მზა ნებისა თქუჳნისა აღსრულებისა იოსელიანი პლატონ!“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მისს მაღალ-კეთილშობილებას ორდინარნის აკადემიკოსს უფ. ბროსსეტს“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მოიკითხავს იქ მცხოვრებ იმერეთის დედოფალსა და აკადემიკოს შეგრენს: „გთხოვთ ამასთან მდებარე წერილი იმერეთის დედოფალს მიართოთ დიდად საჭირო წერილია მისთჳს. – გთხოვთ უ. შეგრენი მომიკითხოთ.“

შენიშვნები: 1. ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: მ˜რ – მიერ; ჭტ˜ად – ჭეშმარიტად; შ˜ა – შინა; კ˜დ –კუალად; რლ˜ნი – რომელნი; რლ˜იცა – რომელიცა; 3. წაშლილი აქვს „ცა“ ნაწილაკი; 4. სათაური ხაზგასმულია; 5. ამის შემდეგ გადახაზულია „ანუ“; 6. „ა“ გამორჩენილია; 7. „ნ“ არ უწერია; 8. ხელნაწერში აქ მძიმე არ წერია; 9. ხაზგასმულია; 10. ტექსტში ორივე სიტყვა მახვილების გარეშეა; 11. „v“-ს ნაცვლად უწერია „f“; 12. ხელნაწერში „a“-ს მახვილი საწინააღმდეგო მიმართულებით აქვს; 13. მახვილის გარეშეა; 14.

ორივე შემთხვევაში „სა“ ცალკე წერია; 15. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 153-154.

გვ.: 21, 10. **„ალექსანდრე ჭავჭავაძეს მივართვი“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 21, 20. **„პეტრეს მაიმუსის ცხოვრებას“** – სავარაუდოდ, საუბარია V საუკუნის საეკლესიო მოღვაწეზე, მაიუმის ეპისკოპოსს პეტრე იბერიელზე.

გვ.: 21, 24. **„ორი თთუჱ ვაკაცია“** – იგულისხმება ორთვიანი არდადეგები.

გვ.: 21, 25-26. **„იმერეთის დედოფალს მიართოთ“** – საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ქვრივზე – მარიამ კაციას ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 21, 27. **„უ. შეგრენი მომიკითხოთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 22, 3-4. **«Memoire inedite, relatife à la langue et a la littérature géorgienne»** – საუბარია 1933 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნზე: „გამოუქვეყნებელი მოგონებები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ“.

გვ.: 22, 5. **«Chronique géorgi[e]nne, traduite par vous»** – საუბარია 1831 წელს მარი ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილ და პარიზში გამოცემულ ქართულ ქრონიკებზე.

მარი ბროსესადმი №5 (5) გვ.: 22-24.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №76 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 10r-v, 11r-v; 42r-v, 43r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალა-

ქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი, ზომა: 20,1X12,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „20 juin 1838“ / „ივნისის 23ს დღესა 1838ს წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად მზა სამსახურისა თქუჱნდა ჩუჱნებად იოსელიანი პლატონ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალს იმპერატორის აკადემიის ორდინარნის აკადემიკოსს ბროსსეტს!“ / „მოწყალეო ჴელმწიფევ“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „რაჲ შეუდგება ჩემს წიგნსა აკადემიაში მაქუს იმედი მაცნობებთ“. ამასთან, ავტორი მოიკითხავს იქ მცხოვრებ თანამემამულეებს: „გთხოვთ გაისარჯოთ, და ბატონის-შვილს თეიმურაზს ჩემ-მიერი თაყუანის-ცემა განუცხადოთ“ / „დავით ჩუბინოვი მომიკითხეთ.“

შენიშვნები: 1. ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი; 2. რომლისაცა; 3. ასეა (ასიმილაციური დაყრუება); 4. „7“ ოდნავ დაშორებულია 130-ისგან, შუაში ხაზი აქვს, რაც ამ დროის ნაწერებისთვის უცხოა. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ შუა ხაზით წაშლილია, რადგან უფრო მკვეთრად შეიძლებოდა მისი წაშლა, არა შუა ხაზით, რომელიც მას „7“–ის ასოციაციას ვერ დააკარგვინებდა. ამიტომ, რადგანაც „7“ ნათლად იკითხება, ჩვენც ვტოვებთ; 5. „ში“ თანდებულის წინ მიცემითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია; 6. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 7. „სა“ ორივე შემთხვევაში ციფრიდან შორს უწერია; 8. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 9. ასეა (რუსული ენის გავლენა).

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუ-

მის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 154-155.

გვ.: 23, 5. **„პატრონი მისი ტფ. მღუდელი ეფრემ ალექსიევი“** – საქართველოს ისტორიულ არქივში დაცულია ამ პირის ხელნაწერი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ის იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის, მარიამ ციციშვილ-ბაგრატიონის მოძღვარი.

გვ.: 23, 6-7. **„ნიკოლაი დავიდიჩმა ჩუბინოვმან“** – საუბარია დავით ჩუბინაშვილის გამზრდელ ბიძაზე, ქართველ მწიგნობარზე, მთარგმნელზე, ლექსიკოგრაფსა და არქეოლოგზე.

გვ.: 23, 13. **„პეტრე ქართუჱლისა ცხოვრებასა ჰსწერენ“** – საუბარია V საუკუნის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეზე – პეტრე იბერზე.

გვ.: 23, 15. **„სენატორს ღანს (Hans) მოუვიდა თქუჱნი წერილი“** – საუბარია საიდუმლო მრჩეველ ბარონ პავლე ვასილის ძე ჰანზე, რომელიც 1836 წლიდან იყო სენატორი.

გვ.: 23, 17. **„ალექსანდრე ჭავჭავაძემან კუალადცა მოგიკითხათ“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 23, 22. **„ბატონის-შვილს თეიმურაზს“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 23, 4. **„საულ-დავითიანი ერთი იპოება თელავის ქალაქში“** – საუბარია წიგნზე, რომელშიც, პლატონ იოსელიანის აზრით, ბაგრატიონთა ისტორია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად ბიბლიის მეფეთა წიგნის ნაწილის ასლი აღმოჩნდა.

მარი ბროსესადმი №6 (6) გვ.: 24-25.

ავტოგრაფი: L, №961-დ. 1r.
ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ქაღალდი; ხელნაწერის

მარცხენა მხარეს ვერტიკალურად სამი ბეჭედია, აქედან ორი – გერბიანი.

თარიღი და ადგილი: „თფილისით. 18 VI/23. 38“

ხელმოწერა: „პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალს აკადემიკოსს ბროსსეტს!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „გთხოვთ ესეც მიიღოთ და ჩემ-მიერვე აკადემიისა კოლლექციას აზიურთა წიგნთასა დაჰრთოთ.“ ამასთან, ავტორი მოიკითხავს იქ მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილს: „გთხოვთ მეფის-ძეს თეიმურაზსაც უჩუჱნოთ!“

შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია; 3. გვარი ერთი „s“-თი უწერია; 4. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 5. ამ სიტყვის ქვეშ ისარია ქვედა მარცხენა მხრიდან ზედა მიმართულებით.

გვ.: 24, 15-16. **„აფხაზთა თანა დიდის სოლომონის 1ს იმერთა მეფისა ბრძოლა“** – სავარაუდოდ, საუბარია 1779 წლის რუხის ბრძოლაზე, როდესაც იმერეთის მეფის, სოლომონის, წინააღმდეგ ოსმალებთან ერთად იბრძოდნენ აფხაზები, ალანები, ჩერქეზები და სხვა კავკასიელი ტომები.

გვ.: 24, 21. **„Georgica! №24“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ჟურნალის ნომერი.

გვ.: 24, 22-23. **„მეფის-ძეს თეიმურაზსაც უჩუჱნოთ“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

მარი ბროსესადმი №7 (7) გვ.: 25-27.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №77 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 12r-v, 13r-v; 44r-v, 45r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალა-

ქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი, ზომა: 20X12,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; IV გვერდზე აქვს წითელი ლუქის ნარჩენი.

თარიღი და ადგილი: „4 aout 1838“ / „აგვისტოს 4ს დღესა 1838ს წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად-პატივის მცემელი თქუჳნი იოსელიანი პლატონ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუჳნო მაღალ-კეთილშობილებავ! მოწყალეო ჴელმწიფევ! უფ. ბროსსეტ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „ჩემი წიგნი აკადემიაში ვჰგონებ მოვიდა.“ ამასთან, ავტორი მოიკითხავს იქ მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილს: „გთხოვთ გაისარჯოთ და მეფის-ძეს თეიმურაზს ჩემ-მიერი თაყუანისცემა განუცხადოთ.“

შენიშვნები: 1. ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი; 2. წარმოვადგენთ ტექსტში გამოყენებულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლ – რომელ; რ˜ლისათჳსცა – რომლისათვისცა; ფ˜დ – ფრიად; შ˜ა – შინა; ა˜დ – არამედ; ზ˜ა – ზედა; შ˜ს – შორის; რ˜ლისა – რომლისა; კდ˜ცა – კუალადცა; 3. ორმაგი მრავლობითი აქვს გამოყენებული; 4. რუსულის გავლენაა; 5. ასეა; 6. ხელნაწერში წერტილი არ წერია; 7. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 8. „სა“ ორივე შემთხვევაში ციფრიდან შორს უწერია; 9. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 155-156.

გვ.: 26, 4. **„უმეცარნი ერნი საჴელწოდებით დეკანოზნი“** – საუბარია ხევში ხატ-სალოცავების მსახურებზე.

გვ.: 26, 24-25. **„ცხოვრებასა პეტრე მაიმუსისსა“** – საუბარია V საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, მაიუმის ეპისკოპოს – პეტრე იბერიელის ცხოვრებაზე.

გვ.: 26, 26. **„ჩემი წიგნი აკადემიაში ვჰგონებ მოვიდა“** – საუბარია პლატონ იოსელიანის წიგნის – „ისტორიული და ღეოღრაფიული აღწერა ძუელისა საქართველოჲსა“ – რუსულ თარგმანზე.

გვ.: 27, 5. **„მეფის-ძეს თეიმურაზს“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილზე.

გვ.: 27, 5. **„ალექსანდრე ჭავჭავაძე აქ არ იმყოფება“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

მარი ბროსესადმი №8 (8) გვ.: 27-28.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №78 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 14r; 46r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 24,7X19,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგილზე, შუაში, გახეულია, I და IV გვერდებზე აქვს წითელი ლუქის ნარჩენები; IV გვერდზე მისამართი წერია.

თარიღი და ადგილი: „26 aout 1838“ / „აგვისტოს 26ს დღესა 1838ს წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად თქუჱნი პატივისმცემელი იოსელიანი პლატონ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ! უფალო აკადემიკო ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: «Экстраординарному Академику Г. Броссе. в С. Петербург. от Іоселиани.»

შენიშვნები: 1. ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი;

2. „სო“ არ უწერია, რუსული ფორმით აქვს მოცემული; 3. წარმოვადგენთ ტექსტში გამოყენებულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლმანცა – რომელმანცა; რ˜ლნიცა – რომელნიცა; 4. ხელნაწერშია „მომსრურელისა“; 5. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 6. „სა“ ორივე შემთხვევაში ციფრიდან შორს უწერია; 7. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 156-157.

გვ.: 27, 13. **„პროფესორი პეტერბურღის უნივერსიტეტისა პოროშინი“** – იგულისხმება რუსი ეკონომისტი ვიქტორ სტეფანეს ძე პოროშინი, რომელიც 1835 წლიდან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

გვ.: 27, 17-18. **„მომიკითხოთ უფ. შეგრენ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №9 (9) გვ.: 28-31.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №79 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 15r-v; 16r-v / 32r-v; 33r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: ყავისფერი, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 26,2X20,2 სმ.; შესრულებულია ყავისფერი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი შელახულია, გვერდები მოცვეთილი აქვს და ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; ალაგ-ალაგ მელნით არის ამომწვარი.

თარიღი და ადგილი: „1 sept 1838“ / „სეკდემბრის 1[ბა] დღესა 1838 წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად პატივის-ცემითა უმორჩილესი მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალს აკადემიკს ბროსსეტს. – მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „პროფჱსსორის პეტერბ. უნივერსიტეტისა უფ. პოროშინისათა, რ˜ლიცა დაბრუნდა უკანვე აქედამ შიშისათჳს განძლიერებულისა ჭირისა ქალაქსავე ახალციხეს. პოროშინი მოგიტანსთცა წერილსა ჩემსა მცირესა.“ ამასთან, ავტორი მოიკითხავს იქ მცხოვრებ თანამემამულეებს: თეიმურაზ ბატონიშვილსა და მის მეუღლეს, ასევე აკადემიკოს შეგრენს: „გთხოვ განუცხადოთ ჩემ-მიერი თაყუანისცემა მეფის-ძეს თეიმურაზს და მეუღლესა მისსა მეფის-ჰრძალს ელენას.“ გთხოვთ განუცხადოთ უფალს შეგრენს ჩემ-მიერი პატივის-ცემა.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; ამასთან, თარიღი – „1 sept 1838“ – ფურცლის თავში შავი ფანქრითაა მიწერილი; 2. „პ“-ს ნაცვლად „ფ“ უწერია; 3. ხაზგასმულია; 4. წარმოვადგენთ ტექსტში გამოყენებულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლიცა – რომელიცა; შ˜ა – შინა; რ˜ლნიცა – რომელნიცა; რ˜ა – რათა; ა˜დ – არამედ; შ˜დ – შემდგომად; ზ˜ა – ზედა; ხ˜ – ხოლო; რ˜ლისაცა – რომლისაცა; რ˜ლ – რომელ; სხ˜ცა – სხუანიცა; წ˜ის – წმიდის; წ˜წყლებათა – წინასწარმეტყუელებათა; ქ˜ესდა – ქრისტესდა; ი˜ე ქ˜ე – იესო ქრისტე; 5. ხაზგასმულია; 6. ასეა; 7. ამის შემდეგ გადაშლილია „იგინი“; 8. „წიგ“-ის შემდეგ დაუწერია „სხუჱბრ“, წაუშლია და მერე დაუმთავრებია სიტყვა; 9. იკითხება „ყოფილის“; 10. ხაზგასმულია იასამნისფერი ფანქრით; 11. ქარაგმის ნიშანი არ ახლავს; 12. მრავლობითის ფორმით არა აქვს მოცემული; 13-14. ქარაგმის ნიშანი არ ახლავს; 15. ჩამატებულია; 16. არასწორადაა დაქარაგმებული; 17. სათაური ხაზგასმულია; 18. ასეა; 19. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 20. ქვეშ ფიგურალური

ფრჩხილი აქვს; 21. „დ“ არ უწერია; 22. ჩამატებულია; 23. ხაზგასმულია; 24. ასეა; 25. ხაზგასმულია; 26. აქ გარკვეული სიმბოლო წერია, რომელიც „7“-საც ჰგავს და „ქ-“საც; 27. ასეა; 28. ამის შემდეგ დიდი შუალედია ბოლო აბზაცამდე; 29. ამის შემდეგ გადახაზულია „სამ“; 30. ორივე შემთხვევაში წერტილი ფრჩხილის შიგნით უწერია; 31. ასეა; 32. „ნა“ არ წერია; 33. ხელნაწერში იკითხება „შეგრენეს“.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 157-159.

გვ.: 28, 12. **«Discour etc.»** – სათაური ბოლომდე არ წერია და გაურკვეველია, რა წიგნი იგულისხმება.

გვ.: 28, 13. **„შეგრენისაგან მივიღე“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 28, 13-14. **„ჴელითა ზიაბლოტსკისათა და პროჶესორის პეტერბ. უნივერსიტეტისა უფ. პოროშინისათა“** – იგულისხმება რუსი ეკონომისტი ვიქტორ სტეფანეს ძე პოროშინი. უნდა იგულისხმებოდეს გვარი ზაბოლოტსკი, მაგრამ სახელი უცნობია და დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 28, 19-20. **„გავუგზავნე მჰსწრაფლვე თ. ჭავჭავაძეს“** – საუბარია ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 29, 15-17. **„საკეთილ-შობილოს სასწავლებელის ყოფილს მოძღუარს მღუდელს იოანე ქართველოვს“** – სავარაუდოდ, საუბარია ქართული გრამატიკის ავტორსა და მემუარისტზე – იოანე ქართველიშვილზე, რომელიც ასევე იყო იულონ ბატონიშვილის მოძღვარი.

გვ.: 29, 29-30. **„გარდაცუალებულს ბატონის-რძალს და ჩემდა ნათლიად ყოფილს ელენას დავით ბატონის-შვილის მეუღლეს“** – საუბარია დავით გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონის მეუღლეზე – ელენე სიმონის ასულ აბამელიქ-ბაგრატიონისაზე, რომელიც 1836 წელს გარდაიცვალა.

გვ.: 29, 31. **„წ˜ის მიტროჶანის ცხოვრება“** – სავარაუ-

დოდ, საუბარია ვორონეჟის ყოფილ ეპისკოპოსზე, რომელიც 1832 წელს შერაცხეს წმინდანად.

გვ.: 29, 32-33. **„მივართვი მეფის-ძეს ბაგრატს**...“ – საუბარია ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის ძეზე – ბაგრატ ბაგრატიონზე.

გვ.: 30, 7. **„მეფის-ძეს ფარნაოზს“ –** საუბარია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ძეზე – ფარნაოზ ბაგრატიონზე.

გვ.: 30, 8. **„ანდერძი არჩილი მეფისა“** – სავარაუდოდ, იგულისხმება იმერეთისა და კახეთის მეფე არჩილ II ვახტანგის ძე ბაგრატიონი.

გვ.: 30, 8-9. **„წერილი კონსტანტინე ქართუჭლთ მეფისა იზაბელასადმი ისპანიას“** – საუბარია ქართლის მეფის, კონსტანტინე II დემეტრეს ძის, წერილზე ესპანეთის დედოფალ იზაბელა I კასტილიელისადმი.

გვ.: 30, 10-11. **„იმერთა დედოფალს მარიამს“** – საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ქვრივზე – მარიამ კაციას ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 30, 12. **„ლუტერისა გამოჩენისა ისტორია“** – საუბარია ლუთერანული მოძღვრების ფუძემდებელ მარტინ ლუთერზე.

გვ.: 30, 12-14. **„სიტყუა მოსკ. მიტროპოლიტისა ფილარეტისა თქმული წინაშე ჴელმწიფე იმპერატორისა 1835 აპრ. 30“** – საუბარია რუსეთის მიტროპოლიტ ფილარეტსა (ვასილი მიხეილის ძე დროზდოვსა) და იმპერატორ ნიკოლოზ I-ზე.

გვ.: 30, 17-18. **„პატიოსანის მღუდლის იოანე ჯაფარიძისათჳს“** – დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 30, 19-20. **„ცხოვრებასა პეტრე ქართუჭლისასა“** – საუბარია V საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, მაიუმის ეპისკოპოსის პეტრე იბერიელის, ცხოვრებაზე.

გვ.: 30, 31-32. **„მეფის-ძეს თეიმურაზს და მეუღლესა მისსა მეფის-ჰრძალს ელენას“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონსა და მის მეუღლეზე – ელენე ოთარის ასულ ამილახვარ-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 31, 6. **„პროტასოვისაგან ჯერეთ მოწერილობა არ მო-**

სულა“ – სავარაუდოდ, საუბარია სინოდის ობერპროკურორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პროტასოვზე.

გვ.: 31, 13-14. **„შეგრენს ჩემ-მიერი პატივის-ცემა“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 31, 14-15. **„ხრისტოფორემან გუშინ ე. ი. 31ს აგვისტოს მიიღო მისი წერილი“** – გვარი მითითებული არ არის და გაურკვეველია ქრისტეფორეს ვინაობა.

მარი ბროსესადმი №10 (10) გვ.: 32-34.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №80 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 17r-v; 18r-v / 48r-v; 49r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: ყავისფერი, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 25,3X20,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი რესტავრირებულია; იგი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „ოკდომბრის 6ს დღესა 1838ს წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჩბრ დავჰშთები მარად თქუჩნი პატივის-მცემელი უმორჩილესი მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს და იქ მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილს: „გთხოვ ამისთჳს ეზრახოთ უფ. შეგრენს და დიდის პატივის-ცემით მომიკითხოთცა.“ / „გთხოვთ მეფის-ძეს თეიმურაზს განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივის-ცემა და თაყუანის-ცემა.“

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში გამოყენებულ ქარაგ-

მათა განმარტებებს: შ˜დ – შემდგომად; რ˜ლსაცა – რომელსაცა; შ˜ა – შინა; შ˜ს – შორის; ს˜დ – სრულიად; რ˜ლთაცა – რომელთაცა; რ˜ლიცა – რომელიცა; ფ˜დ – ფრიად; რ˜ლთათჳს – რომელთათვის; ზ˜ა – ზედა; მ˜რ – მიერ; რ˜ა – რათა; რ˜ლ – რომელ; ჭ˜ტად – ჭეშმარიტად; რ˜ლიცა – რომელიცა; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ასეა; 4. ეს ნაწილი აბზაცით არ არის გამოყოფილი, მაგრამ, რადგან მარცხენა მხრიდან ნუმერაცია აქვს ავტორს მოცემული და დანარჩენი ნომრები აბზაცებით აქვს გამოყოფილი, ჩვენ ეს აბზაციც გამოვყავით; 5. სათაური ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ასეა; 7. „გ“ გამორჩენილი აქვს; 8. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. ხელნაწერშია „ღირსსებისა; 10. ასეა; 11. ავტორს სრულად არ უწერია სიტყვა; გამოტოვებული ადგილი აღვადგინეთ; 12. ხელნაწერშია „მცირედ-ცარი“. როგორც ჩანს, ავტორს დაავიწყდა ასოების წაშლა; 13. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები გაკვრით წერია და ასო ასოს არ ჰგავს; 14. ასეა; 15. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 16. „სა“ ორივე შემთხვევაში ციფრიდან შორს წერია; 17. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 160-161.

გვ.: 32, 27. **„პეტრეს მიერ ქმნილისა ისტორიისა“** – მარი ბროსეს არასწორად ახსოვდა, თითქოს პლატონ იოსელიანი შეჰპირდა პეტრე იბერის მიერ დაწერილი ისტორიის გაგზავნას.

გვ.: 32, 29-30. **„ცხოვრება პეტრე მაიმუსელ ეპისკოპოსისა“** – საუბარია V საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, მაიუმის ეპისკოპოს პეტრე იბერიელის, ცხოვრებაზე.

გვ.: 33, 12-14. **„ვახტან[გ] გორგასლანისა, კათოლიკოზის ნიკოლოოზისა, მეფის გიორგისა მის მიერ დაგჳრგჳნებულისა“** – საუბარია V საუკუნის ქართლის მეფე ვახტანგ I-ზე, კათალიკოს ნიკოლოზ IX-სა (ამილახვარი) და მეფე გიორგი XI-ზე.

გვ.: 33, 20-21. **„აქაურს მთავარს გოლოვინსა“** – საუბარია კავკასიის იმჟამინდელ მთავარმართებელ ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინზე.

გვ.: 34, 6-7 **„ეზრახოთ უფ. შეგრენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 34, 10-11. **„რ˜ლიცა აქუს ყორღანოვსა, მიცემულსა უფ. შოპენისაგან“** – სავარაუდოდ, საუბარია 1837 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერ მოსესა ყორღანაშვილსა და ისტორიკოსსა და ეთნოგრაფ ივან ივანეს ძე შოპენზე, რომელიც 1838 წლამდე კავკასიაში მსახურობდა და შემდეგ გადავიდა რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში.

გვ.: 34, 22. **„წილოსანს თქუჱნგან წერილი მივუტანე“** – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ იოსებ ლაზარეს ძე წილოსანზე, რადგან სხვა წერილებში საუბარია მის მიერ აღებულ „პოდრიადებსა“ და გაკოტრებაზე.

გვ.: 34, 25. **„მეფის-ძეს თეიმურაზს განუცხადოთ“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

მარი ბროსესადმი №11 (11) გვ.: 35-36.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №81 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 19r-v; 20r / 50r-v; 51r.

ავტოგრაფის აღწერილობა: ყავისფერი, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი, ზომა: 20,4X12,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; მეორე ფურცელს ქვედა მხრიდან მცირე შენახევი აქვს; მეოთხე გვერდზე წითელი ლუქის ნარჩენია; პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე შავი მელნითვე ვერტიკალურად წვრილად უწერია 3 3 5, მერე ხაზი და 11. ასევე, მეორე გვერდის მარცხენა არშიაზე ამავე სახით უწერია 11 2 3 1 1 1 2 2 2 1 2 1 1 1 1, მერე ხაზი და 32. ორივე შემთხვევაში ციფ-

რები შეკრებილი აქვს.

თარიღი და ადგილი: „ნოემბ. 10ს 1838ს წ. ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად პატივის-მცემელი თქუჱნი იოსელიანი პლატონ“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მას პროფესორ პოროშინთან სიტყვას აბარებს: „ჰსთხოვოთ პროფ. პოროშინს რომ ცენსორიდამ ბილეთი ჩქარა მოგვივიდეს.“ ამასთან, უგზავნის თავის მიერ დაბეჭდილ პოემებს და მათი თითო ეგზემპლარის აკადემიის მუზეუმისთვის გადაცემას სთხოვს: „თჳთო ექზემპლარი ჩემ-მიერ შეჰსწიროთ თქუჱნისა აკადემიისა მუზეუმსა.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ხელნაწერშია „ექმნებით“; 3. ნუმერაციის „1“ და „2“ ციფრები გადაშლილი აქვს, თუმცა „3“ არ არის გადახაზული და ამიტომ „1“ და „2“ ციფრებიც აღვადგინეთ; 4. სრულიად; 5. ხელნაწერშია „მაძლევან“; 6. ხაზგასმულია; 7. „სა“ ორივე შემთხვევაში ციფრიდან შორს წერია; 8. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 162-163.

გვ.: 35, 3. **«Exsplication de diverses inscriptions Georg Ac.»** – საუბარია მარი ბროსეს წიგნზე «Explication de diverses inscriptions géorgiennes, arméniennes et Greques» („სხვადასხვა ქართული, სომხური და ბერძნული წარწერების შესახებ“), რომელიც გამოსცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ.

გვ.: 35, 5. **„წარვუგზავნი ქუთათელაძეს“** – სახელი უცნობია და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა.

გვ.: 35, 7. **„მძიმესა ფოჩტით გამოვჰგზავნე“** – რუსეთის

იმპერიაში არსებობდა ფოსტის სამი სახე: მსუბუქი, მძიმე და სასწრაფო (ექსტრემალური).

გვ.: 35, 11. **„დედოფალს და მიხაილ ბატონის-შვილს“** – სავარაუდოდ, საუბარია ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალზე – მარიამ გიორგის ასულ ციციშვილ-ბაგრატიონისაზე და მის ვაჟზე – მიხეილ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 35, 15-16. **„ჰსთხოვოთ პროჶ. პოროშინს“** – იგულისხმება რუსი ეკონომისტი ვიქტორ სტეფანეს ძე პოროშინი, რომელიც 1835 წლიდან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

გვ.: 35, 17. **„დადიანთა გრიგოლ და კონსტანტინესთჳს“** – საუბარია 1788-1804 წლებში ოდიშის მთავარ გრიგოლ კაცია II-ის ძე დადიანსა და მის შვილიშვილზე – კონსტანტინე ლევან V-ის ძე დადიანზე.

გვ.: 35, 18-19. **„მუხრანის ბატონისა ძეთათჳს ირაკლისა, ალექსანდრესსა და გიორგისა“** – საუბარია კონსტანტინე იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟებზე: ირაკლიზე, ალექსანდრესა და გიორგიზე.

გვ.: 35, 19. **„უნივერს. პროჶ. მირზა ჯაფარას“** – საუბარია იმხანად სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორზე, აღმოსავლეთმცოდნე მირზა ჯაფარ თოფჩიბაშევზე.

გვ.: 35, 19-20. **„იზმაილოვს მიხაილს“** – პიროვნების მამის სახელი უცნობია, ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, მაგრამ, შესაძლოა, საუბარი იყოს იმ მიხეილ იზმაილოვზე, რომელმაც 1816 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია, 1876 წელს კი იხსენიება არქიმანდრიტად.

გვ.: 35, 20. **„ბიძასა ჩემსა ღენერალს იოსელიანსა“** – საუბარია ზაქარია ონისიმეს ძე იოსელიანზე.

გვ.: 35, 20-21. **„ღენერალთა ბაგრატიონთა“** – საუბარია იმერეთის შტოს წარმომადგენლებზე, გენერლებზე – ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონებზე.

გვ.: 35, 21. **„მეფის-ძეს თეიმურაზს“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 35, 21-22. **„მეფის ძეს ფარნაოზს“** – საუბარია ფარნაოზ ერეკლე II-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 35, 22. **„მეფის-ასულს რიფსიმას“** – საუბარია რიფსიმე გიორგი XII-ის ასულ ბაგრატიონზე.

გვ.: 35, 22. **„მეფისძეს ბაგრატს“** – საუბარია ბაგრატ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 35, 23. **„უფ. შეგრენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 35, 23. **„აკადემიკს ჭრენს“** – საუბარია აღმოსავლეთმცოდნესა და ნუმიზმატ, აკადემიკოს ქრისტიან დანიელის ძე ფრენზე.

გვ.: 35, 23-24. **„მეფის-ძის ძეს ლუარსაბს“** – სავარაუდოდ, საუბარია ერეკლე II-ის შვილიშვილზე – ლუარსაბ იულონის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 36, 1-2. **„უფ. უსტრიალოვისაგან განხილულისა“** – საუბარია რუს ისტორიკოსზე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნკტ ნიკოლოზ უსტრიალოვზე.

გვ.: 36, 4. **„საულ-დავითიანი ჯერ არ მომსულია“** – საუბარია წიგნზე, რომელშიც, პლატონ იოსელიანის აზრით, ბაგრატიონთა ისტორია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად ბიბლიის მეფეთა წიგნის ნაწილის ასლი აღმოჩნდა.

გვ.: 36, 9. **„ღენ. ჭავჭავაძესთჳს გამოგეგზავნათ“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

მარი ბროსესადმი №12 (12) გვ.: 36-38.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №82 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 21r-v, 22r-v / 52r-v, 53r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი, ზომა: 22,4X13,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც ფურცლებში იმდენადაა გაჟღენთილი, რომ კითხვას ართულებს;

ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „დეკ. 29ს.ა. დღესა 1838ს.ა. წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ! უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „რუჱული ესე და სახე მეფისა გიორგისა მომიძღუნია აკადემიისათჳს, და გთხოვთ წარუდგინოთ იგი ჩემ-მიერ კონფერენცი[ა]სა.“ ამავე დროს, ავტორი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: „უფ. შეგრენ მომიკითხეთ და განუცხადეთ ჩემ-მიერი პატივისცემა.“

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს; რ̃ლთაცა – რომელთაცა; შ̃ს – შორის; რ̃ლ – რომელ; რ̃ა – რათა; რ̃ლსაცა – რომელსაცა; რ̃ლისა – რომლისა; რ̃ლისადმიცა – რომლისადმიცა; კ̃დ – კუალად; შ̃დ – შემდგომად; რ̃ლიცა – რომელიცა; ფ̃დ – ფრიად; ღ̃სა – ღმერთსა; 2. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო „ექმნებათ“; 3. „ადგილისა ამისთჳს“ ჩამატებულია; 4. „მებრ“ ცალკე უწერია; 5. „ა“ გამორჩენილია; 6. „დმდე“ ხაზგასმულია; 7. ხელნაწერში აქ ორწერტილი ზის; 8. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. სახელწოდება ხაზგასმულია; 10. ხაზგასმულია; 11. ხელნაწერში აქ წერტილი წერია. როგორც ჩანს, მერე გააგრძელა აზრი და წერტილის წაშლა დაავიწყდა; 12. ამ შემთხვევაში დეფისის გარეშეა წარმოდგენილი.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 163-164.

გვ.: 37, 6. **„საჴე გიორგი მეფისა“** – არ არის დაკონკრე-

ტებული, რომელი მეფე გიორგი იგულისხმება.

გვ.: 37, 25. **„ვახტანგისა ისტორია აქუს“** – სავარაუდოდ, საუბარია ვახტანგ VI-ის დავალებით შედგენილ საქართველოს ისტორიაზე, რომელიც მოიცავდა იმ პერიოდს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ არ შედიოდა, კერძოდ, XIV-XVII საუკუნეებს. „ქართლის ცხოვრების“ ამ შევსებულ ვერსიას „ახალ ქართლის ცხოვრებასაც“ უწოდებდნენ.

გვ.: 37, 29. **„მეფის-ძემან თეიმურაზმანცა“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 38, 1-2. **„მოილაპარაკებთ უფ. კოცებუსთან“** – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის კორპუსის მეთაურზე, გენერალ პავლე ევსტათეს ძე კოცებუზე.

გვ.: 38, 3. **„უფ. აკადემიკს. კეპპენთან“** – საუბარია ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენზე.

გვ.: 38, 6-8. **„მეფისა გიორგისა, განმაახლებელისა ტაძრისა მის და დამხატუჱლისა; კათოლიკოზის ნიკოლოოზისა; გორგასლანისა**“ – საუბარია მეფე გიორგი XI-ზე, კათალიკოს ნიკოლოზ IX-სა (ამილახვარზე) და ვახტანგ გორგასალზე.

გვ.: 38, 17-18. **„აბეჭდინებდა ს. დოდაევი“** – საუბარია ცნობილ ქართველ სწავლულზე – სოლომონ იოანეს ძე დოდაშვილზე.

გვ.: 38, 27. **„უფ. შეგრენ მომიკითხეთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

1839

მარი ბროსესადმი №13 (13) გვ.: 39-40.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №83 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 23r / 54r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორ-

მატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 26,4X20,3 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია; IV გვერდზე ადრესატის მისამართია რუსულ ენაზე. აქვეა დიდი წითელი ლუქი და მართკუთხედი ფორმის შავი ბეჭედი.

თარიღი და ადგილი: „მარტის 2^{სა} დღესა 1839^{სა} წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად პატივის-მცემელი თქუჱნი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ უფალო ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук Экстраординарному Академику Г. Броссе! в С. Петербурге. На Васильев. острову в 7ой линіи в доме Академіи Наук.»

შენიშვნები: 1. ხელნაწერშია „კანტორსა“; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემული ქარაგმების განმარტებებს: პ˜ლად – პირველად; რ˜ლისაცა – რომლისაცა; 3. ჩამატებულია; 4. მსხვილი ხაზია ქვეშ გასმული, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 5-7. ქვეშ ფიგურალური ფრჩილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 165.

გვ.: 39, 8-9. **„მომცა უფ. შეგრენმან“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 39, 9-10. **„თქუჱნგან თხოვნილსა ჟურნალსაც დოდ.“** – სავარაუდოდ, შემოკლებაში იგულისხმება დოდაშვილი, რადგან წინა წერილში საუბარი იყო სოლომონ დოდაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალზე.

გვ.: 39, 13. **„ბატონის-შვილის თეიმურაზისა“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

მარი ბროსესადმი №14 (14) გვ.: 40-42.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №84 (ძველი S – 9747/2). ორმაგი პაგინაციით: 25r-v, 26r-v / 56r-v, 57r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი, ზომა: 20,4X13,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია, ქვედა მხრიდან გადაკეცვის ადგილას 7,5 სმ-ზე შეხეულია; აქვს მელნის ლაქები და ზედა მხარეს მელნით ამომწვარი ადგილი; ფურცელი ალაგ-ალაგ ამოხეულია; მეორე ფურცლის შიდა მხარეს (III გვერდზე) მარცხენა მხრიდან დაკრულია არასტანდარტული ფორმის პატარა თეთრი ქაღალდი, რომელზეც ასევე წერილის ბოლო ნაწილია განთავსებული. ფურცლის ზომა: 10,7X3,5 სმ. (მარცხენა მხარე), 6,5 სმ. (მარჯვენა მხარე).

თარიღი და ადგილი: „მარტის 9ს.ძ. 1839ს.ძ. წელსა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად მზა რ˜ა ვიღუწიდე ძალისამებრ ჩემისა მამულისათჳს და ლიტტერატურისა მისისა უმორჩილესი მომსახურე თქუჱნი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალს ექსტრა-ორდინარნის აკადემიკს ბროსსეტს! მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მას სწერს: „ვჰგონებ თქუჱნზედ ახლოს იყოს დგომით, რადგანაც უნივერსიტეტში არის ადიუნკტად.“

შენიშვნები: 1. შემდგომად; 2. ღმრთისათა; 3. ხელნაწერშია „კორრესპონტენტად“; 4. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი არ იკითხება, რადგან ამ ადგილას ხელნაწერი ამომწვარია; 5. სრულიად; 6. რომელსაცა; 7. ამის შემდეგ გადახაზულია „ჴელითა“; 8. მიერ; იგი მიბმულია სიტყვასთან; 9. ასეა; 10. „ი“ გამორჩენილი აქვს; 11. შინა; 12. რომელთა; 13.

შორის; 14. შემდგომად; 15. „სი“ არ წერია; 16. შორის; 17. მიერ; 18. ხელნაწერშია „ელოდთით“; 19. მიერ; იგი მიბმულია სიტყვასთან; 20. ყოვლადსა; 21. რათა; 22. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 23. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 165-167.

გვ.: 40, 8. **„გარდაეცითა წერილი ჩემი უფ. პოროშინს“** – იგულისხმება რუსი ეკონომისტი ვიქტორ სტეფანეს ძე პოროშინი.

გვ.: 40, 9. **„პოემათა ბილეთი დამიგვიანა ცენზურამან“** – საუბარია პოემების დასაბეჭდად ცენზორის მიერ გასაცემ წერილობით თანხმობაზე.

გვ.: 40, 24-26. **„აკადემიამ კარგად ინება ექსარხისა ჩუჱნისა ჩლენად კორრესპონდენტად აღრჩევა“** – საუბარია საქართველოს ეგზარქოს ევგენი (ალექსანდრე ფილიპეს ძე) ბაჟენოვზე.

გვ.: 41, 6-7. **„ჩემისა მანდ მეგობრისა ნიკიტსკისა“** – სახელი მითითებული არ არის და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა.

გვ.: 41, 10. **«на Литеинои улице»** – ჩამოსასხმელი (Литейный) – ერთ-ერთი უძველესი უბანია სანკტ-პეტერბურგში, რომელიც ოფიციალურად დაარსდა 1738 წელს და დაკავშირებულია ნევის მარცხენა სანაპიროზე ზარბაზნის ჩამოსასხმელი ეზოს მშენებლობასთან (1711 წლიდან). აქვე დაარსდა ლიტეინისა და პუშკარის სლობოდები (დასახლებები). ქალაქის სამხრეთ ნაწილთან დასაკავშირებლად გაიჭრა ფართო გზა ნევის გამზირამდე. სწორედ ამ გზას ეწოდა ლიტეინის ქუჩა, ანუ ლიტეინის ეზო, მოგვიანებით კი ლიტეინის გამზირი.

გვ.: 41, 10. **«у церкви Св. Сергія»** – იგულისხმება წმინდა სერგი რადონეჟელის ეკლესია, რომელიც აშენდა 1900 წელს (არქიტექტორები გ. დ. გრიმმი, გ .დ. ფონ-გოლი). 1931

წელს ეკლესია გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

გვ.: 41, 11. **«протоіерея Петра Духовскаго»** – საუბარია პეტერბურგელ დეკანოზ პეტრე იაკობის ძე დუხოვსკიზე.

გვ.: 41, 12. **„დამეწეროს თამარისა ისტორია“** – სავარაუდოდ, საუბარია თამარ მეფეზე.

გვ.: 41, 19-20. **„უფ. შეგრენის სახელზედ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 41, 20-21. **„რუსუდანისა ორი“** – საუბარია რუსუდან მეფის (თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქალიშვილის) მონეტებზე.

გვ.: 41, 21-22. **„თეიმურაზისა, ირაკლისა, გიორგისა XIII“** – იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფეები: თეიმურაზ II, მისი ვაჟი ერეკლე II და ერეკლეს ვაჟი გიორგი XII/XIII.

გვ.: 41, 26-27. **„ჩუბინოვისა მ˜რ მოკრებილნი მაქუნან მე ანდაზები“** – მართალია, ანდაზები მოგვიანებით დავით ჩუბინაშვილმაც გამოსცა, მაგრამ, რამდენადაც ამ დროს იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, საუბარი უნდა იყოს მწიგნობარზე, მთარგმნელზე, ლექსიკოგრაფსა და არქეოლოგ ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილზე.

გვ.: 41, 30-31. **„ვახტანგისა მ˜რ ცხოვრება საქართუჱლოჲსა“** – საუბარია ვახტანგ VI-ის დავალებით შედგენილ წიგნზე.

გვ.: 41, 31. **„აქუს დავითს დადიანს“** – საუბარია სამეგრელოს მთავარ დავით ლევან V-ის ძე დადიანზე.

გვ.: 41, 32. **„ვუგზავნიო ბატ. თეიმურაზს“** – რამდენადაც მარი ბროსესთან მჭიდროდ თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ ბაგრატიონი, ვფიქრობთ, ზოგიერთ წერილში „ბატ. თეიმურაზად“ ის უნდა იყოს მოხსენიებული.

გვ.: 42, 1. **„თამარ დიდისა“** – საუბარი უნდა იყოს საქართველოს მეფეზე – თამარ გიორგი III-ის ასულ ბაგრატიონზე.

გვ.: 42, 5. **„საულ-დავითიანისათჳს“** – საუბარია წიგნზე, რომელშიც, პლატონ იოსელიანის აზრით, ბაგრატიონთა ის-

ტორია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად ბიბლიის მეფეთა წიგნის ნაწილის ასლი აღმოჩნდა.

გვ.: 42, 8. **„რაპორტი თქუჱნი და უსტრიალოვისა“** – საუბარია რუს ისტორიკოსზე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნკტ ნიკოლოზ უსტრიალოვზე.

გვ.: 42, 22. **„დედოფლისა საჴელზედ წერილსა“** – სავარაუდოდ, საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ქვრივზე – მარიამ კაციას ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე.

მარი ბროსესადმი №15 (15) გვ.: 43.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №167.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდის ნაგლეჯი, ზომა: 22,4X8,4 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერის II გვერდზე სომხური ცალკეული ასოები და მინაწერებია:
[illegible]
[illegible] .
[illegible] [illegible]
[illegible] [illegible]
თარიღი და ადგილი: „18 III/19 39“
ხელმოწერა: „პლატონი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფ. ბროსსე!“
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები.
შენიშვნები: 1. ასეა; 2. შინა; 3. ასეა შემოკლებული, ხოლო წერტილი არ წერია; 4. მარტო სახელი წერია და ხელმოწერა გაფორმებულია; 5. თვე და რიცხვი წილადის სახით წერია.

მარი ბროსესადმი №16 (16) გვ.: 43-45.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №85 (ძველი S – 9747/2). ორმაგი პაგინაციით: 27r-v, 28r-v / 58r-v, 59r-v.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 20,4X13,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია, ზედა და ქვედა კიდეები მოცვეთილი აქვს.
თარიღი და ადგილი: „18 V/25. 39 თფილისით“
ხელმოწერა: „დავჰშთები მარად მონა და მორჩილი პლატონ იოსელიანი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ექსტრა-ორდინარნის აკადემიკს უფალს ბროსსეტს. მოწყალეო ჴელმწიფევ!“
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მოიკითხავს თეიმურაზ ბატონიშვილსა და აკადემიკოს შეგრენს: „გთხოვთ მეფის-ძესა თეიმურაზს თაყუანის-ცემა ჩემ-მიერ მოაჴსენოთ, და უფ. შეგრენს მოკითხუა.“
შენიშვნები: 1. ასეა; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლთათჳს – რომელთათვის; წ˜ისა – წმიდისა; შ˜ა – შინა; რ˜ლიცა – რომელიცა; ზ˜ა – ზედა; რ˜ლშიაც – რომელშიაც; რ˜ლსაცა – რომელსაცა; რ˜ა – რათა; რ˜ლთაცა – რომელთაცა; მ˜რ – მიერ; რ˜ლ – რომელ; წ˜ნი – წმიდანი; რ˜ლნიცა – რომელნიცა; ხ˜ – ხოლო; 3. ხშირად ასე იყენებს ამ სიტყვას; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5. ხელნაწერშია „მიწერელებისათა“; 6. ხელნაწერშია „კონტორისა“; 7. «будут ему указаны Императорскою Академіею Наук» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. „ს“ გამოტოვებული აქვს; 9. ქვეშ მსხვილი ხაზი აქვს გასმული, რაც ხელმოწერის გაგრძელებას წარმოადგენს (ყველგან ასე აწერს ხელს ქართულ წე-

რილებში); 10. „V/25.“ წილადის სახით აქვს წარმოდგენილი; 11. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 167-168.

გვ.: 43, 10-11. **„თქუჱნი და უფ. შეგრენისა“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 43, 20. **„ცხოვრება წ˜ისა ნინასი“** – საუბარია ქართველთა განმანათლებელზე.

გვ.: 43, 22. **„მეფობასა დავით მეფისა“** – საუბარია დავით აღმაშენებელზე.

გვ.: 44, 1-2. **„ეფრემ მცირისაგან აღწერილი“** – საუბარია XI საუკუნის ქართველ საეკლესიო მოღვაწეზე.

გვ.: 44, 9. **„მოიჯსენებს საბა ორბელიანი“** – საუბარია ქართველ მწერალსა და ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანზე.

გვ.: 45, 4. **„მეფემან არჩილ 1686ს წელსა“** – საუბარია ქართველ მეფესა და პოეტ არჩილ II-ზე.

გვ.: 45, 9. **„ალ. სულხანოვსა მეორესა ფოჩტით მოვჰსწერ“** – საუბარია ქართველ მთარგმნელსა და კალიგრაფ ალექსანდრე სულხანიშვილზე.

გვ.: 45, 17. **„გთხოვთ მეფის-ძესა თეიმურაზს“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

მარი ბროსესადმი №17 (17) გვ.: 46.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №86 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 29r-v / 60r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 26,6X20,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელ-

ნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგილას, ზემოდან და ქვემოდან, შეხეულია; ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.
თარიღი და ადგილი: „18ს ივლისსა 1839ს წ. ქ. თფილისით.“
ხელმოწერა: „დავჰშთები მარად მზა მსახურებად აკადემიისა და ჰსწავლათა პლატონ იოსელიანი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალს ექსტრა-ორდინარნის აკადემიკოსს უფ. ბროსსეტს! მოწყალეო ჴელმწიფევ!“
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: „უფ. შეგრენს გთხოვ განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივის-ცემა.“
შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: შ˜ა – შინა; რ˜ა – რათა; მ˜რ – მიერ; 3. ჩამატებულია; 4. ქვეშ მსხვილი ხაზი აქვს გასმული, რაც ხელმოწერის გაგრძელებას წარმოადგენს; 5. ბოლო ციფრი ჯერ „8“ დაუწერია და შემდეგ „9“-დ გადაუკეთებია; 10. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.
პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 168-169.

გვ.: 46, 15. **„ჩუჭნმა არხიერმა“** – სავარაუდოდ, საუბარია საქართველოს ეგზარქოსზე, არქიმანდრიტ ევგენი (ალექსანდრე ფილიპეს ძე) ბაჟენოვზე, რომელიც ზოგან უბრალოდ „არქიმანდრიტად“ მოიხსენიება, ზოგან კი – „არქიმანდრიტ ევგენიდ“.

გვ.: 46, 19. **„უფ. შეგრენს გთხოვ განუცხადოთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №18 (18) გვ.: 47-48.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №87 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 31r-v / 62r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 26,6X20,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „1839ს წ. აგვისტოს 31ს დღესა ქ. თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად პატივის-მცემელი თქუჱნი უმორჩილეს[ი] მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალს ექსტრა-ორდინარნის აკადემიკს ბროსსეტს. მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „კარგა ხანია რაც აღარა მსმენია რა პეტერბურლით“ / „სასიხარულოდ თქუჱნდა, ჩემდა და მრთელისა აკადემიისა გაუწყებთ რომ ვჰპოვე ძუჱლი ისტორია საქართუჱლოჲსა სომხურსა ენასა ზ˜ა აღწერილი.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ზედა; 3. ასეა; 4. „ა“ გამორჩენილი აქვს; 5. „ი“ გამორჩენილი აქვს; 6. ქვეშ მსხვილი ხაზია გასმული; 7. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 169-170.

გვ.: 47, 12-13. **„სომეხთა არხიეპისკოპოსს კარაპეტს“** – საუბარია თბილისის სომხური ეკლესიის არქიეპისკოპოს კარაპეტ (ოვანეს) ბაგრატუნზე.

გვ.: 47, 14. **„წასულა ახპატს“** – იგულისხმება სომხეთის ჩრდილოეთში მდებარე სოფელი და მონასტერი.

გვ.: 47, 24-25. **„პატივის-ცემა უფ. შეგრენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №19 (19) გვ.: 48-49.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №88 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 33r-v, 34r / 64r-v, 65r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 20,4X13,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „ოკდ. 5შა 1839სა წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად პატივის-მცემელი თქუჳნი უმორჩილესი მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ექსტრაორდინარნის აკადემიკს უფ. ბროსსეტს!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხავს იქ მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილს: „გთხოვთ ესე ამცნოთ მეფის-ძესა თეიმურაზს, და თაყუანისცემაცა მიუძღუნათ ჩემ-მიერი.“

შენიშვნები: 1. აქ დეფისის გარეშეა; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: კ˜დ – კუალად; რ˜ლისა – რომლისა; რ˜ლსა – რომელსა; პ˜ლთა – პირველთა; რ˜ლიც – რომელიც; ღ˜ისათა – ღვთისათა; 3. „რ˜ლისა ნომერით, რ˜ლსა რიცხუსა თთჳსასა, და ვის საჴელზედ“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. თარიღი ჩამატებულია; 5. ორწერტი-

ლის შემდეგ მთელი ფრაზა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ქვეშ მსხვილი ხაზი აქვს გასმული, რაც ხელმოწერის გაგრძელებას წარმოადგენს; 7. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 170-171.

გვ.: 48, 10-11. **„ბილეთები на выпуск в свет“** – საუბარია ცენზურის თანხმობაზე წიგნების გამოსაქვეყნებლად.

გვ.: 48, 23-24. **„წილოსანმა მოგიკითხათ“** – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ იოსებ ლაზარეს ძე წილოსანზე.

გვ.: 49, 3-4. **„თქუჱნისა და უფ. შეგრენისათა“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 49, 23-24. **„ამცნოთ მეფის-ძესა თეიმურაზს“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 49, 26. **„ალექსანდრე სულხანოვი მომიკითხეთ“** – საუბარია ქართველ მთარგმნელსა და კალიგრაფ ალექსანდრე სულხანიშვილზე.

მარი ბროსესადმი №20 (20) გვ.: 50-51.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №89 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 35r-v, 36v / 66r-v, 67v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 26,6X20,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია, III-IV გვერდებზე აქვს წითელი ლუქის ნარჩენები; ამასთან, IV გვერდზე აქვს ორი მართკუთხედის ფორმის, შავი ფერის ბეჭედი. IV გვერდზე ადრესატის მისამართი წერია.

თარიღი და ადგილი: „1839[სა] წ. ოკდ. 26[სა] თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები პატივის-ცემითა თქუჳნდა ვ˜ა პირუჳლისა და უპირუჳლესისა ქართუჳლისად უმორჩილესი მოსამსახურე იოსელიანი პლატონ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук, Экстраординарному Академику, Г. Броссе! в С. Петербурге, На Васильев. острове в 7ой линіи, в дом Академіи.»

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: მ˜რ – მიერ; რ˜ლთაგან – რომელთაგან; ს˜დ – სრულიად; რ˜ლიცა – რომელიცა; ჭ˜ტთა – ჭეშმარიტთა; ვ˜ა – ვითარცა; ჭ˜ტსა – ჭეშმარიტსა; კ˜დ – კუალად; ზ˜ა – ზედა; ვ˜ა – ვითარცა; 2. ავტორს წერტილი ფრჩხილის წინ აქვს დაწერილი სამივე შემთხვევაში; 3. ჩამატებულია; 4-5. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ასე აქვს; 7. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 8. ქვეშ მსხვილი ხაზი აქვს გასმული, რაც ხელმოწერის გაგრძელებას წარმოადგენს; 9. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 10. ხაზგასმულია მსხვილად; 11. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 171-172.

გვ.: 50, 4. **„წარუდგინე მასვე დღესა ექზარხსა“** – საუბარია საქართველოს ეგზარქოს ევგენი (ალექსანდრე) ფილიპეს ძე ბაჟენოვზე.

გვ.: 50, 7. **„მოჰსწერს წიგნსა უფ. შეგრენსა“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 50, 22. **„დიდებისა-მოყუარესა ავქსონსა“** – გულისხმობს საკუთარ თავს, როგორც წიგნის ავტორს.

გვ.: 50, 22-23. **„ვიღაც ბეროევი მოსულა“** – სახელი არ არის მითითებული და დამატებითი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

გვ.: 50, 24. **„არცა კნიაზ ბარათაევი მოსულა ჯერეთ“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე, რომელიც 1839 წლის 9 ივნისს დაინიშნა კავკასიის საბაჟო ოლქის უფროსად.

გვ.: 50, 26. **„როცი ავადა-არის“** – საუბარი უნდა იყოს ვინჩენცო როციზე, რომელიც თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვასა და ხაზვას.

მარი ბროსესადმი №21 (21) გვ.: 52-53.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №90 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 37r-v, 38r / 68r-v, 69r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 25,3X20,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „ნოემბ. 30ს 1839ს წ. ქ. თბილისი.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მომლოდნე თქუჱნისა პასუხისა და სასიამოვნოთ ჩემთჳს აღთქმულისა თქუჱნმიერ ჰსრულ ყოფის უმორჩილესი მონა და მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: „აკადემიკი შეგრენ პატივის-ცემით მომიკითხეთ.“

შენიშვნები: 1. ასეა; 2. „ვისლაცას ჴელითა“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლისაცა – რომლისაცა; ჭ˜ტსა – ჭეშმა-

რიტსა; რ˜ლთაცა – რომელთაცა; ვ˜რი – ვითარი; რ˜ლიცა – რომელიცა; რ˜ა – რათა; ა˜დ – არამედ; ზ˜ა – ზედა; შ˜ა – შინა; მ˜რ – მიერ; შ˜დ – შემდგომად; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5. „ა“ არ წერია, შეიძლება იმიტომ, რომ კიდეზეა ეს სიტყვა და არ ეტეოდა; 6. ხელნაწერშია „ნუუმე“; 7. ასეა; 8. ჩამატებულია; 9. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 10. ამის შემდეგ გადაშლილია „და“ კავშირი; 11. ხელნაწერში მძიმე არ წერია; 12. ასეა; 13. ამ თანდებულს ზოგჯერ ცალკე წარმოადგენს; 14. ხაზგასმულია მსხვილად; 15. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 16. ავტორს ხელნაწერში უწერია „იმარეთს“, რაც კალმისმიერი შეცდომაა.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 172-173.

გვ.: 52, 8. **„ვიყავ მხატუარს როცისთან“** – საუბარი უნდა იყოს ვინჩენცო როციზე, რომელიც თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვასა და ხაზვას.

გვ.: 52, 22. **„შეგრენს და კუპპენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენსა და ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენზე.

გვ.: 52, 28. **„მოგართვი ერთი თეიმურაზისა“** – სავარაუდოდ, საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 52, 30. **„უფ. ბარატაევს“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე.

გვ.: 53, 4-6. **„დაწერილი IVსა საუკუნესა შ˜ა ღევონტისა მ˜რ (ვჰგონებ პატრიარხად ყოფილისა სომეხთა)“** – საუბარი უნდა იყოს V საუკუნის სომეხი ისტორიკოს აგათანგელოზის მიერ დაწერილ ისტორიაზე. პატრიარქი გევონდ I, რომელზეც არის, ალბათ, საუბარი, VI საუკუნეში მოღვაწეობდა და არა IV-ში.

გვ.: 53, 6. **„შ˜დ გრიგორი განმანათლებელისა“** – საუბარია სომეხთა განმანათლებელსა და პირველ კათალიკოს გრიგოლ პართევზე.

გვ.: 53, 12-13. **„ალექსანდრე სულხანოვისაცა მომივიდა“** – საუბარია ქართველ მთარგმნელსა და კალიგრაფ ალექსანდრე სულხანიშვილზე.

გვ.: 53, 28-29. **„კ. ალექსანდრე ჭავჭავაძემან და კოცებუმან“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძესა და კავკასიის კორპუსის მეთაურ, გენერალ პავლე ევსტათეს ძე კოცებუზე.

გვ.: 53, 29. **„წილოსანი იმერეთს წავიდა“** – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ იოსებ ლაზარეს ძე წილოსანზე.

მარი ბროსესადმი №22 (22) გვ.: 54-56.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №91 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 39r-v, 40r-v / 70r-v, 71r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 20,4X12,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგილას, ზედა ნაწილში მოხეული აქვს, რის გამოც არ იკითხება მეორე გვერდის კიდურა ნაწილი; აღდგენილი ასოები მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში; ამასთან, ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „დეკ. 7ბა 1839სა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მომლოდნე სასიამოვნოჲსა ჩემთჳს უწყებისა, და წერილისა თქუჳნისა უმორჩილესი მონა და მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ეკსტრაორდინარნის აკადემიკს უფ. ბროსსეტს. მოწყალევ ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრე-

სატი პეტერბურგშია, რადგან კალენდარს უგზავნის და სთხოვს პეტერბურგში მცხოვრები პირებისთვის დარიგებას: „კალენდარნი, უკეთუ თქუჱნ არა გქ[ონ]დესთ დრო – გთხოვთ უბოძოთ ალექსანდ[რე] სულხანოვს და ისი დაარიგებს.“

შენიშვნები: 1. ერთად უწერია; 2. ხაზგასმულია; 3. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლითაცა – რომლითაცა; შ˜ა – შინა; 4. „სა“ თითქოს გადაშლილია, მაგრამ ავტორი სრულ შეთანხმებას იყენებს ხოლმე და, სავარაუდოდ, მელნის ბრალი უნდა იყოს; 5. ასეა; 6. ჩამატებულია; 7. + ნიშანი ყველას არა აქვს. ამასთან, ის მიწერილია შავი ფანქრით, გარდა 2 შემთხვევისა; 8. ხელნაწერშია „ჭრნენს“; 9. ასეა. ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის ნიმუშია; 10. წრეშია ჩასმული; 11. ხაზგასმულია; 12. ხაზგასმულია მსხვილად, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 13. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 14. სათაური ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 173-174.

გვ.: 54, 9-10. **„კ. ბარატაევი ნახოს“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე.

გვ.: 54, 15. **მონეტა თეიმურაზისა 1ხი“** – საუბარია ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ზე.

გვ.: 54, 21. **„აღწერილი სტეფანე ტარონელისაგან“** – საუბარია X-XI საუკუნეების ისტორიკოს სტეფანოს ტარონეცზე.

გვ.: 54, 25. **„უბოძოთ ალექსანდ[რე] სულხანოვს“** – საუბარია ქართველ მთარგმნელსა და კალიგრაფ ალექსანდრე სულხანიშვილზე.

გვ.:, 54, 27. **„დედოფალს იმერეთისას მარიამს“** – საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ქვრივზე – მარიამ კაციას ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 54, 28. **„მეფის-ძეს ბაგრატს“** – საუბარია ბაგრატ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 54, 29. **„თეიმ. ფარნ. მიხ. ოქროპ.“** – საუბარია თეიმურაზ და ფარნაოზ ერეკლე II-ის ძე და მიხეილ და ოქროპირ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონებზე.

გვ.: 55, 1. **„ლუარსაბს და დიმიტრის იულონისა ძეთა“** – საუბარია ერეკლე II-ის ვაჟ იულონსა და მის შვილებზე.

გვ.: 55, 2. **„მეფის-ასულს რიფსიმას“** – საუბარია რიფსიმე გიორგი XII-ის ასულ ბაგრატიონზე.

გვ.: 55, 3. **„კნ. ალექსანდრეს და დიმიტრის ბაგრატიონთა“** – საუბარია იმერეთის შტოს წარმომადგენლებზე, გენერლებზე – ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონებზე.

გვ.: 55, 5. **„ღენ. ზაქარია იოსელიანს“** – საუბარია პლატონ იოსელიანის ბიძაზე – ზაქარია ონისიმეს ძე იოსელიანზე.

გვ.: 55, 6-7. **„ირაკლის, ალექსანდ. და გიორგის ბაგრატიონთა კონსტანტინესა ძეთა“** – საუბარია კონსტანტინე იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟებზე: ირაკლიზე, ალექსანდრესა და გიორგიზე.

გვ.: 55, 8. **„კნ. ივანე ორბელიანს (უფ. ნათლიას)“** – შესაძლოა საუბარი იყოს პოდპოლკოვნიკ ლუარსაბ (ივანე) ზურაბის ძე ორბელიანზე.

გვ.: 55, 10. **„ალექს. სულხანოვს“** – სავარაუდოდ, საუბარია ქართველ მთარგმნელსა და კალიგრაფ ალექსანდრე სულხანიშვილზე.

გვ.: 55, 11. **„მეფის-ძისა ბაგრატისა ძეთა დავ. და ალექს.“** – საუბარია ბაგრატ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონის ვაჟებზე – დავითსა და ალექსანდრეზე.

გვ.: 55, 13. **„დავითს ჩუბინოვს“** – საუბარია დავით იესეს ძე ჩუბინაშვილზე.

გვ.: 55, 14. **„მიხაილ იზმაილოვს“** – შესაძლოა საუბარი იყოს იმ მიხეილ იზმაილოვზე, რომელიც შემდგომ არქიმანდრიტი გახდა.

გვ.: 55, 15-16. **„აკადემიკთა: ფრენს, შეგრენს და ბროსეტს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე, აღმოსავლეთმცოდნესა და ნუმიზმატ – ქრისტიან დანიელის ძე ფრენ-

სა და წერილის ადრესატზე.

გვ.: 55, 17. **„კოცებუმან მიართუა აკად. კეპპენს“** – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის კორპუსის მეთაურზე, გენერალ პავლე ევსტათეს ძე კოცებუსა და ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენზე.

გვ.: 55, 20. **„ბარატაევმა იპოვა“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე.

გვ.: 55, 21-22. **„ერთი სხუა გუარი თამარისი“** – საუბარია თამარ მეფის მონეტაზე.

გვ.: 55, 22. **„სხუა გუარი ირაკლის[ი] II[სი]“** – საუბარია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მონეტაზე.

გვ.: 55, 24. **„გამოვართუად მთავარსა დადიანსა“** – საუბარია სამეგრელოს მთავარ დავით ლევან V-ის ძე დადიანზე.

გვ.: 55, 30. **„სიკუდილისა გამო დედისა თჳსისა“** – საუბარია დავით დადიანის დედაზე – მართა ზურაბის ასულ წერეთელზე, რომელიც ამ დროს ახალი გარდაცვლილი იყო.

გვ.: 56, 13-14. **„უფ. ობერ-პროკურორთან უწმ. სინოდისა“** – ამ დროს სინოდის ობერპროკურორი იყო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პროტასოვი.

1840

მარი ბროსესადმი №23 (23) გვ.: 57-59.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №92 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 41r-v, 42r-v / 72r-v, 73r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი, ზომა: 20,4X12,6 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „თებ. 29[სა] 1840 წ. თფილისით“

ხელმოწერა: „თქუჱნი უმორჩილესი და უერთგულესი მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ უფალო ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „წილოსანი მოდის: ერთს თთუჱზედ ნახავთ მას პეტერბურღს.“

შენიშვნები: 1. მრავლობითის „თ“ სუფიქსი ზემოდან არის ჩამატებული; 2. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი ჩამატებულია; 3. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლთაგანი – რომელთაგანი; ღ˜ი – ღმერთი; შ˜ა – შინა; 4. ჯერ „გაუწყებთ“ დაუწერია და შემდეგ „თ“ გადაუშლია; 5-6. ხაზგასმულია; 7. ხელნაწერში წერტილი არ წერია; 8. ხაზგასმულია; 9. ხელნაწერშია „ლექციეებსა“; 10. ასეა; 11. ხაზგასმულია მსხვილად, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 12. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 13. ქვეშ ხაზი აქვს გასმული დამთავრების ნიშნად, მაგრამ შემდეგ მეორე გვერდზეა ტექსტი გაგრძელებული; 14. ჩამატებულია.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 175-176.

გვ.: 57, 7-8. **„ორი კიდევ დაუშთა მხატუარს შეუსრულებელი“** – საუბარი უნდა იყოს იტალიელ მხატვარ ვინჩენცო როციზე, რომელსაც პლატონ იოსელიანმა მცხეთის ფრესკების ასლების გაკეთება შეუკვეთა.

გვ.: 57, 8. **„ვიმოწმებ კნ. ბარათაევს“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე.

გვ.: 57, 17. **„წილოსანი მოდის: ერთს თთუჱზედ ნახავთ მას“** – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ იოსებ ლაზარეს ძე

წილოსანზე.

გვ.: 57, 21. **„ჩუბ. წერილი ბიძასა მისსა მივეც“** – საუბარია დავით იესეს ძე და ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილებზე.

გვ.: 57, 21. **„ბულლეტენს დავიბარებდი“** – საუბარია სამეცნიერო ბიულეტენზე «Bulletin de la Classe historico-philologique», რომელსაც მარი ბროსე გამოსცემდა პეტერბურგის აკადემიაში.

გვ.: 58, 24. **«possèdez votre âme par notre patience»** – ფრანგულად ციტირებს სახარების სიტყვებს: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქვენნი“ (ლუკა 21.19).

გვ.: 59, 6. **«Андрей Михайлович Г. Шёгрен** მომიკითხოთ“ – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 59, 7-8. **«черепа для Академика Кёппена»** – საუბარია ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენზე.

გვ.: 59, 8. **«У Коцебу их 2»** – საუბარია გენერალ პავლე ევსტათეს ძე კოცებუზე.

გვ.: 59, 11-12. **„პაკეთები უქმნათ“** – გულისხმობს წერილების კონვერტებში ჩადებას.

მარი ბროსესადმი №24 (24) გვ.: 59-60.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №93 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 43r / 74r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი, ზომა: 21,9X16,9 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; მეორე ფურცელი ზედა მხარეს მცირეზე შეხეულია.

თარიღი და ადგილი: „მარტ. 14[სა] 1840 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარადის თქუჱნი პატივისმცემელი და რადგანაც მიწოდებთ მეგობრად – თქუჱნი სუ-

ლითადი და გულითადი მეგობარი პლატონ იოსელიანი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ უფალო ბროსსე!“
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: «Андрею Михайловичу Г. Шёгрену приношу нижайшій поклон сердца, всегда ему преданнаго.»
შენიშვნები: 1. „ე“-ს ზემოდან მსხვილი ხაზია, შეიძლება მახვილიცაა; 2. ხაზგასმულია, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 3. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 4. ამის შემდეგ გადაშლილია „от“; 5. ხელნაწერში წერია „ему всегда“, მაგრამ ორივე სიტყვას ზემოდან უწერია ნომრები: „1“ და „2“, რომელთა მიხედვითაც თანმიმდევრობა შევცვალეთ.
პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 176.

გვ.: 60, 1. **„გარდავეკიდე ერთსა ცრუსა მხატუარსა“** – საუბარი უნდა იყოს იტალიელ მხატვარ ვინჩენცო როციზე, რომელსაც პლატონ იოსელიანმა მცხეთის ფრესკების ასლების გაკეთება შეუკვეთა.

მარი ბროსესადმი №25 (25) გვ.: 60-62.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №94 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 45r-v / 76r-v.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 25,2X20,4 სმ.; შესრულებუ-

ლია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „1840 წელსა აპრ. 11[სა] თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარადი პატივის-მცემელი თქუჳნი უმორჩილესი მოსამსახურე. პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ უფალო ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: „აკადემიკს შეგრენს განუცხადებ დიდსა პატივის-ცემასა.“

შენიშვნები: 1. „ე“-ს ზემოდან მსხვილი ხაზია, შეიძლება მახვილიცაა; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: ყ˜ივე – ყოველივე; კ˜დ – კუალად; პ˜ლი – პირველი; რ˜ა – რათა; შ˜ა – შინა; ყ˜ლნი – ყოველნი; ყ˜ლსავე – ყოველსავე; ხ˜ – ხოლო; შ˜დ – შემდგომად; 3. ბრუნვაში მართვა არასწორად აქვს მოცემული; 4. „ხ˜ მეტი ქება“ ხაზგასმულია; 5. „არარასა, არამედ უფროსცა შეეწევის“ ხაზგასმულია; 6. „მოსამსახურესთან“ ქვედა მხარეს, ოდნავ დაშორებით, წერტილის მსგავსი ნიშანია, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ავტორი არ წერს წერტილს; შესაძლოა, ეს მელნის ნაღვენთიც იყოს; 7. ხაზგასმულია, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 8. „წელსა“ იმდენად მკრთალად წერია, დაუკვირვებლად არ ჩანს; 9. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 10. ქვეშ ხაზგასმაა დამთავრების ნიშნად.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 177.

გვ.: 61, 1-2. **„ამ უნამუსომ ევროპელმა“** – საუბარი უნდა იყოს იტალიელ მხატვარ ვინჩენცო როციზე, რომელსაც პლა-

ტონ იოსელიანმა მცხეთის ფრესკების ასლების გაკეთება შეუკვეთა.

გვ.: 61, 15. **„ღრამმატიკა ქართული დავაბეჭდინე“** – საუბარია მის წიგნზე „ქართული გრამატიკა“, რომელიც 1840 წელს დაიბეჭდა.

გვ.: 61, 18-19. **„ობერ-პროკურორს ღრაფს პროტასოვს“** – საუბარია სინოდის ობერპროკურორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პროტასოვზე.

გვ.: 61, 27. **„მეტი ქება, იტყჳს ციცერონ“** – საუბარია ძვ. წ. II-I საუკუნეების რომაელ პოლიტიკოსსა და მოაზროვნეზე.

გვ.: 61, 30. **„აკადემიკს კეპპენს უშოვნე“** – საუბარია ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენზე.

გვ.: 61, 31. **„კოცებუმ გამოუგზავნა“** – საუბარია გენერალ პავლე ევსტათეს ძე კოცებუზე.

მარი ბროსესადმი №26 (26) გვ.: 62-64.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №95 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 47r-v, 48r / 78r-v, 79r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი, I ფურცლის ზომა: 20,2X12,4 სმ.; II ფურცლის ზომა: 20,2X12,7 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; I ფურცელზე ერთგან ამომწვარია მელნისგან.

თარიღი და ადგილი: „აგვისტოს 1[ს] 1840 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „თქუჳნი პატივის-მცემელი მორჩილი მოსამსახურე იოსელიანი პლატონ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Г. Броссету. მოწყალეო ხელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი

უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხავს აკადემიკოს შეგრენს: „უფ. შეგრენი პატივის-ცემით მომიკითხეთ.“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია; 2. აქ „ხანი“ აქვს და არა „ხარი“; 3. ხელნაწერშია „ყოფუა“; 4. „დედოფალი მარიამ“ ხაზგასმულია; 5. „მეფე ვახტანგ“ ხაზგასმულია; 6. ასეა; 7. ხაზგასმულია; 8. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: ზ˜ა – ზედა; უ˜ა – უფალსა; 9. „ვახტანგ გორგასლანი“ ხაზგასმულია; 10. ჩამატებულია; 11. „ალექსანდრე სუჭტსა“ ხაზგასმულია; 12. „მეფე ბაგრატ“ ხაზგასმულია; 13. ასეა; ძველი ფორმით არის მოცემული; 14. „ორნი ქალნი“ ხაზგასმულია; 15. „აქებდით უ˜ა“ ხაზგასმულია; 16. ხელნაწერშია „მოთამეშენი“; 17. ხაზგასმულია; 18. სამმაგი ნახევარწრე მოსდევს, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 19. ხაზგასმულია; 20. ქვეშ ხაზგასმაა დამთავრების ნიშნად.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 178.

გვ.: 62, 19-20. **„დედოფალი მარიამ – მეუღლე როსტომ მეფისა შვილითურთ“** – საუბარია XVII საუკუნის ქართლ-კახეთის მეფეზე, როსტომ-ხანად წოდებულზე, მის მეუღლეზე – ოდიშის მთავარ მანუჩარ I დადიანის ასულ მარიამსა და მის შვილზე – ოტია ბატონიშვილზე.

გვ.: 62, 24. **„მეფე ვახტანგ“** – საუბარი უნდა იყოს ქართლის მეფესა და პოეტზე ვახტანგ VI-ზე.

გვ.: 63, 2. **„მირიან“** – საუბარია ქართლის მეფეზე IV საუკუნეში.

გვ.: 63, 3. **„ვახტანგ გორგასლანი“** – საუბარია V საუკუნის ქართლის მეფე ვახტანგ I-ზე.

გვ.: 63, 5. **„ალექსანდრე“** – საუბარია საქართველოს მეფეზე XV საუკუნეში – ალექსანდრე I დიდზე.

გვ.: 63, 6. **„მეფე ბაგრატ“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ბაგრატ IV, რომლის დროსაც დასრულდა სვეტიცხოვლის მშენებლობა.

გვ.: 63, 10-11. **„ფსალმუნი დავითისა“** – საუბარია ბიბლიურ წინასწარმეტყველზე.

გვ.: 63, 17-18. **„პასუხიც მოვჰსწერე უფ. ჶუსსა“** – სავარაუდოდ, საუბარია ასტრონომ იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე, რომელიც 30-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში ასტრონომიას ასწავლიდა.

გვ.: 63, 27. **„სტეფანე ტაროსისაგან ქმნილი ისტორია“** – საუბარია X-XI საუკუნეების ისტორიკოს სტეფანოს ტარონეცზე.

გვ.: 63, 30. **„უფ. შეგრენი პატივის-ცემით მომიკითხეთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №27 (27) გვ.: 64-66.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №96 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 49r-v / 80r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 25,7X20,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; იგი დაზიანებული და რესტავრირებულია; IV გვერდზე ადრესატის მისამართია რუსულ ენაზე, აქვე, ორ ადგილას, განაპირა მხარეებში, არის წითელი ლუქი და მართკუთხედის ფორმის, სხვადასხვა ზომის 2 შავი ბეჭედი; ამავე საქმეში ინახება თეთრი ფერის, შედარებით სქელი, პატარა ფორმატის 1 ფურცელი, ზომით: 16,6X11,3 სმ.; ეს ფურცელიც დაჩხვლეტილია; მარცხენა მხრიდან მცირე შენახევი აქვს. არის ორმაგი პაგინაციით: 50r / 81r. ჶურცელზე შავად ლამაზი ბეჭდური ასოებით წერია:

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ჳ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ ჶ

რომელ ვანება რომელ ვანება შენოდენ გქონდეს მაცისკრებარე. არა გეთნია არა გეთნია მნათობნი მით ვსცნენ, დამბლენებარე. მანათოვლითა მანათოვლითა, ღაწუმულ ღაზაროზ გამღმაებარე ვინატრედია ვინატრედია, ძე ღუთისა შენდა ძედ მწოდებარე;

თარიღი და ადგილი: „სეკდ. 5ჱ დღესა 1940 წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჱნი, იოსელიანი პლატონ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ხელმწიფევ და მეგობარო უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук Экстраординарному Академику Г. Броссе в С. Петербурге. На Васильев. остр. в 7ой линіи, в доме Академіи.»

შენიშვნები: 1. „ხანით“ არის დაწერილი; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლითაცა – რომლითაცა; რ˜ლნიცა – რომელნიცა; რ˜ლთა – რომელთა; შ˜ა – შინა; რ˜ლსაცა – რომელსაცა; შ˜აცა – შინაცა; ხ˜ – ხოლო; პ˜ლ – პირველ; 3. ხელნაწერში წერტილი არ წერია; 4. ხელნაწერშია „შემეცნებეებთა“; პირველ „ე“-ს კავი აქვს გაკეთებული და „კ“-ს არის დამსგავსებული; 5. ხელნაწერშია „თქუჱნი“ 6. ერთად უწერია აქ; 7. პირველ „ე“-ს ზემოდან ორი ჰორიზონტალური წერტილი აქვს; 8. ორმაგი ნახევარწრე მოსდევს, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 9. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 10. ხაზგასმულია; ამასთან, „ე“-ს მახვილი აქვს; 11. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 179.

გვ.: 64, 14-15. **„მეფობდა საქართუჱლოსა შ˜ა მეფე ალექსანდრე“** – საუბარია საქართველოს მეფეზე XV საუკუნეში – ალექსანდრე I დიდზე.

გვ.: 64, 16. **„ისტორია კარამზინისა“** – საუბარია ნიკოლოზ

მიხეილის ძე კარამზინზე, რომელსაც 1816-1817 წლებში 8 ტომად ჰქონდა გამოცემული „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“.

გვ.: 64, 17. **„მეფობა ბორის ღოდუნოვისა“** – საუბარია XVI საუკუნეში რუსეთის მეფე ბორის თეოდორეს ძე გოდუნოვზე.

გვ.: 64, 20. **„უწინარეს ალექსანდრესა მყოფთა პორტრეტნი“** – მეფე ალექსანდრე დიდის დროს სვეტიცხოვლის ტაძარი კაპიტალურად შეაკეთეს.

გვ.: 65, 18. **„ბატონის-შვილს თეიმურაზს გთხოვ განუცხადოთ“** – საუბარია თეიმურაზ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 65, 19. **„ეგრეთუჱ აკადემიკს შეგრენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №28 (28) გვ.: 66-68.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №97 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 52r-v, 53r-v / 83r-v, 84r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 20,1X12,6 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „ოკდ.10ს 1840 წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჱშთები მარად თქუჱნი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „აკადემიისათჳს ვჱგონებ იქმნება საჭირო 200 წიგნთა კოლლეკციისა ქართულისა ენისა ქონუა. იყიდის თუ არა შემატყობინეთ.“

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: შ˜ა – შინა; რ˜ლსაცა – რომელსაცა; რ˜ლიცა – რომელიცა; შ˜ს – შორის; ზ˜ა – ზედა; ყ˜დი – ყოვლადი; ს˜დ – სრულიად; პ˜ლისა – პირველისა; წ˜თა – წმიდათა; წ˜ა – წმიდა; 2-3. ხაზგასმულია; 4. ამის შემდეგ გადახაზულია „ჩუგუნი“; 5. „ორი წიგნი მეფეთა“ ხაზგასმულია; 6. პირის ნიშანი „ვ“ ზემოდან არის ჩამატებული; 7. ჩამატებულია; 8. მეორე „ა“ ჩამატებულია; 9-10. ასეა; 11. ჩამატებულია; 12. ასეა; 13. ორმაგი ნახევარწრე მოსდევს, რაც ხელმოწერის გაფორმებას წარმოადგენს; 14. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 180-181.

გვ.: 66, 18-19. **„რექტორი რეზანის სემინარიისა არხიმანდრიტი ათანასი“** – საუბარია არქიმანდრიტ ათანასე (ალექსანდრე ვასილის ძე) დროზდოვზე, რომელიც ჯერ იყო რიაზანის, შემდეგ კი ხერსონის სასულიერო სემინარიის რექტორი.

გვ.: 66, 22. **„ალექსანდრე ჭავჭავაძისა ყმებთა“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 67, 3. **„სიძემ დავით დადიანმან“** – საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის მეუღლეზე – სამეგრელოს მთავარ დავით ლევან V-ის ძე დადიანზე.

გვ.: 67, 5-6. **«Образованіе Древних Народов Соч. Бардона»** – საუბარია მიშელ ფრანსუა დანდრე-ბარდონის წიგნზე.

გვ.: 67, 16. **„ნახევარ-ადლი“** – ადლი სიგრძის საზომი ერთეული იყო, დაახლოებით 100 სანტიმეტრი.

გვ.: 67, 17. **„დიამეტრით ექუსი ვერშოკი“** – ვერშოკი სიგრძის საზომი ერთეული იყო, დაახლოებით 4.5 სანტიმეტრი.

გვ.: 67, 20. **„რუა გირვანქა“** – ერთი გირვანქა დაახლოებით 400 გრამს უდრიდა.

გვ.: 67, 21. **„საულ-დავითიანი მოვატანინე“** – საუბარია წიგნზე, რომელშიც, პლატონ იოსელიანის აზრით, ბაგრატი-

ონთა ისტორია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად ბიბლიის მეფეთა წიგნის ნაწილის ასლი აღმოჩნდა.

გვ.: 67, 23. **„ისტორია დავით მეფისა და საულისა“** – საუბარია ისრაელის პირველ მეფესა და დავით წინასწარმეტყველზე.

გვ.: 68, 3. **„ვაჭრობდა კონსული ფრანციისა“** – საუბარია საფრანგეთის კონსულ სოვერ დე ლა შაპელზე.

გვ.: 68, 8. **„დავით და კონსტანტინე“** – საუბარია VIII საუკუნის წმინდანებზე – დავით და კონსტანტინე მხეიძეებზე.

გვ.: 68, 9. **„აბიბოს ნეკრესელი“** – საუბარია VI საუკუნის მოღვაწე ერთ ასურელ მამათაგანზე.

გვ.: 68, 10. **„ილარიონ ქართუჭლი“** – საუბარია IX საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწეზე.

გვ.: 68, 11. **„ანტონი მარტომყოფელი“** – საუბარია VI საუკუნის მოღვაწე ერთ ასურელ მამათაგანზე.

გვ.: 68, 12. **„ევთიმე მთარგ[მ]ნელი“** – სავარაუდოდ, იგულისხმება X-XI საუკუნეების ქართველი სასულიერო მოღვაწე და მთარგმნელი – ექვთიმე მთაწმინდელი.

გვ.: 68, 13. **„არჩილ და ლუარსაბი“** – საუბარია VIII საუკუნის ქართველ ერისმთავარსა და XVII საუკუნის ქართლის მეფეზე, რომლებიც წმინდანებად არიან შერაცხულები.

გვ.: 68, 14. **„იოანე ზედაძნელი“** – საუბარია VI საუკუნის მოღვაწე ერთ ასურელ მამათაგანზე.

გვ.: 68, 15. **„დოდო და დავით გარესჯ.“** – საუბარია VI საუკუნის მოღვაწეებზე – ერთ-ერთ ასურელ მამათაგანსა და მის მოწაფეზე.

გვ.: 68, 8. **„პეტრე მაიმუსელისა“** – საუბარია V საუკუნის საეკლესიო მოღვაწეზე – მაიუმის ეპისკოპოს პეტრე იბერიელზე.

გვ.: 68, 9. **„აბო“** – საუბარია VIII საუკუნის არაბი ეროვნების თბილისელ წმინდა მოწამე აბო თბილელზე.

გვ.: 68, 10. **„დავით III მეფე“** – საუბარია XI საუკუნეში ტაოს მეფე დავით კურაპალატზე.

გვ.: 68, 11. **„ბიძინა“** – საუბარია XVII საუკუნის წმინდანზე – ბიძინა ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 68, 12. **„რაჟდენ“** – საუბარია V საუკუნის ეროვნებით სპარს წმინდა მოწამეზე.

გვ.: 68, 13. **„ქეთევან დედოფ.“** – საუბარია კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლეზე – XVII საუკუნის ქართველ მოწამეზე.

გვ.: 68, 14. **„წ˜ა ნინო“** – საუბარია IV საუკუნეში ქართველთა განმანათლებელზე.

მარი ბროსესადმი №29 (29) გვ.: 69-70.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №98 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 56r-v / 87r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 25,7X20,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; II ფურცელი განაპირას მოხეულია სიგრძით 2,6 და სიღრმით 2 სმ-ზე; I-IV გვერდებზე აქვს წითელი ლუქი; IV გვერდზე ადრესატის მისამართია რუსულად; აქვეა მართკუთხედის ფორმის შავი ბეჭედი და ასევე შავად ნაბეჭდი 1 სტრიქონი, სადაც რუსულად იგივე თარიღი წერია, რაც წერილს აქვს. მისამართის ნაწილში, ადრესატის გვარსა და პეტერბურგს შორის, მარცხენა მხრიდან, იმავე ფერის მელნით წილადის სახით წერია 1/25.

თარიღი და ადგილი: „ნოემბ. 24^{სა} 1840 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „დავშთები მარად თქუჳნი პლატონ იოსელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук, Экстраординарному Академику Г. Броссе. в С. Петербурге. На Вас. остр. в 7ой линій в доме Академіи.»

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა

განმარტებებს: ზ˜ა – ზედა; რ˜ლთამე – რომელთამე; ხ˜ – ხოლო; რ˜ლთაცა – რომელთაცა; მეცნ˜თაცა – მეცნიერთაცა; წ˜ე – წინაშე; ყ˜ლთჳს – ყოველთვის; შ˜ა – შინა; ესევ˜რნიცა – ესევითარნიცა; რ˜ლნიცა – რომელნიცა; 2. ასეა; 3. ჩამატებულია; 4. ხელნაწერში შეცდომით უწერია „კართულისა“: 5. ამის შემდეგ მკვეთრად არის გადახაზული „ჰსცნეს“; 6. ქარაგმის ნიშანი აქა აქვს ამ სიტყვას; 7. მიცემით ბრუნვაშია მართული წინდებულის მიერ; 8. ხელნაწერშია „მივიღებცკა“; 9. იკითხება მხოლოდ „იოს“, დანარჩენი ნაწილი – სამმაგი ნახევარწრე ქვემოთ – ხელმოწერას აფორმებს; 10. მხოლოდ „ს“ იკითხება, რომელიც ქვემოთ არის ჩამოგრძელებული, მაგრამ, რადგანაც ასეთ შემთხვევებში ავტორი სისტემურად ხმარობს „სა“-ს, ჩვენც მას ვწერთ; 11. ამასაც ქვემოთ სამმაგი ნახევარწრე აქვს, თუმცა სიტყვა ბოლომდე იკითხება; 12. „ე“-ს მახვილი აქვს; მარცხნივ მიმართული; ამასთან, ხაზგასმულია; 13. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 181-182.

გვ.: 69, 3. **„ჯანდიეროვისა ჴელითა“** – სახელი მითითებული არ არის და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა.

გვ.: 69, 6. **„განუმეოროთ უფ. ჶუსსა“** – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე.

გვ.: 69, 19-20. **„ნიკ. ჩუბინოვი მცოდნე კარგად ქართ. ენისა“** – საუბარია მწიგნობარზე, მთარგმნელზე, ლექსიკოგრაფსა და არქეოლოგ ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილზე.

გვ.: 70, 8. **«Андрею Михайловичу Г. Шёгрену»** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №30 (30) გვ.: 70-71.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №99 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 58r-v, 53r / 89r-v, 90r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ქაღალდი; I ფურცლის ზომა: 20,1X12,8 სმ.; II ფურცლის ზომა: 20,3X12,8 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „დეკ. 4ს 1840 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჳნი იოსელიანი პლატონ“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალევ ჴელმწიფევ უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, იგი მოიკითხვას აკადემიკოს შეგრენს: «Андрею Михайловичу Г. Шёгрену свидетельствую истинное от полноты души почтеніе.»

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: ჭ˜ტსა – ჭეშმარიტსა; რ˜ლსაცა – რომელსაცა; ჩ˜ნი – ჩვენი; ღ˜ისა – ღვთისა; 2. თანდებული ჩამატებულია; 3. ამ ადგილას ხელნაწერი ამოხეულია და „ნ“ არ ჩანს; 4. ხელნაწერში ეს ორი სიტყვა ერთად არის; 5. ჩამატებულია; ამასთან, აქ „ნ“ უწერია, ზემოთ კი გამორჩენილი ჰქონდა, რომელიც ჩვენ აღვადგინეთ; 6. ხელნაწერშია „თფილისითან“; 7. ბოლოში ჯერ „დ“ დაუწერია და მერე გადაუკეთებია; 8. ქვემოთ ხელმოწერის გაგრძელებაა; 9. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 10. ქვეშ მსხვილი ხაზგასმაა დამთავრების ნიშნად.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო

შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 182-183.

გვ.: 71, 4. **„უფ. ჭუსმან მოიწეროს“** – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე.

გვ.: 71, 11-12. **„ექსარხისა თანა შესწორება ჩლენობით“** – სავარაუდოდ, გულისხმობს იმას, რომ იმჟამინდელი ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი იყო რუსეთის აკადემიის წევრი და თითქოს უხერხული იქნებოდა, რომ პლატონ იოსელიანსაც მიეღო აკადემიის წევრობა.

გვ.: 71, 13. **„ღუბერნატორმან და სხ. ჩლენთა სტატისტიკისა“** – სავარაუდოდ, საუბარია საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ ალექსანდრე ანტონის ძე სკალონსა და იმპერიის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის წევრებზე, რადგან კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი.

გვ.: 71, 15-16. **„ღენ. ჩავჩავაძე, სოვეტის ჩლენი ჟურავლევი, ბარათაევი“** – საუბარია ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძესა და სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე. ჟურავლიოვის სახელი უცნობია და გაურკვეველია, რა საბჭოს წევრი იყო.

გვ.: 71, 20-21. **„წილოსანმან მოგიკითხათ“** – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ იოსებ ლაზარეს ძე წილოსანზე

გვ.: 71, 27. **«Андрею Михайловичу Г. Шёгрену»** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

1841

მარი ბროსესადმი №31 (31) გვ.: 72-73.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №100 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 60r-v / 91r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალა-

ქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 20,3X12,8 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია.

თარიღი და ადგილი: „იანვ. 5ს 1841 წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „თქუჱნი მარად მორჩილი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ხელმწიფევ უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი ადრესატს სიტყვას აბარებს აკადემიკოს შეგრენთან: „უფ. შეგრენს მალე მოვჰსწერ პასუხსა.“

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: ჟ˜ა – ჟამსა; შ˜ა – შინა; 2. გადაბმის გამო „ა“ არ არის გამოკვეთილი; 3. ქვეშ სამმაგი ნახევრწრე აქვს ხელმოწერის გასაფორმებლად; 4. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 5. ქვეშ მსხვილი ხაზგასმაა დამთავრების ნიშნად.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 183.

გვ.: 72, 3-4. **„უფ. შეგრენისაგანცა“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 72, 5-6. **„მოვაკლდი საყუარელსა ჩემსა მეუღლესა“** – სავარაუდოდ, საუბარია ავტორის პირველ ცოლზე, რომლის სახელიც უცნობია. მისი მეორე ცოლი – ანა ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი აქ ვერ იქნებოდა ნაგულისხმევი, რადგან ამ დროს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო.

გვ.: 72, 12-13. **„მოწერისათჳს უფ. ჶუსთან“** – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე.

მარი ბროსესადმი №32 (32) გვ.: 73-75.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №101 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 62r-v, 63r / 93r-v, 94r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 25,7X20,2 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; აქვს მელნის ნაღვენთები; რამდენიმე ადგილას მცირეზე ამოხეულია.

თარიღი და ადგილი: „იანვ. 15[სა] 1841 წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მომლოდნე პასუხისა მარად თქუჱნი ერთგული პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი ადრესატს კალენდრის გადაცემას სთხოვს პეტერბურგში მცხოვრები თუ მოღვაწე პირებისთვის.

შენიშვნები: 1. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლთაცა – რომელთაცა; შ˜ს – შორის; შ˜ა – შინა; რ˜ლნიცა – რომელნიცა; შ˜დ – შემდგომად; 2. ამ ადგილას მელანია დაღვენთილი; 3. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი ჩამატებულია; 4. „ქ“-ს ადგილას ჯერ „კ“ დაუწერია და მერე გადაუკეთებია; 5. ამის ქვეშ ხაზია გასმული ქვედა ტექსტიდან გამოყოფის ნიშნად; ამასთან, ციფრებს მარცხენა მხრიდან შავი ფანქრით აღნიშვნები აქვს ხაზის სახით, გარდა 1-ისა, 7-ისა, 9-ისა და 16-ისა; 6. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 7. ქვეშ ორმაგი ნახევრწრე აქვს ხელმოწერის გასაფორმებლად; 8. „5“-ის ნაცვლად ჯერ სხვა ციფრის წერა და-

უწყია, ხაზი ჩამოუსვამს ნახევრამდე, მერე შეუწყვეტია და გადაუკეთებია; 9. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.
პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 184-185.

გვ.: 73, 6. **„ფრანციის კონსულისათჳს“** – საუბარია საფრანგეთის კონსულ სოვერ დე ლა შაპელზე.

გვ.: 73, 12. **„დაწყებით ევთიმე მთარგმნელისა“** – საუბარია ექვთიმე მთაწმინდელზე.

გვ.: 74, 5. **„შეგრენს“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 74, 6-9. **„მეფ. ძეთა – ბაგრატს... თეიმურაზს... მიხაილს... ფარნაოზს“** – საუბარია ბაგრატ, თეიმურაზ და მიხეილ გიორგი XII-ის ძეებსა და ფარნაოზ ერეკლე II-ის ძე ბაგრატიონებზე.

გვ.: 74, 10. **„დედოფალსა მარიამს“** – საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ქვრივზე – მარიამ კაციას ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 74, 11-12. **„ოქროპირს... რიფსიმას“** – საუბარია გიორგი XII-ის შვილებზე.

გვ.: 74, 13. **„ბატ. შვილს ლუარსაბს“** – საუბარია ერეკლე II-ის შვილიშვილზე – ლუარსაბ იულონის ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 74, 14-15. **„ალექსანდრე და დიმიტრის ბაგრატიონთა ღენერალთა“** – საუბარია იმერეთის შტოს წარმომადგენლებზე – გენერალ ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონებზე.

გვ.: 74, 16. **„ღენერალს იოსელიანს“** – საუბარია პლატონ იოსელიანის ბიძაზე – ზაქარია ონისიმეს ძე იოსელიანზე.

გვ.: 74, 17-18. **„დავით და ალექსანდრე ბატ. შვილის ბაგრატისა ძეთა“** – საუბარია ბაგრატ გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონის ვაჟებზე – დავითსა და ალექსანდრეზე.

გვ.: 74, 19. **„გრიგოლს დადიანს“** – საუბარია ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეზე – გრიგოლ ლევანის ძე და-

დიანზე.

გვ.: 74, 20. **„ირაკლი მუხრანსკის“** – საუბარია ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 74, 21. **„ივანე ორბელიანს კაპიტანს“** – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 74, 22. **„ჩუბინოვს“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი.

გვ.: 74, 26-27. **„ჰკითხეთ აკადემიკს ჭუსს“** – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე.

გვ.: 74, 29. **„ზაქარია ფალავანდოვი ხშირად არის ჩემთან“** – სავარაუდოდ, საუბარია ზაქარია იაკობის ძე ფალავანდიშვილზე, რომელმაც 1841 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში დაბრუნდა.

მარი ბროსესადმი №33 (33) გვ.: 75-77.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №102 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 64r-v, 65r / 95r-v, 96r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 25,3X20 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „14 mars 1841.“ / „14 მარტსა 1841 წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავრჩები მარად თქუჳნი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Г. Академику Броссе!» „უფ. ბროსსე მოწყალევ ხელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერი-

ლი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია: „9 დეკ. 1840 წ. ჭუსის სახელზედ გამოვჰგზავნე ერთი წიგნი: მიიღეთ თუ არა აკადემიაში.“

შენიშვნები: 1. შავი ფანქრით წერია; ამასთან, წერილის თავში გვერდით ციფრი უწერია, რომელიც არ იკითხება, თითქოს 1841 უნდა იყოს, გვარის ქვეშ ასევე შავი ფანქრით, სავარაუდოდ ხელნაწერთა ცენტრის თანამშრომლის მიერ მიწერილია: «ад №679»; 2. ხელნაწერშია „თქუჱნი“; 3. გვარი ხაზგასმულია; 4. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლთა – რომელთა; შ˜ა – შინა; პ˜ლად – პირველად; 5. „ტ“ არ უწერია; 6. ბოლოში ჯერ „დ“ დაუწერია და მერე გადაუკეთებია; 7. ამის შემდეგ გადაშლილია „ამასთან“; 8. აქედან აბზაცის ბოლომდე მარცხენა არშიაზე შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული; 9. სიტყვა მოკლედ უწერია, გამოტოვებული ნაწილი კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით; 10. „თავებად არის“ ხაზგასმულია; 11. ქვეშ სამმაგი, საკმაოდ დიდი ნახევრწრე აქვს ხელმოწერის გასაფორმებლად; 12. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 185-186.

გვ.: 75, 11-12. **„წერილნი ჩუბინოვისა სახელზედ და ფალავანდოვისა“** – იგულისხმებიან ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი და ზაქარია იაკობის ძე ფალავანდიშვილი.

გვ.: 75, 12-13. **„დ. მაჩაბელისა მაქუს ჯერეთ შენახული“** – სავარაუდოდ, იგულისხმება პოეტი, მომღერალი, მსახიობი დავით მაჩაბელი.

გვ.: 75, 18-19. **„არხიეპისკოპოსსა აქაურთა სომეხთა კარაპეტს“** – საუბარია თბილისის სომხური ეკლესიის არქიეპისკოპოს კარაპეტ (ოვანეს) ბაგრატუნზე.

გვ.: 75, 22-23. **„ქართული ისტორია არარის ღევონტისაგან დაწერილი“** – ალბათ, საუბარია ლეონტი მროველის ის-

ტორიაზე.

გვ.: 76, 6. **„ახპატისა ზედა-წარწერათა“** – იგულისხმება სომხეთის ჩრდილოეთში მდებარე მონასტრის წარწერები.

გვ.: 76, 9. **„მოუვიდა ობერ-პროკურორს“** – საუბარია სინოდის ობერპროკურორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პროტასოვზე.

გვ.: 76, 17-18. **„ჭუსის სახელზედ გამოვჰგზავნე“** – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე.

გვ.: 77, 1. **„კნიაზ ბარათაევის ბეჭედი“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე.

მარი ბროსესადმი №34 (34) გვ.: 77-78.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №103 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 66r-v / 97r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი; I ფურცლის ზომა: 21,7X17,4 სმ.; II ფურცლის ზომა: 21,6X17,6 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; III-IV გვერდებზე წითელი ლუქის ნარჩენებია. IV გვერდზე არის მართკუთხედის ფორმის შავი ფერის ბეჭედი და შავად ნაბეჭდი თარიღი; აქვეა ადრესატის მისამართი რუსულად, რომლის შუაშიც წითელი მელნით მიწერილია წილადი 1/25; ავტოგრაფი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „სეკდ. 12ხა 1841 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „სხუჱბრ დავჰშთები მარად თქუჱნი ერთგული პლატონ იოსელიან[ი]“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ეკსტრაორდინარნის აკადემიკს უფ. ბროსსეტს!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук Экстраординарному Академику Броссе. в С. Петербурге. На

Васмльев. остр. в 7ой линій»

შენიშვნები: 1. ბოლო „ი“ აღარ წერია, „ნ“-ს შემდეგ სამმაგი ნახევრწრე მოსდევს ქვემოთ ხელმოწერის გასაფორმებლად; 2. „ს“-ს შემდგომი „ა“ არ იკითხება, ქვემოთ ჩამოგრძელებული ნახევარწრეები აქვს ხელმოწერის გაფორმების მიზნით; 3. ხაზგასმულია; 4. „ე“-ს მახვილი აქვს მარცხნივ მიმართული, ამასთან, ხაზგასმულია; 5. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 186.

გვ.: 77, 16-17. **„თქუჱნგან დაბეჭდილსა ფურცელსა ჩემს კალენდარზედ“** – როგორც ჩანს, მარი ბროსეს შეფასება დაუწერია 1840 წელს პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული წიგნისა „კალენდარი ანუ თთუეთა რიცხუაობა 1840 წლისა“.

მარი ბროსესადმი №35 (35) გვ.: 78-80.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №104 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 68r-v, 69r-v / 99r-v, 100r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი, ზომა: 25,8X20,9 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც ფურცლებში იმდენადაა გაჟღენთილი, რომ კითხვა ჭირს; ხელნაწერი დაზიანებულია, I ფურცელი 7,4 სანტიმეტრზე შეხეულია სიღრმეზე, გადაკეცვის ადგილას კი გახეულია 9,5 სმ-ზე, რის გამოც ფურცლები ერთმანეთისგანაა დაშორებული; ალაგ-ალაგაც ამოხეულია, მელნისგან ადგილებია ამომწვარი; ავტოგრაფი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; III-IV გვერდებზე წითელი ლუქის დიდი ნარჩენებია. IV გვერდზე არის მართკუთხედის ფორმის შავი ფერის ბეჭედი და შავად ნაბეჭდი თარიღი და გაგზავნის ად-

გილი რუსულად (თბილისი); აქვეა ადრესატის მისამართი რუსულად, რომლის შუაშიც ოდნავ განსხვავებული შავი ფერის მელნით მიწერილია 12 25 (ცალ-ცალკე), ხოლო ქვემოთ ამავე ფერი მელნით „26“; ხელნაწერს სჭირდება რესტავრაცია.
თარიღი და ადგილი: „21 ნოემბ. 1841. თფილისით“
ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჳნი პლატონ იოსელიანი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ხელმწიფევ!“
ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук, Экстраординарному Академику и кавалеру Броссе. в С. Петербурге. На Васмльев. остр. в доме Академіи.»
შენიშვნები: 1. ხაზგასმულია; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: შ˜დ – შემდგომად; კ˜დ – კუალად; რ˜ლისა – რომლისა; რ˜ლიცა – რომელიცა; წ˜თა – წმიდათა; ჭტ˜ად –ჭეშმარიტად; 3-5. ხაზგასმულია; 6-9. ციტატები ხაზგასმულია; 10. ხაზგასმულია; 11. პირის ნიშანი „ვ“ ზემოდან არის ჩამატებული; 12. ჩამატებულია; 13. ჯერ დაუწერია „აქუს“, მერე „უ“-ს ზემოთ „რ“ ჩაუმატებია, ხოლო „ქ“-ს ზემოთ – „ა“ და მიუღია „აქაურს“; 14. ხაზგასმულია; ამასთან, «faximile»-ს წერისას მესამე ასო შეშლია, მის გვერდით სწორად დაუწერია „x“, ხოლო მცდარი ასოს გადაშლა დავიწყებია; 15. ქვემოთ ნახევარწრეები აქვს ხელმოწერის გაფორმების მიზნით; 16. ხაზგასმულია. „ე“-ს მახვილი აქვს მარცხნივ მიმართული; 17. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.
პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 187-188.

გვ.: 78, 21. **„დავით მდივანბეგის სახელით“** – საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მდივანბეგ დავით კვინიხაძეზე, რომელიც მან რუსეთში ელჩად გაგზავნა.

გვ.: 78, 21-22. **„ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან“** – საუბარია ქართველ პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 79, 6-7. **„ზაქარია ფალავანდოვი ჰსჯავრობს რომ არ**

მოიხსენეთ იგი თავადად“ – სავარაუდოდ, საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ რუსული გამოცემის თავფურცელზე ზაქარია იაკობის ძე ფალავანდიშვილის მოხსენიების შესახებ.

გვ.: 79, 17-18. **„გამოგზავნა აქაურს არქიერთან“** – საუბარია საქართველოს ეგზარქოს ევგენი (ალექსანდრე ფილიპეს ძე) ბაჟენოვზე.

გვ.: 79, 23-24. **„აქ მთავარმართებელმან გადააწერინა“** – ამ დროს კავკასიის მთავარმართებელი იყო ევგენი გოლოვინი.

გვ.: 79, 25. **„სომეხთა არხიერის კარაპეტის“** – საუბარია თბილისის სომხური ეკლესიის არქიეპისკოპოს კარაპეტ (ოვანეს) ბაგრატუნზე.

გვ.: 80, 3-4. **„ვახუშტის ისტორიის ოდენი“** – საუბარია ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ვახუშტი ვახტანგ VI-ის ძე ბაგრატიონის, წიგნზე „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

გვ.: 80, 12. **«Института Девиц»** – საუბარია ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1842 წელს.

1842

მარი ბროსესადმი №36 (36) გვ.: 81-82.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №105 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 70r / 101r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი; I ფურცლის ზომა: 26,8X20,6 სმ.; II ფურცლის ზომა: 26,9X21,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ავტოგრაფი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; IV გვერდზე, 2 ადგილას, მარჯვნივ და მარცხნივ, წითელი ლუქის ნარჩენებია, შუაში კი

აგურისფერი ნახევრაწრეა შუაში ორი ფიგურით; აქვე არის მართკუთხედის ფორმის, შავი ფერის ორი ბეჭედი და შავად ნაბეჭდი თარიღი და გაგზავნის ადგილი რუსულად (თბილისი), ასევე ადრესატის მისამართი რუსულადვე, რომლის შუაშიც მიწერილია 12 25и (ცალ-ცალკე) ბაცი ფერის მელნით. ასეთივე ფერის მელნით ქვეშ მიწერილია „19“; ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „13 მარტ.1842 თფილისით“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჱნი პლატონ იოსელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ხელმწიფევ უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук, Экстраординарному Академику Г. Броссе в С. Петербурге. На Васмльев. остр. в 7ой линіи в доме Академіи.»

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია; 2. „ებში“ ხაზგასმულია და წინამავალი რუსული სიტყვისგან ცალკე წერია; 3. ხელმოწერა გაფორმებულია; 4. ხაზგასმულია; „ე“-ს მახვილი არა აქვს;

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 188.

გვ.: 81, 11. **„ერთი კარგი როსტომიანი** – საუბარია ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიაზე.

გვ.: 81, 11-12. **„იშოვნა კნიაზმა ბარათაევმა“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევზე.

გვ.: 81, 16-17. **„გამოვუგზავნე სმირდინსა“** – სავარაუდოდ, საუბარია გამომცემელსა და წიგნებით მოვაჭრე ალექსანდრე ფილიპეს ძე სმირდინზე, რომელიც 1834-1865 წლებში გამოსცემდა ჟურნალს «Библиотека для чтения».

გვ.: 81, 18-19. **„საკუთრივ დადიანისათჳს დავიბარე“** – სავარაუდოდ, საუბარია იმერეთის მთავარ დავით ლევან V-ის ძე დადიანზე.

მარი ბროსესადმი №37 (37) გვ.: 82-83.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №106 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 54r-v / 85r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 27,1X20,9 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ავტოგრაფი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; IV გვერდზე დიდი წითელი ლუქია; აქვე არის მართკუთხედის ფორმის, შავი ფერის ორი ბეჭედი და შავად ნაბეჭდი თარიღი და გაგზავნის ადგილი რუსულად (თბილისი), ასევე ადრესატის მისამართი რუსულადვე, რომლის შუაშიც მიწერილია 12 25 (ცალ-ცალკე), ხოლო ქვემოთ იმავე ფერის მელნით წერია „1“, რომელიც ხაზგასმულია; ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „თფილისით. 14 აპრ. 1842 წ.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჱნი ერთგული მონა პლატონ იოსელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალო ბროსსეტ მოწყალევ ხელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук Академику Броссе в С. Петербурге. на Вас. остр. в 7ой линіи в доме Академіи.»

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია; 2. ჯერ „13“ დაუწერია და შემდეგ „3“ გადაუკეთებია; 3. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: შ˜დ – შემდგომად; შ˜ს – შორის; 4-5. ორივე შემთხვევაში ბოლო ასოები ქვემოთ გრძელდება კლაკნილი ხაზით გაფორმების ნიშნად; 6. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 189.

გვ.: 82, 19. **„გამოვჰგზავნი არზასა ობერ-პროკურორთან“** – ამ დროს სინოდის ობერპროკურორი იყო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პროტასოვი.

გვ.: 83, 1-2. **„ეგების სმირდინი ნახოთ“** – სავარაუდოდ, საუბარია გამომცემელსა და წიგნებით მოვაჭრე ალექსანდრე ფილიპეს ძე სმირდინზე.

გვ.: 83, 8. **„აკადემიკი შეგრენი მომიკითხეთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

მარი ბროსესადმი №38 (38) გვ.: 83-84.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №107 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 72r / 103r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი; ზომა: 25,9X21,1 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ავტოგრაფი ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; IV გვერდზე, ორ ადგილას, მარჯვნიდან და მარცხნიდან, წითელი ლუქის ნარჩენებია; აქვე არის მართკუთხედის ფორმის, შავი ფერის ორი ბეჭედი და შავად ნაბეჭდი თარიღი და გაგზავნის ადგილი რუსულად (თბილისი), ასევე ადრესატის მისამართი რუსულადვე, რომლის შუაშიც მიწერილია 12. 25и (ცალ-ცალკე), ხოლო დაბლა ამავე ფერის მელნით წერია „10“, რომელიც ხაზგასმულია; აქ « » იკითხება, თუმცა ერთ ხელნაწერში ამ ადგილას აშკარად « » წერია; ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „25 მაისს 1842 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „თქუჱნი უმორჩილესი პლატონ იოსელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ხელმწიფევ უფ. ბროსსე!“

ადრესატის მისამართი: «Императорской Академіи Наук, Академику Броссѐ в С. Петербурге на Вас. остр. в 7ой линіи в

доме Академіи»

შენიშვნები: 1. ხელნაწერში იკითხება „უქმნეთ“, მაგრამ „ე“ ასო დაფარულია მელნით, შესაძლოა, „ა“ ეწერა და შემდეგ მელნით დაისვარა; 2. ჩამატებულია; 3. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლნიცა – რომელნიცა; 4. ზოგჯერ ასეც წერს: ჯერ ტირეს და შემდეგ წერტილს; 5. ხელწერა გაფორმებულია; 6. ჯერ „24“ დაუწერია და მერე გადაუკეთებია; 7. ხაზგასმულია; 8. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 189.

გვ.: 83, 18. **„თქუჱნი ახლად დაბეჭდილი ბროშურკა“** – 1842 წელს მარი ბროსემ ფრანგულ ენაზე გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილისეული „საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა“ («'Description géographique de la Géorgie by Vaxušti Bagrationi»).

გვ.: 83, 18-19. **„მომცა ფალავანდოვმან“** – სავარაუდოდ, საუბარია ზაქარია იაკობის ძე ფალავანდიშვილზე.

გვ.: 83, 20. **„საძაგელმან სმირდინმან შემაწუხა“** – სავარაუდოდ, საუბარია გამომცემელსა და წიგნებით მოვაჭრე ალექსანდრე ფილიპეს ძე სმირდინზე.

გვ.: 84, 4-5. **„сев. пчела რაღათ არის საჭირო რომ წელიწადი კიდეც გავიდა“** – საუბარია რუსულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთზე, რომლის პეტერბურგიდან გამოგზავნაც დაუგვიანეს.

1845

მარი ბროსესადმი №39 (39) გვ.: 85-86.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №108 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 74r-v, 75r-v / 105r-v, 106r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი; ზომა: 20,7X13,2 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში.

თარიღი და ადგილი: „იანვ. 26. 1845 წ. თფილისით.“ / „26 janv. 1845“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჱნი უმორჩილესი პლატონ იოსელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალო ბროსსეტ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მოიკითხავს აკადემიის წევრებს: „სხუჱბრ გთხოვ თქუჱნი სახლობა და წურილები მომიკითხოთ. აგრეთუჱ უფ. შეგრენი და კეპპენი და ჭრენი.“

შენიშვნები: 1. შავი ფანქრით წერია; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: პ˜ლად – პირველად; რ˜ლთაცა – რომელთაცა; 3. ხელწერა გაფორმებულია; 4. ხაზგასმულია; 5. «ней»-ის ნაცვლად იკითხება «меи», «й»-ს ნაცვლად უწერია «и»; 6. ავტორს ხელნაწერში არასწორად უწერია «Ме»; 7. ქვეშ ხაზი აქვს გასმული დამთავრების ნიშნად.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 190.

გვ.: 85, 14. **„უფ. შეგრენი და კეპპენი და ჭრენი“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე, ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენსა და აკადემიკოს ქრისტიან დანიელის ძე ფრენზე.

გვ.: 85, 21. **„ჭუსი მიბრუნებს“** – სავარაუდოდ, საუბარია იაგორ ნიკოლოზის ძე ფუსზე.

გვ.: 85, 21-22. **„არ მიიღება დემიდოვის პრემიაშიაო“** – ურალელი მეწარმის, პავლე ნიკოლოზის ძე დემიდოვის, მიერ

დაწესებული პრემია 1832-1866 წლებში გადაეცემოდათ მკვლევარებს მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

გვ.: 86, 2-3. **„Mes compliments à Monsieur Schubinow“** – სავარაუდოდ, იგულისხმება მწიგნობარი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი და არქეოლოგი – ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი.

მარი ბროსესადმი №40 (40) გვ.: 86-89.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №109 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 78r-v, 79r-v / 109r-v, 110r-v.
ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ქაღალდი; ზომა: 20,7X12,6 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; I ფურცელი გადაკეცვის ადგილას ქვემოდან შეხეულია.
თარიღი და ადგილი: „26 oct. 1845“ / „26 ოკდ. 1845. თფილისით.“
ხელმოწერა: „დავჰშთები მარად თქუჱნი მორჩილი მოსამსახურე პ. იოსელიანი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალევ ჴელმწიფევ, მარადის ქართველთაგან დაუვიწყებელო ბროსსე!“
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მოიკითხავს აკადემიის წევრებს: „შეგრენი მომიკითხეთ, აგრეთუჱ აკად. კეპპენ.“
შენიშვნები: 1. უწერია „1847“ (შავი ფანქრით). როგორც ჩანს, შეეშალა, რადგან წერილის ბოლოს 1845 წელი უწერია და, თანაც, წერილში მოხსენიებული ზაქარია ფალავანდიშვილი 1845 წელს გარდაიცვალა; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლსაცა – რომელსაცა; რ˜ლზედაც –

რომელზედაც; ფ˜დ – ფრიად; რ˜ლთაცა – რომელთაცა; ს˜დ – სრულიად; რ˜ლიც – რომელიც; ყ˜ივე – ყოველივე; ჭ˜ტი – ჭეშმარიტი; 3. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 190-192.

გვ.: 86, 15. **„საწუხარია ზაქარიას გარდაცუალება“** – საუბარია ზაქარია იაკობის ძე ფალავანდიშვილზე, რომელიც 1845 წელს გარდაიცვალა. წყაროებში გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1842 წელი.

გვ.: 86, 20. **„ღუბერნატორის კანცელარიაში“** – ამ დროს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი იყო მიხეილ ივანეს ძე ჟერებცოვი.

გვ.: 88, 2. **„ერთი კანტანისტი“** – კანტონისტები იყვნენ დაბალი წოდების სამხედრო მოსამსახურეთა შვილები, რომლებსაც ევალებოდათ შეიარაღებულ ძალებში სამსახური.

გვ.: 88, 6. **„ჩუჱნს ექსარხთან ერთად“** – საუბარია საქართველოს ეგზარქოს ევგენი (ალექსანდრე ფილიპეს ძე) ბაჟენოვზე.

გვ.: 88, 9. **„თქუჱნი მეუღლე და ყმაწვილები“** – მარი ბროსეს მეუღლე იყო მარია ლავრენტის ასული შელი-ბროსე, შვილებს კი ერქვათ: ჰენრიეტა მარია, ლუის-ფილიპინ-მარია, ფელიქსი, ლავრენტი და ჟორჟი.

გვ.: 88, 11. **„სულხანოვი კარგად არის“** – სავარაუდოდ, საუბარია ქართველ მთარგმნელსა და კალიგრაფ ალექსანდრე სულხანიშვილზე.

გვ.: 88, 13. **„წილოსანი კარგად იმყოფება“** – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ იოსებ ლაზარეს ძე წილოსანზე.

გვ.: 88, 24. **„შეგრენი მომიკითხეთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

გვ.: 88, 24. **„აგრეთუჱ აკად. კეპპენ.“** – საუბარია ისტორიკოს პეტრე ივანეს ძე კეპენზე.

1847

მარი ბროსესადმი №41 (41) გვ.: 90-91.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №110 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 76r-v / 107r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი, სიფრიფანა, დიდი ფორმატის, გერბიანი ქაღალდი; I ფურცლის ზომა: 28,2X23,1 სმ.; II ფურცლის ზომა: 28,2X22,9 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში; ავტოგრაფი დაზიანებულია, აქვს მონახევები, რესტავრირებულია, ყველა მხრიდან დაჩხვლეტილია; IV გვერდზე წითელი ლუქის დიდი ნარჩენია; აქვე არის მართკუთხედის ფორმის, შავი ფერის ორი ბეჭედი, შავად ნაბეჭდი თარიღი და გაგზავნის ადგილი რუსულად (თბილისი), ასევე ადრესატის მისამართი რუსულადვე, რომლის შუაშიც სხვა ფერის მელნით გაურკვეველი ციფრებია მიწერილი.

თარიღი და ადგილი: „14 mars 1847“ / „14 მარტსა 1847 წელსა თფილისით.“

ხელმოწერა: „დავჰშთები მარად პატივის-მცემელი თქუჳნი თქუჳნდა მორჩილი და ერთგული მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ უფალო ბროსსეტ!“

ადრესატის მისამართი: «Его В. Благородію Г. Академику Броссѐ в С. Петербурге. На Васильев. остр. в 7$^{\text{ой}}$ линіи в доме Академіи Наук.»

შენიშვნები: 1. შავი ფანქრით წერია ორივე სტრიქონი, გვარის ბოლო ნაწილი მოხეულია და არ იკითხება; 2. წარმოვადგენთ ტექსტში მოცემულ ქარაგმათა განმარტებებს: რ˜ლშიაც – რომელშიაც; რ˜ლითაც – რომლითაც; რ˜ლიც – რომელიც; შ˜ს – შორის; ს˜დ – სრულიად; 3. „ის“ არ უწერია; 4-6. ამ

ადგილებში ხელნაწერი დაზიანებულია და კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები არ იკითხება; 7. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 8. ხელმოწერა გაფორმებულია; 9-10. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს; 11. ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ.: 192-193.

გვ.: 90, 12-13. **„მეცადინებასა თქუჱნსა პრემიისათჳს“** – საუბარია დემიდოვის პრემიაზე, რომლის მოსაპოვებლადაც ჰქონდა წარდგენილი პლატონ იოსელიანს თავისი რუსულენოვანი წიგნი „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“ (Краткая история грузинской церкви).

გვ.: 90, 18. **„სიმეონ მესვეტისა ჟამი“** – საუბარია ცნობილი კაპადოკიელი წმინდანის მოღვაწეობის ხანაზე, VI საუკუნეზე.

გვ.: 90, 18-19. **„მეფობა თეოდოსი მცირისა“** – საუბარია 401-450 წლებში ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი მცირეზე.

გვ.: 90, 20. **„13 მამათა“** – იგულისხმება საქართველოში საქადაგებლად ჩამოსული ასურელი ბერები: დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ისე წილკნელი, სტეფანე ხირსელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი და აბიბოს ნეკრესელი.

გვ.: 90, 22. **„იერუსალიმს პატრიარქად ილია“** – ილია I იერუსალიმის პატრიარქად იყო 494-516 წლებში.

გვ.: 90, 24-25. **„დავჰსდევ წელი ვახუშტისა“** – საუბარია ცნობილ ქართველ ისტორიკოსზე – ვახუშტი ვახტანგ VI-ის ძე ბატონიშვილზე.

გვ.: 90, 27. **„მურავიევიც თანჴმა არის“** – სავარაუდოდ, საუბარია ანდრეი ნიკოლოზის ძე მურავიოვზე, რომელიც რუ-

სეთის ეკლესიის ისტორიას იკვლევდა და გამოცემული ჰქონდა წიგნები.

გვ.: 91, 1. **„კ. ვორონცოვმა მიამბო“** – საუბარია 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 91, 8. **„აკადემიკი შეგრენი პატივისცემით მომიკითხეთ“** – საუბარია ანდრეი მიხეილის ძე შეგრენზე.

1848

რაფიელ ერისთავისადმი №1 (42) გვ. 92.

ავტოგრაფი: C, რაფიელ ერისთავის არქივი, №818 / №202.
ავტოგრაფის აღწერილობა: ნაცრისფერი, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის თხელი ქაღალდი, ზომა: 25,9X20,5 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც მეორე მხარესაა გაჟღენთილი; ხელნაწერი დაზიანებული (ადგილები მოხეული აქვს) და რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «21 Февр. 1848. Тифлис.»

ხელმოწერა: «П. Иосселіани»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Милостивый Государь, Князь Рафаил Давидович!» / «Рафаилу Давидовичу К. Эристову.»
ადრესატის მისამართი: ადრესატის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მან ბავშვობა და ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში გაატარა. მართალია, 1847 წელს თარჯიმნად დაიწყო მუშობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში და წინამდებარე წერილი კი 1848 წელს არის დაწერილი, მაგრამ წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი კახეთშია და ბარათიც იქ არის გაგზავნილი. პლატონ იოსელიანი მას სწერს: «Кахетія и горы ея окружающія, – предмет неистощимаго письма. Вы же к ним так близки по жительству,

перу и многим отношеніям.»
შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია.

გვ.: 91, 1. «**Князь Рафаил Давидович**!» – წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე – რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

გვ.: 91, 5-6. «**Вестник не есть газета литературная**» – საუბარია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოველკვირეულ გაზეთზე «**Закавказский Вестник**», რომელიც გამოდიოდა თბილისში და მისი რედაქტორი XIX საუკუნის 40-იან წლებში იყო პლატონ იოსელიანი. თბილისში გაზეთ «Кавказ»-ის დაარსების შემდეგ «Закавказский вестник»-ის არაოფიციალური ნაწილი გაუქმდა, ხოლო ოფიციალური ნაწილი გამოიცემოდა როგორც გაზეთ «Кавказ»-ის დამატება (1856-1867).

1853

გრიგოლ ორბელიანისადმი №1 (43) გვ. 94.

ავტოგრაფი: Z (ზსიემ) №24436 (ძველი №24656)/ ლიტ. არქ. №1036, ყოფილი იონა მეუნარგიას ფონდი №1056.
ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გაყვითლებული, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 23,5X29 სმ., ზედა და მარჯვენა კიდეები გაცვეთილია, ორივეგან აქვს მონახევები. ქაღალდი გადაკეცვისაგან შუა ნაწილში დაზიანებულია, მარჯვენა კიდეზე გადაკეცვის ადგილას ჩახეულია, რის გამოც ტექსტი ძნელად იკითხება; შესრულებულია შავი მელნით.
ასლი: L, 027147. ორმაგი პაგინაციით: 17r (ლურჯი კალმით), 72r (შავი ფანქრით).
ასლის აღწერილობა: წერილი ფურცელზეა დაბეჭდილი. გადაკეცვის ადგილას, მარჯვენა მხარეს, გახეულია, რის გამოც ამ ადგილას სიტყვა არ იკითხება. ქვემოთა მარჯვენა კუთხეც მოკვეცილი აქვს. ფურცლის ქვედა ნაწილში მინაწერია, რომ

„წერილი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმის იონა მეუნარგისეულ ფონდში, დაწერილია ჩვეულებრივ, თხელ ფოსტის ქაღალდზე.

თარიღი და ადგილი: „20 მარტს 1853 წ. თბილისით.“

ხელმოწერა: „თქუჱნი მორჩილი და ერთგული პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ბრწყინუალეო კნიაზო გრიგორი დიმიტრიჩო!“

ადრესატის მისამართი: ტექსტში ადრესატის მისამართი არ არის მითითებული და არც რაიმე მინიშნებაა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ პერიოდში გრიგოლ ორბელიანი მსახურობდა **ზაქათალაში** და მისი ამ პერიოდის წერილებიც აქედან იგზავნებოდა. მართალია, მარტის დასაწყისში ის თბილისში იმყოფებოდა, რასაც გვიდასტურებს ელისაბედ ორბელიანისადმი თბილისიდან 5 მარტს გაგზავნილი წერილი, მაგრამ 10 აპრილს ზაქათალიდან ქეთევან ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში წერს: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი მარტის 22ის მომივიდა მშვიდობიანად“ (წერილი ქეთევან ორბელიანისადმი №54: XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი V (ნაწილი IV), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ. 17). 22 მარტს ქეთევანი წერილს არ გაუგზავნიდა გრიგოლს, ის რომ ისევ თბილისში ყოფილიყო. ამდენად, პლატონ იოსელიანის წინამდებარე წერილი **ზაქათალაში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. რომელსაცა; 2. რომლისა; 3. ამ ადგილას ხელნაწერი გახეულია; 4-5. ხაზგასმულია.

წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე – გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი.

გვ.: 94, 3. **„სიტყვისამებრ იონა ბერისსა“** – საუბარია მწიგნობარსა და თეოლოგ ბერ იონა (იოანე) ხელაშვილზე.

გვ.: 94, 10. **„წიგნისა, „მოურავიანი**“ – საუბარია იოსებ თფილელის „დიდ მოურავიანზე“, რომელიც 1851 წელს გა-

მოსცა პლატონ იოსელიანმა.

გვ.: 94, 12. **„ვჰგონებ უფ. ახუჭრდოვსა მიანდევით“** – საუბარია იური თევდორეს ძე ახვერდოვზე, რომელიც გრიგოლ ორბელიანთან ერთად მსახურობდა დაღესტანში.

გვ.: 94, 14. **„თქვენს ძმას ილიას“** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის უმცროს ძმაზე – ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანზე, რომელიც იმ დროს ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძოდა.

გვ.: 94, 15. **„კნიაზი ნამესტნიკიცა აპირებს“** – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სერგეის ძე ვორონცოვზე.

1854

გრიგოლ ორბელიანისადმი №2 (44) გვ.: 95-96.

ავტოგრაფი: Z (ზსიემ) №24457 (ძველი №24677)/ ლიტ. არქ. №1057, ყოფილი იონა მეუნარგიას ფონდი №1077.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, თხელი ქაღალდი, ზომა 21X13,5 სმ.; ქაღალდის ზედა მარცხენა კუთხეში ამოტვიფრულია დამღა «ФАБРИКА ГОВАРДА», რომელიც შემკულია პატარაფოთლოვანი ყვავილოვანი ორნამენტით; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში იმდენად, რომ ართულებს ტექსტის გარჩევას; ზოგან ასოთა გადაბმის ადგილები არის დასვრეტილი (დაზიანებული).

ასლი: L, 027147. ორმაგი პაგინაციით: 15r // 70r, 16r // 71r (პირველი წევრი ლურჯი კალმით წერია, მეორე – შავი ფანქრით).

ასლის აღწერილობა: ორი დამოუკიდებელი ფურცელი. წერილი დაბეჭდილია. გადაკეცვის ადგილას შელახულია, რის გამოც ფანქრით არის სიტყვები აღდგენილი. ტექსტი ნასწორებია: რამდენიმე ადგილას ფანქრით არის სიტყვები დაწერილი, თუმცა გადახაზული ადგილები არ არის. როგორც ჩანს, ბეჭდვისას სიტყვები გამორჩათ და მერე ფანქრით ჩაწერეს.

თარიღი და ადგილი: „10 დეკ. 1854 წ. თფილისით.“

ხელმოწერა: „თქუჱნი ერთგული და მორჩილი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ბრწყინუალეო კნიაზო გრიგორი!“

ადრესატის მისამართი: ტექსტში ადრესატის მისამართი არ არის მითითებული და არც რაიმე მინიშნებაა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ პერიოდში გრიგოლ ორბელიანი მსახურობდა **თემირხან-შურაში** და მისი ამ პერიოდის წერილებიც აქედან იგზავნებოდა. ამდენად, წინამდებარე წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია; 2. „ნ“ ნაბეჭდში გამორჩენილია და ჩამსწორებელს შეცდომით ჩამატების ნიშანი გაუკეთებია „ი“-ს შემდეგ, „ნ“ კი ზემოდან ჩაუწერია; 3. წარმოვადგენთ ტექსტში გამოყენებულ ქარაგმათა განმარტებებს: ჭ˜ტად — ჭეშმარიტად; ღ˜ნ – ღმერთმან; წ˜ა – წმიდა; პ˜ლი – პირველი; 4. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 5. ხაზგასმულია.

გვ.: 95, 2. **„წერილი კნეინა მანანასთან წარვიკითხე“** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 95, 5. **„კნ. მ. ს. ვორონცოვი გამოგვიცვალეს“** – 1854 წლის 1 მარტს კავკასიის მეფისნაცვლად მიხეილ ვორონცოვის ნაცვლად ჯერ დროებით დანიშნეს ნიკოლოზ ანდრეის ძე რეადი, შემდეგ კი – 29 ნოემბერს – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი, მაგრამ ამის შესახებ წერილის ავტორმა ჯერ არ იცოდა.

გვ.: 95, 10. **„ანდრეევსკი გაგვიგდეს“** – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ ვორონცოვის პირად ექიმზე – ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკიზე.

გვ.: 95, 12. **„სევასტოპოლისა საქმე დადუმდა“** – ამ დროს მიმდინარეობდა ყირიმის ომი და ცხარე ბრძოლები იყო სევასტოპოლთან.

გვ.: 95, 18. **„მომილოცავს სურვილი ჴელმწიფისა“** – ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ.: 95, 19. **„შამილისა შვილისა დათხოვნა ტყუეთა გამოსახსნელად“** – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის, შამილის,

ვაჟ ჯამალედინზე, რომელიც რუსებს ჰყავდათ მძევლად და დათანხმდნენ, რომ გაეცვალათ მთიელთა მიერ კახეთიდან ტყვედ წაყვანილ ქალებსა და ბავშვებზე, რომელთა შორისაც იყო გრიგოლ ორბელიანის გარდაცვლილი ძმის, ილიას, ცოლ-შვილი და მისი დისშვილი – ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ.: 95, 21-22. **„დამტკიცებით იტყვიან ხომუტოვზედ“** – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-ადიუტანტ მიხეილ გრიგოლის ძე ხამუტოვზე.

გვ.: 95, 26. **„ქალთა ხელმწიფა კნეინა ქეთევან“** – გვარი არ არის მითითებული და დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომელ ქეთევანზეა საუბარი. შესაძლოა იგულისხმებოდეს გრიგოლის რძალი – ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 96, 4-5. **„წინასწარმეტყუელი იონა თვით მაგალითი არის ამისი“** – საუბარია წინასწარმეტყველ იონაზე, რომელმაც არ აღასრულა ღვთის ნება, რის გამოც იმ გემს, რომელზეც ის იყო, წყალში დანთქმა ემუქრებოდა, სანამ იონამ ცოდვა არ აღიარა და მეზღვაურებს მისი ზღვაში გადაგდება არ ურჩია.

გვ.: 96, 8. **„ერთი ივანესი და მეორე მამუკას ქალისა“** – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე, რომელმაც ჯვარი დაიწერა სოფიო შალვას ასულ ერისთავზე და ალექსანდრა (ანა) მამუკას ასულ ორბელიანზე, რომელიც ცოლად გაჰყვა ლევან ივანეს ძე მელიქიშვილს.

გვ.: 96, 10. **„დიმიტრი ჯორჯაძე მომიკითხე“** – საუბარია იმ პერიოდში გრიგოლ ორბელიანის მდივან დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

1861

რაფიელ ერისთავისადმი №2 (45) გვ. 97.

ავტოგრაფი: C, რაფიელ ერისთავის არქივი, №819 / №202.
ავტოგრაფის აღწერილობა: ცისფერი, დალაქავებული, თხელი,

ალაგ-ალაგ ამოხეული, ორად გადაკეცილი ფურცელი, 20,6X13,2 სმ.; ხელნაწერს გადაკეცვის ადგილას ქვემო მხარეს მოხეული აქვს.

თარიღი და ადგილი: «6 Іюля 1861 Тифлис.»

ხელმოწერა: «Весь твой П. Іосселиани»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყუარელო კნიაზო რაფაილ!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი 1857-1867 წლებში ზუგდიდის მაზრის უფროსად მუშაობდა. სავარაუდოდ, წერილი **ზუგდიდში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-3. ხაზგასმულია.

გვ.: 97, 1. **„საყუარელო კნიაზო რაფაილ!“** – წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე – რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

გვ.: 97, 5-7. **«Спиридону Семеновичу и Нине Леоновне; К. Каплан Семеновичу и Княг. Нине Александровне, Графиние – а Графа»** – მხოლოდ სახელებითა და მამის სახელებით პირთა იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

გვ.: 97, 9-10. **„კნ. მარიამ შარვაშიძისა და კნ. სოფიო დადიანისა მისის ტარიელით“** – დამატებითი ინფორმაციები პირთა შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 97, 13. **„მე და გიორგი მუხრანსკი“** – შესაძლოა საუბარი იყოს სახელმწიფო საბჭოს წევრ – გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 97, 15. **«милому Серепутованому»** – გვარი გარკვევით არ იკითხება და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

1864

უცნობი ადრესატისადმი №1 (46) გვ.: 98-99.

ავტოგრაფი: C, პლატონ იოსელიანის არქივი, №177.

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფერის, საკმაოდ სქელი, პრიალა ქაღალდი, ზომა: 35X21,7 სმ.; ორი, ერთმანეთზე მიწებებული ფურცელი, შესრულებულია ერთ ფურცელზე ყავისფერი მელნით, მეორე ფურცელი ცარიელია.
ადრესატის მისამართი: ადრესატის მისამართი ვერ დგინდება.

გვ.: 98, 8-9. **«из дома Кн. Орбеліани»** – 1856-1864 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

გვ.: 98, 9-10. **«в квартиру Г. Кипіани»** – 1864 წლის 15 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი გახდა აზნაური დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (47) გვ. 100.

ავტოგრაფი: C, მიხეილ თუმანიშვილის არქივი, №504 / №500.
ავტოგრაფის აღწერილობა: ცისფერი, გახუნებული, დალაქავებული, თხელი ქაღალდი, ზომა: 25X13,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი შელახულია, გვერდები მოცვეთილი და შეხეულია; პირველ გვერდზე მოთავსებულია მიხეილ თუმანიშვილის საპასუხო წერილი პლატონ იოსელიანისადმი (სტილი და პუნქტუაცია დაცულია):

„გთხოვ, უძვირფასესო პლატონ ეგნატიჩ, გუშინდელი რვეული ერთს საათს გამამიგზავნო; ცოტა რამ შეჰსცვალა და შეამოკლა ბარონმა, – ამაებს გავასწორებ საჩქაროდ და მაშინვე გამოგიგზავნი.

შენი უერთგულესი მონა
მიხეილ თუმანიშვილი
23 ოკტომბერს, პარასკევს.“

თარიღი და ადგილი: „23 ოკდ.“
ხელმოწერა: „შენი ერთგული პლატონ იოსელიანი.“
ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ადრესატის მისა-

მართი არ ჩანს, მაგრამ მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1858 წლის დეკემბრიდან ხელმძღვანელობდა კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა განყოფილებას, ხოლო 1864 წლიდან დაინიშნა გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიის დირექტორად. შესაბამისად, წერილი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. «ы»-ს ნაცვლად უწერია «и»; 2-3. ხაზგასმულია ავტორის მიერ. მრავალწერტილები ავტორისაა.

დათარიღება: წერილი, რომელიც 23 ოქტომბრით არის დათარიღებული, დაწერილი უნდა იყოს 1864 წელს, რადგან მასში მოხსენიებული ფაქტები და ორი დოკუმენტი სწორედ ამ წელს ეკუთვნის. ჩვენს ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ **1864 წლის 23 ოქტომბერი** მართლაც პარასკევი დღე იყო, როგორც ეს თარიღთან არის მითითებული.

გვ.: 100, 21. **„სულხანისაგან გამოგზავნილსა“** – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილზე, რომელიც დიდხანს მოღვაწეობდა პეტერბურგში და 1865-1871 წლებშიც პეტერბურგში გამოსცა ხუთ ტომად მომზადებული „საქართველოს ისტორია“.

გვ.: 100, 22. **«о мирових посредниках Губ. присутствіи...»** – საუბარია ბროშურაზე «Положение о мировых посредниках и губернском присутствии по крестьянским делам в Тифлисской губернии».

გვ.: 100, 23. **„მომირთმევია შენგან გამოგზავნილი правила“** – სავარაუდოდ, საუბარია დოკუმენტზე – «Правила о правах, приобретаемых крестьянами, вышедшими из крепостной зависимости в Тифлисской губернии, по обнародовании положений, и об отношениях их к помещикам до введения уставных грамот», რომელიც ასევე 1864 წელს დაამტკიცა კავკასიის მეფისნაცვალმა.

1867

მარი ბროსესადმი №42 (48) გვ.: 101-102.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №112 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 80r-v / 111r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი, სიფრიფანა, გერბიანი ქაღალდი; ზომა: 20,3X12,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

თარიღი და ადგილი: „16 mai 67 22 av. 1867“ / „17 mai 67“ / „22 აპრილს 1867. თფილისით.“

ხელმოწერა: „თქუჱნი მორჩილი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ! უფალო ბროსსეტ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მას თავისი წიგნის აკადემიის მუზეუმიდან გამოტანას სთხოვს: „მგონია არ-იყოს საძნელო მუზეუმიდამ გამოტანა მისი.“

შენიშვნები: 1-2. შავი ფანქრით წერია; «16 mai 67»-ის წინ ფრანგულად ასევე შავი ფანქრით ერთი სიტყვა წერია, რომელიც არ ირჩევა; 3-4. ხაზგასმულია; 5. ერთი «s»-ით უწერია; 6. «demander» თხოვნასაც ნიშნავს და კითხვასაც. რამდენადაც ფრაზის ზუსტი ამოკითხვა ვერ ხერხდება, არ ირკვევა, რა მნიშვნელობით არის გამოყენებული მოცემული ზმნა; 7. ტექსტი წვრილი ასოებით წერია, შავი ფანქრით, ამასთან, გადახაზულია და ჭირს ამოკითხვა.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გა-

მომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 193.

გვ.: 101, 17. **„მეფისა გიორგი XIII ცხოვრება“** – საუბარია ერეკლე II-ის ვაჟზე, ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეზე, რომელსაც გიორგი XII-დაც მოიხსენიებენ.

გვ.: 101, 18. **„ვუგზავნი კ. იოანე გრუზინსკის“** – საუბარია გიორგი XII-ის შვილთაშვილზე, იოანე გრიგოლის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა.

გვ.: 102, 1-2. **„chez nous demander à M. Schoubinof“** – საუბარი უნდა იყოს მწიგნობარზე, მთარგმნელზე, ლექსიკოგრაფსა და არქეოლოგ ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილზე.

მარი ბროსესადმი №43 (49) გვ. 102.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №113 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 82r / 113r.

ავტოგრაფის აღწერილობა: ცისფერი, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ქაღალდი; ზომა: 21,6X13,2 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

თარიღი და ადგილი: „9 mai 67“ / „P. 11 juill.“ / „9 მაისს 1867. თფილისით.“

ხელმოწერა: „თქუჱნი მორჩილი პლატონ იოსელიანი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უფალო ბროსსეტ! მოწყალეო ჴელმწიფევ!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მას თავისი წიგნის განხილვასა და იოანე გრუზინსკისთვის გადაცემას სთხოვს მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი პეტერბურგში დაბრუნდება: „გთხოვ განიხილოთ და მერეთ გარდაჰსცეთ უგანათლებულესს იოანე გრუზინსკის, რო-

მელიცა ჯერეთ არარის პეტერბურღსა.“
შენიშვნები: 1-2. ხაზგასმულია.
პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 193.

გვ.: 102, 11. **„ცხოვრება მეფისა გიორგი XIII“** – საუბარია ერეკლე II-ის ვაჟზე, ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეზე, რომელსაც გიორგი XII-დაც მოიხსენიებენ.

გვ.: 102, 13. **„უგანათლებულესს იოანე გრუზინსკის“** – საუბარია გიორგი XII-ის შვილთაშვილზე – იოანე გრიგოლის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

მარი ბროსესადმი №44 (50) გვ. 103.

ავტოგრაფი: C, მარი ბროსეს არქივი, №111 (ძველი S – 4797/4). ორმაგი პაგინაციით: 84r-v / 115r-v.
ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი, გერბიანი ქაღალდი; ზომა: 20X12,9 სმ.; შესრულებულია ყავისფერი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში.
თარიღი და ადგილი: „6 jn. 67 11 juill.“ / „6 ივნ. 1867 წ. ქ. დუშეთით.“
ხელმოწერა: „თქუჳნი ერთგული და მორჩილი პლატონ იოსელიანი.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მოწყალეო ჴელმწიფევ! უფალო მარი იოანე[ს] ძევ!“
ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილის ადრესატი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ის გაგზავნილი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაში, როგორც ბროსესადმი მიწერილი სხვა წერილები. ბარათის მიხედვითაც ირკვევა, რომ ადრესატი პეტერბურგშია, ავტორი მას თავისი წიგნის პეტერ-

ბურგში მცხოვრები იოანე გრუზინსკისთვის გადაცემას სთხოვს: „ცხოვრება მეფისა გიორგისა მოგართჳ: გთხოვ, თჳსსა დროსა, როდესაც არღა იქმნება თქუჱნთჳს სახმარევი, გარდაჰსცეთ კ. იოანე გრუზინსკის.“

შენიშვნები: 1. შავი ფანქრით წერია; 2. ჩამატებულია; 3. პირველი „თ“ ჩამატებულია; 4. „რ“ არ უწერია; არც ბრჭყალები აქვს სიტყვის თავში. ბოლოში კი უწერია. ზოგადად, პლატონ იოსელიანი სათაურებში ბრჭყალებს არ ხმარობს; 5. ხაზგასმულია; 6. ქვეშ ფიგურალური ფრჩხილი აქვს.

პირველი პუბლიკაცია: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1941, გვ. 194.

გვ.: 103, 9. **„ცხოვრება მეფისა გიორგისა**“ – საუბარია გიორგი XII-ზე, ერეკლე II-ის ძეზე.

გვ.: 103, 10-11. **„გარდაჰსცეთ კ. იოანე გრუზინსკის“** – საუბარია გიორგი XII-ის შვილთაშვილზე, იოანე გრიგოლის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 103, 17. **„წიგნსა: [„]დასტუ[რ]ლამა**“– საუბარია ისტორიულ წყაროზე, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო სამართლის წესებს.

1870

გრიგოლ ორბელიანისადმი №3 (51) გვ. 104.

ავტოგრაფი: C, გრიგოლ ორბელიანის არქივი, №98, 1r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 20,9X13 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; ეს არის საპასუხო წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელიც მოსდევს მის წერილს, იწყება I გვერდის ბოლოს და მთავრდება II გვერდზე.

ხელმოწერა: „პ. იოსელიანი.“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში გრიგოლ ორბელიანი ცხოვრობდა **თბილისში** და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია; 2. ასეა; 3. ხაზგასმულია; 4. ასეა. ამასთან, ხაზგასმულია; 5. ხაზგასმულია; 6. ამის შემდეგ 1 დაუმთავრებელი სიტყვაა წაშლილი და არ იკითხება, პირველი ასო არის «A»; 7-10. ხაზგასმულია.

დათარიღება: ბარათი წარმოადგენს პასუხს გრიგოლ ორბელიანის მიერ 1870 წლის 30 აპრილს გაგზავნილ წერილზე.

გვ.: 104, 1. **„კარნუ ქალაქი იყო ძუჭლად სომხითისა“** – ტოპონიმი „კარნუ“ გრიგოლ ორბელიანმა გამოიყენა პოემაში „სადღეგრძელო“: „გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა...“.

გვ.: 104, 1-2. **„თეოდოსი დიდმან“** – საუბარია რომის ერთიანი იმპერიის უკანასკნელ იმპერატორზე – წმინდა თეოდოსი II-ზე.

გვ.: 104, 3. **„თურქთა უწოდეს აზრუმი“** – საუბარია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში მდებარე ქალაქზე, იგივე ერზერუმზე.

დიმიტრი ბაქრაძის წერილები

1850

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №1 (1) გვ.: 106-107.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 33.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, დიდი ფორმატის ქაღალდი, ზომა: 34,9X21,9 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: «27 août»

ხელმოწერა: «Dévouè pour toujours Dm. B-ze»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «… ma Annette…»
ადრესატის მისამართი: როგორც ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, წერილის დაწერის დროისთვის დიმიტრი ბაქრაძის ოჯახი სოფელში ცხოვრობს: „მე აქ მამაჩემმა გამომგზავნა. – მას უნდა, რომ მთელი ოჯახი და შენც – ჩემო ანეტა, სოფელში დარჩეთ სახლის დაქირავებამდე.“ მართალია, ავტორი სოფელ ხაშმშია დაბადებული, მაგრამ მისი შემდგომი წერილებიდან ირკვევა, რომ ადრესატი ხშირად იმყოფებოდა სოფელ **ხიდისთავში**. შესაძლოა, წერილი აქ იყოს გაგზავნილი.
შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. აქ რუსული «и» უწერია; 3. პირველი მახვილი არასწორად უწერია.
დათარიღება: ეს ერთადერთი წერილია მეუღლისთვის ფრანგულ ენაზე მიწერილი. მასში ჩანს, რომ ადრესანტის ორივე მშობელი ცოცხალია, დიმიტრი ბაქრაძესა და მის მეუღლეს სახლი საცხოვრებლად ჯერ არა აქვთ გამზადებული („სოფელში დარჩეთ სახლის დაქირავებამდე. ჩვენი სახლი ჯერ არ არის დამთავრებული და იქ ვერ ვიცხოვრებთ“) და არ არის ნახსენები არც ერთი შვილი. შესაბამისად, ბარათი ქორწინებიდან დიდი ხნის შემდეგ არ უნდა იყოს დაწერილი. დიმიტრი ბაქრაძის ჯვრისწერის თარიღი უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ მისი ერთ-ერთი შვილი – შაქრო დაბადებულია 1868 წელს, შესაბამისად, წერილი მანამდეა დაწერილი. გარდა ამისა, ცნობილია, რომ 1851 წელს დიმიტრი ბაქრაძეს შესთავაზეს მღვდლად კურთხევა. თუ ადამიანი ცელებატობის აღთქმის დადებას არ აპირებს, მაშინ იგი მღვდლად კურთხევამდე დაოჯახებული უნდა იყოს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათის დაწერის ზედა ზღვარი 1851 წლითაც შეიძლება განისაზღვროს. 1825-1855 წლებში, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს, ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა მისი ვაჟი, შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე II, რომელიც საქართველოს პირველად სწორედ ტახტის მემკვიდრის სტატუსით ეწვია 1850 წელს. შესაბამისად, **ბარათი 1850 წლის 27 აგვისტოს უნდა იყოს დაწერილი**.

წერილის ადრესატია დიმიტრი ბაქრაძის მეუღლე –

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისა.

გვ.: 107, 5. **„მამაჩემმა გამომგზავნა“** – საუბარია დიმიტრი ბაქრაძის მამაზე – ზაქარიაზე.

გვ.: 107, 8. **„ნინა კონსტანტინოვნა მარტოა“** – გვარი მითითებული არ არის და ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 107, 8-9. **„როცა მამაჩემი და დედაჩემი“** – საუბარია ზაქარია ბაქრაძესა და ნინო ქოქრაშვილ-ბაქრაძისაზე.

გვ.: 107, 10-11. **„თბილისში ჩამოდის მემკვიდრე – იმპერატორის ვაჟიშვილი“** – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს, ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა მისი ვაჟი, შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე II, რომელიც საქართველოს პირველად ტახტის მემკვიდრის სტატუსით ეწვია 1850 წელს.

გვ.: 107, 11-12. **„ბიძაშენი კონსტანტინე და დიმიტრი ივანოვიჩი“** – სავარაუდოდ, საუბარია კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილზე, მაგრამ ადრესანტის ნაცნობებში რამდენიმე დიმიტრი ივანეს ძეა: საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, სახელმწიფო მოღვაწე სვიატოპოლკ-მირსკი, ფოტოგრაფი ერმაკოვი. ამიტომ ვერ ვიტყვით, კონკრეტულად ვინ იგულისხმება.

გვ.: 107, 21. **„ეს მითხრა ფურცელაძემ“** – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი ფურცელაძეზე, რომელიც ამ დროს უკვე დაბრუნებული იყო კიევიდან და თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა.

გვ.: 107, 22. **„ნამესტნიკს ელოდება“** – 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი იყო მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.

1855

მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (2) გვ. 108.

ავტოგრაფი: C, მიხეილ თუმანიშვილის არქივი, №632 / №792, 11r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: ნაცრისფერი, გახუნებული, 1 თხე-

ლი ფურცელი, ზომა: 20,7X13,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი რამდენიმე ადგილას მელნითაა ამომწვარი.

თარიღი და ადგილი: «14 іюля, 1855.»

ხელმოწერა: «Ваш покорнейшій слуга Дм. Бакрадзе.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ваше Сіятельство.»

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ის გაგზავნილია **თბილისში**: ავტორი მოიკითხავს აქ მცხოვრებ მეგობრებს: «В августе я имею маленькое желаніе пріехать в Тифлис. Передайте от меня поклон Тифлисским моим знакомым – Константину Михаилычу Богданову, Іосифу Христофоровичу Додаеву.»

შენიშვნები: 1. „До“-თი დაუწყია და მერე წაუშლია. როგორც ჩანს, ჯერ დოდაევი უნდა მოეკითხა და შემდეგ გადაიფიქრა.

წერილის ადრესატია მწერალი და საზოგადო მოღვაწე – მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი.

გვ.: 108, 10-11. «**Егор Степаныч до того полюбил**» – პიროვნების გვარი მითითებული არ არის და ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 108, 19. «**Константину Михаилычу Богданову**» – სავარაუდოდ, იგულისხმება საზოგადოებრივი ზედამხედველობის ამიერკავკასიის უწყების დირექტორი კონსტანტინე მიხეილის ძე ბოგდანოვი.

გვ.: 108, 19-20. «**Іосифу Христофоровичу Додаеву**» – პიროვნების შესახებ დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

1856

მიხეილ თუმანიშვილისადმი №2 (3) გვ. 110.

ავტოგრაფი: C, მიხეილ თუმანიშვილის არქივი, №633 / №792, 29r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 21,7X13,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: «1856, нояб. 22. Г. Гори.»

ხელმოწერა: „თქვენი უმორჩილესი მონა დ. ბაქრაძე.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კნიაზო მიხეილ!“

ადრესატის მისამართი: ტექსტში ადრესატის ადგილსამყოფელზე მინიშნება არ არის, მაგრამ იგი ცხოვრობდა **თბილისში** და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ასეა; 2. „არაფერი“ ცალ-ცალკე უწერია; 3. „7“ გადაკეთებულია „6“–ად.

გვ.: 110, 2. **„გიგზავნით ჩემ სტატიას“** – საუბარია სტატიაზე „საქართველოს ისტორიის წყაროები“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ 1857 წლის თებერვლის ნომერში.

გვ.: 110, 3. **„დაიბეჭდოს პირველს წიგნში“** – როგორც ჩანს, „ცისკრის“ იანვრის ნომერში სტატიის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა და თებერვალში დაიბეჭდა.

გვ.: 110, 8-9. **„ეს სტატია შევსწირე უ. ბროსსეს“** – საუბარია ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგ მარი ფელისიტე ბროსეზე.

გვ.: 110, 10-11. **„მეორე სტატია იქნება ცისკრისთვის „თამარ მეფა.“** – კონკრეტულად თამარ მეფეზე დიმიტრი ბაქრაძეს „ცისკარში“ არაფერი გამოუქვეყნებია, მაგრამ 1860 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა მისი სტატია „ქართველი ქალები“.

1862

მიხეილ თუმანიშვილისადმი №3 (4) გვ. 111.

ავტოგრაფი: C, მიხეილ თუმანიშვილის არქივი, №634 / №507.

ავტოგრაფის აღწერილობა: I და IV გვერდები გახუნებული ყა-

ვისფერია, შიდა გვერდები – გახუნებული თეთრი; დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, გერბიანი ფურცელი, ზომა: 21,2X13,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

თარიღი და ადგილი: «10 окт. 1862 г. Укр. Сацхениси.»

ხელმოწერა: «Ваш покорный слуга Дм. Бакрадзе.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...любезнейшій Князь Михаил...»

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილია **თბილისში**: «До половины ноября вероятно я буду в Тифлисе на всю зиму, и если буду свободен, можете располагать мною как Вам будет угодно.»

გვ.: 111, 3. **«любезнейшій Князь Михаил»** – წერილის ადრესატია ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე – მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი.

გვ.: 111, 4. **«занят служебными своими делами»** – 1861 წლიდან დიმიტრი ბაქრაძე თანამშრომლობდა კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიასთან და თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს.

გვ.: 111, 5-6. **«собранію сведеній о Кахетинских Хизанах»** – კახეთის ხიზნების საქმე ძალიან პრობლემური იყო. მოგვიანებით ამ თემას არაერთი წერილი უძღვნა ილია ჭავჭავაძემ და, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ 60-იან წლებში მიხეილ თუმანიშვილი სთხოვდა დიმიტრი ბაქრაძეს, რომ ეს საკითხი შეესწავლა.

1864

ალექსი ილინსკისადმი №1 (5) გვ.: 112-114.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №141, Ros 8.

ავტოგრაფის აღწერილობა: ყავისფერი, გახუნებული, დალაქავე-

ბული, დიდი ფორმატის, ორად გადაკეცილი, პერგამენტის ქაღალდი, ზომა: 26,9X20,9 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია, თუმცა ადგილ-ადგილ განახევები მაინც აქვს; მელანი გაჟღენთილია გვერდებში და ამოკითხვას ართულებს; ხელნაწერში ხშირია გადახაზული ადგილები, ჩამატებები შავი ფანქრითა და მელნით, რაც ზოგჯერ ტექსტშია შერეული და ბუნდოვანს ხდის, სად არის ჩამატების ადგილი.

თარიღი და ადგილი: «3 Сент. 1864 г.»

ხელმოწერა: «Вашего Высокопреосвященства, Милостивый Архипастырь, Коллегскій Ассесор Дм. Бакрадзе.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Его Высок-ву, Высокопреосвященному Евсевію, Экзарху Грузій и Кавалеру.» / «Ваше Высокопреосвященство, Милостивый Архипастырь!»

ადრესატის მისამართი: ადრესატი მოღვაწეობდა **თბილისში** და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ავტორი საუბრობს მთის სამწყსოებზე.

შენიშვნები: 1. ეს მიძღვნა მიწერილია პირველი გვერდის ქვედა მარცხენა არშიაზე; 2. ამის შემდეგ გადახაზულია «простых» და ზემოდან ფანქრით მიწერილი აქვს სხვა სიტყვა; 3. ამის შემდეგ გადახაზულია «воспитанникам» და ზემოდან ფანქრით მიწერილი აქვს სხვა სიტყვა; 4. ეს სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 5. ჯერ დაუწერია «Цель программы», მერე მკრთალად გადაუხაზავს და დაუწერია «Это», თუმცა სქესში შეთანხმება გამორჩენია და «достигнута» დაუტოვებია, რადგან ის ეთანხმებოდა «Цель»-ს. ჩვენ შევასწორეთ ფორმა; 6. ამის შემდეგ გადაშლილია «надежных»; 7. ამის შემდეგ ფანქრით არის გადაშლილია «и Дикло-Шенако»; 8. ამის შემდეგ გადაშლილია «Сакарауло»; 9. ეს სიტყვა ჩამატებულია; 10. ამის შემდეგ გადაშლილია «нельзя» და ზემოდან ფანქრით მი-

წერილი აქვს «не»; 11. ამის შემდეგ გადაშლილია «успеть постройство»; 12. ამის შემდეგ გადაშლილია «и Дикло-Шенако»; 13. «как отмечено выше» ჩამატებულია ზემოდან ფანქრით; 14. ამის შემდეგ ზემოდან ჩაუმატებია «с успехом», მაგრამ მერე ფანქრით გადაუხაზავს; 15. ამის შემდეგ გადაშლილია «принять следующія меры»; 16. ამის შემდეგ ფრაზა სიტყვამდე «в Омало» ზემოდან არის ჩამატებული შავი ფანქრით; 17. ამის შემდეგ გადაშლილია «как скоро там будет открыта школа» და ტექსტი წინადადების ბოლომდე ზემოდან ფანქრით არის ჩამატებული; 18. აქ მარტო პირველი ასოები უწერია წერტილებით; 19. ეს სიტყვა ჩამატებულია; 20. აქ გადაშლილია «в других» და შეცვლილია სიტყვით «в новых»; 21. ამის შემდეგ გადაშლილია «Горной»; 22. ამის შემდეგ ტექსტი სიტყვამდე «с Митхойскими» ჩამატებულია; 23. ეს სიტყვა ზემოდან ფანქრით არის ჩამატებული, მის ნაცვლად კი გადაშლილია «Этих Кистин»; 24. ეს სიტყვა ზემოდან ფანქრით არის ჩამატებული; 25. ამის შემდეგ გადაშლილია «назначено"; 26. ამის შემდეგ გადაშლილია «полнаго».

წერილის ადრესატია საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წლებში, არქიეპისკოპოსი ევსევი, ერში – ალექსი ალექსის ძე ილინსკი.

გვ.: 112, 5-6. «**Общество возстановленія Христіанства на Кавказе**» – საუბარია 1860 წელს დაარსებულ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებაზე".

გვ.: 113, 15-16. «**в Парсме (свящ. Барнабов), в Алвани (свящ. Пиранов), в Барисахо (свящ. Инаев) и в Чаргали (свящ. Вардіев)**» – აქ ჩამოთვლილი სასულიერო პირების სახელები უცნობია.

გვ.: 113, 17. «**священника Берзенова**» – მღვდლის სახელი უცნობია.

გვ.: 113, 21-22. «**діакона Сакдріонской церкви**

Карсавели» – საუბარია საყდრიონის ეკლესიის დიაკვან ქარსაველზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ.: 114, 1-2. «**Шатильскій священник Мжедлов**» – სავარაუდოდ, იგულისხმება მჭედლიშვილი, მაგრამ სახელი უცნობია.

1872

ალექსანდრე ცაგარელისადმი №1 (6) გვ.: 117-118.

ავტოგრაფი: C, ალექსანდრე ცაგარელის არქივი, №55.
ავტოგრაფის აღწერილობა: ყავისფერი, გახუნებული, დალაქავებული, თხელი, ორად გადაკეცილი ქაღალდი, ზომა: 21X13,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი დაზიანებულია, გადაკეცვის ადგილებში მეორე ფურცელი მთელ სიგრძეზეა გახეული, პირველი გვერდიც ნახევარზე მეტად არის გახეული, რის გამოც გადაფურცვლა ჭირს.
თარიღი და ადგილი: „22 იანვარი, 72 წ.“
ხელმოწერა: „დავშთები თქვენის წარმატების მარად მოსურნე დიმიტრი ბაქრაძე“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ალექსანდრ ანტონიჩ.“
ადრესატის მისამართი: 1872 წელს ადრესატმა მუშაობა დაიწყო პრივატ-დოცენტად პეტერბურგის უნივერსიტეტში. შესაბამისად, წერილი **პეტერბურგში** უნდა იყოს გაგზავნილი.
შენიშვნები: 1. ფრაზა ხაზგასმულია ლურჯი ფანქრით; 2. ფრაზა გაუმართავია; ამასთან, „გოგებაშვილის ხელით“ ხაზგასმულია ლურჯი ფანქრით; 3. ასეა; 4. ხელნაწერშია „მასალეები“; ამ სიტყვამდე აბზაცი ხაზგასმულია ლურჯი ფანქრით; 5. ამის შემდეგ გადახაზულია „დაწერილი“; 6. ასეა; 7. ჯერ დაუწერია „მაგისთვის“ და მერე გადაუშლია; 8. აქაც ჯერ დაუწერია „თქვენთვის“.

წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი მეცნიერი –

ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი.

გვ.: 117, 3. **„მოგილოცავთ ახალს თანამდებობას“** – 1872 წელს ალექსანდრე ცაგარელმა დაიცვა დისერტაცია და მუშაობა დაიწყო პრივატ-დოცენტად პეტერბურგის უნივერსიტეტში.

გვ.: 117, 11. **„ზაგურსკის ბროშურა“** – საუბარია ლინგვისტსა და ეთნოგრაფ ლეონიდ პეტრეს ძე ზაგურსკიზე.

გვ.: 117, 11-12. «**Кавказско-горскія письмена**» – ლეონიდ ზაგურსკის ეს ნაშრომი დაიბეჭდა კრებულში «Сборник сведений о Кавказе» 1871 წელს.

გვ.: 117, 15. **„გიგზავნით გოგებაშვილის ხელით“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი.

გვ.: 117, 22. **„როზენის ლაზურის ენის გამოკვლევა“** – სავარაუდოდ, საუბარია გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის – გეორგ ფონ როზენის წიგნზე «Ueber die Sprache der Lazen», რომელიც 1844 წელს გამოიცა გერმანიის ქალაქ ლემგოში.

გვ.: 117, 23. **„მაქს მილლერისა საზოგადოდ კავკაზიის ენებზე“** – სავარაუდოდ, საუბარია ცნობილ ენათმეცნიერ ფრიდრიხ მაქს მიულერსა და მის წიგნზე «Lectures On the Science of Language», რომელიც 1871 წელს გამოიცა ლონდონში.

გვ.: 118, 9-10. **„სვანურს ენაზე... სლოვარი“** – სავარაუდოდ, საუბარია წიგნზე „ლაშნუ ანბან“ („სვანური ანბანი“), რომელიც გამოიცა თბილისში 1864 წელს და რომელშიც ტექსტები პარალელურად იყო დაბეჭდილი რუსულ, ქართულ და სვანურ ენებზე.

გვ.: 118, 18. **„ბროსსესთან დაიარებით“** – საუბარია ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგ მარი ფელისიტე ბროსეზე.

1875 წლამდე

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №2 (7) გვ.: 119-120.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 30r-v.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, დაზიანებული, ორად გადაკეცილი ფურცელი, ზომა: 21,7X17,5 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; მეორე ფურცლის ზედა მხარე სანახევროდ მოხეულია; მეოთხე გვერდზე ორ ადგილას წითელი დამღაა, რომელიც გადასულია მესამე გვერდზეც; მეოთხეზევე წერია მისამართი.
თარიღი და ადგილი: „27 აგვისტო“
ხელმოწერა: „მალე ნახვამდე შენი დ. ბაქრაძე.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მადამ ანეტა.“
ადრესატის მისამართი: „ანნა იოსიბოვნას ბაქრაძისას. ახბულახში“
შენიშვნები: 1. ამის შემდეგ გადაშლილია „როგორც გინდოდ“; 2-3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.
დათარიღება: წერილი სხვებზე ბევრად ადრეული უნდა იყოს, რადგან მასში ადრესანტის შვილები პატარები ჩანან („მაშო და ოლგა ბევრს ნუ იგიჟებენ... კანფეტებს არ გიყიდითქო“). რამდენადაც 1875 წლის შემდეგ დაწერილ ბარათში დიმიტრი ბაქრაძის ძმა – ქრისტეფორე – უკვე ცოლიანია, აქ კი – უცოლო, ბარათს პირობითად ვათარიღებთ **1875 წლამდე რომელიმე 27 აგვისტოთი**.

გვ.: 119, 2. **„სოფრონას ისევ გიგზავნი ახბულახში“** – პირის გვარი უცნობია და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 119, 3. **„სტერინის სანთელს“** – საუბარია სანთელზე, რომელიც პარაფინისა და სტერინისგან მზადდებოდა.

გვ.: 119, 11. **„იქნება ალექსანდრეც გამოიყოლოთ“** – პირის გვარი უცნობია და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 119, 21. **„სადაც სარდიონი დგას“** – პირის გვარი უცნობია და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 119, 22. **„მასიამოვნე შაქროს ამბით“** – საუბარია ადრესანტის ვაჟზე.

გვ.: 119, 23-24. **„მაშო და ოლგა ბევრს ნუ იგიჟებენ“** – ოლღა ადრესანტის ქალიშვილია, მაშო კი შეიძლება იყოს ადრესატის უმცროსი და – მარიამ იოსების ასული მამაცაშვილი.

გვ.: 119, 26-27. **„ამ დღეებში ლისოვსკის მოველითთქო“** – შესაძლოა იგულისხმებოდეს კავკასიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვალერი იაკობის ძე ლისოვსკი, რომელმაც შეადგინა და 1887 წელს გამოსცა ჭოროხის მხარის სამხედრო-სტატისტიკური აღწერა.

გვ.: 119, 27-28. **„როდის დანიშვნენ საგინაანთ საქმეს“** – გაურკვეველია, რომელ საგინაშვილზე, ან რა საქმეზეა საუბარი.

გვ.: 120, 3. **„დიმიტრი ივანიჩი აქ იყო“** – შესაძლოა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 120, 4. **„გიორგი ჯავახოვიც გუშისწინ წავიდა“** – სავარაუდოდ, საუბარია გიორგი ქაიხოსროს ძე ჯავახიშვილზე.

გვ.: 120, 4-5. **„დიმიტრი ოსეფიჩის წიგნი ჯერ არ მოგვსვლია“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ავტორის ცოლისძმა – დიმიტრი იოსების ძე მამაცაშვილი.

გვ.: 120, 5-6. **„ქრისტეფორეს ძალიან თურმე მონდომებია ცოლის შერთვა“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის ძმაზე.

გვ.: 120, 6. **„დედას სწერს“** – საუბარია ადრესანტის დედაზე – ნინო ქოქრაშვილ-ბაქრაძისაზე.

გვ.: 120, 9. **„ბაბალე როგორ არის ამ ამინდში ბაღში ტანციობაზე“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის დაზე.

გვ.: 120, 14. **„ყმაწვილები დამიკოცნე“** – საუბარია ადრესანტის შვილებზე: ნინოზე, ოლღასა და შაქროზე.

გვ.: 120, 14. **„დარიკომ დაგკოცნათ“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის დაზე.

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №3 (8) გვ. 120-121.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 27r.
ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, შელახული, ადგილ-ადგილ გახეული, სიფრიფანა ქაღალდი, ზომა: 20,9X13,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.
თარიღი და ადგილი: „25 სეკტ.“
ხელმოწერა: „შენი დ. ბაქრაძე“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უძვირფასესო ანეტა.“
ადრესატის მისამართი: როგორც სხვა წერილების მიხედვით ირკვევა, ადრესატი ამ პერიოდში გორში ცხოვრობდა, კერძოდ, სოფელ **ხიდისთავში**, ამიტომ, სავარაუდოდ, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.
შენიშვნები: 1. „15 მანეთს“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ასეა; 3. „დბაქრაძე“ გადაბმულია.
დათარიღება: წერილი, რომელიც 25 სექტემბრით არის დათარიღებული, ძალზე ადრეული უნდა იყოს **(1875 წლამდე)** რადგან ადრესანტის მშობლები ცოცხლები არიან.

გვ.: 120-121. **„დედა შეგისრულებს წლის ფულს**“ – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის დედაზე – ნინო ქოქრაშვილ-ბაქრაძისაზე.

გვ.: 121, 2. **„მამა ბევრით უკეთ არის“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის მამაზე – ზაქარია ბაქრაძეზე.

გვ.: 121, 3. **„ზაქარია და დარიკო ჩამოვიდნენ“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის და-ძმაზე.

გვ.: 121, 5-6. **„კივანდოს უთხარით სახლისა“** – პირის ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 121, 7. **„ყმაწვილები დამიკოცნე“** – საუბარია ადრესანტის შვილებზე: ნინოზე, ოლღასა და შაქროზე.

1876

მარი ბროსესადმი №1 (9) გვ.: 122-124.

ფოტოპირი: C, ალექსანდრე ბარამიძის არქივი, №2991, ფურცელი 1- 3.

თარიღი და ადგილი: «30 oct. 1876» / «30 окт. 76. Тифл»

ხელმოწერა: «С истинным уваженіем и постоянною готовностью к Вашим услугам остаюсь Дмитрій Бакрадзе»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ваше превосходительство, Марій Иванович»

ფოტოპირის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 28X23,8 სმ, 3 ფურცელი. ქაღალდის მარცხენა ველზე ორ სტრიქონად მინაწერია ფრანგულ-ქართულ ენებზე „Modiffication du კაცია ადამიანი on est prêt m'aider.“ წერილის თავში კი ფრანგული მინაწერია, რომელიც არ იკითხება.

შენიშვნები: 1. ამის ქვეშ, სავარაუდოდ, ადრესატის ხელით მიწერილია: „...30 glu Reçu 9 glu 76“; 2. თავდაპირველად დაწერილია «его», რომელიც გადახაზულია და ზევიდან დაწერილია «ему»; 3. სიტყვის წინ გადაშლილი აქვს «он»; 4. სიტყვის წინ გადაშლილია «он»; 5. სიტყვის წინ გადაშლილია «оказ»; 6. სიტყვის შემდეგ გადაშლილია ორი სიტყვა «обещ были»; 7. სიტყვის წინ გადაშლილია «он»; 8. სიტყვის შემდეგ გადაშლილია «он».

გვ.: 122, 6. **«Путешествіе по Гуріи»** – უნდა იგულისხმებოდეს დიმიტრი ბაქრაძის წიგნი «Археологическое путешествие по Гурии и Адчаре», რომელიც 1878 წელს გამოვიდა პეტერბურგში.

გვ.: 122, 6-7. **«Collection d'histoi[re] Armen»** – იგულისხმება ჟურნალი „Collection d’histoire Arméniens“, რომელშიც 1876

წელს დაიბეჭდა ბროსეს სტატია „Arak el of Tabriz, Patmut iwn A ak el Vardapeti Dawrižets woy“. როგორც ჩანს, აქვე იყო საუბარი დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომზე.

გვ.: 122, 7-8. **«Чурук су»** – ასე ეწოდებოდა ქობულეთს ოსმალეთის ბატონობის დროს.

გვ.: 122, 7-8. **«Чурук су, Аджары и Гуріи»** – უნდა იგულისხმებოდეს დიმიტრი ბაქრაძის ნარკვევი «Чурук-су, Гурии и Аджары, предварит. отчет», რომელიც 1874 წელს დაიბეჭდა ჟურნალში «Изв. Кавказского отдела Рус. географич. об-ва».

გვ.: 122, 12. **«сообщил Кн. Чавчавадзе»** – საუბარია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 122, 13. **«фразы в его kacia adamiani»** – საუბარია ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე „კაცია, ადამიანი?!“

გვ.: 122, 18. **«обещал разъяснить Петр Умиков»** – საუბარია პეტრე იოსების ძე უმიკაშვილზე.

გვ.: 122, 22-23. **«выслал Вам книги по Вашему списку Каландад[з]е»** – საუბარია წიგნების გამომცემელ არსენ კალანდაძეზე.

გვ.: 123, 2. **«вашему Музею»** – სავარაუდოდ, საუბარია პეტერბურგში მდებარე „აზიის მუზეუმზე“, რომლისთვისაც აგროვებდა ბროსე წიგნებს და რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ გადაეცა მთელი მისი ბიბლიოთეკა.

გვ.: 123, 24. **«Zeglis wera»** – სავარაუდოდ, საუბარია მე-12 საუკუნის „რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლისწერაზე“.

გვ.: 123, 27. **«просил архимандрита Макария»** – საუბარია წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარზე, არქიმანდრიტ მაკარიზე, იმავე მიხეილ დიონისეს ძე მატათაშვილზე.

გვ.: 123, 29. **«книгу sjulis kanoni»** – სავარაუდოდ, საუბარია არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ „დიდი სჯულის კანონზე“.

გვ.: 123, 30-31. **«к самому Экзарху»** – 1877 წლამდე საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსი იყო არქიეპისკოპოსი ევსევი – ალექსი ალექსის ძე ილინსკი.

გვ.: 124, 1. **«С картою случилась маленкая исторія»** – ეგზარქოს ევსევი ილინსკის ბრძანებით, 1876 წლის 30 ივნისს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეკლესია-მონასტრებში დაცული წიგნები და დოკუმენტები ჩამოტანილიყო და გადასცემოდა თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკას. იმავე ეგზარქოსის ბრძანებით, ეს წიგნები სემინარიის ეზოში დაწვეს.

გვ.: 124, 7. **«Я просил вчера Стебинскаго»** – სახელი უცნობია და ვინაობა დაუდგენელი.

გვ.: 124, 14. **«прекрасное сочиненіе Маспера»** – ფრანგი ეგვიპტოლოგის, გასტონ მასპეროს (Gaston Maspero), წიგნი „Histoire ancienne des peuples de l'Orient“ ფრანგულ ენაზე პირველად გამოიცა 1875 წელს და არა 1876 წელს, როგორც დიმიტრი ბაქრაძე მიუთითებს წერილში.

გვ.: 124, 16-17. **«о проісхожденіи Грузин от Туранцев»** – საუბარია ზოროასტრიზმის მიხედვით ცნობილ მომთაბარე ტომებზე.

გვ.: 124, 17-18. **«Он держится мненія Ленормана в его *Lettres assyriologiques*»** – საუბარია ფრანგი ასიროლოგის, არქეოლოგისა და ნუმიზმატის, შარლ ლენორმანის (François Lenormant), წიგნზე „Lettres assyriologiques et épigraphiques“, რომელიც ფრანგულად პირველად 1871 წელს გამოიცა.

გვ.: 124, 19. **«Алародионов (р. 398) о котором вы высказали свое мненіе»** – ალაროდიელები (Алародии) წარმოადგენდნენ კავკასიის ძველ ხალხს, რომელიც არაქსის ნაპირებზე სახლობდა.

1878

მარი ბროსესადმი №2 (10) გვ.: 127-129.

ფოტოპირი: C, ალექსანდრე ბარამიძის არქივი, №2993, ფურცელი 1-3.

თარიღი და ადგილი: «22 Janv. 1878.» / «27 генв. 1878г. Тифлис»

ხელმოწერა: «За сим остаюсь искренно Вас уважающій Дм. Бакрадзе»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ваше превосходительство, Марій Иванович»

ფოტოპირის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 27X24 სმ, 3 ფურცელი.

შენიშვნები: 1. ამის ქვეშ, სავარაუდოდ, ადრესატის ხელით მიწერილია «R. 4 fevr. 78 rip 9 fevr.»; 2. სიტყვის შემდეგ მეორედ არის დაწერილი და გადაშლილი სიტყვა «листы»; 3. სიტყვის წინ გადახაზულია «соб»; 4. სიტყვის შემდეგ გადახაზულია «отт»; 5. სიტყვის შემდეგ გადახაზულია «то»; 6. სიტყვის შემდეგ გადახაზულია «в»; 7. სიტყვის შემდეგ გადახაზულია «п».

გვ.: 127, 14. **«передам кн. Чавчавадзе»** – საუბარია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 127, 15. **«перевести на французскій язык»** კაცია ადამიანი“ – საუბარია ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე.

გვ.: 128, 3. **«В «Иверіи» осмалоს საქართველო – принадлежит П. Умикому»** – საუბარია ჟურნალ „ივერიაში“ 1877 წლის №№13-44-ში გამოქვეყნებულ პეტრე უმიკაშვილის წერილების ციკლზე „ოსმალოს საქართველო“.

გვ.: 128, 4. **«на данных книги Казбека»** – სავარაუდოდ, საუბარია გიორგი ყაზბეგის წიგნზე «Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака», რომელიც 1876 წელს გამოვიდა.

გვ.: 128, 5-6. **„საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“** – დიმიტრი ბაქრაძის ეს წერილები ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდებოდა 1877 წლის №43-44-ში და 1878 წლის №1-დან №13-ის ჩათვლით.

გვ.: 128, 14-15. **«в «Исторіи Востока“ Масперо»** – საუბარია ფრანგი ეგვიპტოლოგის, გასტონ მასპეროს, წიგნზე „აღმოსავლეთის ხალხთა ძველი იტორია“, რომელიც ფრანგულ ენაზე პირველად 1876 წელს გამოვიდა.

გვ.: 128, 18. **«сказанія Страбона»** – საუბარია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მოღვაწე ბერძენ ისტორიკოსსა და გეოგრაფზე.

გვ.: 128, 24-25. **«об открытіи в Петурбурге «Археологическаго института»** – იგულისხმება სანკტ-პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა 1877 წელს ნ. ვ. კალაჩოვის ინიციატივით. ფუნქციონირებდა 1922 წლამდე.

გვ.: 128, 26. **«гг. Калачов и Бычков»** – საუბარია ნიკოლოზ ვასილის ძე კალაჩოვსა და ათანასე თეოდორეს ძე ბიჩკოვზე.

გვ.: 128, 29-30. **«О до-исторической археологіи вообще и кавказской в особенности»** – დიმიტრი ბაქრაძის ეს წიგნი გამოვიდა 1877 წელს თბილისში.

გვ.: 129, 1-2. **«в «Трудах“ общества любителей Кавказкой археологіи»** – საუბარია 1873 წელს დაარსებული საზოგადოების შრომებზე, რომელიც 1875 წელს დაიბეჭდა სათაურით: «Записки Общ. любителей кавказской археологии», 1877 წელს კი – სათაურით «Известия Общества любителей кавказской археологии».

გვ.: 129, 8-9. **«Путешествіи по Гуріи и Адчаре»** - დიმიტრი ბაქრაძის წიგნი „Археологическое путешествие по Гурии и Адчаре» 1878 წელს გამოვიდა პეტერბურგში.

მარი ბროსესადმი №3 (11) გვ.: 131-132.

ფოტოპირი: C, ალექსანდრე ბარამიძის არქივი, №2992, ფურცელი 1- 2.

თარიღი და ადგილი: «16 fev. 78» / «16 февр. 1878. Тифл.»

ხელმოწერა: «Преданный Вам Дм. Бакрадзе.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ваше превосходительство Марій Иванович»

ფოტოპირის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 23X14,9 სმ., 2 ფურცელი.

შენიშვნები: 1. ამის ქვეშ, სავარაუდოდ, ადრესატის ხელით მიწერილია: «Reçu 21 fevrier»; 2. ხაზგასმულია; 3. ამის შემდეგ გადაშლილია «он»; 4. «этим» ჩამატებულია; 5. «есть» ჩამატებულია.

გვ.: 131, 14-15. **«я спрашивал кн. Чавчавадзе»** – საუბარია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 131, 22. **«о Генерале Мамацове»** – საუბარია გენერალ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილზე.

გვ.: 131, 23. **«двух молодых артиллеристов»** – სავარაუდოდ, საუბარია ზაქარია და დიმიტრი იოსების ძე მამაცაშვილებზე.

გვ.: 131, 23. **«родной дядя»** – გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილი იყო ზაქარია და დიმიტრი მამაცაშვილების ბიძა.

გვ.: 132, 1-2. **«братьев моей жены»** – დიმიტრი ბაქრაძის მეუღლე ანეტა მამაცაშვილი იყო ზაქარია და დიმიტრი მამაცაშვილების და.

გვ.: 132, 2. **«старшій коменандует батареею»** – სავარაუდოდ, საუბარია ზაქარია იოსების ძე მამაცაშვილზე.

გვ.: 132, 3-4. **«младшій... началствует осадную артиллереію в Карсе»** – საუბარია დიმიტრი იოსების ძე მამაცაშვილზე.

გვ.: 132, 15-16. **«каталикосу Антонію I»** – საუბარია ქართველ საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეზე – თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონზე.

1879

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №4 (12) გვ. 134.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 1r.
ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული ფურცელი, ზომა: 20,9X13,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; მარჯვენა მხარეს, გადაკეცვის ადგილას, ხელნაწერი მცირეზე შეხეულია.
თარიღი და ადგილი: „18 მარტი, ბათუმი“
ხელმოწერა: „შენი მარად ერთგული დიმ. ბაქრაძე.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უძვირფასესო ანეტა.“
ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი გორში, სოფელ **ხიდისთავში**, ცხოვრობდა და წერილი, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.
შენიშვნები: 1. ამის ქვემოთ, მეორე სტრიქონზე, სავარაუდოდ, ანეტას ხელით, ყავისფერი მელნით მიწერილია: «Получено 26 Марта 1879 года.» 2. „თვრამეტ თუმანს“ ხაზგასმულია ავტორის მიერ.
დათარიღება: ბათუმიდან გაგზავნილ ბარათს თარიღად აწერია 18 მარტი, მაგრამ ადრესატის მიერ მასზე მიწერილია მიღების დრო «Получено 26 Марта 1879 года». შესაბამისად, იგი **1879 წლის 18 მარტს უნდა იყოს დაწერილი**.

გვ.: 134, 7. **„შვილები დამიკოცნე“** – საუბარია ადრესანტის შვილებზე: ნინოზე, ოლღასა და შაქროზე.

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №5 (13) გვ.: 134-136.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 20r-v; 21r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი ქაღალდი, ზომა: 20,8X13,3 სმ.; შესრულებულია ბაცი შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „9 მაისს, ბათუმი.“

ხელმოწერა: „შენი ერთგული დ. ბაქრაძე“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უძვირფასესო ანეტა.“

ადრესატის მისამართი: წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი. ამას ადასტურებს ტექსტის შინაარსი: „ქალაქში ხომ აღარა ცხელა. ამ[ბ]ობენ სიცხეები იყოო.“ მართალია, 1879 წელს ადრესატი გორში ცხოვრობდა, მაგრამ, რადგან ქალაქს ახსენებს, სავარაუდოდ, თბილისი უნდა იგულისხმებოდეს და არა გორი.

შენიშვნები: 1. ასეა; 2. ამის შემდეგ გადახაზულია „ფული“; 3. ასეა; 4. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 5. ჯერ „წიგნი“ დაუწერია აქაც და მერე გადაუშლია; 6. ასეა; 7. მეორე „ა“ გამორჩენილია; 8. აქ „ა“-ს მაგივრად შეცდომით წერია „ი“; 9. „ბ“ გამორჩენილია; 10. ამის შემდეგ გადახაზულია „არც“; 11-13. ასეა; 14. „დბაქრაძე“ გადაბმულია.

დათარიღება: ბათუმიდან გაგზავნილი ამ წერილის მიხედვით, ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე ცოცხალი ჩანს, რადგან დიმიტრი ბაქრაძე ელის მისგან წერილების მიღებას („წიგნები კი ან ბროსესი ან სხვისა გამომიგზავნე ხოლმე“). შესაბამისად, ბარათი მეცნიერის გარდაცვალებამდე, 1880 წლის 3 სექტემბრამდე, უნდა იყოს დაწერილი. რამდენადაც სხვა წერილებიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ბაქრაძე 1879 წლის მარტსა და აგვისტოში ბათუმში იყო საკმაოდ ხანგრძლივი მივლინებით, შესაძლოა, ეს ბარათიც ამ შუალედში – **1879 წლის 9 მაისს** იყოს დაწერილი.

გვ.: 134, 15. **„ბაბალეს მიულოცე“** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ადრესატის დაზე.

გვ.: 134, 17-18. **„გაბოსთვის წიგნი მომეწერა“** – გვარი მითითებული არ არის და პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 135, 8-9. **„ტლაშიძეს საქმე გავათავოთ“** – სახელი მითითებული არ არის და ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 135, 13. **„შენ და დიმიტრი პეტროვიჩმა“** – გვარი მითითებული არ არის და პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 135, 13-14. **„მირსკიმ დაგინიშნაო“** – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ- მირსკიზე.

გვ.: 135, 19-20. **„ოლღა ალექსანდროვნა“** – გვარი მითითებული არ არის და პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 135, 20. **„მელიქ მერაბოვი“** – დამატებითი ცნობები პიროვნების შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 135, 24-25. **„ან ბროსსესი ან სხვისა“** – საუბარია ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგ მარი ფელისიტე ბროსეზე.

გვ.: 135, 25-26. **„მიიღე მეღლიერთაგან“** – პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 135, 28. **„დარიკო და სიკო“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის დასა და სიძეზე.

გვ.: 135, 29. **„ვანო საგინოვის პოლკში“** – საუბარი უნდა იყოს პოლკოვნიკ ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 135, 33. **„ოლიჩკა, შაქრო და ნუცა“** – საუბარია ადრესანტის შვილებზე.

გვ.: 136, 4. **„ქრისტეფორეს და ნიკო ჩოლოყაევს“** – საუბარი უნდა იყოს ადრესანტის ძმასა და თელაველ თავად ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ.: 136, 6. **„კონსტანტინ ხრისტოფორიჩი და ნატალია დავიდოვნა“** – საუბარია კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილსა და მის მეუღლეზე, რომლის ქალიშვილობის გვარი უცნობია.

გვ.: 136, 8. **„ველიკიი კნიაზს კონსტანტინე ნიკოლაევიჩს“** – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმაზე – კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 136, 14. **„ჩვენი ბაიერნი რას იქს“** – საუბარია ავსტრიელ არქეოლოგ ფრიდრიხ ბაიერნზე, რომელიც 1855 წლიდან ცხოვრობდა თბილისში.

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №6 (14) გვ.: 136-138.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 22r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, ცალხაზიანი (ხაზები ვერტიკალურად აქვს), ორად გადაკეცილი ქაღალდი, ზომა: 21,4X13,4 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; ამავე ხელნაწერს ახლავს თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, თხელი, ცალხაზიანი, პატარა ფორმატის ქაღალდი, ზომა: 13,1X10 სმ.; ქაღალდზე შავი მელნით ორსტრიქონიანი რუსული მინაწერია: «остольныя за Ден[ь]ги 3-45» (ერთი სიტყვა «за»-ს შემდეგ არ იკითხება).

თარიღი და ადგილი: „9 ივნისი, ბათუმი“

ხელმოწერა: „შენი ერთგული დ. ბაქრაძე“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ძვირფასო ანეტა.“

ადრესატის მისამართი: როგორც ამ პერიოდის წერილებიდან ირკვევა, ადრესატი ცხოვრობდა სოფელ **ხიდისთავში** და მეუღლე მას ბარათებს გორში უგზავნიდა. წინამდებარე წერილში ავტორი მას სწერს: „აქამდინ ვერა მოგწერერა. ამისთვის არ ვიცოდი სადა ხართ და არც ის ვიცოდი ვის სახელობაზე მომეწერა გორში.“

შენიშვნები: 1. ხელნაწერშია „არიფმეტიკაშიაც“; 2. ასეა; 3-4. „ა“ არ წერია; 5. „ს“ გამორჩენილია; 6. „დბაქრაძე“ გადაბმულია; 7. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია.

დათარიღება: რამდენადაც სხვა წერილებიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ბაქრაძე 1879 წლის მარტსა და აგვისტოში ბათუმში იყო საკმაოდ ხანგრძლივი მივლინებით, შესაძლოა, ბათუმი-

დან გაგზავნილი ეს ბარათიც ამ შუალედში – **1879 წლის 9 ივნისს** იყოს დაწერილი.

გვ.: 136, 24-25. **„ვერაბიევის ქალი მიგიწვევია“** – სახელი უცნობია და პიროვნების ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 137, 1-2. **„შაქრო... ისევ დარჩეს“** – საუბარია ადრესანტის ვაჟზე.

გვ.: 137, 20. **„ყმაწვილები დამიკოცნე“** – საუბარია ადრესანტის შვილებზე: შაქროზე, ნინოსა და ოლღაზე.

გვ.: 137, 22. **„კონ[ს]ტანტინე5 ქრისტეფორიჩი როგორ არის“** – საუბარია კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილზე.

გვ.: 137, 24. **„ვასილიევთან... საქმე მოგანდე“** – სავარაუდოდ, საუბარია ვასილი მიხეილის ძე ვასილიევზე.

გვ.: 137, 27-28. **„პოპელიანი სად არიან“** – შესაძლოა, საუბარი იყოს იმჟამად თბილისში მცხოვრებ ევსტათი ერაზმის ძე პოპელის ოჯახზე.

გვ.: 137, 28. **„ვერა ანტონოვნა“** – გვარი მითითებული არ არის და ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 137, 29. **„დააბოლოა ფურცელაძესთან საქმე“** – შესაძლოა, საუბარი იყოს ისტორიკოს დიმიტრი ფურცელაძეზე.

გვ.: 138, 1. **„სახელი და მამის სახელი გედევანოვისა“** – გაურკვეველია, რომელ გედევანიშვილზეა საუბარი.

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №7 (15) გვ.: 138-139.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №142 (შეიცავს 35 ფურცელს), 24r-v; 25r.

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი ქაღალდი, ზომა: 21X13,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „აგვისტო 9, ბათუმი.“

ხელმოწერა: „შენი დ. ბაქრაძე“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უძვირფასესო ანეტა.“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში ცხოვრობდა **ხიდისთავში**: „გორის ფოჩტაში შენ თვითონ შეიტყო, შეიძლება ამ ადრესით გამოგიგზავნო ხოლმე: напиши В Гори для передачи Анне Іосифовне Бакрадзе в селеніи Хидистави.»

შენიშვნები: 1. ასეა; 2. ამ აბზაცს მარცხენა მხრიდან მუქი შავი მელნით ხაზი აქვს ჩამოსმული; 3. ასეა; 4. ამ აბზაცს მარცხენა მხრიდან მუქი შავი მელნით კვადრატული ფრჩხილი აქვს და რუსულად ფრჩხილის გარეთ წერია «ун»; 5. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 6-7. ხელნაწერში არის „ციევცხელება“; მეორე შემთხვევაში ცალ-ცალკე წერია.

დათარიღება: ბათუმიდან გამოგზავნილი ამ წერილის მიხედვით, კავკასიის მეფისნაცვალი ამ დროს უნდა ყოფილიყო მიხეილ რომანოვი („მიაღწევს ქაღალდი... ველიკიი კნიაზთან“), რომელიც ამ თანამდებობაზე იყო 1881 წლის 23 ივლისამდე. რამდენადაც წერილში მასთან ერთად ნახსენებია დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც მეფისნაცვლის თანაშემწედ 1875 წელს დანიშნეს, ბარათი დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს **1879 წლის 9 აგვისტოსი**.

გვ.: 138, 7-8. **„დომნას... თავისის ქალით“** – პიროვნებათა ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 138, 11. **„შაქროსი კარგათ დაგიწყვია“** – საუბარია ადრესანტის ვაჟზე.

გვ.: 138, 12-13. **„მიაღწევს ქაღალდი კნ. მირსკისთან ან ველიკიი კნიაზთან“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი და კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 138, 15. **„გიგოს 110 მანეთიდამ 25 მანეთი გადაეცი“** – საუბარია ადრესანტის ნათესავზე.

გვ.: 138, 18. **„სუხომლინზე ვეტყვი ერისთავს“** – რამდენადაც სახელები მითითებული არ არის, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომელი სუხომლინი და ერისთავი იგულისხმება.

გვ.: 138, 20. **„დარიკოს მიულოცე ჩემ მაგიერ ქალიანობა“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის დაზე.

გვ.: 139, 1. **„ქრისტეფორეს სახელობაზეც გიგზავნი“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის ძმაზე.

გვ.: 139, 10-11. **„მაცნობე, ექსარხმა როგორ მიიღო“** – საუბარია მიტროპოლიტ იოანიკეზე – ივანე მაქსიმეს ძე რუდნევზე.

გვ.: 139, 13. **„ნუცას მადლობას ვუთვლი“** – საუბარია ადრესანტის ქალიშვილ ნინოზე.

გვ.: 139, 15. **„მომიკითხე ვასილი დედით“** – სავარაუდოდ, საუბარია ვასილი მიხეილის ძე ვასილიევსა და მის დედაზე.

გვ.: 139, 21. **„ქრისტეფორე თავისის ცოლით“** – ადრესანტის ძმის, ქრისტეფორეს, მეუღლის სახელი უცნობია.

გვ.: 139, 23. **„მოვიდა აქ უმიკოვი“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე – პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი.

1880

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №1 (16) გვ. 140.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №143.

ავტოგრაფის აღწერილობა: წერილი დაწერილია საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ დიმიტრი ბაქრაძისადმი გამოგზავნილი წერილის კონვერტზე. აკადემიის წერილი არ არის შემორჩენილი; კონვერტის ზომა: 20,3X13,8 სმ.; შესრულებულია შავი მელნით კონვერტის II მხარეს არა ზემოდან ქვემოთ, არამედ მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხრის მიმართულებით; წინამდებარე წერილი დაწერილია ზედა ნაწილში, ხოლო ქვედა ნაწილში მოთავსებულია 22 ივლისის წერილი; პირველ მხარეს შავი მელნითვე დიდი ასოებით, ლამაზი კალიგრაფიით წერია ადრესატის (დიმიტრი ბაქრაძის მისამართი:

«Батум

Его Высокородію

Дмитрію Захарьевичу
Бакрадзе
№416. (ამის ქვეშ, მარჯვენა მხარეს, გადაშლილია «В Тифлис»)
Кавказскій Цензурный Комитет.»
კონვერტის ბოლოში დაბეჭდილია:
«От Императорской Академіи Наук.»

თარიღი და ადგილი: «18 мая»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «В Имп. Ак. Наук.»

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილია პეტერბურგში: «В Имп. Ак. Наук.»

შენიშვნები: 1. ამის შემდეგ გადაშლილია «Турецких султанов до»; 2. აქ ორი დაუმთავრებელი სიტყვაა გადაშლილი; 3. სავარაუდოდ, გადაშლილია «впослед» მკვეთრი ხაზით (სიტყვა არ არის დამთავრებული).

დათარიღება: 18 მაისით დათარიღებული ეს წერილი მოხსენიებულია 1880 წლის 22 ივლისით დათარიღებულ ბარათში. შესაბამისად, ის **1880 წლის 18 მაისს** უნდა იყოს დაწერილი.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №2 (17) გვ. 141.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №143.

ავტოგრაფის აღწერილობა: წერილი დაწერილია საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ დიმიტრი ბაქრაძისადმი გამოგზავნილი წერილის კონვერტზე. აკადემიის წერილი არ არის შემორჩენილი; კონვერტის ზომა: 20,3X13,8 სმ.; შესრულებულია შავი მელნით კონვერტის II მხარეს; წინამდებარე წერილი შესრულებულია ქვედა ნაწილში, ხოლო ზედა ნაწილში დაწერილია 18 მაისის წერილი; პირველ მხარეს შავი მელნითვე დიდი ასოებით, ლამაზი კალიგრაფიით წერია ადრესატის (დიმიტრი ბაქრაძის მისამართი:

«Батум
Его Высокородію
Дмитрію Захарьевичу
Бакрадзе
№416. (ამის ქვეშ, მარჯვენა მხარეს, გადაშლილია «В Тифлис»)
В Кавказскій Цензурный Комитет.»
კონვერტის ბოლოში დაბეჭდილია:
От Императорской Академіи Наук.»

თარიღი და ადგილი: «22 Іюля 1880»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «В Им. Ак. Н.»

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილია პეტერბურგში: «В Им. Ак. Н.»

შენიშვნები: 1. ავტორს დიდი ასოთი არ უწერია; 2. ამის შემდეგ გადაშლილია «К сему нужным»; 3. ამის შემდეგ გადაშლილია «считаю нужным («м» ასოს დასაწყისია დაწერილი, ბოლომდე აღარ მიუყვანია და სიტყვა გადაუშლია) приси (სიტყვა არ არის ბოლომდე მიყვანილი) скупить, что некото (სიტყვა არ არის ბოლომდე მიყვანილი) раскрашенный», ზემოთ კი გადაშლილია «мне“; 4. «видеть некоторые» ჩამატებულია; 5. ამის შემდეგ გადაშლილია «на».

გვ.: 141, 10. **«в «Атласе», издаваемом г. Стасовым»** – სავარაუდოდ, საუბარია რუს მწერალსა და არქეოლოგ ვლადიმერ ვასილის ძე სტასოვზე, რომელმაც 1880 წელს გამოსცა წიგნი «Православные церкви западной России в XVI веке».

1881

მარი ბროსესადმი №4 (18) გვ.: 142-147.

ავტოგრაფი: C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №151, Ros 48, 1r-v, 2r-v, 3r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: შავი პირი, თეთრი ფერის, გახუნე-

ბული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, აკინძული 4 ფურცელი, ზომა: 26,8X21სმ.; შესრულებულია შავი მელნით; ხშირია გადაზახული და ჩამატებული ადგილები როგორც მელნით, ისე შავი ფანქრით.

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში**.

შენიშვნები: 1. წერტილები ავტორისეულია; 2. «вместе с тем» ჩამატებულია; 3. ამის შემდეგ გადაშლილია «горных»; 4. ამის შემდეგ გადაშლილია «произрастающіи»; 5. ხაზგასმულია; 6. ჩამატებულია; 7. ამის შემდეგ გადაშლილია «гр древный»; 8. ამის შემდეგ გადახაზულია «почти»; 9. ეს წინადადება აქამდე ზემოდან არის მიწერილი ფანქრით, მის დაბლა გადახაზულია «все почти»; 10. «Батумской области» ფანქრით არის მიწერილი ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «области»; 11. ჩამატებულია; 12. «так и по» ჩამატებულია; 13. «этой области» ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «ея чи»; 14. ჩამატებულია; 15. ჯერ დაუწერია «напоминаюшіе»; 16. ეს სიტყვა ჩამატებულია, ამასთან, ხელნაწერში იკითხება «Самый»; 17. გადაშლილია «же»; 18. ეს სამი სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «там удержался, представляет»; 19. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «сохранился»; 20. ეს ორი სიტყვა ჩამატებულია, მის წინ გადაშლილია «в»; 21. ჯერ დაუწერია «Артануджскаго» და მერე გადაუკეთებია; 22. აქ «к» უწერია, ამასთან, ჯერ დაუწერია «Гурдзин» და მერე გადაუკეთებია; 23. «или Гурдзин-хеви (Груз. ущелье)» ჩამატებულია; 24. ამის შემდეგ გადაშლილია «его нет»; 25. «он не слышится» ჩამატებულია; მის შემდეგ გადაშლილია ჩამატებული ორი სიტყვა «не слышишь»; 26. «ни до» ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «до самаго»; 27. «Кинтришском и во всем Адчарском округе» ჩამატებულია; 28. ეს ორი სიტყვა ჩამატებულია, ამასთან, უწერია «абсолютное»; 29. ეს წინადადება ჩამატებულია

ზემოდან; 30. ამის შემდეგ გადახაზულია «здешніе», ხოლო მის მაღლა – «тамошніе»; 31. ამის შემდეგ გადაშლილია «язык»; 32. ამის შემდეგ გადაშლილია «говорят»; 33. ეს ორი სიტყვა ჩამატებულია, მის გვერდით გადაშლილია «говорили мне»; 34. ამის შემდეგ გადაშლილია «тамошных армяно»; 35. ჩამატებულია ზემოდან; 36. ამის შემდეგ გადაშლილია «незнали порусски», ხოლო მის ზემოთ გადაშლილია «погрузински»; 37. «не говорили погрузински» ჩამატებულია; 38. ამის შემდეგ გადახაზულია «там»; 39. «в Бат. Области очень» ჩამატებულია; 40. ამის შემდეგ გადახაზულია «говорят он состоит, как уверяют, из Армяне, выселившихся из Ани и Эрзерума»; ამის შემდეგ კი ჩამატების ნიშანია და ზედა მარჯვენა არშიაზე შავი ფანქრით დაწერილია ტექსტი, ასევე გადახაზული და ჩამატებული ადგილებით; 41. ამის წინ გადახაზულა «Армяно»; 42. ჩამატებულია, მის გვერდით კი გადაშლილია «или как он»; 43. ამის შემდეგ გადახაზულია «считается в Артвине-живущих а Артв» (არ არის დამთავრებული); 44. ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «живущих встречающихся»; 45. როგორც ჩანს, ჯერ უნდა დაეწერა «Артануджском», დაუწერია «Арт», «т» «д»-დ გადაუკეთებია და მეორე «д»-ს შემდეგ დაუწერია «ч»; 46. ამის შემდეგ ჩამატების ნიშანი აქვს და შავი ფანქრით ნაწერი ტექსტი ჩამატებული აქვს მარცხენა არშიაზე თავიდან ბოლომდე. ეს არის წვრილად ნაწერი ტექსტი, გადახაზული და ჩამატებული ადგილებით; 47. ამის შემდეგ გადახაზულია «говорят»; 48. კომპოზიტის პირველი წევრის დაბოლოება გადაშლილი აქვს და სიტყვა დაბოლოებული აქვს ისე, როგორც ტექსტშია მოცემული; 49. ჩამატებულია, მის ქვემოთ გადაშლილია «кроме того, армян Элемент», ხოლო გვერდით გადაშლილია «находят»; 50. ამის შემდეგ გადახაზულია «вершенно омус»; 51. ამის შემდეგ გადახაზულია «потипу»; 52. ჩამატებულია,

მის დაბლა გადაშლილია «своего»; 53. ამის შემდეგ გადაშლილია «до Лазис, в Батумс. область то в»; 54. ამის შემდეგ გადახაზულია «Мургульском»; 55. ამის შემდეგ გადახაზულია «счита»; 56. ამის შემდეგ გადახაზულია «И, ичхо язык и (ამის შემდეგ ერთი ასოა დაწყებული და არ არის დამთავრებული) Мы»; 57. ამის შემდეგ გადახაზულია «давн»; 58. ამის შემდეგ სიტყვაა დაწყებული, იკითხება «вы», მაგრამ არ არის დამთავრებული, 59. ჩამატებულია; 60. ამის შემდეგ გადახაზულია «Этим нео (არ არის დამთავრებული) К неудовлетворяемые св. своего скудною природою своей родины от Э Этими Не Лазы как видно Лазы живут и вдругих местах занимают и другіе пункты Чорохских»; 61. ავტორს შემოკლებით უწერია: «нрд»; 62. ამის შემდეგ გადახაზულია «в по всему»; 63. ამის შემდეგ გადახაზულია «рукописнаго“ (ამის ზემოთ კი – «одного») Записки заметка о русско-турецкой границе в Гур п переговорах, в Арзруме по разграниченій Турцам Пу. т Чорохском фоліанта о За об заключающ (არ არის დამთავრებული) и Фоліанта (ამის მაღლა გადაშლილია «данныя одною рук») весьма интереснаго фоліанта в 691 стр. заключающаго в себе ниже респыя св подробныя заключающаго в себе пренадпежащаго»; 64. სიტყვა დიდი ასოთი აქვს დაწყებული, კითხვის ნიშანი ავტორისაა. ამასთან, სიტყვა ხაზგასმულია; მის შემდეგ გადახაზულია «и обяз»; 65. ამის შემდეგ წაშლილია «они»; 66. აქ სქოლიოს ნიშანი აქვს გაკეთებული და დაბლა ჩატანილი აქვს განმარტება, ასევე გადახაზული და ჩამატებული ადგილებით; 66a. ეს ჩამატებულია ზემოდან, ქვემოთ გადაშლილია «Эта рукопись Автор этой рукописи Рукопись эта оэаглавлена так Заметка Она заклю (არ არის დამთავრებული) Автор ея генерал-маіор корпуса военных топографов полковник Проскуряков. Рукопись Она заключая»; 66b. ხელნაწერშია «корпуса»; 66c. ამის შემდეგ წაშლილია

ბაჟენოვი ალექსანდრე ფილიპეს ძე (1784-1862) – იგივე ევგენი. საქართველოს ეგზარქოსი (1834-1844), ასტრახანის არქიეპისკოპოსი (1844 წლიდან). დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. დიდ ყურადღებას უთმობდა ეკლესია-მონასტრების შეკეთების საქმეს. 40, 46, 50, 71, 79, 88.

ბარათაშვილი სულხან (ტიხონ) გერმანოზის ძე (1821-1866) – ქართველი ისტორიკოსი, მაიორი, ავტორი ხუთ წიგნად დაბეჭდილი „საქართველოს ისტორიისა“, რომელშიც საქართველოს ისტორია განხილულია მსოფლიო ისტორიის ჭრილში. მან პირველად დაყო ქართული ისტორია სამ პერიოდად – ძველი, შუა საუკუნეები და ახალი – და მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები, ფაქტობრივად, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას დაუახლოვა. 100.

ბარატაევი (ბარათაევი) მიხეილ პეტრეს ძე (1784-1856) – ისტორიკოსი, ნუმიზმატი, ქართული და აღმოსავლური მონეტების კოლექციონერი, განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, 1839-1844 წლებში საქართველოს საბაჟო ოლქის უფროსი. 50, 52, 53, 54, 55, 57, 64, 71, 77, 81.

ბარბარე – იხ. მამაცაშვილი ბაბალე იოსების ასული.

ბარდონი – იხ. დანდრე (ანდრე)-ბარდონი მიშელ ფრანსუა.

ბარნაბოვი – სასულიერო პირი. 113.

ბაქრაძე გიგო – დიმიტრი ბაქრაძის ნათესავი. 138, 199, 209.

ბაქრაძე დარიკო – დიმიტრი ბაქრაძის და. 120, 121, 135, 138, 139, 209, 233.

ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890) – ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერული დარგის, პალეოგრაფიის, ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
წერილების ავტორი.

ბაქრაძე ზაქარია – დიმიტრი ბაქრაძის მამა, სასულიერო პირი, მღვდელი. 106, 121, 108.

ბაქრაძე ზაქარია ზაქარიას ძე – დიმიტრი ბაქრაძის ძმა. 121, 169, 170, 202.

ბაქრაძე ლევან ზაქარიას ძე – მამა ლეონი, დიმიტრი ბაქრაძის ძმა, სასულიერო პირი. 166, 179.

ბაქრაძე ნინო დიმიტრის ასული – დიმიტრი ბაქრაძის შვილი. 135, 139, 152, 169, 185, 188, 191, 199, 202, 208.

ბაქრაძე ოლღა დიმიტრის ასული – დიმიტრი ბაქრაძის შვილი. 119, 135, 169, 185, 188, 191, 200, 208, 209.

ბაქრაძე შაქრო (ზაქარია) დიმიტრის ძე (1868-1938) – დიმიტრი ბაქრაძის შვილი, გენერალი, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, უამრავი სამხედრო ორდენისა და ჯილდოს მფლობელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალი. 119, 135, 136, 137, 138, 139, 169, 185, 188, 191, 200, 202, 208, 209, 233.

ბერზენოვი – სასულიერო პირი. 113.

ბეროევი – პიროვნება დაუდგენელია. 50.

ბერჟე ადოლფ ვიქტორის ძე (1828-1886) – აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, არქეოლოგი, არქეოგრაფი, ეთნოგრაფი, რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო საზოგადოებების წევრი. 1866-1886 წლებში მისი რედაქტორობით გამოვიდა ისტორიული დოკუმენტების ათტომეული, რომელიც სამაგიდო წიგნად ითვლება კავკასიოლოგიაში. 169.

ბიჩკოვი ათანასე თეოდორის ძე (1818-1899) – ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ბიბლიოგრაფი და პალეოგრაფი, პეტერბურგის აკადემიის ნამდვილი წევრი, საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი (1882-1899). 128.

ბიძინა – იხ. ჩოლოყაშვილი ბიძინა.

ბობრინსკი ალექსი ალექსანდრე ძე (1852-1927) – რუსი არქეოლოგი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მიწათმოქმედების მინისტრი. 176.

ბოგდანოვი-(კასინსკი) კონსტანტინე მიხეილის ძე (დაბ. 1824) – საზოგადოებრივი ზედამხედველობის ამიერკავკასიის უწყების დირექ-

ტორი. 108.

ბჟიშკიანი მინას (1777-1851) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, მუსიკოსი და პედაგოგი. 1820 წელს წამოიწყო მოგზაურობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გადასახლებულ სომეხთა მდგომარეობის შესასწავლად. ახლოს გაეცნო მათი მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებსა და დოკუმენტებს. მოგზაურობის დროს განხორციელებული კვლევის შედეგები წიგნად გამოსცა ვენეციაში. 144.

ბრაიკო მიხეილ გრიგოლის ძე – თბილისის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორი. 17.

ბროსე-ბიუტენი ჰენრიეტა მარია (Henriette Maria Buten (Brosset) (1829-1880) – *მარი ბროსეს შვილი. 88.*

ბროსე ლავრენტი (ლორან) – მარი ბროსეს ვაჟი. 1887 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა მამის შრომების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. 88.

წერილების ადრესატი.

ბროსე ლუის-ფილიპინ-მარია (Luise-Phillipina-Marie Brosset) (დაბ. 1834) – მარი ბროსეს შვილი. 88.

ბროსსე (ბროსე) მარი (ფელისიტე) (1802-1880) – ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი, ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი, 1838 წლიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1847-1848 წლებში იმოგზაურა საქართველოში და აქ შეკრებილი ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და სხვა მასალა პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა. ფრანგულად თარგმნა და 1849-1858 წლებში შვიდ ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „ისტორიის“ გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები ვრცელი მეცნიერული კომენტარებითურთ. ბროსემ გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია, გააფართოვა მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, წინ წასწია

ქართული ნუმიზმატიკის, სფრაგისტიკის, ეპიგრაფიკისა და სხვა დამხმარე დარგების შესწავლა, წამოჭრა და დაამუშავა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. 13, 32, 48, 52, 55, 69, 110, 135, 162, 181, 182.

წერილების ადრესატი.

ბროსე ჟორჟ (1841-1883) – მარი ბროსეს შვილი. 88.

ბროსე ფელიქს (დაბ. 1834) – მარი ბროსეს შვილი. 88.

გაბაშვილი ბესარიონ (ბესიკი) (1750-1791) – ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. 25.

გაბო – პიროვნება დაუდგენელია. 134.

გაბრიელ იოსებიჩი – იხ. მამაცაშვილი გაბრიელ იოსების ძე.

გედევანოვი – პიროვნება დაუდგენელია. 138.

გევონდ I (გარდ. 548) – სომეხთა კათალიკოსი 545-548 წლებში. 53.

გიგო – იხ. ბაქრაძე გიგო.

გიორგი – ათონის ივერთა მონასტრის მღვდელი. ხელს აწერს მონასტრის დამაარსებლის, იოანე ათონელის, 982 წლის გარიგებას. 156.

გიორგი – ეპისკოპოსი. პიროვნება დაუდგენელია. 171.

გიორგი დავითიჩი – პიროვნება დაუდგენელია. 199.

გიორგი XI (1651-1709) – ქართლის მეფე 1676-1688 და 1703-1709 წლებში, ბაგრატიონთა მუხრანული შტოდან. ცდილობდა ხელისუფლების განმტკიცებასა და ქართლში ირანელთა ბატო-

ნობის მოსპობას. თავის ძმა ლევანთან და სულხან-საბა ორბელიანთან ერთად, ქართლის სამეფოს პოლიტიკის ევროპულ ორიენტაციას დაუდო სათავე. მფარველობდა მისიონერებს, მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან და ევროპელ მონარქებთან. იბრძოდა ირანისთვის ავღანეთში, სადაც მუხანათურად იქნა მოკლული ავღანელ მეამბოხეთა მეთაურის, მირ-ვეისის, მიერ. 33, 38.

გიორგი XII / XIII (1746-1800) – ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800 წლებში, ერეკლე II-ის ვაჟი. 19, 41, 101, 102, 102, 103.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840-1912) – საზოგადო მოღვაწე, ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 117.
წერილის ადრესატი.

გოდუნოვი ბორის თეოდორეს ძე (1552-1605) – 1587-1598 წლებში რუსეთის ფაქტობრივი მმართველი, ხოლო შემდეგ, 1605 წლამდე – რუსეთის მეფე. 34, 64.

გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე (1782-1858) – გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1837-1842 წლებში. 33, 79.

გორგიჯანიძე ფარსადან (1626-XVII ს-ის ბოლო) – ქართველი მწიგნობარი, ისტორიკოსი, 1656 წლიდან ისპაანიის ტარუღა (მოურავი). ირანში ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ და სამეცნიერო საქმიანობას. მისი მთავარი თხზულება „საქართველოს ისტორია“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესახებ ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის დასასრულამდე. 182.

გრებენშჩიკოვი ნიკოლოზ პეტრეს ძე (1845-1900) – პოლკოვნიკი. 1863 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, 1898 წლიდან იყო შავიზ-

ღვისპირეთის ვიცე-გუბერნატორი. 188, 199, 202, 208, 210.
წერილების ადრესატი.

გრიგოლ I განმანათლებელი (239-326) – პართიული წარმოშობის სომეხი საეკლესიო მოღვაწე, სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი და პირველი ეპისკოპოსი. 53.

გროსმანი ალექსანდრე ეგნატეს ძე (დაბ. 1836) – სხვადასხა დროს იყო ყარსის (1883 წლიდან), თბილისისა (1883 წლიდან) და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1887 წლიდან). 1889 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 193, 201, 206, 213.
წერილების ადრესატი.

დადიანი-ბაგრატიონისა მარიამ კაციას ასული (1783-1841) – იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის, მეუღლე. 1810 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა. 21, 30, 42, 54, 74.

დადიანი გრიგოლ კაციას ძე (1770-1804) – სამეგრელოს მთავარი 1788-1804 წლებში. მისი დახმარებით სოლომონ II იმერეთის სამეფო ტახტს დაეუფლა. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული ნინო. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებისგან შევიწროებულმა, 1803 წელს რუსეთის იმპერატორს ერთგულება აღუთქვა, რის საფუძველზეც, 1804 წელს ოდიშის სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა შეზღუდული ავტონომიის უფლებით. 35.

დადიანი გრიგოლ ლევანის ძე (1814-1902) – ქართველი პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, სამეგრელოს სამთავრო ოჯახის წევრი, ქველმოქმედი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი. ცნობილი იყო ფსევდონიმებით: „გრიგოლ კოლხიდელი“, „მეგრელი“, „კ“, „კ. დ.“, „იოანე გეგეჭკორი“. 74.

დადიანი დავით ლევანის ძე (1812-1853) – სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წლებში, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ლევან V დადიანის შვილი, თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღ-

ვაწე, მიღებული ჰქონდა ევროპული აღზრდა-განათლება, ახლო ურთიერთობა ჰქონდა პლატონ იოსელიანსა და მარი ბროსესთან. 41, 55, 67, 81.

დადიანი კონსტანტინე ლევან V-ის ძე (1819-1889) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, მონაწილეობდა კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. 35.

დადიანი მარიამ მანუჩარის ასული (გარდ. 1684) – როსტომ მეფის მეუღლე, ქართლის დედოფალი 1634-1676 წლებში, ოდიშის მთავარ მანუჩარ I-ის ასული და ლევან II-ის და. ეწეოდა ფართო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. 62.

დავით – წინასწარმეტყველი, მეფსალმუნე (1035-965 ძვ. ქ. აღ). ისრაელის სამეფოს მეორე მეფე. 67.

დავით – იხ. მხეიძე დავით.

დავით აღმაშენებელი (1073-1125) – ერთიანი საქართველოს ლეგენდარული მეფე 1089-1125 წლებში. ყველა დროის უდიდესი პოლიტიკოსი, სარდალი და დიპლომატი. 43.

დავით გარეჯელი – VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, დავით გარეჯის მონასტრის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი. 68, 90.

დავით მდივანბეგი – იხ. კვინიხაძე დავით.

დავით III (გარდ. 1001) – ადარნასე III-ის ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე. დავით III-ის მეთაურობით განხორციელდა მისი შვილობილისა და აღზრდილის, ბაგრატ III-ის, გამეფებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის გეგმა. 68.

დანდრე (ანდრე)-ბარდონი მიშელ ფრანსუა (1700-1785) – ფრანგი გრავიორი და მხატვარი. 67.

დემიდოვი პავლე ნიკოლოზის ძე (1798-1840) – გრაფი, ცნობილი რუსი მეწარმე, ურალის უმდიდრესი ქარხნების მფლობელი, 1831-1834 წლებში კურსკის გუბერნატორი, მეცენატი. მისი პრემია დაწესებულ იქნა რუსეთის ეროვნულ სამეცნიერო ჯილდოდ და გადაეცემოდათ მეცნიერებს განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევისთვის. 85.

დიადოხოსი პროკლე (412-485) – ანტიკური ეპოქის ფილოსოფისი, ნეოპლატონიკოსი. 13.

დიმიტრი ივანიჩი // დიმიტრი ივანოვიჩი – პიროვნება დაუდგენელია. ის თანაბრად შეიძლება იყოს დიმიტრი ყიფიანი, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი, ან დიმიტრი ერმაკოვი. 106, 120.

დიმიტრი ოსეფიჩი – იხ. მამაცაშვილი დიმიტრი იოსების ძე.

დიმიტრი პეტროვიჩი – პიროვნება დაუდგენელია. 135.

დიუბუა დე მონპერე მარი ფრედერიკ (1798-1850) – შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი. ნევშატელის აკადემიის პროფესორი, საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკის ავტორი. 19.

დოდაევი იოსებ ქრისტეფორეს ძე – პიროვნება დაუდგენელია. 108.

დოდაშვილი სოლომონ იოანეს ძე (1805-1836) – ფილოსოფოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოს-თეორეტიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. 1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობისათვის გადასახლებული იყო ვიატკაში, სადაც გარდაიცვალა. 38.

დოდო – VI საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირი, დავით გარეჯელის მოწაფე, გარეჯას სანახებში ახალი მონასტრის დამაარსებელი. 68.

დომნა – პიროვნება დაუდგენელია. 138, 139.

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1820-1893) – კავკასიის მეფისნაცვალი 1882-1890 წლებში. 161, 194, 195, 205.

დროზდოვი ათანასე (ალექსანდრე) ვასილის ძე – XIX საუკუნეში მოღვაწე არქიმანდრიტი. იყო რიაზანის, ხოლო შემდეგ ხერსონის სასულიერო სემინარიების რექტორი. 66.

დუბუა – იხ. დიუბუა დე მონპერე მარი ფრედერიკ.

დუნდუკოვი – პიროვნება დაუდგენელია. 186.

დუხოვსკი პეტრე იაკობის ძე – პეტერბურგელი დეკანოზი. 41.

ეგორ სტეპანიჩი – პიროვნება დაუდგენელია. 108.

ევგენი // ევლენი – იხ. ბაჟენოვი ალექსანდრე ფილიპეს ძე.

ევთიმე – იხ. ექვთიმე მთაწმინდელი.

ეკატერინე – პიროვნება დაუდგენელია.
წერილის ადრესატი.

ელენა – იხ. აბამელიქ-ბაგრატიონისა ელენე სიმონის ასული.

ელენა – იხ. ამილახვარი-ბაგრატიონისა ელენე ოთარის ასული.

ელია დიაკონი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მოღვაწეობა იოანე ზედაზნელთან ერთად. 90.

ერეკლე II (1720-1798) – 1744 წლიდან ჯერ კახეთის, ხოლო 1762 წლიდან ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ვაჟი, ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მეფე. 19, 41, 55.

ერისთავი გიორგი რომანის (რევაზის, რომანოზის) ძე (1812-1891) – კავა-

ლერიის გენერალი, კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი, 1856-1860 წლებში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. ზედმეტ სახელად „ატამანი“. 229.

ერისთავი ნიკოლოზ ბოგდანის (ბიძინას) ძე (1831-1912) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომის მონაწილე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე. 234.

ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული (1808-1870) – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, დავით ორბელიანის მეუღლე. XIX საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. მის ლიტერატურულ სალონში გადაწყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები. 95.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901) – ცნობილი ქართველი პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. 168.
წერილის ადრესატი.

ერმაკოვი დიმიტრი ივანე ძე (1845-1916) – რუსი ფოტოგრაფი, ორიენტალისტი, ეთნოგრაფი. 176.

ეფრემ მცირე (გარდ. 1101) – XI საუკუნის II ნახევრის ქართველი ფილოსოფოსი, ფილოლოგი და მთარგმნელი. 44.

ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028) – ქართველი მწიგნობარი, მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 წლებში ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, თორნიკე ერისთავის ძმისშვილი. 68, 73.

ვარაზ-ბაკური – პეტრე იბერის მამა, ქართლის მეფე IV საუკუნის 70-80-იან წლებში; 368 წელს რომაელთა მომხრე საურმაგის განდევნის შემდეგ გაამეფეს ირანელებმა, რომლებმაც პირველად

დახარკეს ქართლი. მის დროსვე პირველად იხსენიება თბილისი. 17.

ვარდიევი – სასულიერო პირი სოფ. ჩარგალში. 113.

ვარზბაქარ – იხ. ვარაზ-ბაკური.

ვასილი // ვასილი მიხაილიჩი // ვასილი მიხაილოვიჩი – იხ. ვასილიევი ვასილი მიხეილის ძე.

ვასილიევი ვასილი მიხეილის ძე – დიმიტრი ბაქრაძის ქალიშვილის, ნინოს, მეუღლე. 137, 139, 180, 188, 193, 199, 202, 203.

ვასილიევისა – ვასილი მიხეილის ძე ვასილიევის, დიმიტრი ბაქრაძის ქალიშვილის, ნინოს, დედამთილი. 139.

ვასიფი – პიროვნება დაუდგენელია. 193.

ვასო – იხ. მელვინეთუხუცესიშვილი ვასილი.

ვაჩნაძე რევაზ – კახელი მემამულე და ღვინის მწარმოებელი. 188.

ვახტანგ გორგასალი (442-502) – ვახტანგ I გორგასალი, ქართლის ლეგენდარული მეფე V საუკუნის II ნახევარში, საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გამაერთიანებელი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომპოვებელი. 33, 38, 63.

ვახტანგ VI (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-1714 წლებში, ქართლის მეფე 1716-1724 წლებში. გიორგი XI-ის ძმის, ლევანის, შვილი, სულხან-საბა ორბელიანის აღზრდილი. მისი მეფობა გამოირჩეოდა ქვეყნის კულტურული აღორძინებით. 37, 41, 62, 181.

ვეიდენბაუმი ევგენი გუსტავის ძე (1845-1918) – რუსი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, არქივარიუსი, კავკასიოლოგი და პუბლიცისტი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე, საიდუმ-

ლო მრჩეველი. 176.

ვერა ანტონოვნა – პიროვნება დაუდგენელია. 137.

ვერაბიევი – პედაგოგი. დიმიტრი ბაქრაძის შვილების პერსონალური მასწავლებელი. 136.

ვერა ივანოვნა – პიროვნება დაუდგენელია. 199.

ვომიაკი – პიროვნება დაუდგენელია. 204, 205.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – ფელდმარშალი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი და განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი. 91, 94, 95, 106.

ზაგურსკი ლეონიდ პეტრეს ძე (1827-1891) – ცნობილი ლინგვისტი და ეთნოგრაფი, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველი. 117, 193.

ზავრიევი სამსონ სერგეის ძე (დაბ. 1848) – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. 187, 188.

ზაქარა // ზაქარო – იხ. ბაქრაძე ზაქარია ზაქარიას ძე.

ზაქარია – იხ. ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) ზაქარია იაკობის ძე.

ზაქარია // ზაქარია ოსიპოვიჩი – იხ. მამაცაშვილი ზაქარია იოსების ძე.

ზაქარიანი – პიროვნება დაუდგენელია. 143.

ზაქარია ქართველი – პეტრე იბერის მოწაფე, VI საუკუნის დასაწყისში პეტრე იბერის ცხოვრების ასურულად აღმწერი. 17.

ზეიძე – დიაკვანი. პიროვნება დაუდგენელია. 229.

ზენონ იყალთოელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. 90.

ზიაბლოტსკი (ზაბოლოტსკი) – პიროვნება დაუდგენელია. 28.

ზუბალოვი (ზუბალაშვილი) ალექსანდრე იაკობის ძე (1820/1826) – ქართველი მეწარმე და საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 193.

თადეოზ სტეფანწმინდელი (VI. ს.) – იგივე თათე მამებელი, ცამეტ ასურელ მამათაგანი. 90.

თამარ მეფე (1160-1207/1210/1213) – ერთიანი საქართველოს ლეგენდარული მეფე 1184 წლიდან, გიორგი III-ის ასული. 41, 42, 55.

თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე (1863-1953) – ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პროფესორი, საქართველოს ეროვნული განძეულის გუშაგი საზღვარგარეთ, პარიზის ნუმიზმატთა და საფრანგეთის საზიო საზოგადოებების ნამდვილი წევრი, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. 229.

თეიმურაზ I (1589-1663) – კახეთის მეფე 1606-1648 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1625-32 წლებში. გამოჩენილი პოეტი. 54.

თეიმურაზ II (1700-1762) – კახეთის მეფე 1709-1715, გამგებელი 1734-1744, ქართლის მეფე 1744-1762 წლებში, აღორძინების ხანის ქართული მწერლობის წარმომადგენელი, მთარგმნელი, პოეტი. 41.

თეოდოს (თეოდოსიუს) II უმცროსი (401-450) – აღმოსავლეთ რომის იმპერატორი 408-450 წლებში. 90, 104.

თოფჩიბაშევი მირზა ჯაფარ (1790-1869) – აღმოსავლეთმცოდნე, საიდუმლო მრჩეველი, პოეტი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტე-

ტის პროფესორი 1819 წლიდან, ლონდონის სააზიო საზოგადოების წევრი. 35.

თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე (1818-1875) – საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, კავკასიაში საგლეხო რეფორმის აქტიური მონაწილე, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი, ქართული თეატრისა და ჟურნალის აღორძინების ერთ-ერთი ინიციატორი.
წერილების ადრესატი.

ივანოვი – პიროვნება დაუდგენელია. 194.

იზაბელა I (1451-1505) – კასტილიის დედოფალი 1474 წლიდან, ფერდინანდ II არაგონელის მეუღლე. საფუძველი ჩაუყარა ცენტრალური მმართველობის სისტემას, დაასრულა რეკონკისტა, გამოირჩეოდა რელიგიური ფანატიზმის პოლიტიკით. 30.

იზმაილოვი მიხაილ (მიხეილ) – არქიმანდრიტი. 35, 55.

ილარიონ ქართველი (გარდ. 884) – IX საუკუნის ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, წარმოშობით კახელი დიდებულთაგანი. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა როგორც საქართველოში (დავით გარეჯის მონასტერი), ისე საზღვარგარეთ (იერუსალიმი, რომი და საბერძნეთი). გარდაიცვალა თესალონიკში. დაკრძალულია მის მიერ აშენებულ სოსთენის მონასტერში (რომანას ხეობა, კონსტანტინოპოლის უბანი). ბასილი იმპერატორის ბრძანებით, ილარიონის ცხოვრება აღწერა ბერძენმა ბერმა ბასილი ფილოსოფოსმა, რომელიც ქართულად თარგმნა თეოფილაქტემ. 29, 68.

ილია ოქროპირიჩი – იხ. ჟღენტი ილია ოქროპირის ძე.

ილია I (გარდ. 518) – იერუსალიმის პატრიარქი 494-516 წლებში, წარმოშობით არაბი. 90.

ილინსკი ალექსი ალექსის ძე (1809-1879) – მთავარეპისკოპოსი ევსევი,

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წლებში. მისი ხელშეწყობით, ქართული საეკლესიო ქონება რუსი კოლექციონერების კერძო კოლექციებში აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები. 123.

წერილების ადრესატი.

ინაევი – სასულიერო პირი სოფ. ბარისახოში. 113.

ინდიევი ილია თევდორეს ძე – სამგზავრო-საბარგო გემ „დედოფალ ოლღა“-ს კაპიტანი, რომელიც რეგულარულად ასრულებდა რეისებს ოდესიდან კონსტანტინოპოლში. 188.

იოანე (გარდ. 1005) – იოანე ათონელი, X-XI საუკუნეების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ათონის ივირონის მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი, ექვთიმე ათონელის მამა. 155.

იოანე ზედაძნელი (ზედაზნელი) – VI საუკუნის სასულიერო პირი, ასურელ მამათაგანი, ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი. 68.

იოანე ოქროპირი (IV-V სს.) – ბიზანტიელი სასულიერო მოღვაწე, მწერალი, ორატორი. 30.

იონა – იხ. ხელაშვილი იონა.

იონა წინასწარმეტყველი – მცირე წინასწარმეტყველთაგანი. მოღვაწეობდა ისრაელთა მეფის, იერობოამ II-ის, დროს. 96.

იოსებ ალავერდელი (VI ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მოღვაწეობდა თავის მიერ დაარსებულ ალავერდის მონასტერში. 90.

იოსელიანი ზაქარია ონისიმეს ძე – გენერალი, პლატონ იოსელიანის ბიძა. 35, 55, 74.

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია, სადაც მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. თბი-

ლისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ფილოსოფიასა და ფიზიკას. განსაკუთრებული ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების გამოცემის, ისტორიული საბუთებისა და დოკუმენტების შეგროვება-შესწავლის საქმეს. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან და მის წევრებთან, განსაკუთრებით მარი ბროსესთან. 44, 162.

ირაკლი – იხ. ერეკლე II.

ისე წილკნელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მოღვაწეობდა წილკნის ეპარქიაში. დასაფლავებულია იქვე. 90.

ისიდორე სამთავნელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მოღვაწეობდა ჯერ ზედაზნის მონასტერში, შემდეგ სამთავისის სანახებში, სადაც დააარსა მონასტერი. 90.

იულიანე – პიროვნება დაუდგენელია. 202.

იუსუფ ზია ფაშა – შურაგელის ოლქის მიწათმფლობელი. 220, 221.

კალანდაძე არსენ ივანეს ძე – გამომცემელი. 1875 წელს თბილისში გახსნა ქართული წიგნის მაღაზია, სადაც იყიდებოდა მთავრობისთვის მიუღებელი წიგნებიც. ამის გამო დააპატიმრეს და მაღაზია დაუკეტეს. 1880-იან წლებში, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, გორში გახსნა წიგნის მაღაზია და დააარსა სტამბა. 122.

კალაჩევი (კალაჩოვი) ნიკოლოზ ვასილის ძე (1819-1865) – რუსი ისტორიკოსი, არქეოგრაფი, იურისტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სანკტ-პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი. 128.

კამაროვი – იხ. კომაროვი ალექსანდრე ბესარიონის ძე.

კარამზინი ნიკოლოზ მიხეილის ძე (1766-1826) – რუსი მწერალი, ისტორიკოსი, რუსული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი რეფორმა-

ტორი 64.

კარაპეტი – იხ. ბაგრატუნი კარაპეტ (ოვანესი).

კეპპენი (კეპენი) პეტრე ივანეს ძე (1793-1864) – გერმანული წარმომავლობის რუსი მეცნიერი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. 38, 52, 55, 59, 61, 85, 88.

კვინიხაძე დავით (გარდ. 1787) – პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მდივანბეგი იმერეთის მეფეების, სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის, კარზე, მათი ელჩი ეკატერინე II-სთან. 78.

კივანდო – პიროვნება დაუდგენელია. 121.

კლაპროთი ჰაინრიხ (1783-1835) – გერმანელი ლინგვისტი, აღმოსავლეთმცოდნე. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, იმოგზაურა კავკასიაში ფილოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევების ჩასატარებლად. შედეგად დაწერა წიგნი „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“. 171.

კოლიუბაკინა ანა მიხეილის ასული – შავიზღვისპირეთის ვიცე-გუბერნატორის, ნიკოლოზ გრებენშჩიკოვის, მეუღლე, გუბერნიის მდივნის შვილი. 199, 202

კომარი – პიროვნება დაუდგენელია. 202.

კომაროვი ალექსანდრე ბესარიონის ძე (1830-1904) – ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ომის მონაწილე, კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, უახლოესი თანამებრძოლი. მის სახელთან არის დაკავშირებული იმიერკასპიისპირეთის ოლქში რუსეთის იმპერიისათვის დიდი ტერიტორიების შემოერთება. სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო გამოკვლევებით კავკასიისა და იმიერკასპიისპირეთის ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ორნითოლოგიისა და ენტომოლოგიის საკითხებზე. 161, 165.

კომაროვი ლ. ც. – პიროვნება დაუდგენელია. 171.

კონდაკოვი ნიკოდიმ პავლეს ძე (1844-1925) – ბიზანტიური და ძველი რუსული კულტურის ისტორიკოსი, არქეოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მხატვართა საიმპერატორო აკადემიის წევრი, საიდუმლო მრჩეველი. 230, 233.

კონსტანტინე – იხ. მხეიძე კონსტანტინე.

კონსტანტინე II (1466-1505) – ქართლის მეფე 1478/1479-1505 წლებში, ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი. 30.

კონსტანტინე ნიკოლაევიჩი – იხ. რომანოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე.

კონსტანტინე ქრისტეფორიჩი // კონსტანტინ ხრისტოფორიჩი – იხ. მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე.

კონსტანტინ ოსეფიჩი – იხ. მამაცაშვილი კონსტანტინე იოსების ძე.

კოცებუ პავლე ევსტათეს ძე (1801-1884) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ყირიმის ომის აქტიური მონაწილე, XIX ს-ის 60-80-იან წლებში ნოვოროსიის, ბესარაბიისა და ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 38, 53, 55, 59, 61.

კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინა მარია ვასილის ასული – შავიზღვისპირეთის ვიცე-გუბერნატორის, ნიკოლოზ გრებენშჩიკოვის, სიდედრი, გუბერნიის მდივნის მეუღლე. 199, 202.

კუპპენი – იხ. კეპპენი (კეპენი) პეტრე ივანეს ძე.

ლებედევი პეტრე ვასილის ძე (1827-1892) – არქიეპისკოპოსი პავლე, საქართველოს ეგზარქოსი 1882-1887 წლებში. 177.

ლევანი – იხ. ბაქრაძე ლევან ზაქარიას ძე.

ლენორმანი ფრანსუა (François Lenormant) (1837-1883) – ფრანგი ასიროლოგი, არქეოლოგი, ნუმიზმატი, ანთროპოლოგი, ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი. 1871 წელს გამოსცა წიგნი „Lettres assyriologiques et épigraphiques“. 124.

ლეონტი მროველი – ქართველი ისტორიკოსი, რუისის მთავარეპისკოპოსი, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული სამი ისტორიული თხზულების ავტორი. 53, 75.

ლისოვსკი ვალერი იაკობის ძე – გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, კარტოგრაფი, კავკასიის არაერთი კუთხის სამხედრო-სტატისტიკური აღწერის ავტორი. 119.

ლუარსაბ II (1592-1622) – ქართლის მეფე 1606-1615 წლებში. გამაჰმადიანებაზე უარის თქმის გამო, ჯერ ციხეში გამოკეტეს, შემდეგ კი საბლით დაახრჩეს. 68.

ლუთერი მარტინ (1483-1546) – გერმანელი ბერი, პროფესორი, თეოლოგი, ეკლესიის რეფორმატორი. მისმა მოძღვრებამ ღრმა კვალი დაამჩნია დასავლური ცივილიზაციის განვითარებას. 30.

მაკარი – ერისკაცობაში მიხეილ მატათაშვილი (1824-1892). „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ წევრი. 1857 წელს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. დიდი წვლილი მიუძღვის ბოდბის მონასტრის აღდგენაში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მონასტრის სიძველეებსა და ქართული გალობის აღორძინებას. მისი ქადაგებები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“. 123.

მაკარი – იშხნის არქიეპისკოპოსი. 146.

მამაცაშვილი ბაბალე იოსების ასული – ნინო მამაცაშვილი-ბაქრაძის და. 120, 134, 152, 169.

მამაცაშვილი-ბაქრაძისა ანეტა (ანიკო) იოსების ასული (1836/37-1911) – ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მეუღლე, გენერალ-მაიორისა

და საზოგადო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის, ასული. 132.

მამაცაშვილი გაბრიელ იოსების ძე – დიმიტრი ბაქრაძის მეუღლის, ანეტას, ძმა. 208.

მამაცაშვილი დიმიტრი იოსების ძე – დიმიტრი ბაქრაძის მეუღლის, ანეტას, ძმა. 120, 131, 132, 191.

მამაცაშვილი ზაქარია იოსების ძე – დიმიტრი ბაქრაძის მეუღლის, ანეტას, ძმა. 131, 132, 188.

მამაცაშვილი კონსტანტინე იოსების ძე – დიმიტრი ბაქრაძის მეუღლის, ანეტას, ძმა. 191.

მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე (1818-1900) – საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი, სათავადაზნაურო ბანკის საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე, ლიტერატორი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, იოსებ მამაცაშვილის უმცროსი ძმა. 106, 136, 202, 208.

მამაცაშვილისა ნატალია დავითის ასული – კონსტანტინე მამაცაშვილის მეუღლე. 136.

მამაცაშვილისა – ქრისტეფორე მამაცაშვილის მეუღლე. 139.

მამაცაშვილი ქრისტეფორე (ქაიხოსრო) იოსების ძე (1839-1909) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე. დიმიტრი ბაქრაძის მეუღლის, ანეტას, ძმა. 120, 131, 136, 137, 139, 152, 202.

მამაცაშვილი-ჯავახიშვილისა მარიამ იოსების ასული – იოსებ მამაცაშვილის შვილი, დიმიტრი ბაქრაძის ცოლისდა, გიორგი ქაიხოსროს ძე ჯავახიშვილის მეუღლე. ხოვლეში მისი სახელობის კერძო სკოლის დაფუძნებით დაიწყო დიდი საგანმანათლებლო

საქმიანობა, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნით დამთავრდა. 119, 185, 188.

მამუკა – იხ. ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე.

მარიამ ოსეპოვნა – იხ. მამაცაშვილი-ჯავახიშვილისა მარიამ იოსების ასული.

მარიამ შარვაშიძისა – პიროვნება დაუდგენელია. 97.

მასპერო გასტონ (1846-1916) – ფრანგი ეგვიპტოლოგი. დაიბადა პარიზში იტალიური წარმოშობის ებრაელთა ოჯახში. 1867 წელს შეხვდა ცნობილ ეგვიპტოლოგ ავგუსტ მარიეტს, რომელმაც მას ახლად აღმოჩენილი ორი იეროგლიფური ტექსტი გადასცა შესასწავლად. ამ დროს ეგვიპტოლოგია ჯერ კიდევ ახალი სამეცნიერო დარგი იყო. მასპერომ ტექსტი უმოკლეს დროში გაშიფრა და გამოაქვეყნა, რამაც აღიარება მოუტანა. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები ამ სფეროში. 124, 128.

მაშა // მაშო – იხ. მამაცაშვილი-ჯავახიშვილისა მარიამ იოსების ასული.

მაჩაბელი დავით (1814-1873) – პოეტი, მომღერალი, მსახიობი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოხელედ თბილისის მთავარ სამმართველოში, შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“. წვლილი აქვს შეტანილი ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლაში. 75.

მაჩაბლები – პიროვნებები დაუდგენელია. 199.

მაწონამე – პიროვნება დაუდგენელია. 161.

მაჭავარიანი ივანე ნიკოლოზის ძე (1863-1943) – ქართველი მთარგმნე-

ლი, მწერალი, პუბლიცისტი. 161.

მელიქოვი (მელიქიშვილი) ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი ხელმოკლე თავადი, საკმაოდ დაწინაურებული სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლობასაც მიაღწია. იყო მეფისნაცვლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თვის განმავლობაში ნახჭევანში ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანის ქალიშვილი ალექსანდრა. დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში. 220.

მერაბოვი მელიქ – პიროვნება დაუდგენელია. 135.

მეფისოვი მიხეილ პავლეს ძე – ახალციხელი ქართველი კათოლიკე, ართვინის ოლქის მმართველი, დიდი გავლენით სარგებლობდა ქართველ მაჰმადიანებში. 193, 208.

მელვინეთუხუცესიშვილი ვასილი – დიმიტრი ბაქრაძის ნათესავი მისი სიდედრის, ნინო მელვინეთუხუცესიშვილი-მამაცაშვილის, მხრიდან. 161, 165.

მელვინეთუხუცესიშვილი-მამაცაშვილისა ნინო კონსტანტინეს ასული – გენერალ-მაიორისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის, მეუღლე, დიმიტრი ბაქრაძის მეუღლის, ანეტას, დედა. 208

მელლიერი – პიროვნება დაუდგენელია. 135.

მეხტირბაშევი (მეხტირბაშოვი) – პიროვნება დაუდგენელია. 186, 202, 204, 208.

მზეჭაბუკი – იხ. ჯაყელი მზეჭაბუკ ყვარყვარე II-ის ძე.

მთვარელოვი (მთვარელიშვილი) ნიკოლოზ ვასილის ძე (1844-1923) – გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მკვლევარი და პუბლიცისტი,

თელავის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი, მდივანი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. 229.

მილერი ვსევოლოდ თეოდორეს ძე (1848-1913) – რუსი ფოლკლორისტი, ლინგვისტი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი; მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი 1884 წლიდან, აღმოსავლურ ენათა ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორი 1897-1911 წლებში, აკადემიკოსი 1911 წლიდან. 1879-1886 წლებში მოაწყო ექსპედიციების სერია კავკასიაში.
წერილის ადრესატი.

მილლერი მაქსი – იხ. მიულერი ფრიდრიხ.

მინკევიჩი ივანე ივანეს ძე (1826-1897) – რუსი ექიმი, ქირურგი, მწერალი, მედიცინის დოქტორი, საიდუმლო მრჩეველი. 193.

მირზა ჯაფარა – იხ. თოფჩიბაშევი მირზა ჯაფარ.

მირიან მეფე (261-342) – ქართლის მეფე IV საუკუნეში. მის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. 63.

მიტროფანე – ვორონეჟის ყოფილი ეპისკოპოსი, წმინდანად შერაცხული 1836 წელს. 29.

მიულერი ფრიდრიხ (1834-1898) – ავსტრიელი ლინგვისტი, პირველი ევროპელი ირანისტი და არმენოლოგი. 117.

მიქაელ ულუმბოელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. ქართლში დააარსა ულუმბოს მონასტერი. დაკრძალულია იქვე. 90.

მოროზოვი – პიროვნება დაუდგენელია. 165.

მურავიევი (მურავიოვი) ანდრეი ნიკოლოზის ძე (1806-1874) – რუსი სასულიერო მწერალი და ეკლესიის ისტორიკოსი, მოგზაური, დრამატურგი, პოეტი. 90, 91.

მჭედლოვი (მჭედლიშვილი) – სასულიერო პირი შატილში. 114.

მხეიძე დავით – არგვეთის მთავარი VIII ს-ის I ნახევარში, წმინდანად შერაცხული ძმასთან, კონსტანტინესთან, ერთად. 68.

მხეიძე კონსტანტინე – არგვეთის მთავარი VIII ს-ის I ნახევარში, წმინდანად შერაცხული ძმასთან, დავითთან, ერთად. 68.

ნატალია დავიდოვნა – იხ. მამაცაშვილისა ნატალია დავითის ასული.

ნელიდოვი ალექსანდრე ივანეს ძე (1835-1910) – რუსი დიპლომატი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, სხვადასხვა დროს იყო რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში, რომსა და პარიზში. მის სახელთან არის დაკავშირებული წინასწარი პირობების შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედო სან-სტეფანოს ზავს (1878). 210.

ნიკიტსკი – პიროვნება დაუდგენელია. 41.

ნიკოლაი ოსებიჩი // ნიკოლაი ოსიპოვიჩი – იხ. პეკარევი ნიკოლოზ იოსების ძე.

ნიკოლაი პეტროვიჩი – იხ. გრებენშჩიკოვი ნიკოლოზ პეტრეს ძე.

ნიკოლოზ I (1796-1855) – ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი, რუსეთის იმპერატორი 1825-1855 წლებში. ცნობილი იყო თავისი კონსერვატორული შეხედულებებით. მისი მეფობა გამოირჩეოდა იმპერიის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებით, რეპრესიული პოლიტიკით, ეკონომიკური სტაგნაციით, კორუფციული ბიუროკრატიით, სუსტი ადმინისტრაციული პოლიტიკით, აგრესიული ომების წარმოებით, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა ყირიმის 1853-1856 წლების ომი. 30, 95, 106.

ნიკოლოზ IX ამილახვარი – აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1678-1688 და 1692-1695 წლებში. 33, 38.

ნიკოლოსოვი (ნიკოგოსოვი) გრიგოლ ნიკოლოზის ძე – ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, კაპიტანი. არზრუმის სამხედრო ოლქის უფროსი. აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან. 1883 წელს ინტერვიუ აიღო თურქეთის სულთან აბულ-ჰამიდისაგან თურქეთის სომხებისათვის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით. 191, 192.

ნინა – იხ. ბაქრაძე ნინო დიმიტრის ასული.

ნინა ალექსანდრეს ასული – პიროვნება დაუდგენელია. 97.

ნინა კონსტანტინოვნა – პიროვნება დაუდგენელია. 106.

ნინა ლეონის ასული – პიროვნება დაუდგენელია. 97.

ნინო – წმიდა ნინო, კაბადოკიელი ქალწული, ქართლის გამაქრისტიანებელი. 43, 68.

ნინოცა // ნინოჩკა – იხ. ბაქრაძე ნინო დიმიტრის ასული.

ნუცა – იხ. ბაქრაძე ნინო დიმიტრის ასული.

ოგოლინი ალექსანდრე სტეფანეს ძე – თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე. 226.

ოლა // ოლგა // ოლიჩკა // ოლღა – იხ. ბაქრაძე ოლღა დიმიტრის ასული.

ოლღა ალექსანდროვნა – პიროვნება დაუდგენელია. 135.

ოლშევსკი – პიროვნება დაუდგენელია. 171.

ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1804-1883) – ქართველი პოეტი, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალი. მონაწილეობას იღებდა კავკასიის დამორჩილების საომარ ოპერაციებში. 98.

წერილების ადრესატი.

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1824-1893) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი. მოიხსენიებდნენ „მანანიჩად“. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 74, 96.

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1818-1853) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, კავკასიისა და ყირიმის ომების აქტიური მონაწილე, იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა. 94.

ორბელიანი ლუარსაბ (ივანე) ზურაბის ძე (1770-1827) – მინბაში, პოდპოლკოვნიკი. 55.

ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე (1800-1871) – გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების, რუსეთ-ირანის, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, უმამაცესი მეომარი და სწორუპოვარი მოჯირითე, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი, ქველმოქმედი. 96.

ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა (ანა) მამუკას ასული (1835-1914) – ლევან მელიქიშვილის მეუღლე. მან იშვილა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის დაობლებული შვილი. თვითონ სამი ვაჟი შეეძინა ლევანთან. 96.

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725) – მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი, პოლიტიკოსი, საქართველოს ევროპული ორიენტაციის აქტიური მომხრე. 44.

ოქრომჭედლიშვილი ილია ლაზარეს ძე (1838-1898) – ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე. 199, 209.

ოქროპირიძე ალექსანდრე (ალექსი) დავითის ძე (1824-1907) – ეპისკოპოსი ალექსანდრე, ერისკაცობაში ალექსი დავითის ძე, ქართველი

საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე.
წერილების ადრესატი.

პავლე – იხ. ლებედევი პეტრე ვასილის ძე.

პაისი – იხ. პლატონოვი პეტრე ვასილის ძე.

პალადი – მიტროპოლიტი, 1887-1892 წლებში საქართველოს ეგზარქოსი, ერში პავლე ივანეს ძე რაევი. 230.

პეკარევი ანდრეი ნიკოლოზის ძე – თბილისის მაცხოვრებელი, დიმიტრი ბაქრაძის ახლობელი. 188, 200.

პეკარევი ნიკოლოზ იოსების ძე – თბილისის მაცხოვრებელი, დიმიტრი ბაქრაძის ახლობელი. 188.

პეტრე იბერი (411-491) – ერისკაცობაში მურვანოსი, ქართლის მეფის, ვარაზ-ბაკურის, ვაჟი. დიდი ქართველი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, მაიუმის (პალესტინა) ეპისკოპოსი, ასკეტი, სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში ეკლესია-მონასტრების მაშენებელი, უცხოეთში პირველი ქართული კოლონიისა და ქართველთა სამონასტრო ცხოვრების დამაარსებელი, არეოპაგიტული თხზულებების ავტორი. 17, 21, 23, 26, 30, 32, 68.

პიროს ბრეთელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. 90.

პლატონოვი პეტრე ვასილის ძე (1850-1917) – იერომონაზონი პაისი, მოღვაწეობდა სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, ათონის მთაზე. 188, 193, 198.

პოპელი ევსტათი ერაზმის ძე – თბილისელი მოქალაქე. 137, 165, 167, 199, 200, 202, 209.

პოპელისა – თბილისელი მოქალაქის, ევსტათი ერაზმის ძე პოპელის, მეუღლე. 165, 199, 202, 209.

პოროშინი ვიქტორ სტეფანეს ძე (1811-1868) – ცნობილი რუსი ეკონომისტი, მთარგმნელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესო-

რი 1835 წლიდან. 27, 28, 35, 40.

პრესნიაკოვი ევგენი ლვოვის ძე – სარკინიგზო ინჟინერი, ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელის მმართველი.
წერილის ადრესატი.

პროტასოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე – სინოდის ობერპროკურორი. 31, 61, 76, 82.

ჟერებცოვი მიხეილ ივანეს ძე (1792-1870) – ინფანტერიის გენერალი, სენატორი, 1812 წლის სამამულო, პოლონეთისა და კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი. 86.

ჟორდანია თედო (თევდორე) დავითის ძე (1854-1916) – ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი, ფილოლოგი, საეკლესიო სიძველეთა საცავის მზრუნველი კომიტეტის, საქართველოს „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი.
წერილების ადრესატი.

ჟორჟე – პიროვნება დაუდგენელია. 164, 180.

ჟურავლევი (ჟურავლიოვი) – პიროვნება დაუდგენელია. 71.

ჟლენტი ილია ოქროპირის ძე – თბილისელი პედაგოგი, მათემატიკოსი. 202.

რაჟდენი (გარდ. დაახლ. 457) – ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწე, გაქრისტიანებული სპარსი. ქრისტეს რჯულის დაცვის გამო აწამეს. 68.

რაფაელ – იხ. ერისთავი რაფიელ დავითის ძე.

რიფსიმა – იხ. ბაგრატიონი რიფსიმე.

როგე ვლადიმერ პეტრეს ძე (1843-1906) – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი. 1882 წლიდან მოღვაწეობდა კავკასიაში. იყო კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, ბაქოს გუბერნიის გუბერნატორი, სტავროპოლის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი.
წერილების ადრესატი.

როზენი გეორგ – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე. 117.

რომანოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1827-1892) – დიდი მთავარი, გენერალ-ადმირალი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1865-1881 წლებში, პოლონეთის მეფისნაცვალი 1862-1863 წლებში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის უმცროსი ძმა. 136.

რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე შვილი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე. 1862 წლიდან 20 წლის განმავლობაში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი. 138, 220, 226.

როსტომი (1565-1658) – ქართლის მეფე 1633-1658 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656 წლებში, დავით XI-ის (დაუთ ხანის) ძე, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელი წარმომადგენელი. აღიზარდა ირანში. 62.

როსტომ-ფაშა (გარდ. 1658) – ახალციხის ფაშა (1647-1658). მისი ანტიქართული და ანტიქრისტიანული ღონისძიებების შედეგად, მოსახლეობა მესხეთის მიწიდან საქართველოს სხვა კუთხეებში იხიზნებოდა. მის დროს დაიწყო მესხეთის ფეოდალთა მასობრივი გამაჰმადიანება, ქართული ეკლესია-მონასტრების დარბევა და თურქული ინტერესების გატარება. 145.

როცი ვინჩენცო – თბილისის გიმნაზიის ხაზვისა და ხატვის მასწავლებელი. 50, 52, 57, 60, 61.

რუდნევი ივანე მაქსიმეს ძე (1828-1882) – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, ვიბორგის, სარატოვის, ნიჟეგოროდის ეპისკოპოსი, კიევის სემინარიის რექტორი, 1877 წლიდან საქართველოს ეგზარქოსი, 1882 წლიდან მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტი, 1891 წლიდან გადაყვანილ იქნა კიევის კათედრაზე. ამავე წლიდან იწოდებოდა იოანიკედ. 139.

რუსუდანი (1194-1245) – საქართველოს მეფე 1223-1245 წლებში, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შვილი. 41.

საგინოვი (საგინაშვილი) ივანე ბესარიონის ძე (1825-1907) – გენერალ-მაიორი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა მარშალი 1899 წლიდან. 1903 წლიდან საპატიო მომრიგებელ-მოსამართლე, ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე, მეცენატი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების საპატიო წევრი, მრავალი ორდენის კავალერი. 135.

საიდ-ბეი – ოსმალეთის მიწის მფლობელობის საბუთების არქივის დირექტორი. 214.

საიდ-ფაშა (1830-1914) – მეჰმედ საიდ ფაშა კიუჩიუკი, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, სხვადასხვა დროს იკავებდა საგარეო საქმეთა მინისტრისა და დიდი ვეზირის თანამდებობებს. 194, 199, 210, 214.

სარდიონი – პიროვნება დაუდგენელია. 119.

საული – გაერთიანებული ისრაელის სამეფოს პირველი მეფე. 67.

სემონოვი (სემიონოვი) – პიროვნება დაუდგენელია. 152.

სერებრიაკოვი – იხ. ოქრომჭედლიშვილი ილია.

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე (1824-1899) – გენერალი, კავკასიის, ყირიმის ომისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების აქტიური მონაწილე, 1863-1867 წლებში ქუთაისის

გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 135, 138, 179.

სიკო – დიმიტრი ბაქრაძის დის, დარიკოს, მეუღლე. 135.

სიმონ (სვიმონ) კანანელი – ქრისტეს მოციქული. 170.

სიმეონ (სვიმეონ) მესვეტე (521-596) – კაბადოკიელი წმინდანი. სვეტზე გაატარა 68 წელი. 90.

სკალონი ალექსანდრე ანტონის ძე (1796-1851) – შტაბს-კაპიტანი, გენერალ-მაიორი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი 1840-1841 წლებში. განათლება მიღებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტში. 71.

სმირდინი ალექსანდრე ფილიპეს ძე (1795-1857) – ცნობილი რუსი გამომცემელი და წიგნებით მოვაჭრე, რუსული განმანათლებლობის აქტიური ხელშემწყობი. 81, 83.

სმირნოვი – პიროვნება დაუდგენელია. 167.

სმირნოვისა – სმირნოვის მეუღლე. პიროვნება დაუდგენელია. 167.

სოლომონ I (1735-1784) – იმერეთის ენერგიული მეფე 1752-1784 წლებში. აქტიურად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლებისა და მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის. 24, 25.

სოფიო დადიანისა – პიროვნება დაუდგენელია. 97.

სოფრონა – პიროვნება დაუდგენელია. 119.

სპირიდონ სიმონის ძე – პიროვნება დაუდგენელია. 97.

სტასოვი ვლადიმერ ვასილის ძე (1924-1906) – საზოგადო მოღვაწე, ხელოვნების ისტორიკოსი, მწერალი. 141.

სტებინსკი – პიროვნება დაუდგენელია. 124.

სტეფანე ხირსელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მოღვაწეობდა ხირსაში (ქიზიყი), სადაც დააარსა მონასტერი. დაკრძალულია იქვე. 90.

სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, წარმოშობით პონტოელი ბერძენი ქალაქ ამასიიდან, „საისტორიო ნარკვევებისა“ და „გეოგრაფიის“ ავტორი. საინტერესო ცნობები აქვს შემონახული კოლხეთის შესახებ. 19, 128.

სტროევი (**სტრუვე**) **ვასილი იაკობის ძე** (1793-1864) – დაბადებისას ფრიდრიხ ვილჰელმ სტრუვე. ასტრონომი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის „გეოგრაფიული საზოგადოების“ დამაარსებელი, ამერიკის „ფილოსოფიური საზოგადოების“ წევრი. 20.

სულხანოვი (სულხანიშვილი) ალექსანდრე (დაბ. 1808) – ქართველი მთარგმნელი, კალიგრაფი, „ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონის“ ავტორი. 45, 49, 53, 54, 55, 88.

სუმბატ I (გარდ. 826) – ტაო-კლარჯეთის ერისთავი 786-813 წლებში, ამავე მხარის მეფე-კურაპალატი 813-826 წლებში, ქართლის ერისთავი 787-809 წლებში, ქართლის მეფე 809-813 წლებში, ჯავახეთის ერისმთავარი 807-826 წლებში. 146.

სუხომლინი – პიროვნება დაუდგენელია. 138.

ტარიელი – პიროვნება დაუდგენელია. 97.

ტარონელი (ტარონეცი) სტეფანოს – X-XI საუკუნეების სომეხი ისტორიკოსი. 54, 63.

ტლაშიძე – პიროვნება დაუდგენელია. 135.

ტროცკი ვიტალი ნიკოლოზის ძე (1835-1901) – გენერალ-ადიუტანტი,

ინფანტერიის გენერალი, ყირიმის ომის მონაწილე, 1883-1889 წლებში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. 177.

უვაროვა პრასკოვია სერგეის ასული (1840-1924) – რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი და არქეოლოგი. 176, 198, 208.

უმიკოვი (უმიკაშვილი) პეტრე იოსების ძე (1838-1904) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოლოგი, ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, დრამატურგი და კომიკოსი. 122, 128, 139.

უსტრიალოვი ნიკოლოზ გერასიმეს ძე (1805-1870) – რუსი ისტორიკოსი, არქეოგრაფი, პედაგოგი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნკტი. 36, 42.

ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) ზაქარია იაკობის ძე (1796-1845) – პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. 74, 75, 79, 83, 86.

ფარნაოზ – იხ. ბაგრატიონი ფარნაოზ.

ფილარეტი – მოსკოვის მიტროპოლიტი. 30.

ფირანოვი – სასულიერო პირი სოფ. ალვანში. 113.

ფრანკინი ვიქტორ (1820-1892) – ლეიტენანტი, გენერალი, სამხედრო აგენტი კონსტანტინოპოლში; ხელმძღვანელობდა სამხედრო ადმინისტრაციას კავკასიაში; მოგვიანებით იყო პირველი რუსი გუბერნატორი ახლად ანექსირებული ყარსის რეგიონში. ავტორია ნაშრომისა „იმპერატორ ნიკოლოზ I-ის აღმოსავლეთის პოლიტიკა“. 179.

ფრენი ქრისტიან დანიელის ძე (1782-1851) – გამოჩენილი აღმოსავლეთ-

მცოდნე და ნუმიზმატი, ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის დამაარსებელი. 35, 55, 85.

ფურცელაძე დიმიტრი (1825-1891) – ქართველი ისტორიკოსი, კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ტიტულოვანი მრჩეველი. მოღვაწეობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სემინარიაში, შემდეგ კი კავკასიის მეფისნაცვალთან განაგებდა „კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობას. 106, 137.

ფუსი იაგორ ნიკოლოზის ძე (1806-1854) – რუსი ასტრონომი. XIX ს-ის 30-იან წლებში ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, 1848 წლიდან იყო ვილნოს აკადემიური ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი. 63, 69, 71, 72, 74, 76, 85.

ქართველოვი (ქართველიშვილი) იოანე – სასულიერო პირი, მემუარისტი, 1809 წელს შედგენილი ქართული გრამატიკის ავტორი. 29.

ქარსაველი – საყდრიონის ეკლესიის დიაკვანი. 113.

ქეთევან (გარდ. 1624) – ქეთევან დედოფალი, კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლე, აშოთან მუხრანბატონის ასული, ქრისტიანობისთვის წამებული, წმინდანად შერაცხული. 68.

ქეთევან – იხ. ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული.

ქიტო – პიროვნება დაუდგენელია. 180.

ქოქრაშვილი-ბაქრაძისა ნინო – დიმიტრი ბაქრაძის დედა. 106, 120, 121, 164,

ქრისტეფორე - იხ. მამაცაშვილი ქრისტეფორე (ქაიხოსრო) იოსების ძე.

ქუთათელაძე – პიროვნება დაუდგენელია. 35.

ღანი – იხ. ჰანი პავლე ვასილის ძე.

ღევონტი – იხ. ლეონტი მროველი.

ღოდუნოვი – იხ. გოდუნოვი ბორის თეოდორეს ძე.

ყაზბეგი გიორგი (1839-1921) – გეოგრაფი, სამხედრო პირი. დაამთავრა რუსეთის არმიის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. მუშაობდა ინჟინრად კავკასიის არმიის გენერალურ შტაბში. 1874 წელს სამხედრო-სადაზვერვო მისიით იმყოფებოდა აჭარაში, შავშეთსა და ჭანეთში. მოგზაურობის შედეგად დაწერა ორი ნაშრომი: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იყო ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსი. ომის დასრულების შემდეგ ბაქოს 153-ე ქვეითი პოლკის მეთაურად დანიშნეს, 1891 წელს კი – ვარშავის ციხე-სიმაგრის შტაბის უფროსად. 1905 წელს ხელმძღვანელობდა პორტ-არტურის დაცვას. სამხედრო სამსახურის შემდეგ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. 128.

ყაფლან სიმონის ძე – პიროვნება დაუდგენელია. 97.

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) – ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. 98.

ყორღანოვი (ყორღანაშვილი) მოსესა – 1837 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი. 34.

შამილი (1798-1871) – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859). წარმოშობით დაღესტნელი. მის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ – მიურიდიზმმა – დაღესტანი და ჩეჩნეთი, სადაც ის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისთვის გააერთიანა. 1859 წლის 28 აგვის-

ტოს დაატყვევეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მედინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი), სადაც მოსალოცად იყო წასული. 95, 96.

შაპელი დეზირე სოვერ დე ლა (1799-1873) – საფრანგეთის კონსული თბილისში 1839-1842 წლებში. 68.

შატილოვი ვიქტორ პავლეს ძე (დაბ. 1850) – მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი. 195.

შაქრო – იხ. ბაქრაძე შაქრო (ზაქარია) დიმიტრის ძე.

შეგრენი ანდრეი მიხეილის ძე (1794-1855) – აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსული ანბანის გრაფიკის საფუძველზე ოსური ანბანის შემქმნელი. 13, 18, 19, 21, 27, 28, 31, 34, 35, 38, 39, 41, 43, 45, 46, 47, 49, 50, 51, 52, 53, 55, 56, 59, 60, 62, 63, 65, 70, 71, 72, 73, 74, 83, 85, 88, 91.

შელი/შოლი-ბროსე მარია ლავრენტის ასული – მარი ბროსეს მეუღლე. 88.

შიო მღვიმელი (VI. ს.) – ცამეტ ასურელ მამათაგანი. მოღვაწეობდა თავის მიერ დაარსებულ შიომღვიმის მონასტერში. 90.

შოპენი ივანე ივანეს ძე (1798-15.08.1870) – ფრანგული წარმომავლობის რუსი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და სახელმწიფო მოღვაწე. 34.

ჩავჩავაძე – იხ. ჭავჭავაძე ალექსანდრე.

ჩეტკოვსკი – პიროვნება დაუდგენელია. 190.

ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) ნიკოლოზ ზაალის ძე – როტმისტრი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 136.

ჩოლოყაშვილი ბიძინა – XVII საუკუნეში მოღვაწე საქართველოს ეროვნული გმირი, კახეთის 1659 წლის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. 68, 136.

ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი) დავით იესეს ძე (1814-1891) – ლიტერატურათმცოდნე, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ისტორიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე და პროფესორი, რუსეთის გეოგრაფიული და არქეოლოგიური საზოგადოებების წევრი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი. 24, 57.

ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი) ნიკოლოზ დავითის ძე (დაახლოებით 1828-1888 წწ.) – ქართველი მწიგნობარი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი და არქეოლოგი, დავით ჩუბინაშვილის გამზრდელი ბიძა. 23, 41, 55, 57, 69, 74, 75, 86, 102.

ცაგარელი ალექსანდრე (1844-1929) – ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ქართული სიტყვიერების კათედრის დოცენტი პეტერბურგის უნივერსიტეტში.
წერილის ადრესატი.

ციცერონი მარკუს ტულიუს (ძვ.წ.106-43) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ორატორი. 61.

ციციშვილი-ბაგრატიონისა მარიამ გიორგის ასული (1768-1850) – მეფე გიორგი XII-ის მეუღლე. გადასახლებული იყო რუსეთში. 35.

წერეთელი-დადიანისა მართა ზურაბის ასული (გარდ. 1839) – სამეგრელოს მთავრის, დავით ლევან V-ის ძე დადიანის, დედა. 55.

წილოსანი იოსებ ლაზარეს ძე (1804-1873) – პოლკოვნიკი, ევროპული საინჟინრო განათლების მქონე, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მთარგმნელი, აღმოსავლური ენების სახელ-

მძღვანელოს ავტორი. ბავშვობაში მონად გაყიდეს კაიროში, სადაც იშვილა მდიდარმა ადგილობრივმა. მას ყურადღება მიაქცია ეგვიპტის ფაშამ მეჰმედ ალიმ, რომელმაც ჯერ ადგილობრივი სამხედრო სასწავლებელი დაამთავრებინა, ხოლო შემდეგ, სახელმწიფოს ხარჯით – პარიზის უმაღლესი საინჟინრო სასწავლებელი. 1832 წელს იოსები (ალი-ამედ ეფენდი) სამშობლოს სიყვარულმა საქართველოში დააბრუნა. ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას, მჭიდრო კავშირი ჰქონდა აკადემიკოს მარი ბროსესთან და პლატონ იოსელიანთან. 34, 48, 53, 57, 71, 88.

ჭავჭავაძე ალექსანდრე (1786-1846) – რომანტიკოსი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილეობდა 1804 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის აჯანყებაში, რის გამოც ერთი წლით ტამბოვში გადაასახლეს. შემდეგ პაჟთა კორპუსში ჩაირიცხა. რუსეთის იმპერატორის ერთგულების გამო, სხვადასხვა ორდენით იყო დაჯილდოებული. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1806-1812, 1828-1829 წლების, რუსეთ სპარსეთის 1826-1828 წლების ომებში, რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის დროს იყო ბარკლაი დე ტოლის თანამებრძოლი. სხვადასხვა დროს ეკავა მაღალი სამხედრო თუ სამოქალაქო თანამდებობები. 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ კვლავ გადაასახლეს ტამბოვში, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. დასაფლავებულია კახეთში, შუამთის მონასტერში. 18, 21, 23, 27, 28, 36, 53, 66, 71, 78, 79.

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907) – ქართველი ერის აღიარებული ლიდერი, მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული „წმინდა ილია მართლის“ სახელით. 122, 127, 128, 131.

წერილის ადრესატი.

ხელაშვილი იონა (1778-1837) – ქართველი ბერი, მწიგნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მკვლევარი, ერეკლე II-ის შვილებისა და შვილიშვილების კარის მღვდელი პეტერბურგში. 94.

ხიტროვო ვასილი ნიკოლოზის ძე (1834-1903) – რუსი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, პალესტინის „მართლმადიდებლური საიმპერატორო საზოგადოების“ დამფუძნებელი, საპატიო წევრი და მდივანი. წერილის ადრესატი.

ხიხა – პიროვნება დაუდგენელია. 200.

ხომუტოვი (ხამუტოვი) მიხეილ გრიგოლის ძე (1795-1864) – კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, დონის კაზაკთა ჯარების ატამანი, სამამულო და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების აქტიური მონაწილე. 95.

ხრისტოფორე (ქრისტეფორე) – პიროვნება დაუდგენელია. 31.

ჯავახოვი (ჯავახიშვილი) გიორგი ქაიხოსროს ძე – ქართველი თავადი, დიმიტრი ბაქრაძის ცოლისდის, მარიამ მამაცაშვილი-ჯავახიშვილის, მეუღლე. 120, 188, 198

ჯანდიეროვი – პიროვნება დაუდგენელია. 69.

ჯაფარიძე იოანე – მღვდელი. 30.

ჯაყელი მზეჭაბუკ ყვარყვარე II-ის ძე (გარდ. 1516) – სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1500-1515 წლებში. თავისი სამფლობელოს გაძლიერების მიზნით, ოსმალეთს მორჩილება აღუთქვა და ხელი შეუწყო ჭანეთისა და აჭარის მისთვის გადაცემას. 1515 წელს ბერად აღიკვეცა იაკობის სახელით. 146.

ჯემალ-ედ-დინი – შამილის შვილი. 1839 წელს, 6 წლის ასაკში, მამამისმა რუს გენერალს, ალექსანდრე გრაბეს, მძევლად გადასცა ოჯახის სხვა წევრებისა და მებრძოლების გადარჩენის მიზნით. 1855 წელს შამილმა იგი ჭავჭავაძეების ოჯახის წევრებზე გადაცვლის შედეგად დაიბრუნა. ჯემალ-ედ-დინი აღიზარდა რუსეთში ქართველი არისტოკრატის მიერ. მიიღო კარგი განათლება და ტრიალებდა რუსეთის მაღალ საზოგადოებაში. შემ-

დგომში ქრისტიანად მოინათლა და ვარშავაში დაბანაკებული რუსეთის ჯარის ოფიცერი გახდა. 95.

ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1822-1883) – საოლქო კანცელარიის გამგე დაღესტანში, ქალაქ თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). მოგვიანებით გახდა მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. რუსი ჩინოვნიკის, სემიონ შჩუკინის, დახასიათებით, ის იყო კეთილშობილი პიროვნება, რომელსაც დახმარებისთვის მიმართავდა ნაცნობი თუ უცნობი და მისგან ღებულობდა ადამიანურ სითბოსა და ყოველგვარ შემწეობას. 96.

ჰანი პავლე ვასილის ძე (1793-1862) – საიდუმლო მრჩეველი, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 23.

გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი

აბასტუმანი (აბასთუმანი) – ცნობილი კურორტი საქართველოში, ადიგენის რაიონში, მდ. ოცხის ხეობაში. 202.

აზია – 74.

აზრუმი // არზრუმი – იხ. ერზერუმი (ერზრუმი).

ათენი – საბერძნეთის დედაქალაქი. მოიცავს ძველ ქალაქს, ცენტრალურ უბნებს, გარეუბნებს, პირეოსის ნავსადგურს. ცენტრში ორი ბორცვია: აკროპოლისის, პართენონითა და ძველი ტაძრებით, და ლიკაბეტის (ლიკავიტოსი), მწვერვალზე წმინდა გიორგის ეკლესიით. 210.

ათონის მთა – მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე, ათონის ნახევარკუნძულზე. მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას, 980-983 წლებში დაარსდა ივერთა ქართული მონასტერი. პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII-IX საუკუნეებიდან ჩანან. 20, 59.

ალვანი – მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში. იყოფა ორ სოფლად: ზემო ალვნად და ქვემო ალვნად. ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ თუშები. 112, 113.

ამიერკავკასია – მომდინარეობს რუსული „ზაკავკაზიე“-დან და ნიშნავს კავკასიონის ქედს მიღმა არსებულს, რაც რუსეთის ხედვას ასახავს. დღეს ფართოდ გამოიყენება უფრო ნეიტრალური ტერმინი – „სამხრეთ კავკასია“. პოლიტიკურად იგი მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. 59.

ამტნის-ხევი (ამტნისხევი) – სოფელ ღულელების ძველი სახელწოდება. მდებარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტში. 113.

ამღა – სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარეში (დუშეთის მუნიციპალიტე-

ტი), პირიქითა ხევსურეთში, არხოტის ხეობაში. 171.

ანანური – სოფელი მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, 1803-1821 წლებში იყო ყოფილი ანანურის მაზრის ცენტრი. ამჟამად შედის დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. 113.

ანი – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ელიაწმინდის თემში ზღვის დონიდან 1480 მ.-ის სიმაღლეზე, წყაროებში მოიხსენიება XVI საუკუნიდან. 143, 180.

ანჩა – ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელი. მდებარეობს შავშეთსა და ლიგანის ხევს შუა, მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე. 146.

არაგვი – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, ყაზბეგის, დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. არაგვის ხეობაში გადის საქართველოს სამხედრო გზა. 25.

არდაანი // არდაგანი – იხ. არტაანი.

არდალა – იგივე ორდალა. სოფელი ლაზისტანში, მდ. ხოფას ხეობაში. 144.

ართვინის ოლქი – შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, რომელსაც გამოეყო 1903 წელს ბათუმისა და სოხუმის ოლქებთან ერთად. ართვინის ოლქი აერთიანებდა ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის უბნებს. 141, 194, 218, 219.

არტაანი (თურქულად არდაჰანი, არდაგანი) – ქალაქი და რაიონი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს არტაანის პლატოზე, მდ. მტკვრის სათავესთან. საუკუნეების განმავლობაში იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, 1555 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ ოკუპაციის შემდეგ სანჯაყის სტატუსით შევიდა იმპერიაში. არტაანი ასევე არის ციხე-ქალაქის სახელწოდებაც, რომელიც ლეგენდარულმა მცხეთოსის ძემ, ჯა-

ვახოსმა, ააშენა. იმ დროს ამ ციხეს ქაჯთა ქალაქი ერქვა. ფარნავაზის დროს არტაანი, ჯავახეთი და კოლა წუნდის საერისთაოში შედიოდა. 123, 180.

არტანი (კვარში) – თემის საკრებულო თიანეთის მუნიციპალიტეტში, არტნის ადმინისტრაციული ერთეული (სოფლები: ზემო არტანი, ქვემო არტანი, ბოდახევა, დულუზაურები და ა.შ.). 112, 113.

არტანუჯი – ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ართვინის რეგიონში; კლარჯეთის ცენტრი. მდებარეობს მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე, ამჟამინდელ ქალაქ არტანუჯის სიახლოვეს. 135, 142, 143, 146, 194, 195.

არტვინი (ართვინი) – პროვინცია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში შავი ზღვის რეგიონში. ადმინისტრაციული ცენტრი ართვინი. ესაზღვრება საქართველო (აჭარა), არტაანი, ერზრუმი, რიზე. აქვს 35-კილომეტრიანი საზღვაო საზღვარი შავ ზღვაზე; ნავსადგური ხოფა. 135, 142, 143, 144, 145, 146, 147.

არქაბი – გიორგი ყაზბეგის ინფორმაციით, ოსმალთა ბატონობის დროს ლაზეთი ხუთ სამუდიროდ (საბოქაულოდ) იყოფოდა: ხოფა, გონიო, არქაბი, ათინა და ხემშინი. 144.

ასსა (ასა) – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. სუნჯის მარჯვენა შენაკადი. სათავეს იღებს პირიქითა ხევსურეთში. 171.

აფხაზეთი // აბხაზეთი – 77.

აწყური – სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვაკე ტერასაზე, მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე, მდ. აბანოსღელის შესართავთან; ზღვის დონიდან 900 მეტრი // სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში (ზემო ხოდაშნის თემის საკრებულო). 123.

აჭარა – 122, 139, 142, 145, 219, 234.

აჭარის ოლქი – ბათუმისა და ართვინის ოლქებთან ერთად, შედიოდა ბათუმის ოლქის შემადგენლობაში. 143.

ახალი ათონი – ქალაქი და ზღვისპირა კურორტი საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთის მუნიციპალიტეტში; ყოფილი ფირცხა. 170.

ახალციხე – 25, 26, 27, 28, 88, 118.

ახალციხის საფაშო – სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალეთის მიერ XVI ს-ში შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. 155.

ახალციხის უეზდი (მაზრა) – შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. 142.

ახბულახი (აღბულაღი) – ქალაქ თეთრიწყაროს ძველი სახელწოდება XX საუკუნის შუა წლებამდე. მდებარეობს გომერის ქედზე ზღვის დონიდან 1180 მეტრის სიმაღლეზე. 119, 120.

ახიელი – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (ხევსურეთის თემის საკრებულო). 112, 113.

ახპატი – სოფელი სომხეთში, ლორეს პროვინციაში, ალავერდიდან 10 კმ-ში. სოფლის მახლობლად გადის თბილისი-ერევნის გზა. ახპატში მდებარეობს X-XIII საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი. 47, 76.

ბათუმი – 134, 135, 136, 137, 138, 139, 142, 144, 145, 170, 185, 186, 187, 188, 195, 198, 211, 215, 217, 226, 227, 233, 234.

ბათუმის ოლქი – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. შეიქმნა 1878 წელს. დაყოფილი იყო ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოლქებად (ოკრუგებად), ადმინისტრაციული ცენტრი ბათუმი. 142, 143, 145, 194, 218, 221, 226, 227.

ბაიბურთი – პროვინცია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში, ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ბაიბურთი. მდებარეობს მდ. ჭოროხის აუზში, ლაზეთის ქედის სამხრეთით. 142.

ბარისახო – ისტორიული სოფელი საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა მხარეს; პირაქეთა ხევსურეთის ცენტრი. 113.

ბელი-კლუჩი – იგივე თეთრიწყარო. XX საუკუნის შუა წლებამდე ერქვა აღბულაღი. მდებარეობს გომერის ქედზე, ზღვის დონიდან 1180 მეტრის სიმაღლეზე. 94.

ბერლინი – გერმანიის დედაქალაქი. 226.

ბიზანტია – ბიზანტიის იმპერია, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერია; ძირითადად, ბერძნულენოვანი სახელმწიფო იმპერიის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში; არსებობდა გვიანი ანტიკურ ხანისა და შუა საუკუნეების პერიოდში. მისი დედაქალაქი იყო კონსტანტინეპოლი, ახლანდელი სტამბოლი. 104, 156.

ბორჩხა – ქალაქი ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ ნიგალში. დღეს მდებარეობს თურქეთში, ართვინის პროვინციაში. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. 143, 144.

ბოსფორი – შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე ევროპასა და მცირე აზიის ნახევარკუნძულს შორის. სიგრძე-30 კმ, სიგანე-0,7 კმ. 187.

გელათი – სოფელი საქართველოში, იმერეთის მხარეში. შედის ტყიბულის მუნიციპალიტეტში. აქ აგებულია ქართული ხუროთმოძღვრების ანსამბლი – გელათის მონასტერი, რომელიც მე-12 საუკუნით თარიღდება. 231, 233.

გირვჯინ-კიოვი – იხ. გურჯი ბოღაზის ხეობა.

გორი – 96, 108, 110, 136, 139, 170, 180.

გული – სოფელი ხევსურეთში. 113.

გურია – 77, 122, 233.

გურჯი ბოლაზის ხეობა – ხეობისა და უღელტეხილის თურქული სახელწოდება, საქართველოს ყელი, კვეთს მდ. ყარა-სუს (მდ. ევფრატის სათავე) და მდ. ჭოროხის შენაკად თორთუმ-ჩაის წყალგამყოფ ქედს. მასზე გადიოდა ერზრუმიდამ საქართველოში მომავალი გზა. 143, 146.

გურჯინ ხევი – იხ. გურჯი ბოლაზის ხეობა.

დავით გარეჯა – კლდეში ნაკვეთი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 კმ-ში, გარე კახეთში. გადაჭიმულია გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე 25 კმ-ს მანძილზე და 22 მცირე მონასტერ-კომპლექსს მოიცავს. 43.

დაღესტანი – (სიტყვა თურქულია, „დაგ“ მთებს ნიშნავს, „სტანი“ – მიწას); დაღესტნის რესპუბლიკა, შედის რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში, დედაქალაქი – მაჰაჩყალა. 1813 წელს დაღესტანი რუსეთ-სპარსეთის გიულისტანის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიას მიუერთეს, 1860 წელს კი დაარსდა რუსეთის იმპერიის დაღესტნის ოლქი. 1920 წელს გამოცხადდა დაღესტნის ავტონომია, 1921 წელს შეიქმნა დაღესტნის ასსრ, 1991 წელს დადგინდა მისი სტატუსი: დაღესტნის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. 97.

დიღომი – დასახლება დიღმის ველზე, თბილისთან ახლოს. 106.

დოლისყანა – შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, მდ. არტანუჯისწყლისა და იმერხევის შესართავთან, ახლანდელ სოფელ ჰამამლი ქოიში. 146.

დრეზდენი – საქსონიის დედაქალაქი. მდებარეობს გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ელბაზე, რომელიც მას ორ ნაწილად ჰყოფს. 95.

დუშეთი – არაგვის ერისთავთა ყოფილი რეზიდენცია. მდებარეობს მდ. დუშეთისხევის ნაპირებზე. წყაროებში 1215 წლიდან იხსენიება. 1756 წელს ფეოდალური ქალაქის სტატუსი მიიღო. ოფიციალურად ქალაქად 1801 წელს გამოცხადდა. 1802 წელს გახდა ახლადშექმნილი დუშეთის მაზრის ცენტრი, ამჟამად კი არის დუშეთის მუნიციპალიტეტის ცენტრი. 25, 97, 103.

ევროპა – 16, 86, 124.

ემშინი – იხ. ხემშინი.

ერზერუმი (ერზრუმი) – ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ერზრუმის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა კარნუ. რომის იმპერატორმა თეოდოს I-მა ის განაახლა და უწოდა თეოდოსიოპოლი. თურქებმა დაარქვეს ერზერუმი. 104, 143, 144.

ვანი – ქალაქი დასავლეთ საქართველოში (იმერეთის მხარე), ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. აქ მდებარეობს ანტიკური ნაქალაქარი. 2007 წლის 24 ოქტომბრიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. 68.

ვარდაშენი – სოფელი სომხეთში, არარატის პროვინციაში, ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე. 191.

ვენა – ავსტრიის დედაქალაქი. გაშენებულია მდ. დუნაის ორივე სანაპიროზე. 214.

ვენეცია – მეტსახელად არხების ქალაქი. მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში. მოიცავს არხებით გამოყოფილ 118 პატარა კუნძულს, რომლებიც ხიდებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. 193.

ვიატკა – რუსეთის ქალაქ კიროვის ძველი სახელწოდება 1781-1934 წლებში. 38.

ვიზანტია – იხ. ბიზანტია.

ზალონა – სოფელი ლაზისტანში, მდ. ხოფას ხეობაში. 144.

ზაქათალა – ქალაქი აზერბაიჯანში. მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით. 152, 161, 165.

ზუგდიდი – 231.

ზურპიჩი (ზერპიჯი) – სოფელი ლაზისტანში, მდ. ხოფას ხეობაში. 144.

თბილისი – 12, 18, 20, 22, 23, 24, 25, 27, 28, 31, 34, 36, 38, 39, 42, 45, 46, 47, 48, 49, 51, 53, 56, 57, 59, 60, 62, 64, 65, 68, 70, 71, 73, 75, 76, 78, 81, 82, 84, 85, 88, 90, 91, 92, 94, 96, 101, 102, 103, 106, 108, 111, 122, 127, 131, 132, 145, 146, 153, 161, 169, 170, 176, 181, 182, 188, 193, 198, 215, 218, 225, 226, 230, 231, 233.

თელავი – 24, 36, 67.

თეოდოსიოპოლი – იხ. ერზერუმი (ერზრუმი).

თიანეთი – მდებარეობს მდ. იორის ხეობის ზემოწელზე. მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს მთაგორიან რეგიონს. დასავლეთიდან და ნაწილობრივ ჩრდილოეთიდან ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ახმეტის მუნიციპალიტეტი. 113.

თიანეთის ოლქი – შედიოდა თბილისის გუბერნიაში. 112, 113.

თურქეთი – ევრაზიის სახელმწიფო მცირე აზიის ნახევარკუნძულზე. ესაზღვრება ოთხი ზღვა: შავი, ხმელთაშუა, მარმარილოსა და ეგეოსი. 132, 187, 194, 204, 205, 214, 215, 219, 220, 221, 226.

თუშეთი – 112.

თფილისი – იხ. თბილისი.

იეროსალიმი (იერუსალიმი) – ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი, წმინდა ქალაქი სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის – მიმდევართათვის. მდებარეობს იეჰუდის (იუდეის) მთების გულში ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე. იყოფა ძველ და ახალ ქალაქად. 20, 90, 154, 155, 156.

იმერეთი – 21, 25, 27, 30, 44, 53, 54, 68, 77, 80, 208.

იმერხევი – სოფელი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში, მდ. იმერხევის ხეობაში. აქ შემორჩენილია გრიგოლ ხანძთელის დროს აგებული ტაძარი. 142, 143.

იმერხევის ხეობა – მდებარეობს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, შავშეთში, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა და მოიცავს მრავალ სოფელს. 146.

ისპანია (ესპანეთი) – სახელმწიფო ევროპის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში. მას ეკუთვნის ბალეარისა და პიტიუსის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში და კანარის კუნძულები ატლანტის ოკეანეში. ესაზღვრება საფრანგეთი, ანდორა, პორტუგალია. 30.

იტალია – სახელმწიფო ცენტრალური ევროპის სამხრეთში, აპენინის ნახევარკუნძულზე. ეკუთვნის სიცილია, სარდინია, კაპრი, ისკია და სხვა პატარა კუნძულები. 40, 47.

კავკაზია (კავკასია) – ვრცელი ბუნებრივი რეგიონი შავ, კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის. შემოსაზღვრულია კუმა-მანიჩის ღრმულით (ჩრდილოეთი), ირანით და თურქეთით, ყუბანის შესართავითა და აფშერონის ნახევარკუნძულით. 95, 112, 117, 127, 128, 171, 174, 176, 181, 194, 215, 220, 226, 230.

კავკასიონის ქედი – მთათა სისტემა. ბოლოებით შეჭრილია ტამანისა და აფშერონის ნახევარკუნძულებში. იყოფა ორ ნაწილად – დიდ და მცირე კავკასიონად. მოიცავს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას. 113.

კარნუ – იხ. ერზერუმი.

კაცხი – სოფელი საქართველოში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში; თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კაცხურის ნაპირას, ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზაზე. 233.

კახეთი – 88, 92.

კიევი – უკრაინის დედაქალაქი. გაშენებულია მდ. დნეპრზე. უკრაინელების გარდა, მოსახლეობას შეადგენენ რუსები, ებრაელები, ბელორუსები. 56, 79.

კინტრიში – კინტრიშის დაცული ტერიტორია, მდებარეობს მდ. კინტრიშის ხეობაში, ქობულეთიდან 20 კილომეტრში, სოფელ ცხემვანსა და ხინოს მთებს შორის. ერთვის შავ ზღვას. 143, 219.

კოსტანტინეპოლი // კოსტანტინოპოლი // კონსტანტინოპოლი (სტამბოლი) – საუკუნეების განმავლობაში ერქვა კონსტანტინოპოლი, როცა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი იყო (ქალაქის ძველი ბერძნული სახელია ბიზანტიუმი). შუა საუკუნეების განმავლობაში უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი იყო ევროპაში, რის გამოც „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს. 145, 155, 185, 186, 187, 188, 191, 192, 193, 194, 195, 198, 199, 200, 201, 204, 205, 206, 208, 209, 210, 212, 214, 215, 218, 219.

კუკია – ძველი უბანი თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მახათას მთის დასავლეთ ფერდობზე. 231.

ლანჩხუტი (ლანჩხუთი) – 233.

ლეჩხუმი – 77.

ლეჩხუმის უეზდი – შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. 203.

ლივან-კოლიკი – ლივანა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა სამხრეთ საქართველოში, მდ. ჭოროხის ქვედა წელში. იხსენიება XI საუკუნიდან. კოლი ძველი ქართული პროვინციის სახელწოდებაა. კოლის ოლქი მოხსენიებულია მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაშიც“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლოა, ეს ტოპონიმი კოლხების ტომის სახელწოდებისაგან მომდინარეობდეს. 144.

ლოდისყანა – (იხ. დოლისყანა).

მაკრიელა – სოფელი ლაზეთში (ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორია). 144.

მარადიდი – სოფელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (კირნათის თემი), მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. 143.

მარტვილი – 231.

მარტყოფი – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი სოფელი. მდებარეობს თბილისის მახლობლად, ამჟამინდელ გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ფიქრობენ, რომ სახელწოდება მარტყოფი დაკავშირებულია ერთ-ერთი ასურელი მამის, ანტონ მარტყოფელის, სახელთან. VI საუკუნემდე სოფელს აკრიანი ერქვა. მარტყოფის ტერიტორია I-II საუკუნეებიდანაა დასახლებული. 230.

მაჭახელა – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. მაჭახელას ნაპირებზე. ამჟამად ორადაა გაყოფილი: მდ. მაჭახელას დინების ზემო ნაწილი თურქეთს ეკუთვნის, ხოლო ქვედა ნაწილი – საქართველოს. 143

მეგრელია – იხილეთ სამეგრელო.

მთიანეთი – მცხეთა-მთიანეთი. ულამაზესი და მრავალფეროვანი მხარე საქართველოში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა (ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი), აღმოსავლეთით – კახეთი, სამხრეთით – ქვემო ქართლი, დასავლეთით – შიდა ქართლი. 112.

მითხო – იგივე მალხისტის ჩეჩნური თემი, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. 1886 წლის აღწერით, მითხოს 11 სოფელი თიანეთის მაზრაში შედიოდა. 113.

მოსკოვი – რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი. სხვადასხვა დროს იყო მოსკოვის დიდი სამთავროს, რუსეთის სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. მდებარეობს რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრში, ოკისა და ვოლგის შუამდინარეთში, მდ. მოსკოვის ორივე ნაპირზე. წყაროებში პირველად 1147 წლიდან მოიხსენიება. XIII ს-ის დასაწყისში იგი სამთავროს ცენტრი იყო. 30, 45, 81, 176.

მტკვარი – ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე, სათავეს იღებს თურქეთში 2742 მ-ზე, ყიზილ-გიადუკის აღმოსავლეთ კალთაზე, გადის საქართველოს და ერთვის კასპიის ზღვას. 142, 146.

მურღული – ისტორიული ტაო-კლარჯეთის სოფელი დასავლეთ საქართველოში. ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის პროვინციაში. 143, 144.

მღვიმე (მღვიმევი) – სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეს. 233.

მცხეთა – 19, 33, 35, 38, 43, 44, 46, 48, 52, 54, 57, 61, 62, 90, 123.

ნაფარეული – სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. ლოპოტის (ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირას. 67.

ნიკორწმინდა – სოფელი რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. აქ მდებარეობს ნიკორწმინდის გუმბათოვანი ტაძარი. დასავლეთის შესასვლელის წარწერის მიხედვით, ის აუგიათ ბაგრატ III-ის დროს (1010-1014 წწ.). შემონახულია XVII ს-ის ფრესკები. 231.

ნოვო-სენაკი – ქალაქი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში. თავდაპირველად იწოდებოდა, როგორც ახალი სენაკი (ახალსენაკი, ნოვო-სენაკი). 1933 წლიდან 1989 წლამდე მისი სახელწოდება იყო ცხაკაია. 231, 232.

ნუხა – ყოფილი სამაზრო ქალაქი აზერბაიჯანში, ამჟამად შაქი. 97.

ოზურგეთი – 123, 169, 233.

ოლთისი – ქალაქი, ციხე იმიერ ტაოში, არზრუმის ოლქში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია), მდ. ოლთისისწყლის შუა წელზე, თანამედროვე ქალაქ ოლთუს ტერიტორიაზე. 145.

ოლთის ოლქი (ოკრუგი) – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეული. 180.

ომალო – მდებარეობს კახეთის რეგიონში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, პირიქითა (ჩაღმა) თემში, მდ. პირიქითა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. წარმოადგენს ისტორიული თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრს. დღესდღეობით არსებობს ძველი და ახალი ომალო. ახმეტიდან დაშორებულია 90 კილომეტრით. 112, 113.

ოსმალო – იგივე ოსმალეთის იმპერია. არსებობდა 1299-1923 წლებში. ხშირად მოიხსენიებოდა აგრეთვე, როგორც „თურქეთის იმპერია“. მისი ძლევამოსილების პერიოდში, XVI-XVII საუკუნეებში, იმპერიის ტერიტორია მოიცავდა ანატოლიას, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდ. აფრიკის ნაწილს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს. 128, 208.

პანკისი – მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ.

ალაზნის ზემო დინების ხეობაში. 112, 113.

პარიზი – საფრანგეთის დედაქალაქი (ადრე – ლუტეცია), ევროპის წამყვანი კულტურული, ბიზნეს და პოლიტიკური ცენტრი. 12, 182.

პერა – ტერიტორია ოქროს რქასა და ბოსფორს შორის. 208.

პეტეგრეკი (პეტიგრეკი) – სავარაუდოდ, ქალაქი ლაზისტანში. 144.

პეტერბურგი // პეტერბურლი – იხ. სანკტ-პეტერბურგი.

პონტო – პონტოს სამეფო. დააარსა მითრიდატე II-მ ძვ. წ. IV ს-ში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. დედაქალაქი ამასია. 144.

რაჭა – 233.

რეზანი (რიაზანი) – ქალაქი რუსეთის ევროპულ ნაწილში. 66.

რუისი – სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. საკრებულოს ცენტრი. მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. 168, 169.

რუსეთი – მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, ფლობს აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის უდიდეს ნაწილს. პირველი რუსული სახელმწიფო იყო კიევის რუსეთი. შემდეგ შეიქმნა რუსეთის სამეფო, რომელიც პეტრე დიდის დროს იმპერიად გამოცხადდა. იმპერია შეცვალა საბჭოთა კავშირმა. ეს უკანასკნელი 1992 წელს დაიშალა. დღეს რუსეთში სულ მცირე 60 ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. 20, 27, 30, 45, 64, 128, 132, 154, 156, 191, 215, 219, 220, 226

სამეგრელო – 41, 55, 67, 117, 118, 232, 233.

სანკტ-პეტერბურგი – ქალაქი ჩრდილოეთ ევროპაში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთით, ტურიზმის მნიშვნელოვანი

ცენტრი. 1712-1728 და 1732-1918 წლებში რუსეთის დედაქალაქი იყო. პეტერბურგთანაა დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარების გარკვეული პერიოდი. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო აქ ქართველთა ინტენსიური კულტურულ-მეცნიერული მოღვაწეობა. XIX საუკუნის შუა წლებში კი პეტერბურგის უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა ქართველთათვის. 13, 15, 17, 20, 27, 28, 29, 31, 34, 40, 45, 47, 56, 57, 66, 67, 70, 78, 80, 82, 83, 84, 91, 102, 106, 128, 132, 161, 162, 182, 233.

საფრანგეთი – სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ესაზღვრება ბელგია, ლუქსემბურგი, გერმანია, შვეიცარია, მონაკო, იტალია და ესპანეთი. 12, 68, 73.

საქართველო – 12, 16, 17, 18, 21, 23, 25, 27, 29, 32, 41, 43, 44, 47, 63, 64, 73, 79, 90, 98, 112, 128, 147, 156, 171, 176, 181, 182, 229.

საყარაულო – ყოფილი სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში; მთა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედზე; მთა ყვარლის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის სამხრეთ განშტოების საყარაულოს ქედზე (სიმაღლე 1743 მეტრი); მთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ივრის ზეგანზე; მთა კასპის მუნიციპალიტეტში თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე; მთა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ივრის ზეგანზე. 112, 113.

საყდრიონი – სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში, ხევსურთსოფლის თემის საკრებულო, ერწოს ქვაბულში, თიანეთიდან 27 კმ.; ზღვის დონიდან 1060 მ. 113.

საცხენისი – სოფელი ქვემო ქართლში, გარდაბნის რაიონში. 111.

საჯავახო – ახლანდელი სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სასაზღვრო რეგიონი, საჯავახოს ქედის წინა ზოლის ტერიტორია. 217.

სევასტოპოლი – ქალაქი უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე. თავდაპირველად ერქვა ახტიარი (თეთრი ფრიალო კლდე), 1784 წლიდან ჰქვია სევასტოპოლი (ბერძნ. „დიადი ქალაქი“). 95.

სვანეთი – 77.

სირია – ქვეყანა დასავლეთ აზიაში. დედაქალაქი დამასკო (ერთ-ერთი უძველესი ქალაქი მსოფლიოში). მისი მოსაზღვრე ქვეყნებია: დასავლეთიდან – ლიბანი და ხმელთაშუა ზღვა, ჩრდილოეთიდან – თურქეთი, აღმოსავლეთიდან – ერაყი, სამხრეთიდან – იორდანია, სამხრეთ-დასავლეთიდან – ისრაელი. 61.

სომხითი (სომხეთი) – სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის მთიანეთში. ესაზღვრება საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი. ქვეყნის დიდი ნაწილი შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. დედაქალაქი – ერევანი. 54, 104, 181.

სოხუმის ოლქი (ოკრუგი) – შეიქმნა 1864 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების გაუქმების შედეგად. იარსება 1883 წლამდე. 176.

სპარსეთი – იგივე ირანი. დედაქალაქი – თეირანი. სახელწოდება „ირანი“ იხმარებოდა სასანიანთა სახელმწიფოს ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად. ირანელები თავიანთ ქვეყანას ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ევროპელებმა კი სპარსეთი შეარქვეს ცენტრალური ოლქის ფარსის, ანუ პარსის, სახელის მიხედვით. 1935 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ მსოფლიოს სახელმწიფოებს მიმართა, რათა იგი მოეხსენიებინათ, როგორც ირანი. 41.

სტამბული (სტამბოლი) – ანოტაცია იხ. კონსტანტინეპოლი. 208.

სურამი – დაბა ლიხის ქედის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 760 მეტრის სიმაღლეზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლიმატური კურორტი. 203.

სუხუმი (სოხუმი) – 170.

ტაოსკარი – ციხე-ქალაქი და ადმინისტრაციული ერთეული ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტაოს მხარეში. ამჟამად მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. 123.

ტვირო (ტვიროსი) – უძველესი სავაჭრო ფინიკიური ქალაქი ლიბანში. თანამედროვე სური. 30.

ტრაბეზონდი // ტრებიზონტი // ტრაპიზონი (ტრაპიზონი) – ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, ისტორიული ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქი. სამხრეთით ქალაქს აკრავს პონტოს მთები. 144, 186, 187.

ტფილისი – იხ. თბილისი.

ფარსმა – XVIII საუკუნის საარქივო ჩანაწერების მიხედვით, ფარსმა პირიქითა თემის ცენტრალური სოფელია. მდებარეობს კახეთის რეგიონში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში, ისტორიულ პირიქითა (აღმა) თემში, პირიქითა ალაზნის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ომალოდან 40 კმ-ში. 112, 113.

ფოთი – 234.

ფოცხოვი – ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეული, ხეობა შუა საუკუნეების საქართველოში, ისტორიულ სამცხეში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). მიეკუთვნებოდა ჯაყელთა ფეოდალურ საგვარეულოს. მოგვიანებით ჯაყელთა განაყოფი შტოს – ბოცოსძეთა სამფლობელო. XVI საუკუნეში ფოცხოვი ოსმალეთმა დაიპყრო. შეიქმნა ადმინისტრაციული ერთეული ფოცხოვის ლივა, რომელიც იყოფოდა მზვარისა და ჩრდილის ქვეადმინისტრაციულ ერთეულებად. 143.

ფრანცია – იხ. საფრანგეთი.

ფშავი – 112.
ქართლი – 43.

ქობულეთი – 132.

ქუთაისი – 153, 170, 202, 203, 217, 232, 233.

ქუთაისის გუბერნია – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული 1846-1917 წლებში. თავდაპირველად აერთიანებდა 5 მაზრას. 230.

ღალღა – 171.

ყარსი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ყარსის პროვინციის დედაქალაქი, ყოფილი სანჯაყის ცენტრი თურქულ ვილაიეთ ერზრუმში. ქალაქ ყარსის ძველი ქართული სახელწოდებაა კარი. 132, 179, 180, 220, 226.

ყარსის ოლქი – ადმინისტრაციული ტერიტორია რუსეთის იმპერიაში, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში. 194, 221, 226.

ყვირილა – ქალაქ ზესტაფონის ძველი სახელწოდება 1921 წლამდე. 233.

შავი მთა – მთა აღმოსავლეთ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად. შავ, ანუ საკვირველ მთაზე, უკვე VI საუკუნიდან არსებობდა ქართველთა სამონასტრო ცენტრები. ამ დროს აქ მოღვაწეობდა სვიმეონ მესვეტე უმცროსი, რომელმაც შემოიკრიბა ქართველი ბერები და საფუძველი ჩაუყარა აქაურ ქართველთა კოლონიას. აქედან წამოვიდა საქართველოში 13 ასურელი მამა. 156.

შავშეთი – ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარის კუთხე, ამჟამად მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე. 142, 143, 146, 194, 195.

შატილი – მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ პირიქითა ხევსურეთში, მდინარეების – არღუნის და შატილისწყლის (შატილურა) – შესართავთან, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე, ჩეჩნეთის საზღვართან. 113, 114, 171.

შემოქმედი – სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ბჟუჟის ნაპირზე. 233.

შუაფხო – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში, უკანაფშავის თემის ცენტრი. 112, 113.

შურაღელის ოლქი – მდებარეობდა საქართველოს, თურქეთისა და სპარსეთის გადაკვეთაზე. 220.

ჩარგალი – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (ფშავი), თბილისიდან 80 კმ-ის დაშორებით. აქ მდებარეობს ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი. 112, 113.

ჩაუშლი (ჩავუშლუ) – სოფელი ლაზისტანში, მდ. ხოფას ხეობაში. 144.

ჩეჩნეთი – რუსეთის ფედერაციის სუბიექტი. შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დედაქალაქი გროზნო. 171.

ჩირუხი – მთა ზემო აჭარაში (შუახევის მუნიციპალიტეტი). აქ მდებარეობს ორი ლამაზი ტბა: გასალიანი და შრატიანი. 142.

ჩურუკ-სუ – ქობულეთის სახელწოდება ოსმალეთის ბატონობის დროს; ლაზისტანის ადმინისტრაციული ცენტრი. 122, 195.

ჩხალის ხეობა – დუთხუსა და ორჭასთან ერთად, ჩხალის ხეობა ზემო, ანუ მთის ლაზეთის, მთავარი პუნქტია (ლივანის, ანუ მარადიდის საბოქაულო). 144.

ცაიში – ბალნეოლოგიური კურორტი საქართველოში, სამეგრელო-ზე-

მო სვანეთის მხარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის ნაპირზე. 231.

ძეგვი – სოფელი მცხეთის რაიონში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთის ძირში. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძეგვი (ძეგუი, ძაგუი) ანტიკურ ხანაში უკვე დასახლებული იყო. 106.

წმინდა მიწა – იგივე ისრაელის მიწა. მოიცავს იორდანედან ხმელთაშუა ზღვამდე ტერიტორიას იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირის ჩათვლით. 153, 154.

ჭოროხი – მდინარე თურქეთსა და საქართველოში. სათავეს იღებს ოქუს-ბადაღის მთებში (თურქეთი). მისი სიგრძეა 438 კმ. აჭარის ტერიტორიაზე 26 კმ-იან მონაკვეთზე მიედინება. მისი მთავარი შენაკადებია: აჭარისწყალი და მაჭახელისწყალი. 142, 143.

ჭოროხის აუზი – მდებარეობს თურქეთსა და საქართველოში, ტექტონიკურ ხეობაში, ლაზისტანისა და ჭოროხის ქედებს შორის. სათავეს იღებს ოქუს-ბადაღის მთებში (თურქეთი). აუზის ფართობია 22 ათასი კვადრატული კილომეტრი. ჭოროხის აუზში მრავალი ქართული კულტურის ძეგლია შემორჩენილი. 142, 144, 146.

ხევსურეთი – 112, 113, 171.

ხემშინი – გიორგი ყაზბეგის ინფორმაციით, ოსმალთა ბატონობის დროს ლაზეთი ხუთ სამუდიროდ (საბოქაულოდ) იყოფოდა: ხოფა, გონიო, არქაბი, ათინა და ხემშინი. 144.

ხიგობა – ახლანდელი ბაშობა. სოფელი ლაზისტანში, მდ. ხოფას ხეობაში. 144.

ხიდისთავი – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. 139, 170, 179.

ხონი – 231.

ხოფა – ყოფილი ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში. ამჟამად წარმოადგენს მცირე ზომის დაბას ართვინის პროვინციაში (თურქეთი). 144, 231.

საჯავახო – ახლანდელი სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სასაზღვრო რეგიონი, საჯავახოს ქედის წინა ზოლის ტერიტორია. 217.

ლექსიკონი

ადიუნკტი (ადიუნქტი) – [ლათ. adjunctus მიერთებული] ძვ. 1. მოადგილე, თანაშემწე. 2. უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის ასპირანტი. 3. დასავლეთ ევროპასა და რევოლუციამდელ რუსეთში: პროფესორთან ან აკადემიკოსთან მომუშავე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ადიუნქტ-პროფესორი – პროფესორის თანაშემწე 15.24; 40,12.

ადლი – ძვ. სიგრძის საზომი ერთეული 26,13; 67,16.

ადრესი [რუს. адрес] – მისამართი 137,30; 139,5; 139,8; 179,21; 192,19; 192,20.

აინოინი – ხარა-ხურა, წვრილმანი, ნაყარ-ნუყარი 58,18.

ანგლიური [რუს. английский] – ინგლისური 117,24.

აქავე – აქვე 18,19; 65,9.

ბატარეა [ფრანგ.] – სამხ. რამდენიმე ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო ქვედანაყოფი 179,10.

ბიბლიოტაჰი – ხუმრობით უწოდებენ ადამიანს, რომელიც სხვას თავისი წიგნებით სარგებლობის უფლებას არ აძლევს. 42,4.

ბოჩკა [რუს. бочка] – კასრი 165,9.

ბრალეულ – დამნაშავე 50,18.

ბროშურკა [ფრანგ.] – ბროშურა, პატარა ნაბეჭდი წიგნაკი 43,12; 83,18.

ბულლეტენი – ბიულეტენი 19,16; 42,9; 42,10; 58,17; 87,17.

გარდაშთომა – გადარჩენა 38,11.

გონება – ფიქრი (ჰგონებს – ფიქრობს) 38,5; 38,10; 40,10-11; 41,7; 42,3; 44,8; 44,30; 45,8, და ა.შ.

გოსტინიცა [რუს. гостиница] – სასტუმრო 179,6; 186,15;

გრძელითი – ხანგრძლივი 40,7.

დათხზული – შეთხზული 75,17.

დანაშთენი – დანარჩენი 35,25; 55,18; 74,24.

დატევება – დატოვება 166,20.

დაუდევნელობა – დაუდევრობა 33,25.

დაღალვა – დაღლა 58, 1.

დაშთომა – დარჩენა 38,11.

დაჭრილობა – დაჭრა 57,15-16.

დეისტვიტელნი [რუს. действительный] – ნამდვილი 180,14.

დოვერენნოსტი [რუს. доверенность] – მინდობილობა, რწმუნება 134,4;

136,4-5; 137,6; 200,14; 201,17-18.

დროშკა [რუს. дрожки მრ.] – მსუბუქი, ოთხთვალა ეტლი 86,24.

ეკზემპლარი // ექზემპლარი – ეგზემპლარი 21,20-21; 28,19; 61,29; 72,18; 79,14; 85,8; 101,11; 110,9.

ეპოხა – ეპოქა 16,2.

ესევითარი – ამგვარი 20,4; 29,13.

ესოდნად – ესოდენ 33,19.

ექზამენი [რუს. экзамен] – გამოცდა 21,22-23.

ვაკანცია – ვაკანსია 57,23; 135,29.

ველიკი [რუს. великий] – დიდი 136,8; 138,12.

ვერსი [რუს. верста] – სიგრძის საზომი ერთეული, ოდნავ მეტია კილომეტრზე (უდრის 1.0668კილომეტრს) 179,10.

ვერშოკი [რუს. вершок] – ძვ. სიგრძის ერთეული, რომელიც იხმარებოდა რუსეთში ზომათა მეტრული სისტემის შემოღებამდე – არშინის ერთი მეთექვსმეტედი ნაწილი 67,17.

ვვოდი [რუს. ввод] – შეტანა 167,6.

ვიეთნიმე – ზოგიერთი 61,17; 64,13; 64,14.

ვითარლა – როგორღა 25,23.

ვკუსი [რუს. вкус] – გემო 119,13.

ვლადენიე [რუს. владение] – მფლობელობა, სამფლობელო, ადგილ-მამული. 167,6-7.

ვრცლივ – ვრცელი 73,9.

ზასედანიე [რუს. заседание] – სხდომა 121,5.

ზნაკი [რუს. знак] – ნიშანი 110,7.

ზრახვა – დალაპარაკება (ეზრახოთ – დაელაპარაკოთ) 34,6-7.

ზრქელი – სქელი 44,4.

თანჴმა – თანახმა 90,27.

თხოვნილი – ნათხოვი 21,19-20; 39,10; 69,3.

იეფი – იაფი 17,12; 20,5-6.

იმდონი – იმდენი 61,5.

ისპანია [რუს. Испания] – ესპანეთი 30,9.

ისტორიებრი – ისტორიული 16,20.

ისტორიებრივი – ისტორიული 20,3.

იჭუნეულ – დაეჭვებული 36,25-26.

კაიუტა [შვედ. kajuta რუს. ენის მეშვეობით] – პატარა, ოთახისმაგვარი

სადგომი გემზე 186,14.

კანიკული [რუს. каникулы] – არდადეგები 17,1; 25,19.

კანტანისტი [ფრანგ. canton. კანტონი – შვეიცარიის რესპუბლიკაში შემავალი ფედერალური სახელმწიფოებრივი ერთეული; მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთსა და ბელგიაში] –კანტონისტი: რუსეთში ჯარისკაცის შვილი (XIX საუკუნის I ნახევარში), რომელიც დაბადებიდან მიწერილი იყო სამხედრო უწყებაზე და ბავშვობიდანვე ემზადებოდა ჯარში სამსახურისთვის. 88,2.

კარანდაში [რუს. карандаш] – ფანქარი 118,11.

კარტინა [რუს. картина] – სურათი 57,5; 63,10; 63,16.

კდემა – მოკრძალება, მორიდება, დარცხვენა (ვიკდიმები) 18,11.

კეთილობა – სიკეთე 71,8.

კერძო – მხარე 16,10; 25,25; 94,5.

კნიაზი [რუს. князь] – თავადი 94,1; 94,15; 95,1; 96,10; 97,1; 110,1; 136,8; 138,12-13, და ა.შ.

კომმისია [რუს. комиссия]– კომისია 136,9; 199,29; 202,14.

კონსულსტვო [რუს. консульство] – საკონსულო 200,20.

კორრეკტორი – კორექტორი 110,4.

კოფეინა [რუს. кофейня] – ყავახანა 186,18.

კუალადცა – კვლავ 23,17.

კუხნა [რუს. кухня] – სამზარეულო 119,14.

ლაგერი [რუს. лагерь] – ბანაკი 139,2; 179,11.

მანუსკრიპთი – ხელნაწერი 37,18; 54,14.

მეგრელია [რუს. Менгрелия] – სამეგრელო 117,9.

მეზონინი – არასრული სართული, რომელიც დაშენებულია სახლის ზედა სართულზე. 165,2.

მეცადინება – მცდელობა 31,17; 37,26; 38,20-21; 47,20-21; 90,12.

მეძიებელი – მაძიებელი 16,28; 36,27; 49,6.

მზა – მზად მყოფი 72,10; 72,17; 81,9.

მიროვოი [რუს. мировой] – მსოფლიო 135,5-6.

მიუხედველად – მიუხედავად 52,20.

მოლოდებაჲ – ლოდინი 32,2; 32,26.

მომლოდნე – მომლოდინე 39,4; 53,17; 56,2; 74,31; 96,12.

მონდობაჲ – ნდობა 17,33.

მონდობილება – ნდობა 40,22; 118,22.
მოპოვნა – პოვნა 16,31.
მოპოვნება – პოვნა, შოვნა 36,5.
მოსყიდვა – შეძენა 16,29.
მოშოვნა – შოვნა 26,1; 81,8.
მოშოვნილი – მოძიებული, ნაშოვნი 19,27; 29,19.
მოცალება – მოცლა 209,15; 232,18.
მუნვე – იქვე 23,10.
მცნობი – ნაცნობი 23,7; 185,9.
მჰსწრაფლ – სწრაფად 28,19; 33,18; 33,29; 87,1.
ნაგრადა [რუს. награда] – ჯილდო 138,24.
ნაცულად-გება – სამაგიეროს გადახდა 22,6.
ნაცუალ-გებადი – სამაგიერო 49,13; 52,16.
ნემეცური [რუს. немецкий] – გერმანული 30,2; 117,21.
NB (N.B.) – nota bene (ნოტაბენე); შენიშნე კარგად! (ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით, შეადგინა აკაკი ურუშაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987, გვ. 118. 18,17; 31,20; 58,15; 170,13; 193,1; 198,7; 203,8, და ა.შ.
ოდეს – როცა 18,11; 29,9; 29,12; 45,2; 64,14; 64,22, და ა.შ.
ოკრული [რუს. округ] – ოლქი 180,4.
ორდინარნი [ლათ. ordinarius ჩვეულებრივი] – რევოლუციამდელ რუსეთში სამეცნიერო თანამდებობის აღნიშვნის დროს, შტატით გათვალისწინებული, ვისაც კათედრა უკავია. 21,3; 22,21; 40,4; 43,7; 46,1; 47,1; 48,4, და ა.შ.
ოტკრიტი [რუს. открытый] – ღია 232,17.
ოტჩეტი [რუს. отчёт] – ანგარიში 169,14.
პარახოდი // პაროხოდი [რუს. пароход] – გემი 170,8; 185,11; 185,14; 185,15; 185,16; 186,10; 186,14, და ა.შ.
პერევოდჩიკი [რუს. переводчик] – მთარგმნელი 88,2.
პირ-უთნებელად – პირუთვნელად 16,2.
პერლამენტი – პერგამენტი 26,6.
პლანი [რუს. план] – გეგმა 53,16; 119,18; 135,5.
პოდრიადები – [რუს. подряд] – აქ: იჯარა 88,14.
პოეზდი [რუს. поезд] – მატარებელი 137,11-12.

პოვესტკა [რუს. повестка] – უწყება 201,17; 208,5.

პოლევოი [რუს. полевой] – საველე 135,5.

პომეშჩიცა [რუს. помещица] – მემამულე ქალი 134,16.

პოლუიმპერიალი – 1. რუსული ოქროს მონეტა, 5-6 რუბლის ღირებულების 169,1; 169,30.

პოსილკა [რუს. посылка] – ამანათი 135,22.

პრიბილი [რუს. прибыль] – მოგება 138,17.

პრიკაზი [რუს. приказ] – სახელმწიფო საკრედიტო ორგანიზაცია – საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზი“, რომელიც უძრავი ქონების უზრუნველყოფით გასცემდა სესხს და იღებდა წლიურ 6%-იან სარგებელს. თუ აღებული ვალი დროზე არ დაიფარებოდა, გირაო „პრიკაზის“ საკუთრებაში პირდაპირი წესით გადადიოდა. 167,3; 169,2; 119,15.

პროგონი [რუს. прогоны (მრ.)] – საგზაო ხარჯი 61,6.

პროტოკოლი [ბერძ. prōtokollon რუს. ენის მეშვ.]– ძვ. ოქმი 134,19.

პროშტი – კოცნა 169,9-10.

ჟამნი – აქ: საათნი 16,33.

ჟენიხი [რუს. жених] – საქმრო, სასიძო 199,16.

რავდენნი – რამდენი 29,4.

რავდენნიმე – რამდენიმე 21,5; 85,11.

რაოდენთამე – რამდენიმე 19,12.

რაპორტი [ფრ. rapport] – 1. ზეპირი მოხსენება, ან წერილობითი შეტყობინება უფროსის, ან უმაღლესი ინსტანციის სახელზე; 2. ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ 32,26; 35,15; 42,8; 50,18.

რაღაებიც – რაღაცები 71,1; 77,13.

რეზონები [ფრანგ. reison] – აქ: სავარაუდოდ, მოსაზრებები, შეხედულებები 57,13.

რეშენიე [რუს. решение] – გადაწყვეტილება, პასუხი 161,10.

რეცა – თითქოს, რომ 25,16; 32,17; 33,28; 37,2; 41,12.

როსსიული – რუსული 19,26.

საზრდელი – საკვები 29,23.

სალდათი [რუს. солдат] – ჯარისკაცი 119,20.

სამსჭუალი – ლურსმანი 45,4-5.

სანანუჱლ – დასანანი 50,15.

საცინელი – დასაცინი 16,14.
საცნობელად – გასაცნობად 26,18.
სახმარევი – სახმარი 103,10.
სეკრეტი [რუს. секрет] – საიდუმლო 193,7.
სერიოზნი [რუს. серьёзный] – სერიოზული 199,27.
სიამოვნით – სიამოვნებით 35,3; 86,12-13.
სიმვოლიკად – სიმბოლოდ 64,24.
სიმსწრაფლით – სწრაფად 85,10.
სიქადული – სიამაყე 16,8.
სკლადი [რუს. склад] – საწყობი 191,20-21.
სკუჩნოობა [რუს. скучно] – მოწყენილობა 166,3.
სლოვარი [რუს. словарь] – ლექსიკონი 118,10; 118,12; 118,15.
სოვეტნიკობა [რუს. советник მრჩეველი] – მრჩევლობა 180,15.
სტატსკი [რუს. статский] – სამოქალაქო 180,14.
სტიხად [რუს. стих] – ლექსად 17,19.
სუდია [რუს. судья] – მოსამართლე 135,6; 167,8.
სხოლიო – სქოლიო 29,14; 102,15; 103,18.
ტაბლიცა [რუს. таблица] – ცხრილი 17,10-11.
ტამოჟნია [რუს. таможня] – საბაჟო 88,11.
ტოჩკა [რუს. точка] – წერტილი 110,6.
უდებება – მოხელის მირ თავისი მოვალეობის უგულოდ შესრულება 50,29.
უეზდი [რუს. уезд] – მაზრა 203,19.
უპოშლინოდ [რუს. пошлина ბაჟი] – უბაჟოდ 65,13; 71,4; 74,25.
უპრავლენიე [რუს. управление] – მართვა, მმართველობა 180,9.
უროკი [რუს. урок] – გაკვეთილი 191,13-14.
უქაზი [რუს. указ] – ბრძანებულება 39,5.
უჩიტელი [რუს. учитель] – მასწავლებელი 191,14.
უწვიმროება – უწვიმობა 47,6.
ფებერუალი – თებერვალი 59,1.
ფესი – კონუსის მოყვანილობის ფუნჯიანი ქუდი, ჩვეულებრივ, წითელი ფერის 169,2; 169,7.
ფეჩი [რუს. печь] – ღუმელი 119,14; 234,12.
ფოჩტა – ფოსტა 21,15; 21,19; 23,1; 23,19; 23,20; 31,16; 31,19, და ა.შ.
ფრანცია [რუს. Франция] – საფრანგეთი 68,3; 73,6;

ფრანციზული – ფრანგული 35,5-6; 69,14; 78,23-79,1; 79,1, და ა.შ.
ღოსტინა [რუს. гостиная] – სასტუმრო 179,8.
ღრიფონი (გრიფონი) – იგივეა, რაც გრიფი 67,8; 69,9.
ღუბერნატორი – გუბერნატორი 17,13; 71,13; 86,20; 179,7; 179,9.
ყოვლად – სრულად, მთლიანად 26,17; 36,2-3; 168,2; 229,1.
ყოვლადი – ყველა, სრული, მთელი 19,17; 37,11-12.
შედგომა – შემთხვევა („შეუდგება ჩემს წიგნსა“ – რა შეემთხვევა, რა ბედი ეწევა ჩემს წიგნს) 23,12; 24,1.
შეყენება – გაჩერება, დაყოვნება (შევაყენე საქმე) 68,4; 119,15.
შტილი – სტილი 17,7; 73,14.
ჩლენი [რუს. член] – წევრი 34,4; 36,28; 40,25; 49,9; 65,26; 71,11-12; 88,11, და ა.შ.
ცენზორა // ცენსორა – ცენზურა 48,10.
ძირძიტა – საუბ. იგივეა, რაც ძირდიდა (ძირმაგარა) 179,15.
ძნელ – ძნელად, რთულად 19,15; 26,1; 46,17.
წურილები – სავარაუდოდ, წვრილფეხობა, ბავშვები 85,13.
ხარტია – ქარტია 46,9.
ხლოპოტი [რუს. хлопот] – გარჯა, ფუსფუსი 200,27.
ხრონიკა – ქრონიკა 88,19; 88,22.
ჴელ-ფეხ-დაბორკილებულნი – ხელ-ფეხშეკრულნი 63,14.
ჴელ-ყოფა – ხელის მიყოფა 16,20.
ჯერისაებრ – წესისამერ, სათანადოდ 71,7.
ჰაზრი – აზრი 72,9; 72,14; 75,22; 76,1; 79,19; 79,21; 82,17 და ა.შ.

პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის წერილების ძირითადი ენობრივი თავისებურებები

პლატონ იოსელიანი და დიმიტრი ბაქრაძე მე-19 საუკუნის ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა პირველ თაობას მიეკუთვნებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასაკობრივი სხვაობა ორ ათეულ წელსაც არ ითვლის, მათი წერილების ენა თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი კითხვისას გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ და ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ენობრივ მონაცემზე მეტყველებდნენ.

პლატონ იოსელიანის ეპისტოლეთა ენა მძიმე და „ღვლარჭნილია“, ხშირად ხელოვნური, სტილი – ოფიციალური, აშკარად შეინიშნება ანტონ კათალიკოსის ენობრივი გავლენა. ცხადია, ამაში გარკვეულ როლს თამაშობს წერილების ადრესატის ვინაობა, ერთი მხრივ, და წერილების მიზანი და დანიშნულება, მეორე მხრივ. ბარათების უმრავლესობა, როგორც გამოცემის შესავალ წერილშია აღნიშნული, აკადემიკოს მარი ბროსესადმია გაგზავნილი. ისინი სამეცნიერო ხასიათისაა და ემსახურება ცნობების მიწოდებას პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიისათვის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე. თუმცა, პლატონ იოსელიანისთვის, ზოგადად, წერის ასეთი სტილი იყო დამახასიათებელი. ზაქარია ჭიჭინაძე ნარკვევში „პლატონ იოსელიანი“ წერს, რომ ენის გამო მას თანამედროვენი ხშირად საყვედურობდნე.[7] მკვლევარი დიდ მოვლენად აფასებს 1841 წელს პლატონ იოსელიანის მიერ ქართული გრამატიკის გამოცემას, მაგრამ იქვე შენიშნავს: „ამ გრამატიკას ის უბედურება დაჰყვა თან, რომ იოსელიანისებური ჯგვარცმული ენით იქნა შედგენილი“.[8] ამ მიზეზით ხსნის იგი გრამატიკის მხოლოდ ორჯერ გამოცემისა და მისი გაყიდვის გაძნელების ფაქტს. „1841 წელს მან დაბეჭდა ქართული კალენდარი, მაგრამ იმავე ენით დაწერი-

[7] ზაქარია ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, Тифлис, 1893, გვ.: 9-12.
[8] იქვე.

ლი, რის გამოც გაჭირდა მისი გაყიდვა. მას ხალხი საყვედურობდა და ამუნათებდა, რომ თავი დაანებე ძველი ენით წერას, ის კი ყველას ბრიყვებს ეძახდა და თან ლათინურ და ბერძნულ ფრაზებსაც აყრიდა“, – წერს ზ. ჭიჭინაძე.[9]

წერილებში იგრძნობა ავტორის განსაკუთრებული მცდელობა, მაქსიმალურად დაიცვას ძველი ქართული ენის გრამატიკული ნორმები, დაწყებული ორთოგრაფიით და დამთავრებული სინტაქსური კონსტრუქციებითა და ლექსიკით. მხოლოდ ტექსტებში მიმობნეული რუსიციზმები შეგვახსენებს, რომ მე-19 საუკუნის ავტორთან გვაქვს საქმე და არა გარდასულ საუკუნეთა მოღვაწესთან.

ამის საპირისპიროდ, დიმიტრი ბაქრაძის წერილები ეპისტოლური ჟანრისთვის დამახასიათებელი ენით არის დაწერილი: აგებულია ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე, წინადადებები მარტივი და ნათელია. აქ არ გვხვდება ძველი ქართული ენის სინტაქსური კონსტრუქციები, არც ძველი ორთოგრაფიისა და მორფოლოგიის გავლენა შეინიშნება, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ამიტომაც არის, რომ ისინი მსუბუქად და ლაღად, თითქმის თანამედროვე ტექსტებივით იკითხება,

პლატონ იოსელიანის წერილებში აქტიურად გამოიყენება ძველი ქართული სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი გრაფემები: **ჱ, ჲ, ჯ, უ, ჴ.**

„ჱ“ დაწერილობა, ძირითადად, „უჱ“ ბგერათკომპლექსში შეინიშნება, რაც სალიტერატურო ენაში X ს-იდან იჩენს თავს.[10] მაგალითები: „ქართუჱლთა“, „საჩუჱნებელად“, „ჩუჱნისა“ და სხვა მრავალი.

„ჲ“ ნახევარხმოვანი ხმოვნის მომდევნო პოზიციაშია გამოყენებული: „საქართუჱლოჲსა“; „საზოგადოჲსა“; „რაჲმეჲსა“.

„თჳს“ თანდებული თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი თითქმის ყოველთვის „ჯ“ გრაფემას შეიცავს: „აღდგენისა**თჳს**“; „**თჳს**ისა“. ხშირად ის „ვი“ ბგერათმიმდევრობასაც გადმოსცემს,

[9] იქვე.
[10] ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997, გვ. 14.

მაგ., „ადჯლი“, „ეჭჯა“ და სხვა, რაც მისი ხმარების წესებში ავტორის გაურკვევლობით აიხსნება.

უმარცვლო „უ“ ზოგჯერ თემის ნიშნისეულ **-ვ** თანხმოვანს ცვლის: გადახატ**უ**ა; განხილ**უ**ა.

ამ გრაფიკულ ნიშანს დიმიტრი ბაქრაძეც მიმართავს: „თქ**უ**ენდამი პატივისცემითა“; „თქ**უ**ენის ბრწყინვალების“.

„ჴელ“ ძირის შემცველი სიტყვები უმთავრესად „ჴ“ გრაფემას გვიჩვენებს: „**ჴელ**-ვჰყავ მეცა აღწერად“; „მოწყალეო **ჴელ**-მწიფევ!“ „ჴ“ გვაქვს „ს“ და „შ“ თანხმოვნების წინა პოზიციაშიც, რაც ასევე ძველი ქართულისთვის იყო ნიშანდობლივი: „მო-მი**ჴს**ენებია“; „მო**ჴს**ენებულ-იყუნენმცა“; „**ჴშ**ირად“, თუმცა **ხანის** ადგილასაც იჩენს თავს: „**ჴ**არჯით“; „**ჴ**მაურობს“.

ზოგიერთი სიტყვა პლატონ იოსელიანთან ძველი ორთოგრაფიითაა წარმოდგენილი. ასეთია, მაგ., „ეკლესია“, წარმოდგენილი ორი „კ“-თი ყველა ხმარებულ შემთხვევაში: „ე**კკ**ლესიათა და მონასტერთა გუჯარნი“; „ზედა-წარწერა სიონის ტფილისში ე**კკ**ლესიისა“. ასევე „თვე“ მოცემულია ორი „თ“-თი: „წამოვიდა მანდეთ 24ს ამ-**თთ**უჱს“; „ექუსს **თთ**უჱზედ აღკრძალეს“; „გამოვისტუმრე ერთი **თთ**უჱ იქმნება“.

ანლაუტში არსებითი სახელი „აზრი“ „ჰ“ თანხმოვანს დაირთავს: „ესე აქუნდეს ჩემის **ჰ**აზრით საქართველოს უკეთესია“ (პ. ი.); „განცხადებულთა **ჰ**აზრთა“ (იქვე); „ასიგნაცია“, „დისერტაცია“ – ორ „ს“-ს: „კმა იყოს 300 **ასს**იგნაცია“; „დი**სს**ერტაცია თჳსი დოკტორობაზედ (დაბეჭდილი) გამომიგზავნოს“; „ლიტერატურა“ – ორ „ლ“-ს: „რ˜ა იწოდებოდენ ნაყოფად ქართუჱლთა ლი**ტტ**ერატურისა“; „ღირსება ლი**ტტ**ერატურისა“; „ნაყოფთა ლი**ტტ**ერატურისათა“ (ყველა პ. ი.).

რუსული ორთოგრაფიის გავლენით უნდა აიხსნას ისეთი დაწერილობები, როგორიცაა: **ტეკსტი**, **ბულლეტენი**, **რედაკცია**, **ტრაკტატი**, **ბიბლიოტეკა**, **დოკტორობა**, **ეკზემპლარი**. ეს უკანასკნელი შეგვხვდა „**ექზემპლარი**“ ვარიანტითაც. ასეთი ფორმები იშვიათად დიმიტრი ბაქრაძის წერილებშიც დაჩნდება: „**კორრეკტორი**“.

არსებითი სახელი „ვერცხლი“ მოცემულია ძველი ფორმით: „რ˜ლთა შ˜ს იპოებიან რუსუდანისა ორი: **ვეცკლისა** და სპილენძისა“ (პ. ი).

დიმიტრი ბაქრაძე „გუშინწინ“ ზნიზედას „გუშისწინ“ სახით წარმოადგენს: „კონდაკოვი **გუშისწინ** წავიდა ბათუმს“; „**გუშისწინ** ცუდი დღე იყო“.

მე-19 საუკუნის ტექსტებში „გ“ თანხმოვანს ხშირად „ღ“ თანხმოვანი ცვლის, მაგ., „კატალო**ღ**სა შ˜ა წიგნთასა“; „დიმიტრის ბაგრატიონთა **ღ**ენერალთა“; „**ღ**ენერალს იოსელიანს“; „**ღ**უბერნატორმა მითხრა ადრევე“; „პეტრებურ**ღ**სა ყოფნაში ვიყავ“ (ყველა პ. ი.); „კატალო**ღი**“, „**ღ**ენერალი“, „**ღ**უბერნია“, „**ღ**უბერნატორი“, „პეტერბურ**ღი**“ (ყველა დ. ბ.); და სხვა მრავალი.

ამავე პერიოდის ძეგლებს ახასიათებთ სიჭრელე კომპოზიტების, შედგენილი შემასმენლების, ნაწილაკდართული, წინდებულიანი თუ თანდებულიანი სახელების დაწერილობებში. აქ რთულია ვიმსჯელოთ რაიმე კანონზომიერებაზე, ან ავტორის ორთოგრაფიულ გემოვნებაზე. ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება სხვადასხვა დაწერილობით იყოს მოცემული ერთსა და იმავე წერილში, ზოგჯერ ერთ აბზაცშიც კი. მაგ., „**მეფის-ძეს** თეიმურაზს“; „**მეფისძეს** ბაგრატს“. შედგენილი შემასმენლის ნაწილები შეიძლება შერწყმულიც იყოს და შეურწყმელიც: „აქ წიგნის შეკურა **ძვრიარის**“; „წიგნი ესე **სავსე არის** ძილის-პირებითა“ (ყველა პ. ი.).

თანდებულები პლატონ იოსელიანის ტექსტებში ხშირად ფუძესთან შეურწყმელი და დაქარაგმებულია: „ზ˜ა“; „შ˜ა“. ქარაგმდება ასევე ზმნიზედები: „კ˜დ“, „ს˜დ“ და ა. შ.

ფონეტიკური მოვლენებიდან აღსანიშნავია:

ბგერის დაკარგვა:

იკარგება „ვ“ თანხმოვანი ორ ხმოვანს შორის პოზიციაში: „მამათა ცხოვრება საქართველოში ერთი **იპოება**“; „საულ-დავითიანი ერთი **იპოება** თელავის ქალაქში“; „უძველეს წერილისა ამის არა **იპოებოდეს** ჩუჱნ შ˜ის“. შდრ.: „მათ შინა შერეულნი **იპოვებიან** მრავალნი“; „რ˜ლნიცა დღედმდე **იპოვებიან**“ (ყველა

პ. ი.).

I სუბიექტური პირის ნიშანი **-ვ** იკარგება ლაბიალური ბგერების წინ, მსგავსად ძველი ქართულისა: „ამას ჩემსა რუსულსა ზ˜ა ენასა **წარმოუდგენ** აკადემიასა“ (პ. ი.); „ღუბერნატორმა მითხრა ადრევე, მე **გაუგზავნიო**“ (იქვე). გვაქვს პირის ნიშნის შენარჩუნების ნიმუშებიც: „მღვიძარე ვარ რომ **ვუშოვნო** აკადემიას“ (იქვე). პირის ნიშნის დაკარგვის მაგალითი ანალოგიურ პოზიციაში დიმიტრი ბაქრაძესთანაც დადასტურდა: „პირდაპირ ვერ **უძღვენ** ჩემი ნება-კურთხევა“; „მაშოს **მიულოცავ**“.

გვაქვს საპირისპირო მოვლენაც, როდესაც „ვ“ თანხმოვანი განვითარებულია: „იწერებოდით რომ არა **უწყივო**“. „ვეცდები ეს საქმე **დავაბოლოვო**“; „ბევრი **სამუშავო**“ (ყველა პ. ი.).

აქვე აღვნიშნავთ, რომ „ვ“ შენარჩუნებულია ფუძედრეკადი ზმნის წყვეტილში: „ალმოირჩი**ვ**ეს ჩლენად კორრესპონდენტად“ (იქვე).

დიმიტრი ბაქრაძესთან „ვ“ თანხმოვანი დაცულია „ო“ ხმოვნის წინ ისეთ შემთხვევაში, სადაც, ზოგადად, დაკარგულია: „მანდ უნდა კარგათ **ცივოდეს**“.

იკარგება „რ“ თანხმოვანი „ბრძ“ ბგერათკომპლექსში ორივე ავტორთან მაგრამ არა ყოველთვის: „დიდად დაჰშთა მადლობელი, და **მიბძანა**“ (პ. ი.); „პასუხი **გვიბძანოთ**“ (იქვე); „კარგი იქნება **უბძანოთ**“ (დ. ბ.); შდრ.: „**ბრძანება** პეტრებურღისა სინოდიდამ“ (პ. ი.); „**მიბრძანა** მოკითხუა მოგაჴსენოთ“ (იქვე).

დიმიტრი ბაქრაძის წერილებში გამარტივებულია „მრთ“ ბგერათმიმდევრობაც: „**სიმთელის** მოსურნე“.

ბგერის განვითარება:

გარდა „ვ“ თანხმოვნისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ვითარდება „მ“ თანხმოვანი ანლაუტში: „მეორე ეკზემპლარი გავუგზავნე **მ**ჰსწრაფლვე“; „გარდაიხატონ იგინი **მ**ჰსწრაფლვე“; „ჩემგან **მ**ჰსწრაფლ-ნაშრომისა“; „**მ**ჰსწრაფლ დაიძახა გამხადეთ ტანისამოსი“. მოცემულ მაგალითებში **ჰ-** პრეფიქსიც ზედმეტია, რაზეც ქვემოთ გვაქვს საუბარი. ამ შემთხვევებში მიზეზად ანალოგიის მოვლენას ვვარაუდობთ: პლატონ

იოსელიანი პირის ნიშანთა უფუნქციოდ და ჭარბი ხმარების გამო ხშირად იღებს სხვადასხვა პრეფიქსთა კომბინაციას, მათ შორის, **მჰ**-საც, რომელსაც შეიძლება მოსდევდეს „ს“ თანხმოვანი და მივითოთ „მჰს“ ბგერათმიმდევრობა. ამისი მაგალითები ქვემოთ, სათანადო ადგილას, გვაქვს დამოწმებული და ამიტომ აქ აღარ წარმოვადგენთ.

დიმიტრი ბაქრაძის წერილებში ანლაუტში „მ“ პრეფიქსი ვითარდება „სწავლულთან“: „ყოველთვის მოდიან ჩემთან აქაური **მ**სწავლულები“.

ასიმილაცია:

ცდ – ცთ: „შევჰს**ცთ**ი, რომ მასთან დავიწყე მიწერა“; „შე**ცთ**ომით ვჰსთქვ“; „უ**ცთ**ომელსა და წმინდისა სვინიდისისა სიტყუასა“ (ყველა პ. ი.).

სჳ – შჳ: „თქუჱნ მოგივიდესთ **გასაშინჳავათ**“ (იქვე); „გამოვედი ქალაქის **გასაშინჳათ**“ (დ. ბ.); „**გაშინჳე**“ (იქვე); „მოიკითხე და **გაშინჳე**“ (იქვე); შდრ: „**გასინჳეთ** თქუჱნ“ (პ. ი).

მე-19 საუკუნის ტექსტებში არსებითი სახელი „ხელსახოცი“ ხშირად „ს“-ს ნაცვლად „ც“-ს გვიჩვენებს: ერთი მაგალითი დადასტურდა დიმიტრი ბაქრაძის წერილებში: „**ხელცახოცი**, რომელიც აქ ერთმა ლამაზმა კნეინამ მიფეშქაშა“.

დისიმილაცია:

„რჩ“ კომპლექსს ზურაბ სარჯველაძე „შთ“ კომპლექსისგან მიღებულად თვლის: შთ>შჩ>რჩ (პირველ საფეხურზე ასიმილაციას ვარაუდობს, მეორე საფეხურზე – დისიმილაციას).[11] „შთ“ კომპლექსის წარმოდგენა „რჩ“-ს ნაცვლად ორივე ავტორს ახასიათებს: „**დაგვშთების** ამისთჳს შემდეგ სინანული“ (პ. ი.); „**დავშთები** შენი ერთგული“ (დ. ბ.); „**დავშთები** თქუენის ბრწყინვალების მორჩილი მოსამსახურე“ (იქვე), და სხვ.

კუმშვა:

-ელ მაწარმოებლიანი მომავალი დროის ვნებითი გვარის

[11] ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 315.

მიმღეობები პლატონ იოსელიანთან უკუმშველად არის მოცემული, მსგავსად ძველი ქართულისა: „ამისა **დასამტკიცებელად** იხილეთ ისტორია“; „ძიება არა დაჰშთების **წარუმატებელად**“; „ესრეთ მარადის დაიდებიან **საწამებელად**“; გვაქვს აგრეთვე **„საჩუჭნებელად**“; **„დასაპატიჟებელად**“; **„გარდასაცემელად**“ და სხვ.

იშვიათად სხვა კუმშვადი ფუძეებიც ინარჩუნებს მდგრადობას: „ვერცა შური და **მტერობა**“; **„კალენდარები** გამოვისტუმრე“; **„ვეფხვსტყაოსანისა** დაბეჭდუა“ (ყველა პ. ი.); „იულიანეს მიულოცეთ ჩემ მაგიერ **ჯვარის** წერა“ (დ. ბ.); „ყველა სულთანები თავიანთის **ტანსაცმელებით**“ (იქვე).

-ავ თემისნიშნიანი გვარის ზმნები აწმყოს III პირის მრავლობით რიცხვში ზოგჯერ ორივე ავტორთან რედუცირებული ფუძით არის წარმოდგენილი: **„ინახვენ** მათ არა მღუდელნი, ა˜დ უმეცარნი“ (პ. ი.); „ყველანი **გლოცვენ**“ (დ. ბ.).

კვეცა:

იშვიათად უკვეცელი ფორმით არის მოცემული **-ე** ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე, რაც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგ., „მსუროდა აღწერა რაჲმ**ე**ჲსა საჩუჭნებელად“ (პ. ი.).

ავტორთა სამოღვაწეო პერიოდის ძეგლთა ენისთვის დამახასიათებელია საწყისის **-ა** მაწარმოებლის შენარჩუნება „ებ“-იან მრავლობითში, რისი ნიმუშები პლატონ იოსელიანთანც გვხვდება: „დიდად იამა **მოხატულებაებიცა**“; „ვიწყე ბეჭდუა კალენდრისა **დამატებაებით**“; **„ვაჭრობაებში** შევიდა“.

მჟღერი თანხმოვნის დაყრუება აუსლაუტში:

აუსლაუტში მჟღერი თანხმოვნის დაყრუების მაგალითები ორივე ავტორთან შეინიშნება: „იმ დროს იყო შეუძლო**თ**“ (პ. ი.); „უთუო**თ** გამოვგზავნი“ (იქვე); „იქნება მასალა**თ** გამოგადგეთ“ (დ. ბ.). თუმცა იძებნება **-დ** თანხმოვნის შენარჩუნების ნიმუშებიც: „უგუჯრებო**დ** ისტორიისა ქმნა და კრიტიკისა პოვნა ს˜დ შეუძლებელია“ (პ. ი).

მორფოლოგიის საკითხები:

პლატონ იოსელიანის წერილებში, ძირითადად, დაცულია მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **-მან**: „განვლო დუმილ**მან** საუკუნეთა“; „ბილეთი დამიგვიანა ცენზურა**მან**“; „ესე ქმნა ერთმა ჩემმა თანა-მსახურ**მან**“.

ავტორი აქტიურად იყენებს სახელთა მრავლობითი რიცხვის ძველ წარმოებას: „**გონებათა** განიღვიძეს“; „ადგილ**ნ**ი არიან გასასწორებელ**ნ**ი“; „წერილ**ნ**ი თქუჱნ**ნ**ი მივიღე“.

„თ“ სუფიქსის ორმაგი ფუნქციის გამო, სიტყვა შეიძლება მრავლობითის ორმაგ სუფიქსს დაირთავდეს: **-ებ+-თ**: „ანუ აქუსთ ეკკლესი**ებათ**ა შ˜ა“ (პ. ი.).

მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა პლატონ იოსელიანთან უმთავრესად ძველი ქართულისებურია (შეთანხმების ძველი სინტაქსური წესების დაცვით): „დუმილმან საუკუნეთა“; „მწერლობასა თჳსსა“; „სიტყუათა ამათ“. დიმიტრი ბაქრაძე პირდაპირ წყობას ირჩევს: „პირველს წიგნში“; „ქართულს ენაზე და იმისს შტოებზე“; „თქვენის პროგრამმის“.

გამოყენებულია რიცხვითი სახელი „რამდენიმე“-ს ძველი ფორმა: „**რავდენსამე** ჰაზრებში არა ვარ თქუჱნთან თან[ა]ხმა“; „**რავდენნიმე** არიან შეცთომანი“; „მომივიდა აკადემიიდამ რავდენნიმე ფურცელნი“. შდრ.: „**რამდენნიმე** ნომერნი“ (ყველა პ. ი.).

პლატონ იოსელიანი ჩვენებითი და III პირის ნაცვალსახელების სრულ, მოუკვეცელ ფორმებს იყენებს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ბრუნვებში: „თუ **ესე** მე მომენდობა“; „**ამა** მიზეზისათჳს“; „**ამა** რიცხუთაგან“. სრული ფორმა მაშინაცაა შენარჩუნებული, როდესაც მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება: „**ესე** უკანასკნელი რუსულს ენაზედ მქონდა“; „მე და **ისი** ერთად ვიყავით“.

სამჯერაა ნახმარი განუსაზღვრელი ნაცვლსახელი **ვიეთნიმე**: „ამისთჳს **ვიეთნიმე** ადგილნი არიან გასასწორებელნი“; „**ვიეთნიმე** მხატურობათა მათგანი არიან ძუჱლნი, და **ვიეთნიმე** ეკუთვნიან დროსა“ (ყველა პ. ი.).

დიმიტრი ბაქრაძე ხშირად მიმართავს **-შიდ** თანდებულს:

„სურამის ხეობა**შიდ**“; „დავრჩი ქუთაის**შიდ**“; „ხვალ მივდივარ თავის თანამდებობა**შიდ** ლეჩხუმის უეზდ**შიდ**“.

-და თანდებულს პლატონ იოსელიანთან **-თვის** თანდებულის მნიშვნელობა აქვს: „მის**და** მოწერილი“; „თუ თქუჱნ**და** სიმძიმე იყოს“; „პოემანი უბოძეთ ვის**და**ცა გენებოსთ!“

მოქმედებით ბრუნვაში ამავე ავტორთან ხშირად **-გან** თანდებულია დაცული, რომლის წინაც ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი **-თ** ხან ასიმილირებულია, ხანაც უცვლელი სახით არის შენარჩუნებული: „ახალციხეს ივლისის პირველი**დ-გან** გაჩნდა ჭირი“; „ამა ჟამი**დგან**“; „გარდამოვიღე რუსული**თ-გან**“.

ამავე ბრუნვაში ორივე ავტორთან **-დამ** თანდებულიც დასტურდება: „მოუვა თჳთ კანტორასა ბრძანება პეტრებურღისა სინოდი**დამ**“ (პ. ი.); „და აწ განსრული მოთმინები**დამ** გთხოვთ“ (იქვე); „მე ქვეშაგები**დამ** ავდეგ“ (დ. ბ.); „გზი**დამ** კიდევაც მოგწერ“ (იქვე); „მოცალება არა მქონდა, რომ წიგნი მომეწერა საი**დამ**მე“ (იქვე). როგორც ვხედავთ, უკანასკნელ მაგალითში **-დამ** გამოყენებულია **-მე** ნაწილაკის წინ, რაც ქართულისთვის არასასურველ ფონეტიკურ გარემოს ქმნის.

ვითარებით ბრუნვას **-მდე** თანდებულის პარალელურად **-მდინ** // **-მდისინ** თანდებულებიც დაერთვის: „ვჰგონებ ამა წერილისა მოსულა**მდინ** მიიღოთ კიდეც ფოჩტით“ (პ. ი.); „მიიღებდით აქა**მდისინ**“ (იქვე); „აქა**მდისინ** კიდევ არ მომსულია წიგნები“ (იქვე); „აქა**მდისინ** ვერავის ვერა მივწერე რა“ (დ. ბ.).

პლატონ იოსელიანი **-მდე** თანდებულის წინ ინარჩუნებს ვითარებითი ბრუნვის ნიშნის „დ“ თანხმოვნით ელემენტს: „კანტორაში აქ ვიდრე 4000 **დ**მდე“; „დრო**დ**მდე იყოს ესე დაფარულ“; „ივნისისა თთუჱ**დ**მდე“.

დიმიტრი ბაქრაძე გამოსამშვიდობებელ „ნახვამდის“ ფორმას „ნახვამდე“ სახით იყენებს: „ყმაწვილებს დავკოცნი. მე კარგათა ვარ. **ნახვამდე**“; „კარგათ იყავით ყველანი. მალე **ნახვამდე** შენი დ. ბაქრაძე“; „**ნახვამდე**. ყველანი დამიკოცნე და მომიკითხე“.

აქა-იქ გამოვლინდება წინდებულები და ზმნიზედები წინდებულის მნიშვნელობით: „**წინაშე** ჴელმწიფე იმპერატორისა“ (პ.ი.); „**წინარე** ამისა“ (იქვე); შდრ.: „კონსტ[ანტინო]პ[ო]ლის **წინაშე**“ (დ. ბ.).

პლატონ იოსელიანის წერილებში ხშირად გვხვდება ნაწევარი სხვადასხვა ბრუნვაში: „კანტორა **ესე**“; „მხოლოდ წიგნი **ესე** იყო იგივე“; „მაშინ უთუოთ ჰსრულ-ვჰყოფთ ჰაზრსა **ამას**“.

პირის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით პლატონ იოსელიანთან მე-19 საუკუნისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი სურათი გვაქვს. ამ პერიოდის ტექსტები პირის ნიშანთა ჭარბი ხმარებით გამოირჩევა, მიუხედავად პირთა რაოდენობისა და გარკვეულწილად ფონეტიკური პირობებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე პრეფიქსული პირის ნიშნის თავმოყრის შემთხვევები. ამ მხრივ გამოირჩევა **-ჰს** პირის ნიშანთა მიმდევრობა. ეს კომპლექსი ჩნდება როგორც ერთპირიან, ისე ორპირიან და სამპირიან ზმნებში. შესაბამისად, რთულია რომელიმე კონკრეტულ პირთან მისი დაკავშირება. მაგალითად, წინადადებაში – „ალექსანდრემ მიჩუჱნა სადაცა **ჰს**წერია“ – ორივე ნიშანი უფუნქციოა. ანალოგიური ნიმუშების მოხმობა მრავლად შეიძლება ჩვენი ტექსტებიდან: „**ჰს**წუხს რომ ფული გამოგზავნეთქო“; „ზაქარია ფალავანდოვი **ჰს**ჯავრობს“ და სხვ.

ორპირიანი ზმნების მაგალითები: „წერილი გან**ჰს**ჩხრიკოთ“; „ამისთჳს უკეთ ვერ გადმო**ჰს**წერა“; „პეტრე ქართუჱლისა ცხოვრებასა **ჰს**წერენ“; „სასარგებლო ჟურნალი არის, და აქეთ არავის მო**ჰს**დის“; „იმედია ვერა **ჰს**ძლიონ“.

სამპირიანი ზმნების მაგალითები: „გთხოვთ ესე ყოველნი თქუჱნდავე მოსაჴმარად გარდა**ჰს**ცეთ აკადემიაში“; „თჳთ ისიც მო**ჰს**წერს წერილსა“; „და**ჰს**დუჱს ჰაზრი“; „**ჰს**დებს მას ფასსა“; „ერთს ადგილსა მიმა**ჰს**წავლეს“.

-ჰს პირის ნიშანთა კომბინაციას ხშირად ვერ შლის I სუბიექტური პირის ნიშანიც, რის გამოც მიიღება **-ვჰს** რთული ბგერათკომპლექსი როგორც ერთპირიან, ისე მრავალპირიან ზმნებში:

ერთპირიანი ზმნების ნიმუშები: „მე უკეთუ აღმო**ვჰს**ჩნდები მით ღირსი“; „თუ არა **ვჰს**ცდები“; „დიდად **ვჰს**წუხ რომ დამიგვიანდა პასუხი“.

ორპირიანი ზმნების მაგალითები: „იგინი გარდმო**ვჰს**წერე და მოგართმევ“; „ველარ **ვჰს**ცან დასასრული ამისი“; „რუსულს თარგმანსა ერთად გამო**ვჰს**ცემ“.

სამპირიანი ზმნების მაგალითები: „ყოველთავე მო**ვჰს**წერ წერილსა“; „პასუხიც მო**ვჰს**წერე უფ. ჭუსსა“; „ფასი არ ვიცი რა და**ვჰს**დუა“; „**ვჰს**თხოვე რომ 25-ვე კ˜დ გამოეგზავნა“.

ემპირიული მასალა ცხადყოფს, რომ **-ვჰს** და **-ჰს** პირის ნიშანთა კომბინაცია, ძირითადად, **დ, თ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ** თანხმოვნების წინ დასტურდება. ასეთ პოზიციებში, ცხადია, გვაქვს მხოლოდ **-ს** პრეფიქსის დართვის შემთხვევებიც: „გამო**ს**ჩნდით თქუენ“; „უკეთუ არა გამო**ს**ჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი“;

სხვა თანხმოვნების წინ **-ჰ** პირის ნიშანი შეინიშნება, მაგ., „ესევითარი ძიება არა და**ჰ**შთების“; „დავ**ჰ**შთები მარად თქუ̈ენი პატივის-მცემელი“; „**ჰ**გზავნის თუ არა მას“.

ამავე ფონეტიკურ პირობებში **-ჰ**-ს შეიძლება უსწრებდეს I სუბიექტური პირის ნიშანი **-ვ** და, ამდენად, მივიღოთ **-ვჰ** პრეფიქსთა კომბინაცია: „ჭ˜ტად **ვჰ**ბრკოლდები“; „მძიმესა ფოჩტით გამო**ვჰ**გზავნე“; „კარტინები ვერ გამო**ვჰ**გზავნე“; „იმედი მაქუს ჰსრულ **ვჰ**ყო მალე“.

რამდენიმე შემთხვევაში **-ჰ** პრეფიქსი I ობოექტური პირის **-მ** პრეფიქსს მოსდევს და ვიღებთ ასეთსავე უჩვეულო **-მჰ** პირის ნიშანთა კომბინაციას: „მცხეთიდამ ადრევე **მჰ**ქონდა გარდმონერილი ზედა-წარწერა“; „სხუანი დაბეჭდილნი... არ-**მჰ**ქონდენ“; „იკითხავთ რაჲ **მჰ**სურს მე“; „თანაშემწე არა **მჰ**ყავს“; „არა **მჰ**რცხუ̈ნის მისი“.

იშვიათად უფუნქციო პირის ნიშანი ერთპირიან ფორმებში დიმიტრი ბაქრაძესთანაც შეინიშნება: „როგორც **ს**ჩანს სულ აგრილდა“; „რომელნიც თითქმის აქ **ს**ცხოვრობენ“.

ერთ შემთხვევაში პლატონ იოსელიანთან **-ჰ** პრეფიქსი ფუძეშია ჩართული: „რ˜ლნიცა არა ემ**ჰ**სგავსებიან წიგნთა“.

ასეთი მაგალითები ადასტურებს, რომ ავტორს **-ჰ, -ს** და სხვა პრეფიქსთა ფუნქცია გაცნობიერებული არა აქვს და ისინი ფუძის შემადგენელ ელემენტებად მიაჩნია. ამისი შედეგია **-ჰ** მარკერის გამოჩენა სახელურ თუ საწყისურ ფორმებში: „მ**ჰ**სგავსი“; „მ**ჰ**სგავსსა“; ასევე მაგ., „**ჰ**სწავლა“; „სა**ჰ**სჯელი“; „**ჰ**სრულ“, „**ჰ**სწორე“; „**ჰ**სრულ-ვჰყოფ“; „**ჰს**ჯულის-მდებელი“; „მ**ჰს**ჯელისა“; „მ**ჰ**სწრაფლვე“; „მ**ჰ**სწრაფლ-ნაშრომისა“. როგორც მაგალითებიდან ჩანს, **-ჰ** გამოყენებულია **-ს** თანხმოვნის წინ და ისევ ავტორისთვის ჩვეული **-ჰს** პრეფიქსთა მიმდევრობა მიიღება. ერთ შემთხვევაში **-ჰ** დაფიქსირდა უჩვეულო პოზიციაშიც: **-რ** თანხმოვნის წინ: „გთხოვ განუცხადოთ ჩემ-მიერი თაყუანის-ცემა... მეფის-**ჰრ**ძალს ელენას“.

III სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად უწყვეტელში პლატონ იოსელიანთან გამოყენებულია **-ენ** სუფიქსი: „ვისა განაკვირვებდ**ენ**“; „დამპირდ**ენ**“. იშვიათია **-ნენ** სუფიქსი: „ამა დროჲსა მხატუარნი იყუ**ნენ** რუსნი“. დიმიტრი ბაქრაძესთან კი ძირითადია **-ნენ** მორფემა: „დავთრების გადმოწერას კიდეც შეუდგ**ნენ**“; „ამ საქმეს გულ-მხურვალეთ შეუდგ**ნენ**“; „ვერ შეძლებდ**ნენ** ამ კათოლიკეების ენის გაგებას“, თუმცა აქა-იქ **-ენ** ნიშანსაც ვხვდებით: „რომელნიც დაზარალდ**ენ**“.

ერთ შემთხვევაში პლატონ იოსელიანთან -ოდ სავრცობიანი მოქმედებითი გვარის ზმნა უწყვეტელში III სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად გამოივლენს **-ნ** სუფიქსს, ნაცვლად **-ენ** სუფიქსისა: „რასა იქმოდი**ნ** ქართველნი, ვისა განაკვირვებდენ მწერლობასა თჳსსა“. საზოგადოდ, -ოდ სავრცობიანი ზმნები ძველ ქართულში უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში III სუბიექტური პირისა და რიცხვის **-ან** ნიშნის პარალელურად გამოივლენდნენ **-ნ** სუფიქსს, რის გამოც დასახელებულ მწკრივებში ვიღებდით **-ოდინ** დაბოლოებას **-ოდიან** დაბოლოების ნაცვლად. როგორც ჩანს, ავტორს მწკრივი შეეშალა.

პლატონ იოსელიანის წერილებში დინამიკური ვნებითები აწმყოს მწკრივში III სუბიექტური პირის ნიშნად **-ს** სუფიქსს დაირთავს, მსგავსად ძველი ქართულისა: „ცხოვრება მუნ აღიწე-

რები**ს**“; თუმცა ახლებური ფორმებიც იხმარება: „წიგნი ესე აღწერილი ხუცურად უკეთეს იქმნება**ა**“.

ინვერსიულ ფორმებთან იშვიათად გამოხატავს III სუბიექტური პირისა და რიცხვის **-ან** ნიშანს: „**მაქუნან** მათგანნი“; „სხუანიცა **მაქუნან** შრომანი“. გვაქვს „აქუნნ“ და „მაქუნ“ ფორმებიც: „სხუანიცა **აქუნნ** წიგნები“; „მე თჳთ **მაქუნ** წიგნები მრავალნი პროზად“. **-ან** თავს იჩენს I თურმეობითშიც: „ესენი ცალკედ ჩამიწყვი**ან**“.

სტატიკური ვნებითების აწმყოს მხოლობით რიცხვსა და საშუალი გვარის ზმნათა I თურმეობითში იყენებს **-იეს** დაბოლოებას: „არცა უპყრ**იეს** ფერჴითა თავი“; „უპყრ**იეს** ჰსწორე ბალანსი“; „ჰქონ**იეს** სახურავი“.

სტატიკური ვნებითები აწმყოში III სუბიექტური პირის ნიშნად **-ა** სუფიქსის ნაცვლად ზოგჯერ **-ს** სუფიქსს დაირთავენ: „აღარასი **მეშინის**“ (პ. ი.); „რომელთაცა **აკლს** განმართუაჲ“ (იქვე).

III ირიბობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი „თ“ სუფიქსის გაჩენის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მის წინ III სუბიქტური პირის **-ს** ნიშანიც გამოიხატებოდა. ასეთი მაგალითები პლატონ იოსელიანის წერილებშიც გვხვდება: „თქუ̈ნ ძალგიძ**სთ** ჰპოოთ იგი პეტერბურღშიაც“; „მიეცემი**სთ**, გაქუ**სთ**ღა“; „კნიაზ ბარათაევის ბეჭედი თუ არ გაგეგზავნო**სთ**“, „მათ მიუღიე**სთ** მყოფობა“, და სხვ.

იშვიათად **-ავ** თემის ნიშანი უწყვეტელში ხმოვნით ელემენტს იცვლის: „რ˜ღნიცა მათ იც**ევდ**ენ“ (პ. ი.).

დიმიტრი ბაქრაძესთან შეინიშნება **-ავ** თემის ნიშნის **-ამ** თემის ნიშნით წარმოდგენის მაგალითები: „ვინც შემხვდება იმას შევირთ**ამ**ო“; „კვირას ნინოჩკას ვნახ**ამ**“; „მე და მეხტირბაშევს გვიჭირ**ამ**ს“. **-ოფ** თემისნიშნიანი კი **-ობ** თემის ნიშნით არის მოცემული: „მივყ**ობ** ხელს.“

იგივე ავტორი ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნის II თურმეობითში იყენებს მეშველზმნიან წარმოებას ორგანულის ნაცვლად: „მინდოდა მე თვითონ **გხლებიყავ**“. არასწორად მოიხმობს

ვნებითი გვარის I თურმეობითის ფორმებს: „აქამომდე ვერ **გავთავისუფლებივარ** ავათმყოფობისაგან“; „რა შრომასაც თქვენ **შესდგენიხართ**“. პირველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო „განვთავისუფლებულვარ“, ხოლო მეორე შემთხევვაში – „შესდგომიხართ“.

ზმნის აღწერითი წარმოების ფორმები ჭარბობს პლატონ იოსელიანთანაც: „რლ˜თაცა წაკითხჳსა **მსურველ-ვიყავ** ადრითგან“; „უკეთუ თქუჱნ **წადიერ-იქმნებით**“.

არის შემთხვევები დღევანდელი **ე-** პრეფიქსიანი ვნებითის **-დ** სუფიქსური წარმოებით ხმარებისა: „**დამზარდა** გარდაღება ქართულზედ“ (პ. ი.). არის საპირისპირო მაგალითებიც: **ე-** პრეფიქსიანი ვნებითი **-დ** სუფიქსიანის ნაცვლად: „არღა **მეჭირება**“ (იქვე); **-დ** სუფიქსიანი **ი-** პრეფიქსითაც არის წარმოდგენილი: „უეჭუჱლად **დავისაჩუქრები** მით“ (იქვე).

„გაკვირვება“ ზმნა სუბიექტური წყობით არის გამოყენებული: „უთუოდ **გაჰკვირდებით** რომ ესოდენსა დროსა წერილი ვერ მოგწერეთ“ (იქვე).

მსურდა ზმნა ძველ ქართულში **-ოდ** სავრცობსაც გვიჩვენებდა. ასეთი ნიმუში პლატონ იოსელიანთანაც გვხვდება: „მრავალჯერ **მსუროდა** აღწერა რაჲმეჲსა“; „რ˜ლთაცა გასყიდუა **მსუროდა** ფრანციის კონსულისათჳს“.

ზოგჯერ გამოვლინდება პრეფიქსული წარმოების ფორმები: „მე ადრევე **მაქუნდა** ჰაზრში“; „არა **მაქუნდა** მარჯუჱ დრო“; „მას ჟამსა ს˜დ არა **მაქუნდა**“ (ყველა პ. ი.).

„თოვა“ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმა დიმიტრი ბაქრაძესთან **ლ** თანხმოვანს შეიცავს: „დღესა **თოვლს** კოსტანტინეპოლში“.

იშვიათად II კავშირებითი მომავალი დროის თხრობითი კილოს შინაარსს გადმოსცემს: „შესაძლებელია სინოდმან თქუჱნ გამოგიგზავნოს, და ნახავთ: ვჰგონებ **მოიწონოთ**“ (პ. ი.).

ორ შემთხვევაში პლატონ იოსელიანი ნატვრითი კილოს გამოსახატავად აწმყოს კავშირებითის ფორმას იყენებს „არამც“ ნაწილაკთან ერთად: „ჩემის წერილისა პასუხი დიდად დამიგვია-

ნეთ და ამასაც ვჰსწუხვარ **არამც ჰსჯავრობდეთ** რაზედმე“; „ძალიან დამიგვიანა თქუჱნმან წერილმან, და ვჰსწუხვარ **არამც** შეუძლოთ **ბრძანდებოდეთ**“.

III კავშირებითი პლატონ იოსელიანთან ზოგჯერ რეზულტატივის მნიშვნელობას გადმოსცემს: „ვჰგონებ ოთხი **მომეწეროს** წერილი და ვერცა ერთისა **მიმეღოს** პასუხი“; „მე ვჰგონებ ესრეთ არ **მომეწეროს**“.

პლატონ იოსელიანთან ზმნისწინები ხშირად ძველი ფორმითაა მოცემული: „ესე ყოველნი **გარდა**ვეც მწერალსა რ˜ა **გარდა**მიწერონ“; „**წარმო**იღო აქედამ“; „რლ˜სა ზედაცა **დამო**ეკიდებისა კანტორა ესე“.

იშვიათად იგი ზმნას გამაძლიერებელ -ცა ნაწილაკს ურთავს: „მე თჳთ მრავალჯერ მიხილავს და წამიკითხავს**ცა**“; „შემიბრალეთ და მომითმინეთ**ცა**“; „პოროშინი მოგიტანსთ**ცა** წერილსა ჩემსა მცირესა“. -ცა ნაწილაკი გამოყენებულია -მან მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგაც: „სასულიერო აკადემია**მანცა**“.

დიმიტრი ბაქრაძე საწყისურ ფორმა „მოცლას“, ხოლო პლატონ იოსელიანი „შეცვლას“ **-ებ** თემის ნიშნით წარმოადგენენ: „იმდენი **მოცალება** არა მქონდა“ (დ. ბ.); „გართული ვარ და **მოცალება** არა მაქვს“ (იქვე); „**შეცუალება** და დაუდევნელობა მხატუართა შ˜ს არარის იშვიათი“ (პ. ი.).

ასევე **-ებ** თემის ნიშანს დაირთავს „ლოდ“ ძირის შემცველი საწყისური ფორმა და ვიღებთ „მოლოდება“ ფორმას „მოლოდინი“ ფორმის ნაცვლად: „ვრცელ-ჟამითისა **მოლოდებისა** მომივიდა“; „ვჰსცან **მოლოდება**ჲ“; „შ˜დ გრძელითისა **მოლოდებისა** მივიღე“. შდრ.: „შ˜დ გრძელის **მოლოდინისა**“ (ყველა პ. ი.).

ამის საპირისპიროდ, **-ებ** თემის ნიშანი შეიძლება არ იყოს იქ, სადაც მოსალოდნელია, მაგ., „დიდის **სიამოვნით** წარვიკითხე“ (იქვე).

-ავ თემის ნიშანი იშვიათად გამოვლინდება მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობაში: „ლექსიკონებსა ველი: თხოულობენ **სასყიდავათ**“ (იქვე); „მივიდა დუქანში **სასყიდავად**

ნივთებისა“ (იქვე).

პლატონ იოსელიანი „შოვნ“ ძირის შემცველ სახელზმნურ ფორმებს **მო-** ზმნისწინს დაურთავს: „ქართლისა ცხოვრება თქუჱნთჳს **მოშოვნილი**“; „წიგნნი რ˜ლნიცა დღეს მე მაქუნან **მოშოვნილნი**“, „**მოშოვნა** მათი“.

სინტაქსური თავისებურებები:

წინადადების სტრუქტურა პლატონ იოსელიანთან ხშირად ძველი ქართულისებურია: „ჴელ-ვჰყავ მეცა აღწერად“; „შ˜დ გრძელითისა მოლოდებისა მივიღე წერილი თქუჱნი“; „დავჰშთები მარად მზა რ˜ა ვიღუწიდე ძალისამებრ ჩემისა მამულისათჳს“.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ხშირად წრფელობითშია, მაშინაც, როდესაც ის წინადადებაში ზმნური ნაწილისგან მოშორებით დგას: „დედანი ძალიან ავად იყო დაწერილი და ქაღალდი მისიც ადგილ-ადგილ **დახეულ** და **განრყუნილ**“; „რ˜ლისათჳსცა სრულიად ვიყავ **განმზადებულ**“.

აქა-იქ ორივე ავტორთან გვხვდება სინტაქსურად გაუმართავი ფრაზები: „გიგზავნი ოთხას მანეთს (400 руб.), **რომელიც** იმ დღეს **დაგპირდი**“ (პ. ი.).

მსაზღვრელ-საზღვრულის ნაწილში პლატონ იოსელიანი ცდილობს, დაიცვას ბრუნვასა და რიცხვში შეთახნმების ძველი ქართული ენის ნორმები, მაგრამ ზოგჯერ შეცდომებისგან ვერ იზღვევს თავს. მაგ., ფრაზაში – „დიდად ვარ მეძიებელი ქართულთა წიგნთასა“ – უკანასკნელი სიტყვა „წიგნთასა“, რომელიც საზღვრულია წინამავალი მსაზღვრელისა „ქართულთა“, მიცემითი ბრუნვაში არასწორად არის შეთანხმებული სახელობით ბრუნვაში მდგომ საზღვრულ „მეძიებელთან“, რომლის მიმართაც ის მართული მსაზღვრელია.

არის შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელი და საზღვრული მრავლობითი რიცხვის სხვადასხვა წარმოებით არის მოცემული: „თქუჱნგან გამოგზავნილ**ნი** წიგნ**ებ**ი“.

ირიბი დამატების ნაცვლად „გადასცა“ შემასმენელთან გამოყენებულია უბრალო დამატება: „გარდაჰსცეს იგი ანუ პატრონისად“ (პ. ი.).

ლექსიკა:

პლატონ იოსელიანის ბარათებში მრავლად მოიპოვება სიტყვები ძველი ქართული ენის ლექსიკიდან: „გარნა“, „კერძო“ (მხარის მნიშვნელობით), „სიქადული“, „რეცა“, და სხვა მრავალი. ზმნური ფორმები: „მოვისყიდე“, „მსურის“, „შევლენან“, „ვარი“, „ვიკდიმები“.

წერილებში, ისევე როგორც მე-19 საუკუნის ანალოგიურ ტექსტებში, ორივე ავტორთან ხშირია რუსიციზმები: „კუხნა“, „ნაგრადა“, „კანიკული“, „ბოჩკა“, „გოსტინიცა“, „დროშკა“, „ზასედანიე“, „ზნაკი“, „ტოჩკა“. ამ მხრივ უფრო დიმიტრი ბაქრაძის წერილები იქცევს ყურადღებას. მისი ბარათები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ იყო გაჯერებული ცოცხალი სასაუბრო ენა ბარბარიზმებით. მაგალითები: „შენ უფრო **ვკუსი** გაქვს. როდესაც ჩამოხვალ მაშინ გავაკეთებინოთ. აგრეთვე **კუხნის ფეჩი**. მგონია **კუხნის ფეჩზე** კიდეც მოგწერე, რისთვისაც შევაყენე. – **პრიკაზის** ქაღალდი თითქმის მზათ არის“. მე მგონია ამ ერთ კვირაზედ კიდეც შევიტანო. – სახლის **პლანს** აღარ გიგზავნი უკან; არც სიგძის ზომას. ჩამოხვალ ხომ მალე. – იმ დღეს **სალდათს** წიგნი გამოვატანე“.

დიმიტრი ბაქრაძესთან ხშირია სასაუბრო ფორმები: „საცა“, „რო“, „აქამომდე“, „იქს“, „კაი“; „მაინდამ“, და სხვ.

პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის წერილების ენობრივი თავისებურებები მნიშვნელოვანია ენის ისტორიისათვის. გამოცემა დიდ სამსახურს გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ.

ქეთევან გიგაშვილი
მზია გიგაშვილი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი ბაქრაძის არქივში (№142) დაცული კონვერტების აღწერილობა:

I კონვერტი:
მარცხენა ზედა მხარეს წერია: Заказное. ცოტა ქვემოთ: №453.
მარჯვენა მხარეს: 1363
შუაში:
Тифлис
Куки, Николаевская, 70
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе
От Дм. Бакрадзе
შუაში მკრთალად მიწერილია: 194/8.
მეორე ზედა მხარეს წერია:

Иван от нас ушел 11ro Марта 1888 года, пятница, сегодня был на базаре, а обед не готовил, обратно на другой день пришел Иван.

ხოლო ქვედა მხარეს წერია: письмо 6^{oe}
პირველ გვერდზე 2 ბეჭედია, ორივე თარიღდება 1888 წლის 1 მარტით. მეორე მხარეს 3 ბეჭედია: ერთი 6 მარტის, ხოლო 2 – 7 მარტის.
კონვერტის ზომა: 14,3X11 სმ.

II კონვერტი:
მარცხენა მხარეს წერია: 1210/№2308
მარჯვენა მხარეს: Заказное
შუაში:
В Тифлис
Куки, Николаевская, 70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе
письмо 5^{oe}
От Дм. Бакрадзе
შუაში მკრთალად მიწერილია: 1204/8.

პირველ გვერდზე 2 ბეჭედია, ერთის თარიღია 1888 წლის 24 თებერვალი, მეორისა – სავარაუდოდ, 25 თებერვალი (კარგად არ ჩანს). მეორე მხარეს 3 ბეჭედია: ერთი 29 თებერვლის და 2 – 1 მარტის. კონვერტის ზომა: 14,4X10,9 სმ.

III კონვერტი:
მარცხენა მხარეს წერია: Заказное. ამის შემდეგ ცერად: 1655/1
მარჯვენა მხარეს: 1529
შუაში:
Тифлис.
Куки, Николаевская, 70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе.
От Дм. Бакрадзе.
შუაში მკრთალად მიწერილია: 525/8, ხოლო ცისფერი ფანქრით: 223.
მეორე მხარეს წერია: 7<u>ое</u> письмо
პირველ გვერდზე 2 ბეჭედია, ერთის თარიღია 1888 წლის 8 მარტი, მეორისა – 14 მარტი. მეორე მხარეს 3 ბეჭედია: ერთი 14 მარტის, მეორე 15 მარტის და მესამისა არ ჩანს. კონვერტის ზომა: 14,4X10,9 სმ.

IV კონვერტი:
მარცხენა მხარეს წერია: Заказное. ამის ქვეშ: 866/№1118/ih
მარჯვენა მხარეს: 1529
შუაში:
В Тифлис.
Куки, Николаевская, 70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе
От Дм. Бакрадзе.
შუაში მიწერილია: №631/8, ხოლო ცისფერი ფანქრით: 770.
მეორე მხარეს წერია: 7<u>ое</u> письмо
პირველ გვერდზე 1 ბეჭედია, რომლის თარიღია 1888 წლის19 თებერვალი. მეორე მხარეს 4 ბეჭედია: ერთი 14 თებერვლის, მეორე და მესამე – 15 თებერვლის და მეოთხისა არ ჩანს. მეორე მხარეს წერია:

адрес
Konstantinople.
Pera. Veni-Tcharchi,
№50.
Его Превосход.
Дм-иу. Захар.
Бакрадзе
დაბლა წერია: 3<u>ье</u> письмо и адрес.
ხოლო ზემოთ: Г. Константинеполь.
კონვერტის ზომა: 14,5X11,1 სმ.

V კონვერტი:
მარცხენა მხარეს წერია: 1020/№1853/ih
მარჯვენა მხარეს: №175/8
შუაში:
В Тифлис
Куки, Николаевская, 70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе
От Дм. Бакрадзе
შუაში ცისფერი ფანქრით მიწერილია: 355.
მეორე მხარეს ქვემოთ წერია: письмо 4<u>ое.</u> ზედა მხარეს ციფრებია ჩამოწერილი ვერტიკალურად: 29 24 25 26 27 28 29. 24-ის გარდა, თითოეულს გვერდით დიდი ტირე მოსდევს, რომელიც სამ შემთხვევაში (26-ის, 27-ის, 28-ის შემთხვევაში) ორი ვერტიკალური ხაზითაა გადახაზული. 23-ს, 25-ს, 27-სა და 29-ს ტირის შემდეგ უწერიათ 1. ამ ვერტიკალურად ჩამოწერილ ციფრებს მარჯვენა მხრიდან ფიგურალური ფრჩხილი აქვს, რომლის გვერდით წერია „თულუხი წყალი“ (ორივე სიტყვა გადახაზულია).
პირველ გვერდზე 2 ბეჭედია, რომლის თარიღებია 1888 წლის16 და 18 თებერვალი (უკანასკნელი ციფრის მხოლოდ მარცხენა მხარე იკითხება), მეორე მხარეს 3 ბეჭედია: ერთი 23 თებერვლის, მეორე და მესამე – 24 თებერვლის.
კონვერტის ზომა: 14,4X10,8 სმ.

VI კონვერტი:
Тифлис
Куки, Николаевская, 70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе.
От Дм. Бакрадзе.
მეორე მხარეს, ზედა ნაწილში, წერია: 8$^{\text{oe}}$ письмо.
პირველ მხარეს 1 ბეჭედია, რომელზეც 2 მარტი იკითხება რუსულად. „2-“-ის წინა ციფრი კარგად არ ჩანს, შეიძლება ის იყოს „2“, შეიძლება – „7“. მეორე მხარეს 4 ბეჭედია. ერთ-ერთ ბეჭედზე კარგად ჩანს 1888 წლის 29 მარტი.
კონვერტის ზომა: 13,7X7,5 სმ.

VII კონვერტი:
შუაში:
Тифлис
Николаевская, дом №70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе
От Дм. Бакрадзе.
პირველ გვერდზე 2 ბეჭედია, რომელთაგან ერთზე კარგად იკითხება 1888 წლის 4 მაისი. მეორე მხარესაც 1 ბეჭედია: 5 მაისის.
მეორე გვერდზე, ქვედა მხარეს, წერია: Известіе 12$^{\text{oe}}$
კონვერტის ზომა: 14,2X7,1 სმ.

VIII კონვერტი:
შუაში:
Тифлис.
Куки, Николаевская, 70.
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе.
От Дм. Бакрадзе.

პირველ გვერდზე 1 ბეჭედია, თარიღი კარგად არ ჩანს, იკითხება მხოლოდ მარტი, 1888 წელი და რიცხვის პირველი ციფრი „2“. მეორე მხარეს 2 ბეჭედია: ერთი 4 აპრილით, მეორე 5 აპრილით დათარიღებული.
მეორე გვერდზე, ქვედა მხარეს, წერია: 9[oe] письмо
კონვერტის ზომა: 14,1X7,6 სმ.

IX კონვერტი:
შუაში:
Тифлис.
Куки, Николаевская улица, дом [№70] (მოხეული აქვს ეს ნაწილი კონვერტს).
Ея Превосходительству,
Анне Іосифовне
Бакрадзе.
От Дм. Бакрадзе.
პირველ გვერდზე 1 ბეჭედია, რომლის თარიღია 1889 წლის 28 აგვისტო, მეორეზე კი 3 ბეჭედია, რომელთაგან ორის თარიღი იგივეა — 28 აგვისტო. მესამეზე თარიღი არ ჩანს.
კონვერტის ზომა: 14,4X8,4 სმ.

X კონვერტი:
შუაში:
Тифлис.
Его Высокоблагородію,
Захарію Іосифовичу
Мамацову.
Для передачи Анне Іосифовне Бакрадзе
ქვედა მხარეს:
Со сложеніем багажной квитанціи №82
От Дм. Бакрадзе
მეორე გვერდზე, ზედა მხარეს, წერია: Извѣстіе 13[oe]
კონვერტი უბეჭდო და უმარკოა.
კონვერტის ზომა: 14,7X11,7 სმ.
მხოლოდ ამ კონვერტზეა წარწერა შავი ფანქრით შესრულებული, დანარჩენ კონვერტებზე გამოყენებულია შავი მელანი.

სარჩევი

შესავალი..... 3

პლატონ იოსელიანის წერილები:

1838

მარი ბროსესადმი №1 (1) 17 თებერვალი (ფრანგული ტექსტი)..... 12-13
მარი ბროსესადმი №1 (1) 17 თებერვალი (ქართული ტექსტი)..... 14-15
მარი ბროსესადმი №2 (2) 14 აპრილი..... 15-18
მარი ბროსესადმი №3 (3) 12 მაისი 19-20
მარი ბროსესადმი №4 (4) 16 ივნისი..... 21-22
მარი ბროსესადმი №5 (5) 20 ივნისი..... 22-24
მარი ბროსესადმი №6 (6) 23 ივნისი..... 24-25
მარი ბროსესადმი №7 (7) 4 აგვისტო..... 25-27
მარი ბროსესადმი №8 (8) 26 აგვისტო 27-28
მარი ბროსესადმი №9 (9) 1 სექტემბერი..... 28-31
მარი ბროსესადმი №10 (10) 6 ოქტომბერი 32-34
მარი ბროსესადმი №11 (11) 10 ნოემბერი..... 35-36
მარი ბროსესადმი №12 (12) 29 დეკემბერი 36-38

1839

მარი ბროსესადმი №13 (13) 2 მარტი..... 39-40
მარი ბროსესადმი №14 (14) 9 მარტი..... 40-42
მარი ბროსესადმი №15 (15) 19 მარტი 43
მარი ბროსესადმი №16 (16) 25 მაისი..... 43-45
მარი ბროსესადმი №17 (17) 18 ივლისი..... 46
მარი ბროსესადმი №18 (18) 31 აგვისტო 47-48
მარი ბროსესადმი №19 (19) 5 ოქტომბერი 48-49
მარი ბროსესადმი №20 (20) 26 ოქტომბერი..... 50-51
მარი ბროსესადმი №21 (21) 30 ნოემბერი..... 52-53
მარი ბროსესადმი №22 (22) 7 დეკემბერი..... 54-56

1840

მარი ბროსესადმი №23 (23) 29 თებერვალი..... 57-59
მარი ბროსესადმი №24 (24) 14 მარტი 59-60

მარი ბროსესადმი №25 (25) 11 აპრილი 60-62
მარი ბროსესადმი №26 (26) 1 აგვისტო 62-64
მარი ბროსესადმი №27 (27) 5 სექტემბერი 64-66
მარი ბროსესადმი №28 (28) 10 ოქტომბერი..... 66-68
მარი ბროსესადმი №29 (29) 24 ნოემბერი..... 69-70
მარი ბროსესადმი №30 (30) 4 დეკემბერი 70-71

1841

მარი ბროსესადმი №31 (31) 5 იანვარი..... 72-73
მარი ბროსესადმი №32 (32) 15 იანვარი..... 73-75
მარი ბროსესადმი №33 (33) 14 მარტი 75-77
მარი ბროსესადმი №34 (34) 12 სექტემბერი 77-78
მარი ბროსესადმი №35 (35) 21 ნოემბერი..... 78-80

1842

მარი ბროსესადმი №36 (36) 13 მარტი 81-82
მარი ბროსესადმი №37 (37) 14 აპრილი..... 82-83
მარი ბროსესადმი №38 (38) 25 მაისი..... 83-84

1845

მარი ბროსესადმი №39 (39) 26 იანვარი..... 85-86
მარი ბროსესადმი №40 (40) 26 ოქტომბერი..... 86-89

1847

მარი ბროსესადმი №41 (41) 14 მარტი 90-91

1848

რაფიელ ერისთავისადმი №1 (42) (რუსული ტექსტი) 21
თებერვალი 92
რაფიელ ერისთავისადმი №1 (42) (ქართული ტექსტი)
21 თებერვალი 93

1853

გრიგოლ ორბელიანისადმი №1 (43) 20 მარტი..... 94

1854

გრიგოლ ორბელიანისადმი №2 (44) 10 დეკემბერი 95-96

1861
რაფიელ ერისთავისადმი №2 (45) 6 ივლისი..... 97-98

1864
უცნობი ადრესატისადმი №1 (46) 16 თებერვლის შემდეგ (რუსული ტექსტი)..... 98-99
უცნობი ადრესატისადმი №1 (46) 16 თებერვლის შემდეგ (ქართული ტექსტი)..... 99-100
მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (47) 23 ოქტომბერი..... 100

1867
მარი ბროსესადმი №42 (48) 22 აპრილი..... 101-102
მარი ბროსესადმი №43 (49) 9 მაისი..... 102
მარი ბროსესადმი №44 (50) 6 ივნისი..... 103

1870
გრიგოლ ორბელიანისადმი №3 (51) 30 აპრილის შემდეგ..... 104

დიმიტრი ბაქრაძის წერილები:

1850
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №1 (1) 27 აგვისტო (ფრანგული ტექსტი)..... 106
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №1 (1) 27 აგვისტო (ქართული ტექსტი)..... 107

1855
მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (2) 14 ივლისი (რუსული ტექსტი)..... 108
მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (2) 14 ივლისი (ქართული ტექსტი)..... 109

1856
მიხეილ თუმანიშვილისადმი №2 (3) 22 ნოემბერი..... 110

1862
მიხეილ თუმანიშვილისადმი №3 (4) 10 ოქტომბერი (რუსული ტექსტი)..... 111

მიხეილ თუმანიშვილისადმი №3 (4) 10 ოქტომბერი (ქართული ტექსტი)..... 111

1864

ალექსი ილინსკისადმი №1 (5) 3 სექტემბერი (რუსული ტექსტი)..... 112-114
ალექსი ილინსკისადმი №1 (5) 3 სექტემბერი (ქართული ტექსტი)..... 114-116

1872

ალექსანდრე ცაგარელისადმი №1 (6) 22 იანვარი 117-118

1875 წლამდე

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №2 (7) 27 აგვისტო..... 119-120
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №3 (8)..... 25
სექტემბერი..... 120-121

1876

მარი ბროსესადმი №1 (9) 30 ოქტომბერი (რუსული ტექსტი) ... 122-124
მარი ბროსესადმი №1 (9) 30 ოქტომბერი (ქართული ტექსტი).. 125-126

1878

მარი ბროსესადმი №2 (10) 27 იანვარი (რუსული ტექსტი).....127-129
მარი ბროსესადმი №2 (10) 27 იანვარი (ქართული ტექსტი)..... 129-131
მარი ბროსესადმი №3 (11) 16 თებერვალი (რუსული ტექსტი).. 131-132
მარი ბროსესადმი №3 (11) 16 თებერვალი (ქართული ტექსტი)...133

1879

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №4 (12) 18 მარტი..... 134
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №5 (13) 9 მაისი 134-136
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №6 (14) 9 ივნისი 136-138
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №7 (15) 9 აგვისტო..... 138-139

1880

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №1 (16) 18 მაისი (რუსული ტექსტი)..... 140
საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №1 (16) 18 მაისი (ქართული ტექსტი)..... 140

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №2 (17)
22 ივლისი (რუსული ტექსტი)..... 141
საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი №2 (17)
22 ივლისი (ქართული ტექსტი)..... 141

1881

მარი ბროსესადმი №4 (18) 6 თებერვალი (რუსული ტექსტი).... 142-147
მარი ბროსესადმი №4 (18) 6 თებერვალი (ქართული ტექსტი)... 147-151

1880/1881

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №8 (19) 14 მარტი..... 152

1882

ვასილი ხიტროვოსადმი №1 (20) 12 ოქტომბერი
(რუსული ტექსტი)..... 153-157
ვასილი ხიტროვოსადმი №1 (20) 12 ოქტომბერი
(ქართული ტექსტი)..... 157-160
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №9 (21) 14 ოქტომბერი..... 161
ლავრენტი ბროსესადმი №1 (22) 1 ნოემბერი (რუსული) ტექსტი.. 161-163
ლავრენტი ბროსესადმი №1 (22) 1 ნოემბერი (ქართული)
ტექსტი..... 163-164
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №10 (23) [1879-1882]
29 ნოემბერი 164-165
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №11 (24)..... 165

1883

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №12 (25) 4 ნოემბერი 166

1884

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №13 (26) 3 ნოემბერი 167

1885

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (27) 1 აგვისტო 168
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №14 (28) 12 ოქტომბერი 168-169

1886

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №15 (29) 6 მაისი 170
ვსევოლოდ მილერისადმი №1 (30) 9 დეკემბერი

(რუსული ტექსტი)..... 170-172
ვსევოლოდ მილერისადმი №1 (30) 9 დეკემბერი
(ქართული ტექსტი)..... 172-173

1887

ევგენი პრესნიაკოვისადმი №1 (31) 5 იანვარი
(რუსული ტექსტი)..... 174
ევგენი პრესნიაკოვისადმი №1 (31) 5 იანვარი
(ქართული ტექსტი)..... 175
ვლადიმერ როგესადმი №1 (32) 5 თებერვალი
(რუსული ტექსტი)..... 175-177
ვლადიმერ როგესადმი №1 (32) 5 თებერვალი
(ქართული ტექსტი)..... 177-178
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №16 (33) 20 ივლისი 179
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №17 (34) 22 აგვისტო 180
ლავრენტი ბროსესადმი №2 (35) ოქტომბერი
(რუსული) ტექსტი..... 181-182
ლავრენტი ბროსესადმი №2 (35) ოქტომბერი
(ქართული) ტექსტი..... 183-184

1888

ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №18 (36) 10 იანვარი 185
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №19 (37) 11 იანვარი 185-186
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №20 (38) 11 იანვარი 186
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №21 (39) 19 იანვარი
(რუსული ტექსტი)..... 187-188
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №21 (39) 19 იანვარი
(ქართული ტექსტი)..... 189-190
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №22 (40) 8 თებერვალი 190-192
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №23 (41) 16 თებერვალი 193
ალექსანდრე გროსმანისადმი №1 (42) 16 თებერვალი
(რუსული ტექსტი)..... 194-196
ალექსანდრე გროსმანისადმი №1 (42) 16 თებერვალი
(ქართული ტექსტი)..... 196-198
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №24 (43) 24 თებერვალი 198-200
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №25 (44) 1 მარტი..... 200-201
ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №1 (45) 4 მარტი

(რუსული ტექსტი)..... 201
ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №1 (45) 4 მარტი
(ქართული ტექსტი)..... 201
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №26 (46) 8 მარტი..... 201-203
ილია ჭავჭავაძისადმი №1 (47) 12 მარტი..... 203
ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №2 (48) 14 მარტი
(რუსული ტექსტი)..... 204-206
ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №2 (48) 14 მარტი
(ქართული ტექსტი)..... 206-207
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №27 (49) 22 მარტი..... 208-209
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №28 (50) 28 მარტი..... 209-210
ალექსანდრე გროსმანისადმი №2 (51) 28 მარტი
(რუსული ტექსტი)..... 210
ალექსანდრე გროსმანისადმი №2 (51) 28 მარტი
(ქართული ტექსტი)..... 211
ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №3 (52) 18 აპრილი
(რუსული ტექსტი)..... 211-213
ნიკოლოზ გრებენშჩიკოვისადმი №3 (52) 18 აპრილი
(ქართული ტექსტი)..... 213-214
რუსული გენერალური საკონსულოსადმი №1 (53) 21 აპრილი
(რუსული ტექსტი)..... 214-215
რუსული გენერალური საკონსულოსადმი №1 (53) 21 აპრილი
(ქართული ტექსტი)..... 216-217
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №29 (54) 4 მაისი 217
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №30 (55) 5 მაისი 217-218
ალექსანდრე გროსმანისადმი №3 (56) 5 მაისი
(რუსული ტექსტი)..... 218-221
ალექსანდრე გროსმანისადმი №3 (56) 5 მაისი
(ქართული ტექსტი)..... 222-225
ეკატერინესადმი №1 (57) 4 აგვისტო (რუსული ტექსტი) 225
ეკატერინესადმი №1 (57) 4 აგვისტო (ქართული ტექსტი)..... 225
ალექსანდრე ოგოლინისადმი №1 (58) 1888 წლის 27 ოქტომბრის
შემდგომი პერიოდი (რუსული ტექსტი) 226-227
ალექსანდრე ოგოლინისადმი №1 (58) 1888 წლის 27 ოქტომბრის
შემდგომი პერიოდი (ქართული ტექსტი)..... 227-228

1889

ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №2 (59) 13 იანვარი 229
უცნობი ადრესატისადმი №1 (60) 8 მარტი (რუსული ტექსტი) . 229
უცნობი ადრესატისადმი №1 (60) 8 მარტი (ქართული ტექსტი) 230
თედო ჟორდანიასადმი №1 (61) 29 ივლისი (რუსული ტექსტი)..... 230
თედო ჟორდანიასადმი №1 (61) 29 ივლისი (ქართული ტექსტი).... 231
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №31 (62) 15 აგვისტო
(რუსული ტექსტი)..... 231-232
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №31 (62) 15 აგვისტო
(ქართული ტექსტი)..... 232
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №32 (63) 27 აგვისტო 232-233
იაკობ გოგებაშვილისადმი №1 (64) 30 ოქტომბერი 233
ანეტა მამაცაშვილი-ბაქრაძისადმი №33 (65) 5 ნოემბერი 234
თედო ჟორდანიასადმი №2 (66) 17 დეკემბერი
(რუსული ტექსტი)..... 234-235
თედო ჟორდანიასადმი №2 (66) 17 დეკემბერი
(ქართული ტექსტი)..... 235
უცნობი ადრესატისადმი №2 (67) (რუსული ტექსტი)..... 236
უცნობი ადრესატისადმი №2 (67) (ქართული ტექსტი)..... 236
ტექსტისათვის 238
პირთა ანოტირებული საძიებელი 452
გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი 498
ლექსიკონი 519
ენობრივი მიმოხილვა..... 526
დანართი. დიმიტრი ბაქრაძის არქივში დაცული
კონვერტების აღწერილობა 543
სარჩევი..... 548

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com